ნონა თოდუა, მაია ივანიძე, ლალი ფაფიაშვილი
ირინე ხერხეულიძე, თემურ ცქიტიშვილი

სანქციები სისხლის სამართალში

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2019

რედაქტორები:

პროფესორი – **ნონა თოდუა**

პროფესორი – **მაია ივანიძე**

ავტორთა კოლექტივი:

პროფ. მაია ივანიძე – თავი I

პროფ. ნონა თოდუა – თავი II

სამართლის დოქტ. **ირინე ხერხეულიძე – თავი III, IV**

სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი (თსუ), თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. **თემურ ცქიტიშვილი – თავი V**

პროფ. ლალი ფაფიაშვილი – თავი VI

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019

© ავტორთა კოლექტივი

ISBN 978-9941-25-666-0

სარჩევი

რედაქტორებისაგან 9

თავი პირველი 11

სასჯელის დანიშვნა 11

§ 1. ზოგადი შესავალი 11

§ 2. სასჯელის დანიშვნა რეციდივის დროს 13

§ 3. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს 24

§ 4. სასჯელთა შეჯამება 35

§ 5. სასჯელთა შეჯამება და მისი გამოყენების თავისებურებანი საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში 51

თავი მეორე 64

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკული საკითხები .. 64

§ 1. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა 64

§ 2. არასრულწლოვნის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას, ამკ 45-ე მუხლის საფუძველზე რაიმე სახის მოვალეობის დაკისრების შესაძლებლობა 74

§3. არასრულწლოვნის მიერ ამკ 45-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი 76

§ 4. ამკ 45-ე მუხლით დადგენილი მოვალეობის (როგორც აკრძალვის, ისე დაკისრებული ვალდებულების) ხანგრძლივობის საკითხი 85

§5. ქმედების კვალიფიკაციის სადავო საკითხები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 87

§ 6. ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის ერთი სადავო საკითხი 92

§ 6. სისხლის სამართლი კანონის მოქმედება დროში და პირობითი მსჯავრის საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 118

§ 7. სისხლის სამართლის კანონის უკუძალის საკითხი პირობითად ჩათვლილ სასჯელთან მიმართებით. 124

თავი მესამე 128

თავი XIV სასჯელისაგან გათავისუფლება 128

მუხლი 72. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება 128

— სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება – მისი

მნიშვნელობა რესოციალიზაციისათვის 130
II. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი ციხეების გადატვირთულობის კონტექსტთან მიმართებით 141
III. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და კრიმინალური პროგნოზი 150
IV. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება – მისი დარღვევის ლეგალური შედეგები 153
მუხლი 72(1). სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა 155
მუხლი 73. სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით 164
მუხლი 73(1). სასჯელის გადახედვა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად 176
მუხლი 74. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო 181
მუხლი 75. სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის 195
მუხლი 76. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო 203
თავი მეოთხე **213**
თავი XIV. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა **213**
მუხლი 77. ამნისტია 213
მუხლი 78. შეწყალება 230
მუხლი 79. ნასამართლობა 242
თავი მეხუთე **256**
იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა **256**
1. შესავალი 256
2. იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი 258
3. აუტოპოიეტური სისტემების თეორია იურიდიული პირის ყოფიერებაზე 269
4. მოკლედ ცივილისტიკაში იურიდიული პირის ბრალეულობის და პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით 272
5. იურიდიული პირი, როგორც ძირითადი უფლების სუბიექტი კონსტიტუციური სამართლის მიხედვით 275
6. საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი აქტები იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ 282

7. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა საქართველოს სს კოდექსის მიხედვით 284
8. იურიდიული პირის მიმართ გამოსაყენებელი სანქციები საქართველოს სსსკ-ის მიხედვით 290
9. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობაზე ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულებები 291
9.1. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მომხრეთა არგუმენტები 291
9.2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი 296
10. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით 301
11. იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებული პროცესუალური სირთულეები 302
12. იურიდიული პირის პასუხისმეგებლობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის მიხედვით 303
12.1. საფრანგეთი 304
12.2. ესპანეთი 306
12.3. შვეიცარია 308
12.4. გერმანია 309
12.4.1. იურიდიული პირის მოქმედებაუუნარობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 310
12.4.2. იურიდიული პირის ბრალუუნარობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 312
12.4.3. იურიდიული პირის სასჯელუუნარობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 318
12.4.4. იურიდიული პირის „ღირსება“ და „ხასიათი“ 320
12.4.5. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის სასარგებლოდ გამოთქმული მოსაზრება 322
12.4.6. ჰაინერ ალვარტის კონცეფცია იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებით 327
12.4.7. იურიდიული პირი როგორც პირადი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღებისთვის ვარგისი სუბიექტი? 329
12.4.8. „ორგანიზებული უპასუხისმგებლობა“ როგორც „კოლექტიური შერაცხვის“ საფუძველი? 332
12.4.9. მონაცვლეობითი პასუხისმგებლობის თეორია 336

12.4.10. იდენტიფიკაციის თეორია 339
12.4.11. იურიდიული პირი, როგორც სამართლიანობის აღდგენის მიზნის მისაღწევად ვარგისი სუბიექტი? 340
12.4.12. იურიდიული პირი, როგორც სასჯელის პრევენციული მიზნის მისაღწევად ვარგისი სუბიექტი? 341
12.4.13. იურიდიული პირის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელები და იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულები (იურიდიული პირის დასჯადობის მომხრეთა თვალსაზრისით) 343
12.4.14. იურიდიული პირის ორგანო, როგორც პასუხისმგებელი სუბიექტი? 345
12.4.15. იურიდიული პირის განზრახვა და გაუფრთხილებლობა? 346
12.4.16. „კოლექტიური ცოდნის" დოქტრინა 347
12.4.17. ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა შუალობითი ამსრულებლობის და თანაამსრულებლობის ფორმით 348
12.4.17.1. ვერტიკალური შერაცხვა ორგანიზატორული ბატონობით შუალობითი ამსრულებლობის ფორმით და მისი მნიშვნელობა იურიდიული პირის დასჯადობისთვის 348
12.4.17.2. ვერტიკალური შერაცხვის მოდელი თანაამსრულებლობის დროს და მისი მნიშვნელობა ორგანიზაციის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობისთვის 357
12.4.17.3. ჰორიზონტალური შერაცხვა თანაამსრულებლობის ფორმით და მისი მნიშვნელობა კოლეგიური გადაწყვეტილებით ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულის დასჯადობისთვის 358
12.4.18. ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაული როგორც მეზოდანაშაული 368
12.4.19. იურიდიული პირისთვის სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი გარემოებები 369
12.4.19.1. პრევენციული ასპექტები 369
12.4.19.2. ორგანიზაციის თანამშრომელთა ქმედების გავლენა უმართლობაზე 372
12.4.19.3. მსხვერპლის თანაბრალეულობის მნიშვნელობა ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით 373
12.4.19.4. ჯგუფურობის ეფექტი 373
12.4.19.5. პერსონალური დიფერენცირება 377
12.4.19.6. მოვალეობის დარღვევის ზომა – ორგანიზაციის ძალაუფლების გამოყენება 378

12.4.19.7. ალტრუისტული მოტივაცია 382
12.4.19.8. იურიდიული პირის დასჯადობა გერმანული
ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით 383
12.5. ბელგია 386
12.6. იტალია 387
12.7. ამერიკის შეერთებული შტატები 387
12.9. დიდი ბრიტანეთი 389
თავი მეექვსე 393
სანქციები სისხლის საპროცესო სამართალში 393
კარი I. სანქციები სისხლის სამართალწარმოებაში 393
თავი I. საპროცესო სამართალი 394
1. სისხლის საპროცესო სამართლის სპეციფიკა 394
2. საპროცესო სამართლებრივი ნორმების ზოგადი დახასიათება 395
3. საპროცესო ნორმების სანქციების თავისებურება 397
თავი II. სანქციები საპროცესო სამართალში 401
1. სანქციები საპროცესო კანონმდებლობის დარღვევისთვის 401
თავი III. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევისთვის სანქციების
სახეები 407
1. განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით 408
2. დარგობრივი კუთვნილების მიხედვით 409
3. სანქციები ფუნქციური დანიშნულების მიხედვით 412
3.1. უფლებააღმდგენი სანქციები 413
3.1.1. საპროცესო უფლებააღმდგენი სანქციების სახეები 415
3.2. სადამსჯელო სანქციები 418
3.3. საპროცესო-პრევენციული სანქციების 421
4. სანქციის შემფარდებელი სუბიექტის მიხედვით 421
თავი IV. სანქციების განსხვავება საპროცესო იძულების
ღონისძიებებისგან 422
კარი II. პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა
შეუსრულებლობის და წესრიგის დარღვევისთვის 424
თავი I. სსსკ 85-ე მუხლით აკრძალული ქმედებები 426
1. სასამართლოსადმი უპატივცემულობა 426
2. სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა 431
3. სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა .. 432
4. წესრიგის დარღვევა 433

5. „წესრიგის დარღვევის“ ადგილი 435
5.1. სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევა 435
5.2. სასამართლოში წესრიგის დარღვევა 438
თავი II. პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა 439
1.საპროცესო პასუხისმგებლობა გამოუცხადებლობისთვის 439
2. კვალიფიკაციის საკითხები 445
2.1. სსსკ მუხლი 240 ვს. მუხლი 91 445
2.2. სსსკ მუხლი 85 ვს. მუხლები 91 და 240 447
2. გაძევება 449
2. 1.გაძევების გამოყენების წესი 449
2. 2. ადვოკატის და ბრალდებულის გაძევება 452
3. პატიმრობა 457
3. 1. დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირები 461
3. 2. დაპატიმრების შესახებ განკარგულების გამოტანის წესი 463
3. 3. პატიმრობის ვადა 464
4. დაკავება 465
თავი IV. პროცედურული ასპექტები 468
1. სანქციის დაკისრების ვალდებულება 468
2. სანქციის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები 471
3. პროცედურული გარანტიები 473
3.1. გაფრთხილება 476
3.2. ზეპირი ფორმა 479
3.3. დასაბუთებულობა 480
3.4. განკარგულების გასაჩივრება 482
4. საპროცესო ფორმა 486
დასკვნა 487

რედაქტორებისაგან

წინამდებარე ნაშრომი – **სანქციები სისხლის სამართალში** – შესრულებულია ავტორთა კოლექტივის მიერ თსუ სამეცნიერო საგრანტი პროექტის ფარგლებში.

მასში სანქციების საკითხი ძირითადად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჭრილშია განხილული. დასმული პრობლემა გადმოცემულია სისხლის სამართლის **როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური** კუთხით.

კერძოდ, მასში განხილულია როგორც სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები და სასამართლო პრაქტიკა, ასევე სანქციების საკითხი სისხლის სამართლის პროცესში. ნაშრომში შესაბამისი ადგილი ეთმობა ნასამართლობის, ამნისტიისა და შეწყალებისა და იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.

მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძალაში შესვლიდან (2016 წ. 1 იანვარი) დღემდე ქართულ ენაზე არაერთი ნაშრომია შესრულებული და გამოქვეყნებული, მაგრამ სადავო არაა, რომ ამ მიმართებით საკვლევ საკითხთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დაუმუშავებელია.

პროექტის მიზანი იყო სწორედ ამ დაუმუშავებელ საკითხთა განხილვა. კერძოდ, წარმოგვეჩინა სანქციების საკითხში მოქმედი კანონმდებლობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, ასევე ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზი.

შესაბამისად, პროექტის მონაწილეთა ამოცანა იყო, ჩამოგვეყალიბებინა კონკრეტული წინადადება და რეკომენდაცია როგორც კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

პროექტი განხორციელება ხელს შეუწყობს თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტთა სწავლების პროცესს შესაბამისი ლიტერატურის გამდიდრებით.

საკვლევ საკითხებზე მუშაობდა თსუ იურიდიული ფაკულტეტის

სისხლის სამართლის მიმართულების სამი პროფესორი და სამართლის ორი დოქტორი (ასისტენტ-პროფესორი).

დაბოლოს, პროექტის მონაწილეთა სახელით დიდ მადლობას ვუხდით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომლის ფინანსური მხარდაჭერით 2016-2017 სასწავლო წელს განხორციელდა ეს პროექტი.

ნაშრომის ავტორები მოთმინებით ელიან ყველა სახის კონსტრუქციულ შენიშვნასა და წინადადებას ნაშრომის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ნონა თოდუა
სამართლის დოქტორი, თსუ პროფესორი

მაია ივანიძე
სამართლის დოქტორი, თსუ პროფესორი

თავი პირველი

სასჯელის დანიშვნა

§ 1. ზოგადი შესავალი

სამართლის მეცნიერების მთავარი ამოცანა ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი სამართლის სისტემისა და მისი ცალკეული ინსტიტუტების ეფექტურობის შესწავლაა.

სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის, ორი მნიშვნელოვანი დარგის, ამოცანას იმ ნორმების სწორად განსაზღვრა წარმოადგენს, რომლებიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტურ ხასიათს ატარებენ. სისხლის სამართლის კოდექსის უმთავრესი მიზანიც ხომ დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვაა.

სამართლებრივი, ფილოსოფიური და დიპლომატური ხასიათის ნაშრომში-„დანაშაულისა და სასჯელისათვის" ჩეზარე ბეკარია დანაშაულის აღმოფხვრის ერთ-ერთ მთავარ არსს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მის გარდაუვალობაში ხედავდა. მისივე შეფასებით, მკაცრი სასჯელი არ არის საკმარისი, რათა ადამიანებმა უარი თქვან დანაშაულის ჩადენაზე. უფრო დიდი ეფექტის მომტანი არის იმის შეცნობა, რომ ჩადენილი დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება და ბოროტმოქმედებას უცილობლად მოჰყვებოდა პასუხისმგებლობა.

სასჯელების სისასტიკე იწვევს ორ სხვა დამლუპველ შედეგს, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილების მიზანს ეწინააღმდეგება-აღნიშნავდა იგი. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ადვილი არ გახლავთ დავიცვათ აუცილებელი თანაფარდობა დანაშაულსა და სასჯელს შორის. მეორე იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელთა სისასტიკე დანაშულთა დაუსჯელობას წარმოშობს.[1]

1910 წელს რუსეთში გამოცემულ ნაშრომში „სისხლის სამართლის კანონები" იმ დროისთვის მოქმედი სასჯელები ორ სახედ იყო-

[1] ჩეზარე ბეკარია „დანაშაულისა და სასჯელისათვის" თარგმანი ი. ხუცურაულისა, გამომც. „საქართველოს მაცნე" თბ, 2003.

ფოდა: სისხლის სამართლის სასჯელები და გამასწორებელი სახის სასჯელები. ორივე შემთხვევაში სასჯელის მიზანს პირის გაფრთხილება წარმოადგენდა, რათა შემდგომში თავიდან ყოფილიყო აცილებული ხელმეორედ დანაშაულის ჩადენა, ასევე სხვა პირის მიერ დანაშაულის განხორციელება.[2]

იურიდიული პაუხისმგებლობის განსაზღვრისას ი.ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ სამართალშემფარდებელმა აუცილებლად უნდა დაიცვას დანაშაულისა და სასჯელის თანაბარზომიერების მოთხოვნა. სასჯელი და მისი შეფარდება დამნაშავეს უნდა აკეთილშობილებდეს და ამავე დროს მთელი სერიოზულობით აფიქრებდეს იმ საფრთხეზე, რომელიც მან თავისი მოქმედებით შეუქმნა საზოგადოების უშიშროებას.[3]

სასჯელის მიზანი ფართო გაგებით სხვა არაფერია თუ არა საზოგადოების გაფრთხილება. კანონმდებელი მოცემული მიზნით ხელმძღვანელობს და ადგენს, თუ რომელი დანაშაულებრივი ქმედება, სასჯელის რომელ სახეს იმსახურებს. ამ მიზნით ხელმძღვანელობს მოსამართლე, როდესაც კონკრეტული სახის სასჯელს ნიშნავს, ამ მიზანს ითვალისწინებს ის ორგანო, რომელიც პირის მიერ სასჯელის მოხდას აღასრულებს.[4]

მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ დაწესებული სანქციები, რომელიც სისხლის სამართალში კონკრეტული სასჯელის სახესა და ზომაში გამოიხატება – მთელი არსით ემსახურება საზოგადოებრივ წესრიგს, მისი თითოეული წევრის უსაფრთხოებას და ამით ხელს უწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას. სისხლისსამართლებრივი სანქციების განხილვა როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური კუთხით მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სამართალშემფარდებელმა სასჯელის დანიშვნისას, უპირველეს ყოვლისა სასჯელის მიზნებით უნდა იხელმძღვანელოს.

---

[2] ЗАКОНЫ УГОЛОВНЫЕ, С-ПЕТЕРБУРГ , 1910 , 16-19.

[3] ვახტანგ აბაშმაძე, ი.ჭავჭავაძე-სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, გამომც. „განათლება“ თბ.1987, 393.

[4] М. Д .ШАРГОРОДСКИЙ, `ИЗБРАННЫЕ РАБОТЫ ПО УГОЛОВНОМУ ПРАВУ” С- ПЕТЕРВУРГ, 2003, 241

§ 2. სასჯელის დანიშვნა რეციდივის დროს

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს სასჯელის დანიშვნის თავისებურებანი დანაშაულის რეციდივის, განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობის დროს. მოცემული საკითხი გარკვეულ თავისებურებებთან არის დაკავშირებული.

კერძოდ, საინტერესოა თუ როგორ ხდება სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს, როგორ იწყებს მოქმედებას სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და ჰუმანიზმის პრინციპები, ვალდებულია თუ არა მოსამართლე დაამძიმოს სასჯელი რეციდივის დროს და როგორ ხორციელდება ასეთ შემთხვევაში სასჯელის მიზნები?

შევეცდებით საკითხის გაშუქებას საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე. თავდაპირველად თავად რეციდივის ცნების შესახებ.

რეციდივი – (ლათ. recidivus) – უცხო სიტყვათა ლექსიკონის განმარტებით განმეორებას ნიშნავს. დანაშაულის რეციდივი კი -დანაშაულის განმეორებით ჩადენას.[5]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას გარკვეულ თავისებურებებს ითვალისწინებს.

ეს თავისებურება ეხება როგორც რეციდივის განმარტებას, ასევე იმ გარემოებას, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად- დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე:

1. რეციდივად ითვლება გარემოება, როცა პირი განზრახი დანაშაულის ჩადენის შემდეგ კვლავ განზრახ დანაშაულს ჩაიდენს.

2. ამასთან, ადრე ჩადენილი განზრახი დანაშაულისათვის პირი ნასამართლევი იყო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის

[5] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომც. „განათლება,"1973, გვ 440.

თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე.

პირის ნასამართლობა მხედველობაში მიიღება:

1) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის;

2) დანაშაულის კვალიფიკაციის;

3) სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.[6]

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების თანახმად შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე სახის რეციდივი:

1) მარტივი სახის რეციდივი, რომელიც ნიშნავს- წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ კვლავაც განზრახი დანაშაულის ჩადენას.

2) საშიში რეციდივი, რაც ნიშნავს იმ პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, რომელიც წინათ განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ორჯერ იყო ნასამართლევი და სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.

3) განსაკუთრებით საშიში რეციდივი – პირის მიერ ისეთი განზრახი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთაა განსაზღვრული და რომელიც წინათ განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სამჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი და სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც სამოქმედოდ შემოღებული იქნა 1961 წლის 1 მარტიდან ცალკე – 44-ე მუხლს უთმობდა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნებას და ამავე მუხლის მე-4 ნაწილში ხაზს უსვავდა იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობისთვის სასამართლო მხედველობაში იღებდა დამნაშვის პიროვნებას, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიშროების ხარისხს, დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხარისხსა და ხასიათს და საქმის გარემოებებს.

იმ პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ხდებოდა ხაზგასმა ისეთ გარემოებაზე, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა.

---

[6] М. Н. СТАНОВСКИЙ, НАЗНАЧЕНИЕ НАКАЗАНИЯ, С.-ПЕРЕТЕРБУРГ, 1999, 303.

ერთ-ერთი ავტორის მოსაზრებით, პირი მხოლოდ მაშინ ითვლებოდა რეციდივისტად, თუ ჩადენილი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.[7]

რეციდივის ცნებასთან დაკავშირებული იყო რეციდივისტის, როგორც სპეციალური სუბიექტის ცნებაც. სხვადასხვა მონოგრაფიებში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებს ვეცნობით. „დანაშაულის სპეციალურ სუბიექტად ითვლებიან პირები, რომლებიც გარდა დანაშაულის სუბიექტისათვის დამახასიათებელი თვისებებისა,(ასაკი და შერაცხაობა) უნდა ფლობდნენ განსაკუთრებულ ნიშნებს, რომელთა მეშვეობითაც მხოლოდ მათ შეუძლიათ დანაშაულის ჩადენა."[8]

„დანაშაულის რეციდივის, საშიში რეციდივისა და განსაკუთრებით საშიში რეციდივის შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება ადრე ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა და სიმძიმე, გარემოებები, რომელთა გამოც ადრე დანიშნულ სასჯელთა გამაფრთხილებელი ზემოქმედება არასაკმარისი აღმოჩნდა, აგრეთვე ახლად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე "[9]

„რეციდივის ყველაზე საშიშ ფორმას განსაკუთრებით საშიში რეციდივი წარმოადგენს. იგი გულისხმობს ორჯერ ან მეტჯერ მსჯავრდებას კანონით მიტიტებულ მძიმე დანაშაულთა ჩადენისათვის. ამ დანაშაულთა დიდი საზოგადოებრივი საშიშროება, უაღრესად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სიკეთეთა აშკარად აბუჩად აგდებაში გამოიხატება. ამის გამო მკაცრი ა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა."[10]

საქართველოში დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩდენილი დანაშაულისათვის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათ-

---

[7] იქვე, М. Н. СТАНОВСКИЙ, НАЗНАЧЕНИЕ НАКАЗАНИЯ, С- ПЕРЕТЕРБУРГ, 1999 ,304.

[8] Т .М. Кафаров, `Проблема рецидива в советском уголовном праве", баку, 1972,165.

[9] ზურაბ გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი სასჯელი , თბ,2001,55.

[10] საქარელოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, (ნაწილი პირველი) გამომც., „საბჭოთა საქართველო", თბ,1976, 258

ვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

მოვიყვანოთ რეციდივის მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან.[11]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის განაჩენით თამაზ კალანდაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად 2(ორი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.[12]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას მსჯავრდებულმა სააპელაციო საჩივრით მიმართა და სასჯელის შემსუბუქება მოითხოვა.

მოცემული სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი თამაზ კალანდაძე სუპერმარკეტ „ფრესკოში", მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა 8 ლარად და 40 თეთრად ღირებულ „მედოფის" ფირმის არაყს.

სააპელაციო პალატამ იმსჯელა მსჯავრდებულის მოთხოვნაზე სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ დანიშნული სასჯელის შემსუბუქება მოცემულ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თამაზ კალანდაძეს უშუალოდ დანაშაულის ჩადენისას წაასწრეს, ამასთან იგი წარსულში ნასამართლევი იყო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის. (საქართველოს სისხლის სამართლის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული). თამაზს მეორედ დანაშაულის ჩადენის დროს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა. (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ნასამართლობა პირს სასჯელის მოხდიდან 8 წლის შემდეგ უქარწყლდება).

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებულ თამაზ

[11] განაჩენების განხილვისას სახელი და გვარი შეცვლილი სახით იქნება წარმოდგენილი.

[12] სისხლის სამართლის საქმე № 1ბ/331-15

კალანდაძისათვის დანიშნული სასჯელის სახე სრულად შეესაბამებოდა როგორც მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს.

მოსამართლის შეფასებით თამაზ კალანდაძის მიმართ დანიშნული სასჯელის სახე სავსებით უზრუნველყოფდა საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორიცაა დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა. ახალი დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით, პალატამ ყურადღება მიაპყრო სასჯელის გამოყენების პრევენციულ ხასიათს, რომელიც უნდა საზოგადოების სიმშვიდესა და უსაფრთხოებას უნდა ემსახურებოდეს, კრიმინალის შემცირებას ხელს უნდა უწყობდეს.

კერძო პრევენციის კუთხით პალატამ საყურადღებოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ თამაზ კალანდაძე ნასამართლევი იყო მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის (განზრახი მკვლელობა), რომლისთვისაც სასჯელი არ აღმოჩნდა ეფექტური და მსჯავრდებულის მხრიდან ახალი დანაშალის ჩადენის შემაკავებელი.

პირველი ინსტანციის მსგავსად, მოცემული გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2004 წლის 4 აგვისტოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენით დადგინდა, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა თამაზ კალანდაძემ თავისი მეზობელი მოხუცი ქალი დანის ყელში ჩარტყმით იმის გამო მოკლა, რომ მან ნისიად არ მისცა არაყი. თამაზ კალანდაძის მიერ ნასვამ მდგომარეობაში ახალი დანაშაულის ჩადენა უკავშირდება სუპერმარკეტიდან არყის ქურდობას, რაც იმაზე მიუთითებს რომ ალკოჰოლოსადმი მიდრეკილი თამაზი საზოგადოებრივად საშიში პიროვნება გახლდათ, რომლის რესოციალიზაცია არ მომხდარა.

ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით, პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ თამაზს ჩადენილი ჰქონდა ქურდობა, რომელიც საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულია, მან ქონებრივი ზიანი მიაყენა მესაკუთრეს და მომეტებული საშიშროებით ხასიათდებოდა. განაჩენის დასაბუთებისას მოსამართლემ ხაზგასმა გააკეთა

საკუთრების უფლებაზე, რომელიც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომელიც აღიარებულია და ხელშეუვალია.

პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასაჯელის სახე და ზომა თამაზ კალანდაძის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციულია, რათა მსჯავრდებულმა გააცნობიეროს ჩადენილი ქმედება, გამოიტანოს სათანადო დასკვნები და მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თამაზის ქმედებაში სახეზე იყო სსკ-ის მე-17-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის რეციდივი, ანუ წინათ განზრახი დანაშაულისათვის (სსკ-ის 108-ე მუხლი) მსჯავრდებული პირის მიერ კვლავ განზრახი(სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულის)-ქურდობის ჩადენა, იმ დროს როდესაც პირს ნასამართლობა მოხსნილი და გაქარწყლებული არ ჰქონია.

სააპელაციო პალატის მოსამართლემ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით სასჯელის დანიშვნა მოცემულ შემთხვევაში სავსებით კანონიერად მიიჩნია, რამდენადაც დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასჯელის ვადა სულ მცირე ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. (სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ვადა ერთი წელია).

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ სააპელაციო საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა სასჯელის მიზნებით, მხედველობაში მიიღო საზოგადოების სიმშვიდე და უსაფრთხოება, ჩადენილი ქმედების გავრცელებული ხასიათი.

„შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი უფლება იმისთვის, რომ უპასუხოს ყველა სამართლებრივ პრობლემას; ამის აღმოჩენა მოსამართლეს ევალება. მისი პასუხი იმდენად სწორია, რამდენადაც ის საუკეთესოდ ერგება საზოგადოების ინსტიტუციურ და კონსტიტუციურ ისტორიას და მორალურად გამართლებულია. ამის გამო სამართლებრივი არგუმენტი და ანალიზი „განმარტებითია", რადგან

ისინი ცდილობენ, ჩამოაყალიბონ სამართლებრივი პრაქტიკის საუკეთესო მორალური შინაარსი."[13]

საკითხის ამგვარი ფილოსოფიური გაგება, იმ მთავარი ამოსავალისკენ მიგვანიშნებს, რასაც მართლმსაჯულების განხორციელებისას უნდა დაეყრდნოს მოსამრთლე.

ზემოაღნიშნულ მაგალითის განხილვისას მთავარი საკითხია – სასჯელის დანიშვნის წესი დანაშაულის რეციდივის დროს.

აღნიშნულ შემთხვევაში თანამდევ საკითხს წარმოადგენს თუ როგორ ხორციელდება სამართლიანობის აღდგენის მიზანი და სისხლის სამართლის პრინციპები.

„სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, რაც იმას გულისხმობს, რომ სასჯელი არ უნდა იყოს არც ძალიან მკაცრი, არც მსუბუქი. სამართლიანობის აღდგენა მიიღწევა პიროვნების და მისი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით დანიშნული სასჯელით. თუ სასამართლო არ გაითვალისწინებს კანონის მოთხოვნას და დანიშნავს მსუბუქ ან მძიმე სასჯელს, სასჯელის ერთ-ერთი მიზანი სამართლიანობის აღდგენა ვერ განხორციელდება."[14]

დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესს ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი.

მისი პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

სასჯელის მიზანს ვერ მოემსახურება დანაშაულის რეციდივის დროს მსუბუქი სასჯელის დანიშვნა, ე.ი. ისეთი სასჯელის დანიშვნა, რომელიც კანონის მოთხოვნას ეწინააღმდეგება და სულ მცირე ერთი წლით არ აღემატება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ

---

[13] რეიმონდ უექსი, სამართლის ფილოსოფია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 61.

[14] იოსებ ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბ, გამომცემლობა „მერიდიანი", 2016, 216.

სასჯელის მინიმალურ ვადას.

მოვიყვანოთ მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალა იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მოსამართლემ არ გაითვალისწინა რეციდივის შემთხვევა.[15]

2016 წლის თებერვალში მურთაზ საბაურმა თავის საცხოვრებელ სახლში მის მეუღლეს, საყოფაცხოვრებო უთანხმოების ნიადაგზე, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, მიაყენა შეურაცხყოფა,კერძოდ ორჯერ ჩაარტყა ხელი თავის არეში, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

ასევე 2017 წლის ზაფხულში შელაპარაკების ნიადაგზე არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით მურთაზმა კვლავ მიაყენა მის მეუღლეს შეურაცხყოფა, კერძოდ მოქაჩა თმები და ასევე ხელი დაარტყა სახის არეში, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

მურთაზ საბაური ცნობილი იქნა დამნაშვედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1(ერთი) წლის ვადით. იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანაშაულთა ერთობლიობით თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე სასჯელი და საბოლოოდ, მურთაზ საბაურს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა პროკურორმა. მან მიიჩნია რომ განაჩენი არ იყო კანონიერი. კერძოდ, მურთაზ საბაურის ქმედებაში სახეზე იყო დანაშაულის რეციდივი, ანუ წინათ განზრახი დანაშაულებისათვის (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 261-ე მუხლის პირველი ნაწილით

[15] სისხლის სამართლის საქმე № 1 ბ/571-18

გათვალისწინებული ქმედებისთვის ნასამართლევმა პირმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 1261 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულები-ოჯახში ძალადობა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მას ნასამართლობა კანონით დადგენილი წესით მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა. გარდა აღნიშნულისა, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით მურთაზს სასჯელის სახედ დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 6(ექვსი) თვის ვადით, რომელიც ჩათვლილი ჰქონდა პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

მან გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ იგნორირება გაუკეთა აღნიშნული დეფინიციით (სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი) განსაზღვრულ იმპერატიულ მოთხოვნას, არ გააუქმა პირობითი მსჯავრი და პირს არ დაუნიშნა სასჯელი საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დააკმაყოფილა ახალციხის რაიონული პროკურორის სააპელაციო საჩივარი და მურთაზ საბანაძე დამნაშავედ სცნო სსკ-ის 126 მუხლის მე -2 ნაწილი'" ქვეპუნქტით (პირველი ეპიზოდი). მას სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე მუხლით გათვალისწინებულ მეორე ეპიზოდშიც მას დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი. საბოლოოდ, მურთაზ საბანიძეს სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2(ორი) წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 3 (სამი) თვით თავისუფლების აღკვეთა .

განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ მალხაზ საბანიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2

(ორი) წლისა და 3 (სამი) თვის ვადით.

როგორც უკვე ავღნიშნეთ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში თავს იჩენს ისეთი საკითხები როგორიცაა-სასჯელის მიზნები და მათი სწორად განხორციელება, სისხლის სამართლის პრინციპები და მათი რეალიზაცია.

„ სასჯელის მიზანი არის ყველა ადამიანის თანასწორი პასუხისმგებლობა კანონის წინაშე“ -ასე მსჯელობს „სასჯელის ფილოსოფიური პერსპექტივების“ სახელმძღვანელოს ავტორი სასჯელის მიზნებზე თავის ნაშრომში და იმავდროულად ხაზგასმას აკეთებს იმ მემკვიდრეობით მონაცემებზე, (მოძალადის ბუნება), რომელიც ადამიანებს (მათ შორის დამნაშავეებს) ერთმანეთისგან განასხვავებს. [16]

„დანაშაულის რეციდივის არსებობისას სასჯელის გამკაცრება არ ნიშნავს ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ დასჯას. კანონმდებელი დანაშაულის რეციდივისთვის სასჯელის გამკაცრებისას ეყრდნობა სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპებს. სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპების რეალიზაცია არ ნიშნავს მხოლოდ ყველას მიმართ კანონის თანასწორად გამოყენებას.“[17]

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან.[18] თბილისში მცხოვრებმა ნასამართლობის მქონე საბა მურლულიამ ჩაიდინა დანაშაული ოჯახის წევრის მიმართ, კერძოდ, თავის ძმას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და იმავე დროულად დაემუქრა სიცოხლის მოსპობით, რა დროსაც მის ძმას, ზვიადს, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

საბა ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ს 1261 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახით და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით ვადით.

საქართველოს სსკ-ს 59-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებით, საქართველოს სსკ-ს 1261 მუხლის მორე ნაწილით დანიშნულმა

---

[16] G.Ezorsky. `Philosophical perspectives on punishment",New York,Suny Press,2015,435ʒ

[17] ი.დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა"მერიდიანი",თბ, 2013, 116.

[18] სისხლის სამართლის საქმე № 1/ბ 1001-18

სასჯელმა შთანთქა 111. 151-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, საბას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ საბა ადრე ნასამართლევი იყო ოჯახში ჩადენილი ძალადობისათვის. კერძოდ, მან ეს ქმედება განახორციელა მამის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი ვერ აღმოჩნდა ეფექტური და შემაკავებელი ახალი დანაშაულებების თავიდან ასაცილებლად.

დიახ, მან კვლავ გაიმეორა ანალოგიური განზრახი ქმედებები სიცოცხლის მოსპობის მუქარა და ოჯახში ძალადობა ძმის მიმართ, რისთვისაც დანაშაულთა ერთობლიობით მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

სასამართლომ ყურადღება მიაპყრო აღნიშნული კვალიფიკაციით ჩადენილი დანაშაულის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას, სასჯელისა და ჩადენილი დანაშაულის პროპორციულობას, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი. (მოსახდელი სასჯელის ვადის სულ მცირე 1 წლით მკაცრი სასჯელის დანიშვნის შესახებ.)

ეს წესი ასევე არ გავრცელდება სსკ-ის 55-ე და 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

თუკი მოცემულ საკითხს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით განვიხილავთ, რეციდივთან დაკავშირებით საინტერესო გამოცდილება აქვს იაპონიას.

კერძოდ, იაპონიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, რეციდივის შემთხვევა იქ განმეორებითი დანაშაულის სახ-

ელწოდებითაა ცნობილი.

„განმეორებით დანაშაულად ითვლება ისეთი ქმედება, როცა პირი სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით და სასჯელი მოხდის შემდეგ 5 წლის განმავლობაში კიდევ ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

ამავე (56-ე) მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სასჯელს იხდის დანაშაულთა ერთობლიობისათვის და ამ დანაშაულთა შორის არის ქმედება, რომლისთვისაც სასჯელის სახით შესაძლებელია დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა, საბოლოო სახის სასჯელის განსაზღვრისას, შერჩეული უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთა."[19]

§ 3. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1961 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა, სასჯელის დანიშვნას რამდენიმე დანაშულის ჩადენის დროს, იმ დროს მოქმედი, სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით არეგულირებდა, ხოლო სასჯელის დანიშვნას რამდენიმე განაჩენის დროს, იმავე კოდექსის 41-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ცალკე -42-ე მუხლი ეთმობოდა სასჯელთა შეკრების წესს.

„სასჯელის მოხდის დროს ახალი დანაშაულის ჩადენის ფაქტი სუბიექტის დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას მოწმობს. ნაცვლად იმისა რომ გამოსწორდეს, სწორად აღიქვას სასჯელის მოტივაციური ზეგავლენა, იგი კვლავ არღვევს მართლწესრიგს და ახალ დანაშაულს სჩადის. აღნიშნულის გამო ასეთი პირის მიმართ გაცილებით უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა დაწესებული, ვიდრე იმ პირის მიმართ, რომელმაც, მართალია, ორი ან მეტი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ არც ერთისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა."[20]

დღესმოქმედი კანონმდებლობით „დანაშაულთა და განაჩენთა

---

[19] Уголовное законодательство зарувежных стран М, зерцало, 1999, 34

[20] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბ.1976,245.

ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების შემდეგ (2000 წელი) დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესი რამდენჯერმე შეიცვალა.

2007 წლის 18 იანვრიდან გაუქმდა დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებისა და შთანთქმის პრინციპი და სასჯელთა სრულად შეკრების წესი ამოქმედდა.

ხოლო 2010 წლის 23 თებერვალს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით სასამართლოს დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების უფლება მიეცა."[21]

2013 წლის 17 აპრილს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა დანიშვნის წესი.

კერძოდ, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის. მაგალითად, თუ პირის მიერ ჩადენილია ქურდობა, ხულიგნობა და მკვლელობა, სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს თითოეული დანაშაულისათვის ცალ-ცალკე.

„დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული."[22] როდესაც პირს მსჯავრი ედება ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენისათვის, დგება საკითხი სასჯელის განსაკუთრებული წესის შემოღების თაობაზე. ამ საკითხს არეგულირებს სსკ-ის 59-ე მუხლი.

ამ მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია რამოდენიმე პირობის არსებობა, კერძოდ:

ა) პირის მიერ ჩადენილი უნდა იყოს ორი ან მეტი დამოუკიდებელი დანაშაული;

ბ) ყველა დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს უფრო ადრე, ვიდრე

[21] სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბ, 2018, 543.

[22] ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ, 2001ნ, 57.

სასამართლომ თუნდაც ერთი მათგანის ჩადენისათვის პირს გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

გ) თითოეული დანაშაულისათვის არ უნდა იყოს გასული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება 6 თვიდან 20 წლამდე ვადით, გარდა ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

„თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, ერთი მხრივ, დამოკიდებულია კანონმდებლობაზე, ხოლო მეორე მხრივ, ამ საკითხზე სასამართლომაც უნდა იფიქროს, როცა სასჯელის ზომას განსაზღვრავს განაჩენით.“[23]

რაც შეეხება უშუალოდ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილს -დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს. როგორც ვხედავთ, სსკ-ის 59-ე მუხლში გათვალისწინებულია სასჯელთა შთანთქმის პრინციპი. მაგალითად, სასამართლომ ქურდობის ჩადენისთვის პირს დაუნიშნა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხულიგნობისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მკვლელობისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. როგორც ყველაზე მკაცრი სასჯელი- 8 წელი შთანთქავს 3 და 4 წელს, როგორც ნაკლებად მკაცრ სასჯელებს და საბოლოოდ სასამართლო დანიშნავს 8 წლით თავისუფლების აღკვეთას.

დანაშაულის რეციდივზე მსჯელობა და საკითხის არსის წარმოჩენა სასჯელის მიზნებისა და სისხლის სამართლის პრინციპების შესაბამისად გვსურს. სასჯელის შთანთქმის წესის განზოგადება ასევე დაგვაფიქრებს სასჯელის მიზნებსა და სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპების შესახებ.

მოვიყვანოთ მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან. [24]

სასამართლომ დაადგინა, რომ გიორგი გედევანიძემ ჩაიდინა

[23] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ, 2013, 111.
[24] სისხლის სამართლის საქმე № 1/ბ-132-2017წ.

ყალბი ოფიციალური დოკუნეტის დამზადება (4 ეპიზოდი), ასევე თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით; ასევე თაღლითობა ე.ი. მართლსაწინააღმ-დეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (4ეპიზოდი); სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით: ასევე სსსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის"ა" და „ბ' ქვეპუნქტებით.

საქართველოს სისხლის სამართლის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის ოთხივე ეპიზოდ-ში გიორგი გედენიძეს -თითოეულ ეპიზოდში (ცალ-ცალკე) სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სა-სარგებლოდ; ხოლო სსსკ-ის 180 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნ-ქტითა და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანა-შაულის ჩადენისათვის 6 (ექვსი) წლის ვადით თვისუფლების აღკვეთა დაენიშნა,

ხოლო სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნ-ქტებით გათვალისწინებული ქმედებისათვის 6 წლის ვადით თვისუ-ფლების აღკვეთა განესაზღვრა.

საბოლოოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მკაცრამა სასჯელმა შთანთქა ნაკ-ლებად მკაცრი და თანაბარი სასჯელები და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით გიორგი გედევანიძეს სასჯელის სახედ და ზომად გა-ნესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით.

განსხვავებულ წესს ადგენს კანონმდებელი დანაშაულის რეციდ-ივის შემთხვევაში. დანაშულის რეციდივის არსებობის დროს, დანა-შაულთა ერთობლიობისას, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთნთქავს ნაკლებად მკაცრს ანდა ამ დანაშაულ-თათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეი-კრიბება.

ამასთანავე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ვადიანი თა-

ვისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.

მოვიყვანოთ მაგალითი საქართველოს სასამართლოს პრაქტიკიდან.

ვაჟა გოლეთიანი ცნობილ იქნა დამნაშვედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით და 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებლი დანაშაულთა ჩადენისთვის. მას საქრთველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით განესაძღვრა თავისუფლების აღკვეთა 2(ორი) წლისა და 6(ექვსი) თვის ვადით;საქართველოს სისხლსი სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით- თავისუფლების აღკვეთა 03(სამი) წლისა და 06(ექვსი) თვის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ, დანაშულთ ერთობლიობით ვაჟა გოლეთიანს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) წლის ვადით. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ მიზანშეწონილად მიიჩნია დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთ სრული შეკრება, რამდენადაც ვაჟა გოლეთიანი ადრე ნასამართლევი იყო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის. კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა- შენახვისა და ტარებისათვის, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და ყაჩაღობისთვის. მოსამართლის შეფასებით, პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმის, ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით მიზანშეუწონელია ვაჟა გოლეთიანის მიმართ დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ სასჯელის შეკრების წესი სასჯელის მიზნების უზრუნელყოფის საშუალებად მიიჩნია.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასჯელის განსაზღვრის განსაკუთრებულ წესს ადგენს იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდება რომ მსჯავრდებულს ბრალი

მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თამაზ მურვანიძე მიიჩნია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა 09 (ცხრა) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ვინაიდან მის მიმართ 2014 წლის 26 აგვისტოს სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი იყო განაჩენი, რომლის თნახმად სასჯელის სახედ და ზომად მას დანიშნული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლის ვადით.

საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, თამაზ მურვანიძის მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა 09 (ცხრა) წელმა შთანთქა სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი-თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლის ვადით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, თამაზ მურვანიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 09 (ცხრა) წლის ვადით.[25]

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილს, იგი განიხილავს ისეთ შემთხვევას, როცა განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდება, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღოდა სხვა დანაშაულის ჩადენაშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელის ზომაში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. 2017 წლის 16 იანვარს დღის საათებში, ქუთაისში, ერთ-ერთ მარკეტში ქურდობისათვის ნასამართლევი კობა ტაკიძე, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მი-

[25] სისხლის სამართლის საქმე№1ბ-266-2015წ

საკუთრების მიზნით, დაეუფლა ქალბატონის კუთვნილ მობილურს და მის დამცავ ბუდეს, რითაც დაზარალებულს მიადგა 220 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 მარტის განაჩენით იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06(ექვსი) წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, მოცემული განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა 2017 წლის 06 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელი თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) წლის ვადით, საიდანაც მსჯავრდებულს 02 წელი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, 04 წელი გამოსაცდელი ვადით და საბოლოოდ კობა ტაკიძეს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) წლის ვადით..[26]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი მე-5 ნაწილი განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების წესს ეხება. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასაჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად უმატებს წინა განაჩეჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასაჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

როგორც სასჯელთა, ასევე განაჩენთა ერთობლიობის დროს ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი. შეჯამებისას საბოლოოდ დანიშნული დამატებითი სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ამ სასჯელის მოცემული სახისათვის მოქმედი კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზომას.

ბოლო პერიოდში, საქართველოში ოჯახში ჩადენილი დანაშაულმა გავრცელებული სახე მიიღო. განსაკუთრებით ხშირია მისი ჩადენა ნასამართლევი პირის მიერ.

---

[26] სისხლის სამართლის საქმე 3 1/ბ -238-2017წ.

2017 წლის ივლისის თვეში გიორგი სანადირაძემ ოჯახის წევრის მიმართ ჩაიდინა ძალადობა, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი და რამაც გამიწვია ფიზიკური ტკივილი. მან არასრულწლოვან მეუღლეს ქვა ესროლა სახეში, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.[27]

გიორგის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით. იმავდროულად მის მიმართ გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 ივლისის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი 3(სამი) წელი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლადდანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 ივლისის განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან- 1 (ერთი) წელი თავისუფლების აღკვეთა და მთლიანად დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით განსაზღვრული დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი -ჯარიმა 1000(ათასი) ლარის ოდენობით და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით, გიორგი სანადირაძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის და 42-ე მუხლის მე-5 ნაწილების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით ჯარიმა.

სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ჩადენის ხერხსა და ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე. ასევე მხარეთა მიერ უდაოდ ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე.

კერძოდ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გიორგი იყო აგრესიული. იგი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა არასრულწლოვან მეუღლეს, აგინებდა მას უცენზურო სიტყვებით, იწევდა მისკენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. მან მეუღლეს სახეში ქვა ესროლა.

---

[27] სისხლის სამართლის საქმე 1/ბ /881-17

სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გიორგის მიმართ ორჯერ იყო გამოცემული დამცავი ორდერი. იგი ნასამართლევი გახლდათ განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის. კერძოდ, 2016 წლის 29 ივლისის განაჩენით მსჯავრდებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 (სამი) წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის 63-ე და 64-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3(სამი) წელი გამოსაცდელი ვადით და მასვე სსკ-ის 44-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათის ვადით, რაც შემდგომში შეეცვალა ჯარიმით-100ლარის ოდენობით.

როგორც ვხედავთ, სახეზეა დანაშაულის რეციდივი, რომლის შემთხვევაში მსჯავრდებულს სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით. სასამართლოს შეფასებით გიორგი სანადირაძის მიმართ განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის სახე და ზომა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და 6 ექვსი თვით, მის მიერ ჩადენილი ქმედების პრორპორციული იქნება, რათა მან გააცნობიეროს ჩადენილი ქმედება, გამოიტანოს სათანდო დასკვნები და მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობის დროს დანიშნული საბოლოო სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენის მიღების დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის. ასეთ შემთხვევაში სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირის დაკავების დღიდან.

რაც შეეხება განაჩენთა ერთობლიობას-ასეთ დროს დროს საბოლოო სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს.

მაგალითად, 2018 წლის 10 იანვრის განაჩენით პირს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2018 წლის 20 თებერვლის განაჩენით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საბოლოოდ დანიშნული სასჯელის (მაგ. 12 წელი) ათვლა უნდა დაიწყოს 2018 წლის 20 თებერვლიდან ე.ი. ბოლო განაჩენის მიღების დღიდან.

განსხვავებულ წესს ადგენს კანონმდებელი, როდესაც მსჯავრდებული დანაშაულს ჩაიდენს გამოსაცდელ ვადაში.

მაგალითად, 2018 წლის 15 მარტის განაჩენით პირს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეიცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი. 2018 წლის 20 მაისს (გამოსაცდელი ვადის განმავლობაში), მან ჩაიდინა ახალი დანაშაული, რისთვისაც იმავე დღეს იქნა დაკავებული. აღნიშნული დანაშაულისთვის 2018 წლის 10 იანვრის განაჩენით სასჯელის სახედ და ზომად პირს განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოცემულ შემთხვევაში, 10 წელს (ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი) უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი (მაგ. 5 წელი) და საბოლოოდ დანიშნული სასჯელი (15 წელი) უნდა აითვალოს დაკავების მომენტიდან (2018 წლის 20 მაისი) და არა ბოლო განაჩენის მიღების მომენტიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს დანიშნული საბოლოო სასჯელის ზომა, თუ იგი თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქია, არ უნდა აღემატებოდეს სასჯელის მოცემული სახისათვის ამ კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზომას. მაგალითად, სასამართლომ ერთი დანაშაულისთვის პირს სასჯელად განუსაზღვრა გამასწორებელი სამუშაო 1 წლის ვადით (თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი), ხოლო მეორე დანაშაულისათვის 1 წლისა და 3 თვის ვადით. საბოლოოდ სასჯელის დანიშვნისას, სასამართლოს უფლება არა აქვს აღნიშნული სასჯელი დანიშნოს 2 წელზე მეტი ვადით, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის შესაბამისად, გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი.

შეჯამებისას დანიშნული საბოლოო დამატებითი სასჯელის ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ სასჯელის მოცემული სახისათვის ამ კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზომას.

მაგალითად, პირს, დანაშაულთა ერთობლიობისას, თითოეული დანაშაულისათვის ცალ-ცალკე განესაზღვრა ძირითადი სახის სასჯელები, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

2-2 წლის ვადით.

საბოლოოდ სასჯელთა შეჯამებისას, სასამართლოს უფლება არა აქვს აღნიშნული სასჯელი დანიშნოს 3 წელზე მეტი ვადით, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის შესაბამისად, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც დამატებითი სასჯელი ინიშნება ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

დანაშაულთა ერთობლიობასთან დაკავშირებით, საინტერესოა საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმების გაცნობა.

კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 2 თავში 1-ლი განყოფილებაში მოცემულია 132-2 მუხლი, რომელიც ეხება დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესსა და პირობებს.

„ დანაშაულთა ერთობლიობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც გარდა ამ ქმედებისა კიდევ რამოდენიმე დანაშაული აქვს ჩადენილი. ასეთი პირისთვის სასჯელის განსაზღვრა ხდება ყოველი დანაშაულისათვის ცალ-ცალკე. თუკი ამ დანაშაულებისთვის განსაზღვრულია ერთნაირი სასჯელის სახეები, მაშინ შესაძლებელია შერჩეული იქნეს ამ სახის ერთი სასჯელი და მისი მაქსიმუმი .[28]

---

[28] Уголовное законодательство зарувежных стран , зерцало, 1999, 187.

§ 4. სასჯელთა შეჯამება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს შთანთქმისა და შეკრების პრინციპს იცნობს. ჩვენ უკვე განვიხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი, რომელიც სასჯელთა როგორც მთლიან, ასევე ნაწილობრივი შეკრების წესს ადგენს.

როგორც მთლიანი, ისე ნაწილობრივი შეკრების გამოყენებისას ხშირად წარმოიშობა საკითხი სხვადასხვა სახის სასჯელთა შეჯამების შესახებ. ასეთ სასჯელთა შეკრების შესახებ წესებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი- „სასჯელთა შეჯამება“ ადგენს. (საქართველოს სსკ-ის 61-ე მუხლი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულია სასჯელთა შეჯამების წესი. დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სხვადასხვა სახის სასჯელის დანიშვნისას დგება სასჯელთა შეჯამების პრობლემა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება:

ა) შინაპატიმრობის ორი დღე; ბ) გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე; გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი. როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული სასჯელები თავისუფლების აღკვეთასთან უნდა მოვიყვანოთ შესაბამისობაში და არა პირიქით. თავისუფლების აღკვეთას უნდა შეეუსაბამოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

მაგალითად, ქურდობისთვის პირს სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, ხოლო ცემისთვის – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ასორმოცდაათი საათის ოდენობით. დანაშაულთა ერთობლიობის დროს, სასჯელთა მთლიანი შეკრების პრინციპის გამოყენებისას, მსჯავრდებულს უნდა შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის და 30 დღის ვადით, ვინაიდან თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი,

ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ასორმოცდაათი საათი უდრის თავისუფლების აღკვეთის 30 დღეს.

რაც შეეხება ჯარიმას ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, მათი შინაპატიმრობასთან ან თავისუფლების აღკვეთასთან მიმატების შემთხვევაში ისინი გამოიყენება დამოუკიდებლად (სსკის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, პირს, სასამართლომ ყაჩაღობისათვის სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ცივი იარაღის ტარებისათვის – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული სასჯელების შეჯამება ვერ მოხდება და ჯარიმის (1000 ლარი) თავისუფლების აღკვეთასთან (6 წელი) მიმატებისას, ჯარიმა გამოიყენება დამოუკიდებლად.

სასჯელთა შეკრებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანობის პრინციპი, ასევე კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. მნიშვნელოვანია სასჯელის პროპორციულობაც, რამდენადაც საკითხი ეხება რამდენიმე ქმედებას, რომლის პროპორციულიც უნდა იყოს შეკრებილი სასჯელი. „სასჯელის შეუსაბამობა ჩადენილ ქმედებასთან იწვევს უსამართლობას.“ [29] მოცემულ სახელმძღვანელოში ავტორი ასევე ხაზს უსვავს დანაშაულსა და სასჯელს შორის ფილოსოფიურ კავშირს. ნაშრომი სასჯელს წარმოაჩენს მორალური პერსპექტივიდან. მორალისტებისთვის ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პროპორციულობა.

სასჯელის ვადის გამოანგარიშებისა და სასჯელის ჩათვლის წესი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის, გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, შინაპატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის ვადა გამოიანგარიშება თვეებითა და წლებით, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვადა – საათებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახ-

[29] Human Gross , Crime and Punishment: A Concise Moral Critique, Oxford university Press 2012, პ 48.

მად, სასჯელთა შეცვლისა და შეჯამების დროს, აგრეთვე სასჯელის ჩათვლისას შეიძლება სასჯელის ვადის გამოანგარიშება დღეებით.

სასჯელთა შეცვლა და შეჯამება ხდება დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს. მაგალითად, თუ პირს განზრახ მკვლელობისათვის (108-ე მუხლი) დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, ხოლო განსაცდელში მიტოვებისთვის (128-ე მუხლი) – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ას ორმოცდაათი საათი, საბოლოოდ სასჯელთა შეჯამებისას, სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 30 დღის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე, შინაპატიმრობის ორი დღე, გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი.

მაგალითად, სასამართლომ დამნაშავეს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით, განაჩენის გამოტანამდე იგი პატიმრობაში იმყოფებოდა 7 თვის განმავლობაში.

გიორგი პატარიძის მიერ პატიმრობაში გატარებული დრო (7 თვე) შეესაბამება თავისუფლების აღკვეთის 7 თვეს, რაც უნდა ჩაითვალოს სასჯელის ვადაში.

ავიღოთ მეორე შემთხვევა. სასამართლომ პირს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 (ორასი) საათით. განაჩენის გამოტანამდე ეს პირი პატიმრობაში იმყოფებოდა 30 დღის განმავლობაში.

დამნაშავის მიერ პატიმრობაში გატარებული დრო (30 დღე) შეესაბამება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 150 საათს, რაც უნდა ჩაითვალოს სასჯელის ვადაში. საბოლოოდ ამირან გიორგაძეს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 50 (ორმოცდაათი) საათით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე პატიმრობაში ყოფნის დრო, აგრეთვე განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდილი დრო ამ კოდექსის მე-6 მუხლის საფუძველზე განაჩენის აღსრულების მიზნით პირის გადაცემის შემთხვევაში ერთი დღე ჩაითვლება ერთ დღედ.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ პირს, რომელიც სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში იყო, ძირითად სასჯელად დაენიშნა ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმსუბუქებს დანიშნულ სასჯელს ან მთლიანად გაათავისუფლებს მისი მოხდისაგან.

მაგალითად, ვინმე ავთანდილ ბარაბაძეს სასამართლომ ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. განაჩენის გამოტანამდე ავთანდილ ბარაბაძე პატიმრობაში იმყოფებოდა 6 თვის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით შეუმსუბუქოს ან მთლიანად გაათავისუფლოს მისი მოხდისაგან. თუ რა შემთხვევაში უნდა შეამსუბუქოს დანიშნული სასჯელი და რა შემთხვევაში უნდა გაათავისუფლოს მსჯავრდებული სასჯელის მოხდისგან, აღნიშნული სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რაც დამოკიდებულია მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნის დროზე.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივნისის №295-აპ-10 განჩინება.

კერძოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენით ვალერი ცომაია (ინიციალები შეცვლილია) ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის

სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი ვალერი ცომაიას მიმართ დარჩა უცვლელი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, კერძოდ, იგი ხასიათდებოდა დადებითად და მიიჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების თანახმად, მსჯავრდებულ ვალერი ცომაიას მიმართ ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი იყო მეტისმეტად მკაცრი.

შესაბამისად, ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ამ ქმედების შედეგების, აგრეთვე, მისი პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ვალერი ცომაიას ძირითადი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ პირი 2009 წლის 15 მაისიდან იმყოფებოდა პატიმრობაში, საკასაციო პალატამ შესაძლებლად მიიჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე იგი მთლიანად გათავისუფლებულიყო დაკისრებული ჯარიმის მოხდისაგან, რის შედეგადაც ვალერი ცომაია ჩაითვალა სასჯელმოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებით, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის №294 აპ-14 განაჩენი, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულ სანდრო მგელაძეს (პირის ინიციალები შეცვლილია) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა) სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2013 წლის 19 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრამდე სანდრო მგელაძე იმყოფებოდა პატიმრობაში), შეუმსუბუქდა და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით..

განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში, შთანთქმის პრინციპის

გამოყენებისას, უფრო მძიმე სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მძიმეს და შესაბამისად შეჯამების ეს ფორმა განსაკუთრებულ სამართლებრივ პრობლემებს და სიძნელეებს არ ავლენს. სასჯელთა მთლიანი და ნაწილობრივი შეჯამების დროს წამოჭრილ საკითხებს კი სისხლის სამართლის კანონი შედარებით უფრო დეტალურად არეგულირებს.

ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შინაპატიმრობისთვის ან თავისუფლების აღკვეთისთვის მიმატების შემთხვევაში გამოიყენება დამოუკიდებლად.

რაც შეეხება დამატებით სასჯელებს, ისინიც დამოუკიდებლად გამოიყენება. ასე მაგალითად, თუკი წინა განაჩენით მსჯავრდებულს დამატებითი სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ჰქონდა დანიშნული, ხოლო ბოლო განაჩენით დამატებით სასჯელად- საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ეს სასჯელები დაემატება საბოლოოდ დანიშნულ ძირითად სასჯელს და მასთან ერთად იქნება დანიშნული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან შინაპატიმრობის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, შინაპატიმრობის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან შინაპატიმრობისთვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით.

მიუხედავად ამ ორი სისხლისსამართლებრივი მოვლენის მოჩვენებითი მსგავსებისა, ისინი სრულიად სხვადასხვა საფუძველზე

წარმოშობილი დანაწესებია.

პირველ შემთხვევაში საუბარია სასჯელთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა შეჯამებაზე განაჩენის დანიშვნის სტადიაზე, მეორე შემთხვევაში კი უკვე დამდგარი განაჩენის აღსრულების დროს წარმოშობილ პრობლემაზე.

სასჯელთა შეჯამების ინსტიტუტთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლი, რომელიც სასჯელთა ვადის გამოანგარიშებას და სასჯელთა ჩათვლას არეგულირებს.

მართალია მისი გამოყენება, განაჩენის დადგენისას ხდება, თუმცა დანიშნულებიდან გამომდინარე თვალნათლივ ჩანს ამ დანაწესის არსი და მნიშვნელობა. ის ბრალდებულის სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის საკითხით შემოიფარგლება.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელთა და განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა შეჯამება კანონითაა რეგულირებული და მკვეთრად გამოხატული სამართლებრივი ნორმით წესრიგდება, სასამართლო პრაქტიკაში მისი გამოყენება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამებისას შინაპატიმრობისთვის ან თავისუფლების აღკვეთისთვის მიმატების შემთხვევაში ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა გამოიყენება დამოუკიდებლად. ყველა სხვა შემთხვევაში შეჯამებისას დანიშნული სასჯელები უნდა მიემატოს თავისუფლების აღკვეთას განსაზღვრული წესით.

მიუხედავად ამისა, საერთო სასამართლოების განაჩენებში ვხვდებით ფაქტებს იმის შესახებ, რომ მაგალითად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამოუკიდებელადაა დანიშნული სასჯელთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 აპრილის განაჩენით კონსტანტინე მეტრეველი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადებისათვის სა-

სარგებლო შრომა 120 საათის ოდენობით.[30] საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა წინა განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი- თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, საბოლოოდ კი განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათის ოდენობით და თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის განაჩენით რომან ილურიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. რაც ჩაეთვალა პირობით 04 წლის გამოსაცდელი ვადით. [31]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის განაჩენით მას სსკ-ის 273-ე მუხლით დაენიშნა საზოგადებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით და საზოგადეობისათვის სასარგებლო შრომა 150 საათის ოდენობით.

როგორც ამ ორი მაგალითიდან კარგად ჩანს სასჯელთა შეჯამებისას სრულიად უგულველყოფილია საქართველოს სსკ-ის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის დანაწესები. სასამართლოს მხრიდან განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა შეჯამება მოხდა ისე, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა თავისუფლების აღკვეთასთან მიმატებისას დამოუკიდებელ სასჯელად დაინიშნა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორივე განაჩენით საპროცესო შეთანხმებაა დამტკიცებული. შესაბამისად ისმის კითხვა იმასთან

[30] სისხლის სამართლის საქმე № 1\ 77-17

[31] სისხლის სამართლის საქმე №1\02-17

დაკავშირებით, რომ ხომ არ გულისმობს სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასჯელთა შეკრების წესის ან სასჯელთა შეჯამების რეგულაციის განსხვავებულ გაგებას.

საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის მიხედვით, სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ ორი საგამონაკლისო შემთხვევა, როცა შესაძლებელია კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნა, მაშინ როცა დადებულია საპროცესო შეთანხმება. შესაბამისად განხილულიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: განხილულ განაჩენებში სასჯელის განსაზღვრისას ნამდვილად დაირღვა საქართველოს სსკ-ის 61-ე მუხლის მოთხოვნები.

სამართლიანობისათვის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს კიდევ ერთ საკითხზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთა ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდა.[32]

ზემოთმოყვანილ განაჩენებში საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის შესაბამისად საზოგადობისათვის სასარგებლო შრომაა დანიშნული. როგორც პრაქტიკიდან დასტურდება, საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება გარკვეულ წილად შემაფერხებელი ფაქტორი გახდა სასჯელთა შეჯამების განხორციელებისას. იურისტთა ნაწილის მოსაზრებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273- მუხლით სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის აკრძალვა გულისმობს იმას, რომ შეუძლებელია ამ მუხლით დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესაბამისობაში მოყვანა, ისე რომ შესაძლებელი გახდეს მისი თავისუფლების აღკვეთასთან შეჯამება.

ეს მოსაზრება აბსოლუტურად მცდარი და საფუძველსმოკლებულია იმდენად, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს

[32] საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, კონსტიტუციური სარჩელი №592- მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გადაწყვეტილება თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას მხ-ოლოდ და მხოლოდ სასჯელის სახით კრძალავს და არ შეიძლება გადაწყვეტილების ასეთი განმარტება საქართველოს სსკ-ის 61-ე მიზნებისათვის. ეს რომ ასეა ადვილად მტკიცდება იმითაც, რომ არ-სებობს სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მუხლები, რომელებიც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას სრულია-დაც არ გულისხმობს. შესაბამისად, თუკი ასეთი დანაშაულისათვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა იქნება დანიშნული და საქმე გვექნება სასჯელთა ან განაჩენთა ერთობლიობასთან, მაშინ სასჯელთა შეჯამებისას საქართველოს სსკ-ის 61-ე მუხლის გამოყ-ენება შეუძლებელი იქნებოდა.

სასჯელთას შეჯამების გამოყენებისას მნიშვნელოვანია კიდევ ერთ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

როგორც აღინიშნა საქართველოს სსკ-ის 61-ე მუხლის ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმე-ვა თავისუფლების შეზღუდვასთან ან თავისუფლების აღკვეთასთან მიმატების შემთხვევაში გამოიყენება დამოუკიდებლად.

ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შინაპატიმრობისთვის ან თავისუფლების აღკვეთისთვის მიმატების შემთხვევაში დამოუკიდებლად გამოიყენება.

ჯარიმა თავისი შინაარსით სპეციფიკური სასჯელია და მისი გამოყენება და რაც მთავარია აღსრულება, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული პირის ქონებრივ მდომარეობასთანაა დაკავშირებული. ჯარიმა, როგორც ძირითად ისე დამატებით სასჯელად ინიშნება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდ-გომარეობიდან გამომდინარე ნებაყოფილობით არც თუ ისე ხშირად აღსრულდება და უმეტესად საქმეში სააღსრულებო ბიუროს წარ-მოადგენელთა აქტიური უფლებამოსილებითი ჩარევა ხდება საჭირო.

„გაეროს მინიმალური წესები (ტოკიოს წესები)[33] ალტერნატი-ულ სასჯელთა ჩამონათვალში ეკონომიკურ სანქციებს და ფულად სასჯელებს უთმობს ადგილს.

ჯარიმა სასჯელის ეფექტური სახეა. მისი გამოყენება სასჯელის

[33] Минимальные стандартные правила Организации Объединенных Наций в отношении мер, не связанных с тюремным заключением [Токийские правила]

მიზანს- სამართლიანობის აღდგენას ემსახურება და სასჯელის გარდაუვალობის პრინციპის გათვალისწინებით, ზემოქმედების მიზანშეწონილ ზომას წარმოადგენს.

სასჯელთა შეჯამებისას ჯარიმის დამოუკიდებლად გამოყენებას გარკვეულწილად ნეგატიური ფონიც სდევს თან. ეს ნეგატივიზმი ნასამართლობის ხანდაზმულობის სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტს უკავშირდება. საკითხის უფრო ფართოთ ახსნისათვის აუცილებელია განხილულ იქნას სასამართლო პრაქტიკაც.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განაჩენით მიხეილ ჯობაძეს სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 07 მარტის განაჩენით იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახით განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად მოცემული განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი კერძოდ, ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით მას განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათის ოდენობით და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით.[34]

მოცემული მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ 2009 წლის განაჩენისათვის გადაუხდელი ჯარიმის გამო 2016 წელს პირი კვლავ ნასამართლევია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუკი მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმაა დანიშნული, ასეთი პირის ნასამართლობა სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად გაქარწყლდება ჯარიმის თანხის გადახდიდან ერთი წლის შემდეგ, მაგრამ თუკი ჯარიმა გადახდილი არ იქნა(საუბარია ფიზიკურად გადახდაზე და არა აღსულებაზე, ამაზე ქვევით გვექნება მსჯელობა), მაშინ თუნდაც ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლო

[34] სისხლის სამართლის საქმე №1\309-17

მოკლებულია შესაძლებლობას მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს პირობითი მსჯავრი.(სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა ევალება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს და განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლო განაჩენთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც მისი აღსრულება ევალება. თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ გარემოების გამო ვერ ხდება განაჩენის აღსრულება. სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების პირობებს გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

კერძოდ, მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვს წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს. ამავე მუხლისმე-2 ნაწილის თანახმად კი, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის მიხედვით აღსრულება შეწყდება თუ გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტის მიხედვით იძულებით აღსრულებას ექვემდებარება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი ფიზიკური

პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად 2007 წელს პირისთვის სასამართლოს მიერ დანიშნული ჯარიმის აღსრულების დაუსრულებლობის გამო- 2017 წელს ჩადენილი დანაშაულისათვის განაჩენის დადგენისას პირობითი მსჯავრის დანიშვნა შეუძლებელია.(თუნდაც ნაკლებადმძიმე კატეგორიის დანაშულისათვის- იხ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის განაჩენი№ 1/250, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის განაჩენი№ 1/ბ-268-17)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

ზემოთდასახელებული განაჩენებიდან ნათლად ჩანს პრობლემის არსი. მძიმე მატრიალური სიდუხჭირის გამო ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში პირს ნასამართლობა 10 წლის განმავლობაში არ გაუქარწყლდა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პირველ და ბოლო განაჩენებს შორის სხვა განაჩენების არსებობის შემთხვევაშიც, (რომლებითაც თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს გამოყენებული), პირველი განაჩენით დანიშნული ჯარიმა მთლიანი და ნაწილობრივი შეკრების წესით მაინც უნდა იქნეს დანიშნული. ამასთან, თუკი პირველი განაჩენით განსაზღვრული დანაშაული მძიმე კატეგორიას განეკუთვნება, შეუძლებელია ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირისათვის პირობითი მსჯავრის დანიშვნა.

დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს რომ ჯარიმის გარკვეული ოდენობა შეესაბამობოდეს, ასეთ შემთხ-

ვევაში დანაშაულის ჩამდენ პირს მეტი შანსი ექნებოდა სხვა დანაშაულის სახით დანიშნულ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად მოეხადა ჯარიმაც.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ამ დანაწესების მიხედვით შესაძლებელია სასჯელთა შეჯამებისას ყველა ეს გარემოება იქნეს გათვალისწინებული.

საკითხის განხილვისას აუცილებელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის ისტორიაში სასჯელთა შეჯამების რა წესები არსებობდა.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელთა შეკრების წესთან დაკავშირებით სხვადასხვა სოციალისტურ ქვეყნებში მოქმედი სისხლის სამართლის ნორმებს იმეორებდა და სხვა რაიმე განსაკუთრებულ წესს არ აწესებდა. თუმცა ისეთი სახის სასჯელებს რომლებიც მაშინ მოქმედებდა დღეს ვერ ვხვდებით.

ასე მაგალითად: თავისუფლების აღკვეთისა და გადასახლება ან გასახლების შეკრებისას – თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამებოდა- გადასახლებისა და გასახლების 3 დღე. თავისუფლების აღკვეთისა და სადისციპლინო ბატალიონში მოთავსების შეკრებისასთავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამებოდა სადისციპლინო ბატალიონში მოთავსების ერთი დღე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად „მთავარ“ სასჯელად გადასახლებაც ითვლებოდა. ამიტომ იმდროინდელი სისხლის სამართლის კანონი გადასახლებასთან – გასახლების და გამასწორებელი სამუშაობის შეკრებასაც ითვალისწინებდა.

საგულისხმოა ისიც, რომ თავისუფლების აღკვეთასთან თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმინობის უფლების ჩამორთმევა და ჯარიმა გამოიყენებოდა დამოუკიდებლად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეჯამების

დროს საუბარია კიდევ ერთი სახის სასჯელზე – საზოგადოებრივ გაკიცხვაზე, რომელიც არცერთ სასჯელთან არ იკრიბებოდა და დამოუკიდებლად არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დანაშაული დამნაშავის მხოლოდ მორალურ სფეროს ეხებოდა მაინც ნასამართლობას იწვევდა. (საქართველოს სსრ სსკ 32-ე მუხლი)

ცოტა მოგვინებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლი გვთავაზობდა სასჯელის შემდეგი სახის შეჯამების წესს, რომელიც გამოიყენებოდა როგორც დანაშაულთა ერთობლიობისას, ისე განაჩენთა ერთობლიობის დროს-სასჯელთა მთლიანად ან ნაწილობრივ შეჯამების შემთხვევაში.

ამგვარი შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამებოდა:

ა) ტუსაღობის ერთი დღე;

ბ) თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე;

გ) გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე;

დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი.

კიდევ უფრო შორეულ წარსულში, ქართული სამართლის ძეგლებშიც მრავლადაა სასჯელთა ერთობლიობისას შეჯამებული სასჯელების მაგალითები:

თუკი პირს ამბოხი და „განდგომილობა" ედებოდა ბრალად საპყრობილეში ამწყვდევდნენ და შემდეგ ექსორიით ანუ გაძევებით სჯიდნენ. დავით აღმაშენებელმა ლიპარიტ ბაღვაში 2 წელი საპყრობილეში ჩააგდო, შემდეგ კი საბერძნეთში გააძევა.[35]

საქართველოს ისტორიული წარსულის „ოქროს ხანაში", მონღოლების შემოსევამდე სხვადასხვა სახის სასჯელებს იცნობდნენ: 1. სიკვდილით დასჯა; 2. სხეულის დამასახიჩრებელი სასჯელები; 3. ექსორია და გაძევება; 4. თავისუფლების აღკვეთა;

5. მტკივნეული სახდელები; 6. ქონების კონფისკაცია; („მამულის დაჭირვა");

7. მოქალაქეობრივი უფლებების დროებით და სამუდამოდ ჩამორთმევა;

---

[35] ი.ჯავახიშვილი. „თხზულებანი" 1984 წ. ტომი 7. გვ. 216.

8. ქონებრივი საზღაური სახელმწიფოს, ფეოდალის ან სასამართლოს სასარგებლოდ; 9. დაკრულვა და სხვა საეკლესიო სასჯელები; საქართველოში ასევე იცნობდნენ გამაწბილებელ სასჯელებსაც. როგორებიც იყო: ვირზე შესმა, თავზე ლაფის დასხმა, გაპარსვა, ყელზე თოკმობმული დამნაშავის ქუჩა-ქუჩა ტარება, „თავზე ნაცრის დაყრა" და სხვა. სასჯელთა ეს სახეები დანაშაულთა ერთობლიობისას ინიშნებოდა. შესაბამისად მათი შეჯამებაც ხდებოდა.[36]

შუასაუკუნოვან ქართულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ორიგინალური მოსაზრებანი სასჯელის სისტემაზე, ევროპული განმანათლებლობის გავლენით, გამოთქმულია დავით ბაგრატიონის (ატონიშვილის) ორივე, სამართლებრივი შინაარსის ნაშრომში.[37]

დავითის „სამართალსა:" და „მიმოხილვაში"...სასჯელის სახეებში უფრო დიდი ადგილი ეკავა ჯარიმას, განსაკუთრებით სასჯელის გადიდების დროს, როცა საქმეეხებოდა დანაშაულის რეციდივთან.

დავით ბატონიშვილი ცდილობდა მკაცრი სასჯელით ებრძოლა არამხოლოდ ძველი, ტრადიციული დანაშაულის წინააღმდეგ, არამედ ასეთი სასჯელი გაევრცელებინა სხვა დანაშაულებზეც.[38] იმპერიოდში ძველი ლათინების მსგავსად მნიშვნელოვანი გახლდათ სასჯელის გარდუვალობის პრინციპი.

მკაცრი სასჯელი სრულიადაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანებმა უარი თქვან დანაშაულის ჩადენაზე. უფრო ეფექტურია იმის შეგრძნება, რომ ჩადენილი დანაშული არასდროს დარჩება დაუსჯელი.

ამის შესატყვისად რომაელებმა შეიმუშავეს პრინციპი: დანაშაული რომ უნდა დაისაჯოს-საზოგადოების ინტერესშია, რათა არავის გაუჩნდეს დანაშულის ჩადენის სურვილი. ამგვარმა აკრძალვამ შემგდგომში სხვადასხვა კანონებში პოვა ასახვა.

[36] ი.ჯავახიშვილი. „თხზულებანი" 1984 წ. ტომი 7

[37] დავით ფურცელაძე, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ, 1964;დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა დ აკანონთმცოდნეობის მიმოხილვა; აპოლონ როგავას გამოცემა.თბ საქართველოს მეცნიერებტა აკადემიის გამოცემა,1959.

[38] სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები,წიგნი1, გამომც. „მერიდიანი",თბ 2010, 254

§ 5. სასჯელთა შეჯამება და მისი გამოყენების თავისებურებანი საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თნახმად, სასჯელთა შეჯამებისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც სასჯელთა მთლიანი, ასევე ნაწილობრივი შეკრების პრინციპი.

დღესმოქმედი სისხლის სამართლის კანონი, სასამართლოს დისკრეციას ანიჭებს, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას თავად იმსჯელოს სასჯელის შკრებისა და ნაწილობრივი შეკრების თაობაზე. ამ დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ა.შ.

სასამართლო პრაქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელთა და განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში (სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე და მეხუთე ნაწილებით) სასჯელის დანიშვნისას მოსამართლეები უპირატესობას სასჯელთა შთანთქმის პრინციპს ანიჭებენ, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა სრულ შესაძლებლობას იძლევა როგორც ნაწილობრივი, ასევე მთლიანი შეკრების წესის გამოყენებისათვის.

სასჯელთა უპირობო შთანთქმის პრინციპი ისევე ნაკლოვანია, როგორც სასჯელთა უპირობო შეკრების პრინციპი. ორივე შემთხვევაში საბოლოო სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

კერძოდ, დამნაშავის პიროვნებიდან და ჩადენილ ქმედებათა საშიშროებიდან გამომდინარე. სასჯელთა უპირობო შთანთქმის პრინციპმა შეიძლება უბიძგოს დამნაშავეს, ერთ დანაშაულთან ერთად ჩაიდინოს ორი, სამი ან მეტი დანაშაული, რადგან ეცოდინება, რომ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დაისჯება.

2007 წლის 18 იანვრიდან დანაშაულთა ერთობლიობის დროს გაუქმებულ იქნა ნაწილობრივ შეკრებისა და შთანთქმის პრინციპი და სასჯელთა სრულად შეკრების წესის გამოყენება დაიწყო.

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის კანტის მოსაზრებით: „მორალური იმპერატივი მოითხოვს, რომ ბოროტება ბოროტებით გადაუხადონ. იგი სასჯელის ზომასა და მოცულობას განსაზღვრავს ჩადენილ დანაშაულთან თანასწორობის პრინციპით: ვინმეს გაძარცვისას, ან მოკვლისას, შენ ძარცვავ ან კლავ საკუთარ თავს. დანაშაულის ჩადენა არის ადამიანის ქმედება საკუთარი არსის წინააღმდეგ. საკუთარი არსების წინააღმდეგ ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი ქმედების სახით გამოიხატება, რაც წარმოადგენს პიროვნების საკუთარ თავთან დაპირისპირების ტრაგიზმს. დამნაშავე ვერ დაიჩივლებს მისდამი უსამართლო მოპყრობაზე, როდესაც მან საკუთარი ხელით ჩაიდინა დანაშაული"[39]

ეს მოსაზრება თითქოსდა უპირისპირდება საყოველთაოდ დამკვიდრებულ სასჯელთა ლიბერალიზაციის პრინციპებს, თუმცა ქმედებისათვის რომ ადეკვატური საზღაური იყოს გამოყენებული -ამას სამართლიანობა მოითხოვს.

თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას შემდეგი სურათი იკვეთება: მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ შთანთქმის პრინციპის გამოყენებას. გამოკვლეული 50 საქმიდან მხოლოდ ექვს შემთხვევაში მოხდა შეკრებისა და ნაწილობრივ შეკრების წესის გამოყენება. გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: სასჯელთა და განაჩენთა ერთობლიობისას უმეტეს წილად ხდება თავისუფლების აღკვეთის მიერ ყველა სასჯელის მიმართ შთანთქმის გამოყენება. ხოლო ჯარიმა ემატება მთლიანად ან ნაწილობრივ.

მაგალითად: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 დეკემბრის განაჩენით (1/ბ-598-2016) გიორგი გოცირიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით და 381-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების თანახმად ჩაეთვალა პირობით 02 წლის გამოსაცდელი ვადით.[40]

---

[39] Лейст О. История политических и правовых учений, глава 15. Политические и правовые учения классиков немецкой философии.

[40] სისხლის სამართლის საქმე 1/ბ-598-2016.

საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გიორგის დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობისას დანიშნული სასჯელები ნაწილობრივ შეიკრიბა და საბოლოოდ გიორგი გოცირიძეს განესაზღრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით ძირითად სასჯელად დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით და განჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაითვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის განაჩენით (№1/ბ-92-15), სასამართლომ მსჯავრდებულს განუსაზღვრა 125-ე მუხლის პირველი ნაწილით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 140 საათის ოდენობით, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად მოსამართლემ გამოიყენა შთანთქმის პრინციპი, კერძოდ, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დამნაშავეს საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა თავსუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვის ვადით.[41]

შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირია სასჯელის სახით ჯარიმის დამოუკიდებლად გამოყენების პრაქტიკა როგორც სასჯელთა ერთობლიობისას, ასევე განაჩენთა ერთობლიობისას. (სსკ-ის 61-ე მუხლის მეორე ნაწილი).

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა -არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოდან- პრობაციის ბიუროდან შესული პირადი საქმის მასალებზე გამოტანილ

[41] სისხლის სამართლის საქმე 1/ბ-92-15.

გადაწყვეტილებების ირგვლივ, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს კანონის გავრცელების თაობაზე.

მაგალითად, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის განაჩენით გიორგი მაისურაძე ცნობილი იქნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვლა პირობით მსჯავრად. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 06 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178 მუხლის 1-ლი ნაწილით, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 2381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის დანიშნული პირობითი სასჯელი თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვლა პირობით 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს კანონის თანახმად, კოდექსს დაემატა 2731 მუხლი, რომლიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის.

აღნიშნული ცვლილების თანახმად, მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულ-

სახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 2731-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ასიდან ას სამოც საათამდე.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ'' 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს კანონი ამსუბუქებს მსჯავრდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ქმედება შესაბამისობაში მოვიდა ახალ კანონთან და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 2731-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელის სახით დაენიშნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 160 საათის ოდენობით, რაც პირს ჩაეთვლება პირობით 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენში გამოყენებული მთლიანი შეკრების წესიდან გამომდინარე საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილისა და სსკ-ის 61-ე მუხლით დამნაშავეს განესაზღვრა 2 წელი 1 თვე და 01 დღე თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად ჩაეთვალა პირობით 03 წლის გამოსაცდელი ვადით. (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინება №1/23-17. იხ. დანართი)

კონკრეტული მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მიემატა თავისუფლების აღკვეთას ისეთი გამოანგარიშებით, რომელსაც საქართველოს სსკ-ის 61-ე მუხლი აწესებს.

საინტერესოა კიდევ ერთი მაგალითის განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის განაჩენით მალხაზ ლომიძეს დაენიშნა სასჯელი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის შესაბამისად. კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად ჩაეთვალა პირობით1 წლის გამოსაცდელი ვადით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 დეკემბერის განაჩენით მალხაზს საქართველოს სისხლის სამართლის 273-ე მუხ-

ლით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვის ვადით, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად 6 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი ჩაეთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლი 8 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუქმდა მის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად 1 წელი დაენიშნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი ჩაეთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ'' 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს კანონი ამსუბუქებს მსჯავრდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი ქმედება შესაბამისობაში მოვიდა ახალ კანონთან და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლი (მარიხუანას მოხმარებისათვის) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 2731-ე მუხლის პირველ ნაწილზე. სასჯელის სახედ და ზომად თითოეული მათგანისათვის განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 160 საათის ოდენობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ"ქვეპუნქტის თანახმად, 2015 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით მას დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა მოხდილად. (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 12 სექტემ-

ბრის განჩინება 1/26-2017წ. იხ. დანართი)

სასჯელითან დაკავშირებული ნებისმიერი ინსტიტუტის განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს, სასჯელის ორი ძირითადი თეორია: აბსოლუტური და რელატიური. აბსოლუტური თეორია დაკავშირებულია წარსულთან, ხოლო რელატიური მომავალზეა ორიენტირებული, რომ მომავალში არ იქნეს ჩადენილი ახალი დანაშაული.

ყველა კონკრეტულ შემთვევაში აუცილებელია აღნიშნული თეორიების ურთიერთშერწმა და სინთეზი. მთავარია რომ დამნაშავე არ იყოს ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში, არამედ უნდა დაისაჯოს თავისი ქმედებისათვის, ბრალის ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით. ამ საქმეში კი სასამართლოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თუ არ მოხდება კანონით განსაზღვრული დანაწესების შესრულება და მოსამართლე უბრალოდ გაიადვილებს თავის საქმიანობას სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლი მკვდარშობილად მოგვევლინება და მისი გამოყენების პრაქტიკა არ იარსებებს. ეს შეიძლება ითქვას საქართველოს სსკ-ის 61-ე მუხლზე, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილზე.

თუკი სასამართლო პრაქტიკაში არ მოხდება სასჯელთა ნაწილობრივი ან მთლიანი შეკრების პრინცპის გამოყენება, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მესამე და მეხუთე ნაწილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის არსებობა აზრს დაკარგავს.

„მაშასადამე, ხელისუფალთა იმ სიფხიზლესა და შეუვალი მოსამართლის იმ სიმკაცრეში, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება საჭიროებლო სათნოება , როდესაც იგი თვინიერ კანონს იყენებს, დარწმუნებულობა თუნდაც ზომიერი სასჯელის გარდაუვალობაში ყოველთვის უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე შიში სხვა უფრო სასტიკი სასჯელის მიმართ, ოღონდ დაუსჯელობის იმედის თანხლებით."[42]

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან.

[42] ჩ. ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელისათვის, ი.ხუცურაულის თარგმანი, გამომც,"საქართველოს მაცნე",თბ 2003,

ქუთაისის სააპელაციო პალატამ განიხილა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი კახაბერ რუსიძის მიმართ.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ კახაბერ რუსაძეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 05 (ხუთი) წლის ვადით;[43]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისი 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ ბ" ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 05 (ხუთი) წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით -თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლემ გამოიყენა შთანთქმის პრინციპი- ერთმა უფრო მკაცრმა სახის სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და თანაბარი ზომის სასჯელები და საბოლოოოდ დამნაშავეს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 05(ხუთი) წლის ვადით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ და სასჯელის ნაწილში ცვლილება მოითხოვა.

კერძოდ, მისი მოთხოვნის თანახმად, მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სასჯელის მინიმუმი ზღვარი, საიდანაც დანიშნული სასჯელის ნაწილი მან უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო ნაწილი ჩაეთვალოს პირობითად, იმ საფუძვლით, რომ მას გამოძიებისთვის ხელი არასდროს შეუშლია, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი; საქმეზე წარმოდგენილია ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, ასევე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა სასჯელის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კახაბერ რუსიძის მიმართ სასჯელის დანიშვნისას სრუ-

[43] სისხლის სამართლის საქმე 1/ბ-129-2015

ლყოფილად შეაფასა მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამასუბუქებელი გარემოებები – მისი წარსულში ნასამართლობა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამრთლოს მიერ დაცული იქნა დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესი, რაც გათვალისწინებული სსკ-ის 58-ე მუხლით, რომლის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსისი შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

აღნიშნული წესის შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენით კახაბერ რუსაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქციის ფარგლებში სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით დაწესებული სასჯელის მინიმალურ ვადაზე-04 წელზე ერთი წლით მეტი სასჯელი- თავისუფლების აღკვეთა 05 წლის ვადით, რომლის კიდევ უფრო შემსუბუქების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კახაბერ რუსაძე წინათ ნასამართლევი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისი 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულებისთვის და მან ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე კვლავ ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაულები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ქუთაისის სააპელაციო პალატამ მიზანშეუწონლად მიიჩნია კახაბერ რუსაძესათვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დანაშაულის რეციდივს. სააპელაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე და ის გარემოება, სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის შემთხვევაში უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში საბოლოო სასჯელის დანიშვნისას მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს როგორც შთანთქმის პრინციპი (უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს), ან და ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელების ნაწილობრივს ან მთლიანად შეკრების პრინციპი.

ზემოთმოყვანილ შემთხვევაში სახეზე გვქონდა დანაშაულის რეციდივი.

მოცემული სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში გამოყენებული იქნა სასჯელთა შთანთქმის პრინციპი, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაძლებელი იყო ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრების წესის გამოყენებაც. სააპელაციო სასამართლოში ამ კუთხით მოთხოვნა არ ყოფილა.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან.

მოცემულ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობისას უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასაჯელი.[44]

ნიკა გორდეზიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია.)- სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 05 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მასვე დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 2381-ე მუხლის მეორე ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისი 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშულთა ერთობლიობით ნიკა გორდეზიანს სასჯელის სახედ დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 05 (ხუთი) წლის ვადით.

სისხლის სამართლის საქმე 1/ბ-574 -2015 თანახმად, ლაშა გურგენიძეს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზ-

[44] სისხლის სამართლის საქმე 1/ბ-510 -2015.

რახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, ასევე პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადიბით, ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: [45]

ქუთაისში, ლაშა გურგენიძემ, ქუჩაში შეურაცხყოფა მიაყენა კახა ლომსაძეს. კერძოდ, ცემა ხელებითა და თავი ჩაარტყა სახის არეში, რის შედეგადაც კახამ ცხვირის ძვლების მოტეხილობის სახით მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით;

ლაშა გურგენიძე ცნობილ იქნა დამნაშვედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილითა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლისა და 06 (ექვსი) წლის ვადით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისი 120-ე მუხლითგანესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ დანაშულთა ერთობლიობით ლაშ გურგენიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლისა და 06 (ექვსი) თვის ვადით;

სასჯელთა დანიშვნა განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობის დროს მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით.

დანაშაულთა ერთობლიობის დროს თავისებურება იმაშიც გამოიხატება, რომ ერთი და იმავე პიროვნების მიერ ჩადენილია სხვადასხვა კატეგორიის დანაშაული. თუკი სახეზე არ გვაქვს დანაშაულის რეციდივის შემთხვევა უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს.

სხვა გარემოებას აქვს ადგილი, თუკი სახეზე არის დანაშაულის რეციდივი.

ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს (დანაშაულთა ერთობლიობის

[45] სისხლის სამართლის საქმე 1/ბ-574-2015.

დროს) შეუძლია გამოიყენოს როგორც შთანთქმის პრინციპი, ასევე სასჯელთა ნაწილობრივი ან მთლიანი შეკრების პრინციპი.

რითი ხელმძღვანელობს მოსამართლე, როდესაც ამ სამი შესაძლებლობიდან ერთ-ერთს ირჩევს?

უპირველეს ყოვლისა სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპებითა და სასჯელის მიზნებით.

„სამართლიანობის პრინციპი სასჯელის დანიშვნისას იმაში ვლინდება, რომ პირველ რიგში სასჯელის სახე მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშულის სიმძიმეს, დამნაშავის პიროვნებას, კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში არსებულ ყველა ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებას; მეორე ნიშანი სამართლიანობის პრინციპისა გახლავთ ის, რომ მკაცრი სასჯელი გამოყენებული უნდა იქნეს იმ პირის მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებით მძიმე კატეგორიიის დანაშაული ჩაიდინეს და რეციდივის შემთხვევაში;"[46]

„სისხლის სამართლის კანონში უნდა იქნეს გათვალისწინებული ყოველი დანაშულისა და მისი შემადგენლობის შესატყვისი სასჯელები ამ დანაშულის სიმძიმის ანუ კატეგირიის, მისი ჩადენის გარემოებებისა და მისი შესაძლო ჩამდენი პირის თავისებურებათა გათვალისწინებით. ეს აუცილებელია იმისთვის რომ სასამართლომ დანიშნოს სამართლიანი სასჯელი. თუ დანიშნული სასჯელი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეთან შედარებით არაპროპორციულია, ესე იგი, აშკარად ლმობიერია ან, პირიქით, აშკარად მკაცრია, მაშინ გამამტყუნებელი განაჩენი ამ მხრივ შესწორებას მოითხოვს."[47]

„კევინ ჰიუ სასჯელის დასაბუთებისას განიხილავს საერთაშორისო პრაქტიკას და საერთაშორისო პრინციპების საფუძველზე ჩერდება საერთო ევროპის მოთხოვნების, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დაცვაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოსნია- ჰერცოგოვინას სასამართლოებში შემუშავებული შვიდპუნქტიანი სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სასჯელის დასაბუთება. იგი შემდეგ ფაქტორებს ეყრდნობა:

დანაშაულის სიმძიმე;

[46] М, Н, Становский ,Назначение наказания, Санкт-Петербург, 1999, с137

[47] სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი თბ, 2018, 64.

მსჯავრდებულის პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენისას;

მსჯავრდებულის პერსონალური გარემოებები და მისი ქცევა დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის დროს და მას შენდეგ;

მოტივი;

მსჯავრდებულის პიროვნება ;

დამნაშავის გამოსწორების შესაძლებლობა;"[48]

მოცემული შვიდპუნქტიანი სისტემა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საერთაშორისო სასამართლო სისტემა სასჯელის დანიშვნისას საერთო პრინციპებით ხელმძღვანელობს. ამ მოთხოვნებს შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსით გათვალისწინებული ის გარემოებები, რომლებიც სასამართლოს მიერ პირისათვის სასჯელის შეფარდებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ გარემოებების გათვალიწინება, როცა პირის მიერ ჩადენილია არა ერთი, არამედ რამდენიმე დანაშაული.

სასჯელთა შთანთქმის შემთხვევაში უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქვს ნაკლებად მკაცრს, მაგრამ ნაწილობრივი შეკრებისას მოსამართლის მიერ დაცული უნდა იქნეს სამართლიანობის და სასჯელის პროპორციულობის პრინციპი, რათა ყველა გარემოების გათვალისწინებით მოხდეს სასჯელთა ნაწილობრივი შეკრება.

ეს საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული სასჯელთა შეჯამებასა, სასჯელის ვადის გამოანგარიშებასა და სასჯელის ჩათვლასთან.

ასეთი გახლავთ სასჯელის დანიშვნის თავისებურებანი დანაშულის რეციდივიას და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს.

---

[48] სისხლის სამართალი ,ზოგადი ნაწილი, 2018, 524.

თავი მეორე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკული საკითხები

წინამდებარე კვლევა 2017 წლის პროექტის ფარგლებში მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გამოკვეთილ რამდენიმე პრაქტიკული საკითხის ანალიზს.

მათ შორისაა: 1. სასჯელის საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სადავო საკითხები, 3. სისხლის სამართლის კანონოს მოქმედება დროში და 4. კანონის უკუძალის საკითხი.

§ 1. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა

1. რამდენად იყენებენ სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს?

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით (ამკ) დადგენილი წესის მიხედვით, სასამართლო მხედველობაში იღებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.[1]

ეს იმას ნიშნავს, რომ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა დააკონკრეტოს, ამ ანგარიშში მოცემულ გარემოებათაგან, კერძოდ რომელი ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას, ხოლო რომელი ამსუბუქებს მას.

სასამართლოები ხშირად იცავენ ამ წესს, თუმცა არის შემთხვევა, როცა არ იცავენ მას.

ასე მაგალითად, 2016 წლის დეკემბერში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა მე-12 კლასის მოსწავლის საქმე, რომლითაც მას ბრალად ედებოდა ქურდობის ჩადენა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი და ჩადენილი

[1] ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსის შესახებ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, (მე-3 გამოც.), გვ. 666-668.

იყო საცავში უკანონოდ შეღწევით.[2]

აღნიშნულ განაჩენში ნათქვამია: „სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის პიროვნებას.

მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებია ის, რომ ის აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. გარდა ამისა, სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგს, ასევე ბრალდებულის ასაკს (ის სრულწლოვანი გახდა დანაშაულის ჩადენს შემდეგ), ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობებს. მას პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია."

როგორც ვხედავთ, სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხოლოდ ახსენა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, კერძოდ, რა გარემოება მიიღო მხედველობაში სასჯელის დანიშვნისას. საქმე ისაა, რომ დანაშაულის აღიარება და მონანიება არაა დაკავშირებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მონაცემებთან.

2. როდის შეიძლება დამდგარი შედეგი გათვალისწინებულ იქნეს სასჯელის დანიშვნისას?

ხსენებულ განაჩენში ყურადღებას იპყრობს მითითება დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინებაზე, რაც ამ განაჩენის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რადგან:

ა) არასრულწლოვნის ქმედებით (ქურდობით) გამოწვეული მართლსაწინააღმდეგო შედეგი (მნიშვნლოვანი ზიანი) ისედაც უკვე გათვალისწინებულია ქურდობის კვალიფიკაციისას, როგორც ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება (მე-2 ნაწ.).

ამასთან ცნობილია, რომ სსკ 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი და-

[2] იხ. ქუთაისს საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 041120816001

ნაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნისას მხედვლობაში არ მიიღება.

ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მხედველობაში არ მიიღება ვერც შემამსუბუქებელ და ვერც დამამძიმებელ გარემოებად;

ბ) ყველაზე დიდი ხარვეზი, რაც აღნიშნული განაჩენის ამ მონაკვთიდან ჩანს, არის ის,რომ დამდგარი შედეგი (მნიშვნელოვანი ზიანი) სასამართლომ ფაქტობრივად მხედველობაში მიიღო როგორც შემამსუბუქებელი გარემოება.

ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა განაჩენის ის მონაკვეთი, სადაც ნათქვამია, რომ სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს დამდგარ შედეგს და ამავე დროს ის, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია. გამოდის, რომ დამდგარი შედეგი (მნიშვნელოვანი ზიანი), ქმედების კვალიფიკაციისას შეფასდა დამამძიმებელ გარემოებად (რაც სწორია), ხოლო სასჯელის დანიშვნისას – შემამსუბუქებელ გარემოებად, რაც სრულიად გაუგებარი და გაუმართლებველია.

3. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგჯერ სასამართლო იყენებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს სასჯელის რომელიმე სახის გამოყენების დასაბუთებისათვის მაშინ, როცა მოცემულ შემთხვევაში სასჯელის სხვა სახეს იგი მაინც ვერ დანიშნავდა.

მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითი:

2017 წლის 20 თებერვალს ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ განიხილა არასრულწლოვანი ბრალდებულის სს საქმე ოჯახური ძალადობის ბრალდების გამო, სსკ 11[1] , 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება). კერძოდ, მან ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში ფიზიკური ძალადობა განახორციელა საკუთარი მამის მიმართ, რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება.[3]

სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან ერთად მხედველობაში მიიღო ინდივიდუალური

[3] იხ. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს არქივი, საქმე №110100117001677915; №1/1-2017

შეფასების ანგარიში. კერძოდ ის, რომ დანაშაულის ჩადენისას იგი იყო 16 წლის, ცხოვრობდა და ცხოვრობს მამასთან ერთად, დასაქმებულია, არის მოტივირებული ახალგაზრდა, სურს დაეუფლოს პროფესიას და სხვა.[4]

ამ გარემეობებზე დაყრდნობით სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობს საფუძველი სასჯელის ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი ფორმისა და განსაზღვრული სანქციის მინიმუმის გამოყენებისათვის შემდეგ გარემოებებზე მითითებით: დანაშაულის ჩადენის დროს იგი იყო ნასამართლობის არმქონე, რის გამოც მის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სასამართლო აკონკრეტებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მონაცემებს და არ იფარგლება ამ ანგარიშის მხოლოდ მოხსენიებით.

ამავე დროს იგი უთითებს იმ მიზეზს, თუ რატომ იყენებს მსუბუქი სასჯელის სახეს და მის მინიმალურ ზომას, ასევე რატომ არ იყენებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას.

შევაფასოთ ეს განაჩენი სასჯელის ნაწილში.

სადავო არაა, რომ მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა არაა საკმარისი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებაზე უარის თქმისათვის, რადგან ამკ 73-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ყოველთვის არაა გამორიცხული ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისას და ამ მხრივ განაჩენში ხარვეზი არ შეინიშნება.

თუმცა ამ განაჩენში არაა ხაზგასმა იმაზე, რომ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, რა დროსაც, როგორც წესი, არასრულწლოვნის მიმართ არ გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა (ამკ 73-ე მ. პირვ. ნაწ.).

განაჩენში სასჯელის დანიშვნისას ყურადღება მხოლოდ სხვა გარემოებებზეა გამახვილებული. კერძოდ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე, სასჯელის მიზანზე, სსკ 118-ე მუხლის სანქციაზე, არასრულწლოვნისათვის კანონმდებლობით დადგენილი სასჯელის სახეებზე, ნაკლებად მძიმე დანაშაულის დროს შინაპატიმ-

[4] იხ. აღნიშნული განაჩენის სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთების ნაწილი

რობის გამოყენების შესაძლებლობაზე.

სასამართლოს პირველ რიგში უნდა ეთქვა, რომ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული და ამავე დროს საქმეში არ ასებობს ის გარემოებები, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში გამონაკლისის სახით იძლევა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას (მაგალითად, არასრულწლოვნის ნასამართლობა).

4. რამდენად სწორად ასაბუთებენ ჯარიმის გამოყენების ან არგამოყენების საკითხს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკმარისია თუ არა არასრულწლოვნის მიმართ ჯარიმის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისათვის ის ფაქტი, რომ მას აქვს კანონიერი შრომითი შემოსავალი?

ზესტაფონის რაიონული სასამათლოს მიერ გამოტანილ ზემოთ ხსენებულ განაჩენში სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ არ გამოიყენა სასჯელის ეს სახე იმის მიუხედავად, რომ მას ჰქონდა დამოუკიდებელი შრომითი შემოსავალი.

ასეთი გადაწყვეტილება განაჩენში შემდეგნაირადაა დასაბუთებული: მართალია, არასრულწლოვანს გააჩნია დამოუკიდებელი შრომითი შემოსავალი, მაგრამ ის იმდენად მწირია (დღეში 2-3 ლარი), რომ სასამართლოს მიზანშეუწონლად მიაჩნია მის მიმართ სასჯელის სახედ ჯარიმის გამოყენება.[5]

სასამართლოს **ეს გადაწყვეტილება სამართლიანია,** რადგან მასში გათვალისწინებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და მხედველობაში არაა მიღებული საკითხის ფორმალური მხარე. კერძოდ, ის, რომ არასრულწლოვანს აქვს დამოუკიდებელი კანონიერი შემოსავალი.

5. რამდენადაა აუცილებელი არასრულწლოვნის მიმართ შინაპატიმრობის გამოყენების დასაბუთებისათვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება?

როცა სახეზეა ნაკლებად მძიმე დანაშაული და არასრულწლოვანი არაა ნასამართლევი, ასევე თავს არ არიდებს არასაპატიმრო სასჯელს, სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენების დას-

[5] იხ. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს არქივი, საქმე №110100117001677915; №1/1-2017. აღნიშნული განაჩენის ნაწილი, რომელიც შეეხება სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთებას

აბუთებისათვის ყოველთვის არაა აუცილებელი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება. ამ დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება სასჯელის ამ სახის დასაბუთებისათვის საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, გარდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა, სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულია სხვა ალტერნატიული სასჯელიც (მაგალითად, საზოგადობრვად სასარგებლო შრომა).

ამდენად, საინტერესოა, რა წესით უნდა დაინიშნოს სასჯელი მაშინ, თუკი გარდა თავისუფლების აღკვეთისა, სხვა სახის სასჯელი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესაბამის მუხლში არაა გათვალისწინებული?

ამ შემთხვევაში საქმეში არსებული გარემეობების მხედველობაში მიღებით, არსებობს არასრულწლოვანზე **სასჯელის დანიშვნის ორი სხვადასხვა შესაძლებლობა.**

აქედან სასჯელის დანიშვნის პირველი გზა არის ამკ 76-ე მუხლის გამოყენება. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანს ამკ 76-ე მუხლის გამოყენებით დაუნიშნოს ვადიან თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სხვა სახის სასჯელი (მაგ., ჯარიმა ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა), თუკი **საქმეში არსებობს** შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა (თუ რა თქმა უნდა, არასრულწლოვანი არაა ნასამართლევი).

ხოლო თუკი საქმეში **არ არსებობს** შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, მაშინ სასამართლო უნდა დაადგეს **სასჯელის დანიშვნის მეორე გზას** – უნდა დანიშნოს შინაპატიმრობა.

საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის უფლება მას არა აქვს და ვერც ამკ 76-ე მუხლს გამოიყენებს. შესაბამისად, ამ დროს სასამართლოს გარდა შინაპატიმრობის დანიშვნისა, სხვა ალტერნატივა არ რჩება. ამდენად, ასეთ ვითარებაში სასჯელის ამ სახის გამოყენების დასაბუთებას არ სჭირდება მსჯელობა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში მოცემული მონაცემი სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ შინაპატიმრობის ხან-

გრძლიობისა და მისი ფორმის დასაბუთებისათვის.

6. როგორია ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოგვადგება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წელს გამოტანილი განაჩენი, რომლის მიხედვითაც ნასამართლობის არმქონე არასრულწლოვანს ბრალი ედებოდა საცავში უკანონო შეღწევით ქურდობა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (სსკ 177-ე მ. მე-2 ნაწ. „ა" და „ბ" ქვ-ები).[6]

სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს მხოლოდ ვადიან თავისუფლების აღკვეთას (ვადით სამიდან ხუთ წლამდე). სასამართლომ ამ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით შინაპატიმრობის (6 თვის ვადით) გამოყენება დაასაბუთა ორი არგუმენტზე დაყრდნობით, საიდანაც ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. კერძოდ ის, რომ დადებითად ფასდება მისი სამომავლო გეგმები და ოჯახის დამოკიდებულება ამ არასრულწლოვნისადმი.[7]

საკითხავია, სხვაგვარი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს უარყოფითად რომ შეეფასებინა ამ არასრულწლოვნის სამომავლო გეგმები და მისდამი ოჯახის დამოკიდებულება, თუ შეიძლებოდა ბრალდებულის მიმართ შინაპატიმრობის გარდა სასჯელის სხვა სახის დანიშვნა?

პასუხი ცალსახაა -რა თქმა უნდა, არა, რადგან:

ა) როგორც აღინიშნა, სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გარდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა, სხვა სახის სასჯელი არაა გათვალისწინებული;

ბ) ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული;

გ) სახეზეა არასრულწლოვანი;

დ) იგი არაა ნასამართლობის მქონე;

ე) საერთოდ არასრულწლოვნის მიმართ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისას ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ნასამართლევია, ან თავს

---

[6] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/130-17; №002101216001

[7] იხ. აღნიშნული განაჩენში სამართლებრივი შეფასების ნაწილი.

არიდებს არასაპატიმრო სასჯელს (ამკ 69-ე მ.);[8]

ვ) ამ შემთხვევაში სასამართლო ვერც ამკ 76-ე მუხლს გამოიყენებდა. კერძოდ, ვერ დანიშნავდა სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულზე (ვადიან თავისუფლების აღკვეთაზე) უფრო მსუბუქ სასჯელს, რადგან ამკ 76-ე მუხლის მიხედვით კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სხვა სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ის, რომ არასრულწლოვნის მიმართ უნდა არსებობდეს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რაც ჩვენს მიერ განხილულ საქმეში არ არსებობდა.

აქედან გამომდინარე, მოცემულ საქმეში შინაპატიმრობის გამოყენებისათვის არგუმენტად არ გამოგვადგება ის, თუ როგორ ხასიათდება არასრულწლოვანი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიხედვით. როგორც უკვე აღინიშნა, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ეს მონაცემები სასამართლოს შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ შინაპატიმრობის ვადის განსაზღვრისას.

7. **ზემოთ განხილული საკითხიდან გამომდინარე, საინტერესოა, როდისაა შესაძლებელი და გამართლებული,** იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, სადაც სასჯელის სახით მხოლოდ თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, დაინიშნოს არა შინაპატიმრობა, არამედ ამკ 76-ე მუხლის გამოყენებით – საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთოდ, თუ შეუძლია სასამართლოს ამკ 76-ე მუხლის საფუძველზე ბრალდებულს დაუნიშნოს არა შინაპატიმრობა, არამედ სხვა ალტერნატიული სასჯელი?

დასმული კითხვა აუცილებლად დაკავშირებულია საკითხთან: **რომელი სასჯელია უფრო მსუბუქი** – შინაპატიმრობა, თუ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა?

დასმულ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: სასამართლოს ყოველთვის შეუძლია არასრულწლოვნის მიმართ დანიშნოს შინაპატიმრობა, თუ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული. საამისო დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ ჩაითვლება არასრულწლოვნის

[8] იხ. ნ. თოდუა, ნიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ. 2017, გვ. 90-108.

ნასამართლობა, არც ის, რომ საქმეში არ არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა.

რაც შეეხება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მისი გამოყენება მაშინ, როცა შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ იგი არაა გათვალისწინებული, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა არასრულწლოვანი არაა ნასამართლევი და საქმეში არსებობს შემამსუბუქებელ გარემეობათა ერთობლიობა (ამკ 76-ე მ.).

სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისმის კითხვა: თუ არასრულწლოვანს ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, ასევე იგი არაა ნასამართლევი და საქმეში არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რომელი სასჯელი ჩააყენებს მას უპირატეს მდგომარეობაში – შინაპატიმრობა, თუ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოგვადგება ქუთაისის საქალქო სასამართლოს მიერ 2016 წელს გამოტანილი განაჩენი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანს მსჯავრი დაედო ქურდობაში, რაც ჩადენილია საცავში უკანონო შეღწევით, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (177-ე მ-ის მე-2 ნაწ.).[9]

სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას განაჩენში აღნიშნულია: „ ... სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლი ადგენს, რომ „არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან“.

სასამართლომ გამოიკვლია რა აღნიშნული საკითხი, დაადგინა, რომ ბრალდებული ხ-ძე არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე პირი, მას აქვს მძიმე ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა. .... მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სწორედ ის მოცემულობა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ის თავს არ არიდებს არასაპატიმრო სასჯელს, მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი არაა გამოტანილი და შესაბამისად სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა დაუშვებელია. ... შესაბამისად, სასამართლოს სახეზე აქვს ყველა

[9] იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 1/836-16

პირობა იმისათვის, ხ-ძეს სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასჯელის სახედ დაუნიშნოს ამკ 71-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი – საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. ...".

როგორც ვხედავთ, რადგან სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში არსებობდა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა (სხვა საკითხია, რომ განაჩენში არაა მითითებული, თუ კერძოდ, რა სახის შემამსუბუქებელ გარემეობათა ერთობლიობაა საქმეში), მან არასრულწლოვანს დაუნიშნა არა შინაპატიმრობა, არამედ ამკ 71-ე მუხლის გამოყენებით – საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

აქედან უნდა გაკეთდეს ასეთი დასკვნა: აღნიშნული განაჩენით სასამართლომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა შინაპატიმრობასთან შედარებით უფრო მსუბუქი სასჯელის სახედ ჩათვალა.

საკითხავია, როგორია კანონმდებლის პოზიცია ამ საკითხზე? კერძოდ, რომელი სასჯელია უფრო მსუბუქი – შინაპატიმრობა, თუ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა?

ამკ შესაბამისი ნორმების ანალიზით აშკარაა, რომ კანონმდებელიც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას შინაპატიმრობასთან შედარებით უფრო მსუბუქი სახის სასჯელად თვლის.

საქმე ისაა, რომ შინაპატიმრობის გამოყენებისათვის სრულებით არაა სავალდებულო საქმეში არსებობდეს შემამსუბუქებელ გარემეობათა ერთობლიობა. უფრო მეტიც, მის გამოყენება მაშინაცაა შესაძლებელი, როცა საქმეში საერთოდ არ მოიპვება შემამსუბუქებელი გარემოება.

რაც შეეხება ამკ 76-ე მუხლს,მის საფუძველზე სსკ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის (მაგ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის) გამოყენებისათვის აუცილებელი პირობაა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობის არსებობა.

ამდენად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა შინაპატიმრობასთან შედარებით სასჯელის უფრო მსუბუქ სახედ უნდა ჩაითვალოს.

ამდენად, ამ განაჩენით სასჯელის ამ სახის გამოყენება მოცემულ საქმეში სამართლიანია.

§ 2. არასრულწლოვნის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას, ამკ 45-ე მუხლის საფუძველზე რაიმე სახის მოვალეობის დაკისრების შესაძლებლობა

ზემოთ განხილულ საქმეში ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვანს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან ერთად (200 საათის ოდენობით) ამკ 45-ე მ-ის საფუძველზე დააკისრა ორი მოვალეობა: არ შეიცვალოს ბინადრობის ადგილი და შინიდან არ გავიდეს 23 საათიდან 06 საათამდე.

საკითხავია, ჰქონდა თუ არა სასამართლოს ასეთი სისხლისსამართლებრივი ღონისძიების დაკისრების უფლება?

სანამ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის ხარვეზი, რაც ამ გადაწყვეტილებით თვალნათლივ იკვეთება. ესაა ის, რომ განაჩენში არაა აღნიშნული, თუ რა ვადით დაეკისრა არასრულწლოვანს აღნიშნული მოვალეობა. განაჩენში უნდა ყოფილიყო მითითებული არა მარტო დღის ის მონაკვეთი, რა დროსაც მას ეკრძალება შინიდან გასვლა, არამედ ისიც, რომ ეს მოვალოება არასრულწლოვანს დაეკისრა იმ ვადით, რა ვადაშიც მან უნდა შეასრულოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა (200 საათის ოდენობით).

რაც შეეხება თავად დასმულ საკითხს, იგი დღის წესრიგში ნამდვილად დგება, რადგან:

ა) ამკ 45-ე მუხლი (არასრულწლოვნისათვის მოვალეობის დაკისრება) შეტანილია არა არასრულწლოვნის სასჯელთან დაკავშირებულ კარში, არამედ ამკ მე-4 კარის (არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი საქმის სასამართლოში განხილვამდე) პირველივე – მე-6 თავში (არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს თავი აწესრიგებს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და არა სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხს. შესაბამისად, 45-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობები და აკრძალვები ენიშნება იმ არასრულწლოვანს,

რომლის მიმართ განხორციელდა განრიდება-მედიაცია და ამასთან დაკავშირებული აღდგენითი მართლმსაჯულება;

ბ) განსხვავებით სხვა სახის სასჯელისაგან (მაგ. შინაპატიმრობა), საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა (ამკ 71-ე მ.), არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სხვა სახის ვალდებულების დაკისრებას.

ამის მიუხედავად, ამკ 67-ე მუხლის (არასრულწლოვნის ძირითადი და დამატებითი სასჯელები) მე-4 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს უფლება აქვს, სასჯელთან ერთად დანიშნოს ამკ 42-ე მუხლის (განრიდების ღონისძიებები) პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ღონისძიება, რომელიც არ წარმოადგენს სასჯელის სახეს (არც ძირითადს და არც დამატებითს), თუმცა იგი სისხლისსამართლებრივი ღონისძიების სხვა სახეა.

მათ შორისაა „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოვალეობის დაკისრება. ხოლო არასრულწლოვნისათვის მოვალეობის დაკისრებას ითვალისწინებს ამკ 45-ე მუხლი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. მისი პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ბინიდან გასვლა.

აქვე უნდა გაირკვეს, **რით განსხვავდება ეს მოვალოებები პირობითი მსჯავრით დაკისრებული მოვალეობებისაგან?**

მათ შორის არის როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი განსხვავება.

ჯერ-ერთი, პირობითი მსჯავრის დროს არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება ის ღონისძიებები, რაც მოცემულია საქართველოს სსკ 65-ე მუხლში.

ხოლო არასრულწლოვნის მიმართ მედიაცია-განრიდების გამოყენებისას, ასევე მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას, შეიძლება დაინიშნოს ის მოვალეობები, რაც მოცემულია ამკ 45-ე მუხლში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამკ 45-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობები არ გამოიყენება არასრულწლოვნის პირობითი მსჯავრდების დროს.

ამდენად, სსკ 65-ე მუხლით დაწესებული მოვალეობები ენიშნება იმ პირს (მაგ., არასრულწლოვანს), რომელსაც დანიშნული სასჯელი

ჩაეთვალა პირობით. ხოლო ამკ 45-ე მუხლით დაწესებული მოვალეობები კი ენიშნება იმ არასრულწლოვანს, რომლის მიმართ:

ა) განხორციელდა ან განრიდება-მედიაციის ღონისძიებები, ანდა

ბ) დაენიშნა სასჯელი, რომელიც არ ჩათვლილია პირობით. შესაბამისად, ეს ღონისძიება ინიშნება სასჯელთან ერთად;

მეორეც, საქართველოს სსკ 65-ე მუხლით დადგენილი მოვალეობის სისტემატურად ან ჯიუტად შეუსრულებლობისას პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ **გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო** (შესაბამისი მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით – სსკ 67-ე მუხლის მე-3 ნაწ.). რაც შეეხება ამკ 45-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებული მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისას (როცა იგი დაკავშირებულია განრიდება-მედიაციასთან), საკითხს **იხილავს პროკურორი,** რომელიც არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას (ამკ 48-ე მ-ის პირვ. ნაწ.);

მესამეც, თუ სასამართლომ სსკ 65-ე მუხლით დაწესებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო მიიღო გადაწყვეტილება პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო უქმდება პირობითი მსჯავრი, არამედ უნდა აღსრულდეს განაჩენით დადგენილი ის სასჯელი, რაც ჩათვლილი იყო პირობით.

§3. არასრულწლოვნის მიერ ამკ 45-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი

პრობლემური არაა შემთხვევა, როცა არასრულწლოვანზე დაკისრებული ეს მოვალეობები დაკავშირებული იყო განრიდების ღონისძიებასთან, რადგან ეს საკითხი მოწესრიგებულია ამკ 48-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. კერძოდ, თუ პროკურორი გააუქმებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს

(ე.ი. არაა ვალდებული) დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა (ამკ 48-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

ამდენად, განსხვავებით პირობითი მსჯავრით დადგენილი მოვალეობების შეუსრულებლობისაგან (როცა პირობითი მსჯავრის გაუქმება აუცილებლად გამოიწვევს დადგენილი სასჯელის აღსრულებას), ამ შემთხვევაში (განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებისას) არაა აუცილებელი, განახლდეს სისხლისსამართლებრივი დევნა – ეს საკითხი პროკურორის გადასაწყვეტია.

შესაბამისად, ისმის კითხვა: რა მოხდება მაშინ, როცა არასრულწლოვანმა განზრახ არ შეასრულა ამკ 45-ე მუხლით დადგენილი ღონისძიება, რაც მას დაეკისრა არა განრიდება-მედიაციისას (სწორედ ამ საკითხის მოწესრიგებაა ამკ 45-ე მუხლის დანიშნულება), არამედ სასჯელთან ერთად?

კერძოდ, **ისმის ორი კითხვა:**

1. ვინ განიხილავს ამ დროს საკითხს – პროკურორი თუ სასამართლო?

2. რა წესით განიხილება ეს საკითხი?

პირველი კითხვის პასუხად უნდა აღინიშნოს შემდეგი: ფაქტია, რომ პროკურორი ვერ განიხილავს სასჯელის აღსრულებისას გამოვლენილი დარღვევის საკითხს და კორექტივს ვერ შეიტანს სასამართლოს მიერ დანიშნულ სისხლისსამართლებრივ ღონისძიებაში. ამდენად, საკითხი უნდა განიხილოს სასამართლომ.

ამდენად, პასუხი უნდა გაეცეს მეორე კითხვას: **რა წესით განიხილება საკითხი?**

პრობლემა ისაა, რომ არასრულწლოვნის მიმართ ძირითად სასჯელთან ერთად ამკ 42-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული ამკ 45-ე მუხლში დაწესებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევის მომწესრიგებელი ნორმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არ არსებობს.

ასეთი ნორმა, რომელიც პირდაპირ აწესრიგებდეს ამ საკითხს,

არც სისხლის სამართლის კოდექსშია.

სს კოდექსში მოწესრიგებულია ის შემთხვევა, როცა მსჯავრდებული თავს არიდებს დანიშნულ სასჯელს (მაგ, ჯარიმას, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ა.შ.). ასევე მოწესრიგებულია ის შემთხვევა, როცა იგი თავს არიდებს პირობითი მსჯავრით დადგენილ მოვალეობებს (67-ე მ.). თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, ამკ 45-ე მუხლით დადგენილი მოვალეობები, არ წარმოადგენს სასჯელის სახეს – იგი არც ძირითადი სასჯელია და არც დამატებითი. ისინი მიეკუთვნება არასრულწლოვანთა მიმართ დადგენილ სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს. ხსენებული ღონისძიებები არც პირობითი მსჯავრის საკითხთანაა დაკავშირებული.

ამიტომაცაა საინტერესო, რამდენად შესაძლებელია, მისი განზრახ შეუსრულებლობისას გამოვიყენოთ ან ერთი (სასჯელისაგან თავის არიდების შემთხვევისათვის დადგენილი), ან მეორე სახის (პირობითი მსჯავრდებისას დადგენილი მოვალოებისაგან თავის არიდების შემთხვევისათვის დადგენილი) რეგულაცია?

განვიხილოთ თითოეული შესაძლებლობა.

საკითხის გადაწყვეტის პირველი შესაძლებლობა: თუ შეიძლება ეს შემთხვევა სასამართლომ განიხილოს სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებისათვის დადგენილი წესის ანალოგიურად?

სანამ დასმულ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მოკლედ უნდა აღინიშნოს, თუ რა ღონისძიება ტარდება იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც თავს არიდებს დანიშნულ სასჯელს?

სსკ 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის (ჯარიმა), 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის (საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა), 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის (გამასწორებელი სამუშაო), 47[1] მუხლის მე-4 ნაწილის (შინაპატიმრობა) მიხედვით, თუ მსჯავრდებული განზრახ ან ჯიუტად თავს აარიდებს მათ, დანიშნული სასჯელი შეიცვლება სხვა სახის სასჯელით.

მაგალითად, დანიშნული ჯარიმა შეიცვლება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან სხვა უფრო მკაცრი სასჯელით.

თუ შეიძლება ამ წესის მიხედვით გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანმა განზრახ აარიდა თავი სასჯელთან (მაგ., საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა) ერთად მის მიმართ ამკ 45-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ შეზღუდვას (მაგ., შინიდან გასვლის აკრძალვა დროის გარკვეულ მონაკვეთში)?

საკითხის ამგვარად გადაწყვეტის შესახებ აზრი შეიძლება გაჩნდეს იქიდან გამომდინარე, რომ სსკ იმ მუხლებში (42-47[1] მმ.), რომლებიც აწესრიგებენ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების საკითხს, იგულისხმება არა მარტო ძირითადი, არამედ დამატებითი სასჯელისგან თავის არიდების შემთხვევაც. მაგალითად, ჯარიმა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად (სსკ 41-ე მ-ის მე-2 ნაწ.).

ამდენად, სსკ 42-ე მუხლის მე-6 ნაწილითა და 44-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი რეგულაცია გულისხმობს არა მარტო იმ შემთხვევას, როცა სასჯელთა ეს სახეები დანიშნულია ძირითად სასჯელად, არამედ იმ შემთხვევასაც, როცა ისინი დანიშნულია დამატებით სასჯელად.

მიუხედავად ამისა, დასმული საკითხის გადაწყვეტისას ანალოგიით ვერ გამოვიყენებთ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევისათვის დადგენილ წესს.

რატომ?

საქმე ისაა, რომ ეს წესი დადგენილია სასჯელის (როგორც ძირითადის, ისე დამატებითის) თავის არიდების შემთხვევისათვის. რაც შეეხება ამკ 45-ე მუხლით დაწესებულ შეზღუდვას, იგი საერთოდ არაა სასჯელის სახე, ეს შეზღუდვები სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებებია.

აქედან გამომდინარე, მისგან განზრახ თავის არიდების ფაქტმა არ უნდა გამოიწვიოს დანიშნული სასჯელის შეცვლა არასრულწლოვნის საუარესოდ, რადგანაც ამ მოვალეობის შეუსრულებლობით არასრულწლოვანი **თავს არ არიდებს დანიშნულ სასჯელს.** პირიქით, იგი ასრულებს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელს, მაგრამ არ ასრულებს სასჯელთან ერთად დანიშნულ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიებას.

ამდენად, სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიების განზრახ შეუსრულებლობის შემთხვევას არ უნდა მიეცეს სასჯელისაგან განზრახ თავის არიდების შემთხვევის ანალოგიური შეფასება.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტისათვის **ორი არგუმენტი** გვაქვს:

ა) სისხლის სამართალში დაუშვებელია ანალოგიის გამოყენება პირის საუარესოდ; [10]

ბ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები (ამკ მე-4 მ.).

ამდენად, ეს პრინციპი პრიორიტეტულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.[11]

საკითხის გადაწყვეტის მეორე შესაძლებლობა: თუ შეიძლება ეს შემთხვევა სასამართლომ განიხილოს პირობითი მსჯავრით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დადგენილი რეგულაციის ანალოგიურად?

დასმულ კითხვას **უარყოფითი პასუხი** უნდა გაეცეს და თუ რატომ, ამის გარკვევაში გვეხმარება პირობით მსჯავრთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაცია.

კერძოდ, ჩვენთვის საინტერესოა ის შემთხვევა, როცა გამოსაცდელ ვადაში არაა ჩადენილი ახალი დანაშაული, არამედ სახეზეა სხვაგვარი დარღვევა. ამ დროს პირობით მსჯავრდებულის მიმართ სასამართლოს შეუძლია მიიღოს ორგვარი გადაწყვეტილება:

1. მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შესაბამისი ორგანოს წარდგინებით არა უმეტეს ერთი წლით გააგრძელოს ან პირიქით, შეამციროს გამოსაცდელი ვადა (სსკ 67-ე მ-ის მე-2 ნაწ.);

2. როცა მსჯავრდებული არ ასრულებს პირობითი მსჯავრით

---

[10] სისხლის სამართალში ანალოგიის საკითხზე იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018 (მე-3 გამოც.), გვ. 53-54; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013 (მე-9 გამოც.), გვ. 34-37.

[11] არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრინციპის საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018 (მე-3 გამოც.), გვ. 652.

დადგენილ მოვალოებას (სსკ 65-ე მუხლით გათვალისწინებულ მოვალოებას), სასამართლოს უფლება აქვს (ე.ი. არაა ვალდებული), დაადგინოს, გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი (სსკ 67-ე მ-ის მე-3 ნაწ.).

ამ ორი რეგულაციიდან პირველი (67-ე მ-ის მე-2 ნაწ.) არ აწესრიგებს იმ შემთხვევას, როცა მსჯავრდებული არ ასრულებს პირობითი მსჯავრით დაკისრებულ მოვალეობას (ე.ი. არ იგულისხმება სსკ 65-ე მუხლით დადგენილი მოვალეობა). მასში ნაგულისხმევია ზოგადად მსჯავრდებულის ყოფაქცევა განაჩენის გამოტანის შემდეგ, რაც არაა დაკავშირებული პირობითი მსჯავრით დაკისრებულ მოვალეობასთან.

რაც შეეხება პირობითი მსჯავრით დადგენილი მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევას, მას აწესრიგებს სსკ 67-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში სასამართლო ვერანაირად ვერ გამოიყენებს ამ რეგულაციას (სსკ 67-ე მ. მე-3 ნაწ.), რადგან:

ა) ამ რეგულაციის მიხედვით, თუკი სასამართლო გააუქმებს დანიშნულ შეზღუდვას (ბინადრობის ადგილის შეცვლისა და დროის გარკვეულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვა), აუცილებლად უნდა დაადგინოს, რომ აღსრულდეს სასჯელი. არადა, მოცემულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელის აღსრულების თვალსაზრისით ისედაც არავითარი პრობლემა არაა შექმნილი (არასრულწლოვანი არ არიდებს მას თავს).

შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება სამართლებრივი ნონსენსის გამოვლინება იქნება;

ბ) გარდა ამისა, საკითხის ამგვარი გადაწყვეტით შეიქმნება პრეცედენტი, რაც არასრულწლოვან მსჯავრდებულს წაახალისებს, თავი აარიდოს ამკ 45-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების შესრულებას, ვინაიდან მას არაფერი ექნება დასაკარგი – სასჯელთან ერთად დანიშნული სისხლისსამართლებრივი ღონისძიება მის მიმართ გაუქმდება, ხოლო თავად სასჯელის (როგორც ძირითადის, ისე დამატებითის) შესრულებას იგი ისედაც არ არიდებდა თავს.

მაშ, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი ხსენებული შემთხვევაში?

ვინაიდან არც სს კოდექსში და არც ამკ-ში არ არსებობს პირდაპირი რეგულაცია, საკითხი უნდა გადაწყდეს **ანალოგიის გზით.**

კერძოდ, უნდა გამოვიყენოთ ამკ 48-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი იმ განსხვავებით, რომ საქმეს განიხილავს არა პროკურორი, არამედ სასამართლო.

როცა საკითხს იხილავს პროკურორი, ხსენებული რეგულაციის მიხედვით იგი აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას.

გამომდინარე აქედან, როცა საკითხს განიხილავს მოსამართლე, მას უფლება ექნება, შესაბამის პირებზე (არასრულწლოვანზე, მის კანონიერ წარმომადგენელზე და ა.შ.) მოსმენის შემდეგ მიიღოს რამდენიმე ალტერნატიული გადაწყვეტილება: ა) გააუქმოს დაკისრებული მოვალეობა; ბ) ძალაში დატოვოს იგი; გ) შეცვალოს დაკისრებული მოვალეობა; დ) ან/და გააგრძელოს დაკისრებული მოვალეობის ვადა.

საინტერესოა, რომელი მათგანის გამოყენება იქნება გამართლებული დასმული საკითხის გადაჭრისათვის?

ჩამოთვლილთაგან **პირველი გზა** (გააუქმოს დაკისრებული მოვალეობა) არ იქნება გამართლებული, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, ამით შეიქმნება ისეთი სასამართლო პრეცედენტი, რომელიც წაახალისებს არასრულწლოვანს, არ შეასრულოს სასჯელთან ერთად დაკისრებული ეს მოვალოება.

მეორე გზა არის დაკისრებული მოვალეობის ძალაში დატოვება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მაშინ იქნება გამართლებული, თუ სასამართლო მივა დასკვნემდე, რომ არასრულწლოვანი თავს არ არიდებდა დაკისრებულ მოვალოებას. ასევე მაშინ, თუ მივა დასკვნამდე, რომ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა არ იყო განზრახი, ანდა განზრახ შეუსრულებლობა იყო ერთჯერადი, ეპიზოდური ხასიათის.

სხვა შემთხვევაში კი, როცა არასრულწლოვანი განზრახ არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, გაუმართლებელი იქნება მისი

ძალაში დატოვება.

საკითხის გადაწყვეტის მესამე გზა არის დაკისრებული **მოვალეობის** (განსახილველ შემთხვევაში, საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და დღის მითითებულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვის) **შეცვლა.**

როცა სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს არასრულწლოვნის მიერ დაკისრებული მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობას, სავსებით შესაძლებელია მან მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება – შეცვალოს დაკისრებული მოვალოება სხვა სახის მოვალეობით.

რას ნიშნავს ეს?

მასში უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიგულისხმოთ დაკისრებული მოვალოების ნაცვლად სხვა სახის მოვალეობის დაკისრება. მაგალითად, მოცემულ საქმეში თუ არასრულწლოვანი განზრახ თავს აარიდებს დაკისრებულთაგან თუნდაც ერთ (მაგ., შინიდან გაუსვლელობის) ვალდებულებას, სასამართლოს უფლება ექნება, შეუცვალოს იგი ამკ 45-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებით. ვთქვათ, დაუწესოს თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება (45-ე მ-ის ნე-2 ნაწ. „დ" ქვ.).

დაკისრებული მოვალეობის შეცვლაში ასევე უნდა ვიგულისხმოთ სასამართლოს უფლება, შეცვალოს დაკისრებული მოვალეობის დღიური ინტერვალი. მაგალითად, თუ ხსენებულ განაჩენში არასრულწლოვანს აკრძალული ჰქონდა შინიდან გასვლა ღამის 23 საათიდან დილის 06 საათამდე, სასამართლოს შეუძლია დაუწესოს მას აკრძალვა, არ გავიდეს შინიდან საღამოს 20 საათიდან დილის 07 საათამდე.

საკითხის გადაწყვეტის მეოთხე გზა არის დაკისრებული მოვალეობის **ვადის გაგრძელება.**

რა შემთხვევაში შეიძლება საკითხის ამგვარად გადაწყვეტა?

იგი შესაძლებელია მაშინ, თუ განაჩენში დაკონკრეტებულია, რა ვადითაა დაწესებული არასრულწლოვნის მიმართ ესა თუ ის ვალდებულება.

განსახილველი განაჩენის შეფასებისას დასაწყისშივე მის ერთ-ერთ ნაკლად აღინიშნა ის, რომ მასში არაა დაკონკრეტებული, თუ

რა ვადით დაენიშნა არასრულწლოვანს ორი სახის ეს აკრძალვა. საფიქრებელია, რომ იგი დაენიშნა სასჯელის ვადით. სასჯელად კი დანიშნული იყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა 200 საათის ოდენობით.

როცა განაჩენით დანიშნულია ისეთი სასჯელი, რაც გარკვეულ ვადასთანაა დაკავშირებული (მაგ., შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა) და ამავე დროს არასრულწლოვანს ამკ 45-ე მუხლით დაენიშნა ცალკეული მოვალეობა სწორედ იმავე ვადით (მაგ., დანიშნულია შინაპატიმრობა 1 წლის ვადით და მოვალოებაც 1 წლის ვადითაა დანიშნული), მაშინ ამ დამატებითი მოვალეობისაგან განზრახ თავის არიდების შემთხვევაში, როგორც წესი, შეუძლებელია, სასამართლომ დაადგინოს ამ მოვალეობის ვადის გაგრძელება. საქმე ისაა, რომ ასეთი მოვალეობა არასრულწლოვანს ენიშნება სასჯელთან ერთად (ამკ 67-ე მ-ის მე-4 ნაწ.). ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მოვალეობები წესისამებრ არ შეიძლება გასცდეს სასჯელის ვადას.

ისინი დანიშნული სასჯელის ვადას მხოლოდ მაშინ შეიძლება გასცდეს, თუ:

ა) დაკავშირებული არაა ამკ 45-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სხვადასხვა სახის აკრძალვასთან, არამედ დაკავშირებულია ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოვალეობასთან და

ბ) თავისი არსიდან გამომდინარე, მიზნის მისაღწევად მოითხოვენ დანიშნული სასჯელისაგან განსხვავებულ ვადას.

მაგალითად, თუ სასამართლომ არასრულწლოვანს ამკ 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაავალა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება, ანდა – საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა.

ამ შემთხვევაში, დაკისრებული მოვალეობის ვადა არ შეიძლება მიბმული იყოს დანიშნული სასჯელის ვადასთან. იგი უნდა მოიცავდეს არა სასჯელის, არამედ შესაბამისი პროგრამისათვის საჭირო ვადას. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დანიშვნა აზრს დაკარგავს, რადგან ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს.

საკითხის გადაწყვეტის **ეს მეოთხე გზა (მოვალეობის ვადის**

გაგრძელება) შეიძლება გამოყენებულ იქნას მისი გადაწყვეტის მესამე გზასთან **(მოვალეობის სახის შეცვლა) ერთად**. ასე მაგალითად, თუ განაჩენით დაკისრებულ მოვალეობას არასრულწლოვანმა განზრახ აარიდა თავი, სასამართლოს შეუძლია არა მარტო დააკისროს ახალი მოვალეობა (მაგ., განუსაზღვროს თავისუფალი დროის ამა თუ იმ ფორმით გამოყენება), არამედ დანიშნული სასჯელის ხანგრძლივობის ფარგლებში გაუზარდოს განაჩენით დაკისრებული აკრძალვა.

მაგალითად, თუ არასრულწლოვანს სასჯელთან (საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლისა და 6 თვის ვადით) ერთად 6 თვის განმავლობაში, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში აკრძალული ჰქონდა შინიდან გასვლა, გააგრძელოს ეს ვადა 1 წლამდე.

§ 4. ამკ 45-ე მუხლით დადგენილი მოვალეობის (როგორც აკრძალვის, ისე დაკისრებული ვალდებულების) ხანგრძლივობის საკითხი

დასმული საკითხი არაა პრობლემური მაშინ, როცა ეს მოვალეობა არასრულწლოვანს დაკისრებული აქვს ისეთ სასჯელთან ერთად, რომლის აღსრულება გარკვეულ დროსთანაა დაკავშირებული (მაგ, შინაპატიმრობა 6 თვის ვადით).

თუმცა საქმე ისაა, რომ სასჯელთა სისტემაში სხვა სახის სასჯელიც არსებობს, რომლის აღსრულება არაა დაკავშირებული ასეთ ვადასთან. შესაბამისად, იგი შეიძლება აღსრულდეს განაჩენის გამოტანიდან მეორე დღესვე. ასეთ სასჯელს მიეკუთვნება მაგალითად, ჯარიმა.

ამკ 67-ე მუხლის მე-4 ნაწილით არასრულწლოვანს ნებისმიერ სასჯელთან ერთად შეიძლება დაენიშნოს 42-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ღონისძიება (იგულისხმება ის მოვალეობა, რაც დადგენილია 45-ე მუხლით).

ამდენად, საკითხავია, თუ არასრულწლოვანს ძირითად სასჯელად დაენიშნა ჯარიმა, თუ აქვს უფლება მოსამართლეს, ამკ 45-ე მუხლის საფუძველზე დააკისროს მას გარკვეული მოვალეობა?

ასეთი უფლება მას ფორმალურად აქვს, მაგრამ რა ვადით უნდა დააკისროს იგი? ხომ შეიძლება ჯარიმა არასრულწლოვანმა განაჩე-

ნის გამოტანიდან დაუყონებლივ გადაიხადოს? სადღეისოდ მოქმედი კანონმდებლობით, ჯარიმა არაა ის სასჯელი, რისი აღსრულებაც გარკვეულ ვადაში უნდა გრძელდებოდეს. გამომდინარე აქედან, სასამართლო პრაქტიკულად ყოველთვის შეიკავებს თავს ჯარიმასთან ერთად ამკ 45-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის დანიშვნისაგან, რადგან გაურკვეველი იქნება საკითხი, რა ვადის განმავლობაში უნდა შესრულდეს ეს მოვალეობა.

სასჯელთა სისტემაში არსებობს ისეთი ძირითადი სასჯელიც, რომლის აღსრულების ხანგრძლივობას მოსამართლე წინასწარ ვერ განსაზღვრავს, რადგან ეს დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირები რამდენად ოპერატიულად უზრუნველყოფენ მის აღსრულებას.

ასეთი სასჯელია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, რომლის აღსრულების მაკონტროლებელმა ორგანომ (პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ) უნდა უზრუნველყოს, რომ სასჯელის ამ სახის აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს არასრულწლოვნის ანაზღაურებად სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს (ამკ 71-ე მ-ის მე-3 ნაწ.).

ამდენად, წინასწარ შეუძლებელია სასამართლომ განსაზღვროს, თუ რა ვადაში მოხდება საზოგადეობრივად სასარგებლო შრომის სახით დანიშნული საათების (მაგ., 200 საათის) აღსრულება.

შესაბამისად, სასჯელის ამ სახის ძირითად სასჯელად დანიშვნის დროსაც დგება ამ სასჯელთან ერთად დანიშნული მოვალეობების (ამკ 45-ე მ.) ხანგრძლივობის საკითხი.

საქმე ისაა, რომ ამკ არც 67-ე მუხლის მე-4 ნაწილში (არასრულწლოვნის ძირითადი და დამატებითი სასჯელები), არც 42-ე მუხლის (განრიდების ღონისძიებები) პირველ ნაწილში და არც 45-ე მუხლში (არასრულწლოვნისათვის მოვალეობის დაკისრება), არაა საუბარი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ამ ღონისძიებათა ვადაზე.

ამკ 42-ე მუხლის (განრიდების ღონისძიებები) მე-3 და მე-4 ნაწილებში საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ეს ღონისძიებები უნდა იყოს გონივრული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი, არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის ღირდებისა და პატივის შელახ-

ვას, ნორმალური სასწავლო პროცესისგან და ძირითადი სამუშაოსაგან მოწყვეტას და ა.შ. (მე-3 ნაწ.). ასევე დაუშვებელია ჩადენილი ქმედებისათვის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენება (მე-4 ნაწ.).

როგორც ვხედავთ, არც ერთი ეს დანაწესი პირდაპირ არ აწესრიგებს ამ ღონისძიებათა ხანგრძლივობის (ვადის) საკითხს, რაც საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

გამომდინარე აქედან, ამკ შესაბამის ნორმაში შეტანილ უნდა იქნეს **საკანონმდებლო ცვლილება.** კერძოდ, 67-ე მუხლს უნდა დაემატოს მე-5 ნაწილი, და იგი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

თუ არასრულწლოვანს დანიშნულ სასჯელთან ერთად, ამ კოდექსის 42-ე მუხლის პირველის ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე დაეკისრა ამავე კოდექსის 45-ე მუხლით დაწესებული რომელიმე მოვალეობა, მის ხანგრძლივობას განსაზღვრავს სასამართლო. იგი არ უნდა აღემატებოდეს დანიშნული სასჯელის ვადას, ანდა უნდა განისაზღვროს გონივრული ვადით.

§5. ქმედების კვალიფიკაციის სადავო საკითხები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ქმედების სწორი კვალიფიკაცია მართლმსაჯულებაში მთავარი საკითხია. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისას, რადგან მისი სწორად გადაწყვეტა დაკავშირებულია ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის განსაზღვრასთან, რის გარეშეც შეუძლებელია სამართლიანად გადაწყდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა არასულწლოვნის მიმართ განრიდება-მედიაციის, სასჯელისა თუ სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების დანიშვნა, სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სხვ.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლოები სწორად აკვალიფიცირებენ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ ქმედებას. უფრო მეტიც, ცვლიან კიდევაც ქმედების კვალიფიკაციას ბრალდებულის სასარგებლოდ.

განვიხილოთ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ქმედების ჯგუფურად კვალიფიკაციისა და ცალკეულ დანაშაულთა გამიჯვნის საკითხი.

მაგალითი: 2016 წლის 28 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ განიხილა სს საქმე, სადაც ბრალდებულ ბ. ლ-ვას ქმედება დაკვალიფიცირებული იყო სსკ 178-ე მუხლის მე-2 მაწილის „ა" ქვ-ითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა' ქვ-ით (სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ). [12]

სასამართლომ ბრალდებიდან ამორიცხა ორივე დამამძიმებელი გარემოება და ქმედება სსკ 178-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადააკვალიფიცირა.

ამგვარი კვალიფიკაციით შეიცვალა ჩადენილი დანაშაულის კატეგორია. კერძოდ, თუკი მანამდე სახეზე იყო მძიმე კატეგორიის დანაშაული, ქმედების გადაკვალიფიცირების შემდეგ მივიღეთ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული.

საინტერესოა, თუ რა არგუმენტზე დაყრდნობით ამორიცხა სასამართლომ ბრალდება იმის შესახებ, რომ ძარცვა ჩადენილი იყო წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ?

განაჩენში ნათქვამია: „რაც შეეხება მეორე მაკვალიფიცირებელ გარემოებას, მოცემულთან დაკავშირებით, სასამართლო უპირველეს ყოვლისა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით დანაშაულის ჩადენა, მინიმუმ ორი პირის მონაწილეობას გულისხმობს. მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი სიკეთის საფრთხის ხელყოფას უშუალოდ რამდენიმე პირი ახორციელებს.... განსახილველ შემთხვევაში, ბ. ლ-ვას თანამზრახველთან ერთად მოქმედების დამადასტურებელ მტკიცებულებას ადასტურებს მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, რომელიც არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს პირის მოცემულ მაკვალიფიცირებელ გარემოებაში დამნაშავედ ცნობისათვის. სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერით, არ

[12] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/3382-16 (007020616011)

დასტურდება ბ. ლ-ვასთან ერთად სხვა პირის მიერ რ. ჩ-ნისათვის ნივთის ჩამორთმევა ან/და მისი ხელში დაკავების ფაქტი....".[13]

როგორც ვხედავთ, სასამართლოს **სწორად ესმის ქმედების წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურად** კვალიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობების არსი. კერძოდ ის, რომ ამისათვის აუცილებელია, სულ მცირე, ორი პირი (ამსრულებელი) მეტ-ნაკლები ინტენსიობით ასრულებდეს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას (თანაამსრულებლობა).[14]

ამ განაჩენით ასევე სწორად გადაწყდა ქმედების კვალიფიკაციის საკითხი ძარცვად (და არა თაღლითობად). საქმე ისაა, რომ პრობლემურია ქმედების კვალიფიკაციის საკითხი მაშინ, როცა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისას დამნაშავე იყენებს მოტყუების ელემენტებს. **კერძოდ, საკითხავია**: რით განსხვავდება ერთმანეთისაგან თაღლითობა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დაუფლებითი დანაშაული მაშინ, როცა ჩადენილი ქმედება მოტყუების ელემენტებსაც მოიცავს?

მივუბრუნდეთ განსახილველ შემთხვევას.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მისთვის უცნობ პირს (რ.ჩ-იანს) გამოართვა მობილური ტელეფონი ვითომცდა ამხანაგთან დასარეკად. შემდეგ ვითომც დაიწყო საუბარი და გააგრძელა გზა. ხოლო როცა დაზარალებულმა მოსთხოვა მისი დაბრუნება, იგი ტელეფონთან ერთად გაიქცა და მიიმალა.

ამ საქმეზე გამოძიება თავიდან დაწყებული იყო თაღლითობით (სსკ 180-ე მ.), მაგრამ შემდეგ გადაკვალიფიცირდა ძარცვით. ადვოკატი მოითხოვდა საქმის კვლავ თაღლითობად გადაკვალიფიცირებას, რასაც სასამართლო არ დაეთანხმა.

განაჩენში აღნიშნულია, რომ აქ მოტყუება ემსახურებოდა არა საბოლოო მიზნის მიღწევას (იგულისხმება სხვისი ნივთის ნებაყოფლობით დაუფლებას), არამედ დანაშაულის ჩადენის გაადვილებას.[15]

---

[13] იხ. დასახ. განაჩენის ქმედების სამართლებრივი შეფასების ნაწილი (5.12 და 5.13)

[14] იხ. ნ. თოდუა, ჯუფური დანაშაულის სადავო საკითხები, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, მე-3 გამოც. გვ. 347-352.

[15] იხ. დასახ. განაჩენის ქმედების სამართლებრივი შეფასების ნაწილი (5.9)

მართლაცდა, მოტყუების ხერხი, რაც გამოყენებულია თაღლითობისას, გულისხმობს იმას, რომ მოტყუებული პირი ფორმალურად თავისი ნებით გადასცემს დამნაშავეს ნივთს არა ერთჯერადი ტექნიკური ოპერაციის (მაგ., ნივთით იმწუთიერი სარგებლობა) განსახორციელებლად, არამედ გადასცემს მას უვადოდ, ანდა გარკვეული ვადით და მისი სივრცეში თავისუფალი გადაადგილების უფლებით. [16]

მოცემულ მაგალითში კი მოტყუება იყო ნივთის აშკარად დაუფლების გაადვილების საშუალება **და არა მისი** ნებაყოფლობით დაუფლების ხერხი. საქმე ისაა, რომ მაშინ, როცა დამნაშავემ მოტყუებით ხელთ იგდო სხვისი ტელეფონი, ის **ჯერ არ იყო** მას დაუფლებული (არ ჰქონდა მისი გაყიდვის, გაცვლისა თუ სხვა გზით განკარგვის ფაქტობრივი შესაძლებლობა) – დაზარალებული ჯერ კიდევ მის გვერდით იდგა და არ მისცემდა ამის შესაძლებლობას.

აქვე ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ნივთის **„ხელში ჩაგდება“** და მისი **„დაუფლება“**.

მოცემულ საქმეში ხსენებულ ეტაპზე დამნაშავეს მხოლოდ ხელში ჰქონდა ეს ნივთი ჩაგდებული, რაც არ ნიშნავს მის დაუფლებას. ნივთის **ხელში ჩაგდება** ნიშნავს იმას, რომ პირს აქვს ამ ნივთის მხოლოდ ფლობისა და მისით სარგებლობის ფაქტობრივი შესაძლებლობა.

ხოლო **ნივთის დაუფლებისას,** მას ასევე აქვს მისი განკარგვის (ანუ იურიდიული ბედის გადაწყვეტის – მისი გაყიდვის, გაცვლის და ა.შ.) ფაქტობრივი შესაძლებლობა.

განსახილველ საქმეში დამნაშავემ ტელეფონის განკარგვის შესაძლებლობა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როცა გაიქცა და მოშორდა შემთხვევის ადგილს. ეს კი განხორციელდა არა მოტყუებით, არამედ აშკარად (დაზარალებულის თვალწინ განხორციელებული გაქცევით).

ამდენად, ნივთის დაუფლება (და არა მისი ხელში ჩაგდება) **მოხდა აშკარად.** [17]

---

[16] იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ. 2004, გვ. 139-142; ასევე მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ავტ. კოლ. თბ. 2019, მე-6 გამოც. გვ. 505-506.

[17] იხ. იქვე, გვ. 439.

მეორე მაგალითი: 2016 წლის 2 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განიხილა არასრულწლოვან ა. ხ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, სადაც მას ბრალი ედებოდა ქურდობაში, რაც ჩადენილია საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.[18]

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: 2016 წლის 12 აგვისტოს, ღამის საათებში ა. ხ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად ლითონის საგნის გამოყენებით გააღო სასწრაფო ჩარიცხვის აპარატის ფულის საცავი და ფარულად დაეუფლა მასში არსებულ თანხას მთლიანობაში 2438,50 ლარს.

ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებაში ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ. კერძოდ, მან არ ცნო თავი დამნაშავედ წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენილ ქურდობაში.

ბრალდების ამ ნაწილის სამტკიცებლად საქმეში არსებობდა მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენება, რომელიც ადასტურებდა, რომ გამთენიისას შემოესმა მტვრევის ხმა და ფანჯრიდან დაინახა, სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხა ორმა პირმა, რომლემბაც ამოიღე ყუთები და გაიქცნენ.

სხვა მტკიცებულება იმისა, რომ ეს ქმედება ორმა პირმა ჩაიდინა, საქმეში არ მოიპოვება.

ბრალდების ამ ნაწილში სასამართლომ გაამართლა არასრულწლოვანი და განმარტა შემდეგი: „ ... წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა; მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია, საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე და წინასწარ შეთანხმებით ქმედების არანაკლებ ორი პირის მიერ ჩადენაზე.... ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის მასზე წარდგენილი ბრალდების ზემოთხსენებულ ნაწილში პირის დამნაშავედ ცნობისათვის, ... ბრალდების მხარის მიერ მითითებული გარემოებები მტკიცების

[18] იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/836-16

თვალსაზრისით ვერ სცილდება ვარაუდისა და დაუდასტურებელი ეჭვის დონეს, რაც არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის დამნაშავედ ცნობას ბრალდების ზემოაღნიშნულ ნაწილში."

როგორც ვხედავთ, ბრალდების იმ ნაწილის მოხსნის გადაწყვეტილება, რაც გულისხმობდა ქურდობას წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურად, სასამართლომ დაასაბუთა როგორც მატერიალური, ისე პროცესუალურ-სამართლებრივი (მტკიცებულებათა არასაკმარისობა) არგუმენტის საფუძველზე.

მატერიალურ-სამართლებრივი არგუმენტი იყო ის, რომ წინასწარ შეთანხმებით ჯგუფური ქურდობისათვის აუცილებელია, ორი პირის შეთანხმება **დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის** განხორციელების დაწყების მომენტამდე.

ამდენად, გადამწყვეტია, რომ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას ახორციელებდეს ორი პირი. [19]

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კანონიერია და მხარდაჭერას იმსახურებს.

§ 6. ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის ერთი სადავო საკითხი

I. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ისეთი ფაქტებიც გამოვლინდა, როცა ქმედების კვალიფიკაცია ნაწილობრივ არასწორია.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჯგუფური დანაშაულის საკითხი.

მაგალითი: 2016 წლის იანვარში თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვან ნ. თ-ძეს მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა ქურდობის მცდელობა, რაც ჩადენილია საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ (19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვ -ით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვ.-ით).

---

[19] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, ჯგუფური დანაშაულის სადავო საკითხები, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, მე-3 გამოც. გვ. 347-350.

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: არასრულწლოვანი ნ. თ-ძე და გამოძიებით დაუდგენელი სამი სხვა პირი მივიდნენ ქ. თბილისში ერთ-ერთ ქუჩაზე განთავსებულ ჩასარიცხ აპარატთან, ჩაქუჩის გამოყენებით დააზიანეს და გახსნეს მისი ჩასაკეტი და დაეუფლნენ აპარატში არსებულ თანხის შემგროვებელ ყუთებს, რომელთაგან ერთ-ერთში იყო 1600 ლარი, ხოლო მეორეში. ხურდა 66 ლარისა და 30 თეთრის ოდენობით. ისინი შემჩნეულ იქნენ პოლიციის მუშაკების მიერ, რომელთაც მოინდომეს მათი დაკავება. ოთხივე შეეცადნენ გაქცევას, საიდანაც მოხერხდა ერთ-ერთი მათგანის (ნ. თ-ძის) დაკავება. ხოლო დანარჩენი სამი კი გაიქცა. ამდენად, **ვერ მოხერხდა მათი პიროვნების დადგენა.**[20]

არასრულწლოვანმა ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და არა თუ არ აღიარა სამ პირთან ერთად ქურდობის მცდელობის ჩადენა, არამედ აღნიშნა, რომ იგი საერთოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, იგი ამ ადგილიდან დაახლ. 70 მეტრის მოშორებით იმყოფებოდა, სადაც უკანონოდ დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

ამდენად, ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის მცდელობის დასაბუთების მტკიცებულებად საქმეში არსებობს მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენება.

ამ ჩვენებების საფუძველზე კი ნამდვილად ვერ გაირკვევა, იყო თუ არა სისხლის სამართლის სუბიექტი ის სამი დაუდგენელი პიროვნება, რომელსაც მიუსწრეს შემთხვევის ადგილზე არასრულწლოვან ნ. თ-ძესთან ერთად, მაგრამ ისინი გაიქცნენ? კერძოდ, რა ასაკის იყვნენ ისინი (თუ იყვნენ 14 წელს მიღწეულები)? ანდა იყვნენ თუ არა ბრალუნარიანები (როგორი იყო მათი ფსიქიკური მდგომარეობა)?

II. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ლიტერატურაში ნაკლებად დამუშავებული ერთი სადავო საკითხი:

შესაძლებელია თუ არა ქმედების კვალიფიკაცია, როგორც ჯგუფური დანაშაულისა, როცა რაიმე დანაშაულის ობიექტურ შემადგენ-

---

[20] იხ. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/5773-15

ლობას ახორციელებს რამდენიმე პირი, საიდანაც მხოლოდ ერთია სისხლის სამართლის სუბიექტი, ხოლო დანარჩენი პირი კი ვერ ჩაითვლება ასეთად უასაკობისა თუ ფსიქიკური დაავადების გამო?

მაგალითად, ა და ბ უშუალოდ სჩადიან ძალადობით სქესობრივ დანაშაულს. ა არის შერაცხადი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი, ხოლო ბ შეურაცხადია და ეს ფაქტი იცის ა-მ.

გამოდის, რომ ძალადობით სქესობრივ დანაშაულს უშუალოდ სჩადის ორი პირი, საიდანაც ერთ-ერთი შეურაცხადია (უასაკობის ან ფსიქიკური დაავადების გამო).

საკითხავია, როგორ უნდა მოხდეს ამ მაგალითში შერაცხადი პირის (ა-ს) ქმედების კვალიფიკაცია? კერძოდ:

ა) მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ჯგუფურად ჩადენილი სქესობრივი დანაშაული (ვთქვათ, სსკ 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვ.), თუ

ბ) უნდა დაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის პირველი ნაწილით?

1.თავიდანვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: სადავო არაა, რომ შეურაცხადი პირი არ დაექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სადავოა მხოლოდ შერაცხადი პირის ქმედების კვალიფიკაცია.

შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევებში შერაცხადი პირის ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ჯგუფურობაზე მითითებით, ანუ სახეზეა ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული.

ამ მოსაზრების დასაბუთება შეიძლება დაზარალებულის პოზიციიდან, ხოლო **არგუმენტად შესაძლებელია დაზარალებულის ინტერესების** სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირატესობის მოყვანა.

კერძოდ, როცა სამართლებრივ სიკეთეს უშუალოდ აზიანებს რამდენიმი პირი, დაზარალებულისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ქმედების ჩამდენთაგან მხოლოდ ერთია სისხლის სამართლის სუბიექტი, ხოლო მეორე კი- არა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაზარალებულისათვის არავითარ შეღავათს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებაში მხოლოდ ერთი პირი იყო შერაცხადი. მთავარი

ისაა, რომ რამდენიმე პირის მიერ განხორციელებული ქმედებით სამართლებრივ სიკეთეს მომეტებული საფრთხე შეექმნა.

მართლაც, ჯგუფურობა მთელ რიგ დანაშაულებში იმიტომ წარმოადგენს მაკვალიფიცირებელ გარემოებას, რომ ამ დროს იზრდება ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, ანუ ჩადენილი უმართლობის ხარისხი. [21]

თუ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, მაშინ განსახილველ განაჩენში არასრულწლოვნის (ნ. თ-ძის) ქმედების კვალიფიკაცია, როგორც წინასწარ შეთანხმებით ჯგუფური ქურდობის მცდელობა, სწორი იქნება, რადგანაც საქმის მასალებით დადგენილად ჩაითვალა, რომ ქმედებას უშუალოდ ოთხი პირი ახორციელებდა (საიდანაც დადგინდა მხოლოდ ერთი პირის ვინაობა და დანარჩენი სამი პირისა კი – არა). ამდენად, მომეტებული იყო მათ მიერ ჩადენილი უმართლობის ხარისხი, რაც როგორც ქმედების ნიშანი, უნდა აისახოს ნ. თ-ძის ქმედების კვალიფიკაციაში.[22]

თუმცა საკითხავი სწორედ ისაა, თუ რამდენადაა მისაღები ზემოთ ხსენებული მოსაზრება?

სანამ ამ საკითხს ორ განსხვავებულ ვარიანტში განვიხილევთ, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ დასმული პრობლემა განსაკუთრებით საინტერესოა, როცა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ჩამდენ ორ პირთაგან ერთ-ერთი შეურაცხადია უასაკობის გამო.

ხოლო უკეთუ ეს ერთი პირი შეურაცხადია ფსიქიკური დაავადების გამო, ამ შემთხვევაში არაა ტიპური შერაცხადი პირის მიერ მისი გამოყენება ძალადობითი დანაშაულის უშუალოდ ჩასადენად და თანაც იმ შემთხვევაში, როცა თავად ეს მეორე პირიც მასთან ერთად ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას.

საქმე შემდეგშია: ამ დროს პირს, ვინც იყენებს ფსიქიკურად დაავადებულს, არავითარი გარანტია არ ექნება იმისა, რომ ფსიქიკურად

---

[21] იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 171; ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, დასახ. სახელმძღ. გვ. 352-356.

[22] ქმედების ნიშნის არსსა და პერსონალურ ნიშანთან მისი განსხვავების საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018 (მე-3 გამოც.), გვ.352-360.

დაავადებული სწორედ მისთვის სასურველ ქმედებას განახორციელებს სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისას – შეუძლებელია ფსიქიკურად დაავადებულის ქმედების პროგნოზირება. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მას არავითარი გარანტია არა აქვს იმისა, რომ ფსიქიკურად დაავადებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთობლივად განხორციელებისას არ ხელყოფს თავად მის სამართლებრივ სიკეთეს, ან უკეთეს შემთხვევაში, არ შეუქმნის მას საფრთხეს.

მაგალითი: პეტრემ გადაწყვიტა პავლეს მოკვლა. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა სულით დაავადებულ ვასოს და შეაგულიანა იგი, ერთობლივად მოეკლათ პავლე.

როცა ისინი შეუდგებიან მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას, დიდი ალბათობით მოსალოდნელია, სულით ავადმყოფი ვასო პეტრეს მოსაკლავად აღიძრას, რადგან არავინ იცის (და მათ შორის არც თავად ვასომ), ძალადობითი ქმედების დაწყების შემდეგ მხედველობითი თუ სმენითი ჰალუცინაციები რა ქმედების ჩადენისკენ უბიძგებენ სულით ავადმყოფს.

ამდენად, პრაქტიკულად უფრო საინტერესო და რეალური იქნება, დასმული პრობლემა განვიხილოთ იმ შემთხვევის მაგალითზე, როცა სისხლის სამართლის სუბიექტი დანაშაულის ობიექტურ შემადგებლობას ახორციელებს **უასაკობის გამო** შეურაცხად პირთან ერთად.

შეურახცადობა უასაკობის გამო არის სამართლებრივი ფიქციის [23] ერთ-ერთი გამოვლინება, რადგანაც ის ფაქტი, რომ სუბიექტი ჯერ არ გამხდარა 14 წლის, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მას არც ერთ შემთხვევაში არა აქვს უნარი, გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი მხარე და მართლწინააღმდეგობა, ან უხელმძღვანელოს მას.[24]

2. თავდაპირველად განვიხილოთ დასმული პრობლემის პირველი ვარიანტი. კერძოდ, ლიტერატურაში გამოთქმულ არგუმენტებს დავამატოთ სხვა არგუმენტები, რაც გაამყარებს ხსენებული მოსაზრებას:

[23] ფიქციის შესახებ იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004, გვ. 197

[24] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, დასახ. სახელმძღანელო, გვ. 422.

ა) იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულში უშუალოდ მონაწილეობს ორი პირი, საიდანაც მხოლოდ ერთია სისხლის სამართლის სუბიექტი, პრობლემას არ წარმოადგენს ამ ერთი შერაცხადი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიცირება ჯგუფურ დანაშაულად, რადგან:

დოგმატურად არაა რთული იმის მტკიცება, რომ ეს პირი (ამ შემთხვევაში ქურდობის მცდელობის ჩამდენი ნ. თ-ძე) ჩაითვალოს როგორც დანაშაულის უშუალო ამსრულებლად, ისე შუალობით ამსრულებლად.

კერძოდ, **უშუალო** ამსრულებლად დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის იმ ნაწილისა, რაც მან განახორციელა საკუთარი ხელითა და საკუთარი გონებით. **შუალობით** ამსრულებლად კი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის იმ ნაწილისა, რაშიც მან „ცოცხალ იარაღად" გამოიყენა შეურაცხადი პირი.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, თუკი ნ. თ-ძემ ჩაქუჩით გატეხა და შემდეგ გახსნა ფულის შემგროვებელი ყუთები, იგი იქნება ამ ქმედების უშუალო ამსრულებელი (რადგან საკუთარი ხელითა და გონებით განახორციელა იგი).

ხოლო თუკი მასთან მყოფი სხვა პირები (რომლებიც არ იყვნენ სს სუბიექტები უასაკობის ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო) დაეუფლნენ ამ ყუთებს, სადაც ფული ინახებოდა, ნ. თ-ძე იქნება ამ ქმედების შუალობითი ამსრულებელი (რადგან ეს ქმედება ჩაიდინა შეურაცხადი პირების მეშვეობით – ე.ი. საკუთარი გონებით, მაგრამ სხვისი ხელებით).

ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საერთოდ, შესაძლებელია ერთი პირი (ზემოთ მოყვანილ მაგალითში ნ. თ-ძე), ერთსა და იმავე დანაშაულში იყოს როგორც უშუალო, ისე შუალობითი ამსრულებელი და ამ თვალსაზრისით სახეზე იყოს დანაშაული, ჩადენილი ჯგუფურად, სადაც იურიდიული და ფაქტობრივი მხარე არ ემთხვევა ერთმანეთს – **ფაქტობრივად ერთი ამსრულებელი** (ამ მაგალითში ნ. თ-ძე), **იურიდიულად ორ ამსრულებლად ითვლება.**

ბ) ამ მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება სხვა არგუმენტის მოშველიებაც:

როცა პირი (მაგ., „ა") თავად უშუალოდ არ ახორციელებს და-

ნაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, არამედ ბრალუუნარო პირის (მაგ., „ბ“-ს) ხელებს იყენებს დანაშაულის ჩასადენად, სადავო არაა, რომ ეს პირი (ანუ „ა“) იურიდიულად ითვლება დანაშაულის ამსრულებლად (კერძოდ, შუალობით ამსრულებლად).

აქედან გამომდინარე, **ჩნდება ლოგიკური კითხვა:** იმ შემთხვევაში, როცა ამ ცოცხალ იარაღთან ერთად პირი თავადაც ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობის ნაწილს, რატომ უნდა ჩაითვალოს იგი **მხოლოდ უშუალო ამსრულებლად** და რატომ უნდა დარჩეს **შეფასების გარეშე** ის ფაქტი, რომ მან სხვა პირიც გამოიყენა „ცოცხალ იარაღად“ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილის განხორციელებაში?

ამ ლოგიკით, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს ამ პირის ქმედების შეფასება, როგორც ერთპიროვნული ამსრულებლისა. პირიქით, გამართლებული იქნება ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასება, როგორც ჩადენილი ჯგუფურად, სადაც იგი ერთდროულად არის როგორც უშუალო, ისე შუალობითი ამსრულებელი.

ყველაფრი ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მართალია, ფაქტობრივად სახეზეა სისხლის სამართლის ერთი სუბიექტი, მაგრამ იურიდიულად იგი ორი სახის ამსრულებელია (როგორც შუალობითი, ისე უშუალო).

გ) ხსენებული მოსაზრების სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტის გამოყენება შეიძლება და იგი დაკავშირებულია **ჯგუფური დანაშაულის სამართლებრივ ბუნებასთან.**

კერძოდ, სისხლის სამართალში ჯგუფური დანაშაული იმიტომ ითვლება მაკვალიფიცრებელ გარემოებად, რომ ორი ან მეტი პირის მიერ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთობლივად განხორციელებისას მაღლდება ამ დანაშაულის საზოგადეობრივი (ანუ სოციალური) საშიშროების ხარისხი (სახეზეა მეტი ხარისხის უმართლობა). ამ დროს პირები აერთიანებენ ძალებს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის წინააღმდეგ.[25]

სწორედ ამიტომაა ჯგუფურობა ობიექტური ნიშნით დამძიმე-

[25] ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, მე-3 გამოც. გვ. 368-369.

ბული გარემოებაა.[26]

გარდა ამისა, ჯგუფურ დანაშაულში მონაწილე სუბიექტებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ის ფაქტი, რომ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობის განხორციელებისას ისინი მარტო არ არიან, არამედ სხვა პირთან ერთად მოქმედებენ, რაც მათ მეტად შეუპოვარს და თავდაჯერებულს ხდის. შესაბამისად, თუ მათ არა აქვთ გაცნობიერებული, რომ სხვა პირთან ერთად მოქმედებენ, მაშინ სახეზე არაა თანაამსრულებლობა (ანუ ჯგუფურობა), არამედ სახეზეა პარალელური ამსრულებლობა.[27]

ამდენად, ჯგუფური დანაშაულისთვის აუცილებელია არა მარტო ობიექტური (ორი ან მეტი პირის ერთობლივი მოქმედება ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისას), არამედ სუბიექტური ნიშნის არსებობაც (ამ პირებს შეცნობილი უნდა ჰქონდეთ ერთობლივად მოქმედების ფაქტის **სამართლებრივი მნიშვნელობა).**

რა ხდება ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში?

ამ დროს სახეზე გვაქვს ჯგუფურობის ორივე ნიშანი:

ა) ობიექტურად ორი პირი ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას (სხვა საკითხია, რომ მხოლოდ ერთი მათგანია შერაცხადი – სისხლის სამართლის სუბიექტი) და

ბ) ამ პირთაგან ერთ-ერთს (შერაცხადს) გაცნობიერებული აქვს, რომ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისას იგი მარტო არაა (მასში სხვისი ხელებიცაა ჩართული).

საბოლოოდ, ამ მოსაზრების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული მაშინაცაა სახეზე, როცა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში უშუალოდ

---

[26] ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოების არსზე იხ. 6. თოდუა, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებელი ან პრივილეგირებული შემადგენლობის მნიშვნელობა ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბ. 2016, გვ. 23-27; 6. თოდუა, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებელი ან პრივილეგირებული შემადგენლობის მნიშვნელობა ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დასახ. სახელმძღვანელო, გვ. 352-355.

[27] იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი; დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 196-199.

მონაწილეობს მინიმუმ ორი პირი, საიდანაც მხოლოდ ერთია სისხლის სამართლის სუბიექტი.

3. ახლა კი უნდა განვიხილოთ დასმული პრობლემის სამართლებრივი შეფასების მეორე ვარიანტი, ანუ ზემოთხსენებული მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტები, რომლის მიხედვითაც ჯგუფურობისთვის აუცილებელია არა მარტო სულ მცირე, ორი პირის მიერ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის უშუალოდ განხორციელება, არამედ ასევე აუცილებელია, რომ ამ პირთაგან სულ მცირე, ორი მათგანი იყოს შერაცხადი (შესაბამის ასაკს მიღწეული, ბრალუნარიანი პირი – სისხლის სამართლის სუბიექტი). წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც ჩადენილი ჯგუფურად.

საქმე ისაა, რომ სანამ დანაშაულს დავაკვალიფიცირებთ, როგორც ჩადენილს ჯგუფურად, **ჯერ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას:** იურიდიულად (და არა მხოლოდ ფაქტობრივად) ვინ არიან ამ ჯგუფის წევრები?

საქმე ისაა, რომ „ჯგუფის წევრებში" უნდა ვიგულისხმოთ არა მისი ფაქტობრივი, არამედ იურიდიული გაგება.

მართლაც, დანაშაულის ჯგუფურად კვალიფიკაციისათვის **არაა საკმარისი** მხოლოდ ის ფაქტი, რომ მას უშუალოდ ერთზე მეტი (ორი ან მეტი) პირი ახორციელებდეს (თუმცა უდავოა, რომ ამით ქმედების საფრთხის ხარისხი მართლაც იზრდება). ამგვარი კვალიფიკაციისათვის ასევე აუცილებლია, ამ ქმედების ჩამდენი მინიმუმ ორი პირი იყოს **სისხლის სამართლის სუბიექტი (ანუ შერაცხადი).**

საიდან კეთდება ასეთი დასკვნა?

ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს რამდენიმე გარემოება:

1. სსკ 27-ე მუხლი იძლევა ჯგუფური დანაშაულის ცნებას, რომლის პირველ ნაწილში აღნიშნულია: „დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი".

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ხაზს უსვამს იმას, რომ ჯგუფურობისათვის აუცილებელია **ამსრულებელთა** ერთობლივი მოქმედება.

მათი ერთობლივი მოქმედება ასევე აუცილებელია წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურ დანაშაულშიც.[28]

რაც შეეხება თავად ამსრულებელს, სადავო არაა, რომ იგი შეიძლება იყოს **არა ნებისმიერი** პირი, **არამედ მხოლოდ ის,** ვინც აკმაყოფილებს სისხლის სამართლის სუბიექტის მოთხოვნას (ასაკი და ბრალუნარიანობა). [29]

ამდენად, ჯგუფური დანაშაული (როგორც წინასწარ შეუთანხმებელი, ისე წინასწარ შეთანხმებული) სახეზე რომ იყოს, აუცილებელია, მისი ობიექტური შემადგელობის განხორციელებაში **მონაწილეობდეს არა** ორი ნებისმიერი პირი, **არამედ სულ მცირე,** სისხლის სამართლის ორი სუბიექტი **(ორი ამსრულებელი),** რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ **ერთად მოქმედების ფაქტი და მისი სამართლებრივი მნიშვნელობა.** ამიტომ თუ ამ პირთაგან მხოლოდ ერთი პირია ბრალუნარიანი, გამოვა რომ მხოლოდ ერთს აქვს გაცნობიერებული სხვა პირთან ერთად მოქმედების ფაქტის სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც გამორიცხავს ქმედების ჯგუფურად ჩადენით კვალიფიკაციის შესაძლებლობას;

2. განსახილველი საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას, როცა საქმე ეხება წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურ დანაშაულს.

გასარკვევია: რას ნიშნავს **„წინასწარი შეთანხმება“ და** რა არის ის ელემენტები, რაც აუცილებლად უნდა იყოს სახეზე, რათა ქმედება ამ დამამძიმებელ გარემოებად დაკვალიფიცირდეს?

მასში კუმულაციურად იგულისხმება **რამდენიმე ელემენტი:**

ა) შეთანხმების სუბიექტები უნდა იყვნენ თანაამსრულებლები (და არა ერთი ამსრულებელი და მეორე თანამონაწილე);[30]

ბ) შეთანხმება უნდა მოხდეს წინასწარ (ანუ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დაწყებამდე (მაგ., მომზადების სტადიაზე);

გ) შეთანხმების ორივე მონაწილეს გააზრებული უნდა ჰქონდეს

---

[28] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2015; ასევე ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მე-3 გამოც. თბ. 2018. გვ 347-350.

[29] სისხლის სამართლის სუბიექტზე იხ. გ. ნაჭყებია, დასახ. სახელმძღ, გვ. 117-118.

[30] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, დასახ. სახელმძღვანელოში, გვ. 347-352.

ამ შეთანხმების სამართლებრივი მნიშვნელობა.

ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს, რომ თუ შეთანხმების სამართლებრივი არსი გაცნობიერებული აქვს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, ხოლო მეორეს კი – არა (მისი ბრალუუნარობის გამო), მაშინ ასეთი ფაქტობრივი შეთანხმება ვერ ჩაითვლება წინასწარ შეთანხმებად მისი სამართლებრივი გაგებით.

ამდენად, განსახილველი პრობლემა **განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს** წინასწარ შეთანხმებით ჩადენილ ჯგუფურ დანაშაულში. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ პირები მოქმედებდნენ წინაწარ შეუთანხმებლად, მაშინ შესაძლებელია ქმედების კვალიფიკაცია, როგორც ჩადენილი ჯგუფურად მაშინაც, როცა ორი პირიდან ერთ-ერთი შეურაცხადი იყო.

მაგალითად, სრულწლოვანი პეტრე ბინაში შეიჭრა ყაჩაღობის მიზნით და ბინის პატრონს ფული მოსთხოვა. რამდენიმე წუთში ამავე ბინაში ასევე ყაჩაღობის მიზნით შევიდა მცირეწლოვანი (13 წლის) ვასო, რომელსაც პეტრე იცნობდა. მათ ერთად გააგრძელეს ყაჩაღური ქმედება და ერთად გამოიტანეს „ნადავლი".

მართალია, ეს ქმედება არ იყო განხორციელებული წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ პეტრეს ქმედება მაინც ვერ დაკვალიფიცირდება ჯგუფურ ყაჩაღობად, რაც ჩადენილია წინასწარ შეუთანხმებლად (13 წლის ვასო, რა თქმა უნდა, არ დაექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას).

საქმე ისაა, რომ თუკი პირთა ქმედებას ვაფასებთ, როგორც წინასწარ შეუთანხმებელს, თუ წინასწარ შეთანხმებულს, ორივე შემთხვევაში „შეთანხმებაში" უნდა ვიგულისხმოთ მხარეთა ისეთი კავშირი, როცა შეთანხმების სუბიექტებს (მინიმუმ ორს მაინც) გაცნობიერებული აქვს ამ შეთანხმების სამართლებრივი (და არა მხოლოდ ფაქტობრივი) არსი. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს მოკლებულია საკითხის დასმა იმაზე, ჯგუფი წინასწარ შეთანხმებული იყო, თუ წინასწარ შეუთანხმებელი;

3. ქმედების თანაამსრულებლობით (როგორც წინასწარ შეუთანხმებელ, ისე წინასწარ შეთანხმებულ ჯგუფურ დანაშაულში) კვალიფიკაციისათვის საკმარისი არაა მხოლოდ ორი პირის ერთობლივი,

უშუალო ქმედება და მიზეზობრივი კავშირის არსებობა თითოეულის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. თანაამსრულებლობისათვის **ასევე აუცილებელია, თითოეულ ამსრულებელს** გააზრებული ჰქონდეს მოცემულ შემთხვევაში მეორე ამსრულებლის არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **თითოეულს** გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ მასთან ერთად დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას (თუნდაც მის ნაწილს) სხვა პირიც ასრულებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ფაქტობრივი ერთობლივი ქმედება თანაამსრულებლობად ვერ დაკვალიფიცირდება.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს ე.წ. ალტერნატიული (ანუ ორმაგი მიზეზობრიობა) და კუმულაციური მიზეზობრიობა.

ატერნატიული მიზეზობრიობის კლასიკური მაგალითია შემდეგი შემთხვევა: პეტრე და პავლე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სასმელში საწამლავს ჩაუყრიან ივანეს. ივანე სასმელს დალევს და გარდაიცვლება. ექსპერტიზა დაადგენს, რომ თითოეულის მიერ ჩაყრილი საწამლავის დოზა სავსებით საკმარისი იყო ამ შედეგის დასადგომად.[31]

პეტრე და პავლე პასუხს აგებენ განზრახი მკვლელობისათვის, როგორც პარალელური ამსრულებლები **და არა როგორც თანაამსრულებლები.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეული მათგანის ქმედება დაკვალიფიფიცრდება განზრახი მკვლელობით (108-ე მ.) **და არა ჯგუფური მკვლელობით.**

რაც შეეხება კუმულაციურ მიზეზობრიობას, მისი კლასიკური მაგალითია შემდეგი შემთხვევა: პეტრე და პავლე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ივანეს სასმელში საწამლავს ჩაუყრიან. ივანე სასმელს დალევს და გარდაიცვლება. ექსპერტიზა დაადგენს, რომ ივანეს მოსაკლავად არ იყო საკმარისი საწამლავის თითოეული დოზა, არამედ აუცილებელი იყო ამ ორი დოზის ურთიერთქმედება.[32]

---

[31] ალტერნატიული მიზეზობრიობის შესახებ იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, გვ. 153; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 100-102.

[32] კუმულაციურ მიზეზობრიობაზე იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დასახ. სახ-

უფრო დასაბუთებული მოსაზრების მიხედვით, პეტრე და პავლე პასუხს აგებენ მკვლელობის მცდელობისათვის არა როგორც თანაამსრულებლები, არამედ როგორც პარალელური ამსრულებლები.[33]

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მარტივი განზრახი მკვლელობის მცდელობა (19, 108-ე მ.) **და არა როგორც ჯგუფური მკვლელობის** მცდელობა.

განსხვავევული მოსაზრების მიხედვით ისინი პასუხს აგებენ დამთავრებული მკვლელობისათვის, როგორც პარალელური ამსრულებლები.

როგორც ვხედავთ, როგორც ერთი, ისე მეორე მოსაზრების მიხედვით სადავო არაა, რომ სახეზეა **არა თანაამსრულებლობა,** არამედ სახეზეა **პარალელური ამსრულებლობა.**

საკითხავია: რატომ არიან ისინი პარალელური ამსრულებლები დაუმთავრებელ, თუ დამთავრებულ მკვლელობაში და არა თანაამსრულებლები?

თავდაპირველად განვიხილოთ ეს საკითხი ალტერნატიული მიზეზობრიობის მაგალითზე.

ასეთი კითხვა ლოგიკურად ისმის, რადგან:

ა) სახეზეა ორი ამსრულებელი, რომელიც უშუალოდ ასრულებს დანაშაულის (ამ შემთხვევაში მკვლელობის) ობიექტურ შემადგენლობას;

ბ) ამავე დროს, ორივეს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან (მსხვერპლის გარდაცვალებასთან). კერძოდ, ორივეს ქმედებასთან მიზეზობრივი კავშირის არსებობას ხელს ვერ შეუშლის ის ფაქტი, რომ თითოეულის მიერ გამოყენებული შხამის დოზა სავსებით საკმარისი იყო სასიკვდილო შედეგის ამჯერად გამოწვევისათვის, რადგან ცნობილია, რომ რაც უფრო მეტი ოდენობითაა გამოყენებული შხამი მსხვერპლის მოსაკლავად, მით უფრო სწრაფად და გარანტირებულიად დგება სიკვდილი;[34]

ელმძღვანელოში, გვ. 153-154; მ. ტურავა, დასახ. სახელმძღ. გვ. 102.

[33] თუ რატომაა ეს მოსაზრება უსფო დასაბუთებული, ამ საკითხზე იხ. მ. ტურავა, დასახ. სახელმძღვანელო, გვ. 102-103.

[34] იხ. ნ. თოდუა, თანაამსრულებლობის საკითხი შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში, წიგნში: ოთარ გამყრელიძე – 80, საიუბილეო-სამეცნიერო

გ) ორივე ამსრულებელი მოქმედებდა მსხვერპლის მოკვლის მიზნით.

ყველაფერი ამის მიუხედავად, ისინი არ არიან თანაამსრულებლები, არამედ პარარელური ამსრულებლები არიან. საქმე ისაა, რომ მათ არ ჰქონდათ გაცნობიერებული ერთმანეთის ქმედება. აქედან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონდა მათი ძალების შეგნებულად გაერთიანებას მსხვერპლის წინააღმდეგ, რაც აუცილებელია ჯგუფური დანაშაულის არსებობისათვის.[35]

ამჟამად, პასუხი უნდა გაეცეს ზემოთ დასმულ კითხვას **კუმულაციური მიზეზობრიობის** შემთხვევასთან მიმართებაში.

აქ ეს **კითხვა უფრო მწვავედ დგას,** რადგან გარდა იმისა, რომ ორივე ამსრულებელს სურდა სასიკვდილო შედეგის გამოწვევა, ეს შედეგი არ დადგებოდა, რომ არა ორივეს ქმედება. კერძოდ, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის ქმედებას მსხვერპლის სიკვდილი არ მოჰყვებოდა, რადგან თითოეულის მიერ გამოყენებული შხამის დოზა არ იყო საკმარისი სასიკვდილო შედეგის ამჯერად გამოწვევისათვის. ამის მიუხედავად, ისინი არ ითვლებიან თანაამსრულებლად.

ამ საკითხს სადავოდ არ ხდიან იმ მოსაზრების მომხრეებიც, რომლებიც მხარს უჭერენ კუმულაციური მიზეზობრიობის დროს ქმედების კვალიფიკაციას დამთავრებულ მკელელობად (და არა მკვლელობის მცდელობად).

რატომ ვერ ჩაითვლებიან ამსრულებლები თანაამსრულებლებად კუმულაციური მიზეზობრიობის დროს, როცა **ორივეს ქმედებამ ერთად აღებულმა** (და არა ცალ-ცალკე აღებულმა) გამოიწვია სასიკვდილო შედეგი?

საქმე ისაა, რომ ვინაიდან ამ პირებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული ერთმანეთის მოქმედება (ანუ ადგილი არ ჰქონდა ძალებს შეგნებულ გაერთიანებას მსხვერპლის წინააღმდეგ), თითოეულ მათგანს არ შეიძლება შეერაცხოს ის შედეგი, რისი ავტორიც იგი მარტო მოქმედების შემთხვევაში ვერ იქნებოდა.

შესაბამისად, მათ გაცნობიერებული რომ ჰქონოდათ ერთმანეთის ქმედება (ანუ ადგილი რომ ჰქონოდა მათი ძალების შეგნებულ

კრებული, თბ. 2016, გვ.371.

[35] იხ. ნ. თოდუა, იქვე, გვ. 369-370.

გაერთიანებას მსხვერპლის წინააღმდეგ), ისინი ჩაითვლებოდნენ მკვლელობის თანაამსრულებლებად (და არა პარალელურ ამსრულებლებად). ამ დროს არ დადგებოდა საკითხი იმის თაობაზე, იქნებოდა თუ არა თითოეული მათგანი ამ შედეგის ავტორი იმ შემთხვევაში, დამოუკიდებლად რომ ჩაედინა ეს ქმედება. საქმე ისაა, რომ სსკ 22-ე მუხლის მიხედვით ამსრულებელია ასევე ის, ვინც, სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანაამრულებლობისათვის არაა აუცილებელი, ამსრულებლები უშუალოდ ასრულებდნენ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს, არამედ საკმარისია, ისინი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ასრულებდნენ ობიექტური შემადგენლობის ცალკეულ ნაწილს.[36]

გამომდინარე აქედან საკითხი, იქნებოდა თუ არა ეს პირი ამ შედეგის ავტორი მაშინ, თუკი იგი დამოუკიდებლად ჩაიდენა ამ ქმედებას, დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებლებმა არ იციან ერთმანეთის ქმედების შესახებ.

ყველაფერი ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თანაამსრულებლობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ამსრულებლებს გაცნობიერებული აქვთ ერთმანეთის ქმედების ფაქტობრივი და სამართლებრივი მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ასაკს მიღწეული და ბრალუნარიანი პირებიც რომ იყვნენ, თანაამსრულებლებად არ ჩაითვლებიან;

4. ამ სადავო საკითხის გადასაწყვეტად ასევე გამოგვადგება სსკ 22-ე მუხლი, სადაც მოცემულია სამი სახის ამსრულებლის (ერთპიროვნული, თანაამსრულებელი და შუალობითი ამსრულებელი) ცნება.

ამ სამი სახის ამსრულებლიდან ორდინალურ სახეებს წარმოადგენს პირველი და მეორე – ერთპიროვნული ამსრულებელი და თანაამსრულებელი, რადგან ორივე მათგანი უშუალოდ სჩადის დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას (ერთპიროვნული ამსრულებელი

[36] იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, რედ. გ. მამულაშვილი, თბ. 2017, გვ. 74-75.

მთლიანად, ხოლო თანაამსრულებელი – მის ნაწილს). [37]

არაორდინალურია შუალობითი ამსრულებლობლობა. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: როცა დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას უშუალოდ ასრულებს ბრალუუნარო პირი, იგი ვერ ჩაითვლება დანაშაულის ამსრულებლად, რადგან ის არაა სისხლის სამართლის სუბიექტი. ამ შემთხვევაში შუალობით ამსრულებლად ჩაითვლება პირი, ვინც იგი გამოიყენა „ცოცხალ იარაღად". სწორედ ამიტომ ჰქვია მას „შუალობითი" (და არა „უშუალო") ამსრულებელი.[38]

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შუალობითი ამსრულებლობის საკითხი **დღის წესრიგში მხოლოდ მაშინ დგას,** როცა „დანაშაულის ხელები" სამართლებრივი დეფექტით ხასიათდება – იგი ან არაა სისხლის სამართლის სუბიექტი, ანდა სხვა სამართლებრივი ნაკლის მქონეა (მაგალითად, შეცდომაშია შეყვანილი) და გამოყენებულია „ცოცხალ იარაღად".

სხვაგვარად რომ ვთქვათ, შუალობითი ამსრულებლობა მაშინაა სახეზე, როცა პირი, რომელიც სხვას იყენებს „ცოცხალ იარაღად", თავად საკუთარი ხელებით არ ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. იგი დგას ფაქტობრივი ამსრულებლის (ცოცხალი იარაღის) უკან – ამოფარებულია მას. სწორედ ამიტომ ჰქვია დოქტრინაში შუალობით ამსრულებელს „უკანა კაცი".

აქედან შემდეგი დასკვნა უნდა გაკეთდეს: თუ სისხლის სამართლის სუბიექტი თავადაც უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის იბიექტური შემადგენლობის განხორციელებაში ბრალუუნარო (შეურაცხად) პირთან ერთად, მაშინ დღის წესრიგში არ დადგება შუალობითი ამსრულებლობის საკითხი, არამედ სახეზე იქნება უშუალო ამსრულებლობა.

---

[37] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, წიგნი მე-2, თბ. 2017, გვ. 74-75.

[38] შუალობით ამსრულებლობაზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 119-133; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 266-272; გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, მე-3 გამოც. გვ. 304-305; 308-312; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174-195; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ.326-330.

შესაბამისად, გასაზიარებელია პროფ. თ. წერეთლის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის შუალობითი შესრულება თანამონაწილეობის ფორმას არ წარმოადგენს. **შუალობითი ამსრულებელი იგივე ერთპიროვნულად მოქმედი** დამნაშავეა.[39]

5. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ლიტერატურაში პარალელურ ამსრულებლობის გამოვლინებად მიჩნეული, ე.წ. მანიპულირებული error in persona-ს შემთხვევა.

მასში იგულისხმება ისეთი ვითარება, როცა ერთი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას სხვა (მეორე) პირი იყენებს საკუთარი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. ეს ის შემთხვევაა, როცა „უკანა კაცი" ამსრულებელს, ანუ „წინა კაცს" პიროვნებაში შეცდომას ჩაადენინებს (ე.ი. შეაცდენს მსხვერპლის პიროვნებაში) და მის მიერ განზრახულს კი არა, სხვა კაცს მოაკვლევინებს.[40]

ქრესთომატიული მაგალითი: პეტრეს სურს პავლეს მოკვლა. ივანეს კი – ვასოსი. ივანე დაარწმუნებს პეტრეს, რომ სილუეტი, რომელიც საღამოს ბინდბუნდში ეზოში ჩანს, სწორედ ის პავლეა, რომლის მოკვლაც პეტრეს სურს. სინამდვილეში კი იგი ვასოა და ეს იცის ივანემ. პეტრე მოკლავს ვასოს, რომელიც პავლე ჰგონია.

რა თქმა უნდა, ამ მაგალითში პეტრე არაა ივანეს „ცოცხალი იარაღი", რადგან იგი სრული დელიქტუნარიანობით მოქმედებს – განზრახ კლავს ადამიანს. პეტრე მკვლელობის ამსრულებელია, რადგან პიროვნებაში შეცდომა სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია.[41]

შესაბამისად, პავლე არაა შუალობითი ამსრულებელი, რადგან არ იყენებს „ცოცხალ იარაღს" მკვლელობის ჩასადენად. იგი თანამონაწილეა მკვლელობაში (საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, იგი წამქეზებელი, ან დამხმარეა).

იურიდიულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ ეს შემთხვევა დაკვალიფიცირდეს პარალელურ ამსრულებლობად, ე.ი. პეტრეც და

---

[39] იხ თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, ტომი მე-2, გვ. 133.

[40] იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დასახ. ნაშრ. გვ. 185-186; 196-197.

[41] პიროვნებაში შეცდომის საკითხზე იხ. მ. ტურავა, დასახ. სახელმძღ. გვ. 156-157; ი. ხერხეულიძე, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018 (მე-3 გამოც.), გვ. 177-184.

ივანეც დაისაჯონ, როგორც მკვლელობის დამოუკიდებელი (პარალელური) ამსრულებლები.[42]

მართალია, ეს მოსაზრება (ივანეს მიჩნევა პარალელურ ამსრულებლად) ვერ იქნება გაზიარებული ქართულ დოგმატიკაში, რადგან საქართველოს სსკ 22-ე მუხლის მიხედვით (განსხვავებით გფ სს კოდექსისაგან), უშუალო ამსრულებლობისათვის აუცილებელია პირი უშუალოდ სჩადიოდეს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას,[43] ხოლო რაც შეეხება შუალობით ამსრულებელს, იგი უნდა იყენებდეს არა სრული დელიქტუნარიანობით მოქმედ პირს, არამედ შეურაცხადს, ან სამართლებრივ (და არა ფაქტობრივ) შეცდომაში შეყვანილ პირს, მაგრამ ყველაფერი ეს საკითხის სხვა მხარეა და ამჯერად იგი არაა ჩვენთვის საინტერესო.

ჩვენთვის განსახილველ პრობლემასთან მიმართებაში საინტერესოა ამ მოსაზრების სხვა ასპექტი.

კერძოდ, საინტერესოა, რას გულისხმობენ ამ მოსაზრების ავტორები, რომლებიც მხარს უჭერენ ორივე პირის (პეტრესა და ივანეს) პარალელურ ამსრულებლად მიჩნევას?

როცა ამ მოსაზრების ავტორები მათ მიიჩნევენ **არა თანაამსრულებლებად**, არამედ **პარალელურ ამსრულებლებად**, ისინი გულისხმობენ შემდეგს: „წინა კაცი" (ანუ პეტრე) არის მკვლელობის უშუალო ამსრულებელი, ხოლო „უკანა კაცი" (ანუ ივანე) არის ამ მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი, რადგან მან გამოიყენა წინა კაცი მისთვის სასურველი (და არა პეტრესთვის სასურველი) ადამიანის მოსაკლავად.[44]

---

[42] Gropp, AT &10/Rn. 54; Hainrich, AT II Rn. 1188; Kindhauser, AT &39/Rn.4; Wessels/Boilke, AT &13/Rn. 525 (სქოლიო აღებულია ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 186).

[43] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2015, გვ. 52-54; ასევე ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018. მე-3 გამოც. გვ. 351-352.

[44] განსხვავებით ქართული დოგმატიკისაგან, თუ რატომაა შესაძლებელი გერმანულ დოგმატიკაში ამ დროს შუალობითი ამსრულებლობა, ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, დასახ. სახელმძღვენელო, გვ, 350-352.

მაგრამ აქვე ისმის **სხვა კითხვა,** რაც პირდაპირ კავშირშია ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ პრობლემასთან:

თუკი ორივენი – პეტრეც და ივანეც არიან ამ მკვლელობის ამსრულებლები, რა მნიშვნელობა აქვს ამსრულებლის რომელ სახეს წარმოადგენს თითოეული მათგანი და **რატომ არ უნდა ჩაითვალონ** ისინი თანაამსრულებლებად – ისინი ხომ შეთანხმებულად მოქმედებდნენ? [45] სხვაგვარად რომ ვთქვათ, რატომ მიიჩნევენ ამ მოსაზრების ავტორები მათ პარალელურ ამსრულებლებად და **არა თანაამსრულებლებად?**

საქმე ისაა, რომ როცა ამა თუ იმ საქმეში სახეზეა მხოლოდ **ერთი უშუალო** ამსრულებელი, მეორე პირი შუალობითი ამსრულებელიც რომ იყოს (სხვა საკითხია, რომ ქართულ სინამდვილეში, ე.წ. მანიპულირებული error in persona-ს შემთხვევაში სახეზე არაა შუალობითი ამსრულებლობა), ქმედება თანაამსრულებლობას მაინც ვერ მოგვცემს.

რატომ?

იმიტომ, რომ თანაამსრულებლობისათვის საჭიროა, სახეზე იყოს **მინიმუმ ორი ერთი და იგივე სახის ამსრულებელი.**

კერძოდ, ორი უშუალო ამსრულებელი, ორივე შერაცხადი პირი, რომლებიც წინასწარ შეუთანხმებლად, თუ წინასწარი შეთანხმებით ერთობლივად, უშუალოდ, მეტ-ნაკლები ინტენსივობით ახორციელებენ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას.

ამ მოსაზრებას ერთხელ კიდევ ადასტურებს ქმედებაზე ბატონობის თეორიაც, რომლის მიხედვით თანაამსრულებლად ითვლება ის პირიც, რომელიც ფუნქციონალურად დაკავშირებულია მისი განხორციელების **უშუალო პროცესთან** დარაჯად დგომიდან გამომდინარე, ამსრულებლის გამხნევების ფაქტით (სხვა საკითხია, რომ ასეთი პირი ჩვენი კანონმდებლობით ფსიქიკურ დამხმარედ ითვლება).

თანაამსრულებლობისათვის საჭირო ზემოთ ხსენებულ მოთხოვნებს კი ე.წ. მანიპულირებული error in persona-ს შემთხვევა ვერ აკმაყოფილებს, რადგან აქ სახეზეა **მხოლოდ ერთი უშუალო** ამს-

[45] პარალელური ამსრულებლობის არსის შესახებ იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 196-199.

რულებელი, ანუ უშუალოდ მხოლოდ ერთი პირი ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. მეორე პირი კი ამ მოსაზრების მიხედვით შუალობითი ამსრულებელია და არა უშუალო. ამიტომაც იგი არაა მიჩნეული თანაამსრულებლად.

ამდენად, **არაა სახეზე ერთი და იგივე სახის ამსრულებლები,** რაც გამორიცხავს თანაამსრულებლობას.

რადგან ეს ასეა, მით უმეტეს, როცა სახეზეა სისხლის სამართლის მხოლოდ ერთი სუბიექტი, როგორ შეიძლება სახეზე იყოს თანაამსრულებლობა და ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ჩადენილი ჯგუფურად?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ შეიძლება ქმედება შეფასდეს თანაამსრულებლობად, როცა მართალია, დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას უშუალოდ ახორციელებს ორი პირი, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია სისხლის სამართლის სუბიექტი (შერაცხადი), მეორე კი – არა?

აქედან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არაა თანაამსრულებლობისათვის აუცილებელი ყველა პირობა.

შესაბამისად, მიუღებელია საკითხის იმგვარი გადაწყვეტა, რომ ფაქტობრივად ერთი პირი იურიდიულად ორ ამსრულებლად ჩაითვალოს (როგორც შუალობით, ისე უშუალო ამსრულებლად) და ქმედება შეფასდეს, როგორც ჩადენილი ჯგუფურად.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ შემდეგი: როცა საქმეში სახეზეა სისხლის სამართლის მხოლოდ ერთი სუბიექტი, შეუძლებელია იგი **საკუთარ თავთან ჩაითვალოს** თანაამსრულებელად.

ამდენად, ესაა ის შემთხვევა, როცა **ფაქტობრივი და იურიდიული მხარე არ ემთხვევა ერთმანეთს** – ფაქტობრივად ორი პირი ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, მაგრამ იურიდიულად დანაშაული ჩადენილია ერთი პირის მიერ.[46]

II. განვიხილოთ ეს საკითხი ბრალის ნორმატიული თეორიის პოზი-

[46] სამართლებრივი ფუნქციის ამგვარ შემთხვევაზე იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, გვ. 308-309.

ციიდან, რომელიც სისხლის სამართლის სუბიექტად აღიარებს არ მხოლოდ ასაკს მიღწეულ, ბრალუნარიან პირს, არამედ ყველა ადამიანს – დაბადებიდან გარდაცვალებამდე, ხოლო ასაკს და ფსიქიკურ დაავადებას განიხილავს ბრალის გამომრიცხველ გარემოებად.

ამდენად, დასმული პრობლემის ორ ვარიანტში განხილვისას, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები ემყარებოდა დოქტრინაში არსებულ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, სისხლის სამართლის სუბიექტი არაა ყველა ადამიანი, არამედ მხოლოდ ასაკს მიღწეული, ბრალუარიანი პირი.[47]

ამჯერად კი დასმულ პრობლემას განვიხილავთ ბრალის ნორმატიული თეორიის პოზიციიდან.

პროფ. ო. გამყრელიძე, რომელიც იზიარებს ამ მოსაზრებას, თავის პოზიციას შემდეგნაირად ასაბუთებს:

ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი ქმედება, თუმცა მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ ეს ქმედება ამა თუ იმ გარემოების გამო ბრალად არ შეერაცხება მის ჩამდენს. სწორედ ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს ასაკი, რომელიც 33-ე მუხლითაა გათვალისწინებული. ამით კანონმდებელი პირდაპირ ადგენს, რომ ასაკი, ესე იგი მცირეწლოვნება, ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა და არა დანაშაულის სუბიექტის ნიშანი, როგორც ეს მიღებულია იურიდიულ ლიტერატურაში... მოქმედმა კოდექსმა ამ საკითხის ტრადიციულ გაგებაში სრული გარდატეხა შეიტანა. ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა ადამიანისა და ზოგიერთი სხვა გარემოებანი ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოებებია და არა სუბიექტის ნიშანი.[48]

მოკლედ შევაფასოთ ეს მოსაზრება.

მართლაც, საკითხავია: ასაკი და ფსიქიკური მდგომარეობა სუბიექტის ნიშანია, თუ ბრალის გამომრიცხველი გარემოება?

ამ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: ასაკი (და არა უასაკობა) და ფსიქიკური ჯანმრთელობა (და არა ნებისმიერი ფსიქიკური მდგომარეობა) სისხლის სამართლის სუბიექტის (და არა საერთოდ ნებისმ-

[47] იხ. გ. ნაჭყებია, დასახ. სახელმძღვანელოში, გვ. 117-118; 196.

[48] იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 320-321.

იერი სუბიექტის) ნიშანია, ხოლო უასაკობა და ფსიქიკური დაავადება კი სუბიექტის ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოებაა.

ასაკი რომ სუბიექტის ნიშანია, ამის დადასტურება სრულებით ადვილია – 14 წლის უნდა გახდეს სუბიექტი და არა ბრალი; ასაკობრივ ზრდას სუბიექტი ექვემდებარება და არა ბრალი; „რომელ წელს დაიბადეო" სუბიექტს უნდა ვკითხოთ და არა ბრალს.

სხვა საკითხია, რომ უასაკობა (14 წელს მიუღწევლობა) პირის ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა.

ასევე, **ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობა** (ანუ ფსიქიკური ჯანმრთელობა) სუბიექტის ნიშანია, რადგან ფსიქიკა აქვს სწორედ სუბიექტს და არა ბრალს; არის თუ არა ფსიქიკურად ჯანმრთელი, ეს საკითხი სუბიექტის მიმართ დგება და არა ბრალის მიმართ (შეუძლებელია, ბრალი იყოს ფსიქიკურად ჯანმრთელი ან დაავადებული); შესაბამისი ექსპერტიზა ფსიქიკური მდგომარეობის შესასწავლად ინიშნება სუბიექტის (და არა ბრალის) მიმართ.

სხვა საკითხია, რომ **ფსიქიკური ავადმყოფობა** არის სუბიექტის ბრალის გამომრიცხველი, ან შემამსუბუქებელი გარემოება.

როგორც ვხედავთ, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს **„სუბიექტი"** და **„სისხლის სამართლის სუბიექტი"**.

საერთოდ, სუბიექტია ყველა ადამიანი დაბადებიდან გარდაცვალებამდე, თუმცა **ყველა მათგანი როდია** სისხლის სამართლის სუბიექტი (უფრო დეტალურად ამ საკითხზე მსჯელობა გვექნება ცოტა ქვემოთ).

ამდენად, პროფ. გამყრელიძის **მსჯელობაში სწორია ის,** რომ **უასაკობა** გამორიცხავს ბრალს, **მაგრამ არასწორია ის,** რომ **ასაკი** არაა სუბიექტის ნიშანი. შესაბამისად, **სწორია,** რომ **ფსიქიკური დაავადება** ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა, მაგრამ **არასწორია,** რომ **ფსიქიკური მდგომარეობა** არაა სუბიექტის ნიშანი.

პროფ. მ. ტურავაც ამ საკითხის განხილვისას იზიარებს რა ბრალის ნორმატიული თეორიის პოზიციას, აცხადებს შემდეგს:

მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა არაა დამოკიდებული პირის ბრალუნარიანობაზე, მისი ჩადენა შეუძლია სულით ავადმყოფ-

საც. სისხლის სამართალში პირის ქმედუნარიანობა მყარად არის გამიჯნული მისი ბრალუნარიანობისაგან.... ბრალუნარიანობის დროს წყდება საკითხი, იყო თუ არა პირი ნორმის ადრესატი, რომელსაც ემყარება პერსონალური გასაკიცხაობა.[49]

ეტაპობრივად მივყვეთ ამ მსჯელობას.

უდავოა ის, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა სულით ავადმყოფსაც შეუძლია. ეს საკითხი ლიტერატურაში საკამათოც კი არაა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შეურაცხადი პირის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეფასების კრიტერიუმი რამდენადმე განსხვავდება შერაცხადი პირის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეფასების კრიტერიუმისაგან.

კერძოდ, მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ შეურაცხადი პირის მოქმედება, როგორც წესი, ფასდება ვითარც მართლსაწინააღმდეგო, მხოლოდ მისი მოქმედების ობიექტური საფრთიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც შერაცხადი პირის ქმედება, უნდა შეფასდეს მიზნის, საშუალების, ობიექტური საფრთხისა და დამდგარი შედეგის ერთობლიობის საფუძველზე. [50] აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არაა მთავარი არგუმენტი დასმული პრობლემის გადაწყვეტისას.

ამდენად, ნებისმიერ პირს და მათ შორის უასაკოს ან ფსიქიკურად დაავადებულსაც **შეუძლია სისხლისსამართლებრივი უმართლობის** ჩადენა.[51] ამდენად, ბრალუუნარო პირსაც შეუძლია ჩაიდინოს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმოქმედოს სისხლისსამართლებრივად.

რაც შეეხება დანაშაულს, მისი ჩადენა შეუძლია მხოლოდ კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულ და ბრალუანარიან პირს.

ასევე ნაწილობრივ სწორია მოყვანილი მსჯელობის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ ბრალუნარიანობის დროს წყდება საკითხი,

[49] იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 212.

[50] დაწვრილებით იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, გვ. 196-198.

[51] სისხლისსამართლებრივი უმართლობის საკითხზე იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ. 2005, გვ. 84-85; გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, გვ. 202-203.

იყო თუ არა პირი ნორმის ადრესატი, რომელსაც ემყარება პერსონალური გასაკიცხაობა.

მართლაცდა დასმული საკითხი (თუ ვინაა სისხლის სამართლის სუბიექტი) ნამდვილად პირდაპირ კავშირშია იმასთან, **თუ ვინაა ნორმის ადრესატი.** ამდენად, ეს საკითხი მართლაც გასარკვევია, მაგრამ იგი წყდება არა ბრალის ეტაპზე, არამედ მანამდე – როცა ხდება სისხლის სამართლის კანონის მიღება. სწორედ ამ დროს დგინდება, თუ ვინაა სისხლის სამართლის სუბიექტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დროს დგინდება, თუ ვისკენ მიმართავს კანონმდებელი ძალაში შესულ სისხლის სამართლის კანონს? ვისგან ითხოვს, რომ საკუთარი ქმედება დაუქვემდებაროს სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნას? ვის მოეთხოვება, რომ პასუხისმგებლობით მოეკიდოს ნორმატიულად დადგენილ ვალდებულებებს? [52]

როგორც მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, ასეთ მოთხოვნას კანონმდებელი ვერ წამოუყენებს ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია თავისი ასაკის და ფსიქიკური ჯანმრთელობის წყალობით გაიგოს ნორმის არსი და პასუხისმგელობით მოეკიდოს მის მოთხოვნას.[53]

ამდენად, სისხლისამართლებრივი ურთიერთობა სს კანონის ძალაში შესვლის დღიდან წარმოიშობა სახელმწიფოსა და ასაკს მიღწეულ, ბრალუნარიან პირს შორის.

აქედან გამომდინარე, **ასაკი და ფსიქიკური ჯანმრთლობა** აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სისხლის სამართლის სუბიექტად (და არა სუბიექტად საერთოდ), ანუ იგი სისხლის სამართლის სუბიექტის ნიშანია. რაც შეეხება **უასაკობას ან ფსიქიკურ დაავადებას,** იგი მართლაც მიჩნეულია პირის ბრალის გამომრიცხველ, ან შემამსუბუქებელ გარემოებად.

III. დადგა დრო, რომ ქმედების, როგორც ჯგუფურად ჩადენილის შეფასების ზემოთ განხილული სადავო საკითხი გავაანალიზოთ ბრალის ნორმატიული თეორიის ამ პოზიციიდან, როცა ყველა ადამიანი

---

[52] საკითხზე, თუ საიდან იწყება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, იხ. გ. ნაჭყებია, დასახ. სახელმძღვანელო: გვ. 21-25.

[53] უფრო დეტალურად იხ. გ. ნაჭყებია, დასახ, ნაშრ. გვ.196.

დანაშაულის სუბიექტია, რადგან ყველას შეუძლია ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება.[54]

თუკი მხარს დავუჭერთ ამ მოსაზრებას, **დაისმევა კითხვა**, რამდენად იქნება შესაძლებელი, ჯგუფურად ჩადენილად ჩაითვალოს ორი პირის მიერ უშუალოდ, ერთობლივად განხორციელებული ქმედება, როცა ერთ-ერთი მათგანი იყო უასაკო – 14 წელს მიუღწეველი და შესაბამისად, მოქმედებდა ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში?

ბრალის ნორმატიული თეორიის პოზიციებიდან გამომდინარე, დასმული საკითხი უფრო მწვავედ დგას, ვინაიდან ამ მოსაზრების თანახმად დანაშაულის სუბიექტია ყველა ადამიანი ასაკის და ფსიქიკური მდგომარეობის მიუხედავად. შესაბამისად, შეიძლება მეტი არგუმენტი არსებობდეს იმის სამტკიცებლად, რომ ასეთ ვითარებაში ადგილი აქვს ჯგუფურ დანაშაულს, რადგანაც სახეზეა **სისხლის სამართლის ორი სუბიექტი**, რომელიც მოქმედებდა შეთანხმებულად – უშუალოდ ახორციელებდა დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას.

აქედან გამომდინარე, უფრო ადვილი სჩანს იმის მტკიცება, რომ მართალია, ერთ-ერთის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება ბრალის ეტაპზე, მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმას, რომ მეორე პირის ქმედება დავაკვალიფიციროთ, როგორც დანაშაული ჩადენილი ჯგუფურად.

თუმცა ასეთი კვალიფიკაცია მხოლოდ ერთის შეხედვითაა შესაძლებელი. სინამდვილეში კი, სუბიექტთან მიმართებაში რომც გავიზიაროთ ბრალის ნორმატიული თეორია, შეუძლებელია ზემოთ მოყვანილი ქმედების კვალიფიკაცია, როგორც ჩადენილი ჯგუფურად.

რატომაა შეუძლებელი? ეს შეუძლებელია, რადგან:

ა) მართალია, ნორმატიული თეორიის მიხედვით მცირეწლოვანიც და ფსიქიკურად დაავადებულიც სისხლის სამართლის სუბიექტია, მაგრამ უასაკობა ან ფსიქიკური დაავადება ბრალის გამორიცხველი გარემოებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

[54] ტერმინ „დანაშაულის სუბიექტი" -სა და „სისხლის სამართლის სუბიექტი"-ს შორის განსხვავების საკითხზე იხ. გ. ნაჭყებია, დასახ. ნაშრომში: გვ. 117-118.

ბ) შესაბამისად, როცა ორი პირიდან მხოლოდ ერთი მოქმედებდა ბრალეულად, ხოლო მეორე – ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში, დაუშვებელია ქმედება შეფასდეს, როგორც ჩადენილი ჯგუფურად, რადგან ამისათვის არაა საკმარისი სახეზე იყო ორი ფაქტობრივი ამსრულებელი. ამისათვის საჭიროა, **არა მარტო ფაქტობრივად, არამედ იურიდიულად** სახეზე იყოს მინიმუმ ორი ამსრულებელი, რომლებსაც დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.;

გ) აქედან გამომდინარე, ამ ორ პირთაგან თითოეული უნდა იყოს ისეთი თვისების მატარებელი, რომელსაც შეუძლია გაცნობიეროს და სამართლებრივადაც შეაფასოს ის ფაქტი, რომ იგი არაა მარტო, არამედ სხვასთან ერთად გაერთიანებული ძალებით მოქმედებს სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ;

დ) მოცემულ შემთხვევაში კი უასაკობის ან ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხად პირს არა მარტო ამ გარემოების, არამედ იმ ქმედების ფაქტობრივი მხარისა თუ მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების უნარიც კი არა აქვს, რასაც თავად სჩადის.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ შემდეგი: იმის მიუხედავად, უასაკობა ან ფსიქიკური დაავადება სისხლის სამართლის სუბიექტობას გამორიცხავს, თუ გამორიცხავს ბრალს, შეუძლებელია ქმედება დავაკვალიფიციროთ, ვითარც ჩადენილი ჯგუფურად, როცა ორი პირიდან მხოლოდ ერთს შეიძლება შეერაცხოს ჩადენილი უმართლობა, მეორეს კი – არა, რადგან იურიდიულად არ შეიძლება პირი საკუთარ თავთან ქმნიდეს ჯგუფს.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ არასწორია ისეთი სასამართლო პრაქტიკა, როცა საქმის მასალებით ქმედების განხორციელებაში მონაწილეთაგან მხოლოდ ერთი პირის ვინაობაა დადგენილი, მაგრამ ქმედება მაინც კვალიფიცირდება, როგორც ჩადენილი ჯგუფურად. საქმე ისაა, რომ არავინ უწყის, დანაშაულში მონაწილე სხვა პირები (რომელთა ვინაობა დაუდგენელია) იყვნენ თუ არა სისხლის სამართლის სუბიექტები (ანდა ხომ არ მოქმედებდნენ ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში).

IV. აქედან შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს გამონაკლის შემთხვევას, როცა მართალია, საქმეში მონაწილე პირთაგან მხოლოდ ერთის ვი-

ნაობაა დადგენილი, მაგრამ ქმედების კვალიფიკაცია მაინც შესაძლებელია, როგორც ჩადენილი ჯგუფურად.

ეს ის შემთხვევაა, როცა კონფლიქტი (მაგ. ჯგუფური ჩხუბი) მდინარეობს იდენტიფიცირენულ დაპირისპირებულ პირთა ჯგუფებს შორის, რა დროსაც ამ პირთაგან რამდენიმე მათგანი (მაგ. ორი პირი) სჩადის მკვლელობას, საიდანაც დადგენილია მხოლოდ ერთის ვინაობა, მეორესი კი – არა.

მაგალითად, ერთ-ერთი სკოლის მე-11 კლასელებს ჩხუბი მოუვიდათ, რაშიც მონაწილოებდა დაახლოებით 10 თანაკლასელი. ამ ხელჩართულ ბრძოლაში, ორმა მათგანმა მოკლა თანაკლასელი. კერძოდ, ერთ-ერთმა მათგანმა გააკავა მსხვერპლი, ხოლო მეორემ დანის გამოყენებით მოკლა იგი.

საქმეში დადგინდა ერთი მკვლელის ვინაობა, რომელმაც გააკავა მსხვერპლი. თუმცა ვერ დადგინა მეორე მათგანის ვინაობა, რომელმაც გამოიყენა დანა და სასიკვდილოდ დაჭრა კლასელი.

მოცემულ შემთხვევაში ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია შესაძლებელია, როგორც ჩადენილი ჯგუფურად იმის მიუხედავად, რომ ცნობილია მხოლოდ ერთი ამსრულებლის ვინაობა, მაგრამ არაა იდენტიფიცირებული თანაამსრულებლის ვინაობა.

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ცნობილია, რომ ჯგუფურ ჩხუბში მონაწილეობდა ჩვენთვის ცნობილი კლასის მოსწავლეები. ამასთან, გარკვეულია, რომ თითოეული მათგანი მიღწეულია სს პასუხისმგებლობის ასაკს. ასევე ცნობილია, რომ არც ერთი მათგანი არაა ფსიქიკურად შეურაცხად მდგომარეობაში.

შესაბამისად, იმ პირის ქმედება, რომელიც იდენტიფიცირებულია, დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად.

§ 6. სისხლის სამართლი კანონის მოქმედება დროში და პირობითი მსჯავრის საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

საინტერესოა პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი ამკ მიღებამდე და მისი მიღების შემდეგ. განვიხილოთ ეს საკითხი შემ-

დეგ მაგალითზე:

2015 წლის 28 დეკემბერს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განიხილა სს საქმე ორი არასრულწლოვნის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 258-ე მუხლის მე-3 ნაწ."ა" ქვ-ით – საფლავზე არსებული ნივთების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ჯგუფურად (2015 წლის 6 ივნისს ქ. ზუგდიდში სხვადასხვა სასაფლაოს მიმართ ჩაიდინეს რამდენიმე ეპიზოდი).

ორივე ბრალდებულთან დაიდო საპროცესო შეთანხმება, რაც დამტკიცებულ იქნა სასამართლოს მიერ.

ერთ-ერთი არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო შეთანხმებით სასჯელის (შინაპატიმრობა) დანიშვნისას გამოყენებულ იქნა ამკ-ის ნორმები, ხოლო მეორე არასრულწლოვნის (თანაამსრულებლის) მიმართ კი გამოყენებულ იქნა სს კოდექსის ნორმები.

კერძოდ, ერთის მიმართ (დ. ქ-ის მიმართ) საპროცსო შეთანხმების დადებისას პროკურორმა იშუამდგომლა სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენება. ხოლო მეორის მიმართ (დ. ს-ის მიმართ) სასჯელის სახით არ იშუამდგომლა შინაპატიმრომის დანიშვნა, არამედ იშუამდგომლა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და მისი ჩათვლა პირობით.

მართალია, ამკ დასკვნითი დებულების 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით 69-ე მუხლის (შინაპატიმრობა) გამოყენება 2015 წლის 1 სექტემბრიდან უკვე ორივეს მიმართ იყო შესაძლებელი, მაგრამ სასჯელის ეს სახე მხოლოდ ერთი ბრალდებულის მიმართ იქნა გამოყენებული.

საკითხავია, რატომ არ იშუამდგომლა პროკურორმა მისი გამოყენება იმ თანაამსრულებლის მიმართ, რომელიც გარდა არასრულწლოვნებისა, იყო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე?

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ეს მეორე ბრალდებული ნასამართლობის მქონე იყო.

მართალია, ეს საკითხი არც საპროცესო შეთანხმების ტესტში და არც განაჩენში არაა არგუმენტირებული (უფრო მეტიც, სამწუხაროდ, მისი ნასამართლობის ფაქტი სასჯელის დანიშვნის დროს ნახსენებიც კი არაა), მაგრამ საფიქრებელია, რომ პროკურორმა მხედველობაში

მიიღო სწორედ ის გარემოება, რომ ბრალდებული დ. ს-ი იყო ნასამართლობის მქონე, ხოლო მეორე ბრალდებული (დ. ქ-ი) კი – არა.

გარდა ამისა, სწორედ წარსულში ნასამართლევმა ბრალდებულმა – დ. ს-მ წააქეზა მეორე ბრალდებული (დ. ქ-ი) ამ დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, უთხრა, რომ თამაშებში ფული ჰქონდა წაგებული და დახმარებოდა სასაფლაოდან რკინის ღობის მოხსნაში.

ამდენად, მართალია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვნის ნასამართლობა არ აბრკოლებს სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებას, მაგრამ მოცემულ საქმეში არსებული გარემოებების მხედველობაში მიღებით (რაც, სამწუხაროდ, როგორც უკვე აღინიშნა, არც საპროცესო შეთანხმებაში და არც განაჩენში არაა არგუმენტირებული), პროკურორმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მისი გამოყენება.

ასეთ ვითარებაში საკითხავია: რამდენადაა გამართლებული ნასამართლობის მქონე არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას სს კოდექსის (და არა ამკ) დებულებათა გამოყენება და დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ჩათვლა პირობით?

საქმე ისაა, რომ ამკ დასკვნითი დებულების 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამკ როგორც 73-ე (ვადიანი თავისუფლების აღკვეთა), ისე 74-ე (პირობითი მსჯავრი) მუხლების ამოქმედების დროდ დაწესდა 2016 წლის 1 იანვარი. ამდენად, ამ განაჩენის გამოტანის დროისათვის (2015 წლის 28 დეკემბერი) მათი გამოყენება შეუძლებელი იყო.

შესაბამისად, სასამართლომ დაამტკიცა რა საპროცესო შეთანხმება, ამ ბრალდებულის მიმართ სხვადასხვა ეპიზოდში დანიშნა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით, შემდეგ კი საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საბოლოოდ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და სსკ 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეამცირა იგი ¼ -ით, რაც სსკ 63-64-ე მუხლების შესაბამისად ჩაუთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

აქვე ჩნდება კითხვა: რამდენად იყო დასაშვები მოცემულ პირობებში არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ნაკლებად მძიმე

დანაშაულსათვის დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობით?

ასეთი კითხვა ჩნდება, რადგან სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით (რომელიც მოქმედებდა 2016 წლის 1 იანვრამდე) არასრულწლოვნის მიმართ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის წინაპირობა იყო ის, რომ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული.

ბრალდებული დ. ს-ი კი, როგორც აღინიშნა, იყო ნასამართლევი.

ამდენად, ამ საქმეში კიდევ ერთხელ იჩინა თავი პირობით მსჯავრთან დაკავშირებულმა ერთ-ერთმა სადავო საკითხმა:

სსკ 63-ე მუხლის საფუძველზე პირობითი მსჯავრის გამოყენების ყველა შემთხვევისათვის, თუ არის აუცილებელი, მხარეებს შორის დადებული იყოს საპროცესო შეთანხმება?

როგორ გავიგოთ სსკ 63-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი: „თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩათვალოს პირობითად".

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხომ არ ნიშნავს ეს დანაწესი იმას, რომ თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა ყველა შემთხვევაშია შესაძლებელი (მიუხედავად ნასამართლობისა და ჩადენილი დანაშაულის კატეგორიისა)?

რაც შეეხება სსკ 63-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 თუ მე-5 ნაწილებით (ეს უკანასკნელი, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვნებს, 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედებდა) დადგენილ დანაწესს, ხომ არ გულისხმობდა ისინი მხოლოდ იმ შემთხვევას, როცა მხარეებს შორის არ იყო დადებული საპროცესო შეთანხმება?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სსკ 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის არაა აუცილებელი, მხარეებს შორის დადებული იყოს საპროცესო შეთანხმება.[55]

ამდენად, ამ მოსაზრების მიხედვით (რომელსაც სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს), თუ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული,

[55] იხ. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ. 2013, გვ. 129.

სასამართლოს თავად შეუძლია დანიშნული სასჯელი ჩათვალოს პირობით, თუკი სახეზეა 63-ე მუხლით დადგენილი პირობები (ჩადენილია განზრახ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული; პირი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან და ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაულისათვის).

შესაბამისად, არავინ დავობდა იმაზე, რომ სსკ 63-ე მუხლის სხვა ნაწილების, კერძოდ, მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილების (არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი) შესაბამისად დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლისათვის აუცილებელი წინაპირობა იყო მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების არსებობა.

სადავო იყო მხოლოდ 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე (განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისას) დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის საკითხი.

განზრახ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისას პირობითი მსჯავრის საკითხის გადაწყვეტა ზემოთხსენებული მოსაზრების მიხედვით სამართლიანია. სხვა საკითხია, რომ იგი არ გამომდინარეობს სსკ 63-ე მუხლის ერთიანი შინაარსიდან. [56]

თუმცა საქმე ისაა, რომ ჩვენს მიერ განსახილველი განაჩენის მიხედვით საქმე ეხებოდა სსკ 63-ე მუხლის არა მხოლოდ მე-3 ნაწილის, არამედ მისი მე-5 ნაწილის გამოყენების საკითხს, რადგან სახეზეა არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელმაც ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაული. ამდენად, მისთვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის საკითხი ვერ გადაწყდებოდა სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების გარეშე. ამ ნაწილის გამოყენების აუცილებელი წინაპირობა კი იყო არა მარტო საპროცესო შეთანხმების არსებობა, არამედ ის, რომ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა დანაშაული.

როგორც ვხედავთ, ამ დანაწესით იმასაც კი არა აქვს მნიშვნელობა, არასრულწლოვანს წარსულში განზრახი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, თუ გაუფრთხილებელი.[57]

---

[56] ამ სადავო საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018, მე-3 გამოც. გვ. 556-560.

[57] მართალია, სსკ 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის ეს დანაწესი აშკარად უსამართ-

მოცემულ საქმეში კი ის არასრულწლოვანი, რომლის მიმართ დანიშნული სასჯელი პირობითად ჩაითვალა, ნასამართლობის მქონე იყო. ამდენად, სასამართლომ ისე გადაწყვიტა პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი (შესაბამისად, პროკურორმაც ისე იშუამდგომლა სასჯელის პირობითად ჩათვლა), რომ საერთოდ ყურადღება არ გაუმახვილებია არასრულწლოვნის ნასამართლობაზე.

უფრო მეტიც, განაჩენში ისიც კი არაა მითითებული, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სსკ 63-ე მუხლის რომელ ნაწილს (მე-3, თუ მე-5) დაეყრდნო მოსამართლე, რაც ამ განაჩენის ნაკლად უნდა ჩაითვალოდ.

საინტერესოა, ამ არასრულწლოვნის მიერ მოცემული დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ძალაში შესული რომ ყოფილიყო ამკ 74-ე მუხლი (პირობითი მსჯავრი), თუ იქნებოდა შესაძლებელი მის მიმართ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა?

ამ მუხლის მიხედვით არასრულწლოვნის მიმართ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა სასამართლოს მაშინ შეუძლია, თუ იგი მსჯავრდებული არ ყოფილა განზრახი დანაშაულისათვის და ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

მოცემულ საქმეში სახეზეა ერთ-ერთი პირობა – ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული. ამდენად, გასარკვევია მეორე წინაპირობა – რა სახის დანაშაულის ჩადენისთვის იყო იგი ნასამართლევი – განზრახი, თუ გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის? ეს საკითხი განაჩენში არ ჩანს. თუ ეს იყო განზრახი დანაშაული, მაშინ სასამართლო მის მიმართ დანიშნულ სასჯელს ვერ ჩათვლიდა პირობით.

საინტერესოა დამატებით სასჯელად ჯარიმის დანიშვნა.

აღნიშნული განაჩენით ამ არასრულწლოვანს დამატებითი სასჯელის სახით ისე შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (საქართველოს სსკ 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად), რომ სასამართლოს საერთოდ არც უმსჯელია იმაზე, ჰქონდა თუ არა მას

ლოა, მაგრად ეს საკითხი ამჯამად არაა ჩვენი განხილვის საგანი და მასზე, როგორც უსამართლო კანონზე, არც მოცემულ განაჩენშია ყურადღება გამახვილებული. უფრო მეტიც, განაჩენიდან არც ის ჩანს, ეს არასრულწლოვანი რომელი კატეგორიის დანაშაულზე იყო ნასამართლევი.

დამოუკიდებელი შემოსავალი (ან თუნდაც დამოუკიდებელი ქონება). ე.ი. არ უმსჯელია იმაზე, იყო თუ არა იგი გადახდისუნარიანი.

საქმე ისაა, რომ ამკ 68-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანზე ჯარიმის სახით სასჯელის დანიშვნას, ამ დროისათვის არ იყო ამოქმედებული (იგი ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან). ეს მუხლი ჯარიმის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ მაშინ, თუ არასრულწლოვანს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯარიმის დანიშვნა მაშინაც კი გამორიცხულია, როცა მართალია, არასრულწლოვანს აქვს ქონება (მაგალითად, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ანაბარი ბანკში), მაგრამ არა აქვს შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან.

მოცემულ საქმეში, რადგან მხრეებს შორის დადებული იყო საპროცესო შეთანხმება, სასამართლოს სასჯელის ამ სახის გამოყენებისას იმაზეც კი არ უმსჯელია, იყო თუ არა გადახდისუნარიანი არასრულწლოვანი. სსკ 42-ე მუხლის მე-5 და მე-5[1] ნაწილის (რომელიც კოდექსიდან ამოღებულ იქნა 2016 წლის 1 იანვრიდან) დანაწესი სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროისათვის (2015 წლის 28 დეკემბერი) აძლევდა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

§ 7. სისხლის სამართლის კანონის უკუძალის საკითხი პირობითად ჩათვლილ სასჯელთან მიმართებით.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი სასჯელის ნაწილში აუმჯობესებს პირის მდგომარეობას (შემოაქვს ახალი უფრო მსუბუქი სასჯელი ჩადენილი დანაშაულისათვის), ხოლო პირს უკვე შეფარდებული აქვს სასჯელი ძველი კანონის შესაბამისად საქართველოს სს კოდექსის მიხედვით, რაც ჩათვლილია პირობით? საკითხი საინტერესოა მაშინ, როცა დანიშნული სასჯელი პირობითაა ჩათვლილი. სხვა შემთხვევაში იგი არაა პრობლემური.

მიუხედევად იმისა, რომ დანიშნული სასჯელი პირობითაა ჩათ-

ვლილი, ეს საკითხი მაინც უნდა გადაწყდეს სს კანონის უკუძალის წესის მიხედვით, რადგან პირობითი მსჯავრი არაა სასჯელის სახე. სასჯელის სახეა ის სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, რაც მოცემული განაჩენით ჩაითვალა პირობით.[58]

ამდენად, საკითხის გადაწყვეტისას **ვერ დავეყრდნობით** შემდეგ არგუმენტს: ვინაიდან პირის მიმართ პირობითი მსჯავრია გამოყენებული, ამკ-ით გათვალისწინებული ახალი სასჯელი რაც არ უნდა მსუბუქი იყოს, იგი არასრულწლოვანს პირობით მსჯავრთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში ვერ ჩააყენებს.

საქმე ისაა, რომ სს კანონის უკუძალის საკითხს აწესრიგებს როგორც საქართველოს სს კოდექსი (მე-3 მუხ.), ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მე-100 მუხლი).

კერძოდ, სსკ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში.

ხოლო ამკ მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის დებულებებს, გარდა ამ კოდექსის საპროცესო ნორმებისა, აქვს უკუძალა, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვნის მდგომარეობა.

საკითხი – უმჯობესდება თუ არა არასრულწლოვნის მდგომარეობა, **არ უნდა გადაწყდეს** იმის მიხედვით, დანიშნული სასჯელი ჩაითვალა თუ არა პირობით. არამედ ეს საკითხი **უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით**, რომელი სასჯელია უფრო მსუბუქი – რაც დაინიშნა თავდაპირველი განაჩენით (მაგ., თავისუფლების აღკვეთა), თუ ის, რაც უნდა დაინიშნოს ამკ-ით გათვალისწინებული დანაწესის მიხედვით (მაგ., შინაპატიმრობა).

---

[58] პირობითი მსჯავრის იურიდიულ ბუნებაზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2016, გვ. 365-378; ნ. თოდუა, წიგნში, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ, გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2018 (მე-3 გამოც.), გვ. 351-356.

მაინც რატომ უნდა გადაწყდეს ასე?

საქმე ისაა, რომ არაა გამორიცხული, სხვადასხვა გარემოების გამო გაუქმდეს მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრი და დანიშნული სასჯელი მიქცეულ იქნას აღსრულებისკენ.

ამდენად, როცა ამკ აუმჯობესებს არასრულწლოვნის მდგომარეობას სასჯელის ნაწილში, ზემდგომმა ინსტანციამ (სააპელაციო სასამართლომ) უნდა დააკმაყოფილოს საჩივარი ახლად გამოვლენილი გარემოების გამო. კერძოდ, საქართველოს სსკ 88-ე მუხლის მიხედვით დანიშნული სასჯელი (მაგ. თავისუფლების აღკვეთა), რაც სასამართლოს მიერ სსკ 63-64-ე მუხლების მიხედვით ჩათვლილი იყო პირობით, ამკ-ის მიხედვით უნდა შეცვალოს ახალი, უფრო მსუბუქი სასჯელით (მაგ. შინაპატიმრობით), რაც ასევე უნდა ჩაითვალოს პირობით.

საკითხავია: რატომ უნდა ჩაითვალოს ახლად დანიშნული შინაპატიმრობაც პირობით? შინაპატიმრობა ხომ ისედაც არსებითად მსუბუქი სასჯელია თავდაპირველი განაჩენით დანიშნულ თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით?

დასმულ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: პირობითი მსჯავრი არის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიება, რაც არ წარმოადგენს სასჯელს. ამდენად, მისი გამოყენებით პირს ეძლევა შესაძლებლობა, დაამტკიცოს, რომ მისი გამოსწორება სასჯელის გარეშეც შეიძლება. შესაბამისად, პირობითი მსჯავრის გამოყენების ფაქტი ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ გამოუცხადა პირს ასეთი ნდობა.

აქედან გამომდინარე, თუკი სასამართლომ პირს გამოუცხადა ასეთი ნდობა და მისცა ასეთი შესაძლებლობა თავდაპირველი განაჩენის გამოტანისას, შეუძლებელია ამ განაჩენის პირის სასიკეთოდ რევიზიის დროს ჩამოვართვათ მას ეს შესაძლებლობა.

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: 2016 წლის 21 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ადვოკატის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.[59]

საქმეზე გამოტანილი განაჩენით ირკვევა, რომ 2015 წლის 5 ოქ-

[59] იხ. ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 1/აგ-352-16

ტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვან თ. ხ-ის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სსკ 177-ე მ-ის მე-2 ნაწ. „ბ" ქვ-ით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ქურდობა, ჩადენილი სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით) და სასჯელის სახედ განუსაზღვრა თ.ა. 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

ადვოკატმა თავისი შუამდგომლობით ითხოვა განაჩენის გადასინჯვა სასჯელის ნაწილში და მსჯავრდებულისათვის ამკ მიხედვით ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დადგენილი შინაპატიმრობის განსაზღვრა.

ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის ეს შუამდგომლობა, რისთვისაც დაეყრდნო რამდენიმე არგუმენტს. მათ შორის იმას, რომ ამკ 73-ე მუხლის თანახმად არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩაიდინა ან ის თავს არიდებდა არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელიგანაჩენი იქნა გამოტანილი.

ეს არასრულწლოვანი კი ნასამართლობის არმქონე პირი იყო, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

გამომდინარე აქედან, სააპელაციო სასამართლომ არასრულწლოვან თ. ხ-ს დაუნიშნა შინაპატიმრობა 09 თვის ვადით, რაც ამკ 74-ე მუხლის თანახმად ჩაუთვალა პირობით, ერთი წლის გამოსაცდელი ვადით. [60]

როგორც ვხედავთ, სააპელაციო სასამართლომ არა მარტო შეცვალა სასჯელის სახე და ჩათვალა იგი პირობით, არამედ გამოსაცდელ ვადად, ნაცვლად 2 წლისა, ახლა განაჩენით დანიშნული სასჯელის ხანგრძლივობის (09 თვე) პროპორციულად, დაადგინა 1 წელი.

საკითხის ამგავრი გადაწყვეტა სამართლიანია.

---

[60] იხ. ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოთხსენებული განაჩენი.

თავი მესამე

თავი XIV სასჯელისაგან გათავისუფლება

მუხლი 72. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება

სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გაანალიზებისას, რამოდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, რომელთაგან წინა პლანზე სასჯელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზნის, უფრო კონკრეტულად კი, დამნაშავის **რესოციალიზაციის საკითხი** მოდის. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ასპექტთაგან, რესოციალიზაციის შემდეგ, ინტერესს იწვევს **ციხეების გადატვირთულობის პრობლემაც.** ასევე, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის კრიმინოლოგიურ ჭრილში გაანალიზებისას მნიშვნელოვან კომპონენტს **კრიმინალური პროგნოზის** არსის და დანიშნულების ახსნა წარმოადგენს.

რამდენადაც აღნიშნული ნაშრომი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს მეტწილად სისხლის სამართლის და არა სასჯელაღსრულების სამართლის პერსპექტივიდან განიხილავს, ამდენად, აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტით რესოციალიზაციის მიზნის მიღწევის შესაძლებლობა მისი არსებითი კვლევის საგანს წარმოადგენს, მაშინ როდესაც ციხეების გადატვირთულობის საკითხს, მხოლოდ როგორც კომპლიმენტარულს ისე წარმოგიდგენთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მისი დატვირთვა უმნიშვნელოა, მით უმეტეს, თუ ამ პრობლემის პარალელურად იმ საკითხსაც გავიხსენებთ, თუ როგორ მძიმე ტვირთად აწევს საზოგადოებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სასჯელის მოხდის ფინანსური უზრუნველყოფა, – საკითხი, რომელზეც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის „პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ“ რეკომენდაციის პრეამბულაში აშკარა აქცენტია

გაკეთებული.[1]

უფრო მეტიც, თუ მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და ციხეების გადატვირთულობის პრობლემას პენიტენციალური დაწესებულების გამართული ადმინისტრირებისა და ეფექტურად მართვის პერსპექტივიდან კომპლექსურად შევაფასებთ, აშკარაა კავშირი მათ შორის, რაც გარდაუვლობით ხასიათდება.

ასე მაგალითად, როგორც ცნობილია, ციხის ადმინისტრაციის უპირველესი ფუნქცია სისტემის მართვაა. თუმცა, ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ციხე სათანადოდ იქნეს გამოყენებული და პატიმრებს ჰქონდეთ საჭირო საშუალებანი. ისე როგორც ამას მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს, პატიმრობას მრავალი ალტერნატიული სასჯელი აქვს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სამართალწარმოებისას, სასამართლო განხილვისას, სასჯელის დადგენისას ან მის შემდეგ. სწორედ სასჯელის დადგენის შემდგომი ზომები წარმოადგენს განსაკუთრებული ინტერესის საგანს ციხის ადმინისტრაციისათვის. 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი მიუთითებს, რომ პატიმრობის მიზანია დამნაშავეთა რეაბილიტაცია (მუხლის 10.3), შესაბამისად, პატიმრობა იმგვარად უნდა იყოს დაგეგმილი, რომ საზოგადოებას, რაც შეიძლება ადრე, დაუბრუნოს გამოსწორებული და რეაბილიტირებული პიროვნება. ციხის ადმინისტრაცია განსაკუთრებით უნდა ეცადოს პატიმრობის შემდგომ საქმიანობაში დახმარებას, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს ალტერნატიულ ზომას, ხოლო აღნიშნული ზომების ჯეროვან განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი, სწორედ, ციხის ადმინისტრაციას ეკისრება.[2]

შესაბამისად, როდესაც პენიტენციალური დაწესებულება სათანადად ვერ ახერხებს მისთვის დაკისრებული ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელებას ციხეში პატიმართა მზრადი რაოდენობის

---

[1] Council of Europe Recommendation Rec(2003)22 of the Committee of Ministers to member states on conditional release (parole), Preamble, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: https://rm.coe.int/16800ccb5d

[2] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 157-158.

გამო, კავშირი ამ ორ მოვლენას შორის აშკარაა.

ამდენად, სწორედ ასეთ შემთხვევაში „ციხის ადმინისტრაციას შეუძლია, საზოგადოებისა და პარლამენტის ყურადღება მიმართოს ციხეების გადატვირთვისა და რესურსების ნაკლებობისაკენ". [3]

I. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება – მისი მნიშვნელობა რესოციალიზაციისათვის

პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებას, რომლის არსებობის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია პატიმართა რესოციალიზაციაზე საუბარი.[4]

კვლევები აჩვენებს, რომ სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, სასჯელის ისეთი მიზნები, როგორიცაა პრევენცია და რესოციალიზაცია – უკეთ მიიღწევა, ვიდრე სასჯელის მოხდისას.[5]

ამდენად, პირობით ვადამდე გათავისუფლების გამოყენებას გააჩნია როგორც მიზნები, ისე გარკვეული მოლოდინი, რომლებიც კანონმდებელმა საფუძვლად დაუდო ამ ინსტიტუტის ქმედითობას.

პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის დახმარებას, – თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განვლილი ცხოვრება გარდაქმნას კანონმორჩილ ცხოვრებად, რომელსაც საზოგადოებაში გაატარებს, – გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.[6] ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლების წინაპირობა არის მოლოდინი იმისა, რომ დამნაშავე, სასჯელის მოხდის გარეშე თავს

[3] იქვე, გვ. 157.

[4] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 252.

[5] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2016, გვ. 154.

[6] Council of Europe Recommendation Rec(2003)22 of the Committee of Ministers to member states on conditional release (parole), general principals, პარაფრაფი 3.

შეიკავებს შემდგომი დანაშაულისაგან.[7]

აღნიშნული მიზნებისა და მოლოდინების საკანონმდებლო ფორმულირება ასახულია საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც ქართველი კანონმდებელი ადგენს როგორც ასეთი გათავისუფლების პირობებს, ასევე სათანადო უფლებამოსილ ორგანოებს და ინსტიტუციებს.

პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის სახის გათვალისწინებით მინიჭებული აქვს ერთის მხრივ

სასამართლოს და მეორეს მხრივ **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ადგილობრივ საბჭოს.

კერძოდ, კანონმდებელმა ეს ფუნქცია სასამართლოს დააკისრა იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება ისეთი სახის სასჯელისგან პირის გათავისუფლებას როგორიცაა: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპატიმრობა. ცხადია, სასამართლო ასეთ შესაძლო გათავისუფლებაზე იმსჯელებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი მიიჩნევს, რომ მჯავრდებულის გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა (72 მუხლის 1 ნაწილი). აღსანიშნავია, რომ, სსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით ასევე დაწესებულია შესაძლებლობა, რომ პირი მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

საგულისხმოა, რომ მსჯავდებულისათვის შეფარდებულ სასჯელთა ჩამონათვალში, კანონმდებელმა შეიტანა ცვლილება, რომელიც 2018 წლის 1 იანვირდან ამოქმედდა და შინაპატიმრობით ჩაანაცვლა მანამდე არსებული თავისუფლების შეზღუდვა იმ სასჯელთა ჩამონათვალს შორის, რომელიც სასამართლოს მისი გადახედვის უფლებამოსილებას ანიჭებს. აღნიშნული ცვლილება ლოგიკურია, რამდენადაც, თავისუფლების შეზღუდვა, როგორც სასჯელის სახე, 2018 წლიდან, გაუქმდა საქართველოში. რაც შეეხება იმ მსჯავრდე-

[7] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2016, გვ. 154.

ბულის პირობით ვადამდე გათავისუფლებას სასჯელის მოხდისაგან, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა აქვს დანიშნული, ასეთი უფლებამოსილება კანონმდებელმა **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ადგილობრივ საბჭოს მიანიჭა, რომელიც საკითხის გადაწყვეტისას, – არის თუ არა საჭირო გამოსწორებისათვის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, – ხელმძღვანელობს არა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, არამედ, ასევე, საქართველოს პატიმრობის კოდექსითა, და „საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესით". ეს უკანასკნელი დოკუმენტი დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე, რომელმაც, თავის მხრივ, ძალადაკარგულად გამოაცხადა *„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ"* საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №138 ბრძანება, რომელიც, მანამდე, საფუძვლად ედო *„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულებას"*, რითაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი საბჭო, ცვლილების განხორციელებამდე.

აღნიშნული ცვლილების მთავარი განმაპირობები ფაქტორი იყო ის სტრუქტურული ცვლილებები აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რაც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გამუქმებასა და მის იუსტიციის მინისტროსთან გაერთიანებაში გამოიხატა.

2018 წლის 1 იანვრიდან, სისხლის სამართლის კოდექსში გატარებული ცვლილების კვალდაკვალ, ცვლილება შეეხო ადგილობრივი

საბჭოსთვის მინიჭებულ ფუნციასაც იმ კუთხით, რომ ამ ორგანოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა შეეზღუდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულების მიმართ. *„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის„* მიხედვით: „1. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს: ა) სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, აგრეთვე მსჯავრდებულისა, რომელსაც სასჯელის სახედ შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი".[8]

აქ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის დადებითი მხარე, რაც ახასიათებს საბჭოს საქმიანობას პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთან მიმართებით. საბჭო გულისხმიერად და ყოვლად ამომწურავად, სრული პროფესიონალიზმით უდგება საკითს და შეისწავლის რა ღრმად თითოეული მსჯავრდებულის საქმეს, მისი დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს.

საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე, რომელიც თავის მხრივ არის ორი სახის: ზეპირი მოსმენის გარეშე და ზეპირი მოსმენით.

ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო არსებითად იხილავს წარმოებაში მიღებულ შუამდგომლობებს და ამ მასალების შესწავლის საფუძველზე, თუ მიიჩნევს, რომ, შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება ზეპირი მოსმენის გარეშე შუამდგომლობაზე უარის თქმის, ან მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, – მიიღებს ასეთს.

[8] „საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი," დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე, მუხლი 6, ნაწილი 1.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ იმ დროს, როცა საბჭო მიიჩნევს, რომ საჭიროა დამატებითი შეფასების და ანალიზის გაკეთება მსჯავრდებულთან მიმართებით, იგი მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ. შესაბამისად, საბჭო ზეპირი მოსმენით განიხილავს საქმეებს, რომლებიც საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის დროს დაშვებული იქნა ზეპირ მოსმენაზე განსახილველად.

საბჭო ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.[9] საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენით საქმეების განიხილვა ხდება შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

ცხადია, საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებას საფუძვლად უდევს სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მხედველობაშია მისაღები, როგორც კანონით დადგენილი შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის მე-13 მუხლით, გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა:

- **დანაშაულის ხასიათი** – ამგვარ შეფასების კრიტერიუმში იგულისხმება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული; ასევე, ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;
- **მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული,

[9] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი," დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე, მუხლი 7.

აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას.

- **მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი. ასევე, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი მსჯავრდებული;
- **ოჯახური პირობები** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
- **მსჯავრდებულის პიროვნება** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან; ასევე ინფორმაციას სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მსჯავრდებულის შეფასება ხდება აღწერილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად. აღნიშული კრიტერუმებით ხელმძღვანელობით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მაგალითის სახით წარმოგიდგენთ რამოდენიმე საქმეს გასული წლების პრაქტიკიდან, რომელიც თვალნათელს ხდის,

თუ რამდენადEგამჭვრვალე, სამართლიანი, მიუკერძოებელი და ეფექტურია საბჭოს საქმიანობა და განსხვავებულია მისი გადაწვეტილება იმის მიხედვით, თუ რასთან გვაქვს შეხება კონკრეტულ შემთხვევაში.

საბჭო არ იღებს გათავისუფლების თაობაზე დადებით გადაწყვეტილებას, თუ საქმეში მოცემული დანაშაულის ხასიათი და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მსაჯვარდებულის ქცევა არ იძლევა ამის შესაძლებლობას, როგორც ეს მოხდა ერთ-ერთ საქმეში, როდესაც საბჭომ განიხილა შემოსული შუამდგომლობა და შესაბამისი მასალები მსჯავრდებულ ლ. გ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე. **საბჭომ გადაწყვეტილების მისაღებად იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით და ყურადღება გაამახვილა შემდეგ კომპონენტებზე:**

დანაშაულის ხასიათზე, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ლ. გ. იყო ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც აღიარებდა და ცნობდა ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებდა ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, საკუთარ თავს მოიხსენიებდა „მომავალ ქურდად", რის შესახებაც საქმის კურსში ჰყავდა მისი მეგობრები, ე.წ. კანონიერი ქურდები და ქურდული სამყაროს სხვა წევრები. ასევე მან უკანონოდ შეიძინა და შეინახა ქარხნული წესით დამზადებული პისტოლეტი და ვაზნები. შესაბამისად, cnobil iqna damnaSaved saq. ssk-is 223 (1)-ე მუხლის პირველი ნაწილით; 236-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით;

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მის ქცევაზე და გაითვალისწინა, რომ მჯავრდებული 16 – ჯერ იყო დასჯილი და არც ერთხელ წახალისებული, რომ იგი არღვევდა დაწესებულების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომ დაწესებულების თანამშრომლებთან მიმართებაში იყო კონფლიქტური;

წარსულში ნასამართლობის ფაქტებზე;

ამასთან, იმ ფატქზე, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით **სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან გასაუბრებაზე მსჯავრდებულმა უარი განაცხადა.** შესაბამისად, საბჭოს მიერ ვერ იქნა გამოკვლეული მსჯავრდებულის ოჯახური მდგომარეობა და მსჯავრდებულის დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან.

საბოლოოდ, აღნიშნულ საქმეში საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 და 72-ე მუხლებით, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40, 41-ე და 42-ე მუხლებით, ასევე, იმ დროისათვის მოქმედ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპიური დებულებით" და მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ შუამდგომლობა მსჯავრდებულ ლ. გ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე მოცემულ ეტაპზე **არ დაკმაყოფილებულიყო.**[10]

ამისაგან განსხვავებით, მსჯავრდებული, რომელიც თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელს იხდიდა კონიაკის ქურდობისთვის, რომელიც ჩაიდინა პირობითი მსჯავრის ქვეშ ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმ"-ის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტზე და შემდეგ არ დაემორჩილა პოლიციელებს (მსჯავრდებული იყო საქ. სსკ 177 მუხ. I ნაწ., 353 მუხ. I ნაწ., 273 მუხ. თავისუფლების აღკვეთით), საბჭომ ერთხმად გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით:

მსჯავრდებულს მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება. მან დაამთავრა საქართველოს ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი. 4 წლის განმავლობაში მუშაობდა ერთ-ერთ კომპანიაში თავისი პროფესიით. იყო დაოჯახებული, ჰყავდა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი. ოჯახის წევრებთან მსჯავრდებულს ჰქონდა კარგი ურთიერთობა, შვილზე ზრუნვას უპირველეს მოვალეობად აღიქვამდა, ლოცულობდა, დადიოდა ეკლესიაში. **დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურა,** რის დასადასტურებლადაც, წარმოადგინა შესაბამისი ცნობა, დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ ქჰონდა;

მსჯავრდებული მოტივირებული იყო ცვლილებებისკენ, სურდა ჩაერთვა დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო პროგრამებსა და აქტივობებში. გათავისუფლების შემდეგ აპირებდა ბიზნესის წამოწყებას, დასახული ჰქონდა კონკრეტული გეგმები.

---

[10] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო, ოქმი (ზეპირი მოსმენის გარეშე), 28 დეკემბერი, 2016.

სასჯელის მოხდის პერიოდში მონაწილეობდა სოციალური აქტივობებში და მიღებული ჰქონდა მრავალი სერტიფიკატი და სიგელი, ემოციური აგრესიისა და ანტისოციალური ქცევის ტენდენცია არ იკვეთებოდა. კრიმინალური პატერნი არ გამომჟღავნებულა; მსჯავრდებულის განმარტებით იგი დანაშაულს აცნობიერებდა და ქონდა სინანულის განცდა;

სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი არ ყოფილა, მსჯავრდებული დაწესებულებაში იცავდა სარეჟიმო მოთხოვნებსა და კანონით დაკისრებულ მოვალეობებს. ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან ქონდა კარგი ურთიერთობა. იყო არა აგრესიული და კონფლიქტური, არამედ თავაზიანი.

საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელა ზემოაღნიშნული დოკუმენტის მე-13 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 და 72-ე მუხლებით და საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40, 41-ე და 42-ე მუხლებით, და მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე **გადაწყვიტა,** რომ ადგილობრივ საბჭოში შემოსული შუამდგომლობა მსჯავრდებულ გ.ო.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, **დაკმაყოფილებულიყო.**[11]

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **72-ე მუხლის მე-2 ნაწილს,** აქ აღნიშნული დებულებით, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულს შეიძლება დაეკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა, რომელიც მან უნდა შეასრულოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადაში.

როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მიუთუთებს, ევროპული ქვეყნები პირობით ვადამდე გათავისუფლების ორ სისტემას იცნობს -**დისკრეციულს** და **სავალდებულოს.**[12] საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა დისკრეციული

---

[11] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო, ოქმი (ზეპირი მოსმენის გარეშე), 28 თებერვალი, 2017.

[12] Council of Europe Recommendation Rec(2003)22 of the Committee of Ministers to member states on conditional release (parole), general principals, პარაგრაფები 16-24.

სისტემის მიმდევარი და განმახორციელებელია.

დისკრეციული გათავისუფლების სისტემა მოითხოვს, კანონმდებლობით იქნას დადგენილი მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების მოპოვებისათვის.[13] ასეთი სახის დისკრეცია ასახულია **საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილში.** მასში პირობით ვადამდე გათავისუფლება პირობადადებულია მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ხანგრძლივობით, კერძოდ: ა) იმ პირის პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის იხდის სასჯელს, სავალდებულოა მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდა; ბ) მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირისათვის – მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედის moxda, ხოლო გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულისათვის – მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედის მოხდა. ასევე, მსჯავრდებული შეიძლება პირობით ვადამდე გათავსუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა: დ) სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა ამავე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე. ცვლილებებით, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კოდექსმა ახალი ვადები და შესაბამისი პირობებიც მიუთითა, როდესაც პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის „ე" ქვეპუნქტში დაადგინა: „სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელსაც წინათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და შეცვლილი სასჯელი გაუქმდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე."[14]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მსგავსად დისკრეციული გათავისუფლების სისტემა, რაც ეფუძნება ინდივიდუალურ შეფასებას, გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრია, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუსეთის ფედ-

---

[13] იქვე, პარაფრაფი 16.

[14] სსკ-ის 72-ე მუხლი, ნაწილი მე-3.

ერაცია, სლოვენია, ესპანეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.[15]

ჩვენთვის ნაცნობი ამ სისტემისგან განსხვავებით, სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში უნდა მოხდეს სასჯელის იმ პერიოდის განსაზღვრა, რომელიც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს იმისათვის, რომ გათავისუფლების უფლება მოიპოვოს.[16] სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემისათვის მხოლოდ კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევები უნდა არსებობდეს გათავისუფლების გადასავადებლად.[17] ამასთანავე, გათავისუფლების გადავადების შემთხვევაში უნდა განისაზრვროს პირობით ვადამდე გათავისუფლების ახალი თარიღი.[18] ევროპული ქვეყნების ნაწილმა, როგორიცაა ფინეთი, შვედეთი და საბერძნეთი, პირობით ვადამდე გათავისუფლების სავალდებულო სისტემა აირჩიეს და დანერგეს კიდეც თავიანთი ქვეყნის პრაქტიკაში. [19]

თავის მხრივ მნიშვნელოვანია **სსკ-ის 72-ე მუხლის მე-4 ნაწილის დებულება,** რომლის მიხედვით მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად **მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები.** ასეთი ვადის დაწესება განპირობებულია სსკ-ის 50-ე მუხლის მოთხოვნით, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ ქართველი კანონმდებელი თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ ვადად 6 თვეს მიიჩნევს.

ცხადია, პირობით ვადამდე **გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლი საგანგებო რეგულაციებს ექვემდებარება,** რაც საქართველოს კანონმდებლობით დეტალურად არის დადგენილი. კერძოდ, საქართველოს **სსკ-ის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის**

---

[15] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 254.

[16] Council of Europe Recommendation Rec(2003)22 of the Committee of Ministers to member states on conditional release (parole), general principals, პარაფრაფი 22.

[17] იქვე, პარაგრაფი 23.

[18] იქვე, პარაგრაფი 24.

[19] N. Padfield , D. van Zyl Smit and F. Dünkel, Release from Prison: European Policy and Practice, Willan Publishing, (2010), USA, გვ. 420; მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 254 .

მიხედვით: „პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი სააღსრულებო ბიურო, ხოლო სამხედრო მოსამსახურის ყოფაქცევისა – სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა."

II. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი ციხეების გადატვირთულობის კონტექსტთან მიმართებით

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას ყურადღებას იმსახურებს ასევე **ციხეების გადატვირთულობის საკითხი.** ამ საკითხს ცალსახად გამოჰყოფს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 99 (22) ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე.

ციხეთა ადმინისტრაციის უმეტესობას, როგორც წესი, არ აქვს საშუალება, გამოყოს დამატებითი რესურსები, მატერიალური თუ ადამიანური, რათა დაარეგულიროს პატიმართა მზარდი რაოდენობა. შედეგად კი, ვიღებთ გადატვირთვის ეპიდემიურ ხასიათს. ციხეების ადმინისტრაცია ველარ ახერხებს მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას და პატიმრების რეაბილიტაციაზე ზრუნვას, რასაც შედეგად მოჰყვება პატიმრების მოუმზადებელი დაბრუნება საზოგადოებაში.[20]

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც დღესდღეობით ბევრ ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს, აიძულებს ხელისუფლებას იმსჯელოს სასჯელის განსაზღვრის პოლიტიკაზე, რომ შეზღუდოს ან შეამციროს პატიმრობის მაჩვენებელი. ამგვარი ინიციატივები დაფუძნებულია „წინა კარის" ან/და „უკანა კარის" სტრატეგიაზე, რაც გულისხმობს მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირებას, გამოწვეულს ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ზრდით („წინა კარის" სტრატეგია) და პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობის ზრდას („უკანა კარის" სტრატეგია).[21]

[20] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 157.

[21] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი,

აღნიშნული რეკომენდაცია და მის მიერ შემუშავებული დებულებები მხედველობაში იღებს ფაქტს, რომ ციხის გადატვირთულობა და ციხის მოსახლეობის ზრდა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ციხის ადმინისტრაციისა და მთლიანად სისხლის სამართლის სისტემისათვის, როგორც ადამიანის უფლებების, ისე სასჯელაღსრულების ინსტიტუტების ეფექტური მართვის თვალსაზრისით.[22] ამ დოკუმენტში ასახული ძირითადი პრინციპები, მის პირველივე პრინციპში აცხადებს, რომ „თავისუფლების აღკვეთა უნდა განხილებოდეს, როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია ან ზომა და შესაბამისად, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულის სიმძიმე სხვა სანქციებისა და ზომების გამოყენებას აშკარად არაადექვატურად წარმოაჩენდა".[23] რეკომენდაცია ასევე მოუწოდებს იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც შეამცირებს არსებული სასჯელის მოხდის ვადებს, რომლის დროსაც ციხის გადატვირთულობის პრობლემის მართვისას **კოლექტიურ ღონისძიებათა** (ამნისტია, კოლექტიური შეწყალება) განხორციელებაზე მეტად უპირატესობა მიენიჭება **ინდივიდუალიზებულ ღონისძიებებს,** როგორიცაა პირობით ვადამდე განთავისუფლება. [24]

ასევე, გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო სასჯელების შესახებ *(ტოკიოს წესები)*, კერძოდ კი მისი მე-9 წესი ადგენს, რომ: „1. ინსტიტუციონალიზაციის თავიდან ასარიდებლად და პატიმრის საზოგადოებაში ადრეული ინტეგრაციის მიზნით, კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ სასჯელის დადგენის შემდგომი ალტერნატივების შეთავაზების საშუალება."[25] ხოლო ამავე წესის მე-2 პუნქტი ასეთ ალტერნატივებად მოიაზრებს: „ა." შვებულებას" და დროებით შინ გაშვებას; ბ. სამუშაო ან საგანმანათლებლო გათავისუფლებას; გ. პირობითი გათავისუფლების სხვადასხვა

გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 252-253.

[22] Council of Europe Recommendation No. R (99) 22 concerning prison overcrowding and prison population inflation, პრეამბულა.

[23] იქვე, პარაგრაფი 1.

[24] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 255.

[25] გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო სასჯელების შესახებ (ტოკიოს წესები), წესი 9, პუნქტი 1.

ზომას; დ. სასჯელის შემსუბუქებას; ე. შეწყალებას."[26] მე-3 პუნქტი კი მიუთითებს, რომ: „სასჯელის დადგენის შემდგომი ქმედების შესახებ გადაწყვეტილება, შეწყალების გარდა, დამნაშავის მიმართვის საფუძველზე უნდა განიხილოს სასამართლომ ან სხვა კომპეტენტურმა დამოუკიდებელმა ორგანომ".[27]

დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე განთავისუფლების აქტიურად გამოყენებისადმი დამოკიდებულება დღითიდღე დადებითისაკენ იცვლება, სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება, შეიწყალოს მსჯავრდებულები, ევროპის ბევრ სახელმწიფოში რჩება მსჯავრდებულთა ვადამდე განთავისუფლების ყველაზე ეფექტიან საშუალებად. მასობრივი შეწყალების პროცესი კვლავაც რეალობაა. მათი გამოყენება განსაკუთრებით აღინიშნება როგორც დიდი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში (მაგალითად, როგორიც იყო კომუნიზმის შემდგომი ცვლილებების პერიოდი აღმოსავლეთ ევროპაში), ისე ჩვეულებრივ მექანიზმად მსჯავრდებულთათვის სასჯელის შესამსუბუქებლად, ან, სულაც, გასათავისუფლებლად (მაგალითად, საფრანგეთში).[28]

პოლიტიკური რყევებით განპირობებული ცვლილებები რელევანტურ საკითხებსა და მონაცემებში არც საქართველოსთვის ყოფილა უცხო. ასეთი დასკვნა კეთდება, თუ გადავხედავთ 2012 წელს ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში მომხდარი დიდი ძვრებიდან გამომდინარე მასობრივი ხასიათის ამნისტიის განხორციელებას საქართველოში,[29]

---

[26] იქვე, წესი 9, პუნქტი 2.

[27] იქვე, წესი 9, პუნქტი 3.

[28] გ. მიქანაძე, „პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა", სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები", თბილისი, 2012, გვ.126; იხ: R. Levy, Pardon and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France (2007) 36, Crime and Justice, 551-590.

[29] საქართველოს 2012 წლის 28 ნოემბრის კანონი ამნისტიის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამავე კანონით, შექმნილი პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა იხელმძღვანელა რა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1900 (2012) რეზოლუციით განსაზღვრული კრიტერიუმებით და მიიჩნია, რომ საქართველოში ამ დროისათვის არსებობდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირები, ამ კანონის შესაბამისად გამოაცხადა პოლიტიკური ამნისტიას.

რომელიც ცალსახად აღემატებოდა ვადამდე გათავისუფლების სხვა სამართლებრივი ბერკეტებით განხორციელებულ ყველა სტატისტიკას. მაგალითად, თუ შევამოწმებთ პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობას წლების მიხედვით და ერთმანეთთან შევადარებთ 2012 წლის და მისი შემდგომი 2 წლის (2013, 2014) მონაცემებს, „წარმოდგენილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2012 წელს აღწევდა, ხოლო 2013 წელს სახეზეა მკვეთრი კლება, რაც საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის ბოლოს მიღებული ,,ამინისტიის შესახებ" საქართველოს კანონის პირდაპირი ეფექტია".[30]

ზემოხსენებულ რეკომენდაციაში (99)22 ასახული მიდგომა კოლექტიურ ღონისძიებათა მიმართ ინდივიდუალიზებული ღონისძიებების პრიმატზე, გამყარებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (2003)22, რომელიც პირობით ვადამდე განთავისუფლებას განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებისა და პატიმრის საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან და კონსტრუქციულ საშუალებად აღიარებს. რეკომენდაცია პირობით ვადამდე განთავისუფლებას განმარტავს როგორც მსჯავრდებულის ვადამდე განთავისუფლებას, შემდგომი ინდივიდუალური პირობებით. ამასთანავე, რეკომენდაცია არ ეხება ამნისტიისა და შეწყალების საკითხებს.[31]

ამგვარი კოლექტიური და ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიებათა შეფასებისას თუ ისევ მოვუბრუნდებით საქართველოს რეალობას, დავინახავთ რომ „საქართველოში 2012 წლის ბოლოს გამოცხადებული და 2013 წელს აღსრულებული ზოგადი ამნისტიის შედეგად პატიმართა რაოდენობა განახევრდა. დანაშაულის მაჩვენებელზე ამნისტიის ზეგავლენის შესახებ ზოგადი საუბრებია, მაგრამ არ არსებობს რამე მყარი მტკიცებულება. არ იკვეთება, რომ გათავისუფლებულებმა უმალ დანაშაულებრივ საქმიანობას მიჰყვეს

---

[30] გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 91.

[31] გ. მიქანაძე, „პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა", სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები", თბილისი, 2012, გვ.127.

ხელი, მაგრამ პატიმართა რაოდენობა კვლავ მატულობს. ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ პოლიტიკური დისკურსი უფრო რთული გახადა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები და რეაბილიტაციურ მიდგომებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მხარდაჭერა უთითებს, რომ პატიმრობის მაჩვენებელი შესაძლოა მკვეთრად არ გაიზარდოს. კრიმინოლოგიური კუთხით, დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლი ნაკლებად არის, მაგრამ შესაძლოა გაძლიერდეს, რადგანაც მეტი მონაცემების შეგროვება და შესწავლა ხდება და საჭირო იქნება რეაბილიტაციური მიდგომის წარმატების დამადასტურებელი მტკიცებულება."[32]

ამნისტიით აქტით მასობრვად განხორციელებული გათავისუფლების საპირსპიროდ, ისევე როგორც ამას ზემოხსენებული რეკომენდაცია და ფაქტობრივი მონაცემები მოწმობს, საქართველოს რეალობაში, უფრო მეტად მიზანშეწნილი, გამართლებული და დადასტურებულია სსკ-ის 72-ე მუხლის ფარგლებში **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ადგილობრივი საბჭოს მიერ განხორციელებული პირობით ვადამდე გათავისუფლება, რომლის ეფექტურობაც ასახულია იმ მონაცემებში, რაც უკავშირდება პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირების მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის (ე.წ. *„უკან შემობრუნების"*) დაბალ მაჩვენებელს.

უფრო კონკრეტულად კი, როგორც ამას **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ადგილობრივი საბჭოს მიერ მოწოდებული მონაცემები მოწმობს, გაცილებით დაბალია პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც განმეორებით ჩაიდინეს დანაშაული გათავისუფლების შემდეგ და შემობრუნდნენ დაწესებულებაში **(იხ. დანართი №1).**

[32] გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 25.

პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებმაც

განმეორებით ჩაიდინეს დანაშაული (გათავისუფლება – შემობრუნება)

(1 ოქტომბერი, 2010 წელი – 31 ივლისი, 2017 წელი)[1]

საფუძველი	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1 ოქტომბერი, 2010 წელი – 30 სექტემბერი, 2012 წელი							
განმეორებით ჩადენილი დანაშაული (პვგ)	38	2	**40**	2	0	**2**	**42**
1 ოქტომბერი, 2012 წელი – 31 დეკემბერი, 2012 წელი							
განმეორებით ჩადენილი დანაშაული (პვგ)	0	1	**1**	0	0	**0**	**1**
2013 წელი							
განმეორებით ჩადენილი დანაშაული (პვგ)	47	0	**47**	3	0	**3**	**50**
2014 წელი							
განმეორებით ჩადენილი დანაშაული (პვგ)	33	1	**34**	1	0	**1**	**35**
2015 წელი							
განმეორებით ჩადენილი დანაშაული (პვგ)	28	0	**28**	6	0	**6**	**34**

2016 წელი							
განმეორებით ჩადენილი დანაშაული (პვგ)	46	0	46	0	0	0	46
31 ივლისი, 2017 წელი							
განმეორებით ჩადენილი დანაშაული (პვგ)	6	0	6	2	0	2	8
1 ოქტომბერი, 2012 წელი – 31 ივლისი, 2017 წელი							
სულ	160	2	162	12	0	12	174
1 ოქტომბერი, 2010 წელი – 31 ივლისი, 2017 წელი							
სულ	198	4	202	14	0	14	216

ამ ცხრილის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ დამაიმედებელ მონაცემებს ინდივიდუალური მიდგომის უპირატესი გამოყენების რეკომენდაციის დაცვის გარდა, საბჭოს მუშაობის გამჭვირვალეობა და პროფესიონალიზმიც განაპირობებს.

აღნიშნული სტატისტიკის წარმოება ასევე სრულ შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის „პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ" რეკომენდაციის 43-45 პუნქტებით დადგენილ დებულებებთან, რომლებიც პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გარშემო სტატისტიკისა და კვლევების წარმოების მნიშვნელოვანებას და აუცილებლობას უსვამენ ხაზს. [33]

პატიმრობის ბოლო ეტაპის შეცვლას ვადაზე ადრე გათავისუფლებით საზოგადოება არა მარტო უნდა ეთანხმებოდეს, არამედ აქტიურადაც უნდა იყოს ჩართული მოცემულ პროცესებში. ამ მხრივ, დამატებით მნიშვნელობას იძენს კავშირის დამყარება საზოგადოებრივ

[33] Council of Europe Recommendation Rec(2003)22 of the Committee of Ministers to member states on conditional release (parole), პარაგრაფი 43-45.

ორგანიზაციებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის. [34] ამ მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი შესაბამისი სტანდარტები. კერძოდ, ზემოაღნიშნული გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო სასჯელების შესახებ *(ტოკიოს წესები)*, მის მე-2 წესში ადგენს, რომ: „1. ჩამოთვლილი წესები ეხება ყველა პირს, რომელიც წარმოადგენს დევნის, სამართალწარმოებისა და სასჯელის აღსრულების ობიექტს ნებისმიერ ეტაპზე. 2. დანაშაულის სიმძიმისა და ხასიათის, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლებისა და მისი წარმოშობის შესაბამისად, საზოგადოების დაცვისა და უსარგებლო პატიმრობის თავიდან აცილების მიზნით, სისხლისსამართლებრივმა მართლმსაჯულებამ საზოგადოებას უნდა შესთავაზოს არასაპატიმრო სასჯელები. მათი მოცულობა და ხასიათი შესაბამისობაში უნდა იყოს ჩადენილ დანაშაულთან“. [35]

ციხეების გადატვირთულობის საკითხთან მიმართებით **სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების განხილვის** დასასრულს კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც გულისხმობს ასეთი გადატვირთულობის კორელაციას ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგებილ წამების აბსოლუტურ აკრძალვასთან. საქმეში ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ მომჩივნის მტკიცებით, მისი პატიმრობის პირობები, პრავიენისკეს ციხეში, 1998 წლის აპრილიდან 2000 წლის აპრილამდე, წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფუძველზე. აღნიშნულ საქმეში, „პატიმრობის ზოგადი პირობებში“ ვკითხულობთ: „ეს ნაწილი შედგებოდა საერთო საძინებლისგან, სადაც 22 პატიმარი ერთად იყო მოთავსებული, პატარა სამზარეულოსაგან, მოსასვენებელი ოთახისაგან და საშხაპესგან. მომჩივნის აზრით, მხოლოდ 6-დან 8 ადამიანამდე

---

[34] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 158.

[35] გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო სასჯელების შესახებ (ტოკიოს წესები), წესი 2.

შეიძლება იყოს მოთავსებული აქ და შესაბამისად ის ძალიან გადატვირთული იყო. მხოლოდ საძინებელს ჰქონდა ფანჯარა. მოსასვენებელ ოთახში და სამზარეულოში არც სავენტილაციო სისტემა და არც ფანჯარა არ იყო. სამზარეულოში ფანჯარა მხოლოდ 1999 წელს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად დამონტაჟდა. საცხოვრებელს ჰქონდა დერეფანი, რომელსაც გასასვლელი ჰქონდა პატარა შიდა ეზოსკენ. ეზო ზემოდან დაფარული იყო მავთულხლართებით, რომელიც ზამთარში თოვლით იფარებოდა. შედეგად ზამთარში სინათლე ვერ აღწევდა ეზოში. საპიფარეშო შედგებოდა რვა აზიური ტიპის „იატაკის ტუალეტებისაგან", რომლებსაც არ ჰქონდათ გამყოფები ბარიერები. პატიმრები საპირფარეშოს იყენებდნენ, რიგრიგობით, რადგან პატივი ეცათ ერთმანეთის პირადი ცხოვრებისთვის. აქ ფანჯრები არ იყო, ხოლო სავენტილაციო სისტემა მხოლოდ 1999 წლის ბოლოს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შემდგომ იქნა დამონტაჟებული. შედეგად საპირფარეშოში აუტანელი სუნი იყო. პატიმრებისთვის თავიანთი ტანსაცმლის გასარეცხად, ციხის სამრეცხაო, არ იყო ხელმისაწვდომი, აქედან გამომდინარე ისინი რეცხავდნენ საშხაპეებში თასების მეშვეობით."[36] ამ საქმის აღწერილობაში კარგად ჩანს ციხის გადატვირთულობით გამოწვეული აუტანელი პირობები.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა დიდი ხნის წინ აღიარა, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა პირდაპირ კავშირშია წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის გამოწვევასთან, რომლის პრევენციაც მის კომპეტენციას განეკუთვნება.[37] ბოლო წლებში კომიტეტმა გააფართოვა თავისი ხედვა და განმარტა, რომ სახელმწიფოების მიერ ისეთი სისტემის დანერგვა, რაც ამცირებს თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რაოდენობას, არის ყველაზე ეფექტიანი საშუალება ცუდი მოპყრობის პრევენციის მიზნით.[38] ერთ-ერთი გზა, რომელიც თავისუფლებააღკვეთილ მსჯა-

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ, (საჩივარი № 44558/98), 24 ივლისი, 2001.

[37] CPT 7th General Report [CPT/Inf (97)10], 12-15.

[38] CPT 11th General Report [CPT/Inf (2001)16], 28.

ვრდებულთა რიცხოვნებას აკონტროლებს, პირობით ვადამდე განთავისუფლების სისტემაა და ის კომიტეტის მიერ იქნა მხარდაჭერილი.[39]

III. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და კრიმინალური პროგნოზი

ამავე საკითხთან ცალსახად დაკავშირებული, თუმცა ამჯერად კრიმინოლოგიურ ჭრილში, კომპონენტია კრიმინალური პროგნიზი, რამდენადაც მისი არსი და დანიშნულება უპირობოდ გასათვალისწინებელი ფაქტორია პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთან მიმართებით.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის რეკომენდაციით „პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ", პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს პატიმარი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმორჩილი მოქალაქის მინიმალურ მოთხოვნებს. შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან, დაამტკიცონ, რომ პატიმარი ამ მინიმალურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და ის საზოგადოებას საფრთხეს შეუქმნის.

კრიმინალური პროგნოზის დროს საქმე გვაქვს ალბათობითი ტიპის ფრაზებთან პირის სამომავლო ლეგალური ქმედების შესახებ. კრიმინალური პროგნოზის საგანია კერძო ან საჯარო პირთა შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის კრიმინალური ქმედების წინასწარ განსაზღვრა, კონკრეტულად კი იმის, ჩაიდენენ თუ არა ეს პირები დანაშაულს.[40]

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის ინდივიდუალური ხასიათიდან გამომდინარე, რელევანტურია კონკრეტულ პირზე დაფუძნებული ინდივიდუალური ტიპის შეფასება, რომელიც კრიმი-

---

[39] გ. მიქანაძე, „პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა", სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები", თბილისი, 2012, გვ.127.

[40] დ. ჩიხლაძე, მ. შალიკაშვილი, „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი" თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.14.

ნალური პროგნოზის ერთ-ერთი და არა ერთადერთი სახეა. ინდივიდუალური კრიმინალური პროგნოზი ვარაუდია სამომავლო დამნაშავისა და მსხვერპლის კარიერის შესახებ. თუმცა ვიქტიმოლოგიური პროგნოზისგან განსხვავებით, დამნაშავეთა პროგნოზი კანონმდებლის ყურადღების ქვეშაა და სისხლის სამართლის კოდექსის ბევრი მუხლით არის მოწესრიგებული. ინდივიდუალური პროგნოზის სახეებიდან, როგორიცაა ადრეული პროგნოზი და რეციდივის პროგნოზი, სისხლისსამართლებრივი კონტექსტისთვის უფრო მნიშვნელოვანია რეციდივის პროგნოზი. ვინაიდან ამ დროს უნდა გაირკვეს, რამდენად შეიძლება, რომ პირმა პირველი ნასამართლობის შემდეგ სხვა დელიქტებიც განახორციელოს.[41] ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ რეციდივის პროგნოზი უდევს საფუძვლად პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტს, უფრო კონკრეტულად კი, მისი ისეთი სახე, როგორიცაა გათავისუფლების პროგნოზი, რადგან „გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას, ძირითადად, შესაბამისი სასამართლო ან კომისია იღებს. გათავისუფლების დროს მოსამართლემ ან კომისიის წევრმა უნდა განსაზღვრონ, მომავალში კვლავ ჩაიდენს თუ არა პირი დანაშაულს“. [42]

საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლით გათვალისწინებული პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში, ამგვარი **გათავისუფლების პროგნოზის** გააზრება, ფორმულირება და გათვალისწინება სწორედ სასამართლოსა და **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის კომპეტენციისა და უნარის ფარგლებში მოიაზრება და ხორციელდება.

თუ გავაანალიზებთ საბჭოს სამოქმედო დოკუმენტის, „საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს სისტემაში შემავალი *სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პი-*

---

[41] დ. ჩიხლაძე, მ. შალიკაშვილი, „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი“ თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.16.

[42] იქვე, გვ.17.

რობით ვადამდე ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-13 მუხლში მოცემულ შეფასების კრიტერიუმებს,[43] აშკარაა, რომ სწორედ აქ დაფიქსირებული კრიტერიუმების შეფასების მეშვეობით აყალიბებს საბჭო გათავისუფლების პროგნოზს და იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რამდენად მზად არის პიროვნება სოციუმში დასაბრუნებლად შემდგომი რედიცივის გარეშე ან ასეთი ალბათობის მხოლოდ მინიმალური რისკით, რადგან ამ რეციდივის საკითხის გარანტირებულად შეფასება შეუძლებელია მეცნიერებისათვის.

ყოველივე აღნიშნულის შესაბამისად, კრიმინალური პროგნოზის გამოყენება არამხოლოდ აუცილებელია, არამედ მისი გამოუყენებლობაა დაუშვებელი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მას სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს. გარდა იმისა, რომ იგი სასჯელის ინდივიდუალიზაციის წინაპირობას წარმოადგენს, ამავდროულად, სწორედ კრიმინალური პროგნოზია ის კომპონენტი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების მიმღები პირები ვალდებულნი არიან, გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ფაქტები გადაამოწმონ და გააანალიზონ. ეს პროცესი კი მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის ახალი თეორიების განვითარების და გამოყენების საფუძველია. პატიმრისთვის გასაგები უნდა იყოს ის კრიტერიუმი, რომელიც მის პირობით ვადამდე გათავისუფლებას შეუწყობს ხელს. სამართლებრივი უსაფრთხოების იდეა მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქისთვის, მით უფრო იმ პირისთვის, ვისაც საზოგადოებისა და მისი ნორმებისადმი ნდობა დაკარგული აქვს.[44]

[43] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი," დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე, მე-13 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი შეფასების კრიტერიუმებია: ა) დანაშაულის ხასიათი; ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; დ) ოჯახური პირობები; ე) მსჯავრდებულის პიროვნება.

[44] დ. ჩიხლაძე, მ. შალიკაშვილი, „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი"

ამდენად, შემაჯამებელი სახით, **სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება** არამხოლოდ სისხლისსამართლებრივ ჭრილში განსახილველი ფენომენია, როგორც სასჯელისგან გათავისუფლების ერთ-ერთი სახე, არამედ ის მულტიდიმენზიურ ხასიათს ატარებს და უკავშირდება როგორც სასჯელის მიზნებისა (რომელიც, სისხლისსამართლებრივი არსის გარდა ფილოსოფიური არსის მატარებელიცაა), და კრიმინალური პროგნოზის საკითხებს (რაც კრიმინოლოგიის ნაწილია), ისე ციხეების გადატვირთულობის პრობლემას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს როგორც სასჯელაღსრულების სამართლის ნაწილს, ასევე წამოჭრის საკითხს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენიის მე-3 მუხლით აბსოლუტურად დაცული უფლების დარღვევის თაობაზე.

IV. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება – მისი დარღვევის ლეგალური შედეგები

სსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილი ადგენს იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც მოჰყვება მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოუხდელ ვადაში ჩადენილ შემდეგ ქმედებებს:

ა) პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის ჯიუტად თავის არიდება; ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენა; გ) განზრახი დანაშაულის ჩადენა.

ჯიუტად თავის არიდების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული ორგანოების წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობით ვადამდე გათავისუფლება და აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი; გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისას პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; განზრახი დანაშაული ჩაიდინისას კი სასჯელი სსკ-ის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით დაინიშნება. იმავე წესით დაინიშნება სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სა-

---

თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 71.

სამართლო გააუქმებს პირობით ვადამდე გათავისუფლებას.

რაც შეეხება მსჯავრდებულის გათავისუფლებას უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, ეს საკითხი 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებების შემდეგ დარეგულირდა სსკ-ის 72-ე (I) მუხლით – „სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა" და შესაბამისად, იქნება განხილული აღნიშნული მუხლის ანალიზისას, თუმცა, მანამდე იგი სსკ-ის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილით იყო გათვალისწინებული, რომელიც ადგენდა, რომ: *„მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა."*

სსკ-ის 72-ე მუხლის მე-8 ნაწილი კი ადგენს ვადის გაანგარიშებას და ჩათვალს იმ მსჯავრდებულისათვის, რომელიც პირობით ვადამდე განთავისუფლდება ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან. კერძოდ, ასეთ პირს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადა ჩაეთვლება ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

ხოლო სსკ-ის 72-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულს, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლდება ამ კოდექსის 73-ე მუხლის 3 (1) ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის სახით დანიშნული შინაპატიმრობის მოხდისაგან, სასჯელის სახით ფაქტობრივად მოხდილი შინაპატიმრობის ვადა ჩაეთვლება ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: შინაპატიმრობის ერთი დღე თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ ნაწილთან მიმართებით, სსკ-ში 2018 წლის 1 იანვარს შესული ცვლილების განხორციელებამდე

სასჯელის სახით დანიშნული შინაპატიმრობის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლდების ნაცვლად, კოდექსი მიუთითებდა თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე და შესაბამისი სასჯელის ვადების გაანაგარიშებაზე და ჩათვლაზე. ძველი რედაქციით, თავისუფლების შეზღუდვის სახით ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადა ჩაითვლებოდა ურთიერთპროპორციულად: თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე თავისუფლების აღკვეთის ერთ დღედ.

შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 72-ე მუხლის ზემოაღნიშნულ მე-8 და მე-9 ნაწილებში ქართველი კანონმდებელი ითვალისწინებს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების **სპეციალურ შემთხვევას,** როდესაც დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი იცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით (სსკ-ის 73-ე მუხლის მე-3 და მე-3 (I) ნაწილები), ხოლო ამ უკანასკნელი ერთ-ერთი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე თავისუფლდება მსჯავრდებული. ასეთ შემთხვევას პირობითად, შეიძლება, სასჯელის მოხდისაგან **საფეხურებრივი გათავისუფლება** ვუწოდოთ, რადგან ჯერ დანიშნული სასჯელი იცვლება უფრო მსუბუქი სასჯელით და შემდეგ ამ უკანასკნელი სასჯელისაგან თავისუფლდება პირი. ასეთ შემთხვევაში, მსჯავრდებულის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ან შინაპატიმრობის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის, ცხადია, მოქმედებს სსკ-ის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესები.[45]

მუხლი 72(1). სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა

საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილში განხორციელებული ცვილებებიდან გამომდინარე, კერძოდ კი მისი გაუქმების შედეგად, – რომელიც მანამდე ითვალისწინებდა *მსჯავრდებულის უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან გათავისუფლების*

[45] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, გვ. 177-178.

შესაძლებლობას იმ შემთხვევებში, თუ იგი ფაქტობრივად მოიხ-დიდა თავისუფლების აღკვეთის ოც წელს და თუ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევდა, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულისათვის ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება, – სსკ-ს დაემატა ახალი, **72-ე(1)** მუხლი, რომელიც ეხება სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუ-ფლების აღკვეთის გადასინჯვას. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის დამოუკიდებელ მუხლად ჩამოყალიბება განპირობებულია საერთა-შორისო სტანდარტით დადგენილი მთელი რიგი იმ მოთხოვნებით, რომლებიც ცალსახად მიუთითებენ ასეთი გადასინჯვის არამარატო შესაძლებლობაზე, არამედ აუცილებლობაზე.

ამ დებულებით ქართველი კანონმდებელი აშკარად მიუთითებს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის შესაძლებლობაზე სასჯელის ყველაზე მკაცრი სახის – უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყ-ენების შემთხვევებშიც კი. ამით უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს კანონმდებელი აძლევს შანსს, რათა იგი კვლავ დაუბრუნდეს საზოგადოებას და მოხდეს მისი სოციალური ადაპტა-ცია.[46] ასეთი ჩანაწერი გარდაუვალიცაა სსკ-ში, რათა ხელი შეეწყოს სასჯელის მიზნებში მოხსენიებულ მსჯავრდებულის რესოციალიზა-ციის განხორციელების რეალურ შანსს.

ზოგადად, იმ სახელმწიფოებში, სადაც გაუქმებულია ან აღარ იყენებენ სიკვდილით დასჯას, უვადო თავისუფლების აღკვეთა წარ-მოადგენს სისხლისსამართლებრივი სასჯელის უმკაცრეს ზომას. სიკვდილით დასჯის არარსებობისას, უვადო თავისუფლების აღკვე-თას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და განიხილება მაქსიმალურ სადამსჯელო ზომად. შესაძლებელია რომ, ქვეყნების მიხედვით, ტერმინ „სამუდამო პატიმრობას" სხვადასხვა განმარტება ჰქონდეს, თუმცა, მათ მაინც ახასიათებთ საერთო მაჩვენებელი – უვადო თა-ვისუფლების აღკვეთა. რეალურად, იშვიათია შემთხვევა, როდესაც პატიმრები მართლაც მთელს ცხოვრებას ატარებენ ციხეში. მათ დიდ უმრავლესობას სათანადო ზედამხედველობის ქვეშ ათავისუფლებენ

---

[46] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2016, გვ.148.

გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ.[47]

უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმი თავისი რეკომენდაციით (2003)23, რომელიც ციხის ადმინისტრაციის მიერ სამუდამო და გრძელვადიანი პატიმრების მართვას ეხება, სპეციალურ ჩანაწერს აკეთებს და აღნიშნავს, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ და გრძელვადიან სასჯელით მსჯავრდებულ პირთათვის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების მინიჭების და იმპლემენტაციის საკითხი უნდა გადაწყდეს იმავე პრინციპებზე დაყრდნობით, რაც დადგენილია (2003)22 რეკომენდაციით პრობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის აუცილებლობის შესახებ.[48]

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, საქართველოს **სსკ-ის 72(1) მუხლი** ადგენს იმ მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლების საკითხს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და ამასთან, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი. ასეთი პირობების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან სსკ-ის კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით. სასამართლო ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო ამ შემთხვევაში აკეთებს და ითვალისწინებს კრიმინალურ პროგნოზს, რომელიც, ზოგადად, აუცილებელია მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლებისათვის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. ამავდროულად, სსკ-ის 72-ე მუხ-

---

[47] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 145.

[48] COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS Recommendation Rec(2003)23 of the Committee of Ministers to member states on the management by prison administrations of life sentence and other long-term prisoners, par. 34.

ლის ძველ რედაქციაში (ნაწილი მე-7) მოცემული პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევებისაგან განსხვავებით, როდესაც ასეთი გათავისუფლების საკითხი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს კომპეტენცია იყო კანონით დადგენილი წესის მიხედვით, სსკ-ის 72(1) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში გათავისუფლების პროგნოზს, ანუ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი სასამართლო იღებს,[49] რაც გულისხმობს, რომ სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება გათავისუფლების თაობაზე ერთმნიშვნელოვნად სასამართლოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება.

ამგვარი კრიმინალური პროგნოზის გაკეთებისას, გასათვალისწინებელია პენიტენციალურ სისტემაში დაფიქსირებული ასპექტიც რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის პატიმრების მართვისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი მომეტებულად სახიფათო ბუნება, პრაქტიკა არ ცხადყოფს ხანგრძლივად დაპატიმრებული ყველა პირი საშიშ ხასიათს. მაგალითად, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები არ წარმოადგენდნენ ხოლმე იმაზე მეტ საფრთხეს, ვიდრე მრავალგზის ნაკლებ ვადიანი სასჯელის მომხდელნი. აქამდე არ დამტკიცებულა, რომ სამუდამო პატიმრები უფრო მეტ საფრთხეს უქმნიან ციხის უსაფრთხოებას, ვიდრე ნებისმიერი სხვა პატიმარი. აღსანიშნავია, რომ ხშირად სამუდამო პატიმრობამისჯილი პირები პატიმართა საშუალო ასაკზე მეტი ხნის არიან. ისინი ხშირად პირველად ნასამართლევი პირები არიან, რომელთაც არ აქვთ ჩადენილი სხვა დანაშაული. უმეტესწილად, მათი მსხვერპლი მათთვის კარგად ნაცნობი ადამიანია. ვინაიდან ამ ტიპის პატიმრების გათავისუფლების დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქცევიან ისინი სასჯელის მოხდის დროს, მათსავე ინტერესებში შედის, რომ წესიერად მოიქცნენ და არ შექმნან პრობლემები. ამ მიზნით, ისინი ხშირად დამაწყნარებლადაც კი მოქმედებენ სხვა პატიმრებზე, მაგალითად, ახალგაზრდებსა თუ სხვა, მცირევადიანი სასჯელით მს-

[49] დ. ჩიხლაძე, მ. შალიკაშვილი, „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი" Tbilisi/berlini, 2013, gv. 17.

ჯავრდებულ პირებზე.[50]

საერთაშორისო ჩარჩო, რომლის შესაბამისიცაა საქართველოს კანონმდებლობაც, პირდაპირ ადგენს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული არც ერთი კატეგორიის მსჯავრდებულთან მიმართებით. ამგვარი უფლების არარსებობა შეესაბამება არა მარტო არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, არამედ ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე, ადამიანის ღირსების შემლახველია; მისივე განმარტებით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ადამიანის ღირსების შესაბამისი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს განთავისუფლების მოლოდინი. ადამიანის ღირსება შელახულია, თუ მსჯავრდებული, მისი პირადი განვითარების მიუხედავად, დაკარგავს ოდესმე თავისუფლების დაბრუნების ყველანაირ იმედს.[51]

ამდენად, აშკარაა, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართაც სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების საკითხი რესოციალიზაციის საბოლოო მიზანს უკავშირდება და ამასთან, თავის მხრივ, ასეთი უფლების ჩარმოთმევა ადამიანისათვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასუშეიძლება გაუთანაბრდეს, ისევე, როგორც ამას ამტკიცებდნენ ციხეების გადატვირთულობასთან მე-3 მუხლით აკრძალული საკითხის კორელაციის გამო.[52]

ამგავრი საკითხი დადგა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საქმეში ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Einhorn v. France). შეკითხვაზე, ეწინააღმდეგება თუ არა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების არქონა, მოცემულ საქმეში სა-

[50] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 146.

[51] გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008, გვ. 48-49.

[52] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 257-258.

სამართლომ აღნიშნა რომ, ისეთი უვადო თავისუფლების აღკვეთის დაკისრებამ, რომელიც გამორიცხავს სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას, შეიძლება წამოჭრას კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევის საკითხი.[53]

საქმის განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე, უვადო თავისუფლების აღკვეთით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი ასევე დადგა საქმეში კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ (Kafkaris v. Cyprus), რადგან განმცხადებელს არ ჰქონდა განთავისუფლების შესაძლებლობა. მართალია, სასამართლომ, ამ საქმეში, კონვენციის მე-3 მუხლის დადგენასთან მიმართებით პატიმრობის ხანგრძლივობის საკითხის შეფასებისას განაცხადა რომ: " მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსში უვადო პატიმრებისთვის გათავისუფლების შესაძლებლობა შეზღუდული იყო, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ თავისუფლების უვადო აღკვეთა შემცირებას არ ექვემდებარებოდა და გათავისუფლება შეუძლებელი იყო" და ამდენად, თავი აარიდა საკითხს, [54] მაინც, კაფკარისის საქმეში რამდენიმე აშკარა მინიშნებაა იმაზე რომ, თუ სამომავლოდ სასამართლოს წინაშე დადგება შეუმცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის საკითხი, იგი ამას მიიჩნევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. მტკიცებულების ნიშნად შეიძლება მოვიშველიოთ სასამართლოს განცხადება, რომლის თანახმად, „მე-3 მუხლის მიზნებისთვის საკმარისია ის გარემოება, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა დე ჯურე და დე ფაქტო შემცირებადია".[55] ეს პოზიცია კიდევ უფრო გამყარდა მოსამართლე ბრატცას განსხვავებულ აზრში, რომლის მიხედვით, „დადგა დრო, როდესაც სასამართლომ ღიად უნდა დაადასტუროს, რომ შეუმცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა, თუნდაც სრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის, ძირითადად, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს".[56] ასევე, წამებისა და

---

[53] Einhorn v. France, 16 ოქტომბერი, 2001 წელი, 27-ე პუნქტი.

[54] Kafkaris v. Cyprus, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://hudoc.echr.coe.int/eng#{«itemid»:[«001-120758»]}

[55] 12 თებერვალი, 2008 წელი, 98-ე პუნქტი.

[56] გ. მიქანაძე, „პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა", სტატიათა კრებული

სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გრძელვადიანმა პატიმრობამ შეიძლება პატიმრებზე დესოციალიზაციის სხვადასხვა შედეგი გამოიღოს.[57]

ხანგრძლივი პატიმრობის უარყოფითDშედეგებს შეეხო გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელმაც თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის დაახლოვებით 20 წლის მოხდის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებული სულიერად და ფიზიკურად ეცემა.[58] სასამართლომ, მის ერთ-ერთ სხვა გადაწყვეტილებაში ისიც კი აღნიშნა, რომ დამნაშავეს, სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში დაბრუნების შანსი უნდა მიეცეს. [59] ასეთი მრავალმხრივი და მყარად გარანტირებული საერთაშორისო ჩარჩოს მიუხედავად, ცხადია, უვადო თავისუფლებააღკვეთილთა ამგვარი გათავისუფლების გამოყენებას გააჩნია შესაბამისი პირობები და შეზღუდვები, რომელთაც დეტალურად ეხება სსკ-ის 72(1) მუხლის მე-2 ნაწილი.

სასამართლოს მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლება უპირობოდ არ ხორციელდება და კანონით დადგენილი მოვალეობებისა თუ სათანადო ქცევის დარღვევისას იწვევს ჰუმანურობის პრინციპზე დაფუძნებული განსახილველი ზომების გაუქმებას და უვადო თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას. უფრო კონკრეტულად კი, სსკ-ის 72(1) მუხლის მე-2 ნაწილით, "თუ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში: ა) განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სასამართლო უფლებამოსილია ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ორგანოების წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს

კ. კორკელიას რედაქტორობით „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები", თბილისი, 2012, გვ. 136.

[57] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2016, გვ.149.

[58] იხ: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 45, 187.

[59] იხ: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 35, 202.

გამოსაცდელი ვადა და აღსრულდეს უვადო თავისუფლების აღკვეთა; ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, გამოსაცდელი ვადის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; გ) განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უნიშნავს მას სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილი წესით. იმავე წესით დაენიშნება მსჯავრდებულს სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს გამოსაცდელ ვადას".

ამდენად, დაკისრებული მოვალეობების განზრახ შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაცდელი ვადის გაუქმებას და უვადო თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას. გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოსაცდელი ვადის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხი სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, ხოლო განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოსაცდელი ვადის გაუქმების საკითხი ნათელია და შესაბამისად, სასამართლო იმოქმედებს განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის კანონში არსებული წესებით. ანალოგიური პროცედურით მოხდება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩამდენი ისეთი პირისათვის სასჯელის დანიშვნა, რომლის მიმართაც სასამართლო გააუქმებს გამოსაცდელ ვადას.

თუ ევროპული სტანდარტი განსახილველ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზემოაღნიშნული რეკომენდაციების მეშვეობით უვადო თავისუფლებააღკვეთილ და გრძელვადიან სასჯელით მსჯავრდებულ პირთათვის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების მინიჭებისა და ასეთის შესაძლებლობის აუცილებლობაზე საუბრობს, ამისგან განსხვავებით, არსებობენ ცალკეული სახელმწიფოები, რომლებიც კიდევ უფრო რადიკალურ პოზიციას იკავებენ სამუდამო და გრძელვადიანი პატიმრების თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის საკითხთან დაკავშირებით და სრულად უარყოფენ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას საკუთარ კანონმდებლობებში.

ასეთი მიდგომის მიმდევარ სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ სასჯელების განუსაზღვრელი ხასიათი ციხის ადმინისტრაციას მენე-

ჯმენტის მთელ რიგ პრობლემებს უქმნის. ის ფაქტი, რომ უცნობია გათავისუფლების დრო, საჭიროებს სპეციალურ ყურადღებას პატიმრების საზოგადოებაში დაბრუნების პროგრამების შემუშავება-განხორციელებისას. „მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუცია აღიარებს სამუდამო პატიმრობით გამოწვეულ პრობლემებს. პორტუგალიაში სამუდამო პატიმრობა იკრძალება კონსტიტუციით (პორტუგალიის 1989 წლის კონსტიტუცია, მუხლი 30.1). არც ესპანეთში არსებობს სამუდამო პატიმრობა. ამ ქვეყნის სისხლისსამართლებრივი დოქტრინა მიუთითებს, რომ სამუდამო პატიმრობა არაკონსტიტუციურია. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ ციხის ვალდებულებაა, მისცეს პატიმრებს საშუალება, დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ ისინი „სოციალურად რეაბილიტირებულნი" არიან, ხოლო სამუდამო პატიმრობა ამ დებულებას ეწინააღმდეგება. ნორვეგიაში სამუდამო პატიმრობას არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი. სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ნაწილის, მაგალითად, ბრაზილიისა და კოლუმბიის კონსტიტუციები ასევე კრძალავენ სამუდამო პატიმრობას."[60]

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ მსჯავრდებულთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის მოხდება მათი განთავისუფლება. განთავისუფლება, თუნდაც პირობითი, თავისუფლების დაბრუნებას ნიშნავს, რაც ადამიანის ძირითადი უფლებაა. ვადამდე განთავისუფლების პროცედურებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ თავისუფლების აღკვეთის ნეგატიური ეფექტების შემცირებისა და მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის კუთხით.[61] ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია რესოციალიზაციის საკითხი. ეფექტური რესოციალიზაციის მიღების გარშემო გამართულ სამეცნერო დებატებში გამოთქმულია აზრი, რომ თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აღემატება 10 წელს, ვერ აღწევს სასჯელის მიზანს დამნაშავის რესოციალიზაციის მიღწევის თვალსაზრისით.[62] თუმცა, არსე-

[60] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 146.

[61] გ. მიქანაძე, „პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა", სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები", თბილისი, 2012, გვ. 138-139.

[62] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი,

ბობენ ქვეყნები, სადაც პირობით ვადამდე გათავისუფლება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან არ გამოიყენება. კერძოდ, არ ეხებათ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილებს გათავისუფლება ლიტვაში, მალტაში, ნიდერლანდებში. როგორც ჩანს, ამ ქვეყნებში სამართლიანობის აღდგენას ანიჭებენ უპირატესობას და უგულვებელყოფილია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. ასეთ პირობებში გასაზიარებელია მოსაზრება მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის პრიმატის მინიჭებს თაობაზე. შესაბამისად, იმ ქვეყნებში, სადაც არ მოქმედებს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია აზრს კარგავს. [63]

ევროპული სტანდარტები ხაზგასმით მიუთითებენ პირობით ვადამდე გან- თავისუფლების ეფექტიანი სისტემის დანერგვასა და განხორციელებაზე, რაც აღიარებულია სასჯელის მიზნის მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილ სისტემად და ხელშემწყობ ფაქტორად მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის.[64] საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა ცვლილებებმა საქართველოში უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით განთავისუფლების სისტემა გააუმჯობესა. ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სრულ შესაბამისობაშია როგორც ჰუმანურობის პრინციპთან, ისე საკითხზე დადგენილ საერთაშორისო სტანდარტთან თუ სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალთან და ითვალისწინების რესოციალიზაციის შესაძლებლობასაც.

მუხლი 73. სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი

2016, გვ.150.

[63] იქვე, გვ. 149.

[64] გ. მიქანაძე, „პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა“, სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები“, თბილისი, 2012, გვ.139.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოები აღჭურვილნი არიან დამატებითი კომპეტენციით, პირობით ვადამდე განთავისუფლების გარდა, იმსჯელონ მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისა ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე.[65]

სამართლის სხვადასხვა დარგებთან ერთად,[66] აღნიშნულ საკითხს, არსებითად არეგულირებს საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლი, რომლის I ნაწილის მიხედვითაც:"საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა). აღნიშნული პროცედურა კიდევ უფრო დეტალურად არის გაწერილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესში". კერძოდ, ამ დოკუმენტის მე-6 მუხლის I ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, საბჭო უფლებამოსილია განიხილოს: „მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულისა და მსჯავრდებუ-

---

[65] გ. მიქანაძე გ., „პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა", სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები", თბილისი, 2012, გვ.137.

[66] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 43-ე მუხლი.

ლისა, რომელსაც სასჯელის სახედ შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა."[67]

თუმცა, სსკ-ის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთი ცვლილება სასჯელში ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული ფაქტობრივად მოიხდის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ერთ მესამედს.

სსკ-ს 73-ე მუხლის მე-3 და მე-3(I) ნაწილებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, მისთვის დაკისრებული სასჯელის ეს სახე შეუცვალოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით ამგვარ ცვლილებაზე მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში. სასჯელის ასეთი ჩანაცვლების დროს არ გამოიყენება ის ზოგადი წესები, რასაც სსკ-ის შესაბამისი მუხლები ადგენენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისა (გარდა 44-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა) და შინაპატიმრობის (გარდა სსკ-ის 47-ე (I) მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 და მე-7 ნაწილებისა) ორდინალურ შემთხვევებში.

ამასთან, ზემოაღნიშნულ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა). ეს დებულება იმაზე მიანიშნებს, რომ ადგილობრივ საბჭოს არ შეუძლია ქონების ჩამორთმევისგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული.

რაც შეეხება ჯარიმას, იგულისხმება, რომ თუ ჯარიმა გადახდილია, მისგან გათავისუფლება არ მოხდება, ხოლო თუ პირი გადახდისუ-

[67] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი," დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე, მუხლი მე-6, ნაწილი 1, პუნქტი (ბ).

უნაროა, სასჯელის ეს სახე არც უნდა გამოიყენოს სასამართლომ მის მიმართ, რის გამოც ჯარიმისგან გათავისუფლება პრაქტიკულად წარმოუდგენელია. დანარჩენ დამატებით სასჯელებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლოგიკურად აღნიშნული დამატებითი სასჯელებისგან მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება ყოველგვარი დათქმის გარეშე გათავისუფლდეს პირი. [68]

მოცემული მუხლის აღნიშნულ (მე-3 და მე-3(l)) ნაწილებში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, საბჭოს მიერ სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ჩანაცვლება ზემოაღნიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეიზღუდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულების მიმართ მათი გამოუენებლობით, ისევე როგორც, თავის მხრივ, თავისუფლების შეზღუდვა (სსკ-ის 47 მუხლი), როგორც სასჯელის სახე, გაუქმდა და ჩანაცვლდა შინაპატიმრობით (სსკ-ის 47(l) მუხლით), რომელიც არის ნოვაცია სსკ-ში გათვალისწინებულ სასჯელთა სახეებში. შესაბამისად, შინაპატიმრობით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეცვლის შესაძლებლობას ვხვდებით სსკ-ის 73-ე მუხლში იქ, სადაც მანმადე კანონმდებელი თავისუფლების შეზღუდვას მოიხსენიებდა. ცხადია, ყველა მუხლში, სადაც ამ ცვლილებებამდე თავისუფლების შეზღუდვა მიეთითებოდა, ამჟამად სსკ-ით გათვალისწინებულია შინაპატიმრობა.

სსკ-ში 47-ე და 47(l) მუხლებთან დაკავშირებით განხორციელებული ფუნდამეტური რევიზიის ფონზე, სსკ-ის 73-ე მუხლის მე-3(l) ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებების შემდეგ, საბჭო უფლებამოსილია შეცვალოს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შინაპატიმრობით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ დროს არ მოხდება სსკ-ის 47-ე პრიმა მუხლის მე-2, მე-4 და მე-6 ნაწილების მოთხოვნების გამოყენება.

ამასთან, აღსანიშნავია *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს*

---

[68] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, გვ. 181.

სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესში არსებული ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის, კერძოდ თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით და შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, საბჭოს შეუძლია მიიღოს მხოლოდ ზეპირი მოსმენით.[69] ცხადია, აქაც, სსკ-ში არსებულ სასჯელთა სახეებში ცვლილების განხორციელების კვალდაკვალ თავისუფლების შეზღუდვის ნაცვლად შინაპატიმრობა მიეთითება.

რაც შეეხება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებში ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადის გაანგარიშებას, სსკ-ის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილია იმ ფაქტობრივად მოსახდელი ვადის ოდენობა, რომლის მოხდაც აუცილებელია თავისუფლების აღკვეთით სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში. ამ ვადის ოდენობა დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის კატეგორიაზე და შემდეგნაერად განისაზღვრება: „ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი; დ) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე.“ ამ ჩამონათვალს 2018 წლის იანვრიდან დაემატა კიდევ ერთი საფუძველი „ე“ ქვეპუნქტის სახით, რომელიც ადგენს, რომ სასჯელის ამ მუხლით

[69] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი,“ დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე, მუხლი მე-7, ნაწილი 7.

გათვალისწინებული წესით ცვლილების შემთხვევაში, მოხდილი უნდა იყოს: „ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელსაც წინათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და შეცვლილი სასჯელი გაუქმდა ამ მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე".

ასეთი გაანგარიშების მიღმა, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ქართველი კანონმდებელი ადგენს მინიმალურ ვადას, რომლის მოხდა სავალდებულოა დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად და ზემო აღნიშნული წესით დანაშაულის სხვადასხვა კატეგორიათათვის ვადის ათვლის უცილობელ პირობას წარმოადგენს. კერძოდ, სსკ-ის 73-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, „ამ მუხლის მე-3 ან 3(I) ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები."

რაც შეეხება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულს, 2018 წლის 1 იანვარს ამოქმედებულმა საკანონმდებლო ინიციატივამ ამ საკითხთან მიმართებითაც გარკვეული ცვლილებები შემოიტანა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. კერძოდ, თუ სსკ-ის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის 2018 წლის დასაწყისამდე მოქმედი რედაქციით, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრებულისათვის სასჯელის ამ სახის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის უფლება მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს, ცვლილების შემდეგ მათ ეს კომპეტენცია ჩამოერთვათ და სასამართლოს მიენიჭა. ასევე, მოცემული ცვლილებით, აღნიშნულ შემთხვევებში, თავისუფლების შეზღუდვა შინაპატიმრობითაა ჩანაცვლებული. ხორცშესხმულმა საკანონმდებლო ინიციატივამ უცვლელი მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ფაქტობრივად მოსახდელი ვადის დადგენილი ოდენობა – თხუთმეტი წელი – დატოვა.

აღნიშნულ შემთხვევებში ასე ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული 15 წლიანი ვადის დაწესება იმით არის განპირობებული, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არანაერ ვადებთან არ ასოცირდება და ამდენად მისი ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელიდან პროცენ-

ტული ან წილობრივი გამოანგარშება შეუძლებელია. ამიტომ, თავისუფლების აღკვეთის ფაქტობრივად მოსახდელ ვადად ცალსახად დაფიქსირებულია თავისუფლების აღკვეთის თხუთმეტი წელი. [70]

2018 წლიდან ამოქმედებულმა ცვლილებებმა სსკ-ის აღნიშნული მუხლის დასახელებულ ნაწილში (73-ე მუხლის მე-7 ნაწილი) აგრეთვე ზედმიწევნით და მყარად დააფიქსირა შინაპატიმრობის და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ის ვადები, რომლებიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს უვადოდ თავისუფლებააღკვთილი მსჯავრდებულისათვის სასჯელის ამგვარი შემსუბუქების (შეცვლის) შემთხვევაში. კერძოდ, „მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით – იმავე ვადით, ამ კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაანგარიშების შესაბამისად.“[71]

ცვლილებამ ასევე დააზუსტა და კანონში დეტალურად გაწერა ის საფუძვლები, რასაც სასამართლო შეაფასებს და გაითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღებისას. კერძოდ, ეს ფაქტორებია: დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ნასამართლობა, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, ოჯახური პირობები და მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები.

დანაშაულის ხასიათის, როგორც გადაწყვეტილების მისაღებად ერთ-ერთი სახელმძღვანელო კრიტერუმის გამოყენებისას, საკითხი კრიმინოლოგიური პერსპექტივიდანაც უნდა შეფასდეს, ვინაიდან ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლით, არ შეესაბამება დანაშაულის კრიმინოლოგიურად, საზოგადოებრივი საშიშროებით დადგენილ სიმძიმეს. შესაბამისად, მხოლოდ სსკ-ის მე-12 მუხლით შეფასება დანაშაულის სიმძიმეზე ნათელ სურათს ვერ მოგვცემს.Aაქ აუცილებელია დანაშაულის ჩადენის გარემოება და ვითარება იქნას გათვალისწინებუ-

[70] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, გვ. 182.

[71] სსკ-ის 73-ე მუხლი, ნაწილი 7.

ლი და შეფასებული. დანაშაულის ჩადენის გარემოების, ვითარების და პირობების შესწავლა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა კრიმინალური ენერგიის მატარებელია დამნაშავე. ამ კრიტერიუმის შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა დამნაშავე პირს დანაშაულის ჩადენის დროს დაზარალებულთან. საინტერესოა იმ საკითხის გარკვევა, მიაყენა თუ არა დამნაშავემ დაზარალებულს იმაზე მეტი ტკივილი, ვიდრე აუცილებელი იყო დანაშაულის სისრულეში მოსაყვანად. ასევე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ხომ არ იყო დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ.[72]

მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, როგორც შეფასების კრიტერიუმის, განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის ქცევას სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, მის მიმართ გამოყენებულ დისციპლინურ და წამახალისებელ ღონისძიებებს. მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური და წამახალისებელი ღონისძიებები გათვალისწინებულია საქართველოს "პატიმრობის კოდექსით" და პედაგოგიური მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული. აქ იგულისხმება, ერთის მხრივ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიებები, გათვალისწინებული პატიმრობის კოდექსის მე-82 მუხლით და დისციპლინური პატიმრობა, მოცემული პატიმრობის კოდექსის 90-ე მუხლში, ხოლო მეორეს მხრივ – წახალისების ღონისძიებები, რომელიც მოცემულია "პატიმრობის კოდექსის" 63-ე და 66-ე მუხლებში. საკითხი შედარებით პრობლემურია შეფასების თვალსაზრისით, როცა მსჯავრდებულის მიმართ თანაბრად ან ზოგადად გამოყენებული იყო როგორც დისციპლინური, ისე წახალისების ღონისძიებები. ასეთ დროს ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული ღონისძიებების თარიღს (განმსაზღვრელია, თუ რომელი ღონისძიება და რამდენჯერ იქნა გამოყენებული მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვის მო-

[72] დ. ჩიხლაძე, მ. შალიკაშვილი, „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი" თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 52-53.

მენტთან ახლო დროის მონაკვეთში) და დისციპლინური ქმედების სიმძიმეს. [73]

წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ნასამართლობა არ არის იდენტური მოვლენები და სისხლისსამართლებრივად სხვადასხვა შეფასების კრიტერუმებია, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ნასამართლობა, თუ იგი მოხსნილი ან გაქარწყლებულია კანონით დადგენილი წესით – არ მიიღება მხედველობაში სისხლისსამართლებრივად. ამდენად, ასეთ დროს შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, რომელიც შეფასებას ექვემდებარება იმდენად, რამდენდაც იგი კრიმინოლოგიური ანალიზის და რისკ-ფაქტორების განსასზღვრის საშუალებას იძლევა.

დებულება, რომ „წინანდელი ნასამართლობა არ არის მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შემზღუდავი გარემოება“[74],ნასამართლობის წმინდა სისხლისსამართლებრივ ანალიზს ახდენს. თუმცა, ნასამართლობის კრიმინოლოგიური ანალიზი და მნიშვნელობა უფრო ფართოა. ამგვარ ანალიზს აინტერესებს, თუ რამდენად შეიძლება, წარსულის დანაშაულებრივ ქმედებას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში გარკვეული ზემოქმედება ჰქონდეს. ამიტომ, პირობით ვადამდე გათავისუფლების, ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის დროს ნასამართლობის საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია პირის კრიმინალური ენერგიის დასადგენად,[75] ხოლო ის ფაქტი, იგი მოხსნილი ან გაქარწყლებული არის თუ არა, ირელევანტური ხდება კრიმინოლოგიიური თვალსზრისით. ამდენად, ამავე პერსპექტივიდან, იქნება ეს კანონით დადგენილი ნასამართლობა თუ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, იგი მხედველობაში მიიღება მსჯავრდებული პირის მიმართ გამოსაყენებელი ღონისძიების (ამ შემთხვევაში სასჯელის უფრო მსუბუქი სახით შეცვლის) შეფასებსას და გადაწყვეტილების მიღებისას.

---

[73] იქვე, გვ. 53-57.

[74] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის № 202 განჩინება.

[75] დ. ჩიხლაძე, მ. შალიკაშვილი, „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი“ თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.58.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ოჯახური პირობების გათვალისწინებით საკითხის შეფასებას, ასეთ დროს ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს სამ ასპექტზე: 1) მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან; 2) ჰყავს თუ არა მას მცირეწლოვანი შვილები ან ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრები; და 3) როგორია მისი ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა. თავად მსჯავრდებულის პიროვნების შეფასებისას კი საუბარია მსჯავრდებულის პირად დამოკიდებულებაზე, როგორც დანაშაულთან, ასევე ციხის ადმინისტრაციასთან, მსჯავრდებულებთან, მის აგრესიულობის დონეზე და სხვა.[76]

სსკ-ის 73-ე მუხლის მე-**8** ნაწილი ადგენს იმ პირობებს, რომელიც გამოიყენება ამ მუხლის მე-3 ან მე-3(I) ნაწილით გათვალისწინებულ მსჯავრდებულთან, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ნაწილი ჩათვლილი აქვს პირობით. კერძოდ, ასეთ შემთხვევებში „გამოსაცდელი ვადის დინება იწყება სასჯელის სახით დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან შინაპატიმრობის მოხდის მომენტიდან".

სსკ-ი, ცხადია, ყურადღების და რეგულირების მიღმა არ ტოვებს ამ მუხლით გათვალისწინებული წესით სასჯელშემსუბუქებული/სასჯელშეცვლილი პირის ქცევის სუპერვიზიის საკითხს და ასეთი ზედამხედველობით-მაკონტროლებელი ფუნქციის მატარებლად პრობაციის ბიუროს ასახელებს **სსკ-ის 73**-ე მუხლის მე-**9** ნაწილში. კერძოდ, ადგენს, რომ: „ამ მუხლის მე-3 ან მე-3(I) ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პრობაციის ბიურო".

ამ მუხლის მე-10 და მე-12 პუნქტები, განსაზღვრავენ იმ შემთხვევებში მისაღებ სამართლებრივ ზომებს, თუ ამ მუხლით დადგენილი წესით სასჯელშეცვლილი (სასჯელშემსუბუქებული პირი) არ იმოქმედებს კანონმორჩილი ადამიანისთვის დადგენლი პირობების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, სსკ-ის **73**-ე მუხლის მე-**10** ნაწილით, თუ ამ მუხლის მე-3 ან მე-7 ნაწილით (ამ უკანასკნელში იგულისხმება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული,

[76] იქვე, გვ. 59-64.

რომელსაც სასჯელის ეს სახე შეეცვალა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით) გათვალისწინებულმა მსჯავრდებულმა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდისას: „ა) განზრახ (2018 წლის 1 იანრიდან ამოქმედებულ ცვლილებებამდე გამოიყენებოდა ტერმინი – ჯიუტად) თავი აარიდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ან სხვა მიზეზით სასჯელის შემდგომი მოხდა მიზანშეუწონელია, სასამართლოს შეუძლია პრობაციის ბიუროს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და აღსრულდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი; ბ) ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; გ) ჩაიდინა განზრახი დანაშაული, სასამართლო აუქმებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას და უნიშნავს მას სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. იმავე წესით დაინიშნება სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. გამონაკლის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მხარეთა შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან.

სსკ-ის **73**-ე მუხლის მე-**12** ნაწილით კი, რომელიც ეხება თავისუფლების აღკვეთით დანიშნული სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში მისი მოხდის შეუსრულებლობის პირობებს, დადგენილია რომ: „თუ ამ მუხლის მე-3(I) ნაწილით ან მე-7 ნაწილით (ამ უკანასკნელში იგულისხმება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის ეს სახე შეეცვალა შინაპატიმრობით) გათვალისწინებულმა მსჯავრდებულმა შინაპატიმრობის მოხდისას: ა) განზრახ (2018 წლის 1 იანრიდან ამოქმედებულ ცვლილებებამდე გამოიყენებოდა ტერმინი – ჯიუტად) თავი აარიდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ან სხვა მიზეზით სასჯელის შემდგომი მოხდა მიზანშეუწონელია, სასამართლოს შეუძლია პრობა-

ციის ბიუროს წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს შინაპატიმრობა და აღსრულდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი; ბ) ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, შინაპატიმრობის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; გ) ჩაიდინა განზრახი დანაშაული, სასამართლო აუქმებს შინაპატიმრობას და უნიშნავს მას სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. იმავე წესით დაინიშნება სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს შინაპატიმრობას. გამონაკლის შემთხვევაში, შინაპატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მხარეთა შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან.

სსკ-ის **73**-ე მუხლის მე-**11** ნაწილი ადგენს, რომ ამ მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე. ხოლო მე-**13** ნაწილი ეხება ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში დროის გამოანგარიშების და ჩათვლის წესებს, როდესაც ადგენს, რომ: „ დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული სასჯელს იხდიდა შინაპატიმრობის სახით, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: შინაპატიმრობის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე“.

სსკ-ის **73**-ე მუხლის მე-**14** ნაწილით, ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 73(1). სასჯელის გადახედვა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად

თუ სისხლის სამართალს, მათ შორის, მის ამოცანას და სასჯელის მიზნებს ჰოლისტიკურად შევაფასებთ, დავინახავთ, რომ თანამდეროვე სისხლის სამართალი არა არქაული, „ტალიონის პრინციპზე" აგებული ნაცვალგებაა, არამედ ის არის სოციუმის სიმშვიდისა და კეთილღდეობის ერთგვარი გარანტი, ამგვარი გარანტიის სისხლის სამართლის კანონის ამოცანებისა და სასჯელის მიზნების მიხედვით განხორციელებით.

სისხლის სამართლის პირველივე მუხლის მე-3 ნაწილში ვკითხულობთ, რომ სისხლის სამართლის კანონის „მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა", ხოლო სსკ-ის 39-ე მუხლი კი სასჯელის მიზნებში, სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, მის თანასწორად, ასევე ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას ითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე, იგულისხმება, რომ სასჯელის გამოყენებისას სისხლის სამართლის თვითმიზანი დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის დასჯა კი არა, არამედ ზოგადი პერსპექტივით დანაშაულის შეკავება, მისი თავიდან აცილებაა, რადგან ამ პრევენციის საფუძველზე მოახდინოს სსკ-მა მისი ძირითადი მიზნის – „მართლწესრიგის დაცვა".

სისხლის სამართლის კანონის სწორედ ამგვარ იდეოლოგიაზე მოწყობის მაჩვენებელია კანონში, ერთის მხრივ, სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის" არსებობა სსკ-ის 21-ე მუხლში, რომელიც ტრადიციაულად ანსელმ ფოერბახის სახელს უკავშირდება, ხოლო, მეორეს მხრივ, სსკ-ის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლებში გაწერილი ე.წ. „წამახალისებელი" ნორმები, რომელიც პირის დაუსჯელობის გარანტირების საფუძველია იმ შემთხვევევაში, თუ იგი დროეულად მიიღებს ზომებს და კონკრეტული დანაშაულის შესახებ შესაბამის სტრუქტურებს შეატყობინებს. მაგალითად, სსკ-ის **მუხლი 236** – *ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივ-*

თიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – შენიშვნის სახით ადგენს, რომ: *„ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საგნებს, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები".*

ანალოგიურ მიზნებს ემსახურება სსკ-ის ზოგად ნაწილში არსებული **68-ე მუხლი,** რომელიც, მასში დადგენილი პირობების არსებობისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს **პირს ქმედითი მონანიების გამო.** კანონი ამის საფუძვლად გამოჰყოფს ისეთ პრობებს როგორიცაა: ისეთი დანაშაულის პირველად ჩადენა, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას; დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადება ბრალის აღიარებით; დანაშაულის გახსნაში ხელშეწყობა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსთან შესაბამისობით და ამავე სულისკვეთებით, სსკ-ის კერძო ნაწილში არსებობს სპეციალური მუხლი, მაგალითად, **322-ე, სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიება,** რომელის მიხედვითაც *„ის, ვინც ჩაიდინა ამ კოდექსის 309-ე და 311-ე მუხლებით, 314-ე და 315-ე მუხლების პირველი ნაწილებით და 319-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ამის თაობაზე ნებაყოფლობით და დროულად განუცხადა ხელისუფლების ორგანოს და თუ თავიდან იქნა აცილებული საქართველოს ინტერესისათვის მოსალოდნელი ზიანი."*

ასეთივე მაგალითად გამოდგება სსკ-ის 143(3) მუხლის – **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა** – bolos კანონშემოქმედის მიერ გაკეთებული წამახალისებელი ჩანაწერი, რომელიც ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა ნაბიჯები, რომლის მიზანი იყო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნით სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბარიერის მოხსნა (განსაკუთრებით მაშინ როცა მტკიცების სირთუ-

ლის პრობლემა რეალურია) და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურებით სარგებლობის შეტყობინების წახალისება მომსახურების მიმღები პირების მიერ, რათა ხელი შეწყობოდა, ერთი მხრივ, დანაშაულთან ეფექტურ ბრძოლას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მჭიდრო თანამშრომლობას ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში. შედეგად მივიღეთ ის, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის" 143(3)-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს დაემატა შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილებით ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურების მიმღები პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუ იგი ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან და გამოძიების დაწყებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს ჩადენილი ქმედების შესახებ ამ ორგანოში.[77] 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად ამ მუხლისთავის დამატებული შენიშვნა, მასში მოცემული რამდენიმე პირობის კუმულაციურად შესრულების შემთხვევაში, დაუსჯელობას პირდება პირს და წარმოადგენს პოსტკრიმინალურ წამახალისებელ ნორმას.[78] კერძოდ: „პირი, რომელმაც ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამის თაობაზე ინფორმაცია გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ნებაყოფლობით მიაწოდა საგამოძიებო ორგანოებს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები".[79]

განსახილველ ნორმასთან (სსკ-ის 73 (I) მუხლი), რომელშიც მოცემულია სასჯელის გადახედვა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად, თავისი შინაარსით, კიდევ უფრო ახლოს დგას სსკ-ის 70-ე (I) მუხლით გათ-

[77] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 52-53.

[78] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო პირველი ნაწილი, თბილისი, 2016, გვ. 282.

[79] საქართველოს სსკ, 143(3) მუხლის შენიშვნა.

ვალისწინებული „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო", რომლის არსიც იმას გულისხმობს, რომ „განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის (პირების) ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით მოხერხდა ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობების შექმნა, სასამართლო უფლებამოსილია სრულად გაათავისუფლოს ბრალდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან."

მიუხედავად იმისა რომ, ზემოთ მოყვანილი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილის ნორმები ეხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და არა სასჯელისგან გათავისუფლებას, მათი მისამართით პარალელის გავლება და მათი ანალოგიით რაციონალური არგუმენტირება სისხლის სამართლის სისტემაში დადგენილი მიზნებისა და ღირებულებების და სუბიექტის ზოგადი დასჯადობის საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრით, გამართლებული და რელევანტურია სასჯელისგან გათავისუფლების კონკრეტული გარემოების, კერძოდ კი **სსკ-ის 73 -ე (I)** მუხლით დადგენილი საკითხის *"სასჯელის გადახედვა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად"* განხილვისას. აღნიშნული მუხლი მისი ამოქმედებას გარკვეულ პირობებს უკავშირებს. ეს პირობებია:

სამართალდამცავი ორგანოებისათვის ადგილი უნდა ქონდეს განსაკუთრებულ შემთხვევას; მსჯავრდებულს შეფარდებული უნდა ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად უნდა გამოვლინდეს თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა; ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები შექმნილ უნდა იქნას მისი უშუალო ხელშეწყობით. [80] ეს მუხლი ადგენს სასჯელისგან გათავისუფლების არამხოლოდ პირობებს, არამედ მისი განხორციელების პროცედურულ რეგულაციებსაც, აღნიშნავს

[80] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, გვ.185.

რა, რომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის გადახედვის თაობაზე სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს გენერალურ პროკურორს. ასეთი შუამდგომლობით მიმართვის დაკმაყოფილების შედეგად დამდგარ შედეგებს განმარტავს 73-ე (I) მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც გულისხმობს სასამართლოს მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებას _ მსჯავრდებულის *სასჯელის ვადის შემცირების* ან *სასჯელის სახის შეცვლის* ან მსჯავრდებულის *სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების* თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან (კონვენციის მე-3 მუხლი) და საქართველოს კონსტიტუციასთან (მე-9 მუხლი) სრულ შესაბამისობაში მყოფი დოკუმენტი, ცალსახად **გამორიცხავს მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას,** თუ საქმე ეხება ამ კოდექსის 144 (1), 144(2) და 144(3) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, რაც დაკავშირებულია კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული წამების აბსოლუტურ აკრძალვასთან და ღირსების უზენაესი ხასიათის დაცვასთან. ზემოაღნიშნული მუხლების საგამონაკლისო წესით გამორიცხვა სსკ-ის 73-ე (I) მუხლით დადგენილი სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველთაგან გულისხმობს კონვენციით დადგენილ წამების აკრძალვაში აბსოლუტურ ჩაურევლობას. წამების გარდა, როგორ ცნობილია, მე-3 მუხლი ასევე კრძალავს დამამცირებელ ან არაადამიანური მოპყრობასაც.

ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება ადამიანის ღირსებისა და მისი სხვა ძირითადი უფლებების ერთ-ერთი უმძიმესი დარღვევაა.[81] ასეთ შემთხვევაში აკრძალვა აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, ის აბსოლუტური უფლებაა. საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებათა კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს,

[81] ადამიანის უფლებათა ევროპული კონენიციის გარდა მას კრძალავს თითქმის ყველა უნივერსალური თუ რეგიონალური საერთაშიროსო ინსტრუმენტი: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარსაციის“ მე-5 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-5 მუხლი. ცალკე აღნიშვნის ღირსია გაეროს 1984 წლის კონვენცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ“.

უფლება არა აქვს უარი თქვას ამ აკრძალვის შესრულებაზე ომის ან საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი.[82] ვინაიდან ეს უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლით, მასთან მიმართებით არ მოქმედებს შეფასების თავისუფალი დოქტრინა, რომლითაც დაშვებული იქნებოდა, საქართველოს ან კონვენციის ხელშემკვრელ სხვა რომელიმე მხარეს ამ აკრძალვიდან რაიმე გამონაკლისი რომ გაემართლებინა.[83] ამდენად, ნებისმიერი ამგვარი გამონაკლისის დაუშვებლობის ფონზე კანონმდებლის მიერ სსკ-ის 73-ე (I) მუხლით დადგენილ სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველთაგან ამ კოდექსის 144 (1), 144(2) და 144(3) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამდენის შესაძლო გათავისუფლების გამორიცხვა სრულიად ლეგიტიმურია. სსკ-ის 73-ე (I) მუხლის ამგვარი კონსტრუქცია გულისხმობს, რომ, ღირსება, როგორც ერთადერთი აბსოლუტურად დაცული უფლება აღიარებული და გარანტრებულია მოცემულ მუხლში გათვალისწინებული აკრძალვითაც.

მუხლი 74. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო

აღნიშნული მუხლი წარმოადგენს ჰუმანიზმის პრინციპის ცალსახა გამოხატულებას სისხლის სამართალში, რადგანაც აქ აქცენტი დაუძლურებული ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზე კეთდება, რაც აღნიშნულ შემთხვევაში სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველს ქმნის. საქართველოს სსკ-ი ასეთ გათავისუფლების ორ საფუძველს ადგენს. ეს არის: ავადმყოფობა და ხანდაზმულობა.

სსკ-ის **74-ე მუხლის პირველი ნაწილის** მიხედვით: ავადმყოფობის საფუძვლით მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება შესაძლებელია სასამართლოს უფლებამოსილებით, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდას-

[82] ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ. 116.

[83] ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და. თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ. 116.

თან. თუმცა, მხოლოდ ეს პირობა საკმარისი არ არის დაავადებული მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან განთავისუფლებისთვის, არამედ, ამავდროულად, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს ექსპერტიზის დასკვნით, რომელშიც მიეთითება, რომ არ არის მოსალოდნელი მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება. აღნიშნულ ნაწილში დადგენილი სასამართლოს უფლებამოსილება ავადმყოფობის საფუძვლით მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე ეხება სასჯელის ნებისმიერი სახით მსჯავრდებულ პირს (გამონაკლისია ქონების ჩამორთმევა სსკ-ის 74-ე მუხლის მე-6 ნაწილით), თუმცა, არ ვრცელდება თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულზე, რომელიც სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში იხდის. ამ უკანასკნელი შემთხვევისთვის, ამავე **მუხლის მე-2 ნაწილით** კანონმდებელი განსაზღვრავს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც კომპეტენტურია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული იმ შემთხვევაში, როცა მას აქვს გარკვეული დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია. ამ პირობათა პარალელურად აუცილებელია, რომ ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალი მაჩვენებლით იყოს გამოსახული. ქართული კანონმდებლობით, აღნიშნული კომპეტენცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას აქვს მინიჭებული.

აღნიშნულ ნაწილში, სასჯელისგან გათავისუფლების საფუძვლად კუმულაციურად მრავალი არსებითი ფაქტორის მითითება და ამავდროულად კოლექტიური კონსენსუსის საფუძველზე შეჯერებული ალბათობის მაღალი ხარისხის პროგნოზის გამო პირის გათავისუფლება, სასჯელისაგან ამ ნორმის მიუკერძოებლობასა და პრაგმატულობაზე მოწმობს, რათა არ შეიქმნას ხელსაყრელი ნიადაგი

„ხელმრუდობისათვის" პენიტენციალურ სისტემაში.

საკითხის გადასაჭრელად სამინისტროთა ბილატერული რეპრეზენტაცია და მათ შორის გადანაწილებული პასუხისმგებლობა ავადმყოფობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას, ამ ნორმის სიფრთხილით და გამჭვირვალობით გამოყენების აუცილებლობაზე და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის მაღალ სტანდარტზე მიუთითებს.

საინტერესოა სსკ-ის **74-ე მუხლის მე-3 ნაწილის** პოზიცია, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის კვლავ დანიშვნის შესაძლებლობას იმ პირსათვის, რომელიც ამავე მუხლის საფუძველზე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლდა, მაგრამ შემდგომში გამოჯანმრთელდა და ამასობაში არ გასულა ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

ეს დებულება ყურადღებას იმსახურებს ორი მომენტის გამო. **პირველი:** რამდენად შესაბამისობაშია ნორმის ასეთი კონსტრუქცია სისხლის სამართლის პრინციპებთან და **მეორე:** მისი განსხვავება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმისგან – (სსსკ 283-ე მუხლი) *განაჩენის აღსრულების გადავადებისგან* – ხანდაზმულობის ვადების საკითხთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულ ორ კომპონენტთაგან, პირველი ფაქტორი, რაც შეფასებას საჭიროებს, არის შესაძლებლობა იმისა რომ, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულს, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი.

პრინციპული ხასიათის დარღვევას ექნება ადგილი თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულ პირს „აღუდგება" სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქვე საუბარია სასჯელის დანიშვნაზეც, რაც ასევე გაუმართლებელია, რადგან სასჯელი გამოჯანმრთელებისას კი არ ინიშნება, არამედ უკვე დანიშნული სასჯელის რეალურად აღსრულება ხდება.[84]

---

[84] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, გვ.187.

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ერთხელ გათავისუფლებული პირისათვის ხელმეორედ ანალოგიური პასუხისმგებლობის დაკისრება არ იქნება გამართლებული როგორც ზოგადად სისხლის სამართლისათვის ფუძემდებლური კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ისე ჰუმანურობის პრინციპის მხედველობაში მიღებით. ამასთან, შეიძლება დაისვას საკითხი „Ne bis in idem" პრინციპის შესაძლო დარღვევის შესახებაც, რამდენადაც გამოვა, რომ ერთი კონკრეტულის დანაშაულისათვის უკვე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ და შემდგომ მისგან გათავისუფლებულ პირს, მოგვიანებით და ხელმეორედ, იმავე დანაშაულისათვის, კვლავ დაედო მსჯავრი.

იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ რომ, ერთიდაიმავე ქმედებისათვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი დარღვეულია თუ არსებობს ოთხი ელემენტი კუმულაციურად:

(1) ახალი მსჯავრდების დროს სისხლის სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის არსებობა;

(2) ახალი მსჯავრდება იგივე ქმედებისათვის;

(3) კანონიერი ძალის მიუხედავად, ქმედებისთვის ხელახალი სისხლისსამართლებრივი დევნის ან მსჯავრდების განხორციელება იმავე სახელმწიფოში;

(4) პროცესის განახლების ახლად გამოვლენილი გარემოებების არარსებობა.[85]

საბოლოოდ, ამგვარი ანალიზის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ **სსკ-ის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილში** უნდა მოვიაზროთ მხოლოდ და მხოლოდ უკვე დანიშნული სასჯელის აღსრულება, რადგან, სხვა შემთხვევაში, წინააღმდეგობაში მოვალთ სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

მეორე მომენტი, – თუ აღნიშნული ნორმით (სსკ-ის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი) ავადმყოფობის გამო სასჯელისგან გათავისუფლებისას დაწესებულია ზემოხსენებული ხანდაზმულობის ვადები და მხედველობაში მიიღება ისინი, განაჩენის აღსრულების გადავადებისას,

[85] ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ. 550-551.

(სსსკ-ის 283-ე მუხლი) ამგვარი ვადები კანონმდებლის მიერ არ არის დაწესებული. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ სსკ-ის 74-ე მუხლის ამავე ნაწილის შინაარსის ინტერპრეტაციით, სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული, ხანდაზმულობის ვადების მიმდინარეობის პერიოდში გამოჯანმრთელებული მსჯავრდებულის სასჯელის აღსრულების საკითხის გადაწყვეტა, მაშინ როცა განაჩენის აღსრულების გადავადებისას (სსსკ-ის 283-ე მუხლი) მსჯავრდებულის გადავადებული სასჯელის აღსრულება იმპერატიული ხასიათისაა.[86]

რაც შეეხება ზემოხსენებულ მუხლებთან მიმართებით **ფსიქიკური ავადმყოფობის** საკითხის დასმას, ეს ცალკე გაანალიზებას მოითხოვს.

სსკ-ის 74-ე მუხლის კონტექსტში ისეთი ფსიქიკური ავადმყოფობისგან პირის გათავისუფლება, რომელიც ბრალის გამორიცხვის საფუძველია, – წარმოუდგენელია რამდენადაც, ზოგადი წესის მიხედვით, იმთავითვე გამოირიცხება პირისათვის სასჯელის დაკისრება, თუ იგი დაავადებულია ფსიქიკური ავადმყოფობით,[87] ხოლო თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში.[88] შესაბამისად, ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სსკ-ის 74-ე მუხლით პირის გათავისუფლებისას, „ლოგიკურად აქ იგულისხმება ისეთი დაავადებანი, რომლებიც პიროვნების შერაცხადობას არ გამორიცხავენ, თუმცა, შეიძლება ხელი შეუშალონ სასჯელის მოხდას“.[89]

ამასთან მიმართებით, საინტერესოა პრაქტიკაში ისეთ საქმეთა გადაწყვეტის საკითხი, როცა საქმე მსჯავრდებულის ფსიქიკურ ავად-

[86] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, გვ.190.

[87] სსკ-ის 34-ე მუხლი, შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო, ნაწილი 1.

[88] სსკ-ის 34-ე მუხლი, შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო, ნაწილი მე-3.

[89] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, გვ.187.

მყოფობას, უფრო კონკრეტულად კი, ასეთ შემთხვევებში განაჩენის აღსრულების გადავადებას ეხება.

მაგალითისათვის განვიხილოთ 2017 წლის ერთ-ერთი განჩინება, რომელშიც ვკითხულობთ, რომ „მსაჯავრდებულმა ზ. ა.-მ, 2016 წელს შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს სსსკ-ის 238-ე მუხლის თანახმად სასჯელის აღსრულების გადავადების თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ იგი დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, კერძოდ ფსიქიკური ავადმყოფობით".

სასამართლო გაეცნო მსჯავრდებულის პირადის საქმის მასალებს, და მიიჩნია, რომ შუამდგომლობა განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. სასამართლო განჩინებაში უთითებს ყველა იმ საფუძველს, რაც წარმოადგენს მისი უარყოფითი გადაწყვეტილების დამაფუძნებელ ფაქტორს. კერძოდ: მსჯავრდებული ზ. ა. რამდენჯერმე იქნა მოთავსებული სტაციონარში არანებაყოფლობითი ფსიქიური დახმარების მიზნით. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ორი სხვადასხვა დასკვნის თანხმად, რომლებიც 2015 და 2016 წლებით თარიღდება, მსჯავრდებული არანებაყოფლობითი ფსიქიური დახმარების მიზნით ორივეჯერ მოთავსებული იქნა ფსიქიური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. ამ ცენტრში მომუშავე ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის უკნასკნელი დასკვნის (2016 წელი) თანახმად, „ამოწურული იქნა არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიური დახმარების კრიტერიუმები და იგი იმჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე აღარ საჭიროებდა არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიურ დახმარებას და მას შეეძლო სასჯელის მოხდა გაეგრძელებინა საერთო წესით". შემდგომ, მსჯავრდებული გადაყვანილი იქნა პენიტენციურ დაწესებულებაში. სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 283-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის აღსრულების გადავადებას იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე. მოცემულ ნორმაში მოიაზრება ნებისმიერი დაავადება, რომელიც შესაბამისი დაწესებულების დასკვნით

შეიძლება მიეკუთვნებოდეს მძიმე დაავადებათა კატეგორიას, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. რაც შეეხება ფსიქიკურ დაავადებას, აღნიშნული ექვემდებარება სპეციალურ რეგულაციას და არ შეიძლება მოაზრებული იქნას რომ სსსკ-ის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტში ხსენებულ „მძიმე ავადმყოფობაში".[90]

დაავადებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება გახდეს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველი, ეხება პატიმრობის კოდექსი, უთითებს რა რომ: „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალს, რომლებიც მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველია, ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი."[91] აღნიშნული ჩამონათვალი მოცემულია მინისტრის ბრძანებაში.[92]

საქართველოს პატიმრობის კოდექსი კი ადგენს მიმართვიანობის იმ წესს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მიმართვა ავადმყოფობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად. კერძოდ, პატიმრობის კოდექსით, „ავადმყოფობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გასათავისუფლებლად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან პენიტენციური დაწესებულების დირექტორი კანონით დადგენილი წესით, საექიმო დასკვნის საფუძველზე, გათავისუფლების შესახებ მიმართავს სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

---

[90] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინება განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე, 17 ნოემბერი, თბილისი, 2016.

[91] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 37, ნაწილი მე-2.

[92] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №01-55/6, რომლითაც დამტკიცდა „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც მსჯავრდებულის სასჯელისმოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველია" და ცვლილებები შევიდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 1-ლ თებერვლის №01-6/6 ბრძანებაში.

სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას ან სასამართლოს."[93]

თავის მხრივ, კომისიის გადაწყვეტილება (დასკვნა) უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს: ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას; ბ) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობას „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს" ბრანებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან; გ) დარჩენილი სასჯელის მოხდის მიზანშეწონილებას.[94]

რაც შეეხება ფსიქიკური დაავადების საკითხს, როგორც უკვე აღინიშნა, ეს ცაკლე რეგულირების სფეროა, რომელსაც საქართველოს პატიმრობის კოდექსის 122-ე მუხლი – მსჯავრდებულისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა – არეგულირებს და განმარტავს, რომ: „თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები და სამსახურის ფსიქიატრიული კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევას, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი სამსახურის ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე მიმართავს უფლებამოსილ საექსპერტო დაწესებულებას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით". ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი" პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დასტურდება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის აუცილებლობა, 48 საათში მიმართოს სასამართლოს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის თაობაზე". [95]ფსიქიატრიული დაავადების შემთხვევაში საკითხის რეგულირების წესების ცალკე გამოყოფა საინტერესოა ზემო მოყვანილი

[93] პატიმრობის კოდექსის 39-ე მუხლი, ნაწილი 1.

[94] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 278.

[95] პატიმრობის კოდექსის 122-ე მუხლი, პირველი და მე-2 ნაწილები.

შუამდგომლობისა და შესაბამისი განჩინების დასაბუთების აღქმის თვალსაზრისითაც.

ზემოხსენებულ განჩინებაში, პატიმრობის კოდექსის პარალელურად აგრეთვე წარმოდენილია საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ", რომელიც ადგენს, რომ: „თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი პენიტენციური სამსახურის ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე მიმართავს უფლებამოსილ საექსპერტო დაწესებულებას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისათვის. თუ უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნით დადასტურდება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის აუცილებლობა, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ვალდებულია უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის შესახებ. სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის თაობაზე მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე, რომლის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით".[96]

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, განჩინებაში ნათქვამია, რომ: „კანონის აღნიშნული დანაწესის შესაბამისად, ფსიქიკური ავადმყოფობა წარმოადგენს არა სასჯელის გადავადების, არამედ ნებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საფუძველს და ამ მიზნით სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნების საფუძველზე პენიტენციური დაწესებულების მხრიდან მსჯავრდებულ ზ. ა.-ს მიმართ განხორციელდა კანონით გათვალისწინებული ზემოხსენებ-

[96] საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ", 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ული ღონისძიებები". აქედან გამომდინარე, საბოლოოდ სასამართლომ დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ზ. ა.-ს ფსიქიკური ავადმყოფობა არ წარმოადგენს სასჯელის გადავადების საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გადავადების საფუძველი არ არსებობს.[97]

ამ საქმისაგან განსხვავებით, საწინააღმდეგო გადაწყვეტილებამდე მივიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ერთ-ერთი განჩინებით, როცა დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა მსჯავრდებულ კ. ბ.-ს მიმართ განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მსჯავრდებული მიეკუთვნებოდა IV კლინიკური ჯგუფის ავადმყოფთა რიცხვს, მას აღენიშნებოდა მძიმე ონკოლოგიური პათოლოგია და შესაბამისად იგი მძიმე ავადმყოფი იყო, სჭირდებოდა ისეთი ოპერაცია, რომლის ჩატარების პრეცედენტი საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული მკურნალობას გადიოდა ყველაზე მაღალი კლასის და ყველაზე მაღალი ტექნოლოგიების მქონე დაწესებულებაში, და ჯანმრთელობაზე მონიტორინგს ახორციელებდნენ ხსენებული დაწესებულების ექიმები, – მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად უარესდებოდა, დაავადება პროგრესირებდა, ხოლო დინამიკა უარყოფთი ქონდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მსჯავრდებული № 18 პენიტენციურ დაწესებულებაში 2013 წლის ოქტომბრიდან არ ყოფილა არც ერთი დღე, რაც ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მისი ავადმყოფობა ხელს უშლიდა სასჯელის მოხდას.[98]

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 283-ე მუხლით (95-ე და 291-ე მუხლებთან ერთად) და დაადგინა, რომ დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა მსჯავრდებულ კ. ბ.-ს მიმართ განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე და გადავადდეს მისი აღსრულება მსჯავრდებულის გამო-

---

[97] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხსლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინება განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე, 17 ნოემბერი, თბილისი, 2016.

[98] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხსლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინება განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე, 31 მაისი, თბილისი, 2016.

ჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებამდე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მსჯავრდებული კ. ბ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს ასევე დაევალა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით, წელიწადში ერთხელ, საკუთარი ხარჯით ჩაერტარებინა ექსპერტიზა და ყოველი წლის ერთსადაიმავე თვეს და რიცხვს წარმოედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიისათვის ექსპერტიზის დასკვნა იმის თაობაზე, თუ რით არის დაავადებული, არასებითად გაუმჯობესდა თუ არა მისი ჯანმრთელობს მდგომარეობა და შესაძლებელია თუ არა განაჩენის აღსრულება. მსჯავრდებულს ისიც განემარტა, რომ თუ იგი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს ზემოთ მითითებული პერიოდულობით არ წარუდგენდა ექსპეტიზის დასკვნას, სასამართლო, ზეპირი მოსმენს გარეშე, განჩინებით მიიღებდა გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ. [99]

სსკ-ის **74-ე მუხლის მე-4 ნაწილი** კიდევ უფრო მეტად არის გამსჭვალული ჰუმანიზმის იდეოლოგიით, როდესაც გარკვეულ ასკს მიღწეული მსჯავრდებულებისათვის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას აწესებს იმ შემთხვევებში, თუ სასჯელის მოხდის პერიოდში ამ პირებმა ხანდაზმულობის ასაკს მიაღწიეს. ასეთ ასაკად კი კანონმდებელი ასახელებს ქალისათვის – 65, ხოლოს მამაკაცისთვის – 70 წელს, ისიც იმ შემთხვევებში, თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი. კანონმდებლობით, ასეთი უფლება მინიჭებული აქვს სასამართლოს.

აქ ისიც გასათვალისწინებელია რომ, როგორც საერთაშორისო კვლევის შედეგები მიუთითებს, სასჯელის ზრდასთან ერთად ციხის ადმინისტრაციას უწევს ასაკოვანი პატიმრების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვაც. გრძელვადიანი პატიმრობის შეფარდების

[99] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინება განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე, 31 მაისი, თბილისი, 2016.

ბოლოდროინდელ ტენდენციას შედეგად მოჰყვა ის, რომ პატიმრები ციხეებში ბერდებიან. მათ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციას უწ-ევს მთელი რიგი სპეციალური პირობების შექმნა, რათა მოაგვაროს მათი უმოძრაობისა თუ მენტალური დაქვეითების პრობლემა. ციხ-ის ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა გაამახვილოს პატიმართა ამ ჯგუფის როგორც სოციალურ, ისე სამედიცინო საჭიროებებზე. ასა-კოვანი პატიმრების რაოდენობის ზრდამ, ინგლისსა და აშშ-ის ნაწილ-ში გამოიწვია მათთვის სპეციალური დანაყოფის შექმნა.[100]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ხანდაზმულობის ასაკის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მსჯავრდე-ბულის ასაკის დამადასტურებელი საბუთის ასლი, სასამართლოს განაჩენი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქ-ტურული ქვედანაყოფის მიერ გაცემული ცნობა მსჯავრდებულის პი-რადი საქმის მიხედვით, რომელშიც დაზუსტებული იქნება სასჯელის მოხდის პერიოდი.[101]

სსკ-ის 74-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულის ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის საფუძვლით სასჯელისგან შეს-აძლო გათავისუფლების საკითხების განხილვისას (სსკ-ის 74-ე მუხ-ლის მე-1 და მე-4 ნაწილები) სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯა-ვრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართ-ლოს გადაწყვეტილებაზე.

შეიძლება ითქვას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყველა ის კომპონენტი, რომელიც რელევანტურია პირის კრიმინალური პროგ-ნოზის დასახვის თვალსაზრისით, რომელიც, ზოგადად, წარმოად-

---

[100] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზი-ციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 149.

[101] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ.279.

გენს კრიმინალური მოვლენებისა და პროცესების შესახებ ვარაუდის შედეგს, რომელიც ემპირიული მონაცემების ანალიზს ეფუძნება და წარსულიდან აწმყომდე და აწმყოდან მომავლამდე საზოგადოების განვითარების ტენდენციებსნითვალისწინებს. კრიმინალური პროგნოზის დროს საქმე გვაქვს ალბათობითი ტიპის ფრაზებთან პირის სამომავლო ლეგალური ქმედების შესახებ. წარსულისა და აწმყოს კრიმინოლოგიური კვლევის გარეშე კრიმინალური პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. [102] თუმცა, აქ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სსკ-ის 74-ე მუხლის მე-5 ნაწილში ჩამოთვლილი კომპონენტების შეფასებისას და შესაბამისი პროგნოზირებისას აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტია ისიც, რომ: „სასჯელისგან გათავისუფლების მოცემული გარემოებები *(ავადმყოფობა ან ხანდაზმულობის ასაკი)* არაა დაკავშირებული ბრალდებულის პიროვნების სოციალური საშიშროების არარსებობასთან, რამდენადაც აქცენტი მთლიანად ჰუმანიზმის პრინციპზეა გადატანილი“ [103] და ამდენად, სსკ-ის 74-ე მუხლის მე-5 ნაწილში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით დასახულ კრიმინალურ პროგნოზს აღნიშნული ნორმის გამოყენებისას შედარებით ნაკლები გავლენა ექნება საბოლოო გადაწვეტილებაზე.

დასაფიქრებელია, რომ კანონით დადგენილი ამ კრიტერიუმების მიღმა, სახელმწიფომ ასაკოვან პატიმართა სასჯელისგან გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზეც უნდა იზრუნოს და აუცილებლად გაითვალისწინოს ეს ასპექტი, განსაკუთრებით კი, ისეთ შემთხვევებში, სადაც მსჯავრდებულმა სასჯელსაღსრულების დაწესებულებაში ხანდაზმულობას მიაღწია გრძელვადიანი საპატიმრო სასჯელის მოხდის გამო.

საქმე იმაშია, რომ გრძელვადიან პატიმრებს, როგორც წესი, ოჯახებთან კონტაქტი არ აქვთ. აღნიშნული ფაქტი გარკვეულად

---

[102] დ. ჩიხლაძე, მ. შალიკაშვილი, „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი“ თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 13-14.

[103] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, გვ.186.

პრობლემურია ასაკოვანი პატიმრების გათავისუფლების შემთხვევაში. მათ უმეტესობას აღარ ჰყავს ოჯახი და ძალიან მოხუცია იმისათვის, რომ იმუშაოს. ციხის ადმინისტრაციამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სხვადასხვა სააგენტოსთან, რათა ამ ტიპის პატიმრებს საზოგადოებაში ხელახლა დამკვიდრებაში დაეხმაროს.[104]

განსახილველად წარმოდგენილი მუხლის **მე-6 ნაწილით** არსებითია იმის აღნიშვნა, რომ „სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების ამ მუხლით დადგენილი საფუძვლები არ ვრცელდება სსკ-ით გათვალისწინებული სასჯელის ისეთ სახეზე, როგორიც არის ქონების ჩამორთმევა, რადგან იგი ქონებრივი სახის სანქციაა და გამოირიცხება მისი კავშირი პირს ფიზიკურ უძლურებსათან – იქნება ეს გამოწვეული ავადმყოფობის თუ ხანდაზმული ასაკის გამო. თუმცა, ამისაგან განსხვავებით, **სსკ-ის 74-ე მუხლის მე-7 ნაწილი** იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ამ მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებისას იგი დამატებითი სასჯელის მოხდისაგანაც განთავისუფლდეს.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 74 მუხლის 1, მე-2, მე-4, მე-5 და მე-7 ნაწილებში გადმოცემულ პირობებს და წესებს, დადგენილს მსჯავრდებულის გასათავისუფლებლად სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ასევე შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, კერძოდ კი მისი 284-ე მუხლი, რომელიც ადგენს „ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლებას“. სსსკ-ის 284-ე მუხლის მე-5 ნაწილით: „ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ განჩინება გამოიტანოს ზეპირი მოსმენით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სავალდებულო მონაწილეობით.”[105]

ბოლოს, შემაჯამებელი კუთხით, კიდევ ერთხელ უნდა ითქ-

---

[104] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 149.

[105] სსსკ-ის მუხლი 284-ე, ნაწილი 5.

ვას, რომ სსკ-ის 74-ე მუხლით დაწესებული ავადმყოფობის გამო სასჯელისგან გათავისუფლება და სსსკ 283-ე მუხლით დადგენილი განაჩენის აღსრულების გადავადება არ გულისხმობს მათ იდენტურობას. საყურადღებოა, რომ განსხვავება სისხლის სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ ამ ორ ნორმას შორის იმაში მდგომარეობს, რომ სსსკ-ის 283-ე მუხლით დადგენილი განაჩენის აღსრულების გადავადება, გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როცა შესაძლებელია ავადმყოფის გამოჯანმრთელების პროგნოზირება და ასეთი პოზიტიური პროგნოზი კეთდება კიდეც, ანუ როცა მსჯავრდებული აუცილებლად გამოჯანმრთელდება ან მინიმუმ არსებითად გამოსწორდება მისი შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა. სწორედ ამაზე მეტყველებს სსსკ-ის 283-ე მუხლში აღწერილი სიტყვები: „*მის* გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე". ამისგან განსხვავებით, ავადმყოფობის გამო სასჯელისგან გათავისუფლება სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც: „ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის და როცა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის ჯანმრთელობა იმდენადაა შერყეული, რომ მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია და ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია".

მუხლი 75. სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის

სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის წარმოადგენს ჰუმანიზმის პრინციპის გამოხატულებას სისხლის სამართალში და ასევე განპირობებულია იმ ბიოლოგიური განსხვავების მხედველობაში მიღებით, რაც არსებობს ქალსა და მამაკაცს შორის.

აღსანიშნავია, რომ ანატომიური და რეპროდიქციული სხვაობა მდედრობით და მამრობით სქესს შორის, განსხვავებული რეგულაციების დადგენის საფუძველია მსჯავრდებულისათვის არამხოლოდ

მატერიალური სისხლის სამართლის, არამედ სასჯელაღსრულების კუთხითაც, რამდენადაც ამ პირთათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის საკითხიც განსხვავებულად რეგულირდება არამარტო ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის აქტებშიც.

ფეხმძიმე ქალების დაპატიმრება გამონაკლის შემთხვევას უნდა წარმოადგენდეს. თუკი დაპატიმრება უკიდურესად აუცილებელია, მაშინ მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს იგივე ხარისხის ჯანდაცვა, როგორც ეს ხდება სამოქალაქო საზოგადოებაში. როდესაც ახლოვდება მშობიარობის დრო, პატიმარი ქალი უნდა იქნეს გადაყვანილი სამოქალაქო სამშობიაროში. ამით მოხდება პროფესიული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, ხოლო ბავშვს თავიდან ააცილებს იმ სტიგმას, რაც თან სდევს დაბადების ადგილად ციხის დაფიქსირებას. მიუხედავად მშობიარობის ადგილისა, ბავშვის დაბადების ადგილად არ უნდა იქნეს მითითებული ციხე. ამ პერიოდში დაწესებული შეზღუდვები უნდა ატარებდეს შეზღუდულ ხასიათს.[106]

ასევე, *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ე.წ. „ბანკოკის წესები“*, მის 22-ე წესში ადგენს, რომ: „სამარტოო საკანში მოთავსება ან დისციპლინური იზოლირება, როგორც სასჯელი, არ უნდა იქნას გამოყენებული ციხეში ფეხმძიმე ქალების, ახალშობილი ბავშვიანი ქალებისა და მეძუძური დედების მიმართ“. ამავე საერთაშორისო აქტის 23-ე წესით კი: „ქალი პატიმრების მიმართ დისციპლინური სანქციები არ უნდა ითვალისწინებდეს ოჯახთან, განსაკუთრებით ბავშვებთან კონტაქტის აკრძალვას.“[107]

თუმცა, „ბანგკოკის წესები“ ჯერ კიდევ კონკრეტული რეგულაციების დაწესებამდე, *პრემაბულაშივე* მიუთითებს მისი საკუთარი

---

[106] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 143.

[107] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ე.წ. „ბანგკოკის წესები“, 6 ოქტომბერი, 2010.

(გაეროს) 63/241 რეზოლუციის გათვალისწინების აუცილებლობაზე, რომელშიც იგი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვებზე მშობლების დაკავება და პატიმრობა, კერძოდ, განსაზღვროს და ხელი შეუწყოს საუკეთესო პრაქტიკას საჭიროებებთან და ასევე იმ ჩვილებისა და ბავშვების ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და ფსიქოლოგიური განვითარებასთან მიმართებით, რომლებიც დაზარალდნენ მშობლების დაკავებითა და პატიმრობით. დედის დაკავება, რომელსაც ჩვილი შვილები ჰყავს, ძალიან სათუთი თემაა. მრავალ ციხეში დედებს უფლება აქვთ, თან ჰყავდეთ მათი ჩვილები. ასეთ შემთხვევაში, დედა და შვილი უნდა განთავსდნენ ისეთ განყოფილებაში, სადაც მათ შეეძლებათ, ხანგრძლივად იცხოვრონ ერთად. ამგვარ განყოფილებაში დედას უნდა ჰქონდეს ჩვილის მოვლის ყველა ნორმალური საშუალება. ამგვარი მიდგომა ბევრად უკეთესია იმ შემთხვევებთან შედარებით, როდესაც დედას აშორებენ შვილს და მხოლოდ მისი მონახულების საშუალებას აძლევენ.[108]

„ბანგკოკის წესების", 52-ე წესის პირველი ნაწილი განსაზღვრავს საკითხს, თუ როგორი წესით უნდა დარეგულირდეს სასჯელაღსრულების დაწესებულების პირობებში დედისა და ბავშვის დაშორების საკითხი. ამ დებულების მიხედვით: „იმის თაობაზე გადაწყვეტილება, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, უნდა იქნეს მიღებული ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში".[109] საკმაოდ რთულია იმის დადგენა, თუ როდის უნდა მოხდეს პატიმარი დედისაგან შვილის წაყვანა. რადგანაც დედასა და შვილს შორის კავშირი უმნიშვნელოვანესია, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მათ უნდა შეეძლოთ ერთად ყოფნა იმდენ ხანს, რამდენიც მოესურვებათ, თუნდაც მთელი პატიმრობის განმავლობაში. არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, ციხე არანორმალურ გარემოს წარმოადგენს,

---

[108] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 143.

[109] „ბანგკოკის წესები", წესი 52-ე, ნაწილი 1.

რომელიც ადრეული ასაკიდანვე ბავშვზე უარყოფითად იმოქმედებს. ამიტომაც, ბავშვს არ უნდა მიეცეს უფლება, დარჩეს დედასთან ციხეში მას შემდეგ, რაც გახდება რამდენიმე თვის. ზოგიერთ ციხეში დედას უფლება აქვს, დაიტოვოს ბავშვი მანამდე, ვიდრე მას არ შეუსრულდება 9 თვე, 18 თვე, 4 წელი ან მეტიც, თუკი ამ უკანასკნელს წასასვლელი არსად აქვს.[110]

ამ პრობლემატურ და ურთიერთწინააღმდეგობრივ საკითხზე მსჯელობისას და მისი გადაჭრის გზების ძიებისას, ყველაზე გონივრულ და ჰუმანურ ალტერნატივას, სწორედ პრობლემის მატერიალურ სისხლისსამართლებრივ ჭრილში გადაჭრის პერსპექტივა წარმოადგენს, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით ორსული ქალისათვის სასჯელის მოხდის გადავადების საშუალებას იძლევა გარკვეულ დრომდე და გარკვეული პირობების დაცვით, იმისადამიხედვით თუ რა არის დადგენილი ეროვნული კანონმდებლობით, როგორც ეს, მაგალითად, საქართველოს და რუსეთის სსკ-ებით არის გათვალისწინებული. განსახილველი საკითხის (საქართველოს სსკ-ის 75-ე მუხლი) ანალოგიური შინაარსის ნორმას ითვალისწინებს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსიც, რომელის მიხედვითაც:„ ნაკლებად სერიოზული დანაშაულის, ანუ ისეთი დანაშაულის ჩადენისას, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთი წლის ან ნაკლები ვადით, სასჯელის აღსრულება შეიძლება გადაიდოს მანამდე, სანამ შვილს არ შეუსრულდება რვა წელი. ამ ასაკის მიღწევის შემდეგ სასამართლო განიხილავს, თუ რამდენად საჭიროა მისი აღსრულება. გადაწყვეტილების მიღებისას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორს, ჩაიდინა თუ არა ქალმა რაიმე სხვა დანაშაული აღნიშნულ პერიოდში."[111]

ამ სულისკვეთებით და ჰუმანიზმის პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 75-ე მუხლის პირველი ნაწილით „სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე".

---

[110] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002 გვ. 143.

[111] იქვე, გვ. 143-144.

აღნიშნული დებულებიდან ირკვევა, რომ სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის დისპოზიციურია, რადგან მისი გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილებაა. სასჯელის ამგვარი გადავადება ვრცელდება როგორც ორსულობის მთელ, ისე ორსულობის შემდგომ პერიოდზე, მხოლოდ ამ უკანსკნელ შემთხვევაში – არაუმეტეს ერთი წლისა. [112]

კანონის არსიდან გამომდინარე, სსკ-ის 75-ე მუხლში მოცემული სასჯელის გადავადება შეიძლება მოხდეს როგორც განაჩენის გამოტანის დროს, ასევე ქალის მიერ სასჯელის მოხდისას.[113]ტერმინის „სასჯელის მოხდის გადავადების" ნაცვლად, როგორც ეს ფორმულირებულია სსკ-ის 75-ე მუხლში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, სსსკ-ის 283-ე მუხლში გვთავაზობს „განაჩენის აღსრულების გადავადებას" და მისთვის დადგენილ რეგულაციებს. პროცესუალური პერსპექტივიდან ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი ეხება თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული იმ ქალის მიმართ განაჩენის აღსრულების გადავადებას, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა და ადგენს, რომ ამგვარი გადავადება მშობიარობის შემდეგ შეიძლება მოხდეს მხოლოდ 1 წლამდე ვადით. აღსანიშნავია, რომ განაჩენის აღსრულების გადავადებას ახდენს განაჩენის გამომტანი სასამართლო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის შემდეგ – განჩინებით.[114]აღნიშნულ შემთხვევებში სასამართლო უფლებამოსილია განაჩენის აღსრულება ზეპირი მოსმენის გარეშე გადაავადოს.[115]

სასამართლოს მიერ დისპოზიურად გამოყენებადი სსკ-ის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება არ არის უპირობო და მსჯავრდებულ ქალს, რომელსაც აღნიშნულის საფუძველზე გადაუვადდა სასჯელის მოხდა, გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს, რაც შვილის

---

[112] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, გვ. 191.

[113] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, გვ. 418.

[114] სსსკ-ის 283-ე მუხლი, 1 ნაწილი.

[115] სსსკ-ის 283-ე მუხლი, 1 (I) ნაწილი.

დედობრივ მიმღებლობასა და მის აღზრდაში მდგომარეობს.

თუ მსჯავრდებული, რომელსაც ორსულობის გამო, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე სასამართლოს მიერ გადავადებული აქვს სასჯელის აღსრულება, უარს აცხადებს შვილზე ან თავს არიდებს მის აღზრდას, პრობაციის ოფიცერი აფრთხილებს მას წერილობით, რომ ასეთი ქმედება არის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წარდგინებით სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველი, რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი. თუ აღნიშნული მდგომარეობა ერთი კვირის ვადაში არ გამოსწორდა, პრობაციის ბიუროს უფროსი სასამართლოს მიმართავს წარდგინებით სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნულ ადგილას მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნის შესახებ.[116]

ამგვარი გაფრთხილების მიუხედავად ზომების მიუღებლობის ლეგალურ შედეგებზე პირდაპირ მიუთითებს სსკ-ის 75 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ „თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, სასამართლოს შეუძლია ამ ორგანოს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას."

მოცემულ ვითარებაში, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით.[117]

ქალისათვის სასჯელის მოხდის გადავადების პირობას წარმოადგენს ბავშვის 1 წლის ასაკის მიუღწევლობა. მას შემდეგ, რაც ბავშვი 1 წლის ასაკს მიაღწევს, სსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლო, ბუნებრივია, კონკრეტული საქმის გარემოებებდან გამომდინარე და დედის ქცევის გათვალისწინებით, მიიღებს გადაწვეტილებას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

---

[116] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 281-282.

[117] სსსკ-ის 283-ე მუხლი, ნაწილი 5.

- მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან გათავისუფლებაში;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაში;
- მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ამ ჩამონათვალის მხედველობაში მიღებით აშკარაა, რომ სსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილში სასამართლოს მიერ მისაღები ზომები აშკარად სცდება მხოლოდ სასჯელის გადავადებას და სპეციფიური კუთხით ერთგვარ კონკურენციასაც კი უწევს სსკ-ის 73-ე მუხლს.

დავას არ იწვევს და სიცხადით ხასიათდება ის საკითხი, რომ სსკ-ის 75-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საუბარია, მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის გადავადებაზე, ვინაიდან მხოლოდ ახალშობილი (მცირეწლოვანი) შვილის დედისგან ფიზიკური დაშორების პრობლემა, – რაც თავისთავად გამორიცხავს ბავშვზე ზრუნვას დედის მხრიდან, – შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ სასამართლომ სასჯელის მოხდა გადაუვადოს ორსულ ქალის.

შესაბამისად, რადგან სამართლის ამ ჰუმანური ნაბიჯის უკან ის ემოციური და მზრუნველი დამოკიდებულება იგულისხმება დედა-შვილს შორის, რაც ბუნებრივად უნდა არსებობდეს კიდეც, და რის გამოც სასამართლო სასჯელის მოხდას გადაუვადებს ორსულ ქალს, – ამიტომ, სრულიად სამართლიანია კანონმდებლის პოზიცია, რომელიც სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს გააუქმოს იმ სასჯელგადავადებული დედის მიმართ მიღებული ზომები, რომელიც არ ასრულებს შვილის აღზრდის და შვილზე ზრუნვის მოვალეობებს.

თავის მხრივ, „ბანგკოკის წესების“ 52-ე წესის მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ: „ბავშვისა და დედის დაშორების და მისი ოჯახთან ან ნათესავთან დაბინავების ან სხვა ალტერნატიული მზრუნველობის უზრუნველყოფის შემდეგ, პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ მაქსიმალურად ბევრი საშუალება და შესაძლებლობა შეხვდნენ საკუთარ ბავშვებს, მაშინ როცა ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებში იქნება,

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დათმობის გარეშე".[118]

საბოლოოდ, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის გადავადების პერიოდში ახალ დანაშაულს ჩაიდენს, მის მიმართ სასჯელი სსკ-ის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით დაინიშნება.[119]

ამავე დროს, თავის მხრივ, ქალის მიმართ საპატიმრო ხასიათის სასჯელის გამოყენებასთან მიმართებით, გასათვალისწინებელია „ბანგკოკის წესების" *პრეამბულა*, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორსული ქალისთვის ან ბავშვის ერთადერთი ან ძირითადი მზრუნველისთვის სასჯელის შეფარდების ან წინასწარი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასაპატიმრო ღონისძიებებს, სადაც შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება; და პატიმრობა გამოყენებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე და ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევაში.[120]

ამასთან, ანგარიში უნდა გაეწიოს ფაქტს, რომ აუცილებელია იმისა გააზრება, რომ პატიმრობას ქალებისათვის მამაკაცებისაგან განსხვავებული შედეგი მოჰყვება. ქალების მიერ დატოვებული ოჯახი ხშირად განსხვავდება მამაკაცებისაგან, რადგანაც ისინი ხშირად ან მარტოხელა დედები არიან, ან აკისრიათ ოჯახსა თუ სხვა ახლობელ პირებზე უშუალო ზრუნვის ვალდებულება. არსებობს კულტურები, სადაც დაკავებულ ქალზე ოჯახი უარს აცხადებს და ტოვებს.[121]

ამდენად, როგორც ჰუმანიზმის ზოგადი პრინციპის პერსპექტივიდან, ასევე საყოველთაოდ აღიარებული ბავშვთა საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, სსკ-ის 75-ე მუხლის გამოყენება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მხოლოდ სისტემის პროგრესულობაზე და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე მეტყველებს.

[118] „ბანგკოკის წესები", 52-ე წესი, ნაწილი 3.

[119] საქართველოს სსკ-ის 75-ე მუხლი, ნაწილი 4.

[120] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ე.წ. „ბანგკოკის წესები", 6 ოქტომბერი, 2010.

[121] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, ლონდონი, 2002, გვ. 141-142.

მუხლი 76. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლით მსჯავრდებული გათავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულდება კანონით დადგენილ ვადებში.

საინტერესოა, თუ რეალურად რა ფაქტორებმა შეიძლება შეაფერხოს ასეთი განაჩენის აღსრულება. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს სუბიექტური ან ობიექტური ხასიათის.

სუბიექტური ფაქტორია, მაგალითად, თანამდებობის პირთა განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაულებრივი საქმიანობა, მათი არაპროფესიონალზმი, ხოლო ობიექტური ფაქტორი შეიძლება იყოს – საომარი ვითარება, სტიქიური უბედურება.[122]

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ზოგადი წესის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სისრულეში არ მოიყვანება და მსჯავრდებული უპირობოდ თავისუფლდება სასჯელის მოხდისგან.[123] თუ რა ვადების გასვლის შემდეგ ეკრძალება სახელმწიფოს გამამტუნებელი განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა, ამ საკითხებზე ნათელ წესებს ადგენს სსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ასეთ ვადების დადგენისას, რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელობს ჩადენილი დანაშაულისათვის კოდექსის მუხლის ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმით ან ამ კოდექსის საერთო წესით (მე-12 მუხლით) დადგენილ დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით. კერძოდ, აღნიშნული მუხლით მსჯავრდებული იმ შემთხვევაში გათავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა:

ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალ-

---

[122] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, გვ. 194.

[123] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, 2007, გვ. 420.

ისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვს წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

სასჯელის მოხდისაგან გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წარმოდგენილი ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ეხება მსჯავრდებულ ი. მ.-ს საქმეს, რომელმაც 2017 წლის თებერვალში შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო. მსჯავრდებული ი. მ. 2005 წელს იქნა ცნობილი დამნაშავედ სსკ-ს 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად იგი ძებნაში არ იმყოფებოდა და მის მიმართ, გარდა ზემო აღნიშნული ნასამართლობისა, სხვა კანონდარღვევის ფაქტი დაფიქსირებული არ იყო. ასევე, აღსრულების ბიუროს 2017 წლის წერილის თანხმად, 2005 წლის განაჩენის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი ი. მ. -ს მიმართ ჯარიმის 400 ლარის დაკისრების თაობაზე ვერ იქნა მოძიებული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს როგორც მიმდინარე, ასევე საარქივო მასალებში.

შესაბამისად, ამ მონაცემებისა და სსკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტის მხედველობაში მიღებით, რომელიც ითვალისწინებს, რომ „მსჯავრდებული გათავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს" და ვინაიდან ამ დროისათვის გასული იყო ათი წელი განაჩენის გამოტანიდან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი.მ. უნდა გათავისუფლე-

ბულიყო სასჯელის მოხდისაგან განაჩენის ხანდაზმულობის გამო.[124]

რაც შეეხება საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, კანონმდებელი ამ საკითხის გადაწყვეტას სასამართლოს ანდობს. **სსკ-ის 76-ე მუხლის მე-3** ნაწილი ასევე ადგენს რომ, თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, ასეთ შემთხვევაში, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

კანონმდებელს ხანდაზმულობის საკითხის რეგულირებისას, სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილში შემოაქვს ტერმინი „ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება" და განსაზღვრავს როგორც მის შინაარსს, ისე იმ სამართლებრივ შედეგებს, რასაც იგი იწვევს მსაჯავრდებულისათვის.

ზოგადი წესით, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. მაშასადამე, 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვადის დინების შეჩერების საფუძველია თავის არიდება. თუმცა, კანონმდებლობით, ასევე გათვალისწინებულია ხანდაზმულობის ვადის დინების განახლებაც, რომელიც მოხდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ასეთ დროს ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებამდე გასული დრო. ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საკითხი, ამ ნაწილით (სს-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილი) აღნიშნულისაგან განსხვავებული საფუძვლით, გათვალისწინებულია ასევე ამავე მუხლის მე-5 ნაწილში, რომლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძველია პირის იმუნიტეტი, და შესაბამისად, დინება შეჩერდება იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

იმუნიტეტი თავის მხრივ არის 2 სახის, – საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი. საერთაშორისო იმუნიტეტით მოსარგებლე პირების სტატუსსა და სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, რომლის პრეამბულაშიც აღნიშნულია, რომ ამ დოკუმენტში

[124] თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინება, 16 თებერვალი, თბილისი, 2017.

მოხსენიებულ იმუნიტეტით მოსარგებლე პირებს „შეგნებული აქვთ, რომ ასეთი პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ არა ცალკეულ პირთა მხრივ გამორჩენის მიზნით, არამედ იმისათვის, რომ ნაყოფიერად აღასრულონ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, როგორც სახელმწიფოთა წარმომადგენელი ორგანოების ფუნქციები".[125] კონცენცია ადგენს იმ პირთა წრეს, romlebic დიპლომატიურ წარმომადგენლობას განეკუთვნება.

კონვენცია, მის 29-ე მუხლში პირდაპირ ადგენს, რომ დიპლომატიური აგენტის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება არავითარი ფორმით. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია ჯეროვანი პატივისცემით მოეცქეს მას და ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ თავიდან ააცილოს მას პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა. ამავე კონვენციის 31-ე მუხლის 1 ნაწილით „დიპლომატიურ აგენტს აქვს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის იმუნიტეტი, ხოლო მე-2 ნაწილით, – დიპლომატიური აგენტი ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება როგორც მოწმემ."

რაც შეეხება შისადახელმწიფოებრივ იმუნიტეტს, ასეთია. მაგალითად, იმუნიტეტი, რომლითაც სარგებლობს საქართველოს პარლამენტის წევრი, პრეზიდენტი, მოსამართლე.

კონკრეტულად, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლით: **„პარლამენტის წევრის** დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ასევე, პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის

[125] 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, რომლის პრეამბულა, ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi39.pdf

დაყადაღება ან ამოღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები."[126]

საქართველოს კონსტიტუცია ასევე ადგენს პრეზიდენტის როგორც იმუნიტეტის, ისე იმპიჩმენტის წესს. კერძოდ, კონსტიტუციის 51-e muxliT, საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.[127] ამავდროულად, კონსტიტუციის 48-ე მუხლი განსაზღვრავს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხსაც:

„1. კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით **საქართველოს პრეზიდენტის**, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

3. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად

[126] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 39-ე, ნაწილი მე-2 და მე-3

[127] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 51, ნაწილი 3.

ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ პარლამენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძვლით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

5. ამ მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება, გარდა მთავრობის წევრისა, შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

6. დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს." [128]

ასევე, კონსტიტუციის 63-ე მუხლი ადგენს მოსამართლის ხელშეუხებლობას და აცხადებს, რომ: „ დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაშეზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს."[129]

მიუხედავად კანონის მიერ ასე დეტალურად დადგენილი რეგულაციებისა, უნდა აღინიშნოს, რომ არც შიდასახელმწიფოებრივი და არც საერთაშორისო იმუნიტეტი არ აბრკოლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირებზე, რომელთაც ჩაიდინეს რომის სტატუტში ჩამოთვლილი შემდეგი დანაშაული:

ა) გენოციდი;

ბ) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;

[128] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48.

[129] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 63-ე, ნაწილი 2.

გ) ომის დანაშაულები;

დ) აგრესიის დანაშაული.[130]

აღნიშნულ მიდგომასთან დაკავშირებით სსკ-ის 76-ე მუხლი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც საერთოდ არ ხდება ხანდაზმულობის ვადის გამოყენება და ბუნებრივია, ეს საკითხი, ასეთი საგამონაკლისო ხასიათის გამო, სცდება ეროვნული იურისდიქციისა და გამოყენებადობის ფარგლებს. სსკ-ის 76-ე მუხლის მე-4 ნაწილი აცხადებს: „ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში."

ზემოთ მოყვანილი დებულების ამგვარი კონსტრუქცია გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ სივცესთან შესაბამისობიდან. კერძოდ, იგი პირდაპირ უკავშირდება 1968 წლის 26 ნოემბრის გაეროს კონვენციას „ომის დანაშაულებებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისათვის ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ" (შემდგომში: ხანდაზმულობის ვადების შესახებ კონვენცია), რომლის რატიფიკაციაც საქართველომ 1995 წელს მოახდინა.

ცხადია, ასეთ შემთხვევებში საუბარია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. ადამიანურობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირთა გადაცემის და დასჯის საერთაშორისო პრინციპებში, რომელიც მიღებულია გაეროს მიერ, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ეს დანაშაულები ექვემდებარებიან გამოძიებას, ხოლო პირები, რომელთა წინააღმდეგაც არის საკმარისი მტკიცებულება ამ დანაშაულთა ჩადენაში, – ძებნას, დაპატიმრებას, სასამართლო პასუხისგებაში მიცემას და, – მათი დამნაშავედ აღიარების შემთხვევაში, – დასჯას, როდესაც არ უნდა იყოს ისინი ჩადენილი".[131] რაც შეეხება უშუალოდ გენოციდის კონვენციას, მისი მე-13 მუხლიდან გამომდინარე, იგი ძალაში შევიდა 1951 წელს. ამას-

[130] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება – რომის სტატუტი. 1998, მუხლი 5; იხ: მ. ტურავა, საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2015, გვ. 55.

[131] Резолюция Генеральной Ассамблеи ООН 3074 (XXVIII) «Принципы международного сотрудничества в отношении обнаружения, ареста, выдачи и наказания лиц, виновных в военных преступлениях и преступлениях против человечности» იხ. http://www.genocide.ru/lib/barseghov/resp/001-015.htm#9

თან, გენოციდის კონვენცია არ აკეთებს დათქმას და არ შემოფარგლავს მის მოქმედებას იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია მისი მიღების შემდეგ ან მის მიღებამდე. ამისგან განსხვავებით ხანდაზმულობის ვადების შესახებ კონვენცია ნათლად მიუთითებს რომ, გენოციდს არ აქვს ხანდაზმულობის ვადა.

აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადების შესახებ კონვენციის მიღებამდე, ჟენევის კონვენციები და პირველი დამატებითი ოქმი არ შეიცავენ ნორმას, რომელიც შეეხება ომის დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობას.[132] საკითხთან დაკავშირებულ რეგულაციებს ყველაზე ნათლად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, რომის სტატუტი აყალიბებს, რომლის 29-ე მუხლიც ეხება ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობას და აღნიშნავს, რომ: "სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულობებზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა."[133] საქართველო, რომელიც არის რომის სტატუტის ხელმომწერი სახელმწიფო, პრაქტიკულად, ეროვნულ მართლმსაჯულებაში ამკვირდებს ზემოაღნიშნულ დებულებას სსკ-ის 76-ე მუხლის მე-4 ნაწილის მეშვეობით, როდესაც ნაციონალური სისხლის სამართლის კანონით აცხადებს, რომ „ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში."

ის სახელმწიფოები კი, რომელთაც არა აქვს შესაძლებლობა ეროვნული სსკ-ის მიხედვით განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, სტატუსის საფუძველზე უსიტყვოდ იღებენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას. ამ გზით ეს უკანასკნელი მოქმედებას გააგრძელებს ეროვნული კანონმდებლობით ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც. [134]

---

[132] მ. ტურავა, სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 303.

[133] 1998 წლის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება – რომის სტატუტი, მუხლი 29.

[134] მ. ტურავა, სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 303.

გარდა ზემოაღნიშნული ორი სხვადასხვა საფუძვლით ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებისა (**სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება და იმუნიტეტით დაცვის მანდატით სარგებლობა), სსკ-ის 76-ე** მუხლის მე-**6** პუნქტში მოცემულია aseTi ვადის დინების შეჩერების მესამე საფუძველი, რომელიც ადგენს რომ, ხადნაზმულობის ვადის დინება ასევე ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად. ეს უკანსკნელი კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ: „დაუშვებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ან პირის მსჯავრდება მის გადმოცემამდე რაიმე სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, გარდა იმ დანაშაულისა, რომლის ჩადენისთვისაც იგი საქართველოში იქნა ექსტრადირებული".[135]

საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის მე-7 ნაწილი ეხება იმ საკითხებს, რა შემთხვევაში მიიღებს საქართველოს შესაბამისი ორგანო მხედველობაში უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლებს, უცხო ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საქართველოში აღსასრულებლად გადმოგზავნისას. კერძოდ, უცხო ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის VI თავის თანახმად საქართველოში აღსასრულებლად გადმოგზავნის შემთხვევაში საქართველოს შესაბამისი ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მხედველობაში უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლებს, თუ ისინი ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლების ანალოგიურია.

საქართველოს სსკ – ის 76-ე მუხლის ანალიზის ფონზე ნათელია, რომ იგი დეტალურად და გამჭვირვალედ ადგენს გამამ-

[135] საქართველოს 2010 წლის კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ", მუხლი 16, პუნქტი 2.

ტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საკითხებს და ამავდროულად, სრულ შესაბამისობაშია როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებასთან, ისე საერთაშორისო ხასიათის რელევანტურ კონვენციებთან.

თავი მეოთხე

თავი XIV. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

მუხლი 77. ამნისტია

ამნისტია და შეწყალება წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატულ გულმოწყალების და ჰუმანურობის აქტებს, რომელსაც სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად გატარების გარდა, წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება, ვინაიდან ორივე ღონისძიება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველია. მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ ერთხელ მიეცეს შანსი ადამიანს თავად გაიაზროს და მოინანიოს წარსულის შეცდომები, საკუთარი ძალისხმევითა და მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით დაიბრუნიოს თავისუფლება, პიროვნული ღირსებები და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.[1]

ამნისტია უმეტეს შემთხვევაში განიხილება როგორც საგანგებო კანონმდებლობა *(Emergency Law)* და, შესაბამისად, მისი შინაარსის განსაზღვრისას მოქმედებენ ნორმები, რომლებიც მოითხოვენ საკითხის მაქსიმალურად ვიწროდ და კონკრეტულად დარეგულირებას.[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლით გათვალისწინებული ამნისტიის შინაარსი, ფართო გაგებით, წარმოადგენს სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებს შორის არსებული ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის – ჰუმანიზმის – თვალსაჩინო გამოხატულებას.

---

[1] ზ. ნანობაშვილი, „ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება", ჟურნალი ალმანახი, № 13, თბილისი, 2000, გვ. 85.

[2] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ. 11.

ამნისტია ბერძნული სიტყვაა (*Amnestia*), რაც ნიშნავს პატიებას. იგი წარმოადგენს გათავისუფლების შერეულ სახეს, რომლის მეშვეობითაც სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შესაძლებელია როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ისე სასჯელისაგან გათავისუფლება.[3] სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განასხვავებს ამნისტიას და შეწყალებას მათი გამომცემი სუბიექტების მიხედვით.[4]

ამნისტიის გამოყენებასთან დაკავშირებით საინტერესოა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. იმ ქვეყნებში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება არის საკმაოდ ძლიერი, ამნისტიისა და შეწყალების უფლება მათ ხელშია და, შესაბამისად, მათ სრულად აქვთ გადაცემული უფლება შესაბამის პირთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა (როგორც ინდივიდუალურად, ისე დანაშაულების მიხედვით). იმ ქვეყნებში, რომლებშიც საკანონმდებლო უფლებამოსილება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, პარლამენტის მიერ ხდება დანაშაულთა ამნისტირება. ეს მიდგომა ეფუძნება იურიდიულ პარალელიზმს, რომლის მიხედვით საკანონმდებლო ნორმის მიმღებმა ორგანომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზოგადი შინაარსის ამნისტია. ამ ტიპის ქვეყნებში შესაძლებელია ამნისტია გამოსცენ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანოებმა, მაგრამ ისინი საჭიროებენ საკანონმდებლო პრომულგაციას.[5]

საქართველოში ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ. აღნიშნული დებულება, რომელიც მოცემულია სსკ 77-ე მუხლის პირველივე პუნქტში, აშკარას ხდის რომ, ამნისტიის აქტში კონკრეტულ პირებზე მითითება არ ხდება და იგი ნორმატიული აქტის ფორმას ატარებს. ამნისტიის აქტის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევა, –

[3] ზ. ნანობაშვილი, „ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება“, ჟურნალი ალმანახი, № 13, თბილისი, 2000, გვ. 88.

[4] J. C. Baumgartner, M. H. Morris, Presidential Power Unbound: A Comparative Look at Presidential Pardon Power, Politics and Policy, V 29, №2, 2001, 212-14.

[5] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“ სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა“, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ.11.

მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს ასეთს, – თავის მხრივ, პრობლემურია ამ უკანასკნელის შესახებ ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრებული კლასიკური გაგებიდან გამომდინარე.

საქმე იმაშია, რომ თუ გავაანალიზებთ ნორმატიული აქტების იერარქიას, შინაარსს და სამართლებრივ ფორმას, დავნახავთ, რომ ამნისტიის აქტი თავისი შინაარსობრივი გამოყენების ფორმით მთელი სისრულით არ ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობაში კლასიკური გაგებით დამკვიდრებული ნორმატიული აქტის ფორმის შინაარსს. კერძოდ, ზოგადად, საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ" მისი მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში სამართლებრივი აქტის ორ სახეს წარმოგვიდგენს, ნორმატიულსა და ინდივიდუალურს და თითოეულ მათგანს მისთვის მასახასიათებელ ფორმას, შინაარსს და მოქმედების არეალს უდგენს. ამავე მუხლის მომდევნო, მე-3 და მე-4 ნაწილებით: „ნორმატიული აქტი უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტია, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ხოლო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს." შესაბამისად, ამნისტიის კანონის, როგორც ამ ზოგადი მიდგომიდან საგამონაკლისო წესით არსებული აქტის, თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთის მხრივ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, რადგან გამოიცემა პარლამენტის მიერ და შესაბამისად, კანონის ძალის მქონეა, ხოლო მეორეს მხრივ, ეწინააღმდეგება ნორმატიული აქტისათვის ორგანულად დამახასიათებელ თვისებას მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების თაობაზე, ვინაიდან „საერთო წესის მიხედვით ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ დანაშაულზე, რომელიც დამთავრდა ამნისტიის აქტის იურიდიული ძალის შეძენის მომენტამდე"[6] – რაც, თავის მხრივ, ცალსახად მიუთითებს მისი გამოყენების ერთჯერად ხასიათზე.

ამნისტიის აქტის, როგორც ნორმატიული აქტის თავისებური

[6] ზ. ნანობაშვილი, „ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება", ჟურნალი ალმანახი, № 13, თბილისი, 2000, გვ. 88.

შინაარსი იმაში გამოხატება, რომ იგი სპეციფიკურად უკუძალის მატარებელია დამნაშავის/მსჯავრდებულის/სასჯელმოხდილის მხოლოდ სასიკეთოდ და ამდენად, წარმოადგენს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული დებულების აშკარა მანიფესტაციას იმის წარმოჩენით, რომ „ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით." ამნისტიის აქტის პირდაპირი დანიშნულებაც სწორედ ეს არის, რომ ჰუმანიზმის პრინციპზე დაყრდნობით, გავრცელდეს მხოლოდ მის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, და ამასთან შეამსუბუქოს ან სხვაგვარად გააუმჯობესოს დამნაშავის, მსჯავრდებულის, ან სასჯელმოხდილის სამართლებრივი მდგომარეობა. მაგალითად, 2009 წლის 11 ივნისის საქართველოს კანონმა ამნისტიის შესახებ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გაათავისუფლა პირები, რომლებიც 2010 წლის 1 ივნისამდე ნებაყოფლობით გამოცხადებოდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განაცხადებდენ მათ მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლით, 362-ე მუხლით ან 363-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შესახებ, თუ მათ შესაბამისი დანაშაულები ჩაიდინეს 2006 წლის 30 იანვრამდე, და თუ ამ დანაშაულებზე არ იყო დაწყებულო წინასწარი გამოძიება.

ამასთან, ამნისტიის აქტს, ისე როგორც ეს საქართველოს სისხლის სამართლის კანონის მე-3 მუხლში გატარებული კანონიერების პრინციპის ძალით დაფუძნებული სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციიდან და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, არ შეუძლია დაამძიმოს დამნაშავის მდგომარეობა. ასეთი მიდგომა, ჯერ ერთი, გამომდინარეობს კანონიერების ზოგადი პრინციპიდან, ხოლო მეორე, იქიდან, რომ ამნისტიის აქტი, მისი ნორმატიული ხასიათის მიუხედავად არ წარმოადგენს ისეთ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც თავის მხრივ მოახდენდა გარკვეული ცვლილებების შეტანას სისხლის სამართლის მატერიალურ კანონმდებლობაში, მაგალითად ქმედების

დეკრმინალიზაციის თუ დეპენალიზაციის თვალსაზრისით. რაც შეეხება ამნისტიის აქტის გავრცელებას ასეთი აქტის გამოცემის შემდგომ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, ზოგადი წესის მიხედვით, კანონმდებლობა ასეთს არ ითვალისწინებს.

თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია მოსაზრება საგამონაკლისო წესით ასეთის დაშვების თაობაზე საკითხის ამგვარი გადაწყვეტის სისხლის სამართლის პოლიტიკისათვის მიზანშეწონილების კუთხიდან. კერძოდ, „კანონმდებელს შეუძლია ამნისტია გაავრცელოს ისეთ ქმედებაზეც, რომელიც ამნისტიის აქტის გამოცემის შემდეგაც გრძელდება. ამ დროს უნდა გაკეთდეს დათქმა, თუ რა ვადაში და დამნაშავის მიერ რა მოქმედებების შესრულების შემდეგ შეიძლება ამნისტიის აქტის გამოყენება. მაგალითად, თუ მიმდინარეობს კერძო საუბრის უნებართო ჩაწერა (სსკ მუხლი 158-ე) და კანონმდებელმა ამნისტიის აქტით განსაზღვრა, რომ ის, ვინც ამნისტიის აქტის გამოცემიდან 30 დღის განმავლობაში ნებაყოფლობით განაცხადებს დანაშაულის ჩადენის შესახებ სამართალდამცავ ორგანოში და ხელს შეუწყობს დანაშაულის გამოძიებას, გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან".[7]

საქართველოს **სსკ-ის 77-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხდვით,** „ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან, ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს, ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით." როგორც აღნიშნული დეფინიციიდან ცალსახად კეთდება დასკვნა, ამნისტია გამოიყენება როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის, ისე უკვე მსჯავრდებული პირის მიმართაც. როგორც წესი, ესენი არიან მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩამდენი პირები.[8] ამისაგან განსხვავებით, გავრცელებული პრაქტიკით, შეწყალება ეხება სასჯელის შემცირებას და პოსტმსჯავრდებითი

---

[7] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსმართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, გვ. 204.

[8] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, ნ. გვენეტაძე, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2007, გვ. 422.

ლონისძიებაა.[9]

ამნისტიის აქტი, შესაძლოა, შეეხოს პირთა გარკვეულ კატეგორიასა და ცალკეულ დანაშაულებს, ამასთან, გარკვეული პირობების არსებობისას, როგორც ეს მოცემულია, მაგალითად, 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონში. სწორედ აღნიშნული აქტის საფუძველზე მიმართეს შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას იმ მსჯავრდებულებმა, რომლებიც ითხოვდნენ მათ მიმართ აღნიშნული „ამნისტიის შესახებ" კანონის გამოყენებას ამავე კანონის შინაარსიდან გამომდინარე.

კერძოდ, 2016 წლის 5 აგვისტოს სასამართლომ განიხილა ორი ისეთი მსჯავრდებულის შუამდგომლობა, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ სსკ-ის 180-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებით ჩადენილი დანაშაული და მიღწეული იყვნენ იმ ასაკობრივ ზღვარს, რომელიც ასაკობრივი ნიშნით ამნისტიის აქტში ჩამოთვლილ დანაშაულის ჩამდენ პირებზე ვრცელდებოდა.

კერძოდ, 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან ათავისუფლებდა იმ ბრალდებულ/მსჯავრდებულ მამაკაცს, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის იყო 70 (სამოცდაათი) წლის ან 70 (სამოცდაათ) წელზე მეტი ასაკის, აგრეთვე ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალს – 65 (სამოცდახუთი) წლის ან 65 (სამოცდახუთ) წელზე მეტი ასაკისა,[10] თუ მას ჩადენილი ჰქონდა ამნისტიის შესახებ კანონში ჩამოთვლილი დანაშაული, რომელთა შორის იყო ასევე სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებაც, რომელზეც ორივე მსჯავრდებული მიუთითებდა.

სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის ორივე შემთხვევაში, მსჯავრდებულები აპელირებდნენ როგორც მათ ასაკზე, – კერძოდ, ქალბატონი ნ.ა. მიუთითებდა, რომ იგი იყო 66 წლის, ხოლო ბატონი ზ.გ. კი 71 წლის, – ასევე იმ ფაქტებზე, რომ არ არსებობდა

[9] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ.10.

[10] საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონი ამნისტიის შესახებ, მუხლი 1.

მათ მიმართ ამნისტიის აქტის გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებები.

მართლაც, სასამართლომ განიხილა ორივე მსჯავრდებულის შუამდგომლობა, და საქმის მასალებიდან გამომდინარე, ორივე შემთხვევაში, დაეყრდნო 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის I მუხლის I ნაწილის „გ" ქვეპუნქტს, რომლის თანახმად ამნისტიის ამ აქტში მოხსენიებული ასაკობრივი კატეგორიის პირები თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელის მოხდისგან საქართველოს სსკ-ის 180-ე და 182-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, იმ პირობით, **თუ თითოეული დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს**, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.[11]

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებული, ბატონი ზ.გ. უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, რომელიც 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შუმცირდა 1/3-ით და განსაზღვრული სასჯელი ჩაეთვალა პირობით, გამოსაცდელი ვადის დაწესებით, – რადგან მსჯავრდებული ზ.გ. არის 71 წლის, ამასთან, როგორც დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლის, სსიპ X – ის თავმჯდომარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებით ირკვევა, სსიპ X არ არის წინააღმდეგი მსჯავრდებულის მიმართ გავრცელდეს 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი.[12]

ასევე, მსჯავრდებულის, ქალბატონ ნ.ა.-ს საქმის მასალების განხილვის შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მის მიმართ 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი უნდა

---

[11] საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონი ამნისტიის შესახებ, მუხლი 1, ნაწილი 1. პუნქტი „გ"

[12] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინება, ზ.გ.-ს მიმართ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ" კანონის გამოყენების თაობაზე, 5 აგვისტო, თბილისი, 2016.

აღსრულებულიყო. ასეთ დასკვნამდე მისასვლელად, სასამართლო 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის I მუხლის I ნაწილის „გ" ქვეპუნქტის გარდა, ასევე დაეყრდნო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტს, სადაც ვკითხულობთ, რომ: „ ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში: ა) თუ დაზარალებული ფიზიკური პირის უფლებამონაცვლე გარდაცვლილია ან ვერ იძებნება, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირზე ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია იმ შემთხვევაში გავრცელდება, თუ ამაზე თანხმობას ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი წესით განაცხადებს დაზარალებული ფიზიკური პირის ოჯახის ერთი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი (დედა, მამა, მეუღლე, შვილი), ხოლო თუ დაზარალებულს ოჯახის ასეთი წევრი არ ჰყავს ან დაზარალებულის ოჯახის ასეთი წევრი ვერ იძებნება, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდება". [13] შესაბამისად, რადგან საქმის მასალებით ირკვევა, რომ ვერ მოხერხდა დაზარალებულის უფლებამონაცვლის მოძებნა, და ამასთან მსჯავრდებული, ქალბატონი ნ.ა. არის 66 წლის, მის მიმართ უნდა მოხდეს აღნიშნული ამნისტიის კანონის გამოყენება, რის საფუძველზეც იგი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით დანიშნული და შემდეგ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელისგან.[14]

ორივე მსჯავრდებულის შუამდგომლობის საკითხის გადაწყვეტისას, რადგან ორივე მათგანი პირობით სასჯელს იხდიდა, სასამართლომ მიუთითა ამნისტიის შესახებ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ: „ამ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება ერთნაირად და პროპორციულად ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებულ **რეალურ**

---

[13] საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონი ამნისტიის შესახებ, მუხლი 1 ნაწილი მე-2, ქ/პ „ა".

[14] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინება, ა.ნ.-ს მიმართ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის „ამნისტიის შესახებ" კანონის გამოყენების თაობაზე, 5 აგვისტო, თბილისი, 2016.

სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და **გამოსაცდელ ვადაზე**, როგორც ძირითად სასჯელზე, ისე დამატებით სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა".[15]

საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ამნისტიის აქტის გავრცელების ფართო ხასიათის თვალსაზრისით ცალკე უნდა გამოიყოს 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი. ვინაიდან ქართველმა კანონმდებელმა, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, პატიმართა და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლისა და პრევენციის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით მიიღო 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის გამოცემის გადაწყვეტილება და ამით გამოხატა ფართომასშტაბიანი, საყოველთაო ამნისტიის აუცილებლობის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება, – შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა არაორაზროვნად გამოხატა ნება, ამ ჰუმანური აქტის თითოეულ მსჯავრდებულზე გავრცელებასთან დაკავშირებით.[16]

ამნისტიის აქტით ქმედითი ზომების მიღება ხდება შესაძლებელი აგრეთვე პროცესუალური თვალსაზრისითაც. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, კი **სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის (ვ) ქვეპუნქტის** მიხედვით, კანონით დადგენილი წესით გამოცემული ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელსაგან, მიიჩნევა გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან ასეთის არდაწყების საფუძვლად.

---

[15] საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონი „ამნისტიის შესახებ", მუხლი 2, ნაწილი 1.

[16] გ. ჩხაიძე, „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის რეფორმა, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში", კ. კორკელიას რედაქტორობით, 2014, გვ. 246.

აღსანიშნავია, რომ ამნისტიის აქტით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელია არამხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების, არამედ სასამართლო სტადიაზეც.

ამნისტიის აქტის ძალით პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შემთხვევაში, საქმეები, რომლებიც სასამართლოებს ჯერ არ განუხილავთ, უნდა შეწყდეს.[17] საპროცესო კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით, ისე როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს **სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.**

მაშასადამე, ამნისტია შეიძლება გამოიცეს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სტადიაზე.[18]

აღსანიშნავია, რომ ამნისტია ეჭვის ქვეშ კი არ აყენებს კანონიერებას და სასამართლოს განაჩენს, არამედ მხოლოდ ამსუბუქებს სასჯელს.[19] ამნისტიის აქტი არც დამნაშავის რეაბილიტაციის მომხდენია. ამიტომ, მნიშვნელოვანი ასპექტია პირის თანხმობა ამნისტიაზე. ყველა შემთხვევაში საჭიროა იმ პირის თანხმობა, რომელსაც ამნისტია ეხება. თუ პირი წინააღმდეგია ამისა, რადგან თვლის, რომ უდანაშაულოა და მოითხოვს გამართლებას, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესი ჩვეულებრივად გრძელდება და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით.[20]

---

17 სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, ნ. გვენეტაძე, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2007, გვ. 422.

18 გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ.10.

19 ზ. ნანობაშვილი, „ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება", ჟურნალი ალმანახი, № 13, თბილისი, 2000, გვ. 87.

20 სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, ნ. გვენეტაძე, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2007, გვ. 422.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამნისტია ძალზე ფრთხილად უნდა განხორციელდეს, რადგან იერინგის თქმით, „ამნისტია სამართლის ის დამცავი სარქველია, რომლითაც მარჯვედ და დროულად უნდა იმოქმედო, რათა მან სიკეთის ნაცვლად უკუშედეგი არ გამოიწვიოს".[21]

ამასთან, ამნისტიის აქტის გამოყენებისას მნიშვნელოვანია იმ პირთა (ორგანოთა) წრის განსაზღვრა, რომლებსაც სამსახურებრივად აქვთ შეხება ამნისტიის აქტით გათვალისწინებული ქმედებების იმპლემენტაციასთან.

ამნისტიის აღსრულების პროცესში სასამართლოს მონაწილეობის როლი მინიმიზებულია და ის ახალი კანონის უბრალო აღმასრულებელია. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით იქმნებიან სპეციალური ორგანოები, რომლებიც ახდენენ ამნისტიის იმპლემენტაციას[22].

საქართველოში, ჯერ კიდევ 1995 წლის 2 ივნისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება ეხება საკითხს „ამნისტიის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამოყენების წესის თაობაზე და ამ კანონის შესრულებას აკისრებს: „შინაგან საქმეთა ორგანოებს, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს".

ასევე, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით მოცემულია ყველა ის პირი თუ ორგანო, რომელთა შესაძლო შეხებაც იგულისხმებოდა ამნისტიის აქტის განხორციელებასთან. ამ კანონის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „მსჯავრდებულზე ამ კანონის 1-21-ე მუხლებით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე იღებს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი რაიონული (საქალაქო სასამართლო), რომელსაც პატიმრობაში ან პრობაციის რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულის პირად საქმეს ამავე კანონის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში მიაწვდის შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულება, პრობაციის ბიურო ან სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა, ხოლო ძე-

[21] Таганцев Н. С. Русское уголовное право. Часть общая, М., 1994, გვ. 363.

[22] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ.11.

ბნილ მსჯავრდებულზე ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების შესახებ იმავე ვადაში მიმართავს საქართველოს პროკურატურა". ამრიგად, ამ დებულების თანახმად ამნისტია გავრცელდა მსჯავრდებულზე, რომელიც: ა) პატიმრობაშია; ბ) იმყოფება პრობაციის რეჟიმში; გ) ძებნილია.

ამავე დებულებით კონკრეტულადაა დადგენილი სასამართლოსათვის მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე. კერძოდ, მსჯავრდებულებზე ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, დასრულებული სამართალწარმოების საქმეზე თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ: ა) შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებას; ბ) პრობაციის ბიუროს; გ) სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას; დ) საქართველოს პროკურატურას. [23]

თავის მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **ერთიანი დანაშაულის სახეებთან მიმართებით**, – როგორებიცაა **დენადი** და **განგრძობადი** დანაშაული, – ამნისტიის აქტის მოქმედების გავრცელების საკითხი. დანაშაულის ამ ორი სახის მიმართ აქცენტის გაკეთება გამოწვეულია ამ დანაშულთა დროში განვრცობადი ხასიათით, რაც თავის მხრივ, ამ ორი სახის დანაშაულის შემთხვევებზე ამნისტიის აქტის გავრცელების განსხვავებულ სამართლებრივ რეგულაციას განაპირობებს. უფრო კონკრეტულად, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ამნისტიის აქტის მოქმედება იმთავითვე დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის დროის საკითხთან, რადგან საერთო წესის მიხედვით, მისი მოქმედების არეალი ვრცელდება ამნისტიის აქტში მითითებულ იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამასთან, დენადი და განგრძობადი დანაშაული, მათ განხორციელების დროში განფენილობის იმანენტური ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა, დაიწყოს ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე და დამთავრდეს ამ აქტის ძალაში შესვლის შემდეგ. ასეთ შემთხვევებში, ერთიანი დანაშაულის აღნიშნულ სახეთა ჩამდენი პირების მიმართ ამნისტიის აქტი

[23] გ. ჩხაიძე, „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის რეფორმა, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში", კ. კორკელიას რედაქტორობით, 2014, გვ. 244.

არ გამოიყენება. მაგალითად, პირმა 2013 წლის 12 მარტს თავისი უმოქმედებით დაიწყო თავის არიდება სამხედრო სამსახურისათვის, როდესაც არ გამოცხადდა კანონით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად, რითაც იგი შეუდგა სსკ-ის 389-ე მუხლით გათვალსწინებული დანაშაულის შემადგენლობის ანუ დეზერტირობის განხორციელებას, რომელიც წარმოადგენს დენად დანაშაულს. ამნისტიის აქტი კი გამოიცა იმავე წლის სექტემბერში, რომელი პერიოდისთვისაც პირი კვლავ განაგრძობს სამსახედრო სამსახურისთვის თავის არიდებას. ასევე, არ შეეხება ამნისტიის აქტი განრძობად დანაშაულს, რომლის ბოლო აქტიც შესრულდა ამნისტიის გამოცემისას.

ნიშანდობლივია თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევებზე ამნისტიის შესახებ კანონის იურისდიქციის გავრცელების საკითხიც. ამ თემატიკასთან დაკავშირებით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ: „ვინაიდან თანამონაწილეთათვის დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება მათი მოქმედების დრო, ამიტომ ამსრულებლის მიერ ამნისტიის გამოცემის შემდეგ ჩადენილი ქმედების მიუხედავად, თანამონაწილეთა ქმედებებს, ამსრულებლის ქმედებისაგან განსხვავებით, შეეხება ამნისტიის აქტი".[24]

ამდენად, **სსკ-ის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის** მიხედვით, ამნისტიის აქტმა შესაძლოა გამოწვიოს შემდეგი სახის სამართლებრივი ცვლილებები:

- დამნაშავე გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან;
- მსჯავრდებული გაათავისუფლოს სასჯელისაგან;
- მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი შეამციროს;
- მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი შეცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

ამასთან, პრაქტიკული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საკანონმდებლო ორგანომ, ამნისტიის აქტის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოს თითოეული დეტალი, რომლითაც გარანტირებული იქნება ასეთი აქტით მინიჭებული უფლებების სრულად და დაუბრკოლე-

[24] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსმართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2013, გვ. 205.

ბლად სარგებლობა.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის ნაკლოვანების შესახებ. მართალია, ქართველმა კანონმდებელმა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისას გამოავლინა ნება ერთჯერადი და ჰუმანური აქტის გამოცემისა, რომელიც გავრცელდებოდა ყველა მსჯავრდებულზე, თუმცა არ განსაზღვრა ამომწურავად იმ პირთა წრე, რომელსაც მიენიჭებოდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილება, ამ კანონით დადგენილი დებულებების გავრცელების მიზნით. კერძოდ, „ამნისტიის შესახებ“ კანონის გავრცელების სამართლებრივი პრობლემა შეიქმნა იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომელთაც სასჯელის აღსრულება გადაუვადდათ გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის არსებითად გაუმჯობესებამდე. ასეთი პირები, კანონის ხარვეზის გამო არ იქნენ მიჩნეული სუბიექტებად, რომელნიც უფლებამოსილი იქნებოდნენ მიემართათ სასამართლოსათვის 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მათ მიმართ გავრცელების თაობაზე. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელობას სამართალშემოქმედების პროცესში და ამნისტიის გამოცემისას მაქსიმალურად ვიწროდ და კონკრეტულად დაარეგულიროს შესაბამისი აქტის დებულებათა შინაარსი.[25]

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული ხარვეზი, ერთადერთი არაა, რომელსაც ამ აქტს სამართალმცოდნეები და ადამიანის უფლებათა დამცველები საყვედურობენ. იურიდიულ ლიტერატურაში, ამ კანონის ნაკლოვანი მხარეები სხვა პერსპექტივიდანაც არის წარმოჩენილი. კერძოდ, კრიტიკა ეხება ორ ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორიცაა ამ ამნისტიის **პოლიტიკური** და **სქესის** ნიშნით დეტერმინებული ხასიათი, რამდენადაც ამ აქტმა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების

[25] გ. ჩხაიძე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის რეფორმა, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში“, კ. კორკელიას რედაქტორობით, 2014, გვ. 241, 244, 250.

ღონისძიება პოლიტიკური პატიმრებსა და, გარკვეულ ნაწილში, მხოლოდ ქალებს დაუკავშირა.[26]

პოლიტიკური ელფერის პერსპექტივიდან ამნისტიის აღნიშნული აქტით გადადგმული ნაბიჯები პოლიტიკური პატიმრების მიმართ ამნისტიის განსახორციელებლად შეფასებული იქნა „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით ევროპული კომისიის", ანუ ე.წ. „ვენეციის კომისიის" შესაბამისი მოსაზრებების გათვალისწინებით. აქ დაკვირვებისა და კრიტიკის საგანს წარმოადგენდა ის, „თუ რამდენად შეესაბამებოდა ღონისძიება სამართლის უზენაესობის პრინციპს და მის სხვადასხვა კომპონენტს",[27] რომელთა შემოწმების ფონზე ჩამოყალიბებული ვენეციის კომისიის მოსაზრებაც მიუთითებდა, რომ: „ამნისტია არ შეესაბამებოდა კანონიერების პრინციპის მოთხოვნებს.[28] ამ შემთხვევაში მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ ამნისტია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით იყო არაინდივიდუალური, ზოგადი ღონისძიება. საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკურ პატიმრებად პირთა მიჩნევა და შემდეგ მათი პასუხისმგებლობის გაუქმება (ერთი შეხედვით ორი დამოუკიდებელი აქტი) შეფასდა ერთიან კონტექსტში და მიჩნეულ იქნა მოქმედ სამართალსა და კონსტიტუციურ სამართლებრივ წესრიგთან შეუსაბამოდ. აქედან გამომდინარე, ამნისტიის ინდივიდუალურ საწყისებზე განხორციელება არცერთ შემთხვევაში არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დეფინიციას, რომლის მიხედვითაც ამნისტია ხორციელდება ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. სისხლის სამართლის ეს დებულება საფუძველს იღებს საქართველოს

---

[26] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ.9-10.

[27] სამართლის უზენაესობის პრინციპთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ წარმოადგინა კვლევა (CDL-AD(2011)003 რევ, 2011 წლის 4 აპრილი), სადაც წარმოდგენილ იქნა სამართლის უზენაესობის სხვადასხვა კომპონენტი: კანონიერება, გამჭვირვალობა კანონის მიღებისას, თვითნებობის გამორიცხვა, თანასწორობა კანონის მიღებისას და სხვა საკითხები.

[28] ვენეციის კომისიის 2013 წლის 11 მარტის მოსაზრება „ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება პოლიტიკურ პატიმრებს", CDL-AD(2013)009, 39-ე პუნქტი.

მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგიდან და პარლამენტის კომპეტენციის ბუნების თავისებურებიდან.[29]

ასევე, ვენეციის კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კანონის მიღების პროცესში გამჭვირვალეობის არარსებობას.[30] ასეთი შეფასება განპირობებული იქნა იმით, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ამნისტია საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა ორ ეტაპად და ვენეციის კომისიამ ორივე მათგანი ერთი ამნისტიის ორ განუყოფელ ნაწილად მიიჩნია და ერთიან კონტექსტში მიმოიხილა. ამდენად, საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილების მიღება, რომლითაც მოხდა პირთა პოლიტიკურ პატიმრებად აღიარება, მიჩნეულ იქნა გაუმჭვირვალედ და, აქედან გამომდინარე, ბუნდოვნად. საქართველოს პარლამენტს არ მიუღია არანაირი კრიტერიუმი საკანონმდებლო დონეზე, რომლითაც უნდა მომხდარიყო კონკრეტულ პირთა საქმეების არჩევა და სამართალშეფარდება.[31]

სქესის ნიშნით გაანალიზებულ იქნა ამავე ამნისტიის აქტის საკითხი, როგორც **სქესის მიხედვით** დიფერენცირებული ამნისტიისა. აქ ყურადღება გამახვილდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ამნისტიის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის შინაარსზე, რომელიც ადგენდა, რომ: „ერთი მესამედით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი ქალს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, გარდა დანაშაულისა, რომელმაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. „ აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ ამ დებულებით მოხდა სქესის მიხედვით პირთა დიფერენცირება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად არის ეს გამართლებული და რამდენად დასაშვებია ასეთი რეგულირება ადა-

---

[29] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ.18.

[30] ვენეციის კომისიის 2013 წლის 11 მარტის მოსაზრება „ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება პოლიტიკურ პატიმრებს", CDL-AD(2013)009, 38-ე პუნქტი.

[31] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ.19.

მიანის უფლებათა სამართლის პოზიციიდან, [32] უფრო კონკრეტულად – რამდენად გამართლებულია განსხვავებული მიდგომა,[33] რამაც, ბუნებრივია, დისკრიმინაციის ელფერი შეიძლება შესძინოს საქმეს.

კრიტიკის მიუხედავად, ამგვარი ანალიზი ემსახურებოდა არა წარმოჩენილი პრობლემების აღდგენას, რამდენადაც ამნისტია სამართლებრივად შეუქცევადი პროცესია და დაუშვებელია მისი გაუქმება, არამედ სამომავლოდ სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელობის გათვალსინინებას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ამნისტიის გამოცემისას.[34]

ზოგადი, შემაჯამებელი კუთხით, კი უნდა ითქვას, რომ ამნისტიას, როგორც სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ აქტს, აქვს შემდეგი დამახასაითებელი ნიშნები: ყველა შემთხვევაში იგი ნორმატიული ხასიათისაა, ანუ ვრცელდება ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ; ასევე, ეხება სისხლის სამართლის საქმეების განუსაზღვრელ რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რა პროცესუალურ სტადიაზეა ისინი; მისი გამოცხადების ინიციატივა ყოველთვის სახელმწიფო ორგანოდან მოდის; ამნისტიას აქვს საერთო-სამართლებრივი ხასიათი როგორც სამართლებრივი ორგანოებისათვის, ასევე თვით ამნისტირებულთა მიმართ. ერთადერთი გამონაკლსი არის ის შემთხვევა, როდესაც პირი თავს დამანაშავედ არ სცნობს და მოითხოვს მისი საქმის სასამართლოს მიერ გადასინჯვას. ამნისტიის აქტი ქმნის მხოლოდ ნორმატიულ საფუძველს, განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელსაც იგი ეხება, აგრეთვე მისი გამოყენების პირობებსა და წესს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან სასჯელისგან გათავისუფლების იურიდიულ საფუძველს კი წარმოადგენს სამართლის ნორმათა გამოყენების ინდივიდუალურად განსაზღვრული აქტი: სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილება, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება და სხვა.[35]

---

[32] იქვე, გვ. 23-24.

[33] იქვე, გვ. 26.

[34] იქვე, გვ. 29.

[35] ზ. ნანობაშვილი, „ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება", ჟურნალი ალმანახი, № 13, თბილისი, 2000, გვ. 88.

განსახილველი, სსკ-ის 77-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი „სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხნას ნასამართლობა". ამდენად, ამნისტიის აქტმა, ერთ-ერთ სამართლებრივ შედეგად, შესაძლოა, გამოიწვიოს ნასამართლობის მოხსნაც.

მუხლი 78. შეწყალება

ზოგადი წესის მიხედვით, თუ „ამნისტია" არაპიროვნული ღონისძიებაა და ვრცელდება ყველა პირზე ან პირთა ჯგუფზე, შეწყალება იდენტიფიცირებულ პირთა მიმართ ხორციელდება.[36] მიუხედავად იმისა, რომ შეწყალების არსს არაერთი ფილოსოფოსი თუ მოაზროვნე აკრიტიკება ისტორიულად, დღესდღეობით ამნისტიასა და შეწყალებას იცნობს უმრავლესი დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობა, ხოლო მათი განხორციელება დამოკიდებულია სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე. საპარლამენტო რესპუბლიკებში, როგორც წესი, ამნისტიას აცხადებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო (მაგალითად შვეიცარია, იტალია), შეწყალება კი ისტორიულად სახელმწიფოს პირველი პირის პრეროგატივას წარმოადგენს, მაგალითად (აშშ-ში, იტალიასა და საფრანგეთში მას ახორციელებს პრეზიდენტი, დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთში – მონარქი, იაპონიაში იმპერატორი).[37]

რაც შეეხება ქართულ **სახელმწიფოს, საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის I ნაწილის (ვ) ქვეპუნქტით,** საქართველის პრეზიდენტს მინიჭებული აქვს შეწყალების უფლება, ამნისტიის გამოცხადების კომპეტენცია კი ეკუთვნის პარლამენტს და იგი ყოველთვის კანონის ფორმით მიიღება. თუმცა, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტი არაა მხოლოდ ერთადერთი პირი, რომელიც, როგორც წესი, პროცედურულად დაკავშირებულია მსჯავრდებულის ან ნასამართლობა მოუხსნელი და გაუქარწყლებელი სასჯელმოხდილის შეწყალებასთან, არამედ ის ეცნობა შეწყალების

[36] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ. 9.

[37] Иностранное Конституционное право, Под редакцией профессора В.В. Маклакова,»Юрист»,,1996 г., გვ. 21.

კომისიის მიერ უკვე მომზადებულ რეკომენდაციას შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, განიხილავს მას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას (შეწყალების წესის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეწყალების თხოვნის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და/ან ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.

ვიდრე შეწყალების კანონმდებლობით დადგენილი არსის განხილვას შევუდგებოდეთ, აქვე უნდა ითქვას რომ, როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, შეწყალების წინააღმდეგი იყო ცნობილი ფილოსოფოსი, კანტი, რომელიც წერდა: "იქნება ეს სასჯელის შემცირება თუ მისგან სრული გათავისუფლება – ყველაზე უფრო სასთუთია სუვერენის უფლებებიდან". კანტი მიიჩნევდა, რომ სუვერენის მიერ ქვეშევრდომთა მიმართ მისი გამოყენება არ იყო მართებული, თუკი ამ უკანასკნელთ დანაშაული ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ ჩადენილი, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაუსჯელობა (*impunitas criminis)* – ყველაზე უფრო დიდი უსამართლობა იყო საკუთარი მოქალაქეების მიმართ. აქედან გამომდინარე, კანტი მის გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიდა მიზანშეწონილად, თუ ვნება თვით სუვერენს მიადგებოდა, და თუ საფრთხე ამ შემთხვევაში ხალხის უშიშროებას არ დაემუქრებოდა. ამ ინსტუტუტის სასარგებლოდ რაიმე სერიოზულ საფუძველს ვერ პოულობდა ვერც ჰეგელი, რომელიც წერდა: "შეწყალება არის სასჯელისაგან გათავისუფლება, მაგრამ იგი ვერ ხსნის სამართალს, რომელიც მაინც ინარჩუნებს ძალას და შეწყალებული, როგორც ადრე, დამნაშავედ რჩება. შეწყალება არ ნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული. სასჯელის მოხსნა მხოლოდ რელიგიის მეშვეობითაა შესაძლებელი, რადგან ჩადენილის არ მომხდარად ქმნა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ გონს. იმდენად, რამდენადაც ეს ხდება რეალურ სამყაროში, იგი მოკლებულია საფუძველს.[38]

ერთი შეხედვით უცნაურია, რომ შეწყალების წინააღმდეგ გამოდიოდა ჩეზარე ბეკარიაც, როემლიც, ზოგადად, სასჯელთა ჰუმან-

[38] ნანობაშვილი ზ., „ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება", ჟურნალი ალმანახი, № 13, თბილისი, 2000, გვ. 86.

იზაციის მომხრე იყო. ბეკარია მიიჩნევდა, რომ შეწყალება მათთვის, ვისაც არასრულყოფილი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჰქონდათ, "სასჯელთა შერბილების კვალობაზე გულმოწყალება და პატიება ხდება ნაკლებ აუცილებელი... ბედნიერია ის ერი, ვისაც იგი მომაკვდინებლად მიაჩნია". მისი ადგილი არ არის სრულყოფილ კანონმდებლობაში, სადაც სასჯელი ზომიერია, სასამართლო კი – სამართლიანი და სწრაფი. ბეკარიას აზრით, სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული ჰუმანიზმი, უნდა აისახოს სისხლის სამართლის კოდექსში და არა სპეციალურ სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომელსაც შეუძლია მოქალაქეებში დაუსჯელობის ილუზია წარმოშვას და მათ შესაძლოა დაიჯერონ რომ, თუკი პატიება ამათუიმ პირისათვის შესაძლებელია, მაშინ შეუწყნარებელთა მიმართ სისრულეში მოყვანილი განაჩენი უფრო ძალმომრეობით აქტს წარმოადგენს, ვიდრე მართლმსაჯულების შედეგს.[39]

თანამედროვე პოზიციებიდან შეწყალებაც და ამნისტიაც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების არაორდინარული საფუძველია, რომლის მიხედვით ხდება სასჯელისგან გათავისუფლება, მისი შემცირება ან უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა. როდესაც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხდება, აუცი- ლებელია იგი შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, რადგან ეს უკანასკნელი ცალკე აღებული უფლებაა.[40] ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა სამართალს უქვემდებარებს შეწყალების პროცედურასაც კი, იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელი ხორციელდება სახელისუფლებო აქტის საფუძველზე.[41]

დღესდღეობით შეწყალება მრავალი თანამედროვე სახელმწიფოს სისხლის სამართლის შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად ამნისტიას და შეწყალებას შორის არსებული საერთო ნიშნებისა, მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს არაერთი ნიუანსი, რისთვისაც მიზან-

---

[39] Ц. Бекария, О преступлениях, М., 1995 , გვ. 243.

[40] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (Scoppola v. Italy).

[41] სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 18 აპრლის №CCT 11/96 გადაწყვეტილება საქმეზე: President of the Republic of South Africa and Another v. Hugo, 44-ე პუნქტი.

შეწონილია მათი ცალ-ცკალე განხილვა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეტიმოლოგიური თავლსაზრისით შეწყალება თავს თავში მოიცავს ამნისტიას. შეწყალება უფრო ფართო ცნებაა, ამნისტია კი მისი შემადგენელი ნაწილია, თუმცა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით მათ განსხვავებული დატვირთვა აქვთ.[42] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში (ეეხა ვ. შლოვაკია) მიმოიხილა ევროპის საბჭოს მასშტაბით ამნისტიისა და შეწყალების განხორციელების საკითხი. ეს ორი ინსტიტუტი მიჩნეულია საერთო მახასიათებლად ამ რეგიონისთვის, მაგრამ ამავდროულად იდენტიფიცირებულ იქნა რამდენიმე ჰიბრიდული შემთხვევა, როგორიცაა, მაგალითად, კოლექტიური შეწყალება (გრაცე ადმინისტიანტე; ადმისსიონ პარ დეცრეტ აუ ბენეფიცე დე ლ'ამნისტიე). ზოგადი მიდგომის მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება შეწყალების შესახებ არ ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლოს კონტროლს, მათი სუი გენერის ბუნებიდან გამომდინარე. უპირობო შეწყალების გასაჩივრების შესაძლებლობას არ იძლევა წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმოხილვის მიხედვით, შეწყალების გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას ადმინისტრაციული სამართლის წესით, რადგან არ შეიძლება ღონისძიების უკუქცევითი გაუქმება და პირის საზიანო გადაწყვეტილების მიღება. ამ წესიდან საგამონაკლისო შემთხვევებად ითვლება კორუფციული სამართალდარღვევები ან ისეთი გარემოებების არცოდნა, რომლებიც შეწყალების გამოუყენებლობის საფუძველი იქნებოდა.[43]

საქართველოს **სსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით** "შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ." **მე-2 ნაწილით:** "შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისგან ან მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემ-

---

[42] ზ. ნანობაშვილი, „ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება", ჟურნალი ალმანახი, № 13, თბილისი, 2000, გვ. 85.

[43] გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ. 12-13.

ცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით." **მე-3 ნაწილით:** "სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსას ნასამართლობა".

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებიდან მოყოლებული დღემდე, შეწყალების გამოყენების კანონმდებლობით დადგენილი წესი რამდენჯერმე შეიცვალა. ერთ-ერთი უკანასკნელი პერიოდის ცვლილებათაგანი საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 8 თებერვალის №41 ბრძანებულებით „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განხორციელდა. აღნიშნული აქტით 2014 **წლის 27 მარტის** №120 ბრძანებულების მე-3 მუხლის შემდეგ დაემატა 3(1) **მუხლი,** რომლის მიხედვითაც, ამ ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4-მე-8 პუნქტები ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა პირადი საქმეები საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარმოდგენილია 2018 წლის პირველი თებერვლიდან, ხოლო, თავის მხრივ, მე-2 მუხლის მე-4 – მე-8 პუნქტები ამავე დოკუმენტის მეშვეობით დაემატა 2014 **წლის 27 მარტის** №120 ბრძანებულებას და **შინაარსობრივად შეეხო:** ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გამოუყენებლობის საკითხს დანაშაულთა გარკვეული კატეგორიების მიმართ (მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები)[44] და ამ მუხლის მე-4-მე-6

[44] (4) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადები არ ვრცელდება ნასამართლობის არმქონე პირზე, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 180-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 182-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 1822 , 185-ე, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, 188-ე მუხლის პირველი ნაწილით, 189-ე, 1891 , 190-ე-193-ე მუხლებით, 196- ე, 197-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 1971 , მე-200-2072 , 208-ე-211-ე, 213-ე, 214-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 216-ე-220-ე, 2201 მუხლის პირველი ნაწილით, 221-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339- ე, 340-ე, 341-ე, 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.
(5) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადები არ ვრცელდება პირზე, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 261-ე, 264–ე-274-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ მუხლებით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან/და პირზე, რომელიც მსჯავრდებულია ნარკოტიკული საშუ-

პუნქტებით განსაზღვრული წესის გამოყენების თავისებურებებს დანაშაულთა ერთობლიობისას ან/და განაჩენთა ერთობლიობისას და ამავე პუნქტებში (მე-4-მე-6) აღნიშნული საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძალვით, ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით ჩამდენი პირების მიმართ (მე-7 და მე-8 პუნქტები).[45]

რაც შეეხება თავად **2014 წლის 27 მარტის საქართველოს პრეზიდენტის № 120-ე ბრძანებულებას "შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ"**, აღნიშნულმა აქტმა ძალადაკარგულად გამოაცხადა 2004 წლის ბრძანებულება "შეწყალების გამოყენების წესის შესახებ". ამავე პერიოდში შეწყვიტა მოქმედება საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის ბრძანებულებამ "შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ", რომელიც ჩაანაცვლა 2013 წლის 26 ნოემბრის ამავე სახელწოდების და სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტმა, კომისიის წევრთა ახალი შემადგენლობით, ხოლო ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შეცვლილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 27 მარტის №102 ბრძანებულებით: „შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის *26* ნოემბრის №928 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის პირველი მუხლითაც შეწყალების საკითხთა კომისია

ალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების, მათი ანალოგების, პრეკურსორების ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისათვის.

(6) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადები არ ვრცელდება პირზე, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევის საფუძველზე.

[45] (7) დანაშაულთა ერთობლიობისას ან/და განაჩენთა ერთობლიობისას არ მოქმედებს ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით განსაზღვრული წესი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ამავე პუნქტებში მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით/მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულთა ერთობლიობა ან/და განაჩენთა ერთობლიობა.

(8) ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება პირზე, რომელმაც ამავე პუნქტებში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა გამოძალვით, ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით."

განახლებული შემადგენლობით იქნა წარმოდგენილი. უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 11 იანვრის №15 ბრძანებულებით: შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებსაქართველოს პრეზიდენტის 2013წლის 26 ნოემბრის № 928 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, – აღნიშნულმა აქტმა მოქმედება შეწყვიტა.

კომისიის შემადგენლობა, მათ შორის თავმჯდომარე, განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სახალხო დამცველი და სხვა წევრები ("შეწყალების წესის" პირველი მუხლის მე-3 ნაწილი).

გარდა „შეწყალების წესით" განსაზღვრული შემთხვევებისა, კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი მაინც. მიღებულად ჩაითვლება ის გადაწყვეტილება, რომელსაც მხარი დაუჭირა კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა ("შეწყალების წესის" პირველი მუხლის მე-6 ნაწილი).

საქართველოს 2014 წლის 27 მარტის "შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" აქტიდან გამომდინარე "შეწყალების წესი" განსაზღვრავს მსჯავრდებულისა და იმ სასჯელმოხდილი პირის შეწყალების წესს, რომელმაც **მოიხადა სასჯელი და არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა**. დოკუმენტი ასევე ადგენს შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის მიზანს და განსაზღვრავს, რომ "შეწყალების კომისია იქმნება შეწყალების თხოვნის განხილვისა და მსჯავრდებულის შეწყალების, ასევე სასჯელმოხდილი პირისათვის ნასამართლობის მოხსნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტისათვის რეკომენდაციის წარდგენის მიზნით."

შეწყალების წესის მიხედვით შეწყალების კომისია უფლებამოსილია, განიხილოს იმ მსჯავრდებულის საქმე, რომელიც სასჯელს იხდის უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით. ასევე, რომელიც სასჯელს იხდის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით და სასჯელის ნაწილი ჩათვლილი აქვს პირობით მსჯავრად. კომისია ასევე უფლებამოსილია განიხილოს სასჯელმოხდილი პირის შეწყალების საკითხი მისთვის ნასამართლო-

ბის მოხსნის მიზნით (პირველი მუხლის მე-2 ნაწილი).

ამავე დოკუმენტის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: "კომისია განიხილავს შეწყალების საქმეს: ა) იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს გარდა სხვა სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; გ) იმ სასჯელმოხდილი პირის მიმართ, რომელსაც არა აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა.

აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის გააანალიზების შემდეგ, რომელიც ადგენს შეწყალების გამოუყენებლობის პირობებს, აშკარაა ის სხვაობები, რომელსაც ახალი რეგულაცია ადგენს შეწყალების გამოყენების მანამდე არსებულ წესთან შედარებით. ძველი წესის მიხედვით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირის შეწყალების განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ პირს 25 წელი ჰქონდა მოხდილი, ახალი წესით კი, ეს ვადა 15 წლამდე შემცირდა. ამასთან, ახალი წესის მიხედვით, იმ პირებს, ვის მიმართაც წინათ გამოყენებული იყო ამნისტია ან შეწყალება და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, შეწყალება შეეხებათ, თუ მოხდილი აქვთ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი. მანამდე არსებული წესის თანახმად, ასეთი შემთხვევები შეწყალებას არ ექვემდებარებოდა.

შეწყალება არ იქნება გამოყენებული იმ პატიმართა მიმართ, რომლებიც ბრალდებულნი არიან ორი, ან მეტი დანაშაულისთვის, და მოხდილი არა აქვს თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევარი; ასევე, – იმ პირები მიმართ, ვისაც მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მისჯილი აქვთ 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის ნახევარი მოხდილი არ აქვთ. არც ისეთ პატიმართა მიმართ მოხდება შეწყალების გამოყენება, რომელიც მს-

ჯავრდებულია არაუმეტეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთით და მოხდილი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ერთი მესამედი.

ასევე, არ იქნებიან შეწყალებული ის პირები, რომლებიც წინათ მსჯავრდებულები იყვნენ, ნასამართლობის გაქარწყლებამდე, ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული და არ აქვთ მოხდილი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევარი.

შეწყალების უფლებით ვერც ისეთი მსჯავრდებული ისარგებლებს, რომელიც სასჯელს იხდის პირობითი მსჯავრდებისას სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი განზრახი დანაშაულისათვის და მოხდილი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი. შეწყალება სამართლებრივად ხელმიუწვდომელია ასევე პირისათვის, რომელიც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა პირობით ვადამდე და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და მოხდილი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი.

გარდა ამისა, შეწყალებული ვერ იქნება პატიმარი, რომელიც სასჯელის მოხდის ადგილიდან უარყოფითად ხასიათდება; რომლის საქმის განხილვა არ არის დასრულებული საქართველოს სამივე ინსტანციის საერთო სასამართლოში, ან თუ არ არის გასული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადა; რომელიც არ ითხოვს შეწყალებას (მუხლი 2, ნაწილი მე-2).

პატიმრისგან შეწყალების თხოვნის გარდა, შეწყალების წესის მიხედვით, ასეთი თხოვნის განხილვისას მხედველობაში მიიღება: აღიარებს თუ არა და ინანიებს თუ არა მსჯავრდებული ჩადენილ დანაშაულს, მსჯავრდებულის პიროვნული თავისებურებები, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ნასამართლობა,

სასჯელის მოხდის ვადა, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის ქცევა, ოჯახური პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ინფორმაცია, დაზარალებულის მოსაზრება და სხვა გარემოებები (მე-9 მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტი). ასევე მხედველობაში მიიღება სასჯელმოხდილი პირის ქცევა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და სასჯელის მოხდის შემდეგ გასული ვადა (მე-9 მუხლის I ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი).

განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში, ან თუ მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენის დროს იყო არასრულწლოვანი, შეიძლება განხილულ იქნას იმ პატიმართა შეწყალების საკითხიც, რომლებიც კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ (მუხლი 2, ნაწილი მე-3). ამასთან, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით არასრულწლოვანი პირის შეწყალების თხოვნა განიხილება რიგგარეშე, და ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება პირის ფსიქიკური განვითარების დონე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები და სხვა პიროვნული მახასიათებლები.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ განახლებული რეგულაციებით, ძველისაგან განსხვავებით, განმეორებითი შეწყალების თხოვნით **მიმართვაზე ვადები** 6-დან 4 თვენახევრამდე შემცირდა (მუხლი 6, ნაწილი 1). რაც **შეეხება განხილვის ვადებს,** შეწყალების საქმეს კომისია განმეორებით არ განიხილავს კომისიის შესაბამისი სხდომის შედეგად შეწყალების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე, ხოლო შეწყალების წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ასეთი განკარგულების გამოცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე (მუხლი 6, ნაწილი 2).

ზოგადად, შეწყალების აქტი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოიცემა, რომელშიც, როგორც წესი, მითითებული უნდა იყოს შეწყალებული პირის ბიოგრაფიული მონაცემები, სასამართლო განაჩენი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის საფუძველზეც ეს პირი იქნა მსჯავრდებული, შეწყალების ღონისძიების სახე და საფუძველი. განკარგულებაში

შესაძლებელია ასევე მითითებულ იქნეს შეწყალებული პირის სხვა მონაცემები და შეწყალების ღონისძიების გამოყენების მოტივი (მე-5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები). საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების თაობაზე განკარგულების გამოუცემლობა კომისიის სხდომის ჩატარებიდან 30 დღის ვადაში ჩაითვლება პირის შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად (მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი).

თუმცა, პრეზიდენტის მიერ ამგვარი შეწყალების აქტის გამოცემას, წინ უძღვის მთელი რიგი პროცედურები. შეწყალების წესის მე-7 მუხლი დეტალურად ეხება ამ საკითხს და პირველ რიგში წარმოაჩენს იმ პირთა წრეს, ვისაც ასეთი შეწყალების მოთხოვნის ინიცირების უფლება ეძლევა კანონმდებლობით, – ესენი არიან უშუალოდ ის პირი, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე; ის პირი, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს გარდა სხვა სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; ის პირი, რომელსაც არა აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა; ასევე ნებისმიერი სხვა პირი (მე-7 მუხლის I ნაწილი).

შეწყალების თხოვნა ჯერ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაში ტარდება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ, რის შემდეგაც იგი გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს. ეს უკანსაკნელი კი შეწყალების თხოვნის დარეგისტრირებიდან ერთ თვეში უზრუნველყოფს შესაბამისი უწყებებიდან სათანადო დოკუმენტების გამოთხოვას, რომელთა საფუძველზეც ადგენს შესაბამის საინფორმაციო ცნობას და ამზადებს შეწყალების საქმეს კომისიის სხდომაზე განსახილველად (მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები ადგენენ იმ დოკუმენტების ჩამონათვალთა სიას, რომელიც მსჯავრდებულის ან სასჯელმოხდილი პირის შეწყალების საქმეს უნდა ერთვოდეს თან შეწყალების თხოვნასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, კომისია

უფლებამოსილია დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით წერილობით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ შესაბამის დაწესებულებებს ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლებიც პასუხის გაცემას უზრუნველყოფენ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში (ამნისტიის წესის მე-10 მუხლი).

შეწყალების თხოვნის განხილვის ან გადაწყვეტილების მიღების დროს, კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევას და მისი გადაწყვეტის საკითხს დეტალურად არეგულირებს შეწყალების წესის მე-4 მუხლი.

რაც შეეხება შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების აღსრულებას, მე-11 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულის შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება შესასრულებლად დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ შესაბამის დაწესებულებებს, ხოლო ცნობისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. სასჯელმოხდილი პირის შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება შესასრულებლად დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ინფორმაცია კი, შესაბამის უწყებებსა თუ პირებს, როგორ წესი, მიეწოდებათ შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი).

საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ მსჯავრდებულის შეწყალებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს: ა) უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება; და ბ) უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელის მოხდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლება – სასჯელის ვადის შემცირება; ხოლო სასჯელმოხდილ პირს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა (ამნისტიის

წესის მე-8 მუხლი).

ამრიგად, ამნისტიასა და შეწყალებას შორის არსებული მსგავსების მიუხედავად, მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა. პირველი, შეწყალება არ ატარებს ნორმატიულ ხასიათს, იგი წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევაში სამართლის გამოყენების აქტს. მეორე, შეწყალება ხორციელდება კონკრეტულად განსაზღვრული პირის მიმართ. მესამე, შეწყალების აქტი არის პირის სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების იურიდიული საფუძველი, როდესაც ამნისტიის გამოყენების დროს აუცილებელია იმ შესაბამისი ორგანოს აქტი, რომელსაც ამნისტიის რეალიზაციის პასუხისმგებლობა ეკისრება.[46]ამნისტია და შეწყალება დაბრკოლებას ქმნიან „მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ" ევროპული კონვენციის შესაბამისად განსახორციელებელ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებში.[47] შედარებითი სამართლის პერსპექტივიდან კი შეწყალებაც და ამნისტიაც წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების ყველაზე მასშტაბურ და ფართოდ გამოყენებად ფორმებს.

მუხლი 79. ნასამართლობა

ნასამართლობა არის სასამართლოს განაჩენით დამნაშავის მსჯავრდების სამართლებრივი შედეგი, რომელიც მსჯავრდებულის ზოგიერთი უფლებების შეზღუდვაში გამოხატება. ნასამართლობას უკავშირდება საერთო-სამართლებრივი და წმინდა სისხლისსამართლებრივი შედეგები. ნასამართლობის საერთო-სამართლებრივი შედეგები აისახება სახელმწიფო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სამართლის სხვა დარგების ნორმებში (მაგალითად, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამოთმევა).[48]

---

[46] ზ. ნანობაშვილი ზ., „ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება", ჟურნალი ალმანახი, № 13, თბილისი, 2000, გვ. 85.

[47] ევროპის საბჭოს 1983 წლის მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპული კონვენციის მე-12 მუხლი; გ. ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები" სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა", კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, გვ. 14.

[48] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, ნ. გვენეტაძე,

საქართველოს **სსკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი** ადგენს ნასამართლობის არსს. კერძოდ, ამ მუხლის I ნაწილის მიხედვით: „მსჯავრდებული ნასამართლეად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციის და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას."

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ფართოა ის სისხლისსამართლებრივი შედეგები, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ნასამართლობასთან. ეს შეიძლება შეეხებოდეს, როგორც ნასამართლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიჩნევას, რომელიც უკავშირდება, ერთის მხრივ, არაერთგზისობის ცნებას და მეორეს მხრივ, სასჯელის დამძიმებას გარკვეული კატეგორიის დანაშაულისათვის ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლეობის შემთხვევაში, ასევე, სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით, ნასამართლობა გავლენას ახდენს დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში სასჯელის განსაზღვრისას.

თვალსაჩინოებისათვის, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოცემული ნორმა შეიძლება მიუთითებდეს **არაერთგზისობაზე**, ან კონკრეტული დანაშაულისათვის ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლეობაზე, როგორც ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე. ამ კუთხით, ყველაზე ნათელი მაგალითია სსკ 177-ე მუხლი, ქურდობა, რომლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნტქი მიუთითებს „არაერთგზისობას", როგორც მაკვალიფიცირებელ გარემოებას, რომელიც თავის მხრივ, კერძოდ კი სსკ-ის მე-15 მუხლიდან გამომდინარე ნასამართლეობის ფაქტორთან მისი დამოკიდებულებით განისაზღვრება. ამავე 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით კიდევ უფრო გამკაცრდება სისხლისსმართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ქურდობა ჩადენილია „იმის მიერ ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვიის".

რეციდივზე მითითების გამო პასუხისმგებლობის დამძიმების

გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2007, გვ. 424.

პრობლემა უკავშირდება არა მხოლოდ სსკ-ის მე-17 მუხლით დადგენილ რეციდივის საკითხს, არამედ ასევე:

ა) ზოგად დებულებას რეციდივის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობის განსაზღვრის თაობაზე, როგორც ეს გამომდინარეობს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებიდან (სსკ-ის 53-ე მუხლი);

ბ) სასჯელის დანიშვნას დანაშაულის რეციდივის დროს, როგორც ეს გამომდინარეობს რეციდივის შემთხვევისას სასჯელის განსაზღვრის მარეგულირებელი უშუალო ნორმიდან – (სსკ-ის 58-ე მუხლი);

გ) სასჯელის დანიშვნის სპეციფიურ რეგულაციებს, როგორც ეს გამომდინარეობს დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესიდან (სსკ-ის 59-ე მუხლი).

ნასამართლობა შეიძლება წარმოადგენდეს როგორც სასამართლოს მიერ სასჯელის ამათუ იმ სახის გამოყენების შეუძლებლობის საფუძველს, ისე გავლენას ახდენდეს პირის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების შეზღუდვებზე. სახელდობრ, სსკ-ის 47(1) მუხლით გათვალისწინებული სასჯელის სახის, შინაპატიმრობის დანიშვნა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, შესაძლებელია ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულისათვის. მუხლში ნათქვამია, რომ: „შინაპატიმრობა ენიშნება ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით". ნასამართლობის ფაქტი, ჩადენილი დანაშაულის კატეგორიასთან ერთად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადამწყვეტი ფაქტორია პირობითი მსჯავრის გამოსაყენებლად. კერძოდ, სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს უფლებამოსილება – დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, – დამოკიდებულია იმაზე, „თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის", ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილი საერთოდ კრძალავს „დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლას იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის".

გარდა ამისა, ნასამართლობის არსებობა, შესაძლოა, გახდეს,

როგორც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობისგან განმათავისუფლებელი ზოგიერთი გარემოების გამოუყენებლობის საფუძველი (სსკ-ის 68-ე მუხლი), ასევე გავლენა იქონიოს სასჯელისგან გათავისუფლების ზოგიერთი საფუძვლით დადგენილ პირობებზე ასეთი გათავისუფლების დროში ამოქმედების თვალსაზრისით (სსკ-ის 76-ე მუხლის I ნაწილი). მაგალითად:

ა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების კუთხით, საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლის მიხედვით ქმედითი მონანიების გამო მხოლოდ იმ პირის გათავისუფლებაა შესაძლებელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელმაც პირველად ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 3 წლით თავისუფლების აღკვეთას. ამათან, თუ ეს პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულოს გახსნას და აანაზღაურა ზიანი.

ბ) სასჯელისგან გამათავისუფლებელ ზოგიერთ გარემოებასთან ნასამართლობის საკითხის შემხებლობის კუთხით კი, უნდა აღინიშნოს საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის I ნაწილი, რომლის შინაარსიც ისე უნდა გავიგოთ, რომ „გარკვეული კატეგორიის დანაშაულისათვის ნასამართლობა გავლენას ახდენს გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადაზე."[49]

ქართულ სისხლის სამართალსა და პრაქტიკაში ყურადღება ექცევა ნასამართლობის სამართლებრივი შედეგების დიდ მნიშვნელობას და მისი სათანადო რეგულაციებით გაწერის საკითხს.

საქართველოს სსკ-ის **79-ე მუხლის მე-2 ნაწილი** აცხადებს, რომ „სასჯელისგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ", ამასთან, ვინაიდან ნასამართლობის „არასახარბიელო რეზულტატი" სასჯელის მოხდის შემდგომაც მოქმედებს და გარკვეულწილად იწვევს პირის უფლებების შეზუდვას, ქართული სისხლის სამართალი იცნობს როგორც ნასამართლობის გაქარწყლების, ისე ნასამართლობის მოხსნის ფენომენს და მათი განხორციელების პი-

[49] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, ნ. გვენეტაძე, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2007, გვ. 425.

რობებსაც ადგენს სსკ-ის შესაბამის მუხლში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნასამართლობის გაქარწყლება ავტომატური პროცესია და სავალდებულო ხასიათს ატარებს, ხოლო მოხსნა დაკავშირებულია სასამართლოს გადაწყვეტილებასთან და გარკვეულ პროცედურებთან.

საქართველოს **სსკ-ს 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით**, ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა)პირობით მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 8 წლის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, კი „თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან" (79-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

რაც შეეხება ნასამართლობის მოხსნას, კანონი ასეთის პირობებსაც ითვალისწინებს და მიუთითებს, რომ „თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე" (სსკ-ის 79-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

ერთ-ერთი ასეთი შუამდგომლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე ნასამართლობის მოხსნის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2016 წლის 2 ნოემბერს განიხილა და დააკმაყოფილა

კიდეც, მიიჩნია რა იგი საფუძვლიანად. კერძოდ, მსჯავრდებული ლ. დ. ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე ნასამართლობის მოხსნას ითხოვდა იმ საფუძვლით, რომ მას ნასამართლობა ხელს უშლიდა ერთ-ერთ „შპს"-ში თავისი საქმიანობის განხორციელებაში. დამსაქმებელი ხელმძღვანელობის განცხადებით მას შეუწყდებოდა შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელ ფირმასთან ნასამართლობის არსებობის პირობებში, მაშინ როცა ის იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და ხასიათდებოდა დადებითად.

სასამართლო გაეცნო რა შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს, მიიჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილებულიყო. იგი ამ დასკვნამდე მივიდა სსკ-ის 79-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსის გათვალისწინებით, რომელიც ადგენს, რომ: „თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე".

საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ ლ. დ. ძებნაში არ იმყოფებოდა, და მის მიმართ გარდა ზემოაღნიშნული ნასამართლობისა, სხვა კანონდარღვევის ფაქტი არ დაფიქსირებულა. ასევე, მისი სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თანამშრომლის წერილით დასტურდებოდა, რომ კომპანიაში ლ. დ.-ს მუშაობის მთელ მანძილზე მან თავი გააცნო თანამშრომლებს როგორც უაღრესად ნიჭიერმა და საიმედო თანამშრომელმა, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის საქმეს. მან ასევე დაამტკიცა თავისი პროფესიონალიზმის მაღალი დონე და მოიპოვა თანამშრომლების პატივისცემა, როგორც საიმედო მეგობარმა. იგი არის კომუნიკაბელური და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კი, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია სასჯელის მოხდის შემდეგ ლ. დ.-ს უმწიკვლო ქცევა.

სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ნასამართლობა გაქარწყლდება თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ. ლ.დ.-ს საქმეზე შუამდგომლობაზე დართული მასალებით, დასტურდება, რომ 2015 წლის განაჩენით მისთვის დაკის-

რებული ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა 2016 წელს, ხოლო ნასამართლობის გაქარწყლებამდე დარჩენილი იყო 3 თვე.

შესაბამისად, იმ გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ იგი იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ხასიათდებოდა დადებითად, ასევე არსებობდა რისკი, რომ ნასამართლობის არსებობის პირობებში მას შეუწყდებოდა შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელ კომპანიასთან და ამავდროულად, მისი უმწიკვლო ქცევის გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ლ. დ.-სთვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე მოეხსნა 2015 წლის განაჩენით დადგენილი ნასამართლობა. [50]

შემდეგი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან ასევე მიუთითებს ნასამართლობის ვადის გაქარწყლებამდე სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის შესახებ. ამ შემთხვევაში ნ. გ. ნასამართლობის ვადის გაქარწლებამდე ნასამართლობის მოხსნას მოითხოვდა შემდეგ გარემოებებზე მითითებით: სასჯელის მოხდის დღიდან ოთხი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია არც ერთი სამართალდარღვევა; ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი; ოჯახის სრულფასოვანი რჩენისთვის სჭირდება ნასამართლობის მოხსნა, რამდენადაც ამჟამად აქვს საჯარო სექტორში მუშაობის დაწყების პერსპექტივა.

თავის მხრივ კი, სასამართლომ განიხილა რა შუამდგომლობა და გაეცნო მასალებს, გაითვალისწინა საქართველოს სსკ-ის შემდეგი დებულებები: საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტის თანახმად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსაჯავდებულს ნასამართლობა გაუქარწყლდება სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილი კი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ უმწიკვლო ქცევის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მისთვის ნასამართლობის მოხსნის შესაძლებლობაზე მიუთითებს ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

აგერთვე, სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ნ. გ. 2011 წლის შემდეგ არ ყოფილა ძებნაში, პენიტენციური დაწესებულებ-

[50] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინება, 2 ნოემბერი, თბილისი, 2016.

დან გათავისუფლებიდან გასულია 4 წელსა და 5 თვეზე მეტი, ხოლო გამოსაცდელი ვადის დასრულებოდან გავიდა 2 წელსა და 5 თვეზე მეტი, რა პერიოდშიც იგი ახალი დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა. მითითებული პერიოდი სასამართლოს აზრით წარმოადგენს საკმარის ვადას იმისათვის, რომ სასამართლო დარწმუნდეს სასჯელმოხდილი პირის რესოციალიზაციაში. ამასთან, დამტებითი სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმა – 20 000 ლარი გადარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე მისთვის ნასამართლობის მოხსნა, რა დროსაც იხელმძღვანელა სსკ-ის 79-ე და სსსკ-ის 288-ე და 291-ე მუხლებით. [51]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბოლო დეკადის (ათწლეულის) განმავლობაში გატარებული ცვლილებებიდან გამომდინარე, **პირობით მსჯავრდებულისათვის** პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის საკითხი, წინამორბედი საკანონმდებლო რეგულირებისაგან განსხვავებით, მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას აღარ წარმოადგენს, არამედ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, დღესდღეობით, **საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის** შინაარსიდან გამომდინარე, წამყვანი როლი ეკისრება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – **არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიას,** რომელიც მსჯავრდებულის მიმართ კონტროლისა და დახმარების განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირობით მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ. კომისიას აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტ-

[51] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინება, 10 იანვარი, თბილისი, 2017.

კიცებს თავის გამოსწორებას.

იმ პერიოდისათვის ამგვარ საკანონმდებლო ნოვაციას, ასახულს საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლში შეტანილ ცვლილებაში მასში გათვალისწინებული პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და შეცვლის საფუძვლებთან დაკავშირებით, იმავე პერიოდში, თან ერთვოდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, 2011 წლის 29 ნოემბრის №208 ბრძანების საფუძველზე „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების" დამტკიცება.[52]

აღნიშნულ ცვლილებამდე, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლში მოცემული იყო, რომ „მსჯავრდებულის გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ, პრობაციის ორგანოს წარდგინების საფუძველზე, **სასამართლოს შეუძლია გააუქმოს პირობითი მსჯავრი და მსჯავრდებულს მოუხსნას ნასამართლობა**, თუ პრობაციის სამსახური პოზიტიურად აფასებს მსჯავრდებულის ქცევას".[53] ცვლილების

---

[52] ცვლილება განხორციელებული ბრძანების სათაურში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრის 2015 წლის 6 თებერვლის № 16 ბრძანების საფუძველზე, რომლის შედეგადაც ზემოაღნიშნული 2011 წლის 29 ნოემბრის №208 ბრძანების სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:"საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ"; ცვლილება განხორციელებული ამ ბრძანებით დამტკიცებული დებულების სათაურში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის № 40 ბრძანების შესასაბამისად, ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულება".

[53] ი. ხერხეულიძე ი., სტატია „პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და

შემდგომ კი, მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის პირველივე პუნქტის მიხედვით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია წარმოადგენდა მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის პირველი და 1(1) პუნქტებითა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის 21(1) მუხლის 1(1) პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს.[54]

თუმცა, შემდგომი ცვლილებებით რელევანტურ სფეროში, აღნიშნულმა დებულებამაც განიცადა რევიზია. კერძოდ, საქართველოს სასჯელასრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 20 ივლისის № 58-ე ბრძანების საფუძველზე „საქართველოს სასჯელასრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სასჯელასრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 29 ნოემბრის №208 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", მუდმივმოქმედ კომისიას ჩამოშორდა სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე 1(1) პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების კომპეტენცია, რამდენადაც ეს პუნქტი საერთოდ ამოღებული იქნა საქართველოს სსკ-დან და, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით.[55] იმ პერიოდისათვის, შესაბამისი სახეშეცვლილი რედაქ-

აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი)" მზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 193.

[54] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის №40 ბრძანება.

[55] „საქართველოს სასჯელასრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასა-

ციით იქნა წარმოდგენილი სსკ-ის 67-ე მუხლის I ნაწილიც.[56] 2018 წელს განხორციელებული **უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე** კი, აღნიშნული ნორმა ისეთი ფორმულირებით ჩამოყალიბდა, როგორც ის დღესდღეობით არის მოცემული საქართველოს სსკ-ში და რომელიც სსკ-ის 67 მუხლზე პირველივე მითითებისას გავაანალიზეთ.

ასევე, უკანასკნელ პერიოდში, 2018 წელს, ცვლილება განიცადა პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულებამაც, რაც გამოწვეული იყო რელევანტურ სამინისტროთა სტრუქტურული ცვლილებებით. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 9 აგვისტოს №321 ბრძანების თანახმად დამტკიცდა ახალი „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულება" და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი

პატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილითა და „არასაპატიმრო სასჯელთა ასრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის 21(1) მუხლის 1(1) პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს."

[56] „თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია მსჯავრდებულის მიმართ კონტროლისა და დახმარების განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ილებს გადაწყვეტილებას პირობით მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ".

კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 29 ნოემბრის №208 ბრძანება.

ამ უახლესი დებულებით: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილითა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის 211 მუხლის პირველი და 11 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებს."

ამავე დებულებით, განსაზღვრულია კომისიის უფლებამოსილება და მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის საფუძვლები. კერძოდ, მისი მე-6 მუხლის მიხედვით, კომისია უფლებმოსილია განიხილოს მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის შუამდგომლობა, ასევე პირის მომართვის საფუძველზე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით პირისათვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების საკითხები. კომისია აგრეთვე უფლებამოსილია აღნიშნული საკითხების განხილვისათვის, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებიდან .[57]

ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლით: „კომისიას პირობითი მს-

[57] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულება", დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 9 აგვისტოს №321 ბრძანებით, მუხლი 6, ნაწილი პირველი და მე-2.

ჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს პრობაციის ბიუროს უფროსი, მსჯავრდებულის (მისი დამცველის, ან კანონიერი წარმომადგენლის) შესაბამისი განცხადების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის მოხდის თავისებურებებს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მსჯავრდებულის ქცევას პირობითი მსჯავრის მოხდის განმავლობაში, მსჯავრდებულის პიროვნებას, მის ოჯახურ პირობებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, რესოციალიზაციის პერსპექტივასა და მსჯავრდებულის მზაობას, სრულფასოვნად ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომისიის გადაწყვეტილებაზე.[58]

განსახილველ თემატიკასთან მიმართებით, ნიშანდობლივია ასევე, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის, კერძოდ, მისი 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის ახლებურად ჩამოყალიბებული რედაქცია, რომლის მიხედვით: „პრობაციის ბიუროს უფროსი მსჯავრდებულის შესაბამისი განცხადებისა და სათანადო საფუძვლის (მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 273-ე და 2731 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის მსჯავრდებული პირებისათვის – ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ შესაბამისი დასკვნის) არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ შუამდგომლობით მიმართავს პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას".

ამავე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულ კანონს დაემატა 21(1) **მუხლი – მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა**, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირობით მსჯავრდებულისათვის (მათ შორის, პირობით მსჯავრდებული სამხედრო მოსამსახური-

[58] იქვე, მუხლი 9, პირველი და მე-2 ნაწილები.

სათვის, რომლის ყოფაქცევის კონტროლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით ხორციელდება) გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ, აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67 (1) მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო შეთანხმების პირობების შესაბამისად, გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც, მსჯავრდებულის მიმართ კონტროლისა და დახმარების განმახორციელებელი ორგანოს შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუდმივმოქმედი კომისია."

შემაჯამებელი კუთხით უნდა აღვნიშნოთ, რომ სსკ-ს 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით: „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსმართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას", რაც იმას ნიშნავს, რომ ნასამართლობის გაქარწყლება ან მოხსნა იწვევს ნასამართლობის კანონით განსაზღვრული შედეგების ლიკვიდაციას.

თავი მეხუთე

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1. შესავალი

როგორც გ. ნანეიშვილი მართებულად აღნიშნავდა, იშვიათია საკითხი, რომელზეც ისეთი აზრთა სხვადასხვაობა იყოს, როგორც იურიდიულ პირზე. წარმოუდგენელია იურისტი, რომელიც ამ საკითხით ღრმად არ იყოს დაინტერესებული. დასახელებულ პრობლემას არაერთი იურისტი-თეორეტიკოსი შეხებია, რაც იურიდიულ პირზე ახალი აზრის გამოთქმას კიდევ უფრო ართულებს[1]. იურიდიული პირის პასუხისმგებლობაზე განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული როგორც უცხოურ, ისე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თავიდან არ მიიჩნევდა იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად. სს კოდექსის პროექტის შემუშავებისას, პროექტის შემმუშავებელ კომისიაში, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში არც დამდგარა[2]. მაგრამ მოგვიანებით სს კოდექსში 2006 წლის 25 ივლისის კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად, ფიზიკურ პირთან ერთად, იურიდიული პირიც გამოცხადდა.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის იდეამ თავის დროზე

---

[1] *გ. ნანეიშვილი*, იურიდიული სუბიექტი, მისივე წიგნში: სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992, გვ. 156.

[2] *ო. გამყრელიძე*, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, ეძღვნება თ. შავგულიძის 75 წლის იუბილეს, თბ., 2006, გვ. 15-16.

დიდი მხარდაჭერა საერთო (პრეცენდენტული) სამართლის სისტემის ქვეყნებში მოიპოვა. ინგლისელმა მოსამართლეებმა იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით განაჩენი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოიტანეს. თუმცა, ბრალზე ტრადიციული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, იურიდიულ პირს არ შესწევს ბრალეული ქმედების განხორციელება, საფრანგეთში შეირყა. საფრანგეთში კორპორაციების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სანქციები მე-17 საუკუნეში განისაზღვრა [3]. მაშასადამე, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არა მხოლოდ საერთო სამართლის, არამედ სხვა სამართლებრივ სისტემას მიკუთვნებული ქვეყნებისთვისაც არის დამახასიათებელი[4].

იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ყოველთვის ცნობდა სამოქალაქო სამართალი, ხოლო სისხლის სამართალში იგი კამათის საგანს წარმოადგენდა. მას ჰყავდა და ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეებიც.

სისხლის სამართალში იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი დავას იწვევს იმის გამო, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი ბრალეულად განხორციელებული ქმედებაა და სწორედ იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრაა კამათის საფუძველი. იურიდიული პირის ბრალეულობის საკითხი არა მხოლოდ სისხლის სამართალში, არამედ თვით ცივილისტურ მეცნიერებაშიც იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ვინაიდან იურიდიული პირის პასუხისმგებლობის და ბრალეულობის საკითხი არა მხოლოდ სისხლის სამართალში, არამედ ასევე, უპირველესად, ცივილისტური მეცნიერების კვლევის საგანია, მანამ, სანამ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

---

[3] *ი. გაბისონია*, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო თავისებურებები, „პროფესია ადვოკატი", 2007, "№2, გვ. 68; *ი. გაბისონია*, იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები, „ცხოვრება და კანონი", 2007, №2, აგვისტო-სექტემბერი, გვ. 11.

[4] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 990.

საკითხი იქნება განხილული, მიზანშეწონილია მისი, თუნდაც მოკლე, ანალიზი ცივილისტურ მეცნიერებაში შემუშავებულ თვალსაზრისთა გათვალისწინებით, რაც პრობლემის სისხლისსამართლებრივად სწორ გააზრებასაც შეუწყობს ხელს.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გარდუვალად მოითხოვს ინტერდისციპლინურ კვლევას. მაშინ, როცა აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლა სამოქალაქო სამართალში აუცილებლად არ მოითხოვს სისხლის სამართლის მეცნიერების მონაცემების გათვალისწინებას, სისხლისსამართლებრივი კვლევა, პირიქით, მოითხოვს სამოქალაქოსამართლებრივი მიდგომების სათვალავში მიღებას, რამდენადაც იურიდიული პირი სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტია.

თუმცა, მანამ, სანამ სამოქალაქო და სისხლის სამართლის ლიტერატურაში იურიდიულ პირზე და მის პასუხისმგებლობაზე გამოთქმული შეხედულებები, აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული რეგულაციები გაანალიზდება, მიზანშეწონილია სათანადო ყურადღება დაეთმოს სამართლის თეორიასა და ფილოსოფიაში შემუშავებულ შეხედულებებს, რომლებიც ეხება იურიდიული პირის სამართალსუბიექტობის საკითხს.

2. იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი

სამართლის სუბიექტს განმარტავენ როგორც იურიდიული ურთიერთობის მონაწილეს, რომელიც ნებამეუფლის ან მოვალის როლში გამოდის. სამართლის სუბიექტის ცნებას ზოგი ხელოვნურადაც მიიჩნევს, ვინაიდან იგი არსებულის იურიდიული გადამუშავებაა, რაც კონკრეტული ცხოვრების მოთხოვნილებებითაა ნაკარნახევი[5]. აღნიშნულის შემდეგ ჩნდება კითხვა, არის თუ არა იურიდიული პირი სამართლის სუბიექტი?

სამართლის თეორიასა და ფილოსოფიაში არაერთი თეორია შეიქმნა იურიდიულ პირზე, რომლებიც განსხვავებულ შეხედულებებს წარმოგვიდგენენ იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა იურიდიული

[5] ფ. გოკიელი, ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, შესავალი წერილი თ. ნინიძის, თბ., 2017, გვ. 17.

პირი სამართლის სუბიექტი ფიზიკური პირის მსგავსად, შეიძლება თუ არა იურიდიულ პირს ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები და ჰქონდეს ის ნიშნები, რომელიც დამახასიათებელია ფიზიკური პირისთვის და საჭიროა სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის.

ფიქციის თეორიის მიხედვით, უფლების ნამდვილი, რეალური სუბიექტი მხოლოდ ადამიანია, ვინაიდან შეუძლებელია არსებობდეს ის, რაც რეალურად არ არსებობს, მაგრამ სამართალს შეუძლია საკუთარი მიზნებისთვის უფლებაუნარიანობა იმასაც მიანიჭოს, რაც რეალურ პირს არ წარმოადგენს. იურიდიული პირიც ასეთი მიზნებისთვის გამოგონილი პირია[6], რომელსაც ხელოვნურად მიეწერება ის თვისებები, რაც სამართლის სუბიექტისთვისაა დამახასიათებელი და საჭიროა სამართლებრივ ურთერთობებში მონაწილეობისა და იურიდიული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

ერთ-ერთი შეხედულებით, თვით სამართლის სუბიექტის ცნებაა ხელოვნური, იურიდიული აბსტრაქციის ნაყოფი. ერთი მხრივ, იურიდიული პირის მიჩნევა სამართლის სუბიექტად წინაალმდეგობაში მოდის იმ პრინციპთან, რომელიც სამართლის სუბიექტად მხოლოდ ადამიანს აღიარებს, მაგრამ აღნიშნული შეხედულებით, იურიდიული პირი ინდივიდუალურ პიროვნებათა შემდგომი გაგრძელება და განვითარებაა, ფიზიკურ პირთა შემდგომი სამართლებრივი ემანაციაა[7].

ფიქციის თეორიის მსგავს შედეგამდე მიდის რეალისტური თეორია, რომლის თანახმად, ეჭვს არ იწვევს იურიდიული პირის შემქმნელთა რეალური არსებობა. თუმცა აღნიშნული თეორია ეყრდნობა პიროვნების დუალისტურ გაგებას, რომელიც ადამიანს განიხილავს, ერთი მხრივ, როგორც ფიზიკურ პირს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც გარკვეული ერთობის მატარებელს, იმ ერთობის, რომელიც იურიდიული პირის ფორმით შეიძლება არსებობდეს. მიუხედავად იმისა, რომ რეალისტური თეორია აქცენტს აკეთებს არა იურიდიული პირის, არამედ მისი დამფუძნებელი ფიზიკური პირის რეალურობაზე, ეს მაინც ვერ ასაბუთებს იურიდიული პირის რეალურობას და ის მაინც ფიქტიურ პირად წარმოჩინდება. მაშასადამე, იურიდიული პირი ფიქტიური პირია, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად

[6] *ალ. ვაჩეიშვილი*, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 194.

[7] *ფ. გოკიელი*, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

ითვლება[8].

ორგანული თეორია ამტკიცებს, რომ იურიდიული პირი არ არის გამოგონილი, იგი რეალურად არსებობს, რომელსაც აქვს საკუთარი ნება და უფლებაუნარიანობა, როგორც ადამიანს, რაც გამოისახება საჯარო და კერძო სამართალში[9].

ორგანული თეორიის გარდა, იურიდიული პირის რეალობას აღიარებს სხვა თეორიაც. მაგალითად, *დერნბურგის* შეხედულებით, კორპორაცია, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანი მხრივ, უფლების დამოუკიდებელი სუბიექტია. კორპორაცია მისი წევრების ინდივიდუალობისგან დამოუკიდებელია. ინდივიდები იცვლებიან, მაგრამ ეს არ ახდენს ზეგავლენას კორპორაციის სიცოცხლისუნარიანობაზე და კორპორაცია არსებობას საუკუნეების განმავლობაში განაგრძობს[10].

დერნბურგი ემხრობა იმ შეხედულებებს, რომელიც კორპორაციის ნებად თვლის მისი ორგანოების მიერ გამოცხადებულ ნებას. შესაბამისად, მისი თვალსაზრისით, იურიდიულმა პირმა პასუხი უნდა აგოს მისი ორგანოების მოქმედებისთვის ან უმოქმედობისთვის ამ ორგანოთა კომპეტენციის ფარგლებში. მაგალითად, თემი ვალდებულია გადაიხადოს სესხი, რომელიც მისმა წარმომადგენელმა კომპეტენციის ფარგლებში აიღო. ამგვარად, კორპორაცია დელიქტუნარიანია. კორპორაციის ბრალეული ყოფაქცევა კორპორაციის დანაშაულია, თუ ბრალეული ქცევა კორპორაციის ორგანოების კომპეტენციას გარეგნულად არ შორდება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, *დერნბურგი* პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებულად სთვლიდა რომაელთა დებულებას კორპორაციის დელიქტუუნარობაზე[11]. მისი თვალსაზრისით, უფლებრივ გრძნობას არ ძალუძს უარყოს იურიდიული პირის მოვალეობა ზარალის ანაზღაურების შესახებ, როცა მისი ორგანოების ქმედებით თუ უმოქმედობით მესამე პირს

---

[8] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 993.

[9] *ალ. ვაჩეიშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 195.

[10] *ალ. ვაჩეიშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 195-196.

[11] *ჰ. დერნბურგი*, პანდექტები, ტომი პირველი, ზოგადი ნაწილი, ქართული თარგმანი, თბ., 2014, გვ. 169.

ზარალი ადგება[12].

იურიდიული პირის სტატუსზე და მის პასუხისმგებლობაზე მსჯელობისას ყურადღებას იპყრობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც იურიდიული პირის სიცოცხლისუნარიანობას აღიარებს. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს კონსტიტუცია იცავს არა მხოლოდ ფიზიკური პირის, ადამიანის არსებობას, არამედ ორგანიზებული წარმონაქმნის, როგორც სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტის „სიცოცხლესაც"[13].

იურიდიულ პირზე საპირისპირო შეხედულებებიც არსებობს, რომლებიც უარყოფენ იურიდიული პირის რეალურ არსებობას და უსაფუძვლოდ მიიჩნევენ იმ შეხედულებებს, რომლებიც იურიდიულ პირს რეალურ არსებობას მიაწერენ. *ბრინცის* თვალსაზრისით, რეალურად მხოლოდ ადამიანი არსებობს[14].

იურიდიული პირის ბრალუნარიანობას, შესაბამისად, დელიქტუნარიანობას უარყოფდნენ რომის წყაროები. *ულპიანე* თვლიდა, რომ თემმა არ უნდა აგოს პასუხი მისი წარმომადგენლის გამო, ვინაიდან თემს არ შეუძლია ბრალეული ქმედების ჩადენა[15].

რომის სამართალი, ერთი მხრივ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტად არა მარტო ფიზიკურ პირს, არამედ ადამიანთა გაერთიანებასაც ცნობდა[16], ხოლო მეორე მხრივ, იცავდა პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც გულისხმობდა სისხლის აღების ჩვეულების, ცხოველების დასჯის, სისხლის სამართლის თემურ-კოლექტიური პასუხისმგებლობის უარყოფას. სამართალდარღვევისთვის პირადად სამართალდამრღვევს უნდა ეგო პასუხი. თუმცა, გამონაკლისის სახით დაშვებული იყო მონის ან შვილის სამართალდარღვევის გამო პასუხისმგებლობაც[17].

რომაელი იურისტების თვალსაზრისით, იურიდიულ პირს თავი-

---

[12] *ჰ. დერნბურგი*, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება, II/მე-3 პუნქტი.

[14] *ალ. ვაჩეიშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

[15] *ჰ. დერნბურგი*, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

[16] *მ. გარიშვილი, მ. ხოფერია*, რომის სამართალი, თბ., 2013, გვ. 227.

[17] *მ. გარიშვილი, მ. ხოფერია*, დასახ. ნაშრ., გვ. 484-485.

სი, დამოუკიდებელი ნება არ გააჩნია, მაგრამ ეკუთვნის ნების მქონე არსება. იურიდიულ პირს არ გააჩნია ბუნებრივი ნება, მაგრამ ამას ქმნის კავშირის შემადგენლობაში შექმნილი იარაღი. მაშასადამე, რომაელები, ერთი მხრივ, ფართოდ ცნობდნენ კორპორაციის სამოქალაქო ქმედუნარიანობას, ხოლო მეორე მხრივ, უარყოფდნენ მასში წევრებისგან დამოუკიდებელ ნებას, რომლის ნიადაგზეც შესაძლებელი იქნებოდა კავშირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება[18].

ინოკენტი IV, რომელიც კლასიკოსების (რომაელები) აზრს იზიარებდა, იურიდიულ პირს თვლიდა გონების კონსტრუქციად, რომელსაც უფლებაუნარიანობა ფორმალურად აქვს, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი ნება და სული. მაშასადამე, ის არის მოსაჩვენებელი, წარმოდგენილი პირი[19]. სხვაგვარად წყვეტდა საკითხს ლეგისტი ბარტოლუსი, რომლის მიხედვით, იურიდიული პირი ისევეა დანაშაულზე პასუხისმგებელი, როგორც ფიზიკური პირი[20].

იურიდიული პირის სამართალსუბიექტობაზე საინტერესო შეხედულებებია გამოთქმული რომანისტების და გერმანისტების მიერ. ორივე თეორია სამართლის სუბიექტის ნივთიერ, ხორციელ არსებობას მოითხოვს. მაგრამ მიუხედავად ამ საერთო ამოსავალისა, ორივე თეორია პრობლემის გადაწყვეტის საწინააღმდეგო შედეგამდე მიდის. ვინაიდან იურიდიული პირი არ არის ხორციელი რეალობის მატარებელი, რომანისტები უფლების ჭეშმარიტ მატარებლად ფიზიკურ პირებს თვლიდნენ. მაშასადამე, იურიდიული პირი მოჩვენება და ფიქციაა. გერმანისტები კი იურიდიულ პირს კერძო ნების ნაწილაკებისგან შემდგარ სოციალურ ორგანიზმად განიხილავდნენ, რამდენადაც მათი შეხედულებით, იურიდიული პირი კონკრეტული ნების მქონე ფიზიკურ პირთა კავშირია[21].

რომანისტი მოაზროვნის, *იერინგის* შეხედულებით, უფლება მხოლოდ იმას შეიძლება ჰქონდეს, ვისაც აქვს ინტერესი, მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. მაგრამ, ასეთი შესაძლე-

---

[18] *ფ. გოკიელი*, ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, შესავალი წერილი თ. ნინიძის, თბ., 2017, გვ. 25.

[19] *ფ. გოკიელი*, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

[20] *ფ. გოკიელი*, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

[21] *ფ. გოკიელი*, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

ბლობა მხოლოდ ადამიანს აქვს[22]. მაშასადამე, *იერინგი* იურიდიულ პირს განიხილავს პრაქტიკული სინამდვილისთვის შექმნილ ფიქციად, პირობით კონსტრუქციად, გონების კონცეფციად.

იურიდიული პირის რომაულ გაგებას აღიარებდა *სავინიც*[23]. გერმანიაში ჯერ კიდევ გაბატონებული შეხედულება იურიდიული პირის სამართლებრივ ბუნებაზე და სისხლისსამართლებრივ მოპყრობაზე ეფუძნება ფრიდრიხ კარლ სავინის (1779-1861) ნაშრომს. „ფიქციის თეორიის" მიხედვით იურიდიული პირები არ არიან მოქმედებაუნარიანი, ვინაიდან ქმედუნარიანობა „მოაზროვნე და ნების მქონე არსებას" (denkendes und wollendes Wesen) მოითხოვს. იურიდიული პირების შემთხვევაში საქმე ეხება მხოლოდ „ფიქტიურ", წარმოსახვით პერსონას, წარმონაქმნს, სტრუქტურას, რომელიც ადამიანების მიერ არის კონსტრუირებული და მათი თვისებები მიეწერება. იურიდიული პირის სამართლებრივი ყოფიერება შემდეგს ეფუძნება: ცალკეულ ადამიანთა, წარმომადგენელთა ნება იურიდიულ პირს ფიქციის შედეგად მიეწერება, მაგრამ ასეთი მონაცვლეობა საკუთარი ნების გარეშე დასაშვებია სამოქალაქო სამართალში, მაგრამ არა სისხლის სამართალში[24].

სავინის მიხედვით, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა დამნაშავის და დასჯადი პირის იდენტურობაზე სისხლის სამართლის ფუძემდებლურ პრინციპს არღვევს. ვერავის მოუვა იდეა, რომ ფსიქიკურად შეურაცხმა და მცირეწლოვანმა პასუხი აგონ მათი მეურვის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. აღნიშნული გამოხატავს მოთხოვნას, რომ ნორმა იმაზე შეიძლება იქნას მიმართული, ვინც სისხლისსამართლებრივად რელევანტურად მოქმედებს, ისეთნი უნდა იქნან სანქციონირებული, რომელთაგან ნორმის შესაბამისი მოქმედება მოსალოდნელია[25].

სავინის თეორია გაბატონებულ თეორიას წარმოადგენდა. მე-19 საუკუნეში ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობები

---

[22] *ალ. ვაჩეიშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

[23] *ფ. გოკიელი*, დასახ. ნაშრ., გვ. 28-29.

[24] Brinkmann T., Das Kollektiv als Täter, Diskussion um das Verbandsstrafrecht, Hamburg, 2015, S. 5.

[25] Brinkmann T., ebenda, S. 5-6.

იურიდიული პირის სასჯელს პრინციპულად არ ცნობდა. 1878 წელს გერმანიის იმპერიის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ იურიდიულ პირს დასჯადი ქმედების, როგორც ასეთის, ჩადენა არასდროს არ შეუძლია, ვინაიდან მისი პიროვნულობა მხოლოდ სამართლებრივი ფიქციაა და პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება ქმედებისთვის, რომელიც წარმომადგენელმა განახორციელა. ამით იმპერიის სასამართლომ ფიქციის თეორია გაიზიარა[26].

ინდუსტრიალიზაციის და საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორგანიზებული კორპორაციების შემდეგ ზემოაღნიშნული პრინციპი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. 1887 წელს გერმანელმა *ოტო გირკემ* (1841-1921) პირთა გაერთიანების ბრალუუნარობაზე გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ იურიდიულ პირთა ბრალუნარიანობის პოსტულირება მოახდინა. *გირკეს* თვალსაზრისით, იურიდიული პირი არ არის სამართლის მიერ შექმნილი გაერთიანება. სამართალი აღიარებს იურიდიული პირის სტატუსს. იურიდიული პირი არსებობს სამართლისგან დამოუკიდებლად. იურიდიული პირი მოქმედებს და დანაშაულს ჩადის მისი ორგანოს საშუალებით. კოლექტივი ყველა ორგანოში ფლობს თავის თავს. მთელი ნაწილის საშუალებით ისეა წარმოდგენილი, როგორც კოლექტივის მთლიანი არსებობა ხორციელდება ნაწილის საშუალებით. ადამიანი მოქმედებს მისი ორგანოების საშუალებით, იგივე ეხება იურიდიულ პირსაც. იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის დიდ სხვაობას არ ხედავდა *გირკე*. მისი თვალსაზრისით, ამ ორ პირს შორის სხვაობა არ შეიძლება იმაში იქნას დანახული, რომ იურიდიულ პირს მხოლოდ მისი ორგანოების მეშვეობით შეიძლება სურდეს და მოქმედებდეს[27].

გირკეს შეხედულებიდან გამომდინარე, იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მაშინ არის დასაშვები, როცა მოქმედი ორგანო მისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებდა, და ამიტომ, საზოგადოების ქმედებაზე, როგორც ასეთზე, საუბარი გასაგებია[28].

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობასა და მოვალეობის სუბიექტად მის აღიარებასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ფსიქოლო-

[26] Brinkmann T., ebenda, S. 6.

[27] Brinkmann T., ebenda, S. 6.

[28] Brinkmann T., ebenda, S. 6.

გიური სკოლის წარმომადგენლის, პეტრაჟიცკის შეხედულება. თუ პეტრაჟიცკს დავუჯერებთ, „ისეთი უფლება, რომლის მეუფლე არავინაა, უფლება არ არის. ისეთი მოვალეობა, სადაც ვალდებული არავინაა, მოვალეობა არ არის“[29]. მართლაც შეუძლებელია არსებობდეს უფლება მისი მატარებელი სუბიექტის გარეშე. იქ სადაც უფლება არსებობს, მისი მატარებელიც იგულისხმება.

გერმანისტი მეცნიერი *გირკე* არაგერმანულ, რომაულ შეგნებაში ჩამოყალიბებულ მოძღვრებათა განდევნის იდეით გამოდიოდა და მას მიიჩნევდა გერმანული ეროვნული შემოქმედების უშუალო ამოცანად. ერთი მხრივ, *გირკე* სამართლის სუბიექტად ხორციელად არსებულ, კონკრეტულ სუბიექტს მიიჩნევდა, ხოლო მეორე მხრივ, ნაცვლად იურიდიული პირის ფიქციად გამოცხადებისა, ცდილობდა იურიდიული პირის ფიზიკური არსებობის დასაბუთებას. *გირკეს* შეხედულებით, იურიდიულ პირს ახასიათებს რეალური ნება, რომელიც მისი წევრების ნებისყოფათა ნაწილაკებისგან შედგება. ასეთი ნების მატარებელ იურიდიულ პირს აქვს როგორც ფართო მოქმედების უნარი, ისე პასუხისმგებლობის ვალდებულებაც[30].

ირ. სურგულაძე აკრიტიკებს *გირკეს* თეორიას და თვლის, რომ მასში არ არის მოცემული იმ დებულების დასაბუთება, რომ იურიდიულ პირს რეალური არსებობა აქვს სხეულებრივ-სულიერი არსის თვალსაზრისით. *ირ. სურგულაძის* თვალსაზრისით, *გირკეს* თეორია უვარგისია იურიდიული პირის პრობლემის გადაჭრისთვის[31].

გ. ხუბუა აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმის მოქმედება მხოლოდ ადამიანებზე ვრცელდება[32]. მოცემული თვალსაზრისის თანახმად, სამართლის ადრესატი მხოლოდ ადამიანია. თუ ამ მსჯელობას გავყვებით, იურიდიული პირი შეუძლებელია სამართლის სუბიექტად განიხილებოდეს.

გ. ნაჭყებიას თვალსაზრისით, იურიდიული პირი არის არა სამარ-

---

[29] *ფ. გოკიელი*, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[30] *ფ. გოკიელი*, დასახ. ნაშრ., გვ. 29-30.

[31] *ირ. სურგულაძე*, ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ო. გამყრელიძემ, თბ., 2002, გვ. 85-86.

[32] *გ. ხუბუა*, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 41.

თლის სუბიექტი, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი[33].

სამართალსუბიექტობა პასუხისმგებლობის ცნებას ბუნებრივად ითავისებს და გულისხმობს სუბიექტის უნარს, პასუხი აგოს საკუთარი ქმედებისთვის[34]. საინტერესოა, რამდენად აქვს იურიდიულ პირს ასეთი უნარი?

იურიდიული პირის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია *გ. ნანეიშვილის* თვალსაზრისი, რომელიც აღნიშნავდა, რომ სამართლის ყოველი ნორმა შეიცავს მსჯელობას „უნდა იყოს", რაც გულისხმობს იმას, რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. ამ მსჯელობაში კი მოცემულია ერთგვარი იძულება, მოთხოვნა იმის განხორციელებისა, რაც უნდა განხორციელდეს[35]. თუ ნორმა გულისხმობს „უნდა მსჯელობას", ცხადია იგი გულისხმობს მის განმახორციელებელსაც ანუ მიმართულია იმისკენ, ვისაც შეუძლია ნორმის მიხედვით მოქმედება. ნორმის ასეთი განმახორციელებელი, *გ. ნანეიშვილის* თვალსაზრისით, მხოლოდ მოქმედი პიროვნება შეიძლება იყოს. თუ სამართლის სუბიექტია მხოლოდ ის, ვისაც შეუძლია „ჰქონდეს უფლება", მაშინ, ასეთი სუბიექტი სწორედ მოქმედი პიროვნება შეიძლება იყოს. უფლების მქონე მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვისაც ნორმის აღიარება და აღიარებული ნორმის შესაბამისად მოქმედება შეუძლია[36].

გ. ნანეიშვილი არ ეთანხმება იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით, სამართლის სუბიექტი პოზიტიური სამართლის ქმნილებაა, რომ ის უბრალოდ ხელოვნური კონსტრუქციაა. მისი თვალსაზრისით, სამართლის სუბიექტი პოზიტიური სამართლისგან დამოუკიდებლად იქმნება და ყალიბდება. თუ სამართლის სუბიექტობა უნარია, რომელიც პოზიტიური სამართლით ხან ერთს ენიჭება, ხან მეორეს, სამართლის სუბიექტობა ნაკლებად ყოფილა დამოკიდებული იმ პირის თვისებებზე, რომელსაც პოზიტიური სამართალი სამართლის

---

[33] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 980.

[34] *გ. ნაჭყებია*, დასახ. ნაშრ., 982.

[35] *გ. ნანეიშვილი*, იურიდიული სუბიექტი, მისივე წიგნში: სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992, გვ. 157.

[36] *გ. ნანეიშვილი*, იქვე, გვ. 159.

სუბიექტის თვისებას და მნიშვნელობას აკუთვნებს. ასეთ პიროებებში კი ვიღაცისთვის სამართლის სუბიექტობის მინიჭება წმინდა შემთხვევით ხასიათს იძენს, მაგრამ სამართლის სუბიექტის შემთხვევითი ხასიათი თავიდან იქნება აცილებული, თუ ვაღიარებთ, რომ რეალური პიროვნება, რომელსაც სამართლის სუბიექტის თვისება ენიჭება, თვით არის ისეთი ღირებულებითი მომენტის მატარებელი, რაც მისთვის სამართლის სუბიექტის მნიშვნელობის მიკუთვნებას აუცილებელს ხდის[37].

ვინაიდან, *გ. ნანეიშვილის* შეხედულებით, პიროვნება სამართლისგან დამოუკიდებლად იქმნება, სამართლის ნორმას არ შეუძლია ამ საკითხზე ახალის შექმნა. პიროვნება სამართლის ნორმის ჩაურევლად იქმნება. „სამართლის ნორმას შეუძლია სცნოს, ან არ სცნოს, აღიაროს, ან არ აღიაროს, იგულისხმოს, ან არ იგულისხმოს პიროვნება, მაგრამ სამართლის ნორმას არ შეუძლია შექმნას, ან არ შექმნას, წარმოშვას, ან გარდაქმნას ეს პიროვნება"[38].

ვინაიდან სამართლის ნორმა მის განმახორციელებელზე მიგვითითებს, გულისხმობს პიროვნებას, როგორც ნორმის აღიარების შესაძლებლობას. თუმცა ადამიანი სამართლის სუბიექტი რომ იყოს, არ არის საკმარისი ადამიანად ყოფნა. ადამიანი პიროვნებამდე უნდა ამაღლდეს, მაშასადამე, პიროვნება უნდა გახდეს[39].

სამართლის ნორმის განხორციელებისას ადამიანი შეიძლება არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვისი სახელითაც მოქმედებდეს, რაც აჩენს კითხვას, შეიძლება თუ არა სამართლის სუბიექტი იყოს ის, ვისი სახელითაც ადამიანი მოქმედებს? *გ. ნანეიშვილის* თვალსაზრისით, ის, ვისი სახელითაც ადამიანი მოქმედებს, შეიძლება არც იყოს სამართლის სუბიექტი. სხვისი სახელით მოქმედება სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს სხვა აუცილებლად პიროვნება უნდა იყოს[40].

ირ. სურგულაძის შეხედულებით, იურიდიული პირის არსის მეცნიერული ახსნა არ შეუძლია მოგვცეს არც იმ თეორიას, კოლექტიური ცნობიერების რეალურ არსებობას რომ უშვებს, და არც იმას,

---

[37] *გ. ნანეიშვილი*, იქვე, გვ. 160-161.

[38] *გ. ნანეიშვილი*, იქვე, გვ. 163.

[39] *გ. ნანეიშვილი*, იქვე, გვ. 164.

[40] *გ. ნანეიშვილი*, იქვე, გვ. 181-182.

იურიდიული ფიქციის მეთოდით რომ ცდილობს ახსნას ყველა ის შემთხვევა, სადაც არაფიზიკური პირი გამოდის. მაშასადამე, მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი სამართლის სუბიექტი. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს ალტერნატივა, რომ ა) მაშინ, როცა პოზიტიური კანონმდებლობა უფლებებს და მოვალეობებს არაფიზიკურ პირს მიანერს, ეს პირი განხილული უნდა იქნას ან როგორც „წარმოსახვითი", გამოგონილი სუბიექტი, რომლის უკან რეალური ფიზიკური პირები დგანან, ბ) ანდა პოზიტიური სამართლის შესაბამის წარმონაქმნს ფიზიკური პირის ყველა ის თვისება მიეწერება, რომლებიც უფლების საფუძველს ქმნიან. თუმცა ორივე ჰიპოთეზას *ირ. სურგულაძე* მეცნიერულად უსუსურად მიიჩნევდა. მისი შეხედულებით, ის მეცნიერები, რომლებიც იურიდიული აზროვნების სამყაროდან სამართლის სუბიექტად არა ფიზიკურ პირს განიხილავენ, „უსუბიექტო სამართლის" არსებობას აღიარებენ[41].

იურიდიული პირის სამართლებრივ ბუნებაზე, დასჯადობაზე დღემდე ცალკეულ მეცნიერთა, მათ შორის სავინის, გირკეს და სხვათა მიერ გამოთქმულ შეხედულებათა განხილვის შემდეგ შესაძლებელია ორი მიმართულების გამოყოფა:

პირველი, რომლის მიხედვითაც საზოგადოება რომელიც ადამიანთა მიკუთვნების გზით ხდება ერთობა, რომელსაც მოქმედება შეუძლია, თვითონ ბუნებრივი ქმედებისა და ნებისყოფის ფორმირებისთვის უუნაროა. ასეთი „მკვდარი საგნის" („tote Gegenstand") დასჯა ბრალის პრინციპთან და სასჯელის არსთან შეუსაბამოა[42].

მეორე შეხედულებით, საზოგადოება მოქმედუნარიანი ნაწილებისგან შედგება და მისი საშუალებით გასაკიცხი ქმედება და დანაშაულის ჩადენა შეუძლია. მისი წევრების მოქმედება და ბრალი, მთლიანობაში, ფასდება როგორც მისი[43].

---

[41] *ირ. სურგულაძე*, ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ო. გამყრელიძემ, თბ., 2002, გვ. 93; 81-82.

[42] Brinkmann T., Das Kollektiv als Täter, Diskussion um das Verbandsstrafrecht, Hamburg, 2015, S. 7.

[43] Brinkmann T., ebenda, S. 7.

3. აუტოპოიეტური სისტემების თეორია იურიდიული პირის ყოფიერებაზე

იურიდიული პირის სამართლებრივ მდგომარეობასთან, მის უფლებაუნარიანობასა და პასუხისმგებლობის უნართან დაკავშირებით სწორი დასკვნების გასაკეთებლად მეტად მნიშვნელოვანია იმ დებატების გათვალისწინება, რომელიც დიდი ხანია მიმდინარეობს სოციოლოგებს შორისაც.

საზოგადოებების, კორპორაციების ყოფიერებასთან დაკავშირებით გამართული სოციოლოგიური დისკუსიებიდან განსაკუთრებით საინტერესოა *ლუმანის* მიერ ჩამოყალიბებული სისტემების თეორია. აღნიშნულმა თეორიამ სცადა განევრცო იურიდიული პირის რეალურობის თეორია და კორპორაციები და სოციალური სისტემები სისტემათა ცნებასთან კავშირში აღეწერა, რაც ორგანიზაციების სისხლის სამართლისთვის განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იძლევა. განსახილველ საკითხზე მსჯელობისას ერთ-ერთი საკითხი, რაც კითხვას ბადებს, არის ინდივიდსა და ორგანიზაციას შორის დამოკიდებულება სისტემათა თეორიის მიხედვით და ის, თუ რამდენად შეიძლება იურიდიული პირი მიჩნეულ იქნას პასუხისმგებელ აქტორად[44].

აუტოპოიეტური სისტემა იმით ხასიათდება, რომ მას აქვს უნარი, ურთიერთობები თვითონ აწარმოოს და ეს ურთიერთობები გამიჯნოს იმ ურთიერთობებისგან, რომელიც მის გარესამყაროსთან წინაალმდეგობაშია[45]. ორგანიზაციები არის აუტოპოიეტური სისტემის ფორმა, რომლის ელემენტებია გადაწყვეტილებები. ორგანიზაცია არის სისტემა, რომელიც გადაწყვეტილებებისგან შედგება[46]. ყოველი სოციალური კონტაქტი განისაზღვრება როგორც სისტემა[47]. სისტემათა ცნება მოიცავს ცალკეულ სოციალურ კონტაქტებს საზოგადოების და მრავალრიცხოვანი სოციალური მოვლენის ჩათვლით. აუტოპოიეზისი იმით ხასიათდება, რომ ორგანიზაცია საკუთარ გადაწყვეტილებას

---

[44] Mittelsdorf K., Unternehmensstrafrecht im Kontext, Heidelberg, 2007, S. 26.

[45] Luhmann N., Soziale Systeme, Frankfurt/M., 1984, S. 31.

[46] Teubner G., Recht als autopoietisches System, Frankfurt/M., 1989, S. 160.

[47] Luhmann N., Soziale Systeme, Frankfurt/M., 1984, S. 33.

თვითონ ილებს[48]. სისტემათა თეორია ერთმანეთისგან გამიჯნავს სისტემათა ტიპებს და ხაზს უსვამს სოციალური სისტემის არაფსიქოლოგიურ ხასიათს[49].

ლუმანის თეორიის მიხედვით, ფსიქიკურ სისტემებს ადამიანები წარმოადგენენ, ხოლო სოციალური ქვესისტემების ერთობლიობა საზოგადოებას შეადგენს. ფსიქიკური სისტემა ცნობიერებას ეფუძნება, ხოლო სოციალური სისტემები სოციალურ, აზრობრივ კომუნიკაციას. საზოგადოება, როგორც სოციალური ქვესისტემა, სოციალური კომუნიკაციებისგან შედგება და არა ადამიანებისა და სოციალური ჯგუფებისგან[50].

ორგანიზაციისთვის დამახასიათებელი ნიშანია, რომ იყენებს მის მიერ ორგანიზებულ სტრუქტურას მოლოდინის სპეციფიცირებისთვის, რაც იმას უზრუნველყოფს, რომ ყოველი ქმედება, სისტემაში გადაწყვეტილებად მიიღებოდეს[51]. გადაწყვეტილების მიღების პროგრამის საშუალებით მიიღება ახალი გადაწყვეტილებები, რომელიც შეადგენს დახურულ სისტემას. სისტემას შეუძლია ინფორმაციის გარედან მიღება, დამუშავება და საკუთარი გადაწყვეტილების პროგრამის შესაბამისად შეცვლა. რაც *ლუმანის* მოძღვრებაში მნიშვნელოვანია, ორგანიზაციის სისტემის ელემენტები არა ინდივიდებია, არამედ გადაწყვეტილებები. ინდივიდები სახელშეკრულებო ურთიერთობით არიან დაკავშირებული ორგანიზაციასთან. ინდივიდები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ფსიქიკურ სისტემას საკუთარი ოპერატიული დახურულობით. ფსიქიკურ და სოციალურ სისტემას შორის კავშირი წევრობაზეა დაფუძნებული. ორგანიზაციას მხოლოდ ასეთი კომუნიკაცია მიეკუთვნება, სადაც ინდივიდთა საქმიანობა წევრო-

---

[48] Mittelsdorf K., ebenda, S. 26-27.

[49] Luhmann N., Soziale Systeme, Frankfurt/M., 1984, S. 32.

[50] *ლ. ბრეგვაძე*, ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოძღვრება კორპორაციული სისტემების შესახებ, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, გვ. 37; *ლ. ბრეგვაძე*, აუტოპოიეტური სამართალი და სამართლებრივი კულტურა გლობალურ საზოგადოებაში: „პოსტმოდერნისტული სამართლის სოციოლოგია", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, 2005, №1, გვ. 37.

[51] Teubner G., Recht als autopoietisches System, Frankfurt/M., 1989, S. 160-161; Mittelsdorf K., ebenda, S. 27.

ბას უკავშირდება. ფსიქიკურ სისტემასა და ორგანიზაციას შორის ბატონობს მაღალი სტრუქტურული გაერთიანება. ორივე სისტემა კოგნიტურად ღიაა გარემოსგან სტიმულირებისთვის, რასაც შედეგად მოაქვს მრავალი ორმხრივი ირიტაცია, ასეთ სისტემათა ურთიერთზეგავლენა სხვადასხვა სახით წარმოებს[52].

სისტემათა თეორიას არ ძალუძს სისტემების პერსონიფიცირება. სისტემათა თეორია გულისხმობს ყველა სისტემის, ყველა ჯგუფის გენერალიზებას. აუტოპოიეტურ სისტემათა თეორიის მიხედვით, ორგანიზაციაში თანამდებობის პირთა მმართველობა ხორციელდება არა წმინდა ინდივიდუალურად, არამედ ყოველთვის სისტემის ადექვატურად. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ორგანიზაციებში ხშირად საქმე ეხება მკაცრ სოციალურ სისტემას, რომელიც ბევრი სუბსისტემისგან შედგება. სისტემის ადექვატურმა მმართველობამ განსაკუთრებით შემთხვევათა კოდირება უნდა გაითვალისწინოს, რომელიც ორგანიზაციაში მოგებითა და წაგებითაა შემოფარგლული. სისტემათა თეორია არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ინდივიდების პირდაპირი ანალოგიით შესაძლებელია ორგანიზაციის დასჯა. ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებით ეს ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ სისტემათა თეორია ორგანიზაციას წარმოგვიდგენდეს როგორც წევრთა უბრალო ჯამს. იგი უფრო მეტია, ვიდრე წევრთა მხოლოდ ჯამი[53].

თუ ორგანიზაციის დასჯა ინდივიდების ანალოგიურად შეუძლებელია, გამოდის, რომ პირადი და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი ყოველთვის ვერ იქნება გამოყენებული და მას მხოლოდ ინდივიდის დასჯადობის შემთხვევაში აქვს გასათვალისწინებლად სავალდებულო ძალა. თუმცა, რამდენად სწორია სისხლის სამართლის ფუძემდებლური პრინციპები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში გამოიყენებოდეს? ის რომ ორგანიზაციის დასჯადობის საკითხი ინდივიდთა დასჯადობის ანალოგიურად ვერ გადაწყდება, არც არის გასაკვირი, ვინაიდან ორგანიზაციას არ გააჩნია ის ნიშნები, რაც ინდივიდს და სწორედ ამიტომ ბადებს კითხვის ნიშნებს ორგანიზაციის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა.

[52] Mittelsdorf K., ebenda, S. 27.

[53] Mittelsdorf K., ebenda, S. 28.

4. მოკლედ ცივილისტიკაში იურიდიული პირის ბრალეულობის და პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით

იურიდიულ ლიტერატურაში იურიდიული პირის ბრალეულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები გამოითქვა: იურიდიული პირის ბრალის ცნება სპეციფიკურ განსაზღვრებას მოითხოვს, ანდა ამ ცნებაზე საერთოდ უარი უნდა ითქვას, როცა საქმე სახელშეკრულებო ურთიერთობას ეხება, ვინაიდან სახელშეკრულებო ურთიერთობაში ბრალის პრინციპის გამოყენება ზიანის მომტანია. ამ უკანასკნელი შეხედულების საწინააღმდეგოდ, *ს. ჯორბენაძე* აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის ბრალის უარყოფიდან იურიდიული პირის უარყოფამდე ერთი ნაბიჯია[54]. მაშასადამე, მისი თვალსაზრისით, იურიდიული პირის ბრალზე საუბარი არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა.

ს. ჯორბენაძის შეხედულებით, იურიდიული პირის ბრალის ცნება ვერ თავსდება ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებაში. გარდა ამისა, ერთმანეთს არ ემთხვევა პიროვნების და იურიდიული პირის ბრალი[55]. იურიდიული პირის ბრალის ცნება სპეციალურ, ფიზიკური პირის ბრალის ცნებისგან განსხვავებულ, განსაზღვრას მოითხოვს. ის, რაც ადამიანისთვის არის დამახასიათებელი, არ შეიძლება იდენტური იყოს იურიდიული პირისთვის. ე. ი. ფიზიკური პირის ბრალის ცნებას არ შეიძლება უნივერსალური მნიშვნელობა ჰქონდეს იურიდიული პირისთვისაც. ამასთან ერთად, საყურადღებოა *ს. ჯორბენაძის* აზრი იმასთან დაკავშირებითაც, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს ბრალის მარტოოდენ „კრიმინალისტური“ გაგება[56].

იურიდიულ ლიტერატურაში საწინააღმდეგო მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომლის შესაბამისად, „არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სუბიექტის კატეგორიის მიხედვით ბრალის

---

[54] *ს. ჯორბენაძე*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1985, №4, გვ. 13-14.

[55] *ს. ჯორბენაძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

[56] *ს. ჯორბენაძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

ცნებაში განსხვავება“[57]. შეიძლება არსებობდეს ბრალის განსხვავებული დეფინიცია სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა დარგში, მაგრამ ეს უნდა იყოს განპირობებული არა სუბიექტით, არამედ იმ დარგის სპეციფიკით, რომელიც ბრალის ცნების საკუთარ ვერსიას გვთავაზობს.

სამართლის სხვა დარგებში, სისხლის სამართლისგან განსხვავებულად, ბრალის გაგებას მხარს უჭერდა *ალ. ვაჩეიშვილიც*, რომელიც აღნიშნავდა, რომ „სხვადასხვა დარგების მიხედვით ბრალს თავისებური ნიშნები, სპეციფიკური შინაარსი ახასიათებს.....სამოქალაქო სამართალში მიღებული ბრალის ცნება თავისი შინაგანი შემადგენლობით განსხვავდება იმ ცნებისგან, რომელიც სისხლის სამართალშია დამკვიდრებული“[58].

გარდა ამისა, არსებობს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მორალური ბრალიც და ეს ორი ცნება შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ სისხლის სამართალში ან ზოგადად სამართალში ბრალის ცნების განსხვავებული დეფინიციის ჩამოყალიბება სუბიექტების მიხედვით, მეტად საკამათოა.

ს. ჯორბენაძის მოსაზრებით, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის სირთულე სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის განსხვავებითაა ნაკარნახევი. დელიქტურ ვალდებულებებში კონკრეტული პირის ბრალი იმავდროულად იურიდიული პირის ბრალიცაა. ხოლო ხელშეკრულებითი ვალდებულების დარღვევისას, რომელიც ხშირად ანონიმური ხასიათისაა, რთული ხდება კონკრეტული ბრალეული პირის დადგენა, მაგრამ იგი მაინც ვერ მოახდენს ზეგავლენას მთლიანად იურიდიული პირის პასუხისმგებლობაზე. დელიქტურ ვალდებულებებში კი, როგორც წესი, კონკრეტული პირის ბრალის არარსებობით, შეიძლება იურიდიული პირის ბრალიც გამოირიცხოს[59].

---

[57] ამის თაობაზე იხ. *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 1005.

[58] *ალ. ვაჩეიშვილი*, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 22-23.

[59] *ს. ჯორბენაძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 19-20.

ბ. ზოიძე აღნიშნავს, რომ ცივილისტებში დავის საგანია საკითხი იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. იგი სხვისი ბრალის გამო პასუხისმგებლობის მარწუხებს ვერ გასცდა, რაც ახშობს პასუხისმგებლობის ნამდვილ ბუნებას[60]. იგი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ იურიდიულ პირს საკუთარი ნება გააჩნია. იურიდიული პირის ნება ვლინდება მისი ორგანოების, ე. ი. ცოცხალი ადამიანების მიერ. იურიდიული პირის ნება არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის ნება, იგი მთელი კოლექტივის ნებაა. ამის უარყოფა, მისი შეხედულებით, მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანდა. იგი ერთმანეთისგან მიჯნავს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ნებას და აღნიშნავს, რომ იურიდიული პირი, როგორც პასუხისმგებლობის სუბიექტი, კოლექტიური ნების სუბიექტია. იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას სწორედ კოლექტიური ნებიდან უნდა ამოვიდეთ. იურიდიულ პირთან მიმართებით არსებობს არა კონკრეტული მუშაკის, არამედ მთელი კოლექტივის ბრალი[61].

ბ. ზოიძე ამასთან ერთად, იურიდიულ პირს, ფიზიკური პირისგან განსხვავებით, მართლწესრიგის ქმნილებად მიიჩნევს. იგი არ ეთანხმება *გ. რადბრუხს*, რომელიც ფიზიკურ პირსაც თვლის მართლწესრიგის ქმნილებად, ვინაიდან ფიზიკური პირი რეალურად არსებობს. ადამიანი, ფიზიკური პირი სამართლის ბუნებითი სუბიექტია, რომელიც უფლებრივი ჯავშნის მატარებელია[62].

როგორც ზემოთ მოცემული მსჯელობიდან ირკვევა, სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, ზოგჯერ, კონკრეტული პირის ბრალეულობაზეა დამოკიდებული, ხოლო რიგ შემთხვევებში იურიდიული პირის პასუხისმგებლობა კონკრეტული პირის ბრალეულობის დადგენას არ მოითხოვს. ყოველივე ამის შემდეგ ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი სისხლის სამართალშიც ანალოგიურად გადაიჭრას, თუ იგი მოითხოვს სამოქალაქო სამართლისაგან განსხვავებულ

---

[60] *ბ. ზოიძე*, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სუბიექტები, „საბჭოთა სამართალი", 1978, №1, გვ. 22.

[61] *ბ. ზოიძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 30-31.

[62] *ბ. ზოიძე*, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, თბ., 2013, გვ. 61-62.

მიდგომას? აღნიშნულ კითხვაზე ცოტა ქვემოთ იქნება პასუხი გაცემული.

5. იურიდიული პირი, როგორც ძირითადი უფლების სუბიექტი კონსტიტუციური სამართლის მიხედვით

სამოქალაქო თუ საჯაროსამართლებრივი უფლებისა და მოვალეობის მატარებელი არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ასევე იურიდიული პირიცაა, რომელიც ხელოვნური წარმონაქმნია. იურიდიული პირი სამართლებრივ ურთიერთობებში ფიზიკური პირის მსგავსად გამოდის და ანალოგიური დაცვის საშუალებებით სარგებლობს[63].

იურიდიული პირი რომ ფიზიკური პირის მსგავსად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ გვევლინება, ამაზე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლი, რომლის თანახმად, „ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე". შესაბამისად, იურიდიული პირები გამოდიან ძირითადი უფლებების სუბიექტებად, მაგრამ აღნიშნული ფორმულირებიდან გამომდინარე, ფიზიკური და იურიდიული პირები მაინც არ მიიჩნევიან ძირითადი უფლების მატარებელ თანასწორ სუბიექტებად[64] და ფიზიკური პირი მაინც უპირატეს მდგომარეობაშია, იგია ძირითადი უფლებების უპირველესი მატარებელი.

ის რომ იურიდიული პირი კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლების სუბიექტადაა გამოცხადებული, სამართლებრივ ფიქციად მიიჩნევა, თუმცა, სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება შეუძლებლად მიიჩნევა, თუ ფიქცია არ იქნა გამოყენებული რეგულირების მეთოდად[65]. მით უფრო სამართალი არაერთ საკითხს სწორედ ფიქციის გზით წყვეტს.

---

[63] *ი. ბურდული*, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 599.

[64] *კ. კუბლაშვილი*, ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 58.

[65] *ი. ბურდული*, დასახ. ნაშრ., გვ. 600.

იურიდიული პირის ძირითადი უფლების სუბიექტად მიჩნევის საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში ფიზიკური პირების გარდა „წარმონაქმნებიც" მონაწილეობენ. თუმცა, იურიდიული პირი იმ უფლების მატარებელია, რომელიც მასზე შეიძლება გავრცელდეს. ასეთია: თანასწორობის უფლება, საკუთრების უფლება, სამართალწარმოების უფლება, „ორგანიზებული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება", საქმიანობის თავისუფლების, აზრის თავისუფლად გამოხატვის, პირადი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების თავისუფალი მოპოვების უფლება[66].

დასკვნა, რომლის მიხედვითაც, იურიდიულ პირზე ყველა უფლება ვერ გავრცელდება, გამომდინარეობს კონსტიტუციის 34-ე მუხლიდან, რომელიც მიუთითებს იურიდიული პირის მიმართ ძირითადი უფლების გავრცელებაზე მისი შინაარსის გათვალისწინებით.

იმ უფლებებს, რომელიც იურიდიულ პირებზე უეჭველად ვერ გავრცელდება, განეკუთვნება ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც ბუნებრივი, ფიზიკური პირის ფიზიკურ-ფსიქიკურ არსებობას, მასთან დაკავშირებულ ნიშნებს (მაგალითად სქესი, გონება) მოითხოვს, რომელიც მხოლოდ პირადად შეიძლება გქონდეს[67]. აღნიშნულიდან გამომდინარე იურიდიულ პირზე ვერ გავრცელდება ისეთი უფლებები, როგორიცაა: ადამიანური ღირსების უფლება[68], სიცოცხლის და სხეულებრივი ხელშეუხებლობის უფლება, პიროვნების თავისუფლების უფლება, ქალის და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა, სინდისის თავისუფლება, სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება, მშობლის აღმზრდელობითი უფლება, ქორწინების და ოჯახის დაცვა, იძულებითი შრომის აკრძალვა, მოქალაქეობიდან გას-

---

[66] *ი. ბურდული*, დასახ. ნაშრ., გვ. 601-602.

[67] Dreier H., in: Dreier (Hrg.), Grundgesetz, Kommentar, 3. Auflage, Band I, 2013, S. 1754-1755, Art. 19 III, Rn. 36; *კ. კუბლაშვილი*, ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 59-60.

[68] BverfGE 95, S. 242. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო იმიტომ უარყოფს ღირსების უფლების სუბიექტად იურიდიულ პირს, რომ დასახელებული უფლება დაკავშირებულია ისეთ თვისებებთან, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ პირს შეიძლება ჰქონდეს.

ვლის აკრძალვა, თავშესაფრის უფლება[69], რელიგიური უმცირესობის უფლებები, პროფესიის არჩევის თავისუფლება. აღნიშნული უფლებები იურიდიულ პირზე ვერ გავრცელდება, ვინაიდან პერსონიფიცირებულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია იურიდიულ პირსაც აცხადებს უფლების მატარებელ სუბიექტად და იურიდიული პირი ფიზიკური პირის მსგავსად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ გვევლინება, დაუშვებელია ფიზიკური და იურიდიული პირის სრული გაიგივება, რაც მათ შორის არსებული ტიპოლოგიური და სუბსტანციური სხვაობითაა განპირობებული[70].

იურიდიულ პირებზე პრინციპულად შესაძლებლად მიიჩნევენ შემდეგი ძირითადი უფლებების გავრცელებას: პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (ძირითადად კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე)[71], ზოგადად მოქმედების თავისუფლება, ზოგადად თანასწორობის უფლება, რელიგიის და მსოფლმხედველობის თავისუფლება, საკომუნიკაციო უფლებები, მეცნიერების და ხელოვნების თავისუფლება, კერძო სკოლის თავისუფლება, გაერთიანების და კოალიციის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, მიმოწერის და საფოსტო საიდუმლოება, პროფესიის თავისუფლება, ბინის ხელშეუხებლობა, საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება, პეტიციის უფლება, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, ასევე სხვა პროცესუალური უფლებები[72].

შეიძლება იურიდიული პირი დაზიანდეს მისი პოლიტიკური თუ რელიგიური საქმიანობის გამო. მაგალითად, პრესის ორგანო. ჩნდება კითხვა, უნდა იყოს თუ არა ასეთ დროს იურიდიული პირი დაცული ისეთი ძირითადი უფლებით, როგორიცაა გამოხატვის, რელიგიის და რწმენის თავისუფლება? კრიტიკის საგნად არც მიიჩნევა და საეჭვოდ

[69] Dreier H., ebenda, Rn. 36; *კ. კუბლაშვილი*, ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 66.

[70] *ი. ბურდული*, დასახ. ნაშრ., გვ. 602-603.

[71] *გ. ხუბუა*, წიგნში: იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 67; *კ. კუბლაშვილი*, ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 93-94.

[72] Dreier H., ebenda, Rn. 37.

არ ითვლება ის, რომ რელიგიური საზოგადოებები და ეკლესიები სარგებლობენ რწმენის, რელიგიის თავისუფლებით[73].

იურიდიულ პირებს არც რწმენა აქვთ და არც სინდისი[74], მაგრამ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, რწმენის და რელიგიის თავისუფლების მატარებელი შეიძლება იყოს ის იურიდიული პირები, რომელთა მიზანია მათი წევრების სარწმუნოების გავრცელება ან რელიგიური აღსარებისთვის ხელშეწყობა და მასზე ზრუნვა[75]. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, რელიგიის თავისუფლების მატარებელია არა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესია, არამედ ასევე სხვა რელიგიური და მსოფლმხედველობრივი გაერთიანებები. აღნიშნული უფლება გამომდინარეობს ეკლესიათა და აღმსარებლობის თანასწორობის („პარიტეტულობის") პრინციპიდან[76]. ეკლესია, მისი აღიარების მიუხედავად, არ არის სახელმწიფოს საჯარო სამართლის კორპორაცია, მაშასადამე, სახელმწიფო ორგანიზაცია. ამდენად, ეკლესიას ძირითადი უფლება იცავს სახელმწიფოსგან. იგი არის ძირითადი უფლების მატარებელი. ეკლესიის და მისი ძირითადი უფლების დარღვევა მოსალოდნელია[77].

რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება არის არა მხოლოდ ცალკეულ პირთა აღმსარებლობის თავისუფლება, არამედ იგი მოიცავს ასევე საერთო, საჯარო აღმსარებლობის მიზნით ორგანიზატორული გაერთიანების თავისუფლებასაც[78]. ეს იმას ნიშნავს, რომ რელიგიური აღმსარებლობის მიზნით შექმნილი გაერთიანების თავისუფლება გაერთიანების თითოეული წევრის აღმსარებლობის თავისუფლებასთან არის უშუალო კავშირში.

დაუშვებელია იურიდიული პირის დაზიანება არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ასევე ენობრივი, რასობრივი ან სქესობრივი ნიშნით. ამ შემთხვევაში იგულისხმება იურიდიული პირის დაფუძნება და მისი საქმიანობის წარმართვა დასახელებული ნიშნებით. მაგალი-

---

[73] Dreier H., ebenda, Rn. 39.

[74] *კ. კუბლაშვილი*, ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 67.

[75] BverfGE 19, S. 132.

[76] BverfGE 24, S. 246.

[77] BverfGE 42, S. 321-322.

[78] BverfGE 42, S. 323.

თად, იურიდიული პირის დაფუძნება იმ პირთა მიერ, რომლებიც სქესობრივი, ენობრივი ან რასობრივი ნიშნით არიან გაერთიანებული ან რომელთა მიზანია კონკრეტული ნიშნით ადამიანთა გარკვეული ჯგუფების დაცვა. დაუშვებელია იურიდიული პირის საქმიანობა შეიზღუდოს იმის გამო, რომ იგი ემსახურება გარკვეული რასობრივი, სქესობრივი ან ენობრივი ნიშნით ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის ინტერესებს. მართალია, იურიდიულ პირს არ გააჩნია სქესი და რასა, ვინაიდან იგი ინდივიდუალური, პირადი ხასიათის ნიშანია, რომელიც მხოლოდ ფიზიკური პირისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ აღნიშნული ნიშნით შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფიზიკურ პირთა გაერთიანებას, რომლებიც საქმიანობას იურიდიული პირის საშუალებით წარმართავენ. სწორედ ამ თვალსაზრისით იძენს მნიშვნელობას ზოგიერთი ძირითადი უფლება, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს მხოლოდ ფიზიკურ პირებზე უნდა ვრცელდებოდეს, მაგრამ რეალურად, სამართლებრივად მისი მატარებელი იურიდიული პირიც არის.

კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები ვრცელდება ასევე შეზღუდული შესაძლებლობის პირთა გაერთიანებებზე[79]. ძირითადი უფლება არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ფიზიკურ პირზე, არამედ ასეთ პირთა გაერთიანებაზეც ვრცელდება.

იურიდიული პირების სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციის ანალოგიური რეგულაციაა გათვალისწინებული გერმანული ძირითადი კანონითაც. კერძოდ, გერმანიის კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი იურიდიული პირების მიმართ მოქმედებს ის ძირითადი უფლებები, რომლებიც შეიძლება მათზე გავრცელდეს. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ის ორგანიზაციები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ უფლებაუნარიანი იურიდიული პირები, მაგრამ არა წმინდა ადამიანთა უმრავლესობა (schlichte Personenmehrheiten). ძირითადი უფლების მატარებელი, კერძო სამართლის იურიდიულ პირთან ერთად, შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირიც[80].

[79] Dreier H., ebenda, Rn. 39.

[80] Dreier H., ebenda, Rn. 43.

თუმცა, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძირითადი უფლებები არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, როდესაც ისინი ასრულებენ საჯარო ფუნქციებსა და ამოცანებს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი „იურიდიულ პირებს" ძირითადი უფლებების სუბიექტად უთითებს, ერთმანეთისგან მიჯნავს საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და მათ ერთმანეთთან არ ათანაბრებს. ამ გამიჯვნას „ძირითადი უფლების არსი" განაპირობებს[81]. თუ ძირითადი უფლების საფუძველი საჯარო ხელისუფლებასთან ადამიანთა ურთიერთობას გულისხმობს, შეუსაბამოდ მიიჩნევა სახელმწიფოს განხილვა ძირითადი უფლების მოსარგებლედ, ვინაიდან შეუძლებელია იგი იყოს ძირითადი უფლების როგორც ადრესატი, ისე სუბიექტიც[82].

ძირითადი უფლებების მატარებელ იურიდიულ პირში პირველ რიგში იგულისხმება კერძო სამართლის სრულუფლებიანი იურიდიული პირები. მათ რიცხვს განეკუთვნება კაპიტალური საზოგადოებები, მაშასადამე, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სამოქალაქო სამართლის უფლებაუნარიანი ფონდები, უფლებაუნარიანი კავშირი, კოოპერატივი[83]. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც არის აღიარებული, რომ ფონდი, როგორც იურიდიული პირი, ძირითადი უფლების მატარებელია[84].

ძირითადი უფლებები ვრცელდება კერძო სამართლის არასრული უფლებაუნარიანობის იურიდიულ პირებზეც: სამოქალაქო სამართლის საზოგადოება, არაუფლებაუნარიანი კავშირი, კომანდიტური საზოგადოება, პარტნიორული საზოგადოება[85].

როდესაც საუბარია იურიდიული პირების მიმართ ძირითადი უფლებების გავრცელებაზე, ჩნდება კითხვა პოლიტიკური პარტიების

---

[81] *ი. შვაბე,* გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ქართული თარგმანი ე. ჩაჩანიძისა, თბ., 2011, გვ. 294.

[82] *ი. შვაბე,* იქვე, გვ. 295.

[83] Dreier H., ebenda, Rn. 44.

[84] BverfGE 46, S. 83.

[85] Dreier H., ebenda, Rn. 46-47.

მიმართაც, თუ რა სახის უფლებებზე შეიძლება იყოს საუბარი მათთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკურ პარტიებზე გასავრცელებელ ძირითად უფლებად მიიჩნევა პარტიის თავისუფლების უფლებები, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც პარტიათა თანასწორი შესაძლებლობის პრინციპს. ამასთან ერთად საყურადღებოა ის, რომ პარტიას აქვს კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლება[86].

ძირითადი უფლების გავრცელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, უწევს თუ არა იურიდიულ პირს საჯარო ხასიათის ამოცანების განხორციელება, ვინაიდან ძირითადი უფლების გადაცემა საჯარო ამოცანის განხორციელებისას გამოირიცხება[87]. ანალოგიური დამოკიდებულება არსებობს ფიზიკური პირების მიმართ და შესაძლებელია ერთგვარი ანალოგიის გავლებაც. კერძოდ, ფიზიკური პირი შეძლებს თუ არა ისარგებლოს გარკვეული უფლებით, ზოგჯერ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფუნქციის განხორციელებითაა დაკავებული, როგორია სამსახურებრივი სტატუსი. მაგალითად, თუ ფიზიკური პირი პოლიციის თანამშრომელია ან სამხედრო მოსამსახურე, იგი გაფიცვის უფლებით ვერ ისარგებლებს.

ძირითადი უფლებების მიზანი, ზოგადად, ინდივიდუალური თავისუფლების დაცვაში მდგომარეობს, მაგრამ იურიდიულ პირებზე ძირითადი უფლებების გავრცელება გამართლებულია, როცა იურიდიულ პირთა შექმნა და საქმიანობა ფიზიკურ პირთა თავისუფალი განვითარებისკენაა მიმართული, განსაკუთრებით მაშინ, როცა იურიდიული პირის უკან მდგომი ადამიანებისთვის ასეთი მოქმედება (იურიდიული პირის ფორმით) მნიშვნელოვანი და საჭიროა. იურიდიულ პირებზე ძირითადი უფლებების გავრცელებით ადგილი აქვს ფიზიკურ პირთა ძირითადი უფლებების დაცვას არაპირდაპირი გზით[88].

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი

[86] Dreier H., ebenda, Rn. 52.

[87] Dreier H., ebenda, Rn. 54.

[88] Dreier H., ebenda, Rn. 32.

შეხედულებით, იურიდიულ პირზე კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები იმიტომ ვრცელდება, რომ იგი არა მხოლოდ რწმუნებულია მის უკან მდგომი ფიზიკური პირების, არამედ თვითონ არის საკუთარი ძირითადი უფლებების მატარებელი. მოცემული შეხედულებით, იურიდიული პირი განიხილება ფიზიკური პირისგან და სოციალური სუბსტრატისგან დამოუკიდებელ სუბიექტად[89].

ზემოთ განხილული შეხედულება შეიძლება საკამათო იყოს შემდეგი თვალსაზრისით: მართალია, კონსტიტუციამ იურიდიულ პირზეც გაავრცელა ძირითადი უფლებები, მაგრამ ისევ ფიზიკური პირების ინტერესებიდან გამომდინარე. იურიდიულ პირებზე ძირითადი უფლების გავრცელება ფიზიკურ პირთა ინტერესებიდან გამომდინარეობს და მისგან მოწყვეტით არც შეიძლება განიხილებოდეს. იურიდიულ პირზე გავრცელებული ძირითადი უფლების დარღვევით ისევ მის უკან მდგომი ფიზიკური პირები ზარალდებიან და თუ ამას ადგილი არ ექნება არც იურიდიულ პირს გამოაცხადებს ვინმე დაზარალებულად.

6. საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი აქტები იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ

საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი აქტები ითვალისწინებენ იურიდიული პირის პასუხისმგებლობას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ევროპის საბჭოს 2008 წლის 24 ოქტომბრის ჩარჩოგადაწყვეტილება ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ, რომლის მე-5 მუხლი წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას გაატარონ ზომები იმ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სასარგებლოდ ან იმ პირის მიერ, რომელსაც იურიდიული პირის შიგნით წამყვანი პოზიცია უკავია. ასეთია ის პირი, რომელიც იურიდიული პირის წარმომადგენლობის, იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღების ან იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. დასჯადია აგრეთვე დასახელებულ

[89] Dreier H., ebenda, Rn. 29.

პირთა დაქვემდებარებაში მყოფი პირებისთვის ზედამხედველობის ან კონტროლის ნაკლებობით იურიდიული პირის სასარგებლოდ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მიცემა. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს დანაშაულის ამსრულებელი ან დამხმარე ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ დასჯად იურიდიულ პირთა შორის არ მოიაზრება სახელმწიფო ან საჯარო სამართლის სხვა კორპორაციები, რომლებიც საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებენ. ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-6 მუხლი უშვებს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებას: საჯარო ფულადი დაფინანსების ან დახმარების შეწყვეტა; კომერციული საქმიანობის დროებითი ან მუდმივად აკრძალვა; სასამართლო ზედამხედველობა; იურიდიული პირის ლიკვიდაცია; დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული დაწესებულების დროებითი ან მთლიანი დახურვა. დასახელებული მუხლი წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ გამოყენებული სანქციები იყოს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი[90].

იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სხვა ევროპული სამართლებრივი აქტებიც, რომლებშიც პასუხისმგებლობის საკითხი ანალოგიურადაა გადაწყვეტილი[91]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული აქტები ითვალისწინებს იურიდიული პირისთვის უშუალოდ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას, არამედ ერთ-ერთი სახის პასუხისმგებლობის შემოღებას[92]. მაშასადამე, ევროგაერთიანების სამართალი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოებს ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს[93]. სახელმწიფოების კომპეტენციაა იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დაწესება. მთავარია, სახელმწიფოებმა

[90] *მ. ტურავა*, ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, გვ. 389-390.

[91] *მ. ტურავა*, დასახ. ნაშრ., გვ. 380, 395, 399, 412, 439-440, 451, 457-458, 463-464, 469-470, 474.

[92] ასევე იხ. *ა. ოხანაშვილი*, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ქართული და ზოგიერთი უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი), „სამართლის ჟურნალი", 2009, №2, გვ. 186.

[93] *ბ. ჯიშკარიანი*, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბ., 2013, გვ. 115.

ევროკავშირის სიკეთეები ეფექტურად დაიცვან[94].

საყურადღებოა, რომ ევროპული აქტები იურიდიული პირის პასუხისმგებლობას, უპირატესად, ითვალისწინებს კოლექტიური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის, როგორიცაა: ფულის გათეთრება, ფულის გაყალბება, ტერორიზმი, კორუფცია, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა და სხვა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მხოლოდ კოლექტიური სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის იყოს გათვალისწინებული, ვინაიდან პასუხისმგებლობის საკითხი ასევე დგება დღის წესრიგში ინდივიდუალური სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულისთვისაც, როგორიც ადამიანით ვაჭრობაა, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის, რომ აღნიშნული დანაშაული ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ფორმაა. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ხომ სწორედ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად განიხილება.

7. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ კოდექსის მიხედვით

საქართველოს სსკ-ის 107[1]-ე მუხლის თანახმად, სსკ-ით დადგენილი ნორმები იურიდიულ პირზეც ვრცელდება. იურიდიული პირის ცნების ქვეშ მოცემულ შემთხვევაში მოიაზრება სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (მისი უფლებამონაცვლე). მოცემული დებულება ბადებს კითხვას, შეიძლება თუ არა პასუხისმგებლობა დაეკისროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს სსკ-ის 1071-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება დაისაჯოს როგორც კერძო სამართლის, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ვინაიდან აღნიშნულ მუხლში საუბარია როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო იურიდიულ პირზე. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ საკითხი მოსამართლის ინტერპრეტაციის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს,

[94] *ბ. ჯიშკარიანი*, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

რამდენადაც აღნიშნულ მუხლში, მართალია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად მითითებაა როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო იურიდიულ პირებზე, მაგრამ არ არის მკაფიო მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასჯადობაზე[95].

გ. ნაჭყებია კი უთითებს, რომ **დანაშაულს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვერ ჩაიდენს** და ამიტომ მის პასუხისმგებლობაზე საუბარი შეუძლებელია. თუ სახელმწიფო თანამდებობის პირმა დანაშაული ჩაიდინა, თანამდებობის პირი პირადად აგებს პასუხს[96].

მართალია, სსკ-ის 107[1]-ე მუხლში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიც არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად მოაზრებული, მაგრამ არასამეწარმეო იურიდიული პირი არ მოიცავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. იურიდიული პირების კლასიფიკაციაში გამოყოფენ კერძო სამართლის და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. კერძო სამართლის იურიდიული პირები კი, თავის მხრივ, იყოფა სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებად. რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, იგი იმდენად გამიჯნულია კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან, რომ ვერანაირად ვერ იქნება მოაზრებული კერძო სამართლის, თუნდაც არასამეწარმეო, იურიდიულ პირად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქმნება სახელმწიფოს მიერ საჯაროსამართლებრივი ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად. ასეთია მაგალითად, საჯაროსამართლებრივი კორპორაციები (თვითმმართველობის ორგანოები, ეროვნული ბანკი), დაწესებულებები (უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები), ფონდები (მაგალითად, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი)[97]. გარდა ამისა, სახელმწიფო თვითონვეა საჯარო სამართლის უპირველესი იურიდიული პირი[98].

---

[95] *ა. ოხანაშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

[96] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 1017.

[97] ყველა ფონდი არ არის სამართალსუბიექტობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იხ. Niggli M.A., Schmuki N., Das Unternehmensstrafrecht, ANWALTS REVUE DE L,AVOCAT, 2005, #9, S. 348.

[98] *ლ. ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 246

თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ეს ტოლფასი ხომ არ იქნებოდა სახელმწიფოს დასჯის?

სახელმწიფოს მიერ საკუთარი თავის დასჯა ალოგიკურია. დამნაშავის დასჯის მონოპოლია სახელმწიფოს ხელშია, მაგრამ სახელმწიფომ არ შეიძლება საკუთარი თავი დასაჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულადი ჯარიმის დაკისრებისას სახელმწიფოს მოუწევდა სასჯელის გადახდა თავის თავის სასარგებლოდ. ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდის, არ შეიძლება იგი ამავდროულად ბრალდებულადაც მოგვევლინოს. ბრალმდებლის და ბრალდებულის სამართლებრივი სტატუსის ერთი და იგივე სუბიექტისთვის მინიჭებისას, დაირღვევა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი[99].

სახელმწიფოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დასჯა ალოგიკურია, ვინაიდან სახელმწიფო თვითონ არის ბრალმდებელი, მაგრამ საჯარო სამართლის იურიდიული პირი მხოლოდ სახელმწიფო არ არის. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, საფრანგეთის) სისხლის სამართალი უშვებს კერძო სამართლის იურიდიული პირის გვერდით საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასჯასაც, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სწორადაა მითითებული, რომ ქართული სსკ-ით პასუხისმგებლობა ვრცელდება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე[100]. თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უპრობლემოდ გავრცელდებოდა ნებისმიერ, როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზეც, შეიძლება შესაძლებელი გამხდარიყო დასკვნის გაკეთება, რომ სახელმწიფო საუნივერსიტეტო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ უნივერსიტეტის სასარგებლოდ დანაშაულის ჩადენისას, პასუხისმგებლობა უნდა გავრცელებულიყო სახელმწიფო უნივერსიტეტზე, რო-

---

და შემდეგი.

[99] ამის შესახებ იხ. *მ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 650.

[100] *მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი*, წიგნში: ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 26-27.

გორც სსიპ-ზე. და თუ სასჯელის სახე იქნებოდა ლიკვიდაცია, უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტის გაუქმება, რაც, თავისთავად, აბსურდული და დაუშვებელი შედეგია.

როდესაც საუბარია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა პოლიტიკურ პარტიას დაეკისროს იგი? ხომ შეიძლება პოლიტიკური პარტია გამოყენებულ იქნას დანაშაულის ჩასადენად? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა სამართლებრივი სტატუსის მატარებელია პოლიტიკური პარტია. იგი არის კერძო სამართლის, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში საკითხი ცალსახად არ არის განმარტებული. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის „ე" პუნქტით საჯარო სამართლის იურიდიულ პირადაა მიჩნეული პოლიტიკური პარტიები. აღნიშნული საკანონმდებლო დებულების გათვალისწინებით, *ლ. ჭანტურია* პოლიტიკურ პარტიებს, ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიაკუთვნებს, მეორე მხრივ კი, მიზანშეწონილად მიიჩნევს პოლიტიკური პარტიების კერძო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებას[101]. *გ. ნაჭყებიაც* პოლიტიკურ პარტიებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიაკუთვნებს, მაგრამ, ამავდროულად, გამონაკლისის წესით, არ გამორიცხავს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ იგი სახელმწიფოსადმი მტრულადაა განწყობილი და აფინანსებს ტერორისტულ საქმიანობას[102].

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად: „პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს". აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური პარტია, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირი, არის

---

[101] *ლ. ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 249-250.

[102] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 65.

არა საჯარო, არამედ კერძო სამართლის იურიდიული პირი, ვინაიდან სწორედ კერძო სამართლის იურიდიული პირების კლასიფიკაცია ხდება სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებად და იგი იმიჯნება საჯარო სამართლის იურიდიული პირებისგან. მართალია, დასახელებული ორგანული კანონი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პოლიტიკური პარტიების სტატუსს განსხვავებულად განსაზღვრავს, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორგანულ კანონს, როგორც უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფს, უპირატესობა ენიჭება სამოქალაქო კოდექსთან შედარებით.

ვინაიდან მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი პოლიტიკურ პარტიებს არასამეწარმეო, შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიულ პირებად ცნობს, მასზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-დან გამომდინარე შესაძლებელია გავრცელდეს.

საქართველოს სსკ-ის 107[1]-ე მუხლის მიხედვით (მე-2 ნაწ.), იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება სსკ-ით გათვალისწინებული იმ დანაშაულისთვის, რომელიც იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით ან მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ არის ჩადენილი.

პასუხისმგებელი პირი არის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი (მე-3 ნაწ.).

როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით ან მის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაინც შეიძლება დაეკისროს (მე-4 ნაწ.). აღნიშნული დებულება ბადებს კითხვის ნიშნებს. როგორ შეიძლება იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა დაეკისროს, თუ დადგენილი არ არის დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი?!

გარდა ამისა, 107[1]-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლდა პასუხისმგებელი პირი, იურიდიული პირი პასუხისმგებლობისგან ავტო-

მატურად არ თავისუფლდება, მას მაინც შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს. მაგრამ, სსკ-ის 107[1]-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, თუ ფიზიკური პირის მიმართ დადგინდა მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოება, პასუხისმგებლობისგან იურიდიული პირიც თავისუფლდება. სსკ-ის 107[1]-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილის დებულებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ვინაიდან მე-5 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, პასუხისმგებელი პირის გათავისუფლება არ არის იურიდიული პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობა, ხოლო მე-8 ნაწილში, პირიქით, წერია, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობისას ფიზიკური პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება იწვევს ანალოგიურ შედეგს იურიდიული პირის მიმართაც.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს და მათ სასჯელი შეიძლება ერთდროულად შეეფარდოთ. იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პარალელურად შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩნდება კითხვა, იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება რამდენად შეესაბამება პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის, სამართლიანობის და სასჯელის პროპორციულობის პრინციპებს? იურიდიული პირის პასუხისმგებლობა რამდენად უწყობს ხელს სასჯელის მიზნების განხორციელებას?

იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს იმ თანამდებობის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძველი, რომელიც აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა, როგორც კოლეგიური ორგანოს წევრი[103]. მართალია, უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება 2005 წელს იქნა

[103] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის №33-დად განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2005, №2, გვ. 50.

მიღებული, ხოლო იურიდიული პირის პასუხისმგებლობა დაწესდა 2007 წლიდან, მაგრამ აქ საქმე ეხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუძემდებლურ პრინციპს, რომლის შინაარსი და მნიშვნელობა არ შეიძლება შეიცვალოს საკანონმდებლო ცვლილების შედეგად.

8. იურიდიული პირის მიმართ გამოსაყენებელი სანქციები საქართველოს სსსკ-ის მიხედვით

საქართველოს სსკ-ის მიხედვით, იურიდიულ პირს შეიძლება შეეფარდოს შემდეგი სასჯელები: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა. აქედან ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელებად, ჯარიმა კი როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ხოლო ქონების ჩამორთმევა მხოლოდ დამატებით სასჯელად.

იურიდიული პირის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელებიდან ყველაზე მკაცრი სასჯელის სახე არის ლიკვიდაცია, რაც იურიდიულ პირში დასაქმებული პირების სამსახურის დაკარგვას გულისხმობს. აღნიშნული სასჯელი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა დანაშაულებრივი საქმიანობა იურიდიული პირის შექმნის ძირითად მიზანს ან მისი საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა იურიდიულ პირს შეიძლება შეეფარდოს უვადოდ ან განსაზღვრული ვადით. საქმიანობის უფლების ვადიანი ჩამორთმევის მინიმუმი ერთი წელია, ხოლო მაქსიმუმი 10 წელი. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სახის აკრძალვაში გამოიხატება და იგი დაკავშირებულია იმ საქმიანობის აკრძალვასთან, რომელსაც უკავშირდება დანაშაულის ჩადენა.

იურიდიული პირისათვის შეფარდებული ჯარიმის ოდენობა შეესაბამება სსკ-ის 42-ე მუხლის მიხედვით ფიზიკური პირისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ორმოცდაათმაგ ოდენობას. ჯარიმის შეფარდების დროს სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს, დანაშაულით მიღებულ სარგებელს და იურიდიული პირის

მატერიალურ მდგომარეობას, რომელიც იურიდიული პირის შემოსავლით და სხვა გარემოებებით განისაზღვრება.

თუ ჯარიმის შეფარდება იურიდიული პირისთვის შეუძლებელია, აღნიშნული სასჯელი საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით შეიცვლება. მართალია, ჯარიმა შეიძლება ძირითად სასჯელად ან დამატებით სასჯელად იქნეს გამოყენებული, მაგრამ სსკ-ის იურიდიულ პირებთან მიმართებით მკაფიოდ უთითებს ჯარიმის ერთდროულად, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, გამოყენების დაუშვებლობაზე.

რაც შეეხება ქონების ჩამორთმევის საკითხს, იურიდიული პირის მიმართ დასახელებული სასჯელის გამოყენებისას, ვრცელდება სსკ-ის 52-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაცია.

9. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობაზე ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულებები

9.1. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მომხრეთა არგუმენტები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებაა გამოთქმული. მეცნიერთა ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა უსამართლობის მომენტებს შეიცავს, ვინაიდან იურიდიულ პირში დასაქმებულ რიგით თანამშრომლებს ხშირად წარმოდგენაც არა აქვთ ხელმძღვანელთა საქმიანობაზე, რის გამოც იურიდიული პირის ლიკვიდაციით უსამართლოდ ისჯებიან რიგითი თანამშრომლები, ხოლო, მეორე მხრივ, იურიდიული პირის დაუსჯელობას შეიძლება უფრო მძიმე შედეგები მოჰყვეს.[104]

გ. ნაჭყებიას თვალსაზრისით, იურიდიული პირის შექმნის მიზანი არის პასუხისმგებლობის სუბიექტად მისი გარდაქმნა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა

---

[104] *გ. ნაჭყებია*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 445-446.

და გადაჭრა სავსებით შესაძლებელია[105].

გ. ნაჭყებიას ლოგიკურად არ მიაჩნია იურიდიული პირის ბრალუუნარობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უარყოფა იმ მოტივით, რომ იურიდიულ პირს ბრალეული ქმედების ჩადენა არ შეუძლია, ვინაიდან არანაკლებ სირთულესთანაა დაკავშირებული იურიდიული პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასაბუთება[106].

გ. ნაჭყებია არ იზიარებს ბრალის გარეშე ანუ აბსოლუტური პასუხისმგებლობის მიხედვით იურიდიული პირის სისსხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების კონცეფციას. მას მართებულად მიაჩნია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად იურიდიული პირის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოცდილების გამოყენება[107].

გ. ნაჭყებია აღიარებს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პერსონალურია, ხოლო იურიდიული პირის საქმიანობას კოლექტიური ფორმა აქვს, მაგრამ თვლის რომ იურიდიულ პირს პერსონალური ინდივიდუალობა არ აკლია, ვინაიდან მას თავისი სახელი, ადგილმდებარეობა, საქმიანობის წესი და სხვა პერსონალური ნიშანი ახასიათებს[108]. მაშასადამე, აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა პერსონალური და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებს არ არღვევს, თვლის *გ. ნაჭყებია*[109].

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის მომხრეები ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯას მიიჩნევენ[110], ვინაიდან დღითიდღე იურიდიული პირის მეშვეობით იზრდება ისეთი დანაშაულების რიცხვი, როგორიცაა: ტერ-

[105] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 982.

[106] *გ. ნაჭყებია*, დასახ. ნაშრ., გვ. 1006.

[107] *გ. ნაჭყებია*, დასახ. ნაშრ., გვ. 1010-1011.

[108] *გ. ნაჭყებია*, დასახ. ნაშრ., გვ. 1015.

[109] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ. (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2016, გვ. 61-62.

[110] ასევე იხ. Mittelsdorf K., Unternehmensstrafrecht im Kontext, Heidelberg, 2007, S..18.

ორიზმი, ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და სხვა[111]. სისხლის სამართალი ვერ შეურიგდება სამართლებრივი სიკეთის ისეთ ხელყოფას, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია. იქ სადაც მთავრდება ინდივიდთა სისხლის სამართლის საზღვრები, უნდა იქნას მოფიქრებული ახალი მექანიზმი დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. იურიდიული პირის დასჯადობა ავსებს სწორედ იმ ვაკუუმს, რომელიც ორგანიზაციული უპასუხისმგებლობით წარმოიშობა[112].

მ. ტურავას შეხედულებით, ქართულ სისხლის სამართალში იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შემოტანა განპირობებულია პრაგმატული მოსაზრებით და იგი სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარეობს.[113] მისი აზრით, საწარმოთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში არაეფექტურია იდენტიფიკაციის ტრადიციული თეორიის გამოყენება, რომელიც იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მისი ორგანოების მიერ განხორციელებულ ქმედებაზე აფუძნებს და გამორიცხავს ორგანიზაციის დასჯადობას რიგითი თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის.[114] მაშასადამე, *მ. ტურავა* არა მხოლოდ ემხრობა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას, არამედ მიზანშეწონილად თვლის პასუხისმგებლობის ფარგლების კიდევ მეტად გაფართოებას და იურიდიული პირების დასჯას რიგითი თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვისაც.

მ. ტურავა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად გენერალური მიზეზობრიობის თეორიის გამოყენების მნიშვნელობაზე მიუთითებს[115]. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ

---

[111] *ი. გაბისონია*, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო თავისებურებები, „პროფესია ადვოკატი", 2007, "№2, გვ. 70.

[112] Mittelsdorf K., Unternehmensstrafrecht im Kontext, Heidelberg, 2007, S. 13.

[113] *მ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 655.

[114] *მ. ტურავა*, იქვე, გვ. 653.

[115] *მ. ტურავა*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 97.

არის შემთხვევები, როცა დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგსა და კოლექტიური ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შორის მიზეზობრიობის დასადგენად კანონზომიერი პირობის შესახებ მოძღვრებას იყენებენ[116]. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის სირთულესა და პრობლემურობაზე, რის გამოც განსჯის საგნად სხვა საკითხებთან ერთად იქცევა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის.

მ. ტურავა შესაძლებლად თვლის „ორგანიზაციული გაუფრთხილებლობის", „ორგანიზაციული განზრახვის" და „ორგანიზაციული ბრალის" არსებობას.[117] იგი აღნიშნავს, რომ „ორგანიზაციული განზრახვა" მაშინ არსებობს, როცა კორპორაციის ორგანოების პოლიტიკიდან გამომდინარე თანამშრომელთა მხრიდან მოსალოდნელია სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებათა განხორციელება. რაც შეეხება „ორგანიზაციულ გაუფრთხილებლობას", იგი კორპორაციათა სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინაპირობაა.[118]

ყოველივე აღნიშნული ბადებს კითხვას: ბრალის ტრადიციული გაგების თანახმად, რამდენად შესაძლებელია „ორგანიზაციულ ბრალზე" საუბარი? რასაკვირველია პასუხი ცალსახა და არაორაზროვანი შეიძლება იყოს. „ორგანიზაციული ბრალის" იდეა არ გამომდინარეობს ბრალის ტრადიციული გაგებიდან, ვინაიდან ბრალი არის ინდივიდუალური, პერსონალური უმართლობა, რაც, ბუნებრივია, იმთავითვე გამორიცხავს „ორგანიზაციული ბრალის" შესაძლებლობას. იგივე შეიძლება ითქვას გაუფრთხილებლობაზეც. გაუფრთხილებლობა გულისხმობს წინდახედულობის ნორმის დარღვევას. წინდახედულობის ნორმის დარღვევა სხვა არაფერია თუ არა პერსონალური ვალდებულების დარღვევა. ყველა ადამიანი პერსონალურად არღვევს წინდახედულობის ნორმას. შეუძლებელია მისი დარღვევა კოლექტიურად, რაც ასევე შეუძლებელს ხდის „ორგანიზაციულ გაუფრთხილებლობაზე" საუბარს. ამ მხრივ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ

---

[116] *მ. ტურავა*, იქვე, გვ. 95.

[117] *მ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 654.

[118] *მ. ტურავა*, იქვე, გვ. 654.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იურიდიული პირის პასუხისმგებლობას განზრახი დანაშაულებისთვის ითვალისწინებს.

გ. ნაჭყებიას თვალსაზრისით, „იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა ბრალის განზრახი ფორმის საფუძველზე საბუთდება“[119], მაგრამ ბრალის პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე გაუმართლებელია იურიდიული პირის პასუხისმგებლობის გამართლება თუნდაც განზრახი დანაშაულისთვის. წინდახედულობის ნორმა რომ პერსონალური ხასიათისაა და მისი დარღვევა კოლექტიურად შეუძლებელი, ამიტომ არის, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჯგუფურად, თანაამსრულებლობით განხორციელება შეუძლებელია. წინდახედულობის ნორმის დარღვევა კოლექტიურად შესაძლებელი რომ იყოს, მაშინ თანაამსრულებლობით გაუფრთხილებლობითი დანაშაულის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სასარგებლოდ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ კომპლექსური სტრუქტურის მქონე საწარმოებში გაძნელებულია და ხშირად შეუძლებელიც დანაშაულის სათავეში მდგომი ინდივიდის გამორჩევა, თუმცა ასეთი საწარმოები იმდენად მნიშვნელოვან ზარალს იწვევენ, რომ ჩადენილი სამართალდარღვევისთვის რეაქციის ერთადერთ საშუალებად მათი დასჯა რჩება[120].

ბ. ჯიშკარიანი თვლის, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა წინააღმდეგობაში არ მოდის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის ინდივიდუალური გაკიცხვა შეუძლებელია, ვინაიდან ეს მხოლოდ ფიზიკური პირის მიმართ არის დასაშვები, რომელსაც აქვს ფიზიკური ცხოვრება, ხოლო მეორე მხრივ, უშვებს იურიდიული პირის სოციალურ-ეთიკურ გაკიცხვას, უარყოფით შეფასებას, ვინაიდან იურიდიული პირი, მისი თვალსაზრისით, არის პირი სოციალურ-ეთი-

---

[119] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 1025.

[120] *ჟ. პრადელი*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, თბ., 1999, გვ. 228.

კური თვალსაზრისით[121].

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების ავტორისეული ცდა, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, საინტერესოა, მაგრამ საკამათოც, ვინაიდან ინდივიდუალური და სოციალურ-ეთიკური გაკიცხვის ერთმანეთისგან გამიჯვნით გაკიცხვის შინაარსი არ იცვლება. გაკიცხვა მაინც გაკიცხვად ანუ უარყოფით შეფასებად რჩება, რომელიც მოითხოვს ისეთ ადრესატს, რომელსაც მისი გაცნობიერება შეუძლია. ასეთი ადრესატი შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს.

9.2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი

მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართლიანად გამოთქვამს კრიტიკას და მიუთითებს, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა კოლექტიური პასუხისმგებლობის დამკვიდრებას უწყობს ხელს, ეწინააღმდეგება პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის, აგრეთვე სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებს, რის გამოც სასჯელის მიზნებიც განუხორციელებელი რჩება.[122]

გარდა ამისა, იურიდიულ პირს არ გააჩნია არც „სული" და არც „სინდისი", რის გამოც მის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება გაუმართლებელია[123], ვინაიდან სასჯელის საფუძველი ბრალია, რომელიც მორალურ შეფასებასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ბრალისმიერი გაკიცხვა, სისხლისსამართლებრივის გარდა, მორალურ გაკიცხვასაც გულისხმობს. მაგრამ, მორალურად როგორ უნდა გაიკიცხოს „სულის" და „სინდისის" არ მქონე იურიდიული პირი?

---

[121] *ბ. ჯიშკარიანი*, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბ., 2013, გვ. 119-120.

[122] *ო. გამყრელიძე*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 49; *ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 27.

[123] *ი. გაბისონია*, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო თავისებურებები, „პროფესია ადვოკატი", 2007, "№2, გვ. 70.

ო. გამყრელიძე მართებულად აღნიშნავს, რომ ბრალი, როგორც გაკიცხვის და სისხლისსამართლებრივი დასჯის საფუძველი[124], სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას გულისხმობს, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა გააჩნია არა იურიდიულ, არამედ მხოლოდ ფიზიკურ პირს, რის გამოც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯა გაუმართლებელია[125]. დასჯა გაკიცხვაა. გაკიცხვა კი, მხოლოდ იმ სუბიექტის მიმართ იძენს აზრს, რომელსაც შეუძლია გააცნობიეროს, რომ მას ქცევას უწუნებენ[126].

ო. გამყრელიძის თვალსაზრისით, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კოლექტიური, ჯგუფური პასუხისმგებლობის დაკანონებაა[127]. შუა საუკუნეების სისხლის სამართალი ცხოველებს და უსულო საგნებსაც აცხადებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად, რასაც *ო. გამყრელიძე* ისეთი ფილოსოფიური მიმართულების საფუძველზე ხსნის, როგორიცაა ანიმიზმი, რომლის მიხედვითაც ცნობიერება არა მარტო ადამიანს, არამედ ცხოველსაც და უსულო საგანსაც გააჩნია. მართალია, ანიმისტური შეხედულების ეპოქამ გაიარა და შორეულ მოგონებად დარჩა, მაგრამ თანამედროვე პერიოდში ჩვენი ყურადღების შუაგულში ისევ დგას დანაშაულის სუბიექტის საკითხი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, რომელიც ასევე ძველი ეპოქიდან მომდინარეობს[128].

იურიდიული პირის გამოცხადება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად ერთგვარი ფიქციაა. სხვაგვარად რომ

---

[124] სასჯელს სახელმწიფოს მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის გაკიცხვად მიიჩნევდა *გ. ტყეშელიაძეც*. იხ. *გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე* (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 349-350.

[125] *ო. გამყრელიძე*, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი", 2016, №1, გვ. 8. www.dgstz.de

[126] *ო. გამყრელიძე*, როცა მეცნიერებს აღარაფერს ეკითხებიან..., „მართლმსაჯულება და კანონი", 2018, №1, გვ. 8.

[127] *ო. გამყრელიძე*, დანაშაულის სუბიექტი და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, კრებულში: ფერაძე გ. (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2010, გვ. 231-232.

[128] *ო. გამყრელიძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 228-229.

ვთქვათ, იგი რეალურად არ არის სუბიექტი შესაბამისი (ბრალეული ქმედების განხორციელების) უნარის უქონლობის გამო და მას სუბიექტის სტატუსი მაინც ენიჭება.

ფიქციის მეშვეობით სამართალი საკუთარ რეალობას ქმნის[129], რომელიც რეალური სინამდვილისგან განსხვავებული და ხელოვნურია. სისხლის სამართლში ამგვარი ფიქცია, ზოგადად, მიღებულია. მაგალითად, სისხლის სამართალი შუალობით ამსრულებლად აღიარებს ფაქტობრივ წამქეზებელს. გარდა ამისა, ფიქციის მეთოდის სისხლის სამართალში ფართოდ გამოყენების მტკიცებულებად მიუთითებენ იმასაც, რომ ნებისყოფის იმ გაგებას რომელსაც სისხლის სამართალში ზოგიერთი თეორიის წარმომადგენელი იყენებს და ბრალის საფუძვლადაც აცხადებს, არაფერი აქვს საერთო იმ ნებისყოფასთან, რაც შემუშავებულია ფსიქოლოგიაში[130]. მაგრამ საკითხავია, რამდენადაა მიზანშეწონილი და ფუძემდებლურ პრინციპებთან თავსებადი ფიქციის გზით იურიდიული პირის მიჩნევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად ან კიდევ ფსიქოლოგიური ნიშნის გაგება არაფსიქოლოგიურად, ნორმატიულად?

ტაგანცევის შეხედულებით, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუმართლებლობა ეფუძნება იმას, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია ნება და, შესაბამისად, იგი ვერ იმოქმედებს ბრალეულად, განზრახ ან გაუფრთხილებლობით[131].

როდესაც საუბარია პასუხისმგებლობის სუბიექტის ნების აუცილებლობაზე, როგორც პასუხისმგებლობისთვის აუცილებელ ელემენტზე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ერთ გარემოებასაც. კერძოდ, თუ რა გვესმის ნების ქვეშ, ნების არსებობას როგორი გაგებით მოვითხოვთ, ვინაიდან ერთმანეთისგან განასხვავებენ ნებისყოფას ფსიქოლოგიური გაგებით და ნებისყოფას ნორმატიული გაგებით. მაგალითად, კელზენის ნორმატივისტულ მოძღვრებაში რეალურად

---

[129] *გ. ხუბუა*, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 197.

[130] *ალ. ვაჩეიშვილი*, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 28.

[131] *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 987.

არსებული, ფსიქოლოგიურად გაგებული ნებისყოფის გვერდით, რომელიც ადამიანის რეალურ ფსიქიკურ უნარს გულისხმობს, ნაგულისხმევია ნებისყოფის ნორმატიული კონსტრუქცია, რომელსაც ფსიქოლოგიურ ნებისყოფასთან საერთო არა აქვს[132]. როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხზე კელზენის მოძღვრებას იზიარებდნენ სხვა ავტორებიც, რომლებიც სისხლის სამართალში ნებისყოფის ნორმატიულ, არაფსიქოლოგიურ გაგებას უჭერდნენ მხარს[133].

ალ. ვაჩეიშვილი გამოდიოდა ნებისყოფის იურიდიული კონსტრუქციის წინააღმდეგ და თვლიდა, რომ ნებისყოფის ასეთი წმინდა ნორმატიული გაგება სპობს მეცნიერული თანამშრომლობის შესაძლებლობას სამართალსა და ფსიქოლოგიას შორის. *ვაჩეიშვილი* თვლიდა, რომ სისხლის სამართლის წინაშე მდგარი საკითხების წარმატებულად გადაჭრა მოითხოვს ფსიქოლოგიაში შემუშავებული ცნებებით სარგებლობას[134].

ნებისყოფის ნორმატიულ კონსტრუქციას, როგორც ფიქციურს და მეცნიერული საფუძვლის არმქონეს, აკრიტიკებს *გ. ნაჭყებია*, თუმცა, იგი ამით არ უარყოფს ფიქციის თეორიის მნიშვნელობას და, გარკვეული დოზით, საჭიროებას სამართალში. იგი მიუთითებს იმ საკანონმდებლო დებულებებზე, რომლის მიხედვითაც არაერთგზის ქურდობის შემადგენლობას იძლევა ქურდობა, რომელსაც წინ უძღოდა ბანდიტიზმი. მაშასადამე, სამართალმა, მსჯავრდებულის მიერ წინათ განხორციელებული დანაშაულის (ბანდიტიზმი) გათვალისწინებით, ერთი ქურდობა ორად გამოაცხადა. იგი ფიქციის თეორიის მიხედვით სისხლის სამართალში სხვა საკითხების გადაწყვეტის საკანონმდებლო პრაქტიკაზეც უთითებს[135].

გ. ნაჭყებიას თვალსაზრისით, „ფიქცია" გარკვეულ მეთოდოლოგიურ ფუნქციას არ არის მოკლებული და ამდენად, მისი სრული უარყოფაც დაუშვებელია. უფრო მეტიც, იგი გაუმართლებლად და გადამეტებად მიიჩნევს იმას, რომ იურიდიული პირის რეალურობას უარყოფენ, ვინაიდან ის როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნი

---

[132] *გ. ნაჭყებია*, დასახ. ნაშრ., გვ. 994.

[133] *ალ. ვაჩეიშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[134] *ალ. ვაჩეიშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[135] *გ. ნაჭყებია*, დასახ. ნაშრ., გვ. 994.

არსებობს[136]. იურიდიული პირის, როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნის არსებობა, მართლაც არ შეიძლება სადავო იყოს. მართალია, ის არ არსებობს ნივთობრივად, სხეულებრივი სახით, მაგრამ არსებობს სამართლებრივად, არაფიზიკური სახით. ამდენად, კამათის საგანს წარმოადგენს იურიდიული პირის არა სამართლებრივი (არაფიზიკური) ფორმით არსებობის საკითხი, არამედ ის, თუ რამდენადაა ამგვარი ფორმით არსებული კონსტრუქცია ბრალუნარიანი, შესაბამისად, სასჯელუნარიანი.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინააღმდეგ ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს, რომ საფინანსო-სამეწარმეო სფეროში იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებლობის დაკისრებას ორმაგი დასჯადობა მოაქვს (ფიზიკური და იურიდიული პირის)[137], რაც თავისთავად საინტერესოა, ვინაიდან როცა იურიდიული პირის ხელმძღვანელს პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენელს და ამავდროულად ცალკე ისჯება იურიდიული პირიც, სახეზე ვიღებთ ორმაგ დასჯას.

ლ.გ.კუტალია შეუძლებლად მიიჩნევს იურიდიული პირის ბრალუნარიანობის და დასჯადუნარიანობის დასაბუთებას. მას იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ ბრალზე საუბარი დასაშვებად არ მიაჩნია და თვლის, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ობიექტურ შერაცხვას ეფუძნება, რისი წანამძღვარიც ბრალი არ არის. იურიდიული პირის ბრალის მტკიცება განხორციელებული უმართლობის იურიდიული პირის ყველა წევრისთვის შერაცხვას წარმოადგენს, ვინაიდან იურიდიული პირი მასში შემავალ წევრთა ერთობაა[138].

ლ.გ. კუტალია იურიდიული პირის ბრალუუნარობას იმას უკავშირებს, რომ იგი არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივ ვალდებულებათა მატარებელი. სისხლისსამართლებრივი ბრალი კი, მისი შეხედულებით, მიიღება სისხლისსამართლებრივი ვალდებულების

---

[136] *გ. ნაჭყებია*, დასახ. ნაშრ., გვ. 996.

[137] Niggli M.A., Schmuki N., Das Unternehmensstrafrecht, ANWALTS REVUE DE L,AVOCAT, 2005, #9, S. 352.

[138] *ლ.გ. კუტალია*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ. 268.

დარღვევის შედეგად[139]. თუ იურიდიული პირის მიერ ვალდებულების დარღვევის უნარი გამოირიცხა, არა თუ ბრალუნარიანობა, არამედ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების შესაძლებლობაც გამოირიცხება, ვინაიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევას უკავშირდება.

10. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინებამ ასახვა ჰპოვა ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც. ამაზე მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ერთ-ერთ იურიდიულ პირს სისხლის სამართლის წესით დაეკისრა პასუხისმგებლობა. კერძოდ, შეეფარდა საქმიანობის (შავი და ფერადი ლითონების შესყიდვა-რეალიზაციის) უფლების ჩამორთმევა უვადოდ, სსკ-ის 194-ე მუხლის „ა" და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რაც გამოიხატა კომპანიის სახელით და სასარგებლოდ ჯგუფურად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება[140].

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკაში იურიდიული პირის მიმართ ჯარიმის შეფარდების შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. ჯარიმის შეფარდების საფუძვლად სასამართლომ დაადგინა იურიდიული პირის დირექტორის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ საგადასახადო ინსპექციისთვის ქრთამის გადახდა (სსკ-ის 339-ე მუხლის II ნაწილი). შეფარდებული ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 500. 000 (ხუთასი ათასი) ლარი. განაჩენი ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ მასში საუბარია იურიდიული პირის მიერ დანაშაულის ხასიათის და

---

[139] *ლ.გ. კუტალია*, დასახ. ნაშრ., გვ. 271.

[140] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 ნოემბრის განაჩენი.

დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის გაცნობიერებაზე[141].

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა აჩვენებს, რომ იურიდიული პირებისთვის შეფარდებული ჯარიმის ოდენობა, ფიზიკურ პირებთან შედარებით, ბევრად მაღალია. ამაზე მიუთითებს როგორც ზემოთ მითითებული, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვა განაჩენიც, რომლითაც უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემისთვის იურიდიულ პირს შეეფარდა ჯარიმა 267206 ლარის ოდენობით[142].

ფიზიკურ პირთან მიმართებით იურიდიულ პირებს რომ მაღალი ჯარიმა ეფარდებათ, ეს სისხლის სამართლის კანონმდებლობითაა განმტკიცებული. სსკ-ის 1076-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირისთვის ჯარიმის ოდენობა შეესაბამება იმავე კოდექსის 42-ე მუხლით ფიზიკური პირისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ორმოცდაათმაგ ოდენობას.

11. იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებული პროცესუალური სირთულეები

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა არა მხოლოდ მატერიალურ-სისხლისსამართლებრივ, არამედ ასევე პროცესუალურ პრობლემებს და სირთულეებსაც უკავშირდება. შესაბამისად, საინტერესოა იმ პრობლემებზეც მოკლედ ყურადღების გამახვილება, რომელიც პროცესუალური ხასიათისაა, მაგრამ კავშირშია განსახილველ საკითხთან.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მტკიცების პროცესი იმ პირთა წინააღმდეგ, რომელიც იურიდიულ პირს ეკუთვნის, გარკვეულ სირთულეებს შეიცავს, რაც ამავდროულად შეიძლება უპირატესობებსაც იძლეოდეს. დიდია პოტენციურ მოწმეთა და იმ დოკუმენტების რიცხვი, რომელიც საკანონმდებლო ვალდებულებებს ითვალისწინებს. აღსანიშნავია

---

141 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის განაჩენი.

142 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ივლისის განაჩენი.

ისიც, რომ ბევრი ეჭვმიტანილი ამავდროულად არის მოწმეც, რომელიც უფლებამოსილია უარი თქვას ჩვენებაზე. ამიტომ მტკიცებულების ძალის მქონე შეიძლება იყოს დოკუმენტები, რომლებიც სრულად არ იქნა განადგურებული ან გაყალბებული. იურიდიული პირის ორგანოს თვითონ აქვს შენიღბვის შესაძლებლობები. იურიდიულ პირს მიკუთვნებულ პირთა დახმარების გარეშე შეუძლებელი ხდება იმის გამოძიება, კორპორაციაში თუ როგორ მიმდინარეობდა წარმოება. გარეშე პირისთვის გაუგებარი რჩება, სისხლისსამართლებრივი დევნის დეფიციტი განპირობებულია ორგანიზებული უპასუხისმგებლობით თუ მტკიცების პრობლემით[143].

12. იურიდიული პირის პასუხისმეგებლობა საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის მიხედვით

სამეწარმეო დანაშაულების თანამედროვე განვითარებიდან გამომდინარე, მრავალ ქვეყანაში აქტიური დისკუსიის საგნად იქცა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საჭიროება. წინადადება „societas delinquere non potest" დღეს არ არის საყოველთაოდ აღიარებული[144]. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივმა დასჯადობამ მსოფლიოში ფართო გავრცელება ჰპოვა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო უჭერს მხარს[145].

იურიდიული პირის დასჯადობა არსებობს ევროპის კავშირის წევრ საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი[146], ირლანდია. საზოგადოების დასჯადობას აღიარებს ასევე ნიდერლანდები (1976 წლიდან), პორტუგალია (1983 წლიდან), საფრანგეთი (1994

---

143 Mittelsdorf K., Unternehmensstrafrecht im Kontext, Heidelberg, 2007, S. 13-14.

144 Dannecker G., Zur Notwendigkeit der Einführung kriminalrechtlicher Sanktionen gegen Verbände, GA 2001, S. 101.

145 Kirch-Heim C., Sanktionen gegen Unternehmen, Berlin, 2007, S. 128.

146 Wells C., Die strafrechtliche Verantwortlichkeit von Unternehmen in England und Wales _ Sich wandelnde Vorstellungen und Gesetzesreform, ZStW 1995, S. 676.

წლიდან)[147], ფინეთი (1995 წლიდან)[148], დენემარკი (1996 წლიდან), სლოვენია (1996 წლიდან), ბელგია (1999 წლიდან), პოლონეთი (2003 წლიდან)[149]. იურიდიული პირის დასჯადობა შესაძლებელია ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, იაპონიაში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, ნორვეგიაში, ისლანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, შვედეთში (1986 წლიდან), ესპანეთში (1995 წლიდან), ჩეხეთში (2012 წლიდან)[150].

იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, ისე როგორც მეცნიერები, ქვეყნებიც ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც მიღებულია იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს, ქვეყნები, სადაც, პირიქით, უარყოფილია იგი.

12.1. საფრანგეთი

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებიდან ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც იურიდიული პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად გამოცხადდა, არის საფრანგეთი. საფრანგეთის 1992 წლის სსკ-ის პირველი წიგნის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იურიდიულ პირს შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა[151]. სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციით იურიდიული პირის დასჯადობა გათვალისწინებული იყო კოდექსის მხოლოდ განსაზღვრუ-

---

147 Zieschang F., Die strafrechtliche Verantwortlichkeit juristischer Personen im französischen Recht _ Modellcharakter für Deutschland?, ZStW 2003, S. 117; Koch B., Die Strafbarkeit juristischer Personen nach dem neuen französischen Code pénal, ZStW 1995, S. 405.

148 Lahti R., Die jüngsten Entwiklungen im finischen Strafrecht, ZStW 2003, S. 758

149 Weigend/Namyslowska-Gabrysiak, Die strafrechtliche Verantwortlichkeit juristische Personen im polnischen Recht, ZStW 2004, S. 541.

150 Heine/Weisser, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Auflage, 2014, S. 514, §25 Rn. 124; Kirch-Heim C., Sanktionen gegen Unternehmen, Berlin, 2007, S. 129-130.

151 Kirch-Heim C., Sanktionen gegen Unternehmen, Berlin, 2007, S. 131.

ლი მუხლებით[152]. იურიდიული პირის დასჯადობას ითვალისწინებდა თითქმის ყველა ქონებრივი დანაშაულისთვის, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის, გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, ნარკოტიკული დანაშაულებისთვის, დისკრიმინაციისთვის. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსმა 2005 წელს ცვლილება განიცადა და ე. წ. სპეციალურობის პრინციპი (Spezialitätsprinzip) გაუქმდა[153].

საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა იურიდიული პირის დასჯას მაშინ უშვებს, თუ დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სასარგებლოდ, მისი ორგანოების ან წარმომადგენლების მიერ. იურიდიული პირის დასჯადობისთვის საკმარისი არ არის დანაშაულის ჩადენა ჩვეულებრივი თანამშრომლის მიერ[154], რომელსაც განსაკუთრებული პოზიცია არ უკავია ორგანიზაციაში.

საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა დამნაშავის იდენტობა დასადგენი, საკამათოა. ერთ-ერთი მოსაზრებით, იურიდიულ პირს მაშინაც შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, როცა დამნაშავე არ არის იდენტიფიცირებული[155]. ანალოგიური რეგულირება მოქმედებს ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საჭიროა შესაბამისი ობიექტური და სუბიექტური წინაპირობების არსებობა. ობიექტური თვალსაზრისით, გაბატონებული შეხედულების თანახმად, იურიდიულმა პირმა მატერიალური ან არამატერიალური სარგებელი უნდა მიიღოს. სხვა შეხედულების მიხედვით კი საკმარისია, რომ წარმომადგენელი თავისი ფუნქციის ფარგლებში მოქმედებდა. სუბიექტური ნიშანი კი გულისხმობს იურიდიული პირის სარგებლობის მიზნით მოქმედებას. საკმარისი არ არის, რომ იურიდიული პირის წარმომადგენელი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის მოქმედებდა[156].

---

[152] Новый уголовный кодекс франции, «Юридический колледж МГУ», Москва, 1993.

[153] Kirch-Heim C., Sanktionen gegen Unternehmen, Berlin, 2007, S. 131-132.

[154] Kirch-Heim C., ebenda, S. 132.

[155] Kirch-Heim C., ebenda, S. 132.

[156] Kirch-Heim C., ebenda, S. 132.

საფრანგეთის სისხლის სამართალის მიხედვით, იურიდიული პირისთვის სასჯელის სახით ჯარიმაა გათვალისწინებული, რომლის მაქსიმალური ოდენობა ფიზიკური პირისთვის დადგენილი ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას ხუთჯერ შეიძლება აღემატებოდეს. ჯარიმის გარდა, სასჯელის სახით გათვალისწინებულია პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობის აკრძალვა, აგრეთვე განაჩენის საჯაროდ გამოქვეყნება[157].

განმეორებით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისას, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა ორმაგდება. თუ იურიდიული პირი მსჯავრდებული იქნა ისეთი დანაშაულის გამო, რომელზეც ფიზიკურ პირთან მიმართებით ჯარიმა გათვალისწინებული არ არის, იურიდიულ პირს ასეთ დროს შეიძლება შეეფარდოს ჯარიმა ერთ მილიონ ევრომდე ოდენობით[158].

საფრანგეთის სს კოდექსი, ერთი მხრივ, უშვებს იურიდიული პირის, მათ შორის საჯაროსამართლებრივი ფუნქციის მქონე ორგანოებისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, ხოლო მეორე მხრივ, გამორიცხავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ტერიტორიულ ერთეულებს და მათ გაერთიანებებს იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილია მათთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში[159].

12.2. ესპანეთი

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ უარყოფს აგრეთვე ესპანეთის სსკ-ც[160], რომლის 31ბ მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირი ისჯება მისი სახელით ან მის სასარგებლოდ მოქმედი მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მისი ფაქტობრივი ან სამართლებრივი მმართველის მიერ ჩადენილი დანა-

[157] Kirch-Heim C., ebenda, S. 133.

[158] Есаков Г.А., Крылова Н.Е., Серебренникова А.В., Уголовное право зарубежных стран, Москва, 2009, с. 285.

[159] Новый уголовный кодекс франции, «Юридический колледж МГУ», Москва, 1993.

[160] *ჟ. პრადელი*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, თბ., 1999, გვ. 229.

შაულისთვის[161]. ესპანური სისხლის სამართლის მკვლევარები იურიდიული პირის „ნამდვილი“ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონსტრუირების თეორიულ მცდელობას წარუმატებლად თვლიან[162]. როგორც აღნიშნავენ, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არცერთი მოდელი არის შესაძლებელი ისე, რომ სისხლის სამართლის ფუძემდებლური პრინციპები არ დაირღვეს[163]. ესპანელი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ესპანურ სსკ-ში შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის *ორი ალტერნატივა* არსებობს. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იქნას გაგებული ფორმალურად და მატერიალურად, ხოლო ამ უკანასკნელი ინტერპრეტაციით სისხლისსამართლებრივი პრინციპების აშკარა დარღვევად იქნას მიჩნეული, ასე რომ იგი შეიძლება განიმარტოს არაკონსტიტუციურად, რაც ამოღებულ უნდა იქნას სსკ-დან, ვინაიდან იგი შეუძლებელია არსებობდეს სსკ-ში, რომელიც ბრალისმიერი პრინციპის მოქმედებას განსაზღვრავს, ვინაიდან არ არსებობს სასჯელი განზრახვის და გაუფრთხილებლობის გარეშე[164]. მეორე ალტერნატივა გულისხმობს განმარტებას, რომ პასუხისმგებლობის სისტემა ფორმალურადაა სისხლისსამართლებრივი: საქმე ეხება სისტემას, რომლითაც იურიდიულ პირს სასჯელი შეეფარდება იმ დასჯად ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც განახორციელა ხელმძღვანელმა ფიზიკურმა პირმა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მნიშვნელოვანია, ვინაიდან სისხლის საპროცესო სამართალში ფიზიკური პირის პასუხისმგებლობაა გადამწყვეტი და აქედან გამომდინარე იურიდიული პირის დასჯადობის მიბმა ფიზიკური პირის ქმედებასთან შესაძლებლობას იძლევა სამართლებრივი შედეგი იურიდიულ პირს შეეფარდოს[165].

---

[161] Planas R.-R., Strafe und Juristische Person, Eine Kritik des Art. 31bis des spanischen Strafgesetzbuches, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, www.zis-online.com, 2012, #7, S. 347.

[162] Planas R.-R., დასახ. ნაშრ., გვ. 348.

[163] Planas R.-R., დასახ. ნაშრ., გვ. 359.

[164] Planas R.-R., დასახ. ნაშრ., გვ. 359.

[165] Planas R.-R., დასახ. ნაშრ., გვ. 359.

12.3. შვეიცარია

შვეიცარიაში იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შემოტანას უკავშირებენ საერთაშორისო პროცესებს, რომელიც ვითარდებოდა 1988 წლიდან მოყოლებული, როცა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში იქნა ასახული. როგორც შვეიცარიელი ავტორები მიუთითებენ, აღნიშნული საკითხი შვეიცარიაში პირველად დაჟინებით დაისვა ფულის გათეთრებაზე სპეციალური შემადგენლობის შემოტანასთან დაკავშირებით[166]. შვეიცარიის სსკ-ით იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია მას შემდეგ, რაც 2003 წლის 1 ოქტომბრის კანონით მასში ცვლილებები შევიდა. შვეიცარიის სსკ-ში იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შემოღება მოხდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რის გამოც თავისი გენერალური ფორმით უკვე აღარ მოქმედებს დებულება, რომელიც უარყოფს კორპორაციის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას მისი ბრალუუნარობის გამო[167].

შვეიცარიის სსკ-ის 102-ე მუხლით იურიდიულ პირს მაშინ ეკისრება პასუხისმგებლობა, როდესაც ორგანიზაციის მიზნებისთვის ჩადენილია დანაშაული ან გადაცდომა და ორგანიზაციის ნაკლოვანი ორგანიზების გამო ქმედება ვერცერთ ფიზიკურ პირს ვერ ერაცხება, ასეთ დროს ჩადენილი დანაშაული ან გადაცდომა ორგანიზაციას ერაცხება. აღნიშნულ შემთხვევაში იურიდიულ პირს შეიძლება დაეკისროს ხუთ მილიონამდე ფრანკის გადახდა. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა იურიდიული პირის სუბსიდიური პასუხისმგებლობა[168].

შვეიცარიული სისხლის სამართლით, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინაპირობად მიჩნეულია კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ქმედების შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელება, ხოლო ინდივიდუალური

---

166 Stratenwerth G., Wohlers W., Schweizerisches Strafgesetbuch, Handkommentar, 3. Auflage, Bern, 2013, S. 240-241, Art. 102 Rn. 1.

167 Ryser R.M., Kuchowsky N., Die Strafbarkeit des Unternehmens, Der Schweizer Treuhänder, 8/05, S. 583.

168 Stratenwerth G., Wohlers W., Schweizerisches Strafgesetbuch, Handkommentar, 3. Auflage, Bern, 2013, S. 241, Art. 102 Rn. 3.

ბრალის არსებობა საჭიროდ არ მიიჩნევა. საყურადღებო და გასაზიარებელია შვეიცარიული სსკ-ის კომენტარის ავტორთა მოსაზრება და სკეპტიციზმი იმასთან დაკავშირებით, რომ ღიად რჩება საკითხი, თუ როგორ უნდა დადგინდეს განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როცა ქმედება ფიზიკურ პირს არ ერაცხება[169].

გ. შტრატენვერტი და *ვ. ვოელერი* სწორად აღნიშნავენ, რომ ნათელი არ არის, თუ რას ნიშნავს სსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი აბზაცში ასახული შემდეგი სიტყვები: „ორგანიზაციის ნაკლოვანი ორგანიზების გამო ქმედება ვერცერთ ფიზიკურ პირს ვერ ერაცხება"[170].

სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 აბზაცით განსაზღვრული დანაშაულების განხორციელებისას, იურიდიული პირი ფიზიკური პირის დასჯისგან დამოუკიდებლად შეიძლება დაისაჯოს, თუ იურიდიულ პირს შეიძლება ესაყვედუროს, რომ ყველა საჭირო და შესაძლო ორგანიზაციული ზომა არ მიიღო აღნიშნულ დანაშაულთა თაეიდან ასაცილებლად.

დასახელებული მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად, ორგანიზაციისთვის ჯარიმის შეფარდებისას სასამართლო ითვალისწინებს ქმედების სიმძიმეს, ორგანიზაციული ნაკლის სიმძიმეს, დამდგარ ზიანს და ორგანიზაციის სამეწარმეო მმართველობის უნარს.

შვეიცარიის სსკ-ით სისხლისსამართლებრივად დასჯად იურიდიულ პირებად მოიაზრება კერძო სამართლის იურიდიული პირი, საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან მხოლოდ საოლქო ორგანო (Gebietskörperschaft), კორპორაციები და ცალკეული ფირმები.

12.4. გერმანია

იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებით სამართლის ისტორია ცვლილებებით მდიდარ სურათს წარმოგვიდგენს. მაშინ, როცა რომის სამართალი აღიარებდა პრინციპს „societas delinquere non potest", გერმანული და იტალიური სამართალი იცნობდა ადამიანთა კოლექტიური გაერთიანების სისხლისსამართლებრივ დასჯადობას. მე-19 საუკუნის დასაწყისისკენ დაიწყო დამკვიდრება აზ-

[169] Stratenwerth G., Wohlers W., ebenda, S. 241, Art. 102 Rn. 4.

[170] Stratenwerth G., Wohlers W., ebenda, S. 241, Art. 102 Rn. 5.

რმა, რომ სისხლისსამართლებრივად მხოლოდ ინდივიდი შეიძლება დასჯილიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო მნიშვნელოვნად ითვლებოდა დოგმატური და კრიმინალპოლიტიკური არგუმენტები, ვიდრე კამათი იურიდიული პირის „არსებობაზე" (ფიქციის თუ რეალურობის თეორია)[171].

მოქმედი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას არ ითვალისწინებს, რასაც სისხლის სამართლის ლიტერატურაში სხვადასხვა პოზიციიდან ასაბუთებენ. ავტორთა შეხედულებები იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის უარყოფაზე შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს: 1) შეხედულება, რომელიც იურიდიული პირის მოქმედებაუნარიანობას გამორიცხავს; 2) შეხედულება, რომელიც იურიდიული პირის ბრალუნარიანობას გამორიცხავს; 3) შეხედულება, რომელიც იურიდიული პირის სასჯელუნარიანობას უარყოფს.

12.4.1. იურიდიული პირის მოქმედებაუუნარობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართალში მოქმედებს პრინციპი „societas delinquere non potest", რაც ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციას უმართლობის განხორციელება არ შეუძლია[172]. გერმანიაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად მხოლოდ ფიზიკური პირი – ადამიანი მიიჩნევა. იურიდიულ პირს შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ვინაიდან მას არ გააჩნია მოქმედების უნარი[173] (ქმედუნარიანობა) ბუნებრივი გაგებით. იურიდიულ პირს არ შეუძლია მოქმედება, ვინაიდან იგი არის არა ადამიანი, არამედ სამართლებრივი კონსტრუქცია[174].

[171] Jescheck/Weigend, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, Berlin, 1996, S. 227, §23, VII.

[172] Krey/Esser, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, Stuttgart, 2016, S. 45, Rn. 111.

[173] Mitsch, In: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, Bielefeld, 2016, S. 101, §6 Rn. 12.

[174] Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Auflage, Stuttgart, 2016, S. 68, Rn. 198.

იურიდიული პირის ორგანო, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვალდებულია თავიდან აიცილოს იურიდიული პირის ზიანი, მაგრამ, ვალდებულების დარღვევისა და დარღვევით გამოწვეული საზიანო შედეგების შემთხვევაში, შესაძლებელია ცალკეული პირების და არა მთლიანად ორგანოს დასჯა[175].

გერმანელი მეცნიერი *ქ. ქიული* აღნიშნავს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულება აკისრია ორგანოს, რომელიც თვითონ არ არის მოქმედებაუნარიანი. ის გარანტორული ვალდებულებები, რომელიც იურიდიული პირის ორგანოს ეკისრება, არ განიხილება სისხლისსამართლებრივი გაგებით გარანტორულ ვალდებულებებად[176]. შესაბამისად, იურიდიული პირის ორგანოს პასუხისმგებლობა არ ეკისრება სისხლისსამართლებრივად, როგორც სისხლისსამართლებრივი ვალდებულების დამრღვევ გარანტორს. სისსხლისსამართლებრივი ვალდებულების დამრღვევად მხოლოდ ინდივილუალური, ფიზიკური პირი განიხილება.

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ქმედებას არ წარმოადგენს იურიდიული პირის აქტი, ვინაიდან მას აკლია ფსიქიკურსულიერი სუბსტანცია. ასეთი სუბსტანციის ქმედების განხორციელება მხოლოდ ადამიანის „ორგანოს" შეუძლია[177]. სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელების უნარის არქონაც აქედან გამომდინარეობს.

იურიდიული პირის მოქმედებაუნარიანობაზე გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არ არის ერთიანი აზრი, ისევე როგორც მისი სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მიზანშეწონილობაზე. მაშინ, როცა მეცნიერთა ნაწილი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის უარყოფას მისი მოქმედებაუუნარობით ასაბუთებს, მეორე ნაწილი არ გამორიცხავს იურიდიული პირის მოქმედების უნარს. მაგალითად, *გ. იაკობსი* თვლის, რომ ორგანოთა

---

175 Heinrich B., ebenda, Rn. 951.

176 Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Auflage, München, 2017, S. 699, §18 Rn. 78.

177 Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 262, §8 Rn. 59.

კონსტიტუციური ქმედება არის იურიდიული პირის ქმედება[178].

12.4.2. იურიდიული პირის ბრალუუნარობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის მოწინააღმდეგე გერმანელი მეცნიერები ბრალისმიერი პასუხისმგებლობის პრინციპთან (Schuldprinzip) მის შეუსაბამობაზე ამახვილებენ ყურადღებას,[179] ვინაიდან იურიდიული პირი ბრალუუნაროა[180].

როგორც გერმანულ ლიტერატურაში მიუთითებენ, ბრალი დაკავშირებულია გასაკიცხაობასთან, ვინაიდან უაყოფითი შეფასებით, განაჩენით ხდება დამნაშავის გაკიცხვა იმისთვის, რომ მან უმართლობის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ მართლზომიერად შეეძლო ემოქმედა. ბრალეული გაკიცხვის შინაგანი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი არის თავისუფალი, პასუხისმგებლობის მქონე და აქვს უნარი სამართლის სასარგებლო ან საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღოს, თავისი ქმედება სამართლებრივ მოვალეობას შეუსაბამოს და სამართლებრივად აკრძალული თავიდან აიცილოს, იქიდან როცა იგი მორალურ სიმწიფეს მიაღწევს და მანამ, სანამ თვითგამორკვევის უნარი არ იქნება ავადმყოფობით მოშლილი (პარალიზებული). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა იურიდიული პირის სოციალურ-ეთიკური გაკიცხვა? დასმულ კითხვაზე გერმანელი ავტორი უარყოფითად პასუხობს, ვინაიდან იურიდიულ პირს არ გააჩნია თვითგამორკვევა, საკუთარი მოტივაცია. ორგანიზაციის გადაწყვეტილება ეფუძნება ფიზიკურ პირთა მოტივაციის სიმრავლეს. ამიტომ, შეუძლებელია

---

[178] „Verfassungsgemässe Organhandlungen werden dadurch zu eigenen Handlungen der juristischen Person". Jakobs G., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Auflage, 6. Abschn. Rn. 44.

[179] Wessels/Beulke/Satzger, Strafrecht, AT, 46. Aufl., Heidelberg, 2016,S. 44-45, Rn. 141; Krey/Esser, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, Stuttgart, 2016, S. 45-46, Rn. 111; Peglau J., Unbeantwortete Fragen der Strafbarkeit von Personenverbänden, Zeitschrift für Rechtspolitik (ZRP), 2001, S. 407; *ჟ. პრადელი*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, თბ., 1999, გვ. 229.

[180] Mitsch, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, Bielefeld, 2016, S. 101, §6 Rn. 12.

ორგანიზაციის ბრალეული გაკიცხვა[181]. მაშასადამე, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს საქმე ეხება კოლექტიურ პასუხისმგებლობას, კოლექტიურ დასჯას[182], რაც ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს არღვევს, ვინაიდან ორგანიზაციის ცალკეული წევრი დასჯადი ქმედების მონაწილე არ იყო. იურიდიული პირის დასჯისას ავტორები შესაძლო უსამართლობაზეც უთითებენ იმ თვალსაზრისით, რომ პატარა აქციონერები, რომლებსაც საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლოთ და ვერ აიცილებდნენ თავიდან დასჯად ქმედებას, პასუხისმგებლობის თანაზიარებად გამოდიან[183].

იურიდიული პირის ბრალს გამორიცხავენ ის მეცნიერებიც, რომლებიც არ უარყოფენ იურიდიული პირის მოქმედებაუნარიანობას მათი წამომადგენლის მოქმედებიდან გამომდინარე. *გ. იაკობსი*, ერთი მხრივ, იურიდიულ პირს მიიჩნევს მოქმედებაუნარიანად, ხოლო მეორე მხრივ, თვლის, რომ იურიდიული პირის მიმართ ისეთი მდგომარეობა იქმნება ბრალთან დაკავშირებით, როგორც ბრალის გამომრიცხავი საპატიო გარემოების არსებობისას[184].

იეშეკი და *ვაიგენდი*, ისე როგორც არაერთი სხვა ავტორი, იურიდიული პირის პასუხისმგებლობას დაუშვებლად თვლის სწორედ იმის გამო, რომ იურიდიული პირი მხოლოდ მისი ორგანოს მეშვეობით მოქმედებს, მხოლოდ მისი ორგანოს მეშვეობითაა მოქმედებაუნარიანი. მათ წინააღმდეგ სოციალურეთიკურ გაკიცხვას, რომელიც სასჯელში ძევს, არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან ბრალეული გაკიცხვა მხოლოდ პასუხისმგებლური ცალკეული პირის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული და არა გაერთიანების იმ წევრების მიმართ, რომლებსაც დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა არ მიუღიათ. სისხლის სამართლის თეორიული სტრუქტურის მიხედვით, განსაკუთრებით ქმედების და ბრალის ცნებების გათ-

---

[181] Peglau J., Unbeantwortete Fragen der Strafbarkeit von Personenverbänden, Zeitschrift für Rechtspolitik (ZRP), 2001, S. 407.

[182] Peglau J., ebenda, S. 408.

[183] Peglau J., Strafbarkeit von Personenverbänden, JA (Juristische Arbeitsblätter), 2001, S. 609.

[184] Jakobs G., Strafrecht, Allgemeiner Teil, 2. Auflage, 6. Abschn. Rn. 44.

ვალისწინებით, პირთა გაერთიანების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა შეუძლებელია. კორპორაციული ქმედების სისხლისსამართლებრივი შერაცხვა მოითხოვდა „სხვა ნესებისა და კატეგორიების" შემოტანას და დანერგვას, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა საჭირო არ არის. გამართლებული კრიმინალპოლიტიკური მიზანი, გაერთიანებებს ჩამოერთვათ იურიდიულად მათი დამოუკიდებელი ქონება და მოგება, რომელიც მათ თავიანთი ორგანოების მეშვეობით მოიპოვეს, შესაძლებელია და უნდა იქნას მიღწეული არა სასჯელით, არამედ სხვაგვარად[185].

ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კონსტიტუციური ცვლილების გარეშე შეუძლებელია[186], ვინაიდან ბრალის პრინციპს კონსტიტუციური რანგი აქვს და ბრალის გარეშე სისხლისსამართლებრივი დასჯა არაკონსტიტუციურია.

არა მხოლოდ ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომებში, არამედ ასევე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც არის აღნიშნული, რომ იურიდიული პირი არ არის მოქმედებაუნარიანი. სისხლისსამართლებრივი გაგებით ბრალეული ქმედების განხორციელება მას არ შეუძლია, ბრალი მნიშვნელობას იძენს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც იურიდიული პირისთვის მოქმედებს. იურიდიული პირის მიმართაც მოქმედებს კონსტიტუციური პრინციპი: არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე. ბრალის გარეშე დასჯა იწვევს აღნიშნული პრინციპის დარღვევას[187].

ვინმეს მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი რომ დაისვას, აუცილებელია მას ქმედების განხორციელების უნარი ჰქონდეს. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ ბრალეული ქმედება შეიძლება იყოს. ბრალი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, პერსონალურ უმართლობას გულისხმობს და, შესაბამისად, გამორიცხავს კოლექტიურ პასუხისმგებლობას.

---

[185] Jescheck/Weigend, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, Berlin, 1996, S. 227, §23, VII.

[186] Krey/Esser, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, Stuttgart, 2016, S. 45-46, Rn. 111.

[187] BverfGE 20, S. 336.

როდესაც საუბარია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ჩნდება კითხვა, იურიდიული პირის დასჯადობა ქმედების თუ როგორ სამართლებრივ გაგებას შეიძლება დაეფუძნოს?

მართებულია სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მიუღებელია ქმედების ისეთი სამართლებრივი გაგებისთვის, რომელიც ქმედებას არ განიხილავს როგორც უბრალო ზემოქმედებას და უბრალო ზემოქმედებისგან სისხლისსამართლებრივი შედეგის დისტანცირებას ახდენს [188]. სისხლის სამართლისთვის მიუღებელია ქმედების ისეთი გაგება, სადაც ქმედება მოწყვეტილია იმ სუბიექტურ და ობიექტურ ელემენტებს, რომელიც ქმედებას სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას აძლევს. ერთი მხრივ, სისხლის სამართალი ფიზიკურ პირს ცნობს სისხლისსამართლებრივი ქმედების განხორციელების უნარის მქონე სუბიექტად, მაგრამ თვით ფიზიკური პირის ნებისმიერი მოძრაობა არ განიხილება ქმედებად სისხლისსამართლებრივი გაგებით, ხოლო გამოწვეული შედეგი, სისხლისსამართლებრივ შედეგად, რის გამოც მისი შერაცხვა გამოირიცხება.

ბ. შუნემანის თვალსაზრისით, ნამდვილი სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება იურიდიული პირის წინააღმდეგ დაუშვებელია, ვინაიდან იგი ხელყოფს ბრალისმიერ და თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპებს და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი თანაზომიერების პრინციპის დარღვევით არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებსაც. მისი შეხედულებით, პერსონალური ბრალის გარეშე რეალიზებადი საფრთხის პროფილაქტიკის იძულება წარმოადგენს მეწარმის თავისუფლებაში არათანაზომიერ ჩარევას[189].

იურიდიული პირის ბრალუუნარობიდან გამომდინარე, იურიდიული პირისთვის **არანამდვილი** სისხლისსამართლებრივი (იგივე ადმინისტრაციულსამართლებრივი) პასუხისმგებლობის დაკისრების

---

[188] აღნიშნულზე იხ. Maurach/Zipf, Strafrecht, Allgemeiner Teil, Teilband 1, 8. Auflage, Heidelberg, 1992, S. 189, §15 Rn. 8.

[189] Schünemann B., Die aktuelle Forderung eines Verbandsstrafrechts _ Ein kriminalpolitischer Zombie, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, www.zis-online.com, 2014, #1, S. 18.

დასაბუთება და გამართლება *შუნემანმა* ახალი კონცეფიის ჩამოყალიბებით სცადა, რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში „სამართლებრივი სიკეთის უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის მოძღვრებას"[190] უწოდებენ. *შუნემანი* იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ბრალის პრინციპის სხვა პრინციპით ჩანაცვლებას გვთავაზობს. იგი აღნიშნავს, რომ მოქმედებისუნარიანობა და ბრალუნარიანობა მხოლოდ მაშინ არის სახელმწიფოებრივი ღონისძიების გამოსაყენებლად საჭირო, როცა აღნიშნული ღონისძიება ბრალის პრინციპითაა ლეგიტიმირებული. თუ ბრალის პრინციპს ლეგიტიმაციის სხვა პრინციპი ანაცვლებს, ყველა ცნებითი არგუმენტები გამოირიცხება. ასეთ დროს მხოლოდ ის არის დასადგენი, სამართლიანობის თვალსაზრისით თუ რამდენად საკმარისია გამოყენებული ლეგიტიმაციის პრინციპი[191].

შუნემანს მცდარად მიაჩნია ორგანული თეორიის მიხედვით იურიდიული პირის ბრალეულობის დასაბუთება მისი წარმომადგენლის ბრალეული ქმედების გამო. იგი აღნიშნავს, რომ თუ ღონისძიების გამოყენების წინაპირობა ბრალია, რის გამოც მოქმედების უნარი და ნებისყოფის თავისუფლება საჭირო ხდება, ასეთი ღონისძიების გამოყენება იურიდიული პირის მიმართ ყოვლად დაუშვებელია[192].

შუნემანის თვალსაზრისით, მაშინ, როცა ფიზიკური პირის მიმართ ღონისძიების გამოყენება ბრალის პრინციპით შეიძლება იყოს ლეგიტიმირებული, იურიდიული პირის მიმართ ეს შეუძლებელია და ამიტომ ლეგიტიმაციის სხვა კრიტერიუმები უნდა მოიძებნოს, რომელიც იურიდიული პირისთვის ჯარიმის შეფარდებას ლეგიტიმაციის დამოუკიდებელი კრიტერიუმებით გაამართლებს. ლეგიტიმაციის ასეთ ბაზისად *შუნემანს* სამართლებრივი სიკეთის უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა მიაჩნია. მისი თვალსაზრისით, ბრალის პრინციპისგან დამოუკიდებლად სანქციის გამოყენება სამართლებრივი სიკეთის დასაცავად გამართლებულია მაშინ, როცა არსე-

---

190 „Die Lehre vom Rechtsgüternotstand". ob. Kirch-Heim C., Sanktionen gegen Unternehmen, Berlin, 2007, S. 167.

191 Schünemann B., Unternehmenskriminalität und Strafrecht, Köln, Berlin, Bonn, München, 1979, S. 234.

192 Schünemann B., ebenda, S. 234-235.

ბობს უკიდურესი აუცილებლობის მსგავსი მდგომარეობა. კერძოდ, როცა სამართლებრივი სიკეთის სხვაგვარად დაცვა შეუძლებელი იყო, როცა საფრთხეში მყოფი და დაცული სამართლებრივი სიკეთე მეტს იწონის, ვიდრე ორგანიზაციისთვის (იურიდიული პირისთვის) შეფარდებული ჯარიმა და თუ იურიდიული პირის მიმართ ასეთი სამართლებრივი ზომების გამოყენება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს არ ეწინააღმდეგება[193].

შუნემანის თვალსაზრისით, უკიდურესი მდგომარეობით განპირობებულ ზომას არანაირი საერთო არ აქვს ბრალად შერაცხვასთან, შეუძლებელია იგი „კვაზი ბრალდებულის" ფიქციას დაეყრდნოს, იგი ეფუძნება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის მსგავს მდგომარეობას[194].

შუნემანი ჩამოთვლის იმ კრიტერიუმებს, რომლის არსებობაც საჭიროდ მიაჩნია იურიდიული პირის მიმართ ჯარიმის შესაფარდებლად. ესენია: ნამდვილი უკიდურესი აუცილებლობა; ღონისძიების ვარგისიანობა და აუცილებლობა; თანაზომიერება[195].

იურიდიული პირისთვის ჯარიმის შეფარდების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით *შუნემანის* კონცეფციის განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ აქ საუბარია ჯარიმაზე, არა როგორც (ნამდვილ) სისხლისსამართლებრივ სასჯელზე, არამედ ჯარიმაზე, როგორც სისსხლისსამართლებრივი სასჯელის მსგავს ღონისძიებაზე, რომელიც გამოიყენება არა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე. თუმცა, აღნიშნული ღონისძიება მიიჩნევა კვაზი სისხლისსამართლებრივ ღონისძიებად და ამიტომაც არის იგი ცხოველი დისკუსიის საგანი გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც.

12.4.3. იურიდიული პირის სასჯელუუნარობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

[193] Schünemann B., ebenda, S. 235.

[194] Schünemann B., Strafrechtsdogmatische und kriminalpolitische Grundfragen der Unternehmenskriminalität, Wistra, 1982, S. 50.

[195] Schünemann B., ebenda, S. 237 და შემდეგი.

არგუმენტი, რის გამოც გერმანული სისხლის სამართალი იურიდიული პირის პასუხისმგებლობას უარყოფს, იურიდიული პირის ქმედუუნარობის და ბრალუუნარობის გარდა, არის სასჯელუუნარობაც. „იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ არც ბრალეული მოქმედება და არც სასჯელის ზემოქმედების შეგრძნება“[196]. ამდენად სასჯელი მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეიძლება შეეფარდოს.

გერმანელ ავტორთა ნაწილის აზრით, სასჯელი როგორც ტკივილი ისე უნდა იქნას განცდილი. სასჯელის მორალური გამართლება ტკივილის საკუთარი ბრალის გამო განცდაა[197].

ჰ. ი. ჰირშის თვალსაზრისით, ადამიანისგან განსხვავებით, კორპორაციას აკლია სასჯელის განცდის უნარი (Strafempfänglichkeit), ვინაიდან მას არ შეუძლია სასჯელის აღქმა. იგი წარმოადგენს აბსტრაქტული ორგანიზაციის ფორმას, რომელსაც აღქმა არ გააჩნია[198].

იურიდიულ პირს, რომელიც ხორცისგან და სისხლისგან არ შედგება, არ გააჩნია უნარი აღიქვას სასჯელი და შეიტანოს ცვლილება იმ ქმედებაში, რომელიც სასჯელს იწვევს. სასჯელით გამოწვეული ტკივილის განცდა მხოლოდ ორგანიზაციის უკან მდგომ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ[199].

იურიდიული პირის დასჯადობის იდეას აკრიტიკებს *კ. ენგიში* ერთ-ერთ თავის მოხსენებაში და თვლის, რომ დაუშვებელია კორპორაციის ცალკეული წევრი არა ბრალის ხარისხის მიხედვით, არამედ კორპორაციაში ფინანსური მონაწილეობის მიხედვით განიცდიდეს სასჯელით გამოწვეულ ტკივილს[200]. *ენგიშის* თვალსაზრისით, იურიდ-

---

[196] *მ-პ. ვასმერი*, ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, ასევე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოსა და გერმანიაში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – www.dgstz.de, 2016, №3, გვ. 31-32; *გ. ნაჭყებია*, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, გვ. 999.

[197] Kaufmann A., Das Schuldprinzip, Heidelberg, 1976, S. 201.

[198] Hirsch H-J., Strafrechtliche Verantwortlichkeit von Unternehmen, ZStW 1995, S. 296.

[199] Peglau J., Unbeantwortete Fragen der Strafbarkeit von Personenverbänden, Zeitschrift für Rechtspolitik (ZRP), 2001, S. 408.

[200] Engisch K., Referat, in: Verhandlungen des vierzigsten Deutschen Juristentages, Band II, Sitzungsberichte, Tübingen, 1954, S. E28.

იული პირის დასჯადობა წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის არსთან და არსებით ელემენტებთან. იურიდიულ პირს აკლია ის პერსონალური ნიშნები, რომლებიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობებია. მოცემულ შემთხვევაში იგი მოქმედებაუნარიანობის და ბრალუნარიანობის უქონლობას გულისხმობს. მისი თვალსაზრისით, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯა ბრალის ფიქციამდე, ბრალეულობის პრეზუმფციამდე მიგვიყვანდა, ამიტომ მას ორგანიზაციის დასჯა უსამართლოდ მიაჩნია, ვინაიდან იგი იურიდიული პირის წევრის ორმაგ დასჯას გამოიწვევდა. მისი თვალსაზრისით, კრიმინალურ-პოლიტიკურად, იმ დასჯად ქმედებათა საკითხი, რომელიც იურიდიული პირის საქმიანობის სფეროში ხორციელდება, უნდა გადაიჭრას არა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯით, არამედ სხვა სამართლებრივი მექანიზმით[201].

ენგიშის მოსაზრება გაიზიარა *ფ. ჰარტუნგმაც*, რომელიც თვლიდა, რომ ბრალის პრინციპზე დაფუძნებულ სისხლის სამართალში იურიდიული პირისთვის სასჯელის შეფარდების ადგილი არ რჩება. მოქმედებაუნარიანი და ბრალუნარიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ცოცხალი ინდივიდი. ადამიანი მხოლოდ თავისი ქმედებისთვის შეიძლება გაიკიცხოს გაკიცხვის სისხლისსამართლებრივი გაგებით. წარმოუდგენელი და უნაყოფოა ამ ცნებების მისადაგება ნებისმიერ ორგანოზე. იურიდიულ პირთან მიმართებით გვაკლია სასჯელის აღქმის უნარი, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ პირს ახასიათებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, *ჰარტუნგი*, იურიდიული პირის ბრალეული წევრების ნაცვლად მთლიანად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯას უსამართლოდ და ორჯერ დასჯის აკრძალვის პრინციპის („ne bis in idem") საწინააღმდეგოდ მიიჩნევდა[202].

12.4.4. იურიდიული პირის „ღირსება" და „ხასიათი"

---

[201] Engisch K., ebenda, E41.

[202] Hartung F., Korreferat, in: Verhandlungen des vierzigsten Deutschen Juristentages, Band II, Sitzungsberichte, Tübingen, 1954, S. E43-E44.

როდესაც საუბარია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობაზე, ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა იურიდიულ პირს ღირსება და ხასიათი. აღნიშნული საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასჯელი სამართლებრივ და ეთიკურ გაკიცხვას გულისხმობს. შესაბამისად, სასჯელმა რომ ამა თუ იმ სუბიექტზე ზეგავლენა მოახდინოს, საჭიროა იგი იყოს ღირსების მქონე, შესაბამისი უნარის, ხასიათის მატარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი შედეგს ვერ მოგვცემს. გარდა ამისა, არათანაზომიერად მკაცრი სასჯელი ღირსების ხელმყოფად განიხილება და არაკონსტიტუციურ სახეს იძენს, მაგრამ როგორ შეიძლება ღირსების დარღვევაზე ვისაუბროთ არაპროპორციულად მკაცრი სასჯელით, თუ არ გვყავს ღირსების სუბიექტი?

გაბატონებული შეხედულების და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ორგანიზაციას შეურაცხყოფის მიყენების პასიური უნარი გააჩნია, რაც თითქოსდა ორგანიზაციის დასჯის გამამართლებელ საბუთს წარმოადგენს[203]. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ საუბარია პასიურ და არა აქტიურ უნარზე. შეურაცხყოფის მიყენების პასიური უნარის ქონა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სუბიექტი სასჯელუნარიანად იქნას მიჩნეული.

სწორად აღნიშნავს *ფ. ფრაიერი*, რომ ბრალუუნაროც, რომელსაც ბრალუნარიანობა შესაბამისი ხარისხით აქვს შემცირებული, ღირსების დაცვით სარგებლობს, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს იმ დასკვნასაც, რომელიც შეურაცხყოფის მიყენების პასიური უნარიდან გამომდინარე კეთდება[204]. შეურაცხყოფა შეიძლება ბრალუუნაროსაც მიაყენონ და მიუხედავად მისი ბრალუუნარობისა, მისი ღირსების უფლება მაინც დარღვეულად იქნება მიჩნეული. გარდა იმისა, რომ ღირსების უფლება ბრალუუნარო ფიზიკურ პირსაც აქვს, პატივის უფლება გარდაცვლილსაც გააჩნია, რის გამოც მიცვალებულისადმი უპატივცემულობის, გერმანული სსკ-ის მიხედვით, აგრეთვე მიცვალებულის ხსოვნის შეურაცხყოფის, სისხლისსამართლებრივი დასჯა ხდება, მაგრამ, ბუნებრივია, გარდაცვლილი ვერ იქნება მიჩნეული სასჯელუნარიანად, სასჯელი ვერ აღსრულდება გარდაცვლილის

[203] იხ. Freier F., Kritik der Verbandstrafe, Berlin, 1998, S. 140.

[204] Freier F., ebenda, S. 141.

მიმართ. იგივე შეიძლება ითქვას იურიდიულ პირზეც.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, შეიძლება საუბარი იყოს არა მხოლოდ ერების, არამედ გაერთიანებათა, ორგანიზაციათა ღირსებაზეც[205]. თუმცა, მოცემული მსჯელობა მეტად საკამათოა და არ ემყარება სანდო არგუმენტებს.

ღირსების ცნება, ერთი მხრივ, როგორც სწორად არის აღნიშნული, მხოლოდ პიროვნულობას და მასზე დამყარებულ პიროვნულ ღირსებას ეფუძნება, რომელიც ადამიანის ადამიანურ ყოფიერებასთან, თავისუფალ და პირად პასუხისმგებლობასთან, თვითგამორკვევასთანაც არის დაკავშირებული[206].

ორგანიზაციის სისხლისსამართლებრივი დასჯის მომხრეთა არგუმენტები საკმარისად და ვარგისად არ მიაჩნია *ფ. ფრაიერს*[207], რაც სწორიც არის. იურიდიული პირი ღირსების სუბიექტად ვერ ჩაითვლება. მას აქვს არა ღირსება, არამედ რეპუტაცია. ღირსება და საქმიანი რეპუტაცია კი ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაძლებელია იურიდიული პირის რეპუტაციის და არა ღირსების შელახვა. როდესაც ცრუ ინფორმაცია ვრცელდება იურიდიული პირის მიმართ, მის მიერ წარმოებულ პროდუქციასთან დაკავშირებით, ამით იურიდიული პირის რეპუტაცია ილახება. მაშინ როცა იურიდიულ პირს რეპუტაცია გააჩნია, ღირსება, ღირსების უნარი უფრო პიროვნული და ინდივიდუალურია. შესაბამისად, მისი მატარებელი ვერ იქნება არაინდივიდუალური სუბიექტი. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მართალია, იურიდიულ პირებზეც ვრცელდება გარკვეული სახის ძირითადი უფლებები, რაც კონსტიტუციითაა გარანტირებული, მაგრამ არა ყველა უფლება. ეს ეხება ღირსების უფლებასაც. იურიდიული პირი არ არის ღირსების უფლების მატარებელი.

12.4.5. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის

[205] იხ. Hirsch H., Strafrechtliche Verantwortlichkeit von Unternehmen, ZStW 1995, S. 292.

[206] Freier F., ebenda, S. 141.

[207] Freier F., ebenda, S. 145.

სასარგებლოდ გამოთქმული მოსაზრება

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებისგან განსხვავებით, ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ იურიდიულ პირს შეუძლია ბრალეული მოქმედება. სისხლის სამართალში საქმე ეხება არა მორალურ ბრალს, არამედ სოციალურ-ნორმატიულ ბრალს, სამართლებრივ ბრალს. მართალია, გერმანული სამართლით იურიდიული პირი პასუხს აგებს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კანონმდებლობით, მაგრამ დასახელებული კანონმდებლობაც ეფუძნება ბრალის პრინციპს. შეხედულება, რომლის მიხედვითაც, იურიდიული პირი ბრალუნარიანია, შეესაბამება სოციალური ცხოვრების შერაცხვის წესსაც. მაგალითად, როდესაც იურიდიული პირი ჩაძირავს ნავთობის რეზერვუარს და ზღვას დააბინძურებს, საზოგადოება მესაკუთრეს მიიჩნევს კატასტროფის გამო პოტენციურ პასუხისმგებლობის სუბიექტად და თუ ქმედება მართლსაწინააღმდეგოდაა განხორციელებული, ხდება აღნიშნული პასუხისმგებლობის დაკისრება, რეალიზება. მოცემული შეხედულების მიხედვით, იურიდიული პირი არის მოვალეობათა ადრესატი და მოქმედებაუნარიანი[208].

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მომხრე მეცნიერები უარყოფენ იმ მოსაზრებას, რომ იურიდიული პირის დასჯადობა ამავდროულად არაბრალეული აქციონერების დასჯაა. ამ მოსაზრების მიხედვით, იურიდიულ პირებს აქვთ თავიანთი უფლებები და მოვალეობები და წარმოადგენენ დამოუკიდებელ სუბიექტს. ხოლო, რაც შეეხება აქციონერს, იგი დგას იურიდიული პირის უკან. თუმცა, აღნიშნული მოსაზრების წარმომადგენლები არ უარყოფენ იურიდიული პირის დასჯით აქციონერებისთვის გარკვეული შედეგების დადგომას, რაც გამოხატული იქნება აქციების დავარდნის სახით, მაგრამ ასეთი შედეგი ნორმალურ სამეწარმეო რისკებს ეკუთვნის, რომელიც აქციონერმა გასწია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქციების ფასის დავარდნა არ არის იურიდიული პირის დასჯის მიზანი[209].

---

[208] Kremnitzer M., Ghanayim K., Die Strafbarkeit von Unternehmen, ZStW 2001, S. 551.

[209] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda. S. 551.

განსახილველი თეორიის მიხედვით, იურიდიული პირის დასჯა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება. აღნიშნულ მიზნად მიჩნეულია დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით იმ პირთა დაშინება, რომლებიც იურიდიულ პირს ეკუთვნიან. იურიდიული პირის თანამშრომელთა დაინტერესება ხდება იმით, რომ მათმა იურიდიულმა პირმა კანონშესაბამისად იმუშაოს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში მათ სამუშაო ადგილს საფრთხე შეექმნება[210]. მოცემული მსჯელობა შეიძლება წინააღმდეგობრივი იყოს იმ თვალსაზრისით, რომ იურიდიული პირის დასჯის მიზნად იურიდიულ პირში დასაქმებულ პირთა დაშინებაა მიჩნეული, ხოლო მეორე მხრივ, იურიდიული პირის დასჯით აქციონერთა არაბრალეული დასჯა გამოირიცხება, მიუხედავად იმისა, რომ აქციონერთა დაშინება მიიღწევა აქციების ფასის დაცემის გზით. სასჯელის დამაშინებელი ფუნქცია ვერ განხორციელდება თუ მან რაიმე სახის უარყოფითი შედეგი არ გამოიწვია. ასეთ უარყოფით შედეგს წარმოადგენს აქციების ფასის დავარდნა, რაც თან ახლავს იურიდიული პირის დასჯას და ამიტომ სასჯელის ფუნქციას ძალაუნებურად იძენს.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მომხრეთა აზრით, იურიდიული პირის დასჯის მიზანი ასევე არის ორგანიზაციის თანაზომიერი შინაგანი სტრუქტურის უზრუნველყოფა, ვინაიდან ორგანიზაციის მიერ დანაშაულის ჩადენა ხშირად განპირობებულია ორგანიზაციის ატმოსფეროთი. ორგანიზაციის თანამშრომლები დანაშაულს ჩადიან იმისთვის, რომ დაწინაურდნენ და წარმატებას მიაღწიონ. დანაშაულის ჩადენის წახალისება ხდება, როცა ორგანიზაცია დაუსჯელი რჩება, განსაკუთრებით მაშინ, როცა დანაშაულის ჩადენით მიღებული მოგებით ორგანიზაცია და არაპირდაპირ თვითონ დამნაშავე სარგებლობენ. ორგანიზაციის დასჯით კი დანაშაულის ჩადენის სტიმულის ნეიტრალიზება ხდება[211].

იურიდიული პირის დასჯადობის მომხრეები სისხლის სამართალს მიიჩნევენ ერთადერთ ვარგის საშუალებად იმ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთა განხორციელებაც ორგანიზაციის საშუალებით ხდება. მაშინ, როდესაც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

[210] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda. S. 552.

[211] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda. S. 552.

სისხლის სამართლის ამოცანაა, სამოქალაქო სამართალი გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს. დასახელებულის გარდა, სამოქალაქო სამართალი სხვა სახის სანქციებს არ იცნობს. მატერიალური სახის სამართლებრივი შედეგები არ გულისხმობს გაკიცხვას და არ გააჩნია ასევე დამაშინებელი ეფექტი, მით უფრო მაშინ, როცა დანაშაულის შედეგად მისაღები მოგება ეკონომიკური თვალსაზრისით მეტია, ვიდრე მოსალოდნელი სანქცია. ამდენად, დანაშაულის პრევენცია არა სამოქალაქო სამართლის, არამედ სისხლის სამართლის მთავარი ამოცანაა[212].

ის რომ სისხლის სამართლის მთავარ ამოცანას დანაშაულის პრევენცია წარმოადგენს, საკამათო არც არის, მაგრამ პრევენცია მოითხოვს იმ წინაპირობებს, რომლის გარეშეც იგი ვერ მიიღწევა. ამ წინაპირობებიდან უმნიშვნელოვანესია შესაბამისი სუბიექტი, რომელსაც შეუძლია მოსალოდნელი სასჯელის შეფასება და მისგან თავის შეკავება. საინტერესოა, როგორ უნდა მოხდეს ორგანიზაციის მხრიდან გარკვეულ ქმედებაზე თავშეკავება? შეუძლია თუ არა მას ფიზიკური პირებისგან დამოუკიდებლად ან დასჯის საფრთხის აღქმა, შეფასება და შესაბამისად, თავშეკავება? რასაკვირველია, არ შეუძლია. მაშასადამე, სასჯელით ორგანიზაციის შეკავება კი არ ხდება მომდევნო დანაშაულებრივი ქმედებისგან, არამედ იმ ფიზიკური პირის, რომელიც ორგანიზაციაში მუშაობს. მაშინ როდესაც ყველა ფიზიკური პირი არ ისჯება ასაკის ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენია („ცოცხალი იარაღი" შუალობითი ამსრულებლობისას), დანაშაულის სუბიექტად ცხადდება ორგანიზაცია, რომელსაც არც ფსიქიკა აქვს და არც ასაკი.

პრევენციული მიზნით ორგანიზაციის დასჯადობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ ორგანიზაციიდან გათავისუფლდება ყველა ის პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და მათ ადგილს ახალი თანამშრომლები დაიკავებენ? თუ მხარს დავუჭერთ ორგანიზაციის დასჯადობას, დასმულ კითხვაზე სწორი პასუხის თანახმად, ორგანიზაციის დასჯადობა ვერ

[212] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda. S. 553.

გამოირიცხება, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული განახორციელა ორგანიზაციაში დასაქმებულმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც დასახელებულ ორგანიზაციაში მუშაობას არ აგრძელებს. თუმცა, საკითხავია საკითხის ასეთი გადაწყვეტა რამდენადაა პრევენციული მიზნით აუცილებელი და მიზანშეწონილი.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გამამართლებელი შეხედულებები ორად შეიძლება გაიყოს. თუ ერთი შეხედულება იურიდიული პირის ბრალუნარიანობასა და ქმედუნარიანობას ამტკიცებს, მეორე მოსაზრებით, მიუხედავად ბრალუუნარობისა და ქმედუუნარობისა, იურიდიული პირის დასჯა სისხლის სამართლის წესით მაინც დასაშვებია.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელ მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი იურიდიული პირის ქმედუნარიანობას, ბრალუნარიანობას და, შესაბამისად, სასჯელუნარიანობას გამორიცხავს, რის გამოხატულებადაც შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ გერმანული სსკ-ი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას არ ითვალისწინებს, ზოგიერთი მეცნიერი შედარებით ლოიალურადაა განწყობილი იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებით და თვლის, რომ იურიდიული პირის ქმედუუნარობის და ბრალუუნარობის მიუხედავად, კანონმდებელს შეუძლია სისხლისსამართლებრივი დასჯადობა გაითვალისწინოს[213].

ზოგიერთი მეცნიერი არა მხოლოდ იურიდიული პირის პასუხისმგებლობის გათვალისწინების შესაძლებლობას უშვებს, არამედ გენერალური და სპეციალური პრევენციის ასპექტებით იურიდიული პირის სასჯელუნარიანობის დასაბუთებასაც ცდილობს[214]. თუმცა, მათ მხედველობიდან რჩებათ ის ფაქტი, რომ სასჯელის პრევენციული მიზნის მისაღწევად სასჯელის აღქმაა საჭირო. თუ „დასჯილი სუბიექტი" მისთვის მისჯილ სასჯელს ვერ აღიქვამს, მას რომც ჰქონდეს დანაშაული ჩადენილი, როგორ შეიძლება მისგან მოელოდე მომავალში დანაშაულის თავიდან აცილებას? მისჯილი სასჯელით დანაშაულის პრევენციისთვის საჭიროა სასჯელის აღქმის უნარი. მართალია,

[213] Eisele, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, Bielefeld, 2016, S. 483, §16 Rn. 18.

[214] Eidam G., Straftäter Unternehmen, München, 1997, S. 121.

პრევენციულ მიზანს სასჯელის გარდა, სხვა იძულებითი ღონისძიებაც შეიძლება ემსახურებოდეს, რომელიც ბრალს არ მოითხოვს (სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება), მაგრამ თუ საუბარია პრევენციული მიზნის სასჯელით (და არა სხვა ღონისძიებით) მიღწევაზე, მაშინ საჭიროა იმ ნიშნების არსებობა, რომელიც უნდა ახასიათებდეს იმას, ვისაც სასჯელი შეიძლება შეეფარდოს.

იურიდიული პირის სასჯელუნარიანობის, თუ ბრალუნარიანობის განხილვისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, თუ რამდენად შეიძლება იგი ეთიკური ნორმის ადრესატად განიხილებოდეს, ვინაიდან სისსხლისსამართლებრივი ბრალი მორალური ბრალისგან დამოუკიდებლად არ არსებობს იმ გაგებით, რომ ის, ვინც სისხლისსამართლებრივად ბრალეულია, მორალურადაც არის ბრალეული, ვინც სისსხლისსამართლებრივად გასაკიცხ ქმედებას ჩადის, მორალურად გასაკიცხი ქმედების ჩამდენიც არის.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, ორგანიზაცია შეიძლება იყოს ეთიკური ნორმის ადრესატი. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ ის მეცნიერები, რომლებიც იურიდიული პირის დასჯადობას პრევენციულად ამართლებენ[215] და ისინიც, რომლებიც გამორიცხავენ იურიდიული პირის მიერ სასჯელის აღქმის უნარს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოჰყავთ „კონტერგანის შემთხვევა". *ჰირში* აღნიშნავს, რომ ეთიკურად ირელევანტური არ არის, როცა სამეწარმეო ორგანიზაცია წინასწარი შემოწმების გარეშე აწარმოებს საძილე საშუალებას, რომელიც (ორსულ ქალებში) ემბრიონის დაზიანებას იწვევს, რის გამოც ბავშვი ჯანმრთელობის პრობლემით იბადება[216]. იურიდიული პირის მხრიდან ეთიკური ნორმის დარღვევაზე საუბარი, ერთი მხრივ, მისი ბრალეულობის დასადგენად კარგ ნიადაგს ქმნის, მაგრამ იგი მაინც არ არის საკმარისი იურიდიული პირის სასჯელუნარიანობის დასასაბუთებლად.

იურიდიული პირის დასჯადობის სასარგებლოდ გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, ინდივიდის დასჯა კორპორაციაში საკმარისი არ არის, ვინაიდან, როგორც წესი, ქმედებით გამოწვეული ზიანი

---

[215] Eidam G., ebenda, S. 121.

[216] Hirsch H-J., Strafrechtliche Verantwortlichkeit von Unternehmen, ZStW 1995, S. 295-296.

მაღალია, ხოლო უმართლობის ხარისხი მძიმე, რის გამოც მხოლოდ ინდივიდის დასჯა ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენას. გარდა ამისა, მოქმედება ორგანიზაციაში უფრო დიდ საფრთხეს ქმნის, ვიდრე მარტო ერთპიროვნული ამსრულებლობის კლასიკურ შემთხვევაში[217].

12.4.6. ჰაინერ ალვარტის კონცეფცია იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებით

ჰ. ალვარტი თავის ნაშრომში იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გერმანიის სსკ-ში სპეციალური შემადგენლობის შემოტანას უჭერს მხარს, სადაც იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოდგენილი იქნება საზოგადოებისთვის საფრთხის შემქმნელ დანაშაულად. მას კოლექტიური შერაცხვისთვის აუცილებლად მიაჩნია სპეციალური შემადგენლობის შემოტანა. ავტორის თვალსაზრისით, კოლექტიური შერაცხვის დასაბუთება მხოლოდ დელიქტის ტიპის შექმნით არის შესაძლებელი[218]. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ავტორი ასეთი შემადგენლობის შემოტანით მხარს უჭერდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯას არა ნებისმიერი დანაშაულისთვის, არამედ განსაზღვრული ტიპის ქმედებებისთვის. მათ შორის, გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის[219].

იურიდიული პირის პასუხისმგებლობისთვის სსკ-ში სპეციალური შემადგენლობის შემოტანა მეტად არის გამართლებული, ვინაიდან იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდეს სისხლისსამართლებრივი პრინცი-

---

[217] Mittelsdorf K., Unternehmensstrafrecht im Kontext, Heidelberg, 2007, S. 10.

[218] ისეთი ტიპის დელიქტს, რომლის შემოტანას *ჰ. ალვარტი* იურიდიული პირის დასასჯელად მიზანშეწონილად თვლის, შეიძლება შევადაროთ ის შემადგენლობები, რომელიც ჯგუფურ მოქმედებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ბანდიტიზმი, შეიარაღებული ფორმირების შექმნა და მასში მონაწილეობა, ე. წ. კანონიერი ქურდობა, ქურდული სამყაროს წევრობა და სხვა.

[219] Alwart H., Strafrechtliche Haftung des Unternehmens _ vom Unternehmenstäter zum Täterunternehmen, ZStW 1993, S. 769.

პების დაცვით. მსგავსი შემადგენლობის საშუალებით იურიდიული პირის დასჯა ბანდის სისხლისსამართლებრივი დასჯის მსგავსია. გასათვალისწინებელია ის, რომ *ჰ. ალვარტი* იურიდიული პირის დასჯადობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტის ტიპის შემოტანას უჭერს მხარს, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირის საშუალებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფი დანაშაულის ჩადენას. მაშასადამე, საქმე ეხება ისეთ შემადგენლობას, რომელიც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაშიც უშვებს სამართალდამრღვევის დასჯას არა ხელყოფისთვის, არამედ საფრთხის შექმნისთვის. ასეთი ტიპის დელიქტი იწვევს ასოციაციას 225-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან. აღნიშნული ნორმა აწესებს პასუხისმგებლობას ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობისთვის. აღნიშნული შემადგენლობა ფორმალური ანუ შედეგგარეშე დანაშაულის შემადგენლობაა. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფურ ძალადობას შეიძლება სხვისი ნივთის, ქონების დაზიანება-განადგურება მოჰყვეს, მოსამართლეს მაინც არ მოეთხოვება იმის დადგენა, თუ ვისმა ქმედებამ გამოიწვია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ქმედების შესაბამისი ნორმით კვალიფიკაციისთვის საკმარისია იმის გარკვევაც, რომ ჯგუფური ძალადობის დროს კონკრეტული პირი დანაშაულის ჩადენის ადგილზე იმყოფებოდა როგორც ჯგუფის წევრი.

ჰ. ალვარტის მიერ იურიდიული პირის დასჯის მიზნით შემოთავაზებული შემადგენლობა იმით გავს საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რომ ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ორგანიზებული ფორმით, ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას; ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ასევე საფრთხის შემქნელ დელიქტს, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ჰ. ალვარტის კონცეფცია, იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებით, ეყრდნობა სუბსიდიური პასუხისმგებლობის მოდელს, რომელიც კოლექტივის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპს ემყარება, რაც გულისხმობს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საყრდენი ბაზისი მხოლოდ ინდივიდუალური

შერაცხვა არ არის. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, სისხლის სამართალი ინდივიდუალურის გარდა კოლექტიურ შერაცხვასაც იცნობს[220]. თუმცა, სასჯელთან და გაკიცხვასთან დაკავშირებული ინდივიდუალური შერაცხვის ცენტრალური მნიშვნელობა ხელშეუხებელი რჩება[221]. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი ისევ რჩება სისხლის სამართლის მთავარ ქვაკუთხედად. მისი მნიშვნელობა მანამ დარჩება სისხლის სამართლისთვის არსებით პრინციპად, სანამ თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. ვინაიდან ბრალი პერსონალურია, ბრალეული პასუხისმგებლობაც ინდივიდუალურ, პერსონალურ პასუხისმგებლობას განუყრელად უკავშირდება.

სუბსიდიარული პასუხისმგებლობისგან განსხვავდება აქცესორული პასუხისმგებლობის მოდელი. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციული უმართლობა არის მცირე სისხლისსამართლებრივი უმართლობა, ხოლო დანაშაული გაზრდილი ადმინისტრაციულსამართლებრივი უმართლობა. პასუხისმგებლობის აქცესორული მოდელი ასევე გულისხმობს სანქციების ორბუნებოვნებას. მაგალითად, ჯარიმა გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული გადაცდომის, ისე დანაშაულის ჩადენისას ანუ როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართალში[222].

12.4.7. იურიდიული პირი როგორც პირადი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღებისთვის ვარგისი სუბიექტი?

როდესაც საუბარია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა იურიდიულ პირს გაცნობიერებულად და პირადი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღება? აღნიშნული საკითხის გარკვევა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დასახელებული კომპონენტები მნიშვნელოვანია განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

---

[220] Alwart H., ebenda, S. 755.

[221] Alwart H., ebenda, S. 758.

[222] Alwart H., ebenda, S. 765.

კ. მიტელსდორფის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, იურიდიულ პირს არ გააჩნია გაცნობიერებულად და პირადი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღების უნარი, მაგრამ ორგანიზაცია, როგორც სისტემა არ უნდა შეფასდეს იმავე კრიტერიუმებით, როგორც ინდივიდი[223].

იურიდიული პირი, მისი სუბსტანციიდან გამომდინარე, მოკლებულია პირადი პასუხისმგებლობით გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს, ვინაიდან ასეთი უნარი მხოლოდ ფიზიკურ პირს აქვს. მაშასადამე, პირადი პასუხისმგებლობით მოქმედება იმ ფიზიკურ პირს შეუძლია, რომელიც ორგანიზაციაში საქმიანობს და იურიდიული პირის სახელით მოქმედებს. შეუძლებელია პირადი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღების უნარი გააჩნდეს ორგანიზაციას, სადაც გადაწყვეტილება ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა მიერ კოლექტიურად მიიღება.

იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გასავრცელებლად განსხვავებული კრიტერიუმების დადგენა, საკამათოა იმდენად, რამდენადაც პირადი, ინდივიდუალური და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპები თავის მნიშვნელობას დაკარგავს თუ მათი მოქმედება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე გავრცელდება. აღნიშნული პრინციპების არსი ის არის, რომ არ მოხდეს სისხლისსამართლებრივი დასჯა არაბრალეულად და კოლექტიურად. იურიდიული პირის ბრალზე საუბარი იგივე „კოლექტიურ ბრალზე" საუბარს გულისხმობს.

კ. მიტელსდორფი და ზოგიერთი სხვა ავტორი, ცდილობს, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაამართლოს ორგანიზაციის „ხასიათით", ორგანიზაციის სტრუქტურით და ფილოსოფიით (კულტურით). ამავე მოსაზრებით, ორგანიზაციის ხასიათი სოციალურეთიკური შეფასების შესაძლებლობას იძლევა და ამიტომ დასაშვებია ორგანიზაციის გაკიცხვა[224]. *მიტელსდორფი* სისტემათა პასუხისმგებლობის კონცეფციას მიიჩნევს ვარგისად იმისთვის, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობის

---

223 Mittelsdorf K., Unternehmensstrafrecht im Kontext, Heidelberg, 2007, S. 28.

224 Mittelsdorf K., ebenda, S. 29.

დასაბუთებისთვის მოიძებნოს გამოსავალი[225]. მისი თვალსაზრისით, ორგანიზაცია ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ გააკონტროლოს თავისი ქმედება, შეუძლია თუ არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის თავიდან აცილება[226].

მიტელსდორფი ცხოველებისგან და მცენარეებისგან (რომლებიც არ არიან ბრალუნარიანი, პასუხისმგებლობაუნარიანი) იურიდიულ პირებს მიჯნავს არა საბუნებისმეტყველო კანონზომიერებებით, არამედ ორგანიზაციის სტრუქტურით, ორგანიზაციის სპეციფიკის განმსაზღვრელი ფაქტორით, რომელიც ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღებასთანაა დაკავშირებული[227]. მოცემულ შემთხვევაში, აქცენტი კეთდება არა „ორგანიზაციის მიერ" გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გადაწყვეტილების მიღებაზე ორგანიზაციაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაცია კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ ორგანიზაციის თანამშრომელი.

მიტელსდორფი იურიდიული პირის დასჯადობის საფუძვლებს იურიდიული პირის რეორგანიზაციის პირობებშიც არ გამორიცხავს და თვლის, რომ რეორგანიზაციის მიუხედავად იურიდიული პირი მაინც არ კარგავს იმ თვისებებს, რომელსაც მისი დასჯადობა დაეფუძნება[228].

იურიდიული პირის რეორგანიზაცია და მისი მნიშვნელობა იურიდიული პირის დასჯადობის საკითხთან მიმართებით მართლაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან რეორგანიზაციის პირობებში შეიძლება მუშაობას არ აგძელებდნენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც იურიდიული პირის სახელით მოქმედებდნენ და თუ მართლსაწინააღმდეგო პირები ორგანიზაციაში არ აგრძელებენ მუშაობას, ჩნდება კითხვა, თუ რას ემსახურება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯა მისი რეორგანიზაციის მიუხედავად, რამდენად საჭიროა, მიზანშეწონილია იგი პრევენციული მიზნით.

როგორც *კ. მიტელსდორფი* აღნიშნავს, დასჯის პრევენციული საჭიროება ინდივიდუალურ პირთა მიმართაც არ არის სისხლის

[225] Mittelsdorf K., ebenda, S. 31.

[226] Mittelsdorf K., ebenda, S. 30-31.

[227] Mittelsdorf K., ebenda, S. 30.

[228] Mittelsdorf K., ebenda, S. 29.

სამართალში მაიძულებელი მოთხოვნა (zwingendes Erfordernis) და მიუთითებს „კედლის მცველთა“ დასჯის შემთხვევას[229], როცა „კედლის მცველები“ დაექვემდებარნენ სისხლისსამართლებრივ დასჯას პრევენციული თვალსაზრისით დასჯის აუცილებლობის არარსებობის მიუხედავად, რაც სამართლიანობის აღდგენის საჭიროებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ დასახელებულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა გამორჩეული სიმძიმის დანაშაულს, ადამიანთა მკლელობას საზღვრის უნებართვოდ გადაკვეთის გამო, რაც სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იყო აყვანილი და ჰქონდა მასობრივი ხასიათი. თანამედროვე, პრევენციულ სისხლის სამართალში პრევენცია მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სამართლიანობის აღდგენაც პრევენციასთან კავშირში განიხილება, როგორც პრევენციის მიღწევის წინაპირობა. ძალიან იშვიათ შემთხვევებში შეიძლება სასჯელის აუცილებლობა პრევენციის გარეშე იქნას განხილული, თუმცა ასეთ იშვიათ შემთხვევად არ უნდა განვიხილოთ იურიდიული პირის დასჯადობა. დასჯა თუნდაც მხოლოდ სამართლიანობის აღდგენისთვის, პრევენციული აუცილებლობის გარეშე, გულისხმობს, სულ მცირე, დასჯას დანაშაულის განხორციელების გამო. დანაშაულის განხორციელება კი შესაბამის სუბიექტს მოითხოვს, რომელსაც ექნება ის თვისებები, რაც საჭიროა დანაშაულის ჩასადენად, მათ შორის, პირადი პასუხისმგებლობით გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.

12.4.8. „ორგანიზებული უპასუხისმგებლობა“ როგორც „კოლექტიური შერაცხვის“ საფუძველი?

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ისეთ პრობლემასაც უკავშირდება, როგორიცაა შერაცხვა. იმისთვის, რომ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, მას უნდა დაუდგინდეს ის საფუძვლები, რაც შესაძლებელს გახდის უმართლობის ბრალად შერაცხვას. ჩნდება კითხვა, რა შეიძლება იყოს ის, რასაც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობისას უმართლობის

[229] Mittelsdorf K., ebenda, S. 29.

ბრალად შერაცხვა დაეფუძნება?

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მომხრეთა მიერ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, მოცემულ შემთხვევაში შერაცხვასთან დაკავშირებულ პრობლემას წყვეტს ეგრეთ წოდებული ორგანიზებული უპასუხისმგებლობა („organisierte Unverantwortlichkeit"). ორგანიზებული უპასუხისმგებლობის კონცეფციის გამოყენების მიზანშეწონილობაზე მიუთითებენ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პასუხისმგებელი ინდივიდუალური პირი ვერ დგინდება და სამართლებრივი სიკეთის დასჯადი ხელყოფის სანქციონირება შეუძლებელი ხდება. უმართლობის შერაცხვა იურიდიულ პირს მიკუთვნებული ფიზიკური პირისთვის შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა და ბრალი ვერცერთ ფიზიკურ პირს ვერ უდგინდება[230].

კოლექტიური შერაცხვის ფენომენის მიზეზად განიხილავენ იურიდიული პირის საქმიანობაში სამუშაოს გადანაწილებას. ჰორიზონტალური მმართველობის სისტემა მმართველებს აძლევს ქვედა რგოლზე მყოფ პირებზე ბატონობის შესაძლებლობას. ხოლო, დეცენტრალიზებულ ორგანიზაციაში პასუხისმგებლობა ისე მკაცრად არის გადანაწილებული, რომ ცალკეულ პირთა მხრიდან საკუთარი გადაწყვეტილების შედეგების გადახედვის დეფიციტი არსებობს. საქმე ეხება სისტემურ პროცესს, რამაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გამოიწვია. დამდგარი შედეგი არ არის ცალკეული ინდივიდის პროდუქტი[231].

ქმედების სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საწარმოს შიდა ინფორმაცია და მასზე ხელმისაწვდომობა. ზედა იერარქიულ საფეხურზე მყოფმა პირებმა თავიანთი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ქვედა საფეხურზე მყოფ პირებს. თუმცა, ფაქტობრივად, ადგილი აქვს მხოლოდ პოზიტიური ინფორმაციის მიწოდებას და ე. წ. ინფორმაციის ფილტრაციას, საჭირო ინფორმაციის ნაკლებობას ქვედა დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ინფორმირებულობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული

[230] Mittelsdorf K., ebenda, S. 11.

[231] Mittelsdorf K., ebenda, S. 11.

პრობლემები შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას. ამ კუთხით გამოარჩევენ გარემოს დაცვის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს[232].

მაშინ როდესაც ადგილი აქვს განზრახ განხორციელებული უმართლობის ბრალად შერაცხვას, შერაცხვისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას, სუბიექტური თვალსაზრისით, წარმოადგენს ინფორმაციის ქონა იმ შედეგებზე, რომელიც მოჰყვება კონკრეტულ მოქმედებას, გადაწყვეტილების მიღებას. თუ აღნიშნული ნიშანი სახეზე არ არის, იქმნება პრობლემა სუბიექტური შერაცხვის თვალსაზრისით. რაც შეეხება განუზრახველობას, გაუფრთხილებლობას, იგი ცოდნის შესაძლებლობას მაინც მოითხოვს, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ასეთ შესაძლებლობაზე საუბარი, როცა ორგანიზაციის შიგნით არ ხდება თანამშრომელთა ინფორმირება.

კ. მიტელსდორფის თვალსაზრისით, ორგანიზებული უპასუხისმგებლობის ზომა დამოკიდებულია ორგანიზაციის შიგნით სამუშაოს გადანაწილებაზე და მმართველობის დეცენტრალიზებაზე. რაც უფრო მაღალია სამუშაოს გადანაწილება და დეცენტრალიზაცია, მ̣ით მეტად შეიძლება გამოვლინდეს ორგანიზებული უპასუხისმგებლობა. მარტივ იერარქიაში ტენდენციურად იშვიათად ხდება ინდივიდის პასუხისმგებლობის შენიღბვა. ამასთან ერთად, განასხვავებენ დანაშაულებს, რომელიც მმართველობის სფეროში ხორციელდება და დანაშაულებს, რომელიც ორგანიზაციის ქვედა დონეზე ხორციელდება. პირველი ჯგუფის დელიქტებში შედარებით სწრაფად ხდება გამოძიება, ხოლო მეორე ტიპის დელიქტებში საქმე ეხება სავარაუდოდ მაღალი დონის კოლექტიურ უპასუხისმგებლობას. ასეთი ტიპის დელიქტებს მიაკუთვნებენ გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით ჩადენილ დანაშაულებს. ასეთ სფეროებში მუშაობის პროცესში, როგორც წესი, ორგანიზაციის ბევრი განყოფილება ერთად მუშაობს, ამიტომ ორგანიზაციაში ფუნქციონალური დიფერენცირება და დეცენტრალიზება განსაკუთრებით შესამჩნევია[233].

ზემოთ მოცემული მსჯელობიდან ირკვევა, რომ იურიდიული

[232] Mittelsdorf K., ebenda, S. 11-12.

[233] Mittelsdorf K., ebenda, S. 13.

პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მომხრეები აღნიშნულ კონცეფციას ამართლებენ მრავალრიცხოვან ორგანიზაციაში პასუხისმგებელი კონკრეტული ინდივიდის გამოვლენის სირთულით და აღნიშნული სირთულის დასაძლევად მიმართავენ „კოლექტიური უპასუხისმგებლობის" ფენომენს, რომლის მიხედვითაც დამდგარი ზიანისთვის მხოლოდ ერთი ინდივიდი კი არ არის პასუხისმგებელი, არამედ მთელი კოლექტივი, ვინაიდან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა განიხილება „კოლექტიური უპასუხისმგებლობის" შედეგად. „კოლექტიური უპასუხისმგებლობა" კი არის ის, რასაც ეფუძნება „კოლექტიური შერაცხვა".

თუ საუბარია ინდივიდუალური შერაცხვის ჩანაცვლებაზე კოლექტიური შერაცხვით, სახეზე უნდა იყოს ის წინაპირობები, რომელიც იქნებოდა ე.წ. კოლექტიური შერაცხვის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმეება, სულ მცირე, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები. იქ სადაც არ არსებობს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის დასადგენად საჭირო მინიმალური წინაპირობები, რთულია ისაუბრო თუნდაც ე. წ. „კოლექტიურ შერაცხვაზე". ქმედების სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობის გარეშე „კოლექტიური შერაცხვა" იგივეა, რაც კოლექტიური ბრალი.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება „ტყავის საწმენდი სითხის შემთხვევაზე". უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, მსჯავრდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია ტყავის საწმენდმა სითხემ, რომელსაც აწარმოებდა ის ორგანიზაცია, რომელშიც მსჯავრდებულს მმართველის თანამდებობა ეკავა და მსჯავრდებულის მმართველობაში მყოფმა ფირმებმა ბრუნვაში გაუშვეს დამაზიანებელი საქონელი. უზენაესი სასამართლო დანაშაულის მოქმედებით განხორციელებაზე მიუთითებს, ვინაიდან ზიანი დადგა ტყავის საწმენდი სითხის წარმოებით და მომხმარებლებისთვის მიწოდებით. უზენაესმა სასამართლომ ორგანიზაციის მიზნებისთვის პროდუქციის წარმოება ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მათ საკუთარ, პირად ქმედებად

შერაცხა. ორგანიზაციის ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობა მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისთვის დაეკისრათ[234]. აღნიშნული გადაწყვეტილება მრავალმხრივ არის საინტერესო. ერთი მხრივ, საინტერესოა იმიტომ, რომ გადაწყვეტილების მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ ორგანიზაციების (სამი) ხელმძღვანელებს და არა ორგანიზაციებს, ვინაიდან გერმანიის სისხლის სამართალი ორგანიზაციის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ უშვებს, ხოლო მეორე მხრივ, გადაწყვეტილება იმ მხრივაც იპყრობს ყურადღებას, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას ხაზი გაუსვა მსჯავრდებულთა თანამდებობას და ფუნქციებს ორგანიზაციაში.

12.4.9. მონაცვლეობითი პასუხისმგებლობის თეორია

იურიდიული პირის დასჯადობის გამართლებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული შეხედულებებიდან ერთ-ერთია მონაცვლეობითი პასუხისმგებლობის თეორია. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ისჯება დანაშაულისთვის, ქმედების განხორციელებაში მისი დახმარებისა და მონაწილეობისთვის, მაშინაც კი, როცა დასჯადი ქმედების განხორციელება არ ჰქონდა განზრახული და როცა ორგანიზაციის ხელმძღვანელს მკაფიოდ ჰქონდა აკრძალული კონკრეტული ქმედების განხორციელება. მონაცვლეობითი მართლმსაჯულება ეფუძნება სამოქალაქოსამართლებრივ პრინციპს **„qui facit per alium facit per se“**, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაციის ხელმძღვანელი მისი მონაწილეობით გამოწვეული ზიანის გამო ისჯება. მონაცვლეობითი პასუხისმგებლობის პრინციპი ორგანიზაციის ხელმძღვანელის დასჯადობას უკავშირებს სამსახურში წინდახედულობის ნორმების დაუცველობას, რაც დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს. მაშასადამე, მონაცვლეობითი პასუხისმგებლობა მოითხოვს და მისი მიზანია მეწარმეობაში წინდახედულობის თანაზომიერი სტანდარტების დაცვა[235].

---

[234] BGHSt 37, S. 113-114.

[235] Kremnitzer M., Ghanayim K., Die Strafbarkeit von Unternehmen, ZStW 2001, S. 542.

მონაცვლეობითი პასუხისმგებლობა მკაცრად აქცესორულია, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ფიზიკური პირის, დამხმარის პასუხისმგებლობაზე, ხოლო უმართლობის სიმძიმე მის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელის დასჯა შეუძლებელია, როცა დამხმარის პასუხისმგებლობა რომელიმე გარემოებით გამოირიცხება[236]. თუმცა, მონაცვლეობითი პასუხისმგებლობის სუბსიდიარულობიდან გამომდინარე, იგი გამორიცხულია, როცა ორგანიზაციის ხელმძღვანელი უშუალოდ აგებს პასუხს ჩადენილი ქმედებისთვის[237].

მონაცვლეობითი პასუხისმგებლობის პრინციპი კავშირშია აბსოლუტური პასუხისმგებლობის თვალსაზრისთან, რომლის მიხედვითაც ქმედების უშუალოდ განხორციელება ან ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შესრულება არ არის აუცილებელი[238] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის, განსხვავებით სხვა ორდინალური შემთხვევებისგან, სადაც დასახელებული წინაპირობების გარეშე სისხლისსამართლებრივი დასჯადობა გამოირიცხება.

მონაცვლეობითი პასუხისმგებლობა გულისხმობს იურიდიული პირის დასჯას იურიდიული პირისთვის მოქმედი პირის ქმედებისთვის, ამიტომ აქ საუბარი არ არის იურიდიული პირის ქმედებასა და განზრახვაზე, არამედ იურიდიული პირისთვის მოქმედი პირის ქმედებასა და განზრახვაზე. ის, რომ იურიდიული პირის დასჯადობა ეფუძნება არა იურიდიული პირის, არამედ მისთვის მოქმედი პირის ქმედებას და განზრახვას, ცალკეულ ავტორთა მიერ მართლდება იმით, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია ფსიქიკა ადამიანის მსგავსად, ამდენად ვერც განზრახვა ექნება[239]. განზრახვა სისხლისსამართლებრივი გაგებითაც ინტელექტთან და ფსიქიკასთანაა დაკავშირებული, ვინაიდან განზრახვის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტელექტუალური და ვოლუნტატური ელემენტები. იქ, სადაც ინტელექტი და ფსიქიკა არ არსებობს, ვერც ინტელექტუალური და ფსიქიკური ელემენტების არსებობა შემოწმდება, რაც განზრახვას თავისთავად

[236] მოცემულ შემთხვევაში, დამხმარეა ის, ვინც ორგანიზაციაშია დასაქმებული.

[237] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 543.

[238] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 543.

[239] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 543-544.

გამორიცხავს.

ფსიქიკური ელემენტი, არა მხოლოდ განზრახვის ფორმირებისთვის, არამედ ბრალის ხარისხის დადგენისთვისაც არის მნიშვნელოვანი. კერძოდ, შეზღუდული შერაცხადობის საკითხის გასარკვევად, მაგრამ იურიდიული პირის მიმართ აღნიშნული საკითხი არც შეიძლება დაისვას, ისევ და ისევ ფსიქიკის არარსებობის გამო. ბრალის თუ მისი ხარისხის გასარკვევად ფსიქიკის გარდა, ინტელექტუალური მომენტიც მნიშვნელოვანია. მაგალითად, მართლწინააღმდეგობის შეგნება. თუმცა, ინტელექტის არმქონე იურიდიული პირის მიმართ ვერც აღნიშნული ნიშანი ვერ შემოწმდება.

განსახილველი თეორიის მიხედვით, იურიდიულ პირებს აქვთ უფლებები, მაგრამ აგრეთვე მოვალეობებიც, როგორიცაა მაგალითად, მართებული, კანონიერი საბუღალტრო ოპერაციები, ისეთი ქმედებებისგან თავის შეკავება, რაც საზოგადოების კეთილდღეობისთვის საფრთხის შემქმნელია. იმ ფიზიკურ პირთა ქმედება, რომლებიც იურიდიული პირისთვის მოქმედებენ, იურიდიულ პირებს მიეწერება. თუ იურიდიული პირი საჯარო წესრიგისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ მოქმედებს დასჯადად, არც განზრახვის და არც გაუფრთხილებლობის არსებობა არ არის აუცილებელი[240].

განზრახვის და გაუფრთხილებლობის გარეშე იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მიუღებელია. როდესაც ამა თუ იმ სუბიექტს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად განვიხილავთ, იმასაც ვუშვებთ, რომ მას შეუძლია მოქმედება როგორც განზრახ, ისე განზრახვის გარეშე/გაუფრთხილებლობით. უცნაური იქნებოდა პასუხისმგებლობის სუბიექტად ისეთი სუბიექტი გვეღიარებინა, რომელსაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოქმედება არ შეუძლია. არ არსებობს დანაშაულის ფორმა, რომელიც არც განზრახ ხორციელდება და არც გაუფრთხილებლობით.

12.4.10. იდენტიფიკაციის თეორია

[240] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 544.

იდენტიფიკაციის თეორიის თანახმად, იურიდიული პირი მხოლოდ იმ ქმედებისთვისაა პასუხისმგებელი, რომელიც განახორციელეს მისმა ორგანოებმა და პასუხისმგებელმა პირებმა, რომლებიც არიან იურიდიული პირის ტვინი და იურიდიულ პირს წარმოადგენენ ურთიერთობაში. იურიდიული პირის მმართველობითი ორგანო გაგებულია როგორც მისი „ალტერ ეგო". აღნიშნული თეორიის ფესვები ინგლისურ სამოქალაქო სამართალშია გადგმული. აღნიშნული თეორია სისხლის სამართლის საქმეზე პირველად 1944 წელს იქნა გამოყენებული. აღნიშნული თეორიის მიხედვით, იურიდიული პირის ორგანო მისი ტვინია და ამიტომ მისი ქმედება და ბრალი თვით იურიდიულ პირს შეერაცხება. მაშასადამე, აღნიშნული თეორიის მიხედვით, ყურადღება ექცევა იმას, თუ ვინ არის სამართალდარღვევის ჩამდენი. მაგალითად, როდესაც სამართალდარღვევის ჩამდენია ორგანიზაციაში დასაქმებული ერთი რიგითი თანამშრომელი, მისი ქმედებისთვის იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ასეთ დროს იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის გადაკისრებას უსამართლოდ მიიჩნევენ. რიგით თანამშრომელს ორგანიზაციაში ბევრად ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე იურიდიული პირის მმართველობით ორგანოს. გარდა ამისა, რიგითი თანამშრომლის დანიშვნასა თუ არჩევაში იურიდიული პირი ნაკლებ პასუხისმგებლობას იღებს, ვიდრე ორგანოების შემთხვევაში. შესაბამისად, იურიდიულ პირს მიეწერება ის ქმედებები, რომელიც იმ ორგანოს მიერაა განხორციელებული, რომლის ფორმირებაშიც იურიდიულ პირს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება [241]. ანალოგიურადაა საკითხი გადაწყვეტილი ქართული სსკ-თაც, რომლის მიხედვითაც, იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა ორგანიზაციაში დასაქმებული ნებისმიერი პირის ქმედებისთვის კი არ ეკისრება, არამედ მხოლოდ ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირთა ქმედებისთვის, რომელიც იურიდიული პირის სახელით, მის სასარგებლოდ ან მის მეშვეობითაა განხორციელებული.

ორგანოთა თეორია ორ სხვადასხვა მიმართულებად შეიძლება დაიყოს. შეიძლება ითქვას, რომ ორი განსხვავებული შეხედულება

[241] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 549-550.

განვითარდა ორგანოთა თეორიის ფარგლებში. ერთი ვიწრო შეხედულებით, იურიდიული პირი ორგანოს მხოლოდ იმ ქმედებისთვის აგებს პასუხს, რომელიც მისი საქმიანობის განხორციელების დროს არის ჩადენილი, ხოლო მეორე, ფართო შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ქმედებისთვისაც, რომელიც ორგანოს მიერ იურიდიული პირის სახელითაა ჩადენილი და რომლის მიზეზებიც ორგანოს საქმიანობაში დევს[242]. როგორც ჩანს, ქართველმა კანონმდებელმა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობაზე ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ იგი სწორედ ამ მეორე შეხედულებას შეესაბამება, რამდენადაც იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა მისი სახელით ჩადენილი ქმედებისთვისაც ეკისრება.

12.4.11. იურიდიული პირი, როგორც სამართლიანობის აღდგენის მიზნის მისაღწევად ვარგისი სუბიექტი?

იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, თუ სასჯელი სამართლიანი სამაგიეროს მიზღვის ფუნქციასაც ასრულებს, იურიდიულ პირს რამდენად შეუძლია, ზღოს სამაგიერო განხორციელებულ დასჯად ქმედებასთან დაკავშირებით?

იურიდიული პირი მოკლებულია სამაგიეროს ზღვევის უნარს, ვინაიდან იგი გულისხმობს დამნაშავის მიერ მისთვის შეფარდებული სასჯელის სამართლიანად მიჩნევას, რაც *როქსინის* თვალსაზრისით, განხორციელებული ქმედების ფსიქოლოგიურად გადამუშავებას ნიშნავს. თუმცა, *როქსინი* სახელმწიფოებრივი სასჯელის ლეგიტიმაციის საფუძვლად სამაგიეროს ზღვევას არ მიიჩნევს, რამდენადაც ის პროცესები, რაც სამართლიან სამაგიეროს მიზღვას და დამნაშავის მიერ სასჯელის სამართლიანობის განცდას უკავშირდება, რეალურ სამყაროში იშვიათად ხდება[243]. აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გასამართლებლად იქნას გამოყენებული. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართული სსკ-ი სამართლიანობის აღდგენას სასჯელის ერთ-

[242] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 550.

[243] Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 73, §3 Rn. 10.

ერთ მიზნად ასახელებს. თუმცა, სამართლიანობის აღდგენა არ არის შიშველი შურისძიება და იგი დამნაშავის მხრიდან მის მიერ განხორციელებული უმართლობის და მისი მნიშვნელობის გააზრებასაც უკავშირდება, რაც ფსიქიკის არმქონე იურიდიულ პირს არ შეუძლია.

შვანდერი იურიდიული პირის მიმართ სასჯელით სამართლიანობის აღდგენის შესაძლებლობას იურიდიული პირის სამართლებრივი სიკეთის ჩამორთმევაში (კონფისკაციაში) ხედავს, რითაც მიიღწევა ტკივილის ის ეფექტი, რაც სასჯელისთვისაა დამახასიათებელი. სამართლებრივი სიკეთის შემცირებით იურიდიული პირი ისევე განიცდის ტკივილს, როგორც ფიზიკური პირი. აქედან *შვანდერი* მიდის დასკვნამდე, რომ იურიდიული პირი სასჯელუნარიანია. თუმცა, *შვანდერის* თვალსაზრისით, იურიდიული პირის შემთხვევაში, ფიზიკური პირისგან განსხვავებით, ტკივილის განცდა უფრო მსუბუქია, ვინაიდან პიროვნული არ არის[244].

შვანდერის თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ იურიდიულ პირს პიროვნულობა აკლია, შეიძლება გამოყენებულ იქნას მისივე არგუმენტის გასაქარწყლებლად, რომ თითქოს იურიდიულ პირს ტკივილის განცდა შეუძლია. იურიდიულმა პირმა შეიძლება იზარალოს სასჯელის შეფარდებით და ჯარიმის სახით ქონებრივი სიკეთის შემცირებით, მაგრამ იურიდიულ პირთან მიმართებით ჯარიმას ვერ ექნება ტკივილის მიყენების ეფექტი. ჯარიმა ასეთ შედეგს მხოლოდ ფიზიკური პირის მიმართ იწვევს. „ტკივილი" ისეთი განცდაა, რომ იგი არ შეიძლება იურიდიულ პირს ახასიათებდეს. ტკივილის განცდის უნარი მხოლოდ ფიზიკურ პირს გააჩნია.

12.4.12. იურიდიული პირი, როგორც სასჯელის პრევენციული მიზნის მისაღწევად ვარგისი სუბიექტი?

მაშინ, როცა იურიდიული პირის დასჯით სამაგიეროს მიზღვის მიზნის მიღწევის დასაბუთება შეუძლებელია, ჩნდება კითხვა სასჯელის პრევენციულ მიზანთან დაკავშირებით. როგორც ცნობი-

---

[244] Schwander V., Der Einfluss der Fiktions- und Realitätstheorie auf die Lehre von der strafrechtlichen Verantwortlichkeit der juristischen Personen, in: Gutzwiller M.-FS, Basel, 1959, S. 615.

ლია, სასჯელის მიზანია გენერალური და სპეციალური პრევენცია. იურიდიული პირის დასჯა რამდენად უწყობს ხელს დასახელებული მიზნების განხორციელებას?

ჰ.ი. ჰირში, იურიდიული პირის დასჯით გენერალური და სპეციალური პრევენციის მიღწევას უშვებს და აღნიშნავს, რომ როდესაც კორპორაციას მაღალი ზომის ჯარიმა შეეფარდება სხვა კორპორაციებიც დაფიქრდებიან სურთ თუ არა სანქციის რისკზე წასვლა. დასჯილი ორგანიზაცია, ფიზიკური პირის მსგავსად, მოუფრთხილდება კანონთან კონფლიქტში ხელახლა შესვლას[245].

ჰირში, ერთი მხრივ, გამორიცხავს იურიდიული პირის მიერ სასჯელის აღქმის უნარს[246], ხოლო მეორე მხრივ, ცდილობს დაასაბუთოს ორგანიზაციის დასჯით სასჯელის პრევენციული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა, რაც ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობას წარმოადგენს. თუ კორპორაციას სასჯელის აღქმის უნარი არ გააჩნია, როგორ მიიღწევა მისი დასჯით პრევენციული მიზანი? სასჯელის პრევენციული მიზნის მიღწევა სასჯელის აღქმის უნარსაც მოითხოვს და თუ ორგანიზაცია ამ უნარს მოკლებულია, უსაფუძვლოა საუბარი მისი დასჯით პრევენციული მიზნის მიღწევაზე. თუ ერთი ორგანიზაციის დასჯის გამო „მეორე ორგანიზაცია იკავებს თავს დასჯადი ქმედებისგან", ეს მიიღწევა ისევ იმ ფიზიკური პირების საშუალებით, რომლებიც ორგანიზაციის უკან დგანან, ანუ რეალურად ფიზიკურ პირებზე ხდება სასჯელით ზემოქმედება და ისინი იკავებენ თავს დანაშაულის ჩადენისგან. მაგრამ, თუ ეს საკმარისია იმის სათქმელად, რომ „სასჯელი პრევენციულ მიზანს ორგანიზაციის მიმართაც აღწევს", იგივენაირად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ორგანიზაციას სასჯელის აღქმის უნარიც ჰქონია, ვინაიდან ეს უნარი აქვს ორგანიზაციის უკან მდგომ ფიზიკურ პირს და მისი უნარი შეგვიძლია იურიდიულ პირს მივაწეროთ, რაც პრობლემის გადაწყვეტის ხელოვნურ გზას წარმოადგენს.

ვ. შვანდერი ასევე საკამათოდ არ მიიჩნევს იურიდიული პირის დასჯით როგორც გენერალური, ისე სპეციალური პრევენციის მიზნის მიღწევას. მისი შეხედულებით, სასჯელს იურიდიული

[245] Hirsch H-J., Strafrechtliche Verantwortlichkeit von Unternehmen, ZStW 1995, S. 295.

[246] Hirsch H-J., ebenda, S. 296.

პირის მიმართ შეუძლია ორგანოს წინდახედულობის ამაღლება და გაუფრთხილებლობითი დელიქტის პრევენცია. როდესაც სასჯელის შედეგად იურიდიული პირი ზარალს განიცდის ორგანოს წევრები ან სამსახურს დატოვებენ ან გაითვალისწინებენ, რომ მოქმედი ორგანოს წინდახედულობის გაზრდა შესაძლებელია. იურიდიული პირის და მისი ორგანოს ორმაგი პასუხისმგებლობა პრევენციას აძლიერებს. თუ იურიდიული პირისთვის შეფარდებული სასჯელი საკმარისად მკაცრი იქნება, იურიდიული პირის ორგანოს მხრიდან სახელმწიფოს მოთხოვნა უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული, ვიდრე მხოლოდ სასჯელის აბსტრაქტული მუქარა. *შვანდერი* არ უარყოფს იურიდიული პირის დასჯისას სასჯელის სპეციალური პრევენციულ ფუნქციასაც, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური პრევენცია აღმზრდელობით მიზანთანაც არის დაკავშირებული[247].

შვანდერი აღნიშნავს, რომ თუ სასჯელშეფარდებული სასჯელის პერსონალურ გაგებას მოითხოვს, მაშინ სასჯელუნარიანობა კითხვის ქვეშ დადგება, ვინაიდან იურიდიული პირი არც ფიქრობს და არც გრძნობს[248] ანუ არც გონება აქვს და არც გრძნობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ფიზიკური პირისგან განსხვავებით, იურიდიული პირის მიმართ გამონაკლისის დაშვება სხვა არაფერია, თუ არა სასჯელის პერსონალური ხასიათის უარყოფა და კოლექტიური სასჯელის აღიარება, რაც ბრალეული და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპებს არ შეესაბამება.

12.4.13. იურიდიული პირის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელები და იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულები (იურიდიული პირის დასჯადობის მომხრეთა თვალსაზრისით)

იურიდიული პირის მიმართ გამოსაყენებელ სასჯელზე საუბარი უკვე გულისხმობს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დასაშვებობაზე მითითებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს

---

[247] Schwander V., Der Einfluss der Fiktions- und Realitätstheorie auf die Lehre von der strafrechtlichen Verantwortlichkeit der juristischen Personen, in: Gutzwiller M.-FS, Basel, 1959, S. 614.

[248] Schwander V., ebenda, S. 615.

კარგავს იურიდიული პირის მიმართ გამოსაყენებელ სასჯელებზე საუბარი. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის უარყოფა გამორიცხავს ნებისმიერი სასჯელის გამოყენებას ორგანიზაციის მიმართ.

ის მეცნიერები, რომლებიც მხარს უჭერენ იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივ დასჯას, თვლიან, რომ იურიდიული პირების მიმართ გამოსაყენებელ სანქციას წარმოადგენს ჯარიმა. რთულ შემთხვევებში ასევე გათვალისწინებულია იურიდიული პირის ლიკვიდაცია და ქონების ჩამორთმევა, რაც ფიზიკური პირის მიმართ თავისუფლების უვადოდ აღკვეთის და სიკვდილით დასჯის შეფარდების ტოლფასია. გარდა ამისა, იურიდიული პირის მიმართ გამოიყენება აგრეთვე საქმიანობის უფლების შეზღუდვა, რაც იურიდიული პირის სამეწარმეო თავისუფლებას ზღუდავს. უცხოურ სისხლის სამართლის ლიტერატურაში იურიდიული პირის მიმართ გამოსაყენებელ სანქციად ასევე განიხილავენ პირობით სასჯელის დანიშვნას (ე. წ. კორპოაციული პრობაცია – „corporate probation“). იურიდიული პირის მიმართ გამართლებულად მიიჩნევენ ისეთი სასჯელის გამოყენებასაც, როგორიცაა აქციების და ფულადი თანხის გამოყენება (მიმართვა) საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმისთვის, მაგალითად, როგორიცაა ქუჩების და მდინარეების დასუფთავება, რაც უდრის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას („community service“)[249].

ის მეცნიერები, რომლებიც იურიდიული პირის დასჯადობას უშვებენ, აღნიშნავენ, რომ იურიდიულ პირს არ შეუძლია ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა და იგი მხოლოდ განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედებისთვის შეიძლება დაისაჯოს. ორგანიზაციას არ შეუძლია მაგალითად, ისეთი დანაშაულის ჩადენა რომელიც ოჯახის შექმნასთან ან სქესთანაა დაკავშირებული. კერძოდ, სქესობრივი დანაშაულები[250].

12.4.14. იურიდიული პირის ორგანო, როგორც პასუხისმგებელი

[249] Kremnitzer M., Ghanayim K., , Die Strafbarkeit von Unternehmen, ZStW 2001, S. 553-554.

[250] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 555.

იურიდიული პირის დასჯადობა უკავშირდება იურიდიულ პირთან შემხებლობაში მყოფი არა ნებისმიერი პირის ქმედებას, არამედ განსაზღვრულ სუბიექტებს. ამ მხრივ საყურადღებოა იურიდიული პირის ორგანო. თუმცა, ჩნდება კითხვა, თუ რა იგულისხმება იურიდიული პირის ორგანოში?

იმის დასადგენად თუ ვინ შეიძლება იურიდიული პირის ორგანოდ ჩაითვალოს, მხედველობაში მიიღება იურიდიული პირის იერარქიაში მოქმედი პირის თანამდებობრივი მდგომარეობა (პოზიცია), მისი ფუნქცია და ორივე კრიტერიუმის ერთობლიობა. ერთ-ერთი მოსაზრებით, იურიდიული პირის ორგანო გულისხმობს იმას, ვინც შინაგან სტრუქტურულ იერარქიაში ზედა საფეხურზეა და რომლის ამოცანებიც ორგანიზაციის წესდებაშია განმტკიცებული. ასეთი შეიძლება იყოს კორპორაციის საბჭოს წევრი ან კორპორაციის ხელმძღვანელი. რაც შეეხება იურიდიული პირის ორგანოს განსაზღვრას ფუნქციონალური კრიტერიუმით, იგი შეიძლება იყოს ორგანიზაციის ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს შესაბამისი ფუნქციები ორგანიზაციაში. ერთმანეთისგან იმიჯნება ფუნქციები ორგანიზაციაში და ფუნქციები ორგანიზაციისთვის. ორგანიზაციაში ფუნქციები გულისხმობს იმას, რომ ვინმეს კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციები და მოქმედების გარკვეული ფარგლები ენიჭება. თუმცა, იურიდიული პირის ორგანოს ფუნქციონალურ განსაზღვრებაზე კრიტიკული შენიშვნებია გამოთქმული, რომ იგი არ იძლევა საკმარისად ნათელ კრიტერიუმს ორგანოს და ორგანიზაციის რიგითი თანამშრომლის გასამიჯნავად. გამოთქმული შეხედულების თანახმად, ფუნქციონალური გამიჯვნის შემთხვევაში შეიძლება რიგითი თანამშრომელი ორგანოდ იქნას მიჩნეული, რაც წინააღმდეგობაში მოდის ორგანიზაციის სტრუქტურასთან, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციის პოლიტიკას მხოლოდ მმართველი პერსონა განსაზღვრავს. გაბატონებული შეხედულება იყენებს როგორც იერარქიულ, ისე ფუნქციონალურ კრიტერიუმებს ერთიანად. აღნიშნული მიდგომით კორპორაციის ორგანოდ მიიჩნევა ხელმძღვანელობა, მმართველი პირები, მანამ სანამ, ისინი კორპორაციის მართვის ფუნქციით საქმიანობენ. ასეთია მაგ-

ალითად, ფილიალის განყოფილების ხელმძღვანელი, როცა მას აქვს მოქმედების გარკვეული ფარგლები. იურიდიული პირის ორგანოს მკაფიო და ზოგად განსაზღვრებას შეუძლებლად მიიჩნევენ იურიდიული პირების სხვადასხვაობისა და სიმრავლის გამო[251].

12.4.15. იურიდიული პირის განზრახვა და გაუფრთხილებლობა?

იურიდიული პირის დასჯადობის მომხრე ავტორები აღნიშნავენ, რომ ორგანული თეორიის მიხედვით, იურიდიული პირები მათი ორგანოების იმ განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულებისთვის არიან პასუხისმგებელი, მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, უშუალოდ ან ამსრულებლის, წამქეზებლის ან დამხმარის საშუალებით მათი ამოცანების შესრულებისას რომ განახორციელეს. ორგანოები, რომლებიც კორპორაციის ადმინისტრაციას აკონტროლებენ, არ არიან უფლებამოსილი, დაუშვან კორპორაციის რიგითი თანამშრომლის მიერ კორპორაციის გამოყენება კრიმინალური ქმედებებისთვის. ისინი ვალდებულნი არიან წინ აღუდგნენ კორპორაციის თანამშრომლის დანაშაულებრივ ქმედებას. როდესაც ორგანოს აქვს ინფორმაცია თანამშრომლის დანაშაულებრივ ქმედებაზე და მის წინააღმდეგ ზომებს არ იღებს, ადგილი აქვს უმოქმედობით ამსრულებლობას. ორგანოს მოქმედების ვალდებულება დანაშაულის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, გამომდინარეობს ორგანოს სამსახურებრივი მდგომარეობიდან[252].

„ორგანიზაციის გაუფრთხილებლობაზე" უნდა აღინიშნოს, რომ გაუფრთხილებლობა წინდახედულობის ნორმის დარღვევას უკავშირდება და მის გარეშე არ არსებობს, ხოლო წინდახედულობის ნორმა ინდივიდუალური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ წინდახედულობის ნორმას ყველა ადამიანი პერსონალურად არღვევს და არა კოლექტიურად.

12.4.16. „კოლექტიური ცოდნის" დოქტრინა

[251] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 554-555.

[252] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 556.

ამერიკული მართლმსაჯულების მიხედვით, ორგანიზაციის პასუხისმგებლობისთვის საკმარისია, თუ ქმედების ობიექტურ შემადგენლობას ერთი თანამდებობის პირი განახორციელებს, ხოლო სუბიექტურ შემადგენლობას სხვა. აღნიშნული შეხედულება კოლექტიური ცოდნის თეორიას ემყარება, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაციის ცოდნა ყველა თანამშრომლის ცოდნას გულისხმობს. აღნიშნული შეხედულება გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ორგანიზაციის ორგანო ორგანიზაციის „ტვინია", ამიტომ ორგანოს ცოდნა არის მთლიანად ორგანიზაციის ცოდნა[253].

ინგლისური სამართალი და ისრაელი ავტორები მართებულად უარყოფენ „კოლექტიური ცოდნის" მოძღვრებას. პრინციპის „actus non facit reum nisi mens rea" მიხედვით, ქმედების უმართლობა გამომდინარეობს ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის განხორციელებიდან. ორივე ელემენტი ერთმანეთთან განუყოფელ კავშირშია. ცოდნა, როგორც განზრახვის ელემენტი, ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშნის განხორციელებას უნდა მოიცავდეს და უნდა არსებობდეს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების მომენტში (თანადროულობის პრინციპი/Simultanitätsprinzip). აღნიშნულ პრინციპს „კოლექტიური ცოდნის" დოქტრინა არ შეესაბამება[254].

თუ ე. წ. კოლექტიური ცოდნის მოძღვრება იურიდიული პირის პასუხისმგებლობისთვის საკმარისად მიიჩნევს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას ორგანიზაციის ერთი თანამშრომლის მიერ, ხოლო სუბიექტური შემადგენლობის განხორციელებას მეორე თანამშრომლის მიერ, ბუნებრივია აღნიშნული მოძღვრება შეუსაბამობაში იქნება ე. წ. თანადროულობის პრინციპთან. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს ცოდნას და განზრახვას ქმედების თანადროულად, მაგრამ ასეთ თანადროულობაზე საუბარი, ბუნებრივია, გულისხმობს თანადროულობის შემოწმებას კონკრეტული პირის მიმართ და არა სხვადასხვა პირის მიმართ, მაშასადამე, უნდა შემოწმდეს კონკრეტულ პირს ჰქონდა თუ არა ცოდნა და განზრახვა მის მიერ განსახორციელებელ ქმედებასთან და არა სხვის ქმედებასთან დაკა-

[253] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 557.

[254] Kremnitzer M., Ghanayim K., ebenda, S. 558.

ვშირებით. ის რომ ორგანიზაციის ერთი თანამშრომელი ინფორმირებულია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და ფლობს გარკვეულ ცოდნას, ადასტურებს ცოდნას და განზრახვას მის მიმართ და არა სხვა თანამშრომლის მიმართ. ის რაც ერთი თანამშრომლისთვისაა ცნობილი, შეიძლება სხვა თანამშრომლისთვის უცნობი იყოს, ესე იგი ორგანიზაციის მხოლოდ ერთი თანამშრომლის განზრახვით რთულია ამტკიცო მთელი ორგანიზაციის განზრახვა. ორგანიზაციის განზრახვის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის ორგანიზაციის მხოლოდ ერთი თანამშრომლის განზრახვის დადგენა.

12.4.17. ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა შუალობითი ამსრულებლობის და თანაამსრულებლობის ფორმით

12.4.17.1. ვერტიკალური შერაცხვა ორგანიზატორული ბატონობით შუალობითი ამსრულებლობის ფორმით და მისი მნიშვნელობა იურიდიული პირის დასჯადობისთვის

ორგანიზატორული ბატონობის მოძღვრება განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში. აღნიშნული კონცეფციის ჩამოყალიბება და განვითარება უკავშირდება *კ. როქსინის* სახელს, რომელმაც იგი გამოიყენა განგსტერული სინდიკატების, ტერორისტული ორგანიზაციების და ორგანიზებული დანაშაულების სფეროში. ორგანიზატორული ბატონობა განიხილება შუალობითი ამსრულებლობის ერთ-ერთ ფორმად (ცოცხალი იარაღის) უშუალო ამსრულებლის იძულებისა და შეცდენის გამო შუალობითი ამსრულებლობის ფორმების გვერდით. ორგანიზებულ ბატონობას ადგილი აქვს იქ, სადაც უკანაკაცს („Hintermann") ძალაუფლების აპარატის გამოყენება შეუძლია დანაშაულის განსახორციელებლად, როგორიც იყო ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დანაშაულების შემთხვევა. ორგანიზატორული ბატონობის დროს ადგილი აქვს უკანა კაცის მიერ გაცემული ისეთი ბრძანების

შესრულებას, რომელსაც ძალაუფლების აპარატი უზრუნველყოფს უშუალოდ მოქმედი პირის ინდივიდუალობისგან დამოუკიდებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ უშუალოდ მოქმედი პირის პიროვნულობა ბევრს არაფერს წყვეტს, იგი არის ჩანაცვლებადი ჭანჭიკი, რომლის გამოკლების შემთხვევაში მაშინვე მის ადგილს სხვა იკავებს. მაშასადამე, როგორც *როქსინი* აღნიშნავს, ორგანიზატორული ბატონობის დროს ადგილი არა აქვს არც (ცოცხალი იარაღის) იძულებას და არც მოტყუებას, უკანა კაცი ამსრულებლობას ახორციელებს როგორც „საწერ მაგიდასთან მჯდომი" დამნაშავე („Schreibtischtäter")[255].

როქსინი აღნიშნავს, რომ ორგანიზატორული ბატონობის შემთხვევები იშვიათია, არ არის ხშირი, ვინაიდან იგი მოითხოვს „უკანაკაცის" (შუალობითი ამსრულებელი) ძალაუფლების აპარატს, რომელიც სამართლის ნორმებისგან არის დისტანცირებული. ორგანიზატორული ბატონობა სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი პირი თვითონ აგებს დანაშაულებრივ ორგანიზაციას, როგორც მაგალითად „მესამე რაიხის" შემთხვევაში ან როდესაც იქმნება მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული „სახელმწიფო სახელმწიფოში", როგორც ეს შესაძლებელია განგსტერული ტიპის დელიქტებში, ძლიერ ტერორისტულ ორგანიზაციებში. იგივე ეხება საზღვარგარეთულ საიდუმლო ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ კარგად აგებული აგენტურული ქსელი. ამის მაგალითად, *როქსინს* მოყავს სტაშინსკის საქმე[256].

როქსინის კონცეფციით, **ნებაზე ბატონობა ძალაუფლების ორგანიზატორული აპარატით** (Willensherschaft kraft organisatorische Machtapparate) შუალობითი ამსრულებლობის ერთ-ერთი ფორმაა. მოცემულ შემთხვევაში უკანა კაცის განკარგულებაშია პერსონალური „აპარატი", რომლის დახმარებითაც შეუძლია დანაშაულის განხორციელება და საკუთარი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების რეალიზაცია[257].

ორგანიზატორული აპარატით ნებაზე ბატონობას განიხილავენ როგორც ბატონობას არა კონკრეტულ ნებაზე, არამედ განუსაზ-

[255] Roxin C., in: LK, 11. Aufl., §25 Rn. 128.

[256] Roxin C., in: LK, 11. Aufl., §25 Rn. 129.

[257] Roxin C., Täterschaft und Tatherschaft, Achte Auflage, Berlin, 2006, S. 242-243.

ღვრელ ნებაზე, ვინაიდან უკანა კაცი, როგორც შუალობითი ამსრულებელი, ბატონობს სისტემაზე, რითიც ბატონობს ანონიმურ ნებაზე[258] ანუ სისტემას დაქვემდებარებულ ადამიანებზე. აღნიშნული მოსაზრების განსამტკიცებლად ხდება იმაზე მითითება, რომ თუ სისტემას ერთი ადამიანი არ დაემორჩილება, გამოჩნდება მეორე, ვინც უარს არ იტყვის დანაშაულებრივი პოლიტიკის ზეგავლენის ქვეშ დანაშაულების ჩადენაზე. აღნიშნული ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ შუალობითი ამსრულებლობა ყოველთვის ანონიმურ ნებაზე ბატონობას უკავშირდება, არამედ, აქ საქმე ეხება შუალობითი ამსრულებლობის კონკრეტულ ფორმას ორგანიზატორული ბატონობის სახით.

იურიდიულ ლიტერატურაში ორგანიზებული ბატონობით შუალობითი ამსრულებლობის ფიგურის გამოყენების არეალის განრცობაზე მიუთითებენ და იგი ცალკეულ ავტორთა მიერ განხილულ იქნა სამეწარმეო იურიდიული პირების მიმართაც გამოსაყენებელ ფიგურად[259].

გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ვინმე მოქმედებს შეცდომის გარეშე და შეუზღუდავი ბრალუნარიანობით, მაშინ მის უკან მდგომი კაცი, როგორც წესი, არ არის შუალობითი ამსრულებელი. ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა უშუალოდ მოქმედს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი ბატონობაც გააჩნია მომხდარზე და სურს კიდეც ბატონობა. ასეთ დროს, უკანა კაცი ქმედებაზე არ ბატონობს. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როცა უშუალოდ მოქმედი პირი სრული, შეუზღუდავი პასუხისმგებლობისაა, ხოლო უკანა კაცის წვლილი (როლი) მის მიერ გამიზნული ქმედების შემადგენლობის განხორციელებას იწვევს. ეს შეიძლება სახეზე იყოს მაშინ, როცა უკანა კაცი ორგანიზაციულ სტრუქტურას და მასში შექმნილ სისტემას იყენებს. ასეთი სტრუქტურები და სისტემები განსაკუთრებით მხედველობაში მიიღება სახელმწიფო, **სამეწარმეო** და სავაჭრო **ორგანიზაციების სტრუქტურების** მიმართ.

---

[258] Ambos K., Tatherrschaft durch Willensherrschaft kraft organisatorischer Machtapparate, GA 1998, S. 239.

[259] Krämer K., Individuelle und kollektive Zurechnung im Strafrecht, Tübingen, 2015, S. 279.

ასეთ შემთხვევაში შუალობითი ამსრულებლობის ფორმით მოქმედი დამნაშავეა უკანა კაცი, რომელმაც იცის აღნიშნული გარემოებები, იყენებს უშუალოდ მოქმედი პირის განწყობას (მზაობას) ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად და შედეგი სურს როგორც საკუთარი[260]. უზენაესი სასამართლო შუალობითი ამსრულებლობის ფიგურის განსაზღვრას დიფერენცირებულად ახდენს, იმის მიხედვით, თუ სად ხდება დანაშაულის განხორციელება, რომელიმე (სახელმწიფო ან სამეწარმეო) ორგანიზაციაში, თუ მის ფარგლებს გარეთ. ის ვინც უშუალო ამსრულებელია ინდივიდთა მიერ ჩადენილ დანაშაულებში, ცოცხალ იარაღად გვევლინება ორგანიზაციაში ჩადენილ დანაშაულებში, ხოლო უკან მდგომი კაცი შუალობით ამსრულებლად მიიჩნევა ორგანიზაციული ბატონობიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში ორგანიზაციული ბატონობა გულისხმობს როგორც ქმედებაზე ბატონობას, ისე დამდგარი შედეგის აღქმას საკუთარი ქმედებით გამოწვეულ (საკუთარ) შედეგად.

გერმანიის უზენაესი სასამართლო უკანა კაცს, როგორც შუალობით ამსრულებელს აღიარებს როგორც სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენების შემთხვევებში, ისე მაფიის მსგავსი ორგანიზებული დანაშაულის ჩადენისას, რომელთა შემთხვევაში საუბარია დანაშაულებრივი ბრძანების გაცემაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციის ზედა რგოლსა და უშუალოდ მოქმედ პირს შორის დროით, სივრცით და იერარქიულ დისტანციაზე[261].

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, სამეწარმეო იურიდიულ პირებთან მიმართებით ორგანიზატორული ბატონობის გამოყენებას მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა არსებობს სამუშაო ადგილის დაკარგვის საფრთხე და დასაქმებული იძულებული ხდება დანაშაული ჩაიდინოს. კარგად სტრუქტურირებულ ორგანიზაციას შეუძლია სისხლისსამართლებრივად რელევანტური განაწესი ავტორიტარულად შექმნას. კორპორაციაში გაბატონებული ორგანიზაციული სტრუქტურები ქმნიან სისტემას, რომელიც ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად შეიძლება იქნას გამოყენებული. დეტალი-

[260] BGHSt 40, S. 236; BGHSt 45, S. 296.

[261] BGHSt 40, S. 237.

ზებული სისტემური პროცესი სხვადასხვა იერარქიულ დონეზე და სხვადასხვა საპასუხისმგებლო სფეროში, ხშირად არ მიუთითებს პირდაპირ საკომუნიკაციო გზაზე, რომელიც როგორც კონკრეტული პირის წაქეზება ვერ დაკვალიფიცირდება[262].

ორგანიზატორული ბატონობის დოქტრინის გამოყენებას სამეწარმეო იურიდიული პირების მიმართ, ზოგიერთი ავტორი აკრიტიკებს და საეჭვოდ მიიჩნევს ცალკეული თანამშრომლის ჩანაცვლების შესაძლებლობას[263]. აღნიშნული მოსაზრება საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ თანამშრომლის სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების შესაძლებლობა ყოველთვის ერთნაირი არ არის და ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა ნულამდეც დადის. თუ რამდენად არსებობს თანამშრომლის ჩანაცვლების შესაძლებლობა, დამოკიდებული შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორებზე. კერძოდ, სამუშაოს სპეციფიკაზე, იმ პროფესიაზე, რომელსაც უნდა ფლობდეს კონკრეტულ პოზიციაზე მომუშავე პირი, აგრეთვე ქვეყანაში კონკრეტული სპეციალობით არსებულ ადამიანურ რესურსებზე, ორგანიზაციაში დასაქმებული დანამშრომლის მაღალ (იშვიათი დონის) პროფესიონალიზმზე და ა. შ. თუ თანამშრომლის სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების შესაძლებლობა ნაკლებია, შესაბამისად, კლებულობს იმის საფრთხეც, რომ სამსახურის დაკარგვის შიშმა აიძულოს ორგანიზაციის თანამშრომელი ისეთი ქმედების განხორციელებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დანაშაულებრივ საქმიანობას.

სამეწარმეო ორგანიზაციების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ორგანიზატორული ბატონობით შუალობითი ამსრულებლობის ფიგურის გამოყენება საკამათოდ მიიჩნევა ცნებითი თვალსაზრისითაც, ვინაიდან ზოგიერთი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ორგანიზაციის როგორც ძალაუფლების აპარატის ინტერპრეტაციას[264]. ორგანიზატორული ბატონობით შუალობითი ამსრულებლობა, როგორც ზემოთ

---

[262] Krämer K., ebenda, S. 280.

[263] აღნიშნულზე იხ. Krämer K., ebenda, S. 280.

[264] Hefendel R., Tatherrschaft in Unternehmen vor kriminologischer Perspektive, GA 2004, S. 580; Ambos K., Tatherrschaft durch Willensherrschaft kraft organisatorischer Machtapparate, GA 1998, S. 239.

აღინიშნა, ძალაუფლების აპარატის (Machtapparat) გამოყენებას გულისხმობს, მაგრამ ასეთი აპარატი სახელმწიფოსთვის, სახელმწიფო ორგანიზაციისთვის არის დამახასიათებელი და არა ნებისმიერი ორგანიზაციისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, გულისხმობს თუ არა ძალაუფლების აპარატი მხოლოდ სახელმწიფო აპარატს, ხომ არ მოიცავს იგი ზოგიერთ დანაშაულებრივ ორგანიზაციასაც, რომელიც თავიდანვე დანაშაულებრივი მიზნითაა შექმნილი? დასმულ კითხვაზე უნდა ითქვას, რომ ძალაუფლების აპარატი ისეთ ორგანიზაციასაც გულისხმობს, რომელიც თავიდანვე დანაშაულებრივი მიზნითაა შექმნილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ *როქსინი* მის მიერ შექმნილ დოქტრინას იყენებს არა მხოლოდ დანაშაულებრივი სახელმწიფო რეჟიმების, ასევე ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო სახელისუფლებო აპარატით და მის მიერ შექმნილი შუალობითი ამსრულებლობის ფიგურის გამოყენების არეალს აფართოებს.

კ. ამბოსი მიუთითებს, რომ ძალაუფლების აპარატი გულისხმობს ისეთ კრიმინალურ ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი სადამსჯელო ორგანიზაციები და განკარგულების გამცემი სტრუქტურები. მისი შეხედულებით, ასეთი ნიშნებით დიდი სამეწარმეო ორგანიზაციებიც არ ხასიათდება. სამეწარმეო ორგანიზაციები არ არის per se დანაშაულებრივი, მათთან დაკავშირებით პირველ რიგში საქმე ეხება ლეგალურად ფინანსური მოგების მიზანს. *ამბოსს* ძალაუფლების აპარატად მიაჩნია ისეთი კრიმინალური ორგანიზაციები, რომლებიც თავიდანვე დანაშაულებრივი მიზნებისთვისაა შექმნილი, რომელთა პოლიტიკის ძირითად ნაწილს დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს, რომელთა საშუალებითაც მაფიის მსგავსი ორგანიზებული დანაშაულები ხორციელდება და გააჩნია შესაბამისი სტრუქტურები, რომელიც გასცემს დანაშაულებრივ ბრძანებებს და მათი შეუსრულებლობისას მიმართავს სადამსჯელო პოლიტიკას დაუმორჩილებელ პირთა მიმართ. თუ საქმე ეხება ტიპურ, ლეგალურ სამეწარმეო ორგანიზაციას, არ არსებობს ორგანიზატორული

ბატონობის მატერიალური წინაპირობები[265]. მოცემული თვალსაზრისით, საკმარისი არ არის ორგანიზატორული ბატონობის მხოლოდ ფორმალური წინაპირობების არსებობა. *ამბოსი* ორგანიზატორულ ბატონობას ასევე გამორიცხავს ფუნქციურად დიფერენცირებულ და დეცენტრალიზებულ ორგანიზაციებში[266].

ე. ლამპეს თვალსაზრისით, ორგანიზაციის კრიმინოგენურმა ფილოსოფიამ ქმედების უმართლობას შეიძლება სისტემური დიმენსია მისცეს, როცა იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დაბრკოლებას ამცირებს ან „კრიმინალურ პოზიციებს" მფარველობს. სისტემის უმართლობა გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ ისეთ ქმედებას, რომელსაც ხელი შეუწყო ორგანიზაციამ. *ლამპე* ასახელებს ოთხ მიზეზს, რომლის გამოც სისტემური უმართლობის კონსტრუირება შესაძლებელია: 1) საშიში საქმიანობის პოტენციალი; 2) ორგანიზაციის სტრუქტურა, რომელმაც ამ პოტენციალის აბსტრაქტული საშიშროების მხოლოდ არასაკმარისი ნეიტრალიზება მოახდინა; 3) დანაშაულებრივი ორგანიზაციის ფილოსოფია; 4) ინდივიდუალური ქმედებისთვის პასუხისმგებლობის კონცეფციის ეროზია[267].

უ. მურმანი ქმედებაზე ბატონობას განმარტავს როგორც ბატონობას არა მხოლოდ გარეგან პროცესზე-მიზეზობრიობის განვითარებაზე, არამედ ასევე როგორც ბატონობას ქმედების შემადგენლობის განხორციელებაზე – მაშასადამე, ნორმატიულ პროცესზე. ქმედების შემადგენლობის განხორციელება არ არის მხოლოდ ცვლილება გარე სამყაროში, არამედ ყოველთვის ასევე დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ნორმატიული ურთიერთობის ცვლილება. *მურმანი* საეჭვოდ თვლის ორგანიზებული ძალაუფლების აპარატის საფუძველზე შუალობითი ამსრულებლობის კონცეფციის გადატანას სამეწარმეო იურიდიულ პირებზე[268]. ის, რომ შუალობითი ამსრულებლობისთვის *მურმანი* საკმარისად არ თვლის მიზეზობრიობაზე ბატონობას, მარ-

---

[265] Ambos K., Tatherrschaft durch Willensherrschaft kraft organisatorischer Machtapparate, GA 1998, S. 239.

[266] Ambos K., იქვე.

[267] Lampe E., Systemunrecht und Unrechtssysteme, ZStW 1994, S. 708-709.

[268] Murmann U., Tatherrschaft durch Weisungsmacht, GA 1996, S. 275.

თებულია, ვინაიდან მხოლოდ მიზეზობრიობაზე ბატონობა მართლაც ვერ ჩაითვლება საკმარისად შუალობითი ამსრულებლობით დანაშაულის განხორციელებისთვის. შეიძლება მიზეზობრიობაზე თანაამსრულებელიც ბატონობდეს და მისმა ქმედებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევაში. შუალობითი ამსრულებლობისთვის, როგორც ცნობილია, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასევე წინა კაცის ანუ უშუალოდ მოქმედი პირის თავისუფლების ხარისხსაც. თუ წინა კაცი თავისუფლად მოქმედებს, უკანა კაცის შუალობითი ამსრულებლობაც საეჭვო ხდება. შუალობითი ამსრულებლობისას თუ რამდენად თავისუფალი შეიძლება იყოს წინა კაცი, მიუთითებს „ნებაზე ბატონობის" კონცეფციის სახელწოდებაც.

უ. მურმანიც ორგანიზატორული ბატონობით შუალობით ამსრულებლობას სამეწარმეო ორგანიზაციებში უპირობოდ გამორიცხავს და აღნიშნული ფიგურის გამოყენებას დასაშვებად თვლის იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს მოქმედებები ხორციელდება, აგრეთვე მაფიის მსგავს სტრუქტურებში. იგი მისი შეხედულების დასასაბუთებლად შემდეგ არგუმენტებს ასახელებს: ა) მაფიის მსგავსი ორგანიზაციები თავიდანვე დანაშაულებრივი მიზნით, სხვისი თავისუფლების მოსასპობადაა შექმნილი. მოქალაქეებსა და მაფიის ბოსს შორის არ არსებობს ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა. მაფიის ბოსს აქვს ფაქტობრივი ძალმოსილება, მაგრამ საფუძვლიანად არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ იგი მოქალაქეების მიმართ არ იქნება გამოყენებული ზემოქმედების მოსახდენად. მაფიის ბოსს როგორც შუალობით ამსრულებელს შეუძლია მსხვერპლის ხელყოფა, როცა უშუალოდ მოქმედი როგორც იარაღი მაფიის ბოსის ხელშია. ეს შეიძლება სახეზე იყოს იმ შემთხვევაში, როცა იარაღი იძულებით ბრალის გამომრიცხავ გარემოებაში მოქმედებს. სხვაგვარად უშუალოდ მოქმედი პირის თავისუფლებაზე ბრძანების გამცემი პირის ბატონობა გამოირიცხება. დანაშაულებრივ ორგანიზაციებშიც არსებობს ურთიერთდამოკიდებულება ზედა და ქვედა რგოლებს შორის, მაგრამ იგი მხოლოდ სამუშაოს გადანაწილების ფორმით ხასიათდება. ბრძანების მიმღები ორგანიზაციისადმი კუთვნილებით იმას აჩვენებს, რომ შესაბამისი დავალებების განხორციელება სურს და ბრძანება

დაკავშირებულია ამ განწყობასთან და აკონკრეტებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. ეს არის დანაშაულის ჩადენაზე თანაამსრულებელთა საერთო (კოლექტიური) გადაწყვეტილება და არა უკანა კაცის (შუალობითი ამსრულებლის) გადაწყვეტილება[269]. მაშასადამე, ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს მაფიის მსგავსი სტრუქტირის მიერ დანაშაულის განხორციელებას და დანაშაულის გამოვლენის ფორმებს სამეწარმეო ორგანიზაციებში.

მურმანის შეხედულებით, სამეწარმეო ორგანიზაცია შეიძლება ახლოს იყოს მაფიის ტიპის სტრუქტურასთან, მაგრამ მათ შორის მაინც ზღვარს ავლებს და მათ ერთმანეთთან არ აიგივებს. ამის მიზეზად ავტორი მიუთითებს ორგანიზაციის საქმიანობაზე, შექმნის მიზანზე და ჩადენილ დანაშაულსა და ორგანიზაციის საქმიანობას შორის შინაგანი კავშირის არარსებობაზე. ავტორის თვალსაზრისით, როდესაც სამეწარმეო ორგანიზაციაში უფროსი მის თანამშრომელს სთხოვს ან მოუწოდებს დანაშაულის ჩადენას, რომელსაც არანაირი შინაგანი კავშირი არ გააჩნია ორგანიზაციის საქმიანობასთან, უფროსი უნდა დაისაჯოს როგორც წამქეზებელი[270] და არა როგორც შუალობითი ამსრულებელი.

სამეწარმეო ორგანიზაციის უფროსის წამქეზებლად დასჯა თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ უშუალოდ მოქმედი რიგითი თანამშრომელი უნდა დაისაჯოს როგორც ამსრულებელი. მაშასადამე, მისი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება.

მურმანი სამეწარმეო ორგანიზაციის რიგითი თანამშრომლის პასუხისმგებლობის შეზღუდვას უფროსზე შრომითი ხელშეკრულებით დამოკიდებულების გამო, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიიჩნევს დასაშვებად. რიგითი თანამშრომლის პასუხისმგებლობის შეზღუდვას შესაძლოდ თვლის ასევე გაუფრთხილებლობის შემთხვევაში და არა მაშინ, როცა ჯანმრთელობის დამაზიანებელი ქმედება განზრახაა განხორციელებული[271].

დაბოლოს, ორგანიზატორული ბატონობით შუალობითი ამსრულებლობის ფიგურის გამოყენება იურიდიული პირების მიმართ,

[269] Murmann U., Tatherrschaft durch Weisungsmacht, GA 1996, S. 278-279.

[270] Murmann U., ebenda, S. 279.

[271] Murmann U., ebenda, S. 280.

ასევე დამოკიდებულია იმაზე, განვიხილავთ თუ არა იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად. თუ იურიდიული პირი მიჩნეული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის უუნაროდ, ორგანიზებული ბატონობით შუალობითი ამსრულებლობის ფიგურა იურიდიული პირების მიმართ ბუნებრივად დაკარგავს თავის მნიშვნელობას და იგი დარჩება მხოლოდ ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობისთვის საინტერესო ინსტრუმენტად.

12.4.17.2. ვერტიკალური შერაცხვის მოდელი თანაამსრულებლობის დროს და მისი მნიშვნელობა ორგანიზაციის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობისთვის

სამეწარმეო ორგანიზაციაში ამსრულებლობით ჩადენილი ქმედების დასჯადობის ალტერნატიულ ფორმად, შუალობითი ამსრულებლობის გარდა, თანაამსრულებლობასაც მიიჩნევენ. ორგანიზატორულ ერთიანობაში იერარქიული სტრუქტურის მიუხედავად, თანაამსრულებლობის სახით დასჯადობა არ გამოირიცხება. აღნიშნული მოსაზრება ისეთ შემთხვევებს ემყარება, როცა ზედა და ქვედა რგოლის ურთიერთმიმართება არ არის ტიპიურად ჰორიზონტალური ხასიათის და მათ შორის თანასწორობის თვალსაზრისით დიდი სხვაობა არ არსებობს[272]. ჯგუფური დინამიზმის პირობებში მოქმედებისას თითოეული მოქმედება შეიძლება განხილულ იქნას როგორც წვლილი ერთიან ქმედებაში[273]. თანაამსრულებლობისთვის მნიშვნელოვანია, რომ თანაამსრულებელი მონაწილეობას იღებდეს ქმედების განხორციელების სტადიაზე[274].

სამეწარმეო ორგანიზაციაში ვერტიკალურ სტრუქტურას განიხილავენ საფუძვლად, რომელიც იძლევა წინასწარი საერთო გეგმის გარეშე დანაშაულის ერთად განხორციელების შესაძლებლობას. მაშასადამე, ვერტიკალური სტრუქტურის სახეზე არსებობისას ორგა-

---

[272] Krämer K., Individuelle und kollektive Zurechnung im Strafrecht, Tübingen, 2015, S. 283.

[273] Jakobs G., Strafrecht, AT, 2. Aufl., Berlin, 1991, S. 649, 21. Absch., Rn. 103.

[274] Jakobs G., NStZ 1995, S. 27.

ნიზაციაში თანაამსრულებლობით დანაშაულის ჩასადენად საჭირო არ ხდება წინასწარი გეგმის არსებობა[275].

ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულის გამო ხელმძღვანელის როგორც თანაამსრულებლის დასჯა მეტად საკამათოა, ვინაიდან გადაწყვეტილებას სწორედ ხელმძღვანელი იღებს და ძალაუფლება მის ხელშია კონცენტრირებული. იქ სადაც თანაამსრულებლობაზე მიდის საუბარი, იგულისხმება, რომ დანაშაულის ჩადენაში ერთზე მეტი ამსრულებელი მონაწილეობდა. მაგრამ მიზანშეწონილი არ იქნება ორგანიზაციის ქვედა რგოლზე მყოფი თანამშრომლები ამსრულებლად იქნან განხილული და გაუთანაბრდნენ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მაშინ როცა მათ ხშირად წარმოდგენაც არ აქვთ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე. თანაამსრულებლობა შესაბამის სუბიექტურ წინაპირობებსაც მოითხოვს განზრახვის სახით. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის გეგმას, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება თანაამსრულებლობით დანაშაულის ჩადენა წინასწარი გეგმის გარეშეც და ამაზე მიუთითებს სსკ-ის 27-ე მუხლიც, რომლის მიხედვითაც, ჯგუფური დანაშაულის ერთ-ერთი სახეა დანაშაულის ჩადენა ჯგუფრად წინასწარი შეთანხმების გარეშე. თუმცა, წინასწარი შეთანხმების გარეშე ჯგუფურად ანუ თანაამსრულებლობით დანაშაულის ჩადენა დანაშაულის ბუნებაზე, დანაშაულის ჩადენის ფორმაზე და მთელ რიგ გარემოებებზეა დამოკიდებული. ძნელად წარმოსადგენია თანაამსრულებლობით ორგანიზაციაში დანაშაულის ჩადენა გეგმის გარეშე, მით უფრო ორგანიზაციის რიგითი წევრების თანაამსრულებლებად მონაწილეობით.

12.4.17.3. ჰორიზონტალური შერაცხვა თანაამსრულებლობის ფორმით და მისი მნიშვნელობა კოლეგიური გადაწყვეტილებით ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულის დასჯადობისთვის

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის შესახებ ვერტიკალური შერაცხვის გარდა განიხილავენ ჰორიზონტალ-

[275] Krämer K., Individuelle und kollektive Zurechnung im Strafrecht, Tübingen, 2015, S. 283.

ური შერაცხვის კონსტრუქციასაც, მმართველობის დონეზე ჰორიზონტალური კოლეგიალური თანამშრომლობის სფეროში ჩადენილი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით. რამდენადაც კოლეგიის გადაწყვეტილების მიღებაში, რომელმაც სისხლისსამართლებრივად რელევანტური შედეგი გამოიწვია, მონაწილეობდა რამდენიმე ადამიანი და რამდენადაც ასეთი გადაწყვეტილება კომპეტენციის გადანაწილებისა და შესასრულებელი ამოცანის სტრუქტურის გამო რამდენიმე პირის მიერ ერთად მიიღება, ინდივიდუალური შერაცხვის კრიტერიუმები შეზღუდულად გამოიყენება. *კ. კრემერის* თვალსაზრისით, სააქციო საზოგადოების მთავარი კრების გადაწყვეტილებისთვის ცალკეულ ხმებს, ისე როგორც ინდივიდუალურ ქმედებებს, არ აქვს არსებითი წონა, ვინაიდან უმრავლესობის გადაწყვეტილება ხორციელდება. ამასთან ერთად ორგანიზაციის მმართველობის სფეროში შეიძლება დანიშნული იყოს განსხვავებული კომპეტენციის პირები, რომლებიც, აღნიშნულის მიუხედავად, ზოგადად საზოგადოების მართვაზე უფლებამოსილნი არიან. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ კრიტიკულ სიტუაციებში, როცა ორგანიზაცია როგორც მთლიანი ზარალდება, მოქმედებს ხელმძღვანელის გენერალური პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვისაც[276]. გენერალური პასუხისმგებლობის სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპის სისხლისსამართლებრივი მიზნებისთვის გამოყენების დასაშვებობაზე მიუთითებენ გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას[277].

სააქციო საზოგადოების გადაწყვეტილებისთვის ცალკეულ პირთა მოქმედების თუ გადაწყვეტილების ნაკლებ, ხოლო უმრავლესობის გადაწყვეტილების მეტ მნიშვნელობაზე შეიძლება აღინიშნოს ის, რომ უმრავლესობის გადაწყვეტილებაც ცალკეულ პირთა გადაწყვეტილების შედეგია. ცალკეულ პირთა გადაწყვეტილებით მიიღება უმრავლესობის გადაწყვეტილება. მაშასადამე, უმრავლესობის გადაწყვეტილებით დამდგარი სისხლისსამართლებრივი შედეგისთვის შესაძლებელია იმ პირთა პასუხისმგებლობის დასაბუთება, რომლებ-

[276] Krämer K., ebenda, S. 285.

[277] BGHSt 37, S. 124.

მაც, როგორც უმრავლესობის წარმომადგენლებმა, მონაწილეობა მიიღეს საერთო გადაწყვეტილებაში.

კოლექტიურად მიღებული გადაწყვეტილებით შედეგის გამოწვევა გასათვალისწინებელი ფაქტორი შეიძლება იყოს მიზეზობრიობის დასადგენად. განსახილველ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა, მიზეზობრიობის საკითხი რომელი სახის ანალოგიით გადაწყდება, კუმულაციური თუ ალტერნატიული მიზეზობრიობის. თუ კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებისას ცალკეული პირის ქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიენიჭა, მოცემულ შემთხვევაში არსებული მიზეზობრიობა ალტერნატიულ მიზეზობრიობას გაუტოლდება, მაგრამ თუ თითოეული მონაწილის ქმედება იქნა კოლექტიური გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვნად მიჩნეული, მაშინ, კოლექტიური გადაწყვეტილების მიზეზობრიობა კუმულაციური მიზეზობრიობის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. კოლეგიური გადაწყვეტილებით გამოწვეულ შედეგთან მიზეზობრიობას თუ რომელი მიზეზობრიობის ანალოგიით და რომელი თეორიის მიხედვით განვიხილავთ, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირთა პასუხისმგებლობა და მათი ცალკეული ქმედების მიზეზობრიობის დადგენაც აღნიშნულ საკითხზეა დამოკიდებული. მაგალითად, პირობათა თანასწორფასოვნების ანუ ექვივალენტურობის თეორიის მიხედვით, კოლეგიალური ორგანოს გადაწყვეტილებით გამოწვეულ შედეგთან გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირთა ქმედების მიზეზობრიობის დადგენა რთული შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ცალკეულ პირთა ქმედება არ იქნა მიჩნეული აუცილებელ პირობად.

მიზეზობრიობის კანონზომიერების მიხედვით, ერთიანი გადაწყვეტილება შეიძლება განხილულ იქნას შედეგის გამოწვევის საერთო მიზეზად. თუმცა, როდესაც გადაწყვეტილება დიდი უმრავლესობით მიიღება, შეიძლება გადაწყვეტილების მიმღებ თითოეულ პირზე ითქვას, რომ მისი ხმა, ექვივალენტობის თეორიის მიხედვით, არ იყო გადამწყვეტი შედეგის გამოსაწვევად. ამ საფუძვლით გადაწყვეტილების მიღებაში შეიძლება არცერთს არ ჰქონდეს ისეთი მონაწილეობა მიღებული, რაც საკმარისი იქნებოდა სისხლისსამართ-

ლებრივი პასუხისმგებლობისთვის[278].

ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, კოლექტიური ორგანოს გადაწყვეტილებით საზიანო შედეგის დადგომისას ცონდიტიო-ფორმის გამოყენებისას უნდა მომხდარიყო ცალკეული ხმის მნიშვნელობის უარყოფა, ვინაიდან სხვების გადაწყვეტილებით შედეგი მაინც დადგებოდა[279]. ამიტომ, გამოთქმული მოსაზრებით, ექვივალენტობის თეორია პრობლემებს აწყდება[280] და არც ისე მისაღებია[281].

კოლექტიურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიზეზობრიობის პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებად კანონზომიერ პირობათა მოძღვრების თანმიმდევრულ გამოყენებასაც ასახელებენ[282]. *ე. ჰილგენდორფის* თვალსაზრისით, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ხდება განზრახ, კოლეგიურად, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ქმედებასა და შედეგს შორის არსებობს კანონზომიერი კავშირი, სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ მიზეზობრიობა კანონზომიერად ვითარდება. გადაწყვეტილებისთვის ხმის მიცემა განიხილება გადაწყვეტილების მიღების პირობად[283].

კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზობრიობა დამდგარ შედეგთან განხილვის საგნად აქტიურად იქცა გერმანიაშიც ჯერ კიდევ 1990 წლიდან, როცა მართლმსაჯულებამ განიხილა ე. წ. ტყავის საწმენდ სითხესთან დაკავშირებული საქმე. კოლექტიური გადაწყვეტილების დროს მიზეზობრიობასთან დაკავშირებით გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული, რომელიც სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს[284]. აღნიშნულ შემთხვევაში ერთი მოსაზრებით სახ-

---

278 Krämer K., ebenda, S. 286.

279 ამის შესახებ იხ. Hoyer A., Die traditionelle Strafrechtsdogmatik vor neuen Herausforderungen: Probleme der strafrechtlichen Produkthaftung, GA 1996, S. 172.

280 Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 92, Rn. 238.

281 Kuhlen L., Strafhaftung bei unterlassenem Rückruf gesundheitsgefährdender Produkte, NStZ 1990, S. 570, Fs. 71.

282 Hilgendorf E., Fragen der Kausalität bei Gremienentscheidungen am Beispiel des Lederspray-Urteils, NStZ 1994, S. 566.

283 Hilgendorf E., ebenda, S. 565.

284 Krämer K., ebenda, S. 286.

ეზეა კუმულაციური მიზეზობრიობა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს *კ. როქსინი*. იგი კოლეგიური გადაწყვეტილებით შედეგის გამოწვევას ადარებს ისეთ შემთხვევას, როცა დამნაშავე მსხვერპლს წყალში საწამლავს უყრის, რომელიც საკმარისი არ იყო სასიკვდილო შედეგის გამოსაწვევად და აღნიშნულ შედეგს იგი იწვევს სხვა დამნაშავის მიერ ჩაყრილ საწამლავთან კომბინაციაში. *როქსინის* თვალსაზრისით, კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გადაწყვეტილების პროცესში მონაწილის ერთი ხმა არ არის ქმედითი მიზეზი, რომელიც ქმედით ძალას მხოლოდ სხვა ხმებთან ერთად იძენს[285]. განსახილველ საკითხზე ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს *უ. ვებერიც*[286].

მეორე მოსაზრებით, კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება არის ალტერნატიული მიზეზობრიობის სპეციალური შემთხვევა[287]. გადაწყვეტილების მიღების გამოსარიცხად საჭიროა ყველა ხმის გამორიცხვა. არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი ხმის გამოკლება. ერთი ხმა მაინც ვერაფერს წყვეტს, მით უფრო, როცა გადაწყვეტილება დიდი უმრავლესობითაა მიღებული.

ვინაიდან ექვივალენტობის თეორია ალტერნატიული მიზეზობრიობის დროს შედეგის შერაცხვასთან დაკავშირებით წინააღმდეგობას აწყდება, ზოგიერთი მეცნიერი პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად განიხილავს ექვივალენტურობის თეორიის მოდიფიცირებას ალტერნატიული მიზეზობრიობისთვის[288].

მესამე შეხედულებით, სახეზეა კუმულაციური და ალტერნატიული მიზეზობრიობის კომბინაცია. თუმცა, კუმულაციური მიზეზობრიობის პრობლემა იქმნება მაშინ, როცა გადაწყვეტილება დიდი უმრავლესობითაა მიღებული. ალტერნატიულ მიზეზობრიობასაც ექმნება პრობლემა, ვინაიდან გადაწყვეტილებაში მონაწილე პირები

[285] Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 3. Aufl., München, 1997, S. 300, §11 Rn. 18.

[286] Weber U., in: Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 241, §14 Rn. 37.

[287] Kindhäuser U, Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Aufl., Baden-Baden, 2017, S. 88, §10 Rn. 41.

[288] Krey/Esser, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 4. Aufl., Stuttgart, 2011, S. 127, Rn. 324.

არც დამოუკიდებლად მოქმედებენ და არც ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევა შეუძლიათ დამოუკიდებლად. რაც შეეხება კომბინირებულ მიზეზობრიობას, მის წინააღმდეგობრივ ბუნებაზე მიუთითებენ იმას, რომ იგი მიზეზის არსებობას ადასტურებს იქ, სადაც იგი არ არსებობს[289].

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავტორები ცდილობენ ინდივიდუალური მიზეზობრიობის გვერდით მოიძებნოს შერაცხვის ისეთი მოდელი, რომლის ფარგლებშიც კოლეგიალური ორგანოს გადაწყვეტილების გათვალისწინება უკეთესად იქნება შესაძლებელი. კოლეგიურად მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევა იმ მხრივ გამოირჩევა განსაკუთრებულობით, რომ ცალკეული ხმა ყოველთვის უგულებელყოფილი იქნება, თუ მის გარეშე შედეგი დადგებოდა. თუმცა, ამგვარად კოლექტიურად გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსი რჩება მხედველობის მიღმა. თითოეული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს, მიუხედავად იმისა, იცის, რომ სხვასთან ერთად იღებს გადაწვეტილებას, შესაბამისად, იგი უმრავლესობის გადაწყვეტილებაში მონაწილეობს. ამდენად, გადაწყვეტილების საფუძველზე თითოეული მონაწილე აგებს პასუხს შედეგის გამოწვევისთვის[290].

კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გამოწვეული შედეგისთვის თანაამსრულებლობის ფორმით პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს ის, თუ რომელი თეორია იქნება გამოყენებული თანაამსრულებლობის დასასაბუთებლად. რამდენად არის შესაძლებელი თანაამსრულებლობის დასაბუთება ფუნქციონალური თეორიის მიხედვით? პრობლემატურია ფუნქციონალური თეორიის მიხედვით თანაამსრულებლობის დასაბუთება მაშინ, როცა გადაწყვეტილება ხმათა დიდი უმრავლესობითაა მიღებული. ფუნქციონალური თეორიის მიხედვით, თანაამსრულებლობისთვის საჭიროა, გადაწყვეტილებისთვის ხმის მიმცემის ქმედება წარმოადგენდეს გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელ, უმნიშვნელოვანეს წვლილს, რაც გამოირიცხება მაშინ, როცა გადაწყვეტილება ხმათა დიდი უმრავლე-

[289] Krämer K., ebenda, S. 286-287.

[290] Krämer K., ebenda, S. 287.

სობითაა მიღებული. თანაამსრულებლობა მოითხოვს საკუთვრივ თანაამსრულებლის ქმედების მიზეზობრიობას, რაც ასევე პრობლემატურია[291].

ფუნქციონალური თეორია თანაამსრულებელს განიხილავს ისეთ პირად, რომელიც სხვა ამსრულებელთან ერთად თანაბატონობას ახორციელებს ქმედებაზე და მათი თანაბატონობა, მათი ფუნქციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საერთო გეგმის განსახორციელებლად. თანაამსრულებელი პირი მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ იგი მისი ქმედებიდან გამომდინარე ამსრულებლის მსგავსად სასჯელს იმსახურებს, არამედ უპირატესად მისი ფუნქციის გათვალისწინებით. *როქსინი* თანაამსრულებლობისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს საერთო გეგმის შესასრულებლად განხორციელებული ქმედების დამოუკიდებელ ფუნქციას. იგი გამორიცხავს თანაამსრულებლობას იქ, სადაც განხორციელებული ქმედების დამოუკიდებელი ფუნქცია არ არსებობს[292]. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, ქმედებაზე თანაბატონობაზე საუბარი მეტად საკამათოა, როცა საქმე ეხება ხმათა დიდი უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას. ქმედებაზე თანაბატონობა სახეზეა, როცა გადაწყვეტილების მისაღებად ერთი ხმაც მნიშვნელოვანია ანუ როცა გადაწყვეტილება არ არის მიღებული ხმათა დიდი უმრავლესობით.

კოლეგიური ორგანოს მიერ ხმათა დიდი უმრავლესობით უკანონო გადაწყვეტილების მიღებისას ფუნქციონალური თეორიის მიხედვით შეიძლება ქმედებაზე ბატონობა უპრობლემოდ დადგინდეს იმ პირის მიმართ, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მისი ავტორიტეტიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ერთზე ბევრად მეტი ადამიანის ხმა იყო საჭირო. გადაწყვეტილების მიმღებთა შორის შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომლის აზრს აქვს გასათვალისწინებელი მნიშვნელობა სხვებისთვის. ასეთი პირი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სხვებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად სხვების ხმაც იყო საჭირო.

კოლეგიური გადაწყვეტილების შემთხვევაში შედეგთან თანაამ-

[291] Krämer K., ebenda, S. 289.

[292] Roxin C., Täterschaft und Tatherschaft, Achte Auflage, Berlin, 2006, S. 280.

სრულებელთა მიზეზობრივ კავშირზე მეტად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს *ქ. კნაუერი*, რომელიც კოლექტიური მიზეზობრიობის კონფიგურაციაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ კოლექტიური მიზეზობრიობა მოითხოვს მიზეზობრივ კავშირს არა ცალკეულ პირსა და შედეგს შორის, არამედ კოლექტივსა და შედეგს შორის.

მაშასადამე, თანაამსრულებლობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას თანაამსრულებლის მიზეზობრიობა წარმოადგენს დამდგარ შედეგთან. დანაშაულში მონაწილე პირები იმიტომ კი არ არიან მიზეზობრივ კავშირში შედეგთან, ისინი რომ თანაამსრულებლები არიან, არამედ ისინი არიან თანაამსრულებლები, იმიტომ რომ მიზეზობრიობაში არიან[293]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიზეზობრიობა (სხვა ფაქტორებთან ერთად) განაპირობებს თანაამსრულებლობას და არა თანაამსრულებლობა მიზეზობრიობას.

კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილებას შეიძლება გაუფრთხილებლობითი შედეგიც მოჰყვეს, მაგრამ გაუფრთხილებლობის დროს კოლეგიური გადაწყვეტილების გამო დასჯადობის პრობლემის გადასაწყვეტად გაუფრთხილებლობითი თანაამსრულებლობის პოსტულირება *ი. პუპეს* მიზანშეუწონლად მიაჩნია, რაც მართებულია. იგი თვლის, რომ თუ ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს გაუფრთხილელობითი თანაამსრულებლობის პოსტულირება ვერანაირ როლს ვერ შეასრულებს და დამდგარი შედეგისთვის პასუხისმგებლობის საკითხი ისედაც შეიძლება გადაწყდეს[294]. მოცემული მსჯელობა იმის თქმის შესაძლებლობას იძლევა, რომ თანაამსრულებლობის ახალი მოდელის კონსტრუირება არ არის საჭირო არც მიზეზობრიობის და არც გაუფრთხილებლობის დროს კოლეგიური გადაწყვეტილების დასჯადობის პრობლემის გადასაწყვეტად. თანაამსრულებლობა გაუფრთხილებლობით დანაშაულს არ ახასიათებს.

კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა გერმანიის სოციალისტური ერთიანობის პარტიასთან დაკავშირებით გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლომ გადაწყვეტილებაში

[293] Puppe I., Die Architektur der Beteiligungsformen, GA 2013, S. 524.

[294] Puppe I. ebenda, S. 525.

მიუთითა, რომ გასათვალისწინებელია არა ის, თუ რა გავლენას მოახდენდა მსჯავრდებულთა ქმედება, რომელიც თითოეული მათგანისთვის აკრძალული იყო, არამედ მოვალეობის საწინააღმდეგოდ მსჯავრდებულთა, პოლიტბიუროს წევრთა უმოქმედობა გერმანიაში მნიშვნელოვან დროს. სასამართლომ უმნიშვნელოდ მიიჩნია ის, რომ პოლიტბიუროში (ცალკეულ) მსჯავრდებულთა მიერ იმ ინიციატივის გამოჩენა, რომელიც მათ მოეთხოვებოდა, წარუმატებელი იქნებოდა საპირისპირო მხარეს მყოფი უმრავლესობის წინაშე. როდესაც ზიანის თავიდან ასაცილებლად მრავალი ადამიანის მოქმედებაა საჭირო, თითოეულს მოეთხოვება, მისი ზემოქმედების კომპეტენციის მიუხედავად, ამაში თავისი წვლილი შეიტანოს. პირი ვერ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმის გამო, რომ მისი ქმედება საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად უნაყოფო აღმოჩნდებოდა, ვინაიდან საკამათო შემთხვევაში სხვა პირთა ხმა მისსას გადასწონიდა[295].

გერმანიის უზენაესი სასამართლოს თვალსაზრისი და მისი გამოყენება კოლეგიური გადაწყვეტილების ხმათა დიდი უმრავლესობით მიღების დროს თანაამსრულებლობის დასასაბუთებლად მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ხაზგასმა უმოქმედობასა და გარანტის მოვალეობის შეუსრულებლობაზეა მოცემული. გარანტი ვალდებულია თავისი მოვალეობა შეასრულოს, მიუხედავად იმისა, შედეგის თავიდან აცილება იქნება თუ არა შესაძლებელი. იგივენაირად შეიძლება გადაწყდეს საკითხი ხმათა დიდი უმრავლესობით უკანონო გადაწყვეტილების მიღებისას. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ვერცერთ პირს ვერ გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ის, რომ მისი უმოქმედობის შემთხვევაში უკანონო გადაწყვეტილებას მაინც მიიღებდნენ. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე თითოეულ პირს თანაბრად ეკისრება მოვალეობა, რომ თავი შეიკავოს უკანონო გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისგან. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა საკმარისი პირობაა გადაწყვეტილებით გამოწვეულ შედეგთან მიზეზობრიობის დასადგენად.

ზოგიერთი მეცნიერი მრავალი ადამიანის მონაწილეობით მიღებ-

---

[295] BGHSt 48, S. 94.

ული გადაწყვეტილების დროს მიზეზობრიობის პრობლემის გადასაჭ-
რელად იყენებს „ერთობლივი დანაშაულის“ ცნებას. აღნიშნული ტი-
პის დანაშაულის ჩადენამდე უნდა არსებობდეს „ერთიანი პროექტი“
დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ და-
ნაშაულის ჩასადენად ადგილი აქვს ადამიანთა, ინდივიდთა კოორდი-
ნაციას. ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გასამიჯნად გამოი-
ყენება „მნიშვნელოვნობის კრიტერიუმი“ ანუ მხედველობაში მიიღება
ის, თუ რომელმა მონაწილემ რა მნიშვნელობის ქმედება განახორ-
ციელა. თანაამსრულებელი ახორციელებს დანაშაულის ნაწილს, რო-
მელიც ერთობლივი დანაშაულის მიზეზობრიობას განსაზღვრავს[296].

კოლეგიალური ორგანოს გადაწყვეტილების გამო პასუხ-
ისმგებლობასთან დაკავშირებულ თავისებურებად ლიტერატურაში
ასახელებენ იმას, რომ ერთი მხრივ, გადაწყვეტილება, რომელიც
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია, კოლექ-
ტიურად მიიღება, ხოლო მეორე მხრივ, გადაწყვეტილების მიღებაში
მონაწილე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი ინდივიდუალურად
უნდა გადაწყდეს[297]. თუმცა, ორგანიზაციის მეშვეობით ჩადენილი
დანაშაულის დროს პასუხისმგებლობა თუ რამდენად გადაწყდება
ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპით, დამოკიდებულია
იმაზე, თუ ვინ იქნება პასუხისმგებლობის სუბიექტად მიჩნეული. მხ-
ოლოდ ინდივიდთა დასჯადობის შემთხვევაში საკითხი ცალსახად ინ-
დივიდუალურად უნდა გადაწყდეს, მაგრამ როდესაც ორგანიზაციის
პასუხისმგებლობის საკითხი დგება, რთულია აღნიშნული პრობლემა
ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის მკაცრად დაცვით
გადაწყდეს. ორგანიზაციის, კორპორაციის სისხლისსამართლებრივი
დასჯადობა ნიშნავს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის
ფარგლებიდან გასვლას.

კოლეგიალური გადაწყვეტილებით გამოწვეული შედეგისთვის
პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ხომ არ არის
იგი კოლექტიური პასუხისმგებლობა. აღნიშნული საკითხის გარკვევა

---

[296] Dencker F., Kausalität und Gesamttat, Berlin, 1996, S. 142, 157, 161, 162. მითითებულია შემდეგი წიგნიდან: Krämer K., Individuelle und kollektive Zurechnung im Strafrecht, Tübingen, 2015, S. 290.

[297] Krämer K., ebenda, S. 291.

მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი ბრალის პრინციპს უკავშირდება. ბრალის პრინციპი კი კოლექტიურ პასუხისმგებლობას გამორიცხავს.

12.4.18. ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაული როგორც მეზოდანაშაული

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ მიკრო, მაკრო და მეზოდანაშაულს. კოლექტიური ქმედება შეიძლება დანაშაულის სხვადასხვა სიბრტყეზე (მიკრო, მაკრო და მეზო დანაშაულობა) იქნას განხილული. მეზოდამნაშავეობა მოიცავს სამეწარმეო ორგანიზაციაში დანაშაულის ჩადენას. ზოგიერთი მეცნიერი მეზო დანაშაულს ორგანიზაციის დანაშაულებრივი ქმედების აღმნიშვნელად, ერთგვარ სინონიმადაც იყენებს. მეზო დამნაშავეობა მოიცავს სამეწარმეო ორგანიზაციაში ჩადენილი ქმედების შერაცხვის სტრუქტურას. მაკროდანაშაული კი გულისხმობს უსამართლო რეჟიმის ფუნქციონერთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, მაგალითად გენოციდი. რაც შეეხება მიკრო დამნაშავეობას, იგი მოიცავს შედარებით მსუბუქ დანაშაულებს, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის სუბიექტს, როგორც ადამიანს, ინდივიდუალური ფორმით ერაცხება ჩადენილი დანაშაული[298].

მაშინ როდესაც მეზოდანაშაულში *ალვარტი* მხოლოდ ორგანიზაციის მიერ ჩადენილ დანაშაულს მოიაზრებდა, *კ. კრემერი* მას განავრცობს, რომლის მიხედვითაც მეზოდანაშაული არა მხოლოდ კოლექტიურ, არამედ ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტრუქტურასაც მოიცავს[299].

---

[298] Krämer K., ebenda, S. 89-91.

[299] Krämer K., ebenda, S. 268.

12.4.19. იურიდიული პირისთვის სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი გარემოებები

12.4.19.1. პრევენციული ასპექტები

სასჯელის შეფარდებისას რომელი პრევენციული ასპექტები მიიღება მხედველობაში, საკამათოდ ითვლება. თუმცა, ნაკლებად საკამათოდ მიაჩნიათ პოზიტიურ-გენერალურპრევენციული ასპექტის მნიშვნელობა, რაც გულისხმობს სოციალურ ცხოვრებაში დამნაშავის მიერ დარღვეული ნორმის დაცვის და სტაბილურობის ინტერესს. მაგრამ, რა არის საჭირო ან საკმარისი მართლწესრიგის დასაცავად, არ არის მკაფიო[300].

მაშასადამე, პოზიტიურ-გენერალური პრევენციის თვალსაზრისით სამართლიანი და ბრალის თანაზომიერი სასჯელის მიზნად მიიჩნევა ნორმის სტაბილურობის კუთხით საუკეთესო ზემოქმედების მოხდენა. ნეგატიურ-გენერალური პრევენცია, პირიქით, მკაცრი სასჯელით მიზნად ისახავს დამაშინებელი ეფექტის მოხდენას, ე. ი. სასჯელის ამ მიზანს შეუძლია სასჯელის შეფარდებაზე ზემოქმედების მოხდენა.

მაშინ, როცა სასჯელის შეფარდების დროს პოზიტიურ-გენერალურპრევენციული ასპექტის გათვალისწინება შედარებით ნაკლებ სირთულეს ქმნის და მეტ-ნაკლებად დასაშვებადაც მიიჩნევა, განსაკუთრებით პრობლემურად ითვლება სასჯელის შეფარდების დროს სასჯელის გამკაცრება სხვა პოტენციური დამნაშავის დასაშინებლად[301].

ერთიანი დამოკიდებულება არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ პოტენციური დამნაშავის დასაშინებლად დაუშვებელია სასჯელი სცდებოდეს ბრალეული უმართლობის ზედა ზღვარს. პოტენციური დამნაშავის დაშინების მიზანი მხოლოდ სასჯელის ბრალთან თანაზომიერების ფარგლებში შეიძლება იქნას გათვალისწინებული. მართლმსაჯულება ამას მაშინ თვლის დასაშვებად, როდესაც დადგენილია შე-

---

[300] Jescheck/Weigend, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 881, §82 IV. 7. a.

[301] Jescheck/Weigend, ebenda, S. 881, §82 IV. 7. b.

საბამისი დანაშაულის მატება, რაც საზოგადოებას საფრთხეს უქმნის. სხვა შემთხვევაში, დამნაშავისთვის სასჯელის დამძიმება მხოლოდ საზოგადოების უფრო მეტად დაშინების მიზნით, გაუმართლებლად მიიჩნევა[302]. მაგალითად, კონკრეტული დანაშაულის გამო დამნაშავისთვის მკაცრი სასჯელის შეფარდება, მხოლოდ იმიტომ, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ჰქონდა ადგილი და მოხდეს შესაბამის ქმედებასთან დაკავშირებით საზოგადოების მეტად დაშინება, მიზანშეწონილი არ იქნება, ვინაიდან ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ შეიძლება დამამძიმებელ გარემოებად შეფასდეს[303]. თუ მოსამართლე სასჯელის გამკაცრების მიზეზად დაასახელებს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით საზოგადოების დაშინების მიზანს, ქმედების შემადგენლობის ნიშანს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად აქცევს, რაც ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის. მაგრამ თუ ქვეყანაში კონკრეტული დანაშაულის ზრდას აქვს ადგილი, მოსამართლის მიერ შესაბამის დანაშაულთან დაკავშირებით საზოგადოების დაშინების მიზნით სასჯელის გამკაცრება დასაშვებად მიიჩნევა. ის რომ დასჯადი ქმედების შემადგენლობაა ასახული სსკ-ში, ემსახურება გენერალურ პრევენციას ანუ საზოგადოების გაფრთხილებას, ამიტომ იგივე მიზნით კონკრეტული მსჯავრდებულისთვის სასჯელის დანიშვნისას სასჯელის გამკაცრება, ზოგადად, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, დაუშვებელია.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი გარემოებები ანუ სასჯელის შეფარდების საფუძველია დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე და დამნაშავის პერსონალური ბრალის ხარისხი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მოსამართლემ სამართლიანი და ბრალის თანაზომიერი სასჯელი უნდა განსაზღვროს. სასჯელის ფარგლები მოსამართლეს უტოვებს ბრალის თანაზომიერი სასჯელის განსაზღვრის შესაძლებლობას. თუმცა, მოსამართლეს შეუძლია სასჯელის შეფარდების დროს სასჯელის სხვა მიზნები და, მათ შორის, დაშინების მიზანიც გაითვალისწინოს. თუმცა, პრევენციული

---

[302] Jescheck/Weigend, ebenda, S. 881-882, §82 IV. 7. b.

[303] BGHSt 17, S. 324.

მიზანი სამართლიანი სასჯელის ფარგლებს არ უნდა გასცდეს[304].

ზემოაღნიშნულის შემდეგ, ჩნდება კითხვა, რამდენად მნიშვნელოვანია სასჯელის გენერალურ-პრევენციული ასპექტების გათვალისწინება იურიიული პირის დასჯადობისას სასჯელის შეფარდების დროს? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სამეწარმეო დანაშაულის ჩამდენზე დასჯის მაღალი ალბათობა დამაშინებელ ზეგავლენას ახდენს, ვინაიდან ამან მის სოციალურ მდგომარეობას – როგორც თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში – საფრთხე შეიძლება შეუქმნას. *კ. მიტელსდორფი* ემპირიულ გამოკვლევებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ სასჯელის მცირედი გამკაცრება ბრალის ფარგლებში პოტენციურ დამნაშავეებზე გენერალურად არ ახდენს ზემოქმედებას. გერმანიის უზენაესი სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს სასჯელის მიზანშეწონილობის და რაციონალურობის მომენტზეც. კერძოდ, მხედველობაში მიიღება, თუ რამდენად რაციონალურად მოქმედებდა დამნაშავეთა ჯგუფი[305].

მაშინ, როცა სასჯელის შეფარდებისთვის გენერალურ-პრევენციული მიზნის გათვალისწინება, სხვადასხვა კუთხით, პრობლემურად მიიჩნევა, სასჯელის შეფარდების სპეციალურ-პრევენციული მიზანი არ შეიძლება საკამათოდ ჩაითვალოს. უფრო მეტიც, სპეციალურ-პრევენციული ასპექტი რომ კონკრეტულ შემთხვევასთან ანუ სასჯელის შეფარდებასთანაა დაკავშირებული და არა გენერალურ მიდგომასთან, ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქმე ეხება არა მთელ საზოგადოებას, არამედ კონკრეტულ დამნაშავეზე ზემოქმედებას.

იურიდიული პირის მეშვეობით ან სახელით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობის დროს სასჯელის შეფარდებისას პრევენციული ასპექტების გათვალისწინებაზე ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ აქ ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულის გამო ინდივიდის მიმართ სასჯელის შეფარდებისას პრევენციული ასპექტების მხედველობაში მიღებაზე შეიძლება იყოს საუბარი და არა პრევენციული მიზნით იურიდიული პირისთვის სასჯელის განსაზღვრაზე, ვინაიდან იურიდიული პირი არ ფლობს იმ თვისებებს და უნარს, რომელიც შესა-

[304] BGHSt 20, S. 266-267.

[305] Mittelsdorf K., Unternehmensstrafrecht im Kontext, Heidelberg, 2007, S. 171-172.

ძლებელს გახდის მასზე პრევენციული თვალსაზრისით სასჯელით ზემოქმედების მოხდენას. დანაშაულის პრევენცია შეიძლება მიღწეულ იქნას ინდივიდის მეშვეობით, ინდივიდზე ზემოქმედებით და არა ორგანიზაციაზე ზემოქმედებით.

12.4.19.2. ორგანიზაციის თანამშრომელთა ქმედების გავლენა უმართლობაზე

საკითხავია, ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულის გამო სასჯელის შეფარდებისას, მიიღება თუ არა მხედველობაში ის გარემოება, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევაში ბევრმა თანამშრომელმა შეიტანა წვლილი და უმართლობის განხორციელებამ ბევრი ადამიანის ზურგზე გადაიარა. სისხლის სამართლის დოგმატიკაში პრინციპულად მხარს უჭერენ იმას, რომ დანაშაულის ყველა მონაწილეს მთელი უმართლობა შეერაცხოს. მაშასადამე, არა აქვს მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით, დანაშაული ერთპიროვნული ამსრულებლობით განხორციელდა, თუ მრავალი ადამიანის მონაწილეობით. ამსრულებელსაც და თანამონაწილესაც, ისევე როგორც თანაამსრულებელს, უმართლობა სრულად ერაცხებათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში ხშირად ერთზე მეტი პირი მონაწილეობს. ჯგუფურად დანაშაულის ჩადენისას საფრთხის ხარისხი იზრდება. მაგრამ, ორგანიზაციაში დანაშაულის ჩადენისას განსხვავებული მდგომარეობა შეიძლება გვქონდეს. აქ, ერთი მხრივ, სახეზეა გადაწყვეტილების მიმღები და, მეორე მხრივ, მისი უბრალო თანამოზიარე, რომელთა პასუხისმგებლობა ობიექტური უმართლობის სიბრტყეზე მკაცრად დიფერენცირებულია[306]. ორგანიზაციის საშუალებით თანაამსრულებლობით დანაშაულის ჩადენისას შეიძლება მსხვერპლის მიმართ საფრთხის ხარისხი დამნაშავეთა სიმრავლით არ ისჯებოდეს. თუ ჯგუფური მკვლელობის დროს მსხვერპლის მიმართ მის გარდაცვალებამდე მეტი საფრთხე არსებობდა დამნაშავეთა სიმრავლის გამო, იგივეს თქმა შეუძლებელია ყოველთვის, მიუხედავად

[306] Mittelsdorf K., ebenda, S. 177.

ჯგუფური დანაშაულისა. ეს დამოკიდებულია დანაშაულის ბუნებაზეც. ზოგიერთ დანაშაულთან დაკავშირებით ისიც საკამათოა, ყავს თუ არა მსხვერპლი, ვინაიდან არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთი დანაშაული მსხვერპლს არ იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ სსკ-ის 27-ე მუხლში, სადაც ჯგუფური დანაშაულის დეფინიციაა მოცემული, არ არის მითითება ჯგუფური მოქმედების გამო სასჯელის უპირობო გაზრდაზე (განსხვავებით მე-17 მუხლისგან, რომელიც რეციდივს ეხება). იმისთვის, რომ ჯგუფურობამ სასჯელი დაამძიმოს, იგი უნდა იყოს მაკვალიფიცირებელ გარემოებად გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაული შეიძლება ჯგუფურად იყოს განხორციელებული, მაგრამ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სასჯელის გამკაცრების საკითხი მაინც არ დაისვას.

12.4.19.3. მსხვერპლის თანაბრალეულობის მნიშვნელობა ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით

ორგანიზაციაში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად როგორც ლიტერატურაში, ისე გერმანულ მართლმსაჯულებაში, სახელდება მსხვერპლის თანაბრალეულობა[307]. აღნიშნული გარემოება სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად მაშინაც განიხილება, როცა დანაშაული ორგანიზაციაში არ არის ჩადენილი.

12.4.19.4. ჯგუფურობის ეფექტი

ორგანიზაციაში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით საყურადღებო გარემოებას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ცალკეულ პირთათვის ჯგუფის ეფექტის მნიშვნელობა. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირები არიან კონფორმიზ-

[307] Mittelsdorf K., ebenda, S. 178.

მის ზეგავლენის ქვეშ და ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე ორგანიზაციის ღირებულებას ასუსტებენ. ისინი ჩადიან დანაშაულებს, რომელთანაც პიროვნულად წინააღმდეგობაში მოდიან[308], რაც იმას ნიშნავს, რომ პირი, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას იღებს, გადაწყვეტილებისთვის ხმის მიცემას შინაგანად არ იწონებს, მაგრამ კონფორმიზმის ზეგავლენით ხმას მაინც იმას აძლევს, რაც მას პიროვნულად არ მოსწონს.

ჯგუფურობის ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის ცალკეულ წევრს თავისი პასუხისმგებლობის გარკვეული წილი ჯგუფისთვის, მოცემულ შემთხვევაში ორგანიზაციისთვის, აქვს გადაკისრებული. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ძალადობითი დანაშაულის ჩამდენ პირებს ექსტრემალურ შემთხვევებში ცნობიერების ისეთი მოშლა შეიძლება ჰქონდეთ, რომ ბრალი გამოირიცხოს. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი კრიტერიუმია უცებ, ჯგუფში მიღებული გადაწყვეტილება, რაც საკუთარი კრიტიკული რეფლექსიის შესაძლებლობას გამორიცხავს[309]. თუმცა, ავტორთა უმეტესობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჯგუფური გადაწყვეტილების ეფექტი და ჯგუფური დინამიზმის პროცესში დანაშაულის ჩადენა შემამსუბუქებელ გარემოებად იქნას გათვალისწინებული[310], ვინაიდან მოქმედების დროს ჯგუფის წევრთა ემოცია და საფრთხესთან დაკავშირებული მზაობა მომატებულია ჯგუფის შიგნით ანონიმურობის საფუძველზე[311], ჯგუფური დინამიზმის ძალას შეუძლია დამნაშავის ნებაზე და მოტივაციაზე ზეგავლენის მოხდენა. შეიძლება ჯგუფის წევრი ჯგუფის ხელში იარაღად ანუ ისეთ მონაწილედ იქცეს, სადაც მას პროცესების გადახედვის და მართვის შესაძლებლობა არ ექნება[312]. ასეთ დროს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი შეიძლება დამნაშავესთან ერთად ერთგვარი მსხვერპლიც აღმოჩნდეს.

[308] Mittelsdorf K., ebenda, S. 178.

[309] Mittelsdorf K., ebenda, S. 179.

[310] Weber U., in: Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 456, §19 Rn. 28; Stree/Kinzig, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, 2010, S. 753, §46 Rn. 13.

[311] ob. Hörnle T., Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 314.

[312] Schumacher W., Gruppendynamik und Straftat, Ein Beitrag zur Integration von Strafrecht und empirischer Wissenschaft, NJW 1980, S. 1880.

ჯგუფური დინამიზმი თუ რამდენად შეიძლება იყოს ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება, საკამათოდ ითვლება, ვინაიდან *როქსინი* ჯგუფური დინამიზმის პროცესს ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულებში არ განიხილავს ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად[313].

კ. მიტელსდორფი ორგანიზაციაში ჯგუფურად მიღებულ გადაწყვეტილებაზე და ჯგუფურობის ეფექტზე მსჯელობის დროს ეყრდნობა ფსიქოლოგთა (*ლებონი, ფროიდი*) შეხედულებებს მასების ფსიქოლოგიაზე და ამის საფუძველზე უთითებს, რომ ჯგუფურობის ეფექტი მოქმედ პირში პასუხისმგებლობის გრძნობის შემცირებას იწვევს. აღნიშნული შეხედულების თანახმად, ჯგუფურობის ეფექტს, კონფორმიზმის ზეგავლენას, უმართლობის შემცირებულ შეგნებამდე მივყავართ, რაც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებაა[314].

ბრალის ხარისხზე ჯგუფური დინამიზმის გავლენის მნიშვნელობის განსასაზღვრავად საჭიროდ მიიჩნევენ ჯგუფისადმი კონფორმისტული დამოკიდებულების მიზეზების დადგენას. თუმცა, არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობს ამ საკითხზეც, ისევე როგორც ჯგუფურობის ეფექტის მნიშვნელობაზე[315].

ჯგუფური დინამიზმის ფაქტორი უდავოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რაც სასჯელის დანიშვნის დროს აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, მაგრამ არ შეიძლება აღნიშნული საკითხი სხვა გარემოებათა გათვალისწინების გარეშე გადაწყდეს. მართებულია სასჯელის დანიშვნის დროს ჯგუფურობის მომენტის არა აბსტრაქტულად გათვალისწინება, არამედ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენისას მისი როლის შეფასება. ჯგუფურობის მომენტი ყოველთვის არ შეიძლება ერთნაირ მნიშვნელობას იძენდეს. უფრო მეტიც, იგი ზოგჯერ შეიძლება სასჯელის დამამძიმებელ გარემოებადაც ჩაითვალოს. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტორი, რომ საქართველოს სსკ მთელ რიგ დანაშაულებთან მიმართებით დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დანაშაულის ჯგუფურად განხორციელებას. ვინაიდან ორგანიზაციაში დანაშაულის ჩადენა,

---

[313] Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 3. Aufl., München, 1997, S. 772, §20 IV Rn. 33.

[314] Mittelsdorf K., ebenda, S. 179.

[315] Mittelsdorf K., ebenda, S. 180.

როგორც წესი, უმეტესად ჯგუფურ მოქმედებასთანაა დაკავშირებული, თუ სსკ-ის შესაბამისი მუხლი ჯგუფურობას მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს, იგი ხელმეორედ ვერ იქნება მხედველობაში მიღებული სასჯელის დანიშვნის დროს. ჯგუფურობასთან დაკავშირებით შემდეგი მომენტიც არის გასათვალისწინებელი: თუ ქმედება კვალიფიცირდება მუხლის იმ ნაწილით, რომელიც ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას მაკვალიფიცირებელ გარემოებად აცხადებს, ალოგიკური იქნებოდა სასჯელის დანიშვნის დროს სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად მსჯავრდებულისთვის შეფარებული სასჯელის დასაბუთების ნაწილში დაესახელებინა დანაშაულის ჩადენა ჯგუფური დინამიზმის პროცესში. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად შეაფასებდა იმას, რაც ქმედების კვალიფიკაციის დროს დამამძიმებელ გარემოებად შეაფასა, რაც სამართლებრივ ლოგიკას იქნებოდა მოკლებული. ყოველივე ეს ბადებს კითხვას, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა გამართლებული სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლებში დამამძიმებელ გარემოებად ჯგუფურობის გათვალისწინება.

ვინაიდან ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას ადგილი არა მხოლოდ ორგანიზაციაში, არამედ სხვა ფორმითაც შეიძლება ჰქონდეს, საინტერესოა, ჯგუფური მოქმედება სასჯელზე ყოველთვის ერთნაირად ახდენს თუ არა ზემოქმედებას? ჯგუფურ დანაშაულს წარმოადგენს მაგალითად ბანდიტიზმი. საინტერესოა, ბანდიტიზმის დროსაც ექნება თუ არა ჯგუფურ დინამიზმს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ორგანიზაციაში დანაშაულის ჩადენისას?

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა *კ. მიტელსდორფის* მსჯელობა, რომელიც ორგანიზაციაში მუშაობის და ორგანიზაციასთან დაკავშირების ლეგიტიმურობასა და სოციალურ ადექვატურობაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, ორგანიზებულ დანაშაულთან შედარებით იურიდიული პირის დანაშაულებრივ საქმიანობას განსაკუთრებულობას სძენს ის, რომ იურიდიული პირის მნიშვნელობა განსაკუთრებულია საზოგადოებისთვის. ამავე მოსაზრების თანახმად, ვინაიდან იურიდიული პირის სახით არსებულ ორგანიზაციაში შესვლა ლეგიტიმურია, შეუძლებელია ბანდების და

ორგანიზებული დანაშაულის სახით საქმიანობასთან შედარება. ამასთან ერთად, ავტორს გასათვალისწინებლად მიაჩნია ის, არის თუ არა კონფორმისტული ზეწოლა ბრალეულად გამოწვეული. ავტორს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიაჩნია მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხავი გარემოების მსგავსი გარემოების არსებობა. ასეთ გარემოებად ასახელებს სამსახურის დაკარგვის საფრთხის და შიშის ქვეშ მოქმედებას და მას მიიჩნევს უკიდურესი აუცილებლობის მსგავს გარემოებად[316].

სამსახურიდან გათავისუფლების საფრთხე, ასეთი შიშის ქვეშ მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულებაში მონაწილეობა, ბუნებრივია პასუხისმგებლობას ვერ გამორიცხავს, მაგრამ აღნიშნული გარემოება სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად მაინც უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ასეთ დროს მოქმედი პირის ნების ხარისხი არის შედარებით დაბალი, რამეთუ მოქმედ პირს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება შინაგანად არ სურს, მაგრამ, გარკვეულწილად, იძულებული ხდება დათანხმდეს იმ ქმედების განხორციელებას, რასაც შინაგანად არ ეთანხმება. სამსახურის დაკარგვის საფრთხის ქვეშ მოქმედების შეფასებისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ სამსახურის დაკარგვის საშიშროების არსებობა, არამედ სხვა გარემოებებიც. მაგალითად, მოქმედი პირის ეკონომიკური და ოჯახური მდგომარეობა, აქედან გამომდინარე მატერიალურად ის უარყოფითი შედეგები, რაც მოჰყვება სამსახურის დაკარგვას. სამსახურებრივი ზეგავლენა ქვეშევრდომ პირზე თუ რამდენად ახდენს ქვეშევრდომის ნების პარალიზებას ან შეზღუდვას, მიუთითებს ის ნორმებიც, რომლებიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებენ დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

12.4.19.5. პერსონალური დიფერენცირება

როდესაც საუბარია ჯგუფურ დინამიზმზე და სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით მის მნიშვნელობაზე, ჩნდება კითხვა, როცა ორგანიზაციაში დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღებასა და

[316] Mittelsdorf K., ebenda, S. 180-181.

აღსრულებაში ჯგუფი მონაწილეობდა, ჯგუფის ყველა წევრს ერთნაირად დაეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა?

სისხლის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს იმას, რომ მაშინ, როცა საქმე ეხება თანამონაწილეობით და ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას, თითოეულ დამნაშავეს სასჯელი ინდივიდუალურად უნდა განესაზღვროს ინდივიდუალურ გარემოებებზე დაყრდნობით. სასჯელის ინდივიდუალურად განსაზღვრა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ჯგუფის წევრთათვის განსაზღვრულ სასჯელთა ზომა განსხვავებული შეიძლება იყოს. თუნდაც, ჯგუფური დინამიზმის პროცესი კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ჯგუფის ყველა წევრისთვის ვერ ჩაითვლება სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად. მაგალითად, ისეთი პირისთვის, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელია. მაშასადამე, ჯგუფური დინამიზმის შეფასებისას აუცილებელია ჯგუფის წევრ პირთა დიფერენცირება და ორგანიზაციაში მათი პოზიციის გათვალისწინება.

12.4.19.6. მოვალეობის დარღვევის ზომა – ორგანიზაციის ძალაუფლების გამოყენება

ორგანიზაციაში მმართველთა და უფლებამოსილ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში მიიღება ორგანიზაციაში მაღალი თანამდებობის გამოყენება დანაშაულის ჩასადენად. აღნიშნული მიიჩნევა მოვალეობის მაღალი ზომის დარღვევად, რაც უმართლობის ხარისხს ამძიმებს[317].

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თანამდებობრივი მდგომარეობა, სამსახურებრივი პოზიცია მხოლოდ მაშინ მიიჩნევა სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელ, სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად, როცა ჩადენილ დანაშაულსა და დანაშაულის ჩამდენის სამსახურებრივ საქმიანობას, პროფესიულ მოვალეობას შორის შინაგანი კავშირი არსებობს. თუ ასეთი კავშირი არ არსებობს, სასჯელის დამძიმების

[317] Mittelsdorf K., ebenda, S. 185.

თვალსაზრისით, მხედველობაში არ მიიღება ის, რომ დანაშაული თანამდებობის პირმა ჩაიდინა. სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად არ უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ განხორციელებულმა დანაშაულმა დამნაშავის პიროვნებიდან გამომდინარე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. არ არსებობს „ცნობილ პირთა სისხლის სამართალი" („Prominentenstrafrecht")[318].

გერმანიის მართლმსაჯულების მიხედვით, დანაშავის სოციალური მდგომარეობა მაშინ არის სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი გარემოება, როცა მისი პროფესიული ამოცანებიდან და მასთან დაკავშირებული მოვალეობებიდან გამომდინარე კონკრეტული პირისგან პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება არის მოსალოდნელი და დანაშაულსა და პროფესიულ მოვალეობას შორის თუნდაც მცირეოდენი კავშირი არსებობს[319].

აღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სასჯელის დამამძიმებელი გარემოებაა არა თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, არამედ დანაშაულის ჩადენა თანამდებობის გამოყენებით. აღნიშნული მოსაზრება ნაწილობრივაა მისაღები, რაც ქვემოთ იქნება დასაბუთებული.

ის რომ დანაშაულის ჩადენის დროს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამძიმებს სასჯელს, კარგად ჩანს საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილში მოცემული მთელი რიგი შემადგენლობებიდან, სადაც მაკვალიფიცირებელ გარემოებად განსაზღვრულია თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება. მაგალითად, თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ 180-ე მუხ.). მოცემულ შემთხვევაში სასჯელის დამამძიმებელი გარემოება არის არა უბრალოდ გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობა ან სოციალური სტატუსი, არამედ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება.

შეიძლება თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განახორციელოს ადვოკატმა, როდესაც ის ატყუებს თავის კლიენტს, დაცვის ქვეშ მყოფს და თაღლითურად ისაკუთრებს სხვის

---

[318] Gribbohm G., in: LK, 2. Band, 11. Aufl., Berlin, 2003, §46 Rn. 103; Franke, in: MK, Band I, München, 2003, §46 Rn. 32; Bruns H-J., Das Recht der Strafzumessung, 2. Aufl., Köln, 1985, S. 193.

[319] Bruns H-J., Das Recht der Strafzumessung, 2. Aufl., Köln, 1985, S. 194.

ქონებას. ასეთ დროს სახეზეა დამამძიმებელი გარემოება, მაგრამ დამამძიმებელი გარემოება არ იქნება სახეზე, თუ ადვოკატი ახორციელებს ქურდობას. ასეთ დროს სახეზე არ არის მოვალეობის მაღალი ზომით დარღვევა, განსხვავებით თაღლითობისგან[320].

სსკ-ის კერძო ნაწილში გვხვდება ისეთი შემადგენლობებიც, სადაც თანამდებობრივი, სამსახურებრივი საქმიანობის გამოყენება არა თუ დამამძმებელი, არამედ ქმედების შემადგენლობის ძირითადი ნიშანია. მაგალითად, ქრთამის აღება. ხოლო კანონმდებელი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად არა თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებაზე მიუთითებს, არამედ დამნაშავის მაღალ სტატუსზე. მაგალითად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება. აღნიშნული თანამდებობა პირს აკისრებს მართლზომიერი ქმედების მაღალ მოვალეობას. შესაბამისად, მისი დარღვევა მაღალი თანამდებობის პირის მიერ ქმედების უმართლობას ამძიმებს. რაც უფრო მაღალია დაკავებული თანამდებობა, მით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება თანამდებობის პირს. ქართული სსკ-ის კერძო ნაწილში მოცემული კონკრეტული შემადგენლობების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს თანამდებობის გამოყენებას, ხოლო ზოგჯერ გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობას, დამნაშავის პოლიტიკურ-სოციალურ სტატუსს. შეიძლება თუ არა სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად იქნას მიჩნეული დანაშაულის ჩადენა არა თანამდებობის გამოყენებით, არამედ გარკვეულ თანამდებობაზე მყოფი პირის მიერ, დამოკიდებულია დანაშაულის ბუნებაზეც.

იურიდიულ ლიტერატურაში საეჭვოდაც მიიჩნევენ იმას, მიეკუთვნება თუ არა სამეწარმეო ორგანიზაციის მმართველი ისეთი განსაკუთრებული მოვალეობის მატარებელ პირებს, რომლებსაც მათი თანამდებობრივი პოზიციის გამო სასჯელი დაუმძიმდებათ. ლიტერატურაში ავტორთა ერთი ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სამეწარმეო ორგანიზაციისგან გენერალურად არ არის მოსალოდნელი მართლზომიერი საქმიანობა ისე, როგორც მერის ან მოხელის შემთხვევებში. მაშასადამე, მოცემული მოსაზრების მიხედ-

[320] Franke, in: MK, Band I, München, 2003, §46 Rn. 32.

ვით, არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ მმართველი ორგანო მაღალი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მკაცრად დაისაჯოს[321].

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, სასჯელის დამამძიმებელ გარემოებადაა განხილული სააქციო საზოგადოებაში აქციონერებსა და მმართველს შორის არსებული კონფლიქტის გამოყენება დანაშაულის ჩასადენად. ზოგჯერ ორგანიზაციაში სპეციალური ორგანოების (სამეთვალყურეო საბჭო) და საზოგადოების მიერ კონტროლი არ არის საკმარისი. როდესაც ორგანიზაციის მესაკუთრის მიმართ მის პატიოსნებასთან დაკავშირებით ნდობა დიდია, ასეთ დროს თანამდებობის ბოროტად გამოყენება მოვალეობის განსაკუთრებული მოცულობით დარღვევას გულისხმობს და იწვევს სასჯელის დამძიმებას. მსგავსი მდგომარეობაა მაშინაც, როცა ორგანიზაციის თანამშრომლის მიმართ არსებობს ნდობა და მასზე ენობრივი თუ სხვა გარემოების გამო კონტროლი შეზღუდულია[322].

არ უნდა ჩაითვალოს სწორად სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად მხოლოდ იმის მიჩნევა, რომ ორგანიზაციაში დანაშაულის ჩამდენს საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. გასათვალისწინებელია დანაშაულის ბუნებაც. გარდა ამისა, სასჯელის დანიშვნის დროს, ზოგადად, როცა ინდივიდის პასუხისმგებლობის საკითხი წყდება, მნიშვნელოვანია ჩადენილ დანაშაულსა და დანაშაულის ჩამდენის სამსახურებრივ საქმიანობას შორის შინაგანი კავშირი, რაც შეიძლება დადგინდეს მაშინ, როცა საქმე ეხება დანაშაულის ჩადენას იურიდიული პირის გამოყენებით, ვინაიდან შეუძლებელია იურიდიული პირის საშუალებით დანაშაული ხორციელდებოდეს და დანაშაულის განხორციელებაში მონაწილე პირის საქმიანობასთან ჩადენილ დანაშაულს კავშირი არ ჰქონდეს, მაგრამ თუ ასეთი კავშირი იურიდიული პირის საშუალებით დანაშაულის ჩადენისას ტიპურია, რამდენად მართებული იქნება იგი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად გამოცხადდეს? რაც კონკრეტული ფორმით დანაშაულის ჩადენისთვის ტიპურია, ვერ იქნება მიჩნეული სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად.

---

[321] Stree/Kinzig, in: Schönke/Schröder, Srafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., München, 2010, S. 762, §46 Rn. 35.

[322] Mittelsdorf K., ebenda, S. 185.

12.4.19.7. ალტრუისტული მოტივაცია

ორგანიზაციაში ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი გარემოებებიდან ერთ-ერთია მოტივაცია. მოტივაციის შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, მოქმედის მოტივი იყო თუ არა სოციალურეთიკურად გასაკიცხი[323]. მოტივის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მორალური მასშტაბი, რომლის გარეშეც მოტივის შეფასება არ ხდება. მოსამართლემ მოტივი როგორც სოციალურეთიკურად, ისე მორალურად უნდა შეაფასოს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ სისხლის სამართალმა არ შეიძლება მიზნად დაისახოს არადასჯად, მორალურ ქმედებაზე ზემოქმედების მოხდენა. მოტივის შეფასებისას მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული მორალური შეხედულებები, რომლებიც მკაფიოს არ ხდიან ბრალთან და პრევენციასთან დაკავშირებით თუ რომელი შეხედულებები იქნა გათვალისწინებული სასჯელის შეფარდების დროს, რაც დამნაშავის პიროვნების და დანაშაულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო ბრალდებისთვის ან გამართლებისთვის[324].

სისხლის სამართალი არის ultima ratio, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი როგორც უკიდურესი საშუალება არ შეიძლება ამორალობის წინააღმდეგ საბრძოლველად იქნას გამოყენებული, მაგრამ მეორე მხრივ, მოტივის შეფასებისას მოსამართლე მორალურ მასშტაბს ეყრდნობა, რაც ბუნებრივია, არ ნიშნავს დასჯას მორალური შეხედულებებით.

სასჯელის შეფარდების დროს მოტივის მნიშვნელობაზე საუბრისას ჩნდება კითხვა, თუ რა სახის მოტივი როგორ გავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე. გაბატონებული შეხედულების თანახმად, კრიზისულ სიტუაციებში იურიდიული პირის ზეინდივიდუალური ინტერესებისთვის თავგანწირვა (ერთგულება) სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევა. თუმცა, აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება. ერთ-ერთი მოსაზრებით, არავინ იმსახურებს შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად მართლსაწინააღმდეგო ხერხის გამოყენები-

[323] Mittelsdorf K., ebenda, S. 186.

[324] Gribbohm G., in: LK, 2. Band, 11. Aufl., Berlin, 2003, §46 Rn. 75.

სთვის, მაგალითად, როგორიცაა თაღლითობა და სხვა (*ენგიში*). მოცემული შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრების შესაბამისად, ქმედების მართლწინააღმდეგობის გათვალისწინება სასჯელის დანიშვნის დროს წინააღმდეგობაში მოდის ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპთან. გარდა ამისა, ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ იურიდიული პირის დასაცავად მოქმედებით მოქმედი პირი თავის სამუშაო ადგილსაც იცავს. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ შემამსუბუქებელ მოტივად ვერ იქნება მიჩნეული, მაგალითად კრიზისული მდგომარეობის გარეშე, ორგანიზაციის მოგების გაზრდის მიზნით დანაშაულის ჩადენა. არც პირადი პროფესიული და ფინანსური დაწინაურების მოტივით მოქმედება ჩაითვლება სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად[325]. მაგრამ, დანაშაული თუ იქნა ჩადენილი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში არსებული ორგანიზაციის გადარჩენის მოტივით, მას შეიძლება შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა მიენიჭოს სასჯელის დანიშვნისას.

12.4.19.8. იურიდიული პირის დასჯადობა გერმანული ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით

მართალია, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით იურიდიული პირი არ ისჯება, მაგრამ ეს ისეც არ შეიძლება გაგებულ იქნას, რომ გერმანული სამართალი საერთოდ უარყოფდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (Ordnungswidrigkeitengesetz) 30-ე პარაგრაფის მიხედვით, გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა[326]. ეს კი მიჩნეულია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობად ფართო გაგებით. ნამდვილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი კი ცხარე დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 30-ე პარაგრაფის მიხედვით, იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა

---

[325] Mittelsdorf K., ebenda, S. 186-187.

[326] Bohnert/Krenberger/Krumm, Ordnungswidrigkeitengesetz, Kommentar, 4. Auflage, München, 2016, S. 122-132, §30 Rn. 1. ff.

მხოლოდ მაშინ ეკისრება, როცა პასუხისმგებელი პირი მისი კონ-ტროლის ან ზედამხედველობის ვალდებულებებს დაარღვევს და დანაშაულის ჩადენას შესაძლებელს გახდის იურიდიული პირის სა-სარგებლოდ[327].

გერმანული სამართლის მიხედვით, იურიდიულ პირს ჯარიმა შეიძლება შეეფარდოს მინიმუმ 5 ევროს, ხოლო მაქსიმუმ 10 მილ-იონი ევროს ოდენობით[328]. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, განზრახი ქმედების განხორციელებას ეხება საქმე, თუ გაუფრთხილებლობას. კერძოდ, მაშინ, როდესაც გაუფრთხილე-ბლობითი სამართალდარღვევისთვის იურიდიულ პირს 5 000 ევრომდე გადასახადი ჯარიმა ეფარდება, განზრახ სამართალდარღვევის დროს ეს ოდენობა 10 000-მდე ადის (30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი). მო-ცემულ შემთხვევაში საყურადღებო არა მხოლოდ ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პრინციპია, ის, რომ ქმედების გაუფრთხილებლობით თუ განზრახ განხორციელება ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს, არ-ამედ ისიც, რომ იურიდიულ პირს შეიძლება პასუხისმგებლობა დაე-კისროს და არა მხოლოდ განზრახვისთვის, არამედ გაუფრთხილე-ბლობითი ქმედებისთვისაც.

იმისთვის რომ იურიდიული პირის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 30-ე პარაგრაფის მიხედვით დადგეს, საჭიროა შემდეგი წინაპირობების არ-სებობა: უნდა იყოს განხორციელებული კონკრეტული სამართალდარ-ღვევა; სახეზე უნდა იყოს იურიდიული პირი; სამართადარღვევის ჩამ-დენი უნდა იყოს იურიდიული პირის ორგანოში ისეთ პოზიციაზე, რომ პასუხისმგებლობა ეკისრებოდეს; განხორციელებული ქმედებით დარღვეული უნდა იყოს ის მოვალეობები, რომელიც იურიდიულ პირებს ეხებათ[329].

იმისთვის, რომ იურიდიულ პირს ადმინისტრაციულ სამართალ-

---

[327] *მ-პ. ვასმერი*, ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, ასევე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოსა და გერმანი-აში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – www.dgstz.de, 2016, №3, გვ. 32.

[328] *მ-პ ვასმერი*, იქვე, გვ. 33.

[329] Bohnert/Krenberger/Krumm, ebenda, §30 Rn. 6.

დარღვევათა კოდექსის 30-ე პარაგრაფით პასუხისმგებლობა დაეკისროს, იურიდიული პირის სახელით მოქმედი პირის ქმედება ქმედების შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული უნდა იყოს. პასუხისმგებლობისთვის საკმარის პირობად ვერ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც განხორციელებულია მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხავ გარემოებაში[330]. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის, რომ საუბარია იურიდიული პირის სახელით მოქმედი პირის ბრალეულობაზე და არა იურიდიული პირის ბრალზე თუ ბრალუნარიანობაზე. მაშასადამე, არა მხოლოდ ფიზიკური პირის პასუხისმგებლობისთვისაა საჭირო მოქმედი პირის ბრალი, არამედ იურიდიული პირის პასუხისმგებლობისთვისაც, მაგრამ იურიდიული პირის სახელით მოქმედი ფიზიკური პირის ბრალეულობა/ბრალუნარიანობა არ გულისხმობს იურიდიული პირის ბრალუნარიანობის/ბრალეულობის მტკიცებას. ბრალუნარიანობა მოითხოვს ისეთ თვისებებს, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ პირს შეიძლება ჰქონდეს.

ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსის 30-ე პარაგრაფით იურიდიული პირისთვის ჯარიმის შეფარდებასთან დაკავშირებით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „იურიდიული პირის წინააღმდეგ მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 30-ე პარაგრაფის მიხედვით შეიძლება ჯარიმის შეფარდება, მაგრამ იგი არც ბრალეულ და არც ეთიკურ გაკიცხვას არ შეიცავს, არამედ ქმედებასთან დაკავშირებით მიღებული მოგების კომპენსაცია უნდა მოახდინოს“[331]. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ იურიდიული პირის ბრალეულობაზე საუბარი შეუძლებელია. შესაბამისად, იურიდიული პირისთვის დაკისრებული ჯარიმა ვერ იქნება განხილული „იურიდიული პირის ბრალის“ კომპენსაციად, გამოსყიდვად. იგი მხოლოდ იმ მატერიალური სარგებლის კომპენსაციაა, რომელიც იურიდიულმა პირმა მიიღო მისი წარმომადგენლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაში შეიძლება ჩართული იყოს ორი ან მეტი ადამიანი ანუ საქმე ეხებოდეს თანა-

[330] Bohnert/Krenberger/Krumm, ebenda, §30 Rn. 7.

[331] BverfGE 95, S. 242.

მონაწილეობით ჩადენილ ქმედებას. ასეთ დროს საკმარისია თუნდაც ერთ-ერთი მათგანი იყოს იურიდიული პირის წარმომადგენელი, მისი სახელით მოქმედი პირი[332]. აუცილებელი არ არის, რომ ქმედების განხორციელებაში მონაწილე ყველა პირი იყოს იურიდიული პირის წარმომადგენელი.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მაშინაც მიიჩნევა შესაძლებლად, როდესაც არ არის დადგენილი ქმედების ჩამდენი კონკრეტული პირი[333]. მსგავსი რეგულაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც არის გათვალისწინებული. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება ვისაუბროთ ქმედების ჩამდენის ბრალეულობაზე, როდესაც ქმედების ჩამდენი პირი არ არის დადგენილი? ერთი მხრივ, იურიდიული პირის პასუხისმგებლობისთვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა მისი სახელით მოქმედი პირის ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ხოლო მეორე მხრივ, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობაზეა საუბარი მაშინ, როცა მოქმედი პირი დადგენილი არ არის.

12.5. ბელგია

იურიდიული პირის სასჯელუუნარობასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ბელგიური მართლმსაჯულება, რომელიც თვლის, რომ იურიდიულ პირთა დამნაშავედ შერაცხვა შესაძლებელია, მაგრამ არა დასჯა. წესის პატივისცემა, დაცვა ევალება როგორც ფიზიკურ, ისე ფიქტიურ პირებსაც. იურიდიულ პირს თავისი ორგანოს მეშვეობით შეუძლია უკანონოდ შეფასებული, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, მაგრამ შეუძლებელია მათ მიმართ სასჯელის გამოყენება[334].

---

[332] Bohnert/Krenberger/Krumm, ebenda, §30 Rn. 8.

[333] Bohnert/Krenberger/Krumm, ebenda, §30 Rn. 10.

[334] *ჟ. პრადელი*, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, თბ., 1999, გვ. 229-230.

12.6. იტალია

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით საყურადღებოა იტალიის კონსტიტუციის მიდგომა, რომლის 27-ე მუხლის თანახმად, „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პიროვნულია", რაც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გამომრიცხავ დებულებად განიმარტება[335], თუმცა ეს სრულად არ გამორიცხავს იურიდიული პირის მიმართ სამართლებრივი სანქციის (მაგალითად, ადმინისტრაციული) გამოყენების შესაძლებლობას.

12.7. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების მოდელიც იურიდიული პირის დასჯადობასთან დაკავშირებით, სხვა ქვეყნების სამართლის მსგავსად, აქცესორულია. ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას 1909 წლიდან ცნობს, მას შემდეგ, რაც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ერთერთ საქმეზე იურიდიული პირის დასჯადობა დაუშვა. ჩანაცვლებითი პასუხისმგებლობის პრინციპის (ვიცარიოუს ლიაბილიტყ) მიხედვით, იურიდიული პირი ისჯება მისი თანამშრომლის დასჯით. აღნიშნული პრინციპი ეფუძნება სამოქალაქოსამართლებრივ ჰიპოთეზას, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ქმედებისთვის, მის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებაში დახმარებისთვის[336].

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა სამ წინაპირობასთანაა დაკავშირებული: 1) დანაშაული უნდა ჩაიდინოს იურიდიულ პირში დასაქმებულმა. თუ რა ფუნქციას ასრულებს იგი, არაარსებითია, განსხვავებით სხვა ქვეყნების სისხლის სამართლისგან; 2) დანაშაული უნდა იქნას განხორციელებული სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში. მაშასადამე, მნიშვნელოვანია ფუნქციური კავშირი სამ-

---

[335] *ჟ. პრადელი*, დასახ. ნაშრ., გვ. 229.

[336] Kirch-Heim C., Sanktionen gegen Unternehmen, Berlin, 2007, S. 133.

სახურებრივ საქმიანობასთან. განხორციელებული ქმედება არ არის დასაშვები. მისი დასაშვებობა არც სამსახურის შიდა რეგულაციიდან არ გამომდინარეობს; 3) ქმედება უნდა განხორციელდეს ორგანიზაციისთვის სარგებლის მოტანის მიზნით. ორგანიზაციამ ფაქტობრივად მართლაც მიიღო თუ არა სარგებელი, არ არის რელევანტური[337].

დამნაშავის იდენტობა არ არის დასადგენი. პასუხისმგებლობის სუბიექტურ წინაპირობასთან დაკავშირებით აუცილებელი არ არის ორგანიზაციაში დასაქმებული პირის ყველა სუბიექტური ნიშნის მითითება. საკმარისია, რომ ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი ერთად ასრულებს ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას. ამდენად, ყველა თანამშრომლის ცოდნა და მიზნები კომბინირებულია (koleqtiuri mens rea)[338].

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის სუბიექტურ წინაპირობასთან დაკავშირებით სტრატეგიული განზრახვის (strategic mens rea) სამართლებრივი ფიგურა შეიქმნა, რომლის მიხედვითაც, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის განსახორციელებლად საკმარისია, რომ დანაშაულის ჩადენა ორგანიზაციის ნაკლოვანი სტრუქტურის შედეგად გახდა შესაძლებელი. შედეგად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა ორგანიზაციის ბრალის ნიშნით შეივსო. როგორც მართებულად აღნიშნავს *კ. კირხ-ჰაიმი*, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის (მენს რეა) ასეთ გაგებას არანაირი საერთო არ აქვს მის ტრადიციულ გაგებასთან[339].

უმთავრესი სასჯელი არის ჯარიმა. მისი გამოთვლის საფუძველი არის ე. წ. საბაზისო სასჯელი (Base Fine). იგი დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სახეზე და ბრალის ფაქტორზე. მოსამართლეს მხოლოდ განსაზღვრული მიხედულების ფარგლები რჩება, ვინაიდან გაიდლაინები წინასწარ განსაზღვრავს მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს[340].

ჯარიმასთან ერთად იურიდიულ პირს შეიძლება ზიანის ანაზღაურებაც შეეფარდოს. გარდა ამისა, სასამართლოს აქვს შესაძლე-

[337] Kirch-Heim C., ebenda, S. 134.

[338] Kirch-Heim C., ebenda, S. 134.

[339] Kirch-Heim C., ebenda, S. 135.

[340] Kirch-Heim C., ebenda, S. 135.

ბლობა, რომ იურიდიული პირი დაავალდებულოს, რომ განაჩენი საჯარო გახდეს. გამოქვეყნების ფორმას სასამართლო თავისუფალი მიხედულების საფუძველზე განსაზღვრავს[341].

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული სამართალი აქცესორული პასუხისმგებლობის მოდელს აღიარებს, თუმცა იგი ნაწილობრივ მოდიფიცირებულ ვერსიას წარმოადგენს სხვებისგან განსხვავებით, ვინაიდან ცალკეული სასამართლოები კოლექტიურ სტრატეგიულ განზრახვას აღიარებენ[342].

12.9. დიდი ბრიტანეთი

ინგლისის სამართლებრივი სისტემა ამერიკული სამართლებრივი სისტემის მსგავსია, ვინაიდან ორივე ქვეყნის სამართალი ერთსა და იმავე სამართლებრივ ტრადიციებს ეფუძნება. ამერიკულის მსგავსად, დიდ ბრიტანეთშიც სამართლის ორი წყარო არსებობს, ე. წ. სამოსამართლო სამართალი (common law) და საკანონმდებლო, პარლამენტის მიერ დადგენილი (statutory law). სამოსამართლო სამართალი ემსახურება საკანონმდებლო სამართლის კონკრეტიზაციას და შეფარდებას კონკრეტულ შემთხვევებში. მოსამართლეს აქვს თუ არა ახალი სამართლის შექმნის კომპეტენცია, საკამათოა. საყურადღებოა, რომ როგორც ამერიკაში, ისე დიდ ბრიტანეთშიც ერთი და იმავე მოსამართლე სამართლის ყველა დარგში იღებს გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპები სისხლის სამართალშიც იქნას გამოყენებული[343]. აღნიშნული საკითხი იმ თვალსაზრისით იწვევს ასევე ყურადღებას, რომ იურიდიული პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართალშიც დგას. თვით იურიდიული პირი კი სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტია.

დიდ ბრიტანეთშიც, აშშ-ს მსგავსად, დასჯადობის წინაპირობას წარმოადგენს actus reus-ს და mens rea-ს არსებობა, სადაც დაშინე-

341 Kirch-Heim C., ebenda, S. 136.

342 Kirch-Heim C., ebenda, S. 136.

343 Brinkmann T., Das Kollektiv als Täter, Diskussion um das Verbandsstrafrecht, Hamburg, 2015, S. 54.

ბა სასჯელის უმთავრეს მიზნად მიიჩნევა. mens rea-ს მოთხოვნები მკაცრი პასუხისმგებლობის (strict liability) შემთხვევებში განსხვავებულია, როცა საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და უსაფრთხო მოძრაობას საფრთხე ექმნება, აგრეთვე, როცა გამოძიება რთულად განსახორციელებელია. strict liability გულისხმობს წმინდა ობიექტურ პასუხისმგებლობას, როცა არც guilty mind და არც გაუფრთხილებლობა არ არის საჭირო. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, ამ პრინციპის საწყისი არის საკანონმდებლო წარმოშობის და არა სამოსამართლოსამართლებრივი. მკაცრი პასუხისმგებლობა (strict liability) აწესებს სასჯელს ბრალის გარეშე[344].

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ერთ-ერთი შემთხვევა, რომელსაც 1929 წელს ჰქონდა ადგილი. კერძოდ, კაფის მეპატრონემ პროსტიტუციით დაკავებულ პირებს ნება დართო ერთი მონაკვეთი დაეკავებინათ, სადაც განხორციელდებოდა მომსახურება. ორგანიზაციას თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა, მაგრამ მესაკუთრემ არ იცოდა პროსტიტუციის არსებობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, მას ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრალი შეერაცხა, რამდენადაც მასზე მოახდინა საკუთარი ვალდებულების დელეგირება. თანამშრომლის როგორც actus reus-მა, ise mens rea-მ მესაკუთრის ბრალი დააფუძნა[345].

როგორც კონტინენტურ ევროპაში, ისე დიდ ბრიტანეთშიც თავიდან გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ იურიდიული პირი არ არის მოქმედებაუნარიანი. თუმცა, დღითიდღე იზრდებოდა საზოგადოების მნიშვნელობა, რამაც დასაბამი მისცა შეხედულებას, რომ პიროვნება, ბუნებრივი გაგებით, რომელიც საზოგადოებისთვის მოქმედებს, ახდენს საზოგადოების ნების და ეგოს (Ego) რეპრეზენტაციას[346].

არსებობს ე. წ. იდენტიფიკაციის თეორია ანუ ალტერ ეგოს დოქტრინა, რომლის შესაბამისად, ორგანიზაცია პასუხს აგებს, თუ ქმედება ისეთმა პირმა ჩაიდინა, რომელიც ორგანიზაციის „თავად და ტვინად" შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი შეიძლება იყოს ორგანიზაციის დირექტორი და პასუხისმგებელი პირი. მათი ქმედება და გან-

[344] Brinkmann T., ebenda, S. 55.

[345] Brinkmann T., ebenda, S. 55.

[346] Brinkmann T., ebenda, S. 56.

საკუთრებით mens rea აღიქმება როგორც ორგანიზაციის. აქ საქმე ეხება სულ სხვა შემთხვევას, ვიდრე vicarious liability-ის შემთხვევაში, სადაც საუბარია პირდაპირ პასუხისმგებლობაზე ორგანიზაციის საკუთარი „ბრალის" გამო. აშშ-გან განსხვავებით, პასუხისმგებლობა არ არის იმ ქმედებებით შემოფარგლული, რომელიც სამსახურებრივი საქმიანობის პირობებშია განხორციელებული. ხელმძღვანელობითი ორგანოს ქმედება უფრო მეტად გენერალურად ფასდება ორგანიზაციის ქმედებად, რიგითი თანამშრომლის ქმედება არ არის საკმარისი, მას რომც ჰქონდეს გადაწყვეტილების მისაღებად საკუთარი მიხედულების ფარგლები. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა ორგანიზაციას პასუხისმგებლობა დაეკისრა მისი რიგითი თანამშრომლის მოქმედების გამო. საქმე ეხებოდა ცემენტით წყლის დაბინძურებას[347].

უკანასკნელი გადაწყვეტილების მიხედვით, მკაფიო არ არის, თუ რა შემთხვევებში გამოიყენება იდენტიფიკაციის დოქტრინა და რა შემთხვევებში ხდება საერთო პასუხისმგებლობის დაკისრება თანამშრომელთა ქმედების გამო[348].

რაც უფრო დიდია საჯარო ინტერესები, რომელიც სისხლის სამართლითაა დაცული, მით მეტია strict liability-ის გამოყენების საფუძველი და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობა. ამავდროულად, მოქმედებს პრინციპი, რომ strict liability-ის გამოყენება ყოველთვის მით უფრო ლეგიტიმურობას იძენს, რაც უფრო რთულია დანაშაულის გამოძიება[349].

2007 წელს მიიღეს Corporate Manslaughter and Corporate Homicide Act, რომელიც მკვლელობისთვის ორგანიზაციის პასუხისმგებლობას არეგულირებს. აღნიშნული მიუთითებს ორგანიზაციების მიმართ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრებაზე, რაზეც „corporate manslaughter"-ის ცნებაც მეტყველებს[350]. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ინდივიდის პასუხისმგებლობას. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ისეთი დელიქტე-

[347] Brinkmann T., ebenda, S. 56-57.

[348] Brinkmann T., ebenda, S. 57.

[349] Brinkmann T., ebenda, S. 57.

[350] Brinkmann T., ebenda, S. 57.

ბით, რომლებიც ჯარიმით ისჯება. ამიტომ, გამოირიცხება ორგანიზაციის დასჯადობა კვალიფიცირებული მკვლელობისთვის (Mord), რომლისთვისაც სასჯელად მხოლოდ უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება[351].

2011 წელს დიდ ბრიტანეთში ძალაში შევიდა UK Bribery Act. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტი არის საყურადღებო იმით, რომ იგი იძლევა იმ ორგანიზაციების დასჯის შესაძლებლობას, რომლებიც სხვა მართლწესრიგებში არსებობს და „საქმიან კავშირშია" (geschaeftlicher Bezug) დიდ ბრიტანეთთან. დასახელებულ აქტში არ არის განმარტებული „საქმიანი კავშირი" თუ რას გულისხმობს და მოსამართლეებს უტოვებს მის განმარტებას. დასახელებული აქტი დასჯადობის საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა, როცა კორუფციულ დანაშაულს ჩადის ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირი. აღნიშნულ შემთხვევაში თვით ორგანიზაცია შეიძლება დაისაჯოს. სასჯელის სახით შეიძლება ჯარიმა შეეფარდოს, რომლის ზედა ზღვარი განსაზღვრული არ არის[352].

---

[351] Brinkmann T., ebenda, S. 58.

[352] Brinkmann T., ebenda, S. 58.

თავი მეექვსე

სანქციები სისხლის საპროცესო სამართალში

სანქციების საკითხი სისხლის საპროცესო-სამართალში მრავალმხრივია, მაგრამ ნაკლებად გამოკვლეულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამიტომ წინამდებარე თავში განხილულია საპროცესო-სამართლებრივი სანქციების სპეციფიკა და სახეები, სისხლის საპროცესო სამართალში სანქციების რეგულირების მექანიზმები, სისხლის საპროცესო-სამართლებრივი სანქციების და საპროცესო იძულების ღონისძიებების ურთიერთმიმართება, ცალკეული სახის საპროცესო-სამართლებრივი სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა.

ამ თავში არ არის განხილული განაჩენის დადგენისას სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სხვა თავების განხილვის საგანს წარმოადგენს.

კარი I. სანქციები სისხლის სამართალწარმოებაში

სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა, საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით და სისხლის საპროცესო კანონმდებლობით პროცესის მონაწილეებისათვის (ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე) მინიჭებული უფლებების და თავისუფლებების განხორციელება შესაძლებელია პროცესის ყველა მონაწილის (მათ შორის პროცესის მწარმოებელი ორგანოების) მიერ მათზე დაკისრებული შესაბამისი ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საპროცესო სანქციები, რომლებიც მიმართულია როგორც პროცესის მონაწილის დარღვეული უფლების აღდგენის, ასევე სამართალწარმოების სამართლიანობაზე.

თავი I. საპროცესო სამართალი

1. სისხლის საპროცესო სამართლის სპეციფიკა

დანაშაულის ფაქტის გამოძიება და მართლმსაჯულების განხორციელება უკავშირდება პროცესის მონაწილეთა კონსტიუციური უფლება-თავისუფლებების შემზღუდველი სხვადასხვა ინტენსივობის იძულების ღონისძიებების გამოყენებას. სწორედ ამიტომ, სისხლის საპროცესო სამართალში დასაშვებია მხოლოდ ის მოქმედებები და გადაწყვეტილებები რომლებიც ნებადართულია საპროცესო კანონმდებლობით, საპროცესო კანონმდებლობითვე დადგენილი წინაპირობების არსებობისას და წესით. სისხლის სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი რეგულირების ეს მეთოდი წარმოადგენს ე.წ. სანებართვო მეთოდს.

სანებართვო მეთოდი განსაზღვრავს სამართალწარმოების წესს, საგამოძიებო და საპროცესო ქმედების განხორციელების წინაპირობებს, საფუძვლებს, საპროცესო ფორმას და პროცედურას, პროცესის მონაწილეების უფლებებს და ვალდებულებებს, ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობის და საპროცესო ნორმების დარღვევის შედეგებს.

ვინაიდან საპროცესო მოქმედებები ხორციელდება კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული თანმიმდევრობით და ურთიერთდაკავშირებულია, ამიტომ საპროცესო ნორმის დაუცველობას შეუძლია გამოიწვიოს არა მხოლოდ კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების გზით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, არამედ უსამართლოდ აქციოს მთელი სამართალწარმოება, შეცვალოს მისი მიზანმიმართულება ან გამოიწვიოს სამართალწარმოების შეწყვეტა. საპროცესო სამართალდარღვევებმა შეიძლება შეუძლებელი გახადოს პროცესის ისეთი მიზნების მიღწევაც, როგორიცაა მაგალითად, პროცესის მონაწილეთა დარღვეული უფლებების დაცვა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, სამართალწარმოების სისწრაფე, სამართლიანი სასამართლო განხილვა, კანონიერების დაცვა და სამართალდარღვევათა პრევენცია, სამართალდამცავი ორგანოებისა და კანონისადმი პატივისცემა.

სწორედ ამიტომ, სისხლის სამართალწარმოების მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავდეს როგორც პროცესის მონაწილეების უფლებებს და შესაბამის მოვალეობებს, ასევე სამართალშემფარდებელს ანიჭებდეს უფლებას დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება საპროცესო ნორმათა დარღვევაზე, განსაზღვრავდეს იძულების ღონისძიებების კომპლექსს, რომლებიც მიმართული იქნება სამართალწარმოების დადგენილი წესის დასაცავად. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საპროცესო სამართალში სანქციები.

2. საპროცესო სამართლებრივი ნორმების ზოგადი დახასიათება

სისხლის საპროცესო სამართლის რეგულირების საგნის და მეთოდის თავისებურების გათვალისწინებით საპროცესო-სამართლებრივი ნორმები ასრულებენ რეგულატორულ (უფლებადამდგენ) ფუნქციას, მიმართულია საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის და მათი გამომწვევი იმ იურიდიული ფაქტების (დანაშაული) დადგენისკენ, რაზეც დამოკიდებულია მატერიალური კანონმდებლობის ამოქმედება და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დადგენა. შესაბამისად, სისხლის საპროცესო სამართლებრივი ნორმები ავალდებულებს პროცესის მონაწილეებს გარკვეული ქმედებების განხორციელებას ან ასეთი ქმედებებისგან თავის შეკავებას, აღჭურავს მათ კონკრეტული უფლებებით და აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, ადგენს მათი უფლებების დაცვის გარანტიებს და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას. ამასთან სუბიექტების უფლებები და მოვალეობები ურთიერთდაკავშირებულია. კერძოდ, საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაში პროცესის ერთი სუბიექტის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა დამოკიდებულია მეორე სუბიექტის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (შემდეგში – „სსსკ“) მასზე დაკისრებული შესაბამისი ვალდებულების განხორციელებაზე. მაგალითად, ბრალდებულის უფლება ადვოკატის მომსახურებაზე ვერ რეალიზდება, თუ პროცესის მწარმოებელი სუბიექტი არ უზრუნველყოფს ადვოკატის დაშვებას პროცესში (ე.წ. დაცვა შეთანხმებით), ან მის მონვევას (სახაზინო წესით დაცვის შემ-

თხვევაში). ამიტომ საპროცესო ნორმები ატარებს ორმხრივ ხასიათს, ე.წ. წარმომადგენლობით-სავალდებულო ხასიათს.

სისხლის საპროცესო სამართლებრივი ნორმები განსხვავდებიან როგორც სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმებისგან, რომლებიც სავალდებულო წესით შეიცავენ სანქციას, ასევე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებისგანაც. მიუხედავად იმისა რომ სისხლის საპროცესო-სამართლებრივი ნორმები სტრუქტურულად იმავე ელემენტებისგან შედგება, რაც დამახასიათებელია სამართლის სხვა დარგების ნორმებისათვის – ჰიპოთეზის, დისპოზიციის და სანქციისგან, საპროცესო- სამართლებრივი ნორმების უმეტესობა არ მოიცავს სამივე ელემენტს. საპროცესო სამართლებრივი ნორმების უმეტესობა შედგება ან მხოლოდ დისპოზიციისგან ან ჰიპოთეზის და დისპოზიციისგან. სანქცია, არ წარმოადგენს სისხლის საპროცესო ნორმის სავალდებულო ნაწილს. შესაბამისად, სსსკ-იც იშვიათ შემთხვევებში ითვალისწინებს დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისთვის ან დადგენილი წესის დარღვევისთვის სანქციას, ხოლო როცა ითვალისწინებს – ეს სანქციებიც ყოველთვის არ წარმოადგენენ სანქციებს კლასიკური გაგებით.

სისხლის საპროცესო სამართლის ნორმები განსხვავდება ერთმანეთისგანაც. სისხლის საპროცესო სამართლის ნორმები სხვადასხვა მიზნებს ემსახურებიან, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ (მაგ. ნორმა-პრინციპები, ცალკეული საგამოძიებო მოქმედების წარმოების ზოგადი დებულებების მარეგლამენტირებელი, სამართალწარმოების ცალკეული სუბიექტების უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმები და ა.შ.) განსხვავებული ხასიათის (მაგალითად, უფლებააღმჭურველი, ამკრძალავი, იმპერატიული, დისპოზიციური) და განსხვავებული სტრუქტურის მატარებლები არიან. მაგრამ იმისდამიუხედავად საპროცესო-სამართლებრივი ნორმა ამკრძალავი თუ უფლებააღმჭურველი შინაარსის მატარებელია, ის შეიცავს მითითებას იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ან შეუძლია იმოქმედოს საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს.

3. საპროცესო ნორმების სანქციების თავისებურება

პროცესის მწარმოებელ პირს უნდა ჰქონდეს უფლება აღკვეთოს იმ პირთა ქმედება ვინც ხელს უშლის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას. სამართლის თეორიაში სანქცია წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელმწიფო იძულების ღონისძიებას რომელიც გამოიყენება სამართალდამრღვევი პირის მიმართ და მოიცავს ჩადენილი ქმედების შეფასებას. შესაბამისად, სისხლის საპროცესო სამართალში სანქცია არის იძულების ღონისძიება რომელიც გამოიყენება სამართალწარმოების მიმდინარეობისას კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში. სანქციები განსაზღვრავენ იძულების როგორი ღონისძიება შეიძლება ან უნდა იქნეს გამოყენებული პროცესის მონაწილის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევისთვის. სანქციების წრე, შინაარსი, გამოყენების სუბიექტები, სანქციების გამოყენების წინაპირობები და წესი, პირები ვის მიმართაც დაიშვება სანქციების გამოყენება განსაზღვრულია სისხლის საპროცესო სამართლით. მაგრამ საქართველოს სსსკ არ ითვალისწინებს საპროცესო-სამართლებრივი სანქციების მარეგლამენტირებელ სპეციალურ თავს ან მუხლს. აღნიშნული სანქციები გაფანტულია სსსკ მთელ კოდექსში – როგორც ზოგად (მაგ. მუხლი 85, მუხლი 91), ასევე კერძო ნაწილში (მაგ. მუხლი 240). ცალკეულ შემთხვევებში სანქციებს შეიძლება შეიცავდეს სსსსკ გარდამავალი და დასკვნითი დებულებებიც ან სულაც სხვა ნორმატიულ აქტში იყოს მოცემული.

სანქციები სისხლის საპროცესო სამართლის აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ მათ არ ეკუთვნის და არც უნდა ეკუთვნოდეს წამყვანი როლი. იმავდროულად, სანქციების მნიშვნელობის უგულებელყოფაც არ იქნება სწორი. სისხლის პროცესში უნდა იკითხებოდეს სუბიექტთა უფლებების და ვალდებულებების ერთიანობა, ვინაიდან საპროცესო ურთიერთობის ყოველი სუბიექტის თითოეული უფლება გულისხმობს მეორე სუბიექტის შესაბამის საპროცესო ვალდებულებას და პირიქით – ერთის მოვალეობა გულისხმობს მეორე სუბიექტის უფლებას მოითხოვოს ამ ვალდებულების შესრულება. სწორედ

ამიტომ პროცესის მონაწილეების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების იძულებითი უზრუნველყოფის მიზნით საპროცესო კანონმდებლობა პროცესის მწარმოებელ პირებს ანიჭებს სანქციების და საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

სისხლის საპროცესო ნორმათა სანქციები სპეციფიკური ხასიათის მატარებელია. საპროცესო-სამართლებრივი ნორმის სანქციები ატარებებენ ძირითადად არა სადამსჯელო ხასიათს (მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებისგან განსხვავებით), არამედ უფლებააღმდგენ და უფლებაუზრუნველმყოფელ ხასიათს. მათი მიზანია სისხლის სამართალწარმოების ჯეროვანი მიმდინარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, სისხლის საპროცესო სამართალში სანქციები მოიცავს როგორც სამართალდამრღვევზე უშუალო ზემოქმედების ღონისძიებებს, ასევე მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ხელყოფილი კანონიერების აღდგენის ღონისძიებებს.

სისხლის საპროცესო სამართალში ანსხვავებენ სანქციებს კლასიკური გაგებით და სანქციებს ფართო გაგებით. სანქციები ფართო გაგებით არ გულისხმობს მხოლოდ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ბრალეული პირის „დასჯას" და მოიცავენ სსსკ -ის იმ ნორმებსაც, რომლებიც დაუშვებლად აცხადებს სსსკ მოთხოვნათა დარღვევით განხორციელებული ქმედების შედეგს (მაგ. სსსკ 72-ე მუხლის პირველი ნაწილი), ქმნიან მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველს (მაგ. სსსკ 310-ე მუხლი „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები") ან/და ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათიდან გამომდინარე იწვევენ სამართლის სხვა დარგის ნორმების გამოყენებას (მაგ., მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს კომპენსაციის უფლებას, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას და ა.შ.).

საპროცესო სამართლებრივი ნორმების დისპოზიციები დაცულია პირველ რიგში თავად ამ ნორმების სანქციებით. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საპროცესო ნორმათა უმეტესობა შედგება ან მხოლოდ დისპოზიციისგან ან ჰიპოთეზის და დისპოზიციისგან. ის გარემოება, რომ სსსკ ცალკეული ნორმები არ შეიცავს სანქციას არ

გულისხმობს სანქციის არ არსებობას ან შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველობას კანონმდებლობით. საპროცესო სამართლებრივი ნორმების ერთერთ სპეციფიკას ის გარემოებაც წარმოადგენს რომ სხვადასხვა დისპოზიციებს ხშირად ემსახურება ერთიდაიგივე სანქცია, რომელიც მოთავსებულია სსსკ-ის სულ სხვა მუხლში ან სხვა თავში.

ამდენად, სანქცია შეიძლება მოცემული იყოს: 1) ერთ საპროცესო ნორმაში და ვრცელდებოდეს მხოლოდ იმ ნორმაზე /ქცევის წესზე რომელიც უშუალოდ ამ ნორმაშია მოცემული, 2) მთელი რიგი ნორმების დარღვევისათვის სანქციები შეიძლება გათვალისწინებული იყოს სსსკ-ს ერთი ნორმით – სსსკ ერთ ნორმაში შეიძლება იყოს მოცემული სანქცია სსსკ სხვადასხვა ნორმებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის. მაგალითად, სსსკ მე-300 მუხლის თანახმად, განაჩენი უკანონოა თუ მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა, ან გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას, არსებითად დაირღვა სსსკ. სსსკ-ის არსებითად დარღვევის გამო განაჩენის ცვლილებას ან გაუქმებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც დაიღვა სსსკ-ის რიგ სხვადასხვა დებულებებში მოცემული მოთხოვნები. მაგალითად, განაჩენი ვერ აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მოთხოვნას, სამართალწარმოების ენის არ მცოდნე პირი სამართლწარმოებისას არ იყო უზრუნველყოფილი ადვოკატის ანდა თარჯიმნის დახმარებით და ა.შ. ორივე შემთხვევაში თარჯიმნის და ადვოკატის მონაწილეობის სავალდებულოობა, ისევე როგორც განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცების სტანდარტი განსაზღვრულია სსსკ სხვა მუხლებით და არა სსსკ მე-300 მუხლით, რომელიც ადგენს განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძვლებს; 3) მოცემული იყოს სხვა ნორმატიულ აქტში. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევისთვის სანქციების წრე არ შემოიფარგლება მხოლოდ სსსკ-ით და გაფანტულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში (მაგალითად, საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“).

საპროცესო სანქციები გამოიყენება სამართალწარმოების ყველა

ეტაპზე როგორც გამოძიების, ასევე სასამართლოში საქმის წარმოების ეტაპებზე როგორც მხარეების, პროცესის მონაწილე პირების, პროცესის მწარმოებელი პირების, ასევე დამსწრე პირების მიმართაც, თუმცა სანქციების გამოყენება ბრალდებულის და ადვოკატის მიმართ განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს რათა საფრთხე არ შეექმნას სამართლიანი სასამართლოს და დაცვის უფლების განხორციელებას.

ამდენად, სისხლისსამართალწარმოების პროცესში სანქციების, მათ შორის, დაპატიმრების, გაძევების, „დაჯარიმების გამოყენების მიზანია პროცესის ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც მხარეებს ექნებათ საკუთარი პოზიციების წარმოდგენის და დაცვის თანასწორი და ადეკვატური შესაძლებლობა, მონაწილეების და დამსწრე პირების მხრიდან სასამართლო განხილვისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილება, სამართალდარღვევის მყისიერი აღკვეთა, მომავალში მსგავსი ქმედების პრევენცია და ინდივიდის დასჯა სამართალდარღვევისთვის."

სამართალში ტრადიციულად გამოყოფენ სისხლის, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და დისციპლინურ პასუხისმგებლობას, თუმცა საზოგადოებრივი ურთიერთობების და სამართლის განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო ფართოდ ინერგება მიდგომა, რომ სამართლის ყოველი დარგი პასუხისმგებლობის ტრადიციულ სახეებთან ერთად სულ უფრო ფართოდ იყენებს საკუთარი, ამ კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელ პასუხისმგებლობის ზომებსაც. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ არ ითვალისწინებს საპროცესო სამართალდარღვევის და საპროცესო პასუხისმგებლობის ცნების განმსაზღვრელ ნორმებს და არც სპეციალურ მუხლს საპროცესო სანქციების სახეების შესახებ, სსსკ ითვალისწინებს სპეციალურ თავს, რომელიც ადგენს *„საპროცესო პასუხისმგებლობას სასამართლოში საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის და წესრიგის დარღვევისთვის"* (თავი XI), რომელიც საპროცესო სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმის, გაძევების, დაკავების და პატიმრობის გამოყენებას. საპროცესო ხასიათის სამართალდარღვევებისთვის საპროცესო პასუხისმგებლობას და საპროცესო სანქციებს ითვალისწინებს სსსკ-ის სხვა

მუხლებიც. დღეს უკვე უდავოა სისხლის საპროცესოსამართლებრივი პასუხისმგებლობის, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სახის არსებობა, რასაც სსსკ-ის რიგი ნორმებიც (მაგ. სსსკ მუხლები 85, 91, 240, 203 და ა.შ.) ადასტურებს. სსსკ ითვალისწინებს საპროცესო პასუხისმგებლობის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა მაგალითად, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხის მიქცევა სახელმწიფო ბიუჯეტში, აღკვეთის ღონისძიების შერჩეული სახის გამკაცრება აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევისთვის, გამომძიებლის და პროკურორის ჩამოცილება საქმის წარმოებისგან და ა.შ. გამოყენებას. შესაბამისად, ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ სსსკ XI თავით, სსსკ 91-ე და 240-ე მუხლებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თავი II. სანქციები საპროცესო სამართალში

1. სანქციები საპროცესო კანონმდებლობის დარღვევისთვის

საპროცესო კანონმდებლობის დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე სამართალწარმოებაში მონაწილე ნებისმიერი პირის მიერ: როგორც პროცესის მწარმოებელი პირების (მაგ., ბრალდებულისთვის დაცვის უფლების შეზღუდვას დაუსაბუთებელი ან უკანონო საპროცესო გადაწყვეტილების მიღება, საპროცესო ვადების დაუცველობა და ა.შ.), ასევე ადვოკატის და ბრალდებულის მხრიდან (მაგ., ადვოკატის /ბრალდებულის გამოუცხადებლობა სასამართლოში ან საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას მათი წინასწარი გაფრთხილების მიუხედავად, მოწმეებზე ზემოქმედება, პროცესის გაჭიანურება სხვადასხვა ხერხებით და ა.შ.), ასევე სამართალწარმოებაში მონაწილე ნებისმიერი სხვა სუბიექტის (მაგ., მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი) და დამსწრე პირის მხრიდან.

საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა უზრუნველყოფილია როგორც ეროვნული კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუცია, სსსკ და სპეციალური ნორმატიული აქტებით. მაგალ-

ითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „პოლიციის შესახებ" კანონი, „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონი და ა.შ.), ასევე საერთაშორისო სამართლით (ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით, საყოველთაო დეკლარაციით და ა.შ.). შესაბამისად, სანქციებს საპროცესო მოთხოვნათა დარღვევისთვის ითვალისწინებს როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო აქტები (მაგ. განმცხადებლის სასარგებლოდ მოპასუხე სახელმწიფოსთვის სამართლიანი ანაზღაურების, კომპენსაციის გადახდის დაკისრება). თუმცა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების სახეები და სპექტრი უფრო ფართოა და ვრცელდება როგორც პროცესის მწარმოებელ სუბიექტებზე, ასევე პროცესში მონაწილე ნებისმიერ პირზე, მათ შორის – სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებზეც. საპროცესო კანონმდებლობა პასუხისმგებლობას აკისრებს საპროცესო კანონმდებლობის უშუალოდ დამრღვევს პირს, ხოლო საერთაშორისო კონვენციები – მოპასუხე სახელმწიფოს (საერთაშორისო ორგანოები სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აკისრებენ პროცესის მწარმოებელი პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან ისეთი არაჯეროვანი შესრულებისთვის, რამაც გამოიწვია კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევა). ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სანქციების გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო საერთაშორისო კანონმდებლობა ძირითადად იყენებს უფლებააღმდგენ სანქციებს (მაგალითად, კომპენსაცია. სსსკ ახლადგამოვლენილ გარემოებას მიაკუთვნებს: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას (განჩინებას), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება; ასევე – გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხ-

ვრის კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილი იქნა ამ საქმესთან დაკავშირებით კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება (სსსკ მუხლი 310, ქვეპუნქტები „ე1)" და „ვ)").

საპროცესო კანონმდებლობის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ერთიდაიგივე ქმედებისთვის ერთდროულად რამოდენიმე საპროცესო სანქციის ან რამოდენიმე სხვადასხვა ხასიათის სანქციის გამოყენება სამართალდამრღვევი პირის მიმართ. მაგალითად, სსკ ითვალისწინებს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი პირის დაჯარიმებას და მის იძულებით მიყვანას. ამასთან, ერთდროულად შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც რამოდენიმე საპროცესო ხასიათის სანქცია, ასევე – საპროცესო სანქციასთან ერთად გამოყენებული იქნეს[1] დისციპლინური პასუხისმგებლობა (მაგალითად, გამომძიებელზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება), ადმინისტრაციული (მაგალითად, მუხლი 173[1]. სასამართლოში მსაჯულის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა; მუხლი 173[12]. ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა), სამოქალაქო (მიყენებული ზიანის ანაზღაურება), სისხლისსამართლებრივი (მაგალითად, სსკ მუხლი 372. ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე, მუხლი 368. მტკიცებულების განადგურება, მუხლი 374. გამოძიების მონაცემების გახმაურება და ა.შ.) პასუხისმგებლობა. მაგალითად, ადვოკატის მიერ ზემოქმედების განხორციელებამ გამოსაკითხ მოწმეზე ან დაზარალებულზე შეიძლება გამოიწვიოს როგორც სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობა, ასევე ცალკეულ შემთხვევებში – სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობაც (შესაბამისი პირებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება). შესაბამისად, საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის სანქცია შეიძლება მოცემული იყოს არა მხოლოდ სსსკ-ში, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტშიც (მაგალითად, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონის მუხლები 72^{3-7},75^{50}).

[1] იხ. О.В. Волколуп, Ю. Б.,Чупилкин Гарантии прав участников уголовного судопроизводства РФ, 2005, 2-ое изд

2. სისხლის სამართლებრივი სანქციები სამართალწარმოებაში

საპროცესო სამართლის განსაკუთრებით მძიმე დარღვევებისთვის, რომლებიც ხელს უშლის საქმეზე გამოძიების და მართლმსაჯულების განხორციელებას, კანონმდებელი არასაკმარისად მიიჩნევს საპროცესო სანქციებს და ადგენს ***სისხლისსამართლებრივ*** პასუხისმგებლობას. მაგალითად, მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული ისეთი ქმედებისთვის, როგორიცაა მოწმის მიერ ცრუ ინფორმაციის ან ცრუ ჩვენების მიცემა, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის გაცემა (სსკ-ის მუხლი 370. ასევე მაგალითად, სსკ მუხლი 366. სასამართლოს უპატივცემულობა; სსკ მუხლი 368. მტკიცებულების განადგურება; სსკ მუხლი 371. მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა; სსკ მუხლი 374. გამოძიების მონაცემების გახმაურება) და ა.შ. მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ხასიათის მიხედვით სსკ ითვალისწინებს სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარს (კარი 12), რომელიც აერთიანებს დანაშაულებს სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (თავი XLI), დანაშაულებს მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (თავი XLII), დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს (თავი XLIII), დანაშაულებს სასამართლო აქტების აღსრულების წინაალმდეგ (თავი XLIV).

სისხლისსამართალწარმოების ფარგლებში განხორციელებული სამართალდარღვევებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი სსკ-ის ეს ნორმები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი – მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, რომელთა ჩადენა ხდება *სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების* მიერ. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა უდანაშაულო პირის განზრახ მიცემისთვის სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში (სსკ მუხლი 146), განზრახ უკანონო დაკავების ან დაპატიმრებისთვის (სსკ მუხლი 147), ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უკანონოდ გათავისუფლებისთვის (სსკ მუხლი 334), განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებისთვის

(სსკ მუხლი 335).

მეორე ჯგუფი მოიცავს მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, რომელთა ჩადენა ხდება პროცესის მონაწილეების *და სხვა პირების მიერ.* აქ გაერთიანებულია სანქციები:

ა) *პროცესის მონაწილე პირების* (მოწმე, ბრალდებული, ადვოკატი) მიმართ. მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია (სსკ მუხლი 369[1]), მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა (სსკ მუხლი 371);

ბ) *იმ პირების მიმართ, ვისაც არ გააჩნიათ საპროცესო ინტერესი და დახმარებას უწევენ პროცესის მწარმოებელ ორგანოებს* – მაგალითად, ცრუ დასმენა (სსკ მუხლი 373), ცრუ ინფორმაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა ან არასწორი თარგმანი (სსკ მუხლი 370);

გ) *იმ პირების მიმართ, ვისაც არ გააჩნიათ არც საპროცესო ინტერესი და არც საპროცესო- სამართლებრივი სტატუსი მოცემული სამართალწარმოების ფარგლებში, მაგრამ ევალებათ პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.* მაგალითად, გზავნილზე ყადაღის დადების ან საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება საფოსტო დაწესებულების ან საბანკო დაწესებულების მიერ. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის XLIV თავით გათვალისწინებული დანაშაულები სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ.

იმავდროულად, საპროცესო მოვალეობის დამრღვევის მიმართ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული/ სამოქალაქო/დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ყოველთვის არ არის საკმარისი საპროცესო კანონიერების აღდგენის და სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფისთვის. მაგალითად, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის გაცემისთვის მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა არ არის საკმარისი ბრალდებულის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. აღნიშნული დასკვნის დაუშვებლად ცნობის და მის საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გაუქმების გარეშე ექსპერტის სისხლის სამართლის პა-

სუხისგებაში მიცემა ვერ უზრუნველყოფს მისი უკანონო ქმედებით დაზარალებული ბრალდებული, მსჯავრდებული თუ დაზარალებული პირის უფლებების აღდგენას. ამიტომ პროცესის მონაწილეების მიერ სისხლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება იწვევდეს ერთდროულად ***რამოდენიმე სახის*** სანქციის გამოყენებას. მაგალითად, პროცესის მონაწილის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას ან მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას. წამების გზით აღიარებითი ჩვენების მოპოვება ბრალდებულისგან იწვევს ერთი მხრივ წამების დანაშაულში მონაწილე კონკრეტული პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სსკ-ის 144[1] მუხლის საფუძველზე (სისხლისსამართლებრივი სანქცია) და მეორე მხრივ – გამოკითხვის ოქმის ან ბრალდებულის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას (სსსკ 72-ე მუხლი) და გამოტანილი განაჩენის გადასინჯვას სსსკ 310-ე მუხლის საფუძველზე, თუ ბრალდებულის აღიარება საფუძვლად დაედო განაჩენს (საპროცესო-სამართლებრივი სანქცია). იმავდროულად, წამება პირველ შემთხვევაში (სისხლის სამართლის მიზნებისთვის) წარმოადგენს დისპოზიციას, ხოლო მეორე შემთხვევაში (საპროცესო სამართლის მიზნებისთვის) – წარმოადგენს ჰიპოთეზას.

სისხლის საპროცესო კანონის დარღვევა შეიძლება ერთდროულად იწვევდეს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომებს – საპროცესო სანქციების გამოყენებას და სხვა სახის პასუხისმგებლობას – არამედ ეს სანქციები შეიძლება ურთიერთგანმაპირობებელიც იყოს. მაგალითად, მოწმის მიერ წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემა იწვევს არა მხოლოდ აღნიშნული ჩვენების და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას, არამედ იმავდროულად მოწმის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სსსკ 310-ე მუხლის საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის წინაპირობას. ანალოგიურად, გამომძიებლის/ პროკურორის მიერ მოწმის დაშინების ან მოსყიდვის გზით მისგან მამხილებელი ჩვენების მოპოვება იწვევს არა მხოლოდ აღნიშნული ჩვენების და მის საფუძველზე კანონიერად მოპ-

ოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, არამედ გამომძიებლის/ პროკურორის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც თავის მხრივ ქმნის ბრალდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის, კომპენსაციის მოთხოვნის და მიყენებული ზიანის სამოქალაქო წესით ანაზღაურების საფუძველს, თუ განაჩენი ემყარებოდა ამ მტკიცებულებას. თუმცა განაჩენის გადასინჯვის და კომპენსაციის მიღებისთვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით უნდა დგინდებოდეს გამომძიებლის/ პროკურორის მიერ ამ საქმესთან დაკავშირებით დანაშაულის ჩადენა.

ამდენად, სისხლის საპროცესო სამართლის მოთხოვნათა შესრულება უზრუნველყოფილია და საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების დაცვა ხორციელდება როგორც უშუალოდ სისხლის საპროცესო სამართლებრივი სანქციებით, ასევე სამართლის სხვა დარგების ნორმებითაც.

თავი III. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევისთვის სანქციების სახეები

სისხლის საპროცესო სამართლებრივი ნორმების სანქციები არაერთგვაროვანია. საპროცესო ლიტერატურაში გამოყოფენ საპროცესო ნორმების დიფერენცირებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

I. *განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით;*

II. *დარგობრივი კუთვნილების მიხედვით;*

III. *ფუნქციური დანიშნულების მიხედვით;*

IV. *სანქციის შემფარდებელი სუბიექტის მიხედვით.*

თუმცა სანქციათა კლასიფიკაცია პირობითია. უმეტეს შემთხვევაში ერთიდაიგივე სანქცია ერთდროულად შეიძლება რამოდენი სახის იყოს. მაგალითად, შედარებით განსაზღვრული სადამსჯელო საჯარიმო სანქციაა სსსკ-ის 203-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ იმ ქმედების ჩადენის შემთხვევაში რომლის აღსაკვეთადაც იქნა გამოყენებული თავდებობა, სასამართლოს მიერ თითოეული თავდების დაჯარიმებას 100-დან 500 ლარამდე ოდენობით.

1. განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით

სამართალდამრღვევი პირის მიმართ გამოსაყენებელი საპროცესო სამართლის სანქციები იყოფა აბსოლუტურად განსაზღვრულ, შედარებით განსაზღვრულ, აბსოლუტურად განუსაზღვრელ და კუმულაციურ სანქციებად.

აბსოლუტურად განუსაზღვრელი სანქციები მხოლოდ მიუთითებენ იმაზე, რომ პროცესის მონაწილის კონკრეტული სახის მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს სამართალდარღვევას, მაგრამ არ ადგენენ სანქციის არც სახეს და არც ზომას. აბსოლუტურად განუსაზღვრელი სანქციის შემთხვევაში გამოსაყენებელი ზემოქმედების ლონისძიების განსაზღვრის უფლებას კანონმდებელი უტოვებს პროცესის მწარმოებელ პირს.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები ზუსტად და ცალსახად მიუთითებენ პასუხისმგებლობის კონკრეტულ სახეს, ზომას ან ოდენობას (მაგ. ჯარიმას და მის კონკრეტულ ოდენობას) რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული სამართალწარმოების იმ მონაწილის მიმართ, რომელმაც არ შეასრულა მასზე დაკისრებული საპროცესო მოვალეობები ან დაარღვია სამართალწარმოების დადგენილი წესი.

შედარებით განსაზღვრული სანქციები ადგენენ პასუხისმგებლობის კონკრეტული სახის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს. შედარებით განსაზღვრული სანქციები, როგორც წესი, გამოიყენება ჯარიმასთან მიმართებით. მაგალითად, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა იწვევს დაჯარიმებას 100დან 500 ლარამდე ოდენობით (სსსკ 240-ე მუხლის პირველი ნაწილი), თავდების მიერ ნაკისრი მოვალეობის შეუსრულებლობა იწვევს მის დაჯარიმება 100-დან 500 ლარამდე ოდენობით (სსსკ 203-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

ალტერნატიული სანქციები მიუთითებენ გამოსაყენებელი ზომების ორ ან მეტ სახეზე და პროცესის მწარმოებელმა პირმა უნდა გამოიყენოს ერთერთი. ასეთი სანქციები საპროცესო სამართალში ცოტაა (მაგ., სსსკ 85-ე მუხლის მე-2 ნაწ., რომელიც ითვალისწინებს სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევისთვის პირის დაჯარიმებას „ან/და“ გაძევებას).

სამართალდამრღვევი პირის მიმართ შედარებით განსაზღვრული და ალტერნატიული სანქციების კონკრეტული სახის ან ზომის გამოყენება პროცესის მწარმოებელი სუბიექტის შეხედულებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გამოიყენოს გაფრთხილება, დაჯარიმება ან გაძევება.

კუმულაციური სანქციები ადგენს საპროცესო კანონის მოთხოვნათა დამრღვევი სუბიექტის მიმართ ერთდროულად რამოდენი ერთიდაიგივე სახის ან სხვადასხვა სახის სანქციების გამოყენებას. მაგალითად, სსსკ მე-200 მუხლის მე-7 ნაწილი ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების ან კანონის დარღვევის შემთხვევაში ადგენს გირაოს შეცვლას უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით და იმავდროულად, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხის გადარიცხვას სახელწიფო ბიუჯეტში.

მითითებითი სანქციები – მაგალითად, სსსკ 203-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს თავდებზე ჯარიმის დაკისრებას სსსკ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად.

2. დარგობრივი კუთვნილების მიხედვით

საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა ერთ შემთხვევაში ქმნის სამართლის სხვა დარგით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და იწვევს სამართლის შესაბამისი დარგით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას (მაგ. სსკ-ის მუხლი 369[1]. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 173[12]. ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა), ხოლო მეორე შემთხვევაში – ქმნის საპროცესო ხასიათის დარღვევას და იწვევს მხოლოდ საპროცესო სამართლებრივი სანქციების გამოყენებას. თუმცა საპროცესო ნორმის სანქცია არ არის აუცილებელი ყოველთვის საპროცესო ხასიათის მატარებელი იყოს. მთავარია, ნორმა არეგულირებდეს პროცესის მონაწილეთა შორის სამართალწარმოე-

ბასთან დაკავშირებულ პროცესუალური ხასიათის ურთიერთობებს. შესაბამისად, გამოსაყენებელი საპროცესო სამართლებრივი სანქცია შეიძლება ატარებდეს საპროცესო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, სისხლისსამართლებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ, დისციპლინურ და ა.შ. ხასიათს.

დისციპლინური ხასიათის სანქციები ფართოდ გამოიყენება სისხლის საპროცესო ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური სანქციები პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სსსკ-ში, სსსკ-ის რიგი ნორმები ითვალისწინებს აღნიშნულზე მინიშნებას. მაგალითად, სსსკ 85-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ კერძო განჩინების გამოტანას და მის გაგზავნას ადვოკატთა გაერთიანების ან მთავარი პროკურატურისთვის გაძევებული ადვოკატის ან პროკურორის არასათანადო ქცევის შესახებ. დისციპლინური სანქციების გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში არ შემოიფარგლება სსსკ-ით პირდაპირ მითითებული შემთხვევებით. საპროცესო ნორმების დარღვევას (საქმის უკანონოდ შეჩერება ან შეწყვეტა, ადვოკატის დახმარებაზე ბრალდებულის უფლების დარღვევა და ა.შ.), რომელიც არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს ასევე შეუძლია გამოიწვიოს დისციპლინური სანქციები. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება, სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა და ა.შ. წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას[2], რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათ შორის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.[3]

ადმინისტრაციული ხასიათის სანქციები ითვალისწინებს პროცესის მონაწილეზე ადმინისტრაციული ხასიათის პასუხისმგებლობის დაკისრებას საპროცესო მოვალეობის დარღვევისთვის. იმავდროულად, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად, როგორც წესი, ხდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაც. მაგალ-

---

[2] იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წლის 4 დეკემბერი, მუხლი 75^{1}

[3] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წლის 4 დეკემბერი, მუხლი 75^{50}

ითად, საქმის განმხილველ მოსამართლესთან პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის საგარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს, იწვევს პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის დაჯარიმებას – არაუმეტეს 5 000 ლარისა. იმავდროულად, ჯარიმასთან ერთად ხდება ამ პირებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაც[4] (მაგ. პროკურატურის თანამშრომლის შემთხვევაში აღნიშნული წარმოადგენს შეუფერებელ საქციელს და იწვევს „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას;[5] ადვოკატის შემთხვევაში – აღნიშნული სახის კომუნიკაცია განიხილება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად და იწვევს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას[6] და ა.შ.).

საპროცესო ხასიათის სანქციები გამოიყენება პროცესის მონაწილეთა მიერ თავიანთი მოვალეობების შეუსრულებლობისას და ითვალისწინებს საპროცესო პასუხისმგებლობის გამოყენებას (მაგ., სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული გაძევება, ჯარიმა, დაკავება ან დაპატიმრება), მიღებული საპროცესო გადაწყვეტილების გაუქმებას ან ჩატარებული საპროცესო ქმედების ბათილობას (მაგ., სსსკ მუხლი 88), მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას (ე.წ. „არარა" სანქციები. მაგ., სსსკ მუხლი 83 ნაწ. 3; მუხლი 40 ნაწ. 2), შეტანილი საჩივრის განუხილველად დატოვებას, (მაგ., სსსკ მუხლები 296 და 305), საპროცესო უფლების შეზღუდვას (მაგ., სსსკ 189-ე მუხლი – ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა), აღკვეთის

---

[4] იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წლის 4 დეკემბერი, მუხლები 72^3 -72^7 , 2009 წლის 4 დეკემბერი

[5] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წლის 4 დეკემბერი, მუხლი 72^3

[6] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 2009 წლის 4 დეკემბერი, მუხლი 72^4

ღონისძიების შერჩეული სახის გამკაცრება აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევისთვის, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხის მიქცევა სახელმწიფო ბიუჯეტში, იძულებით მიყვანას (სსსკ მუხლი 149) და ა.შ.

ამდენად, საპროცესო სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელებას უზრუნველყოფს, პირველ რიგში, ***საპროცესო-სამართლებრივი სანქციები*** (მაგ. კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა). იმავდროულად, პროცესის მონაწილეების მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლის **სხვა დარგებით** გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამოყენებასაც. მაგალითად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი (მაგ., მუხლი 173[12]. ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა), სისხლისსამართლებრივი (მაგალითად, სსკ მუხლი 366. სასამართლოს უპატივცემულობა)[7], სამოქალაქო-სამართლებრივი (მაგალითად, ადვოკატის მიერ დაცვის ფუნქციის არაჯეროვნად განხორციელების შემთხვევაში დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება), დისციპლინურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას (მაგალითად, გამომძიებელზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, „ადვოკატთა შესახებ" კანონის შესაბამისად ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება) და ა.შ.

3. სანქციები ფუნქციური დანიშნულების მიხედვით

საპროცესო სამართლებრივი ნორმების სანქციებს მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ყოფენ *საპროცესო-პრევენციულ, უფლებაალმდგენ (ხელყოფილი უფლების აღმდგენი) და სადამსჯელო სანქციებად.*

უფლებაალმდგენი საპროცესო სანქციები საპროცესო კანონმდებლობას იცავენ პროცედურული დარღვევით მიყენებული ზიანის

[7] უფრო ვრცლად იხ. შემდეგ პარაგრაფებში

მინიმუმადე დაყვანის ან გამოსწორების გზით. შესაბამისად, უფლებააღმდგენი სანქციები მიმართულია მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ან შემცირებისკენ, დაშვებული საპროცესო შეცდომის გამოსწორების და ხელყოფილი საპროცესო უფლების აღდგენისკენ.

სადამსჯელო სანქციები ითვალისწინებს სხვადასხვა სახის იძულებითი ზემოქმედების ღონისძიებებს უშუალოდ საპროცესო მოთხოვნათა დამრღვევის მიმართ (მაგალითად, სსსკ 85-ე მუხლი).

საპროცესო-პრევენციული სანქციები ასრულებენ საპროცესო სამართალდარღვევის პრევენციის ამოცანებს და მიმართულია მტკიცების პროცესში საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევის შესაძლებლობის თავიდან აცილებისკენ.

იმავდროულად, სისხლის საპროცესო სანქციების დაყოფა საპროცესო-პრევენციულ, უფლებააღმდგენ და სადამსჯელო სანქციებად უმეტესწილად პირობითია. ხშირად ერთიდაგივე სანქცია ერთდროულად რამოდენიმე ფუნქციას ასრულებს (მაგალითად, სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული გაძევება რომელიც სადამსჯელო ხასიათის სანქციაა იმავდროულად პრევენციული ხასიათის მატარებელიცაა, ვინაიდან პირს ართმევს სასამართლო სხდომაზე ყოფნის შესაძლებლობას და ამით ახდენს წესრიგის დარღვევის პრევენციას (დარბაზში მყოფი სხვა პირების და გაძევებული პირის მხრიდან).

3.1. უფლებააღმდგენი სანქციები

სისხლის საპროცესო სამართალში ყველაზე ფართოდ უფლებააღმდგენი სანქციებია გავრცელებული.

უფლებააღმდგენი სანქციების მიზანია დაშვებული შეცდომის გამოსწორება და პროცესის მონაწილის დარღვეული უფლების ანდა საპროცესო კანონიერების აღდგენა. ასეთი სანქციები, როგორც წესი, არ უკავშირდება უშუალოდ დამრღვევზე უაროფით ზემოქმედებას და გამოიხატება უკვე ჩატარებული ღონისძიების ან მიღებული გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობაში. ეს თავის მხრივ იწვევს ასეთი ქმედების გზით მიღებული შედეგების არარად ცნობას (მაგ. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა), ან მიღებული უკანონო

გადაწყვეტილების გაუქმებას (მაგ. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დაღვევის შემთხვევაში). მაგალითად, სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სხდომის თავმჯდომარე მიიჩნევს რომ ვერდიქტის ფორმა არ შეესაბამება სსსკ დადგენილ მოთხოვნებს იგი ვერდიქტს უბრუნებს უფროს მსაჯულს და მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა დაბრუნებას სათათბირო ოთახში შეცდომების გასასწორებლად. ხშირ შემთხვევებში მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება იმავდროულად უკავშირდება საქმის გადაცემას პროცესის მწარმოებელი სხვა სუბიექტისათვის ან გაუქმებული საპროცესო აქტის/ გადაწყვეტილების ჩანაცვლებას ახალი გადაწყვეტილებით. მაგალითად, სსსკ -ის 298-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუვნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.

ამდენად, უფლებააღმდგენი საპროცესო სანქციების არსი მდგომარეობს დარღვეული სამართალურთიერთობების აღდგენაში, პროცედურული დარვევების შედეგების გამოსწორებაში და სამართალდამრღვევის ქმედების უარყოფით შეფასებაში. დარღვეული უფლების აღდგენის ძირითად ხერხს წარმოადგენს საპროცესო აქტებში ცვლილების შეტანა ან მათი გაუქმება. თუმცა უფლებააღმდგენი სანქციის მოქმედება მხოლოდ ამით არ მთავრდება და შეუძლია გამოიწვიოს საპროცესო კანონმდებლობის დამრღვევი პროცესის მონაწილის მიმართ დისციპლინური, ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაც. მაგალითად, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია იწვევს არა მხოლოდ ამ მტკიცებულების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას (მაგალითად, სსსკ 72-ე, 77-ე, 78-ე მუხლებით), არამედ ასევე – შესაბამისი გამომძიებლის ან პროკურორის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სსკ-ის 369[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

3.1.1. საპროცესო უფლებააღმდგენი სანქციების სახეები

საპროცესო უფლებააღმდგენი სანქციები სამ სახედ იყოფა:

– ***მოვალეობის იძულებითი აღსრულება*** (საპროცესო-იძულებითი ხასიათის სანქციები): მოვალეობის იძულებითი აღსრულებისას ***სანქციები*** მოიცავს ერთი მხრივ, საპროცესო ნორმათა დამრღვევი პირის იძულებას და მეორე მხრივ ამ პირის ქმედების უარყოფით შეფასებას. მაგრამ ამ შემთხვევაში იძულება მიმართულია არა დამრღვევის პიროვნებაზე, არამედ დამრღვევი პირის მიერ განხორციელებული ქმედებით ხელყოფილი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების დავალდებულებისკენ. ეს სანქციები ეკისრება სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე პირებს (მაგ., მხარეებს, მოწმეს, სასამართლოს სხდომაზე დაბარებულ ექსპერტს, საექსპერტო კვლევის ნიმუშის ასაღებად დაბარებულ ბრალდებულს, დაზარალებულს და ა.შ.). მაგალითად, პროცესის მონაწილის იძულებით მიყვანა

– ***მიყენებული ზიანის ანაზღაურება***: მაგალითად, კომპენსაციის უფლება. ზიანის ანაზღაურების ფუნქციის მქონე სანქციები განსხვავდება სადამსჯელო ქონებრივი ხასიათის სანქციებისგან (მაგ. ჯარიმისგან) მიზნით. კერძოდ, თუ ე.წ. „საკომპენსაციო სანქციების" (ზიანის ანაზღაურების სანქციების) მიზანია მიყენებული ზიანის გამოსწორება, მაშინ ქონებრივი სადამსჯელო სანქციების მიზანია დაშვებული საპროცესო გადაცდომისთვის ბრალეული პირის დასჯა. მაგალითად, სსსკ 92-ე მუხლის პირველი ნაწილი ეხება პროცესის მწარმოებელი პირების (გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო), ხოლო მე-2 ნაწილი – პროცესის ნებისმიერი მონაწილის, მათ შორის, კერძო პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

– ***ე.წ. „არარა" სანქციები***: პროცესის მონაწილეების მიერ საპროცესო ნორმების მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვა ისეთი ღონისძიებების მეშვეობით როგორიცაა ჯარიმა ანდა ვალდებულების იძულებით შესრულება, მხოლოდ ნაწილობრივ ხდება. დიდწილად ასეთ ფუნქციას ასრულებს მაგალითად, უკანონო აქტის გაუქმება, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, საჩივრის ანდა შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობა, საჩივრის განუხილვლად დატოვება, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო საპ-

როცესო მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმა და ა.შ.

ე.წ. „არარა“ სანქციები წარმოადგენს პასიური ზემოქმედების სანქციებს. „არარა“ სანქციები საპროცესო ურთიერთობებს იცავენ საპროცესო ნორმის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელებული საპროცესო ანდა საგამოძიებო მოქმედების (და მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების) იურიდიული ძალის არ მქონედ გამოცხადების გზით. აღნიშნული წესი თანაბრად ეხება როგორც პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლოს მიერ სსსკ მოთხოვნათა დარღვევის, ასევე დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისას საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევის შემთხვევებს. ასეთი სანქციები ყოველთვის არ არის პირდაპირ ფორმულირებული სსს კოდექსებში და შეიძლება გამომდინარეობდნენ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებათა განხორციელების სსსკ-ით დადგენილი წესიდან. მაგალითად, ე.წ. „ არარა“ სანქციის გამოყენება შეიძლება გამოიწვიოს საპროცესო ვადის დარღვევამ (სსსკ 88-ე მუხლის თანახმად, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებული საპროცესო ქმედება ბათილია, თუ გაცდენილი ვადა არ იქნება აღდგენილი. შესაბამისად, ვადის აღდგენის გარეშე მოპოვებული მტკიცებულება – დაუშვებელი მტკიცებულებაა სსსკ 72-ე მუხლის საფუძველზე), სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მიერ განაჩენის გამოტანამ (სსსკ 310-ე მუხლის „ ა“ ქვეპუნქტი) და ა.შ.

ე.წ. „არარა“ სანქციების გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც სუბიექტის არამართლზომიერი ქმედებით მიყენებული საპროცესო ზიანის გამოსწორება შეუძლებელია ან პირიქით, არ საჭიროებს სადამსჯელო სანქციების გამოყენებას, ზიანის ანაზღაურებას ან მოვალეობის იძულებით აღსრულებას. მაგალითად, სასამართლოს მიერ გაშვებული საპროცესო ვადის აღდგენის გარეშე სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში ზემდგომი ინსტანციის სასამართლო აუქმებს სასამართლოს განაჩენს, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ მხოლოდ ამ ფაქტის გამო არ გამოიყენება სადამსჯელო სისხლისსაპროცესო სამართლებრივი ან დისციპლინური ხასიათის სანქციები.

იმავდროულად, საპროცესო ხასიათის ე.წ. „არარა“ სანქციების

გამოყენების შემთხვევაში სანქციამ არახელსაყრელი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს არა უშუალოდ დამრღვევი პირისთვის (მაგ., ბრალდების მხარის მიერ სსსკ არსებითი დარღვევით მამხილებელი მტკიცებულების მოპოვებისას, ამ მტკიცებულების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის გამო, ბრალდების მხარეს ერთმევა ამ მამხილებელი მტკიცებულებით ბრალდებულისთვის ბრალეულობის მტკიცების შესაძლებლობა), არამედ სხვა პირისთვის. მაგალითად, თუ მოსამართლემ ბრალდებულს არ მისცა მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობის და საბოლოო სიტყვით სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა, ეს უდავოდ წარმოადგენს გამოტანილი განაჩენის გაუქმების საფუძველს, მაგრამ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული საპროცესო სანქციას?[8]

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება რომ საპროცესო კანონმდებლობის ისეთი დარღვევა, რომელიც იწვევს განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ წარმოადგენს საპროცესო სანქციას დაშვებული დარღვევებისთვის. მაგრამ რამდენად წარმოადგენს განაჩენის გაუქმება არახელსაყრელ შედეგს და შესაბამისად, საპროცესო სანქციას? განაჩენის გაუქმება ერთი მხრივ იწვევს ხელახალ სასამართლო განხილვას და შესაბამისად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დროში გახანგრძლივებას. თუმცა ხელახალი განხილვის შედეგად სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს პროცესის მონაწილეთათვის სასურველი გადაწყვეტილება, რაც ვერ ჩაითვლება სანქციად. იმავდროულად, განაჩენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის ვერ დააკმაყოფილებს ორივე მხარეს – ერთერთი მხარე ყოველთვის იქნება უკმაყოფილო. რამდენად შეიძლება იქნეს განხილული სანქციად შეცვლილი განაჩენი იმ პირთან მიმართებით, ვისი მდგომარეობაც ამ განაჩენით გაურესდა? მიუხედავად იმისა, რომ შეცვლილი განაჩენი მის უფლებებზე უშუალოდ უარყოფითად მოქმედებს, შედეგი არ არის გამოწვეული ამ პირის ბრალეული ქმედებით (საპროცესო დარღვევა, რომელმაც გამოიწვია განაჩენის შეცვლა, დაშვებული იყო სხვა სუბიექტს მიერ).

ამდენად, ე.წ. „არარა“ სანქციები უზრუნველყოფს სამართლებრი-

[8] О.В. Волколуп, Ю. Б.Чупилкин, Гарантии прав участников уголовного судопроизводства РФ, 2005, 2-ое изд

ვი მოვალეობების შესრულებას, რომელიც უკავშირდება მტკიცების პროცესს, საპროცესო ვადებს და საპროცესო მოქმედებების განხორციელების საპროცესო წესს, ითვალისწინებენ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით მიღებული საპროცესო გადაწყვეტილების გაუქმებას ან შეცვლას, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.

უფლებააღმდგენი სანქციის გამოყენება ასრულებს პროცესის მწარმოებელი პირის მიერ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა დასაბუთებულად და კანონიერად განხორციელების გარანტიის ფუნქციას. იმავდროულად, ***უფლებააღმდგენი*** საპროცესო-სამართლებრივი ხასიათის მქონე სანქციების გამოყენება არ ზღუდავს საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევისთვის გამოყენებად სანქციათა წრეს.

3.2. სადამსჯელო სანქციები

სადამსჯელო სანქციებს მიეკუთვნება საპროცესო იძულების, ადმინისტრაციული და დისციპლინური ხასიათის ზოგიერთი ღონისძიება.

სადამსჯელო სანქცია ითვალისწინებს პროცესის მონაწილის მიერ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისთვის მასზე სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობლობის დაკისრებას ან მის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენებას. მაგალითად, ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება (სსსკ მუხლი 200-ის ნაწ. 5), მოწმის იძულებით მიყვანა, დაზარალებულის, თარჯიმნის ან განსასჯელის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევება, სასამართლო განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი პროცესის მონაწილის დაჯარიმება (სსსკ მუხლი 240, ნაწ. 1) და ა.შ.

სადამსჯელო სანქციები უკავშირდება პროცესის იმ მონაწილისთვის არასასურველი შედეგის დადგომას, ვინც არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები. სადამსჯელო საპროცესო სანქციები, როგორც წესი, შეიძლება დაეკისროს პროცესის ნებისმიერ მონაწილეს. თუმცა გამოძიების სტადიაზე სადამსჯელო სანქციების გამოყენება

ხდება, როგორც წესი, მხოლოდ პროცესის მონაწილეების მიმართ. სასამართლოში საქმის წარმოებისას სადამსჯელო სანქციები შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც პროცესის მონაწილის მიმართ (მაგალითად, თარჯიმნის მიმართ, იმ ბრალდებულის მიმართ ვინც არ ასრულებს აღკვეთის ღონისძიებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, პროკურორის მიმართ, ვინც განახორციელა სასამართლოსთან აკრძალული სახის კომუნიკაცია), ასევე საქმის განხილვისას დარბაზში მყოფი ნებისმიერი პირის (მათ შორის იმ პირების მიმართაც, ვისაც არ გააჩნიათ საპროცესო სტატუსი. მაგალითად, სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი დამსწრე პირები[9]) მიმართ, თუ მისი მხრიდან ადგილი აქვს სასამართლო სხდომის დარბაზში ან სასამართლოში წესრიგის დარღვევას ან სასამართლოსადმი უპატივცემულობას (იხ. სსსკ მუხლი 85).

ამდენად, სადამსჯელო სანქციების გამოყენება ნებადართულია საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერი სუბიექტის მიმართ, თუმცა გამოსაყენებელი სანქციის კონკრეტული სახე დამოკიდებულია დარღვევის ხასიათზე და სუბიექტის სამართლებრივ მდგომარეობაზე.

სადამსჯელო საპროცესო სანქციებს შეიძლება ჰქონდეთ *ქონებრივი* ან *ფინანსური ხასიათი* ან ატარებდნენ *უფლებაშემზღუდველ ხასიათს* (მაგალითად, ბრალდებულის გაძევება სასამართლო სხდომის დარბაზიდან).

ქონებრივი ხასიათის სადამსჯელო სანქციებს მიეკუთვნება მაგალითად, ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონების მიქცევა სახელმწიფო ბიუჯეტში. *ფინანსური ხასიათის სადამსჯელო სანქციებს* მიეკუთვნება მაგალითად, პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობის, თავდების, თარჯიმნის ან ექსპერტის მიერ მათი მოვალეობების შეუსრულებლობისთვის, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევისთვის პროცესის მონაწილის ან დამსწრე პირების დაჯარიმება, პროცესის მონაწილისთვის უკანონო ქმედებ-

[9] იხ. მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განკარგულებები: საქმეზე № 1/4453-16, 23/06/2017ნ; საქმეზე № 1-5590-16, 23/06/2017ნ; საქმეზე № 1/3964-16, 04/10/2017ნ;

ით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სსსკ 92-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის უფლება, რაც იმავდროულად უფლებააღმდგენი სანქციაცაა) და ა.შ.

სადამსჯელო სანქციები, მოვალეობის იძულებითი შესრულების უზრუნველმყოფელი სანქციებისგან განსხვავებით, მიმართულია სამართალდარღვევის აღკვეთაზე, სამართალდამრღვევის დასჯაზე და მისი უფლების შეზღუდვაზე ხოლო მოვალეობის იძულებითი შესრულების უზრუნველმყოფელი სანქციები – მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფაზე (მაგ. მიყვანა). საპროცესო სადამსჯელო სანქციებში ყოველთვის მკაფიოდ არის გამოხატული სამართალდამრღვევის ქმედების უარყოფითი შეფასება, მისი გაკიცხვა სახელმწიფოს მხრიდან. სისხლის საპროცესო სამართალში სადამსჯელო სანქციები(და მათ შორის საჯარიმო სანქციები), რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ *უშუალოდ სამართალდამრღვევებზე* (რაც ტიპიურია მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმებისთვის) მცირეა. სისხლის საპროცესო სამართლის ნორმათა უმრავლესობა უფლებააღმდგენია და მიმართულია, როგორც წესი, პროცესის მონაწილის (მათ შორის პროცესის მწარმოებელი ორგანოს) მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული შედეგების გამოსწორებისკენ და მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფისკენ.

უფლებაშემზღუდველი საპროცესო სადამსჯელო სანქციები გამოიხატება სამართალწარმოების მონაწილეებზე ზემოქმედებაში. სსსკ რიგ შემთხვევებში სანქციის სახით ითვალისწინებს პროცესის მონაწილის უფლების ***შეზღუდვას.*** მაგალითად სსსკ 296-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 305-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

უფლების შეზღუდვა გამოყენებული უნდა იქნეს გამონაკლისის სახით პროცესის მონაწილის მიერ საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენების, საპროცესო უფლებით მანიპულირების, პროცესის სხვა მონაწილეთა კანონიერი ინტერესების მიზანმიმართული ხელყოფის შემთხვევაში, რაც ხელს უშლის სამართალწარმოების პროცესის ჯეროვან განხორციელებას. ანალოგიურად, მართალია სსსკ არ განსაზღვრავს რამდენჯერ შეუძლია ბრალდებულს ადვოკატის შეცვლა

და არ ზღუდავს ბრალდებულს მისთვის სასურველი ადვოკატის მოწვევაში, თუმცა სსსკ-ის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი ადვოკატის შეცვლის უფლებით მანიპულირების პრევენციის მიზნით კრძალავს ადვოკატის შეცვლის მოტივით სასამართლო განხილვის გადადებას.

3.3. საპროცესო-პრევენციული სანქციების

საპროცესო-პრევენციული სანქციების მიზანია პროცესში მონაწილე პირების მხრიდან საპროცესო კანონმდებლობის ხელყოფის პრევენცია. მაგალითად, სსსკ 75-ე მუხლის ნაწ. 3-ის თანახმად, „მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით". რათა მხარეს ჰქონდეს ამ მოწმის ჩვენების სრულყოფილად გამოკვლევის, მოწმის სანდოობის შეფასების და ა.შ. შესაძლებლობა

ამდენად, საპროცესო სანქციები ძირითადად უფლებააღმდგენი ხასიათის მატარებელია, მიმართულია დარღვეული უფლების და კანონიერების აღდგენისკენ, დაშვებული კანონდარღვევის გამოსწორებისკენ ან მტკიცების პროცესში სისხლის საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევის პრევენციისკენ.

4. სანქციის შემფარდებელი სუბიექტის მიხედვით

თუ მატერიალურ სისხლის სამართალში სანქციის შეფარდების ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს სასამართლო წარმოადგენს, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სანქციის შემფარდებელი სუბიექტი შეიძლება განსხვავებული იყოს. პროცესის მონაწილის მიერ ნაკისრი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის სსსკ განსაზღვრული ნეგატიური შედეგების მატარებელი ღონისძიების გამოყენების უფლება ენიჭება როგორც სასამართლოს, ასევე პროცესის მწარმოებელ სხვა სუბიექტსაც. მაგალითად, სსსკ 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა)" ქვეპუნქტის თანახმად პროკურორი უფლებამოსილია საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს, გამოძიების საპროცესო ხელძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგო-

მი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს. პროკურორის მიმართ დისციპლინური სახდელის დადების უფლება აქვს საქართველოს გენერალურ პროკურორს,[10] ადვოკატს დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია[11] და ა.შ.

თავი IV. სანქციების განსხვავება საპროცესო იძულების ღონისძიებებისგან

საპროცესო სამართალში საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საპროცესო სანქციები და საპროცესო იძულების ღონისძიებები.

სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში საპროცესო იძულების ერთიდაიგივე სახე ერთ შემთხვევაში გამოიყენება პრევენციული ღონისძიების სახით, ხოლო მეორე შემთხვევაში – სანქციის სახით. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი სახის გამოყენება (ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევის გამო) ატარებს „ დასჯის' ელემენტებს და წარმოადგენს სანქციას ბრალდებულის მიერ ნაკისრი მოვალეობის შეუსრულებლობისთვის, ხოლო იგივე პატიმრობის გამოყენება სსსკ 205-ე მუხლის საფუძველზე თავდაპირველი აღკვეთის ღონისძიების სახით პრევენციის მიზნებს ემსახურება და არა დასჯის. ანალოგიურად, სსსკ 85- ე მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა განსხვავდება სსსკ 205-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიებისგან არა მხოლოდ ხანგრძლივობით, არამედ მიზნებით და ხასიათითაც (კერძოდ, 205-ე მუხლის შემთხვევაში პატიმრობის მიზანია ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მომავალში ხელის შეშლის პრევენცია, ხოლო 85-ე მუხლის შემთხვევაში პატიმრობა წარმოადგენს მოვალეობის დარღვევისთვის პირზე დაკისრებულ პასუხისმგებლობის ღონისძიებას).

შეიძლება გამოიყოს საპროცესო სანქციებისთვის დამახასიათე-

[10] იხ. „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 76, პ.17, 30/11/2018ნ

[11] იხ. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 35, 20/06/2001ნ

ბელი შემდეგი თავისებურებები:

1. სანქცია საპროცესო სამართალშიც წარმოადგენს სუბიექტზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ნორმატიული წესით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას (მაგ., ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევის გამო მის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება სსსკ მე-200 მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე, ასევე მიყვანა – პროცესის მონაწილის მიერ მასზე სსსკ დაკისრებული გამოცხადების მოვალეობის საპატიო მიზეზის გარეშე შეუსრულებლობაზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება). საპროცესო იძულების ღონისძიებებს კი პრევენციული ხასიათი აქვთ.[12] საპროცესო იძულების ღონისძიებები გამოიყენება საპროცესო ნორმის დისპოზიციის დარღვევის გარეშე და მიმართულია სამომავლო დარღვევის პრევენციისკენ (აღკვეთის ღონისძიებები, დაკავება, ქონებაზე ყადაღის დადება და ა.შ.). მაგალითად, აღკვეთის ღონისძიებები მიმართულია ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის, მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულების განადგურების ან მიმალვის სამომავლო საფრთხის თავიდან აცილებისკენ, როდესაც ასეთი საფრთხის არსებობა დასტურდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.

2. პირთა წრე, ვის მიმართაც დაიშვება საპროცესო სანქციების გამოყენება, გაცილებით ფართოა იმ პირთა წრესთან შედარებით, ვის მიმართაც დაიშვება საპროცესო იძულების გამოყენება. მაგალითად, საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობისთვის დაჯარიმება/გაძევება შეიძლება გამოყენებული იქნეს მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნის, დამსწრე პირის მიმართ, ხოლო დაკავება, აღკვეთის ღონისძიება – მხოლოდ ბრალდებულის მიმართ, ქონებაზე ყადაღის დადება – ბრალდებულის, მასთან დაკავშირებული პირის ან მისი მოქმედებისთვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებაზე და ა.შ.

3. საპროცესო იძულების ღონისძიებებიდან მხოლოდ ჯარიმა და მიყვანა წარმოადგენს თავისი ხასიათით საპროცესო სანქციას, ვი-

[12] В.С. Мостовой, Меры Процессуального Принуждения В Уголовном Судопроизводстве: Понятие, Классификация, Система,https://www.scienceforum.ru/2016/1829/21912

ნაიდან გამოიყენება პროცესის მონაწილის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში საპასუხო ღონისძიების სახით (ასევე – აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი სახის გამოყენება თავდაპირველი აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაშიც).

4. საპროცესო-სამართლებრივი ნორმების სანქციები მიმართულია არა მხოლოდ საპროცესო მოვალეობის დამრღვევ პირზე უშუალო ზემოქმედებისკენ, არამედ იმავდროულად ატარებენ უფლებააღმდგენ ხასიათსაც და მიმართულია პროცესის მონაწილის უკანონო ქმედებით ხელყოფილი კანონიერების აღდგენისკენ.

ამდენად, სანქცია, როგორც საპროცესო სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიება, განსხვავდება პრევენციული ხასიათის საპროცესო იძულების ღონისძიებებისგან. სანქციები წარმოადგენს ჩადენილ საპროცესო სამართალდარღვევაზე რეაგირებას, ხოლო პრევენციული სახის საპროცესო იძულების ღონისძიებები მიმართულია მომავალში გამოძიების და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილებისკენ.

კარი II. პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობის და წესრიგის დარღვევისთვის

კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელების და სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია პროცესის მიმდინარეობის დროს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, მხარეთა პოზიციების მოწესრიგებულ, ნორმალურ პირობებში ჩამოყალიბება, სასამართლო განხილვის მაქსიმალური ეფექტურობა,[13] „დადგენილი ეთიკური წესების გათვალისწინებით არასათანადო ქცევის დაუშვებლობა“,[14]

[13] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/20/1219,1236 „საქართველოს მოქალაქეები – ემზარ პაქსაძე და თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 13 ოქტომბერი, II-13

[14] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 01 დეკემბრის განჩინება საქმეზე №1ბ/სპ-13-15; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 ივლისის განჩინება საქმეზე №1ბ/სპ-15-16

პროცესის მონაწილეთა დროული გამოცხადება.

ამ მიზნით სსსკ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ა) წესრიგის დარღვევის; ბ) სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის; გ) სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის; დ) სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის; ე) პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობისთვის.

სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე პირების მხრიდან საპროცესო მოვალეობების შეუსრულებლობას ან საპროცესო კანონმდებლობის დარღვევას, პროცესის მწარმოებელი პირის მიმართ უპატივცემულობას, წესრიგის დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე სასამართლოში საქმის წარმოებისას. მაგრამ სსსკ ამ ქმედებისთვის საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ადგილი აქვს სამართლოში საქმის წარმოებისას. შესაბამისად, გამოძიების მწარმოებელ ორგანოში ანალოგიური ქმედების ჩადენის შემთხვევებს სსსკ არ არეგულირებს (ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს სისხლის ან ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, თუ განხორციელებული ქმედება ქმნის შესაბამის შემადგენლობას).

სსსკ 85-ე მუხლი საპროცესო დარღვევად მიიჩნევს: ა) წესრიგის დარღვევას; ბ) სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას; გ)სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას; დ) სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას.

სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის არ ითხოვს ყველა წინაპირობას კუმულაციურად, საკმარისია ერთერთი წინაპირობის არსებობა.[15] თუმცა ხშირ შემთხვევაში ერთმა წინაპირობამ შეიძლება მოიცვას ან/და გამოიწვიოს მეორე. მაგალითად, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა ხშირ შემთხვევაში იმავდროულად გულისხმობს წესრიგის დარღვევასაც.[16] წესრიგის დარღვევით შესაძლოა

---

[15] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე №3ბ/სპ-02-15, 2015 წლის 14 ივლისი

[16] ლ.ფაფიაშვილი, გ.თუმანიშვილი, დ.კვაჭანტირაძე, ლ.ლიპარტელიანი, გ.დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე

გამოხატული იქნეს სასამართლოსადმი უპატივცემულობაც, ხოლო მოსამართლის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა გულისხმობს სასამართლოსადმი უპატივცემულობასაც და შეუძლია გამოიწვიოს წესრიგის დარღვევაც. 85-ე მუხლში მითითებული წინაპირობა შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებელი შინაარსითაც. მაგალითად, მოსამართლის მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი წინადადებით შეიძლება გამოხატული იქნეს მხოლოდ სასამართლოს უპატივცემულობა და არ გამოიწვიოს ან არ უკავშირდებოდეს სხდომაზე წესრიგის დარღვევას. ამ განცხადებას (მოსამართლის მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ განცხადებას) არ ექნება კავშირი არც მოსამართლის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ინსტიტუტთან. ამდენად, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის შესაძლოა არსებობდეს მხოლოდ ერთი წინაპირობა (მაგალითად, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა) და „სასამართლომ თავისი შეხედულებისამებრ რეაგირება მოახდინოს კონკრეტულ ფაქტზე."[17]

თავი I. სსსკ 85-ე მუხლით აკრძალული ქმედებები

სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევების ბლანკეტური ხასიათის და სანქციების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომის სამართლიანობისთვის სწორად უნდა შეფასდეს სამართალწარმოებაში მონაწილე ან/და სხდომაზე დამსწრე პირის ქმედება.

1. სასამართლოსადმი უპატივცემულობა

მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელება გამოხატვის თავისუფლებით არის დაცული,[18] სასამართლოები ექვემდებარებიან კრიტიკას და

(რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 310

[17] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №3ბ/სპ-02-15, 2015 წლის 14 ივლისი

[18] Kobenter and Standard Verlags Gmbh v. Austria, ECtHR, (2007)

არ სარგებლობენ იმუნიტეტით.[19] ამასთან გამოხატვის თავისუფლებით დაცულია როგორც შინაარსი, ასევე გამოხატვის ფორმაც.[20] სასამართლო ხელისუფლება ..ვერ ასცდება კრიტიკას და ამ დროს შოკისმომგვრელი და მიუღებელი აზრები და სიტყვები შეიძლება იქნეს გამოყენებული.[21] იმავდროულად აუცილებელია სასამართლოების მიმართ არსებობდეს საზოგადოების ნდობა.[22] ამიტომ სასამართლოსადმი პატივისცემის უზრუნველყოფასა და მეორე მხრივ გამოხატვის თავისუფლებას შორის სწორი ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც წესი, გამოხატვის თავისუფლებით დაცული არ არის: 1) არსებითად **დაუსაბუთებელი** შეტევა მოსამართლეებზე[23] – როდესაც სასამართლოს მიმართ ბრალდებები არ ეფუძნება საკმარის ფაქტობრივ გარემოებებს და ზედმეტად ფართოა, რაც ლახავს სასამართლოს რეპუტაციას და ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას;[24] 2) თუ გამოხატვის **ერთადერთ მიზანს** სასამართლოს ან სასამართლოს წევრების შეურაცხყოფა წარმოადგენს.[25]

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის თანახმად, „მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების, აგრეთვე სასამართლო სხდომაზე დამსწრე და სასამართლოში მყოფ სხვა პირთა ისეთი ქმედება, რომელიც სასამართლოსადმი უპატივცემულობას გამოხატავს, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას." ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იწვევდეს სსკ 366-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, ხოლო სხვა შემთხვევაში – მხოლოდ სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.

„მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნვ-

[19] Skalka v. Polland, ECtHR, no 43425/98, 27/05/2003

[20] Kobenter and Standard Verlags Gmbh v. Austria, ECtHR (2007); De Haas and Gijsels v. Belgium, ECtHR (1997).

[21] Sergey Kuznetsov v. Russia, ECtHR, no. 10877/04, §45

[22] Skalka v. Polland , ECtHR, no 43425/98, 27/05/2003; Kobenter and Standard Verlags Gmbh v. Austria , ECtHR, (2007

[23] Prager and Oberschlick v. Austria, ECtHR, (2005); Kobenter and Standard Verlags Gmbh v. Austria, ECtHR, (2007); Skalka v. Polland, ECtHR, no 43425/98, 27/05/2003

[24] Prager and Oberschlick v. Austria, ECtHR (2005).

[25] Skalka v. Polland , ECtHR, no 43425/98, 27/05/2003

ელსაყოფად, მოსამართლეს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, სასამართლოს ავტორიტეტის დაუსაბუთებელი და უხამსი ბრალდებებისაგან დასაცავად და პროცესის ჯეროვანი მიმდინარეობის უზრუნველყოფისათვის... შესაბამისად, სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში, მოსამართლის მიერ პირის მიმართ კონკრეტული სანქციის დაკისრება სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება."[26] მაგრამ „შეუძლებელია კანონმდებლობით სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევების ცალსახა და ამომწურავად რეგლამენტაცია."[27] ამიტომ პროცესის მონაწილის ქცევის შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა. სასამართლომ საქმის გარემოებათა ერთობლიობის საფუძველზე უნდა განსაზღვროს ქცევა წარმოადგენდა თუ არა სასამართლოსადმი უპატივცემულობას და განსაზღვროს პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი ქმედებისათვის.

სასამართლოსადმი უპატივცემულობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც მხარის და პროცესის მონაწილის, ასევე დამსწრის მხრიდან. უპატივცემულობა შეიძლება გამოიხატოს როგორც განცხადებაში, ასევე ქმედებაში, სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობასა და დაგვიანებაში (დროულად გამოცხადება საპროცესო მოვალეობაცაა), არასათანადო ტანსაცმელში (რაც ყველასათვის თვალშისაცემია) ან არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებაში, მოსამართლისადმი შეპასუხებაში (რაც ასევე წესრიგის დარღვევაა), „სასამართლოს შეურაცხყოფაში (სიტყვიერად ან/და ქცევით)", მხარის მიერ მოსამართლის ნებართვის გარეშე განმარტებების გაკეთებაში.[28] სასამართლოს უპატივცემულობაა არა მხოლოდ უშუალოდ სასამართლოსადმი ქცევა, არამედ – პროცესის მონაწილისა და მხარისადმი (იხ. სსსკ 85-ე მუხლის მე-7 ნაწილი) არასათანადო

---

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პაგასარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-23

[27] იქვე, II-40

[28] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №3ბ/სპ-02-15, 2015 წლის 14 ივლისი

ქცევაც."[29]

სასამართლოსადმი უპატივცემულობას წარმოადგენს ასევე მოსამართლის კანონიერი მითითების/ განკარგულების შეუსრულებლობა საქმის განხილვაში მონაწილე პირის მიერ. მაგალითად, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვეობის საკითხის განხილვისას და სასამართლოში წარსადგენი როგორც სადავო, ისე უდავო მტკიცებულებათა ნუსხის დამტკიცებისას მხარის მიერ მოსამართლის მითითების იგნორირება იმის შესახებ, რომ მხარემ კონკრეტულად მიუთითოს შუამდგომლობაში მტკიცებულებების შესაბამისი ჩამონათვალი (კერძოდ, კონკრეტული მტკიცებულებები მათი დასახელების, რაოდენობის, ნუმერაციის, და ა.შ. ინდივიდუალური მახასიათებლების მითითებით ამ მტკიცებულებების უკეთ აღქმადობის მიზნით). ამ მითითების შესრულებისთვის თავის არიდების მიზნით ადვოკატის მიერ სხვა თემებზე საუბრის გადატანა და დაუმორჩილებლობა წარმოადგენს მოსამართლის მიმართ უპატივცემულობას.[30]

სასამართლოსადმი უპატივცემულობას წარმოადგენს ასევე პროცესის მსვლელობისას შენიშვნის მიუხედავად ადვოკატის პოლემიკა მოსამართლესთან[31], „პროცესის მონაწილის მიერ, მოსამართლის მიმართ გაკეთებული შეფასება მის არაკვალიფიციურობასთან დაკავშირებით;"[32] მოსამართლისთვის იმის განცხადება, რომ მოსამართლე „უნდა იცნობდეს და იცოდეს განსახილველი საქმე, მოსამართლემ არ იცის საქმეში არსებული ჩვენებების შესახებ, მოსამართლე არც სხვა პერიოდში საქმის განხილვის ადრეულ

---

[29] ლ. ფაფიაშვილი, გ.თუმანიშვილი, დ.კვაჭანტირაძე, ლ.ლიპარტელიანი, გ.დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 310

[30] თბილისის სააპელაციო სასამართლოსგანჩინება საქმეზე № 1ბ/სპ-12-17, 05/07/2017წ

[31] იხ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1ბ/სპ-15-16, 2016 წლის 19 ივლისი

[32] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №3ბ/სპ-02-15, 2015 წლის 14 ივლისი

ეტაპზე იცნობდა საქმეს;"[33] მოსამართლე არ იცნობს საქმეს, ვინაიდან სათანადოდ არ აქვს შესწავლილი საქმის მასალები; „მოსამართლის მიერ განჩინების/განაჩენის გამოცხადების დროს მხარის მიერ გამოთქმული შეფასება რომ მოსამართლის განჩინება მას მიანიშნებს სასამართლოს მიკერძოებულობაზე, ზედაპირულობაზე და არაკვალიფიციურობაზე და ა.შ. განჩინების (ასევე ნებისმიერი სამართლებრივი აქტის – გადაწყვეტილების, განკარგულების) მიმართ გაკეთებული არაკორექტული გამონათქვამი შემხებლობაშია სასამართლოსთან, ვინაიდან კონკრეტული სამართლებრივი აქტის შემოქმედი კონკრეტული მოსამართლეა... კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლოს ზედაპირულ მიდგომაზე მითითება გულისხმობს მოსამართლის მიერ სათანადო გულმოდგინების გარეშე საქმის შესწავლას და გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მაღალი პასუხისმგებლობის გაუთვალისწინებლობას. შესაბამისად, მხარის ამგვარი განაცხადი უდავოდ ნიშნავს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვას."[34] „როცა მხარეს არ აკმაყოფილებს მოსამართლის მიერ მიღებული აქტი (განჩინება, გადაწყვეტლება) მას აქვს უფლება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივროს იგი ან განაცხადოს უშუალოდ მოსამართლის აცილება შესაბამისი არგუმეტანციის საფუძველზე."[35]

თუ სასამართლოს უპატივცემულობა სასამართლოს შეურაცხყოფის ფორმით ვლინდება, აღნიშნული სცდება მხოლოდ სსსკ 85-ე მუხლის რეგულირების სფეროს და ქმნის სსკ 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს აღნიშნული გამოვლინდება კონკრეტული მოსამართლის შეურაცხყოფის გარეშე თუ მასთან ერთად. „ ქმედების შეფასებისას გასათვალისწინებელია რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში დიდი მოთმინება უნდა იქნეს გამოჩენლი საჯარო პირების მიმართ გამოთქმული კრიტიკული შეხედულებებისადმი მაშინაც კი, როცა

---

[33] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1ბ/სპ-15-16, 2016 წლის 19 ივლისი

[34] თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე №3ბ/სპ-02-15, 2015 წლის 14 ივლისი

[35] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №3ბ/სპ-02-15, 2015 წლის 14 ივლისი

გამოხატვა ხდება აშკარად და პროვოკაციული გზით".[36]ცალკეულ შემთხვევებში, უპატივცემულობად შეიძლება იქნეს მიჩნეული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე უნებლიე ქცევა (მაგ., წამოძახება, ადგილზე წრიალი, შფოთვა, სხეულის ნაწილების თავის/ხელის/ფეხის უნებლიე მოქმედებები და ა.შ.) ან დაცვის ტაქ-ტიკაც. რიგ შემთხვევებში, საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, სად მთავრდება წარმომადგენლის დაცვის სტილი და ტაქტიკა, და სად იწყება სასამართლოსადმი უპატივცემულობა. მაგალითად, ხატოვანი ან/და ემოციური ხასიათის გამონათქვამები და ჟესტიკულაცია, რაც მიზნად ისახავს პროცესის მონაწილეთა ყურადღების მიპყრობას წარ-მოდგენილ არგუმენტებსა და მხარის პოზიციაზე.[37] ამიტომ წესრი-გის დარღვევა ან/და მოსამართლის მიმართ უპატივცემულობა უნდა დადასტურდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, საქმის გარემოებათა ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე.[38] ის რომ სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სასამართლოს უპატივცემულობისათვის არ გამორიცხავს დამრღვევის მიმართ სამართალწარმოების ფარგლებ-ში სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების შესაძლებლობას.

2. სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა

მოსამართლის/სასამართლოსადმი უპატივცემულობა და წესრი-გის დარღვევა შეიძლება უკავშირდებოდეს სხდომის თავმჯდომარის

---

[36] კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, no. 1484/07, 02/10/2012, §89; Hyde park and Others v. Moldova (nos. 5 and 6), nos. 6991/08 and 15084/08, 14 September 2010,par. 43; Nilsen and Johnson v Norway [GC], ECtHR, no. 23118/93, par. 52, 53

[37] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის ნი-ააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-39

[38] იქვე, II-40; იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის გან-ჩინება საქმეზე № 1ბ/სპ-12-17, 2017 წლის 5 ივლისი

განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას. სხდომის თავმჯდომარის ***განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა*** გულისხმობს სხდომის დარბაზში მყოფი პირის არასათანადო ქცევის შეწყვეტის ან/და სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებისადმი (მაგ., ადგილების გათვალისწინებით დარბაზის დატოვების მოთხოვნა) დაუმორჩილებლობას, რა დროსაც შენიშვნის მიუხედავად, პირი აგრძელებს არასათანადო ქცევას (მაგ., აგრძელებს ხმამაღლა სიცილს/საუბარს, უნებართვო აუდიო/ვიდეო ჩაწერას და ა.შ.), მათ შორის – ნაკლები ან უფრო მეტი ინტენსივობით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, სხდომის დარბაზში მყოფმა ყველა პირმა სათანადოდ იგრძნოს სასამართლოს მოთხოვნის შესრულების აუცილებლობა და გარდუვალობა.[39] მაგალითად, სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევისას ადვოკატის მიერ მოსამართლის ნებართვის გარეშე და მოსამართლის შენიშვნის იგნორირებით ბრალდების მხარისთვის ხელის შეშლა მტკიცებულებების წარდგენაში (მაგ., ვერ ახერხებს წერილობითი მტკიცებულების საჯაროდ გამოქვეყნებას). ანალოგიურად, მოსამართლის მიერ ადვოკატისთვის მიცემული ზეპირი შენიშვნის მიუხედავად რომ ადვოკატს შეეწყვიტა არასათანადო ქცევა, პროკურორს დაესრულებინა მტკიცებულების გამოქვეყნება და შემდეგ გამოეთქვა აზრი დაცვის მხარეს, ადვოკატის მიერ არასათანადო ქცევით შენიშვნის არაერთგზის უარყოფა წარმოადგენს მოსამართლის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას და წესრიგის დარღვევას.[40]

3. სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა

ცალკეულ შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირის ან პროცესის მონაწილის ქცევა, მათ მიერ სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევა შეიძლება მიმართული იყოს სხდომის ჩაშლისკენ

[39] ლ. ფაფიაშვილი, გ.თუმანიშვილი, დ.კვაჭანტირაძე, ლ.ლიპარტელიანი, გ.დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 310

[40] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გაჩინება საქმეზე №1ბ/სპ-02-14, 12/02/2014ნ

(დამსწრის, პროცესის მონაწილის, მხარის ან სასამართლოს შეურაცხყოფა), რაც მაქსიმალურად სწრაფად უნდა აღიკვეთოს. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება როგორც დამრღვევი პირის მიმართ სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციების გამოყენება, ასევე სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვაც.[41] სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს შენობაში შესასვლელის ან სხდომის დარბაზის პიკეტირებასა და ინვენტარის დაზიანებაში, ისეთ ქმედებებში რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სასამართლო განხილვას. მაგალითად, მხარეები/დამსწრე პირები სასამართლოს არ აძლევენ სასამართლო სხდომის ჩატარების, განაჩენის გამოცხადების შესაძლებლობას, ხელს უშლიან მხარეს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, მოწმის დაკითხვაში და ა.შ.

4. წესრიგის დარღვევა

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის და სსსკ მე-4 მუხლის თანახმად, პროცესის მონაწილეები ვალდებულნი არიან დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, სამართალწარმოებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროცესის მონაწილეთა მიერ მხარის, სასამართლოს ან მოწმეთა მისამართით შეურაცხყოფას, სასამართლო განხილვასთან შეუთავსებელ გამონათქვამებს, რომელიც აკნინებს პროცესის მონაწილის პატივს და ღირსებას და ხელს უშლის სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას. "სასამართლოს შეურაცხყოფა შეიძლება გამოვლინდეს როგორც კონკრეტული მოსამართლის შეურაცხყოფის გარეშე, ისე მასთან ერთადაც. კერძოდ, ერთდროულად შეიძლება შეილახოს როგორც მოსამართლეთა პირადი უფლებები და რეპუტაცია, ისე სასამართლოს ავტორიტეტი და რეპუტაცია."[42]

[41] ლ.ფაფიაშვილი, გ.თუმანიშვილი, დ.კვაჭანტირაძე, ლ.ლიპარტელიანი, გ.დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 310

[42] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/3/393,397, საქმეზე „ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს

საპროცესო მოვალეობათა შესრულება, მათ შორის, სასამართლოსა და სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვაც ემსახურება არა მხოლოდ პროცესის მონაწილეთა ღირსების დაცვას, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, არამედ მნიშვნელოვანია დაცვისა და ბრალდების ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებისათვის. წესრიგის დაცვის ვალდებულება თანაბრად ეკისრება როგორც მხარეებს და განხილვაში მონაწილე პირებს, ასევე სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებსაც.

სხდომაზე დამსწრის ვალდებულებაა ინარჩუნებდეს სიმშვიდეს, ხელს არ უშლიდეს სასამართლოს საქმიანობას, ასრულებდეს მოსამართლის მითითებებს და ემოციის საფუძველზე აშკარად არ გამოხატავდეს სასამართლოს ან პროცესის მონაწილეების (მათ შორის დარბაზში მყოფი პირების) მიმართ რაიმე კონკრეტულ დამოკიდებულებას, რაც შეიძლება წესრიგის დარღვევას იწვევდეს."[43] შესაბამისად, სხდომაზე წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს დამსწრე პირთა ხმამაღალ საუბარში, წამოძახილში, დარბაზში თვითნებურად გადაადგილებაში, დარბაზიდან უნებართვოდ გასვლაში ან შემოსვლაში, ტექნიკური საშუალებების იმგვარად გამოყენებაში, რაც ხელს უშლის მხარეებსა და სასამართლოს და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა, ამ ქმედების განხორციელებისას დაუშვებელია სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები.[44]

წესრიგის დარღვევას აქვს ადგილი როგორც საქმის განმხ-

პარლამენტის წინააღმდეგ", 2006 წლის 15 დეკემბერი

[43] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება № 1ბ/სპ-13-15, 2015 წლის 1 დეკემბერი

[44] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 13[1] მუხლის მე-4 პუნქტი

ილველი სასამართლოსადმი ნეგატიური დამოკიდებულების აგრესიული ფორმით გამომჟღავნების შემთხვევაში, ასევე – სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების „ოვაციებით, ტაშის დაკვრით, აპლოდისმენტებით"[45] მხარდაჭერის შემთხვევაში ან სასამართლო სხდომის დარბაზში უნებართვო გადაადგილების ან საუბრის შემთხვევაში და ა.შ.

ამდენად, წესრიგის დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც სასამართლო სხდომის დარბაზში, ასევე დარბაზს მიღმაც – მაგალითად, სასამართლოს შენობაში, დერეფანში, სასადილოში, ეზოში და ა.შ. წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოხატავდეს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას ან მიზნად ისახავდეს სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას.

5. „წესრიგის დარღვევის" ადგილი

სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც სასამართლო სხდომის დარბაზში, ასევე სხდომის დარბაზს მიღმა – სასამართლოს შენობაში (მაგ., დერეფანში). ამასთან, სსსკ 85-ე მუხლი ვრცელდება პროცესის ყველა მონაწილეზე და დამსწრე პირზე.

5.1. სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევა

სხდომის დარბაზში შეიძლება ადგილი ჰქონდეს წესრიგის დარღვევას (ადგილიდან წამოძახება, შეძახილები, უნებართვო გადაადგილება დარბაზში), სასამართლოსადმი უპატივცემულობას ან სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას (მაგ., გაძევებული პირი უარს აცხადებს სხდომის დარბაზის დატოვებაზე). დარღვევას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც მხარეების, პროცესის მონაწილეების (მაგ. მოწმის სახით დაბარებული პირის), ასევე დამსწრე პირების მხრიდან.

---

[45] ო. ჯორბენაძე, სასამართლოში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, მართლმსაჯულება და კანონი №4/2017, 66

სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც სასამართლოში საქმის წარმოების სხვადასხვა სტადიებზე (მაგალითად, პირველი წარდგენის სხდომა, წინასასამართლოს სხდომა, საქმის არსებითად განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოში, საკასაციო სასამართლოში), ასევე ერთიდაიგივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპებზეც. მაგალითად, წესრიგის დარღვევას ან სასამართლოსადმი უპატივცემულობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, მხარეთა კამათის ან განსასჯელის საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას, ასევე სასამართლოს მიერ განჩინების/განაჩენის გამოქვეყნებისას.

წესრიგის დარღვევა შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს შესვლას სხდომის დარბაზში. დამსწრე პირებმა ან პროცესის მონაწილეებმა შეიძლება არ მისცენ სხდომის თავმჯდომარეს სხდომის ჩატარების, საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის, განსახილველი საქმის გამოცხადების, მხარეთა უფლება-მოვალეობების განმარტების და ა.შ. შესაძლებლობა. მაგრამ მიუხედავად იმისა რომ „მოსამართლეს ჯერ არ გამოუცხადებია არც სასამართლოს შემადგენლობა და არც პასუხისმგებლობა წესრიგის დარღვევისთვის, მოსამართლე უფლებამოსილი და ვალდებულია გამოიყენოს წესრიგის დამრღვევის მიმართ კანონმდებლობით"[46] (მაგ., სსსკ მუხლი 85) გათვალისწინებული ღონისძიებები.

თუ დაიშვება სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრება პროცესის მონაწილეზე მას შემდეგ, რაც მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას სხდომის გადადების თაობაზე (მაგრამ სხდომა ფორმალურად ჯერ დასრულებული არ არის და მოსამართლე ისევ სხდომის დარბაზშია)? თუ დაიშვება საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრება ადვოკატზე, როდესაც ის უარს აცხადებს ბრალდებულის დაცვის განხორციელებაზე და შემდგომ სხდომებში მონაწილეობაზე?

მაგალითად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის გადადების თაობაზე და ადვოკატს

[46] ო.ჯორბენაძე, სასამართლოში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, მართლმსაჯულება და კანონი, №4/2017, 65

დაავალა შემდეგი სხდომისთვის წარმოედგინა იმ მტკიცებულებათა ნუსხა, რომელთა წარდგენასაც აპირებდა სასამართლოში (სსსკ 83-ე, 219-ე და 220-ე მუხლები). ადვოკატმა განმარტა, რომ ვინაიდან გვიან ჩაერთო პროცესში და საქმესთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე ინფორმირებული არ იყო (მაგ., არ იცოდა რომ საქმე შედგებოდა 23 ტომისგან, საქმეში იყვნენ სხვა ბრალდებულებიც), ის საქმეში საერთოდ აღარ მიიღებდა მონაწილეობას. ამ განცხადებასთან დაკავშირებით პროკურორმა სცადა პოზიციის დაფიქსირება რასაც მოჰყვა კამათი და ყვირილი, რის გამოც მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის გაძევების შესახებ. გაძევების ღონისძიება გააპროტესტა ადვოკატმა და გამოხატა დაუმორჩილებლობა, რის გამოც მის მიმართ დამატებით გამოყენებული იქნა ჯარიმა 100 ლარის ოდენობით.

სასამართლოს განმარტებით, სსსკ 85-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც წესრიგის დარღვევას ადგილი აქვს სხდომის გადადების შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე მიმდინარე სხდომის ფორმალურად დასრულებამდე (ვიდრე მოსამართლე ჯერ კიდევ სხდომის დარბაზშია), ვინაიდან ეს საპროცესო ურთიერთობა წარმოადგენს იმავე სასამართლო სხდომის ნაწილს. ადვოკატის მიერ საადვოკატო უფლების მოხსნის შესახებ პოზიციის დაფიქსირების შემდეგ, მანამდე ვიდრე სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ადვოკატის საადვოკატო უფლებამოსილებიდან გათავისუფლების თაობაზე (გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ უნდა გაარკვიოს ბრალდებულის პოზიცია ადვოკატის განცხადებასთან დაკავშირებით), სხდომაზე წარმოდგენილი ადვოკატი ასრულებს ბრალდებულის ადვოკატის უფლებამოსილებას და მის მიმართ სასამართლო ურთიერთობა პროცესზე ხორციელდება როგორც ბრალდებულის ინტერესების დამცველ ადვოკატთან.[47] შესაბამისად, მასზე ვრცელდება სსსკ 85-ე მუხლის მოქმედება.

ამდენად, „სხდომის თავმჯდომარის კომპეტენცია წესრიგის დაცვის მიზნით იწყება მოსამართლის დარბაზში შესვლით და მთავრდება

[47] თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე № 1ბ/სპ-12-17, 2017 წლის 5 ივლისი

მოსამართლის მიერ სხდომის დარბაზის დატოვებით."[48] შესაბამისად, 85-ე მუხლის საფუძველზე ზემოქმედების ზომების გამოყენების უფლება არ წყდება მაგალითად, სხდომის გადადების შესახებ გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოცხადებისთანავე და არც პირის გაძევებით. „სხდომის გადადების გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოცხადების შემდეგ არსებული საპროცესო ურთიერთობა წარმოადგენს იმავე სასამართლო სხდომის ნაწილს და მოსამართლე უფლებამოსილია იმოქმედოს კანონით დადგენილი წესით.[49] ანალოგიურად, სასამართლოს უფლება აქვს უკვე გაძევებული პირის მიმართ კვლავაც გამოიყენოს სანქცია – დაჯარიმება, თუ ეს პირი გაძევების შემდეგაც განაგრძობს, მაგალითად, წესრიგის დარღვევას, სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას და ა.შ.

5.2. სასამართლოში წესრიგის დარღვევა

სასამართლოს სხდომის დარბაზს მიღმა ვერ ექნება ადგილი სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას, მაგრამ შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირის მხრიდან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას, სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას ან წესრიგის დარღვევას.

სხდომის დარბაზს მიღმა წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას, და სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას ადგილი შეიძლება ჰქონდეს იმ პირის მხრიდან, ვინც: ა) სასამართლომ გააძევა სხდომის დარბაზიდან და მაინც აგრძელებს „წესრიგის დარღვევას" სხდომის დარბაზს მიღმა, ბ) იმ პირის მიერ, ვინც საკუთარი სურვილით და სასამართლოს ნებართვით დატოვა სხდომის დარბაზი ან არ შეუშვეს დახურულ სასამართლო სხდომაზე.

სხდომის დარბაზს მიღმა განხორციელებული ქმედებისთვის

---

[48] ო. ჯორბენაძე, სასამართლოში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, მართლმსაჯულება და კანონი, №4/2017, 65

[49] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 1ბ/სპ-12-17, 05/07/2017ნ

გამოსაყენებელი საპროცესო სანქციები იყოფა ორ ნაწილად „წესრიგის დამრღვევი“ სუბიექტის მიხედვით:

1. იმ პირის მიმართ ვინც პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომის დარბაზი ან გაძევებული იქნა სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების უფლება გააჩნია როგორც სასამართლოს (მუხლი 85, ნაწ. 2 და 7), ასევე სასამართლოს მანდატურს (მუხლი 85, ნაწ. 13);

2. იმ პირის მიმართ ვინც არ შეუშვეს ან არ შევიდა სხდომის დარბაზში – ხდება მხოლოდ დაკავების გამოყენება სასამართლოს მანდატურის მიერ. ჯარიმა ან გაძევება ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.

თუმცა წესრიგის დარღვევაზე რეაგირების საპროცესო მექანიზმი დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რომელ ტერიტორიაზე/სად ჰქოდა ადგილი აღნიშნულს (სხდომის დარბაზში თუ დარბაზს მიღმა). კერძოდ, თუ ადგილი ჰქონდა სხდომის დარბაზში – გამოიყენება სსსკ 85-ე მუხლის მე-2 და მე-7 ნაწილით დადგენილი წესი და ამ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე აჯარიმებს ან/და აძევებს პირს, ან აგზავნის მიმართვას განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ პირთან, ხოლო თუ სხდომის დარბაზს მიღმა – მაშინ გამოიყენება სსსკ 85-ე მუხლის მე-13 ნაწილით დადგენილი წესი – სასამართლოს მანდატური დააკავებს დამრღვევ პირს (საჭიროების შემთხვევაში) და წარუდგენს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს (უზენაეს სასამართლოში – თავმჯდომარის მოადგილეს), რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გამოსაყენებელი ღონისძიების შესახებ.

თავი II. პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა

1.საპროცესო პასუხისმგებლობა გამოუცხადებლობისთვის

სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროცესის უწყვეტ მიმდინარეობაზე. ამიტომ სხდომაზე დროულად გამოცხადება პროცესის მონაწილის ვალდებულებაა. აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის საპროცესო პასუხისმგებლობას ადგენს სსსკ რიგი ნორმები (მაგ., სსსკ მუხლი 91, 240, 296, 305),

რომლებიც საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრებას უკავშირებენ გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზს.

სსსკ სხდომაზე გამოცხადების ვალდებულებას თანაბრად აკისრებს როგორც ორივე მხარეს, ასევე განხილვაში მონაწილე ნებისმიერ პირს. მხარეებმა წინასწარ უნდა მიიღონ ზომები სასამართლოს დროული ინფორმირებისათვის, რათა მხარეთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობით ხელი არ შეეშალოს სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებას.[2] მაგალითად, მოწმის სახით დასაკითხ პირთა არსებით განხილვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო იძულებული ხდება გადადოს სასამართლო განხილვა (მაგალითად, თუ მხოლოდ აღნიშნული მოწმის ჩვენების გამოკვლევა იყო დაგეგმილი ამ სხდომაზე და სასამართლო მოკლებულია სხვა მტკიცებულების გამოკვლევის შესაძლებლობას) რაც ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, იწვევს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეების მოცდენას და ა.შ. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სანქციებს პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის. სსსკ საპატიო მიზეზად მიიჩნევს გამოუცხადებლობას რომელიც გამოწვეულია პროცესის მონაწილის ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის ამ პირის პროცესზე გამოცხადებას.[3]

წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა.[4] მხარე ვალდებულია დადგენილ დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ხოლო საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში – სასამართლო განხილვის დაწყებამდე შეატყობინოს სასამართლოს საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ (სსსკ 188-ე მუხლის მე-2 ნაწილი). „ამ დანაწესის დაუცველობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მასზეა და ვალდებულია დაადასტუროს განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობა."[5] შესაბამისად, მხარის გამოუცხადებლობა წინასწარ დანიშნულ პროცესზე იმის

გამო, რომ ის ესწრება სხვა სასამართლო პროცესს თუნდაც იგივე სასამართლოში ერთ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენს საპატიო გარემოებას, ხოლო მეორე შემთხვევაში – სასამართლოსადმი უპატივცემულობას. მაგალითად, თუ ადვოკატი ვერ ცხადდება წინასწარ შეთანხმებულ სასამართლო სხდომაზე იმის გამო, რომ მონაწილეობს სხვა საქმის არსებით განხილვაში იმავე სასამართლოში (რომელიც ასევე წინასწარ იყო ჩანიშნული) და დაკითხვა დაგეგმილზე დიდხანს გრძელდება (ასევე წინასწარ ჩანიშნული) ან ბრალდებულების ეტაპირების დაგვიანებით განხორციელების გამო სასამართლო განხილვა გვიან დაიწყო და ვერ ესწრება სასამართლო განხილვის დასრულება დაგეგმილი დროისთვის, და ადვოკატი ამის შესახებ დაუყოვნებლივ (მეორე საქმის განხილვის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე) ატყობინებს მეორე საქმის განმხილველ სასამართლოს – გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევა-არმიჩნევის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად ახდენს ადვოკატი დროის წინასწარ დაგეგმვა-განაწილებას. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, „ადვოკატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ უნდა ანიჭებდეს პრიორიტეტს კონკრეტულ საქმეს სხვა სისხლის სამართლის საქმის ხარჯზე. აღნიშნული შეზღუდვა მკაცრად უნდა იქნეს გათვალისწინებული მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. ადვოკატი ვალდებულია წინასწარი და გონივრული გათვლა განახორციელოს სამუშაო დროის თაობაზე რათა არ დაზიანდეს სხვა დასაცავი პირის ინტერესები.“[6] შესაბამისად, როდესაც ორ სასამართლო სხდომას შორის დროის მონაკვეთი წინასწარ განჭვრეტადად არასაკმარისი იქნებოდა მეორე სასამართლო განხილვაზე დროულად გამოცხადებისთვის (და ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც თუ რამდენ ხანს გაგრძელდა იგივე ადვოკატის მონაწილეობით სხვა საქმეზე ანალოგიური პროცესი – მაგ., პირველი წარდგენის სასამართლო სხდომის ხანგრძლივობა – იგივე სასამართლოში, წინა დღეებში) გამოუცხადებლობა ვერ იქნება მიჩნეული საპატიოდ.[7] სასამართლომ მიიჩნია, რომ იმავე დღეს თუნდაც პროცესის დაწყებამდე „სასამართლოსთვის შეტყობინება სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე ვერ გაამართლებს ადვო-

კატის არასაპატიო ქცევას. უკიდურეს შემთხვევებში, განსახილველი საქმის მოცემულობიდან გამომდინარე, ადვოკატი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს იმ პროცესში, რომლის თაობაზეც მისთვის ცნობილი რამოდენიმე დღით ადრე იყო."[8] შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნული გარემოება არასაპატიოდ მიიჩნია და განკარგულების გასაჩივრების შემდეგაც ძალაში დატოვა ადვოკატის დაჯარიმება 300 ლარით.

ანალოგიური ვითარებაა, როდესაც ერთსადაიგივე დღეს ადვოკატი ჯერ მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებაში და ვინაიდან საგამოძიებო მოქმედება გაგრძელდა, ის ვერ ცხადდება წინასწარ დანიშნულ სასამართლო სხდომაზე. „მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე სხდომაზე გამოცხადების წინასწარ გათვლა, ვერ გაამართლებს ადვოკატის პოზიციას პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევისთვის. იგი ვერ ჩაითვლება იმ „განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად", რომლის მტკიცების ვალდებულება პირისათვის დადგენილია საპროცესო კანონით."[9]

ამასთან მნიშვნელობა არ აქვს ადვოკატი სასამართლოს სხდომის დაწყებამდე შეატყობინებს რომ ვერ ასწრებს სხდომაზე მოსვლას, თუ სხდომის დაწყების შემდეგ. როგორც ვნახეთ სასამართლომ ორივე შემთხვევაში გამოუცხადებლობა მაინც არასაპატიოდ მიიჩნია. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ადვოკატმა პროცესის დაწყებამდე არ მიიღო რაიმე წინასწარი ზომა, რომ შესაძლო გამოუცხადებლობის თაობაზე თავიდანვე ეცნობებინა სასამართლოსთვის.

მართალია არც ერთი სამართლებრივი აქტით არ არის განსაზღვრული თუ რომელ პროცესზე დასწრებას მიიჩნევს ადვოკატი პრიორიტეტულად (როდესაც ორი პროცესი ემთხვევა ერთმანეთს), მაგრამ გამოუცხადებლობის შეფასებისას მხედველობაში იქნება მიღებული ის თუ რომელი პროცესის თარიღი რამდენი ხნით ადრე იყო ცნობილი ადვოკატისთვის. შესაბამისად არასაპატიოდ ჩაითვლება იმ პროცესზე გამოუცხადებლობა რომელიც გაცილებით ადრე იყო ჩანიშნული. მაგალითად, 2017 წლის 18 ოქტომბერს ერთდროულად იყო დანიშნული ორი სასამართლო პროცესი, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში 13:00 საათზე, ხოლო რუსთავის საქა-

ლაქო სასამართლოში 14:00 საათზე. ადვოკატის განცხადებით მან თბილისის სააპელაციო სასამართლოში პროცესის დანიშვნის თაობაზე 2017 წლის 17 ოქტომბერს შეიტყო. 17 ოქტომბრის სატელეფონო აქტით დგინდება, რომ ადვოკატი იმავე დღეს შეეხმიანა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ, თუმცა მოგვიანებით, 16:15 საათზე სატელეფონო შეტყობინებით თანაშემწეს ასევე მისწერა, რომ ბრალდებულთან ერთად გამოცხადდებოდა და პროცესზე მიიღებდა მონაწილეობას. 2017 წლის 18 ოქტომბერს, 11:43 საათზე, ადვოკატმა ისევ შეცვალა პოზიცია – განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და აცნობა, რომ პროცესზე ვერ გამოცხადდებოდა, რადგან თბილისის სააპელაციო სასამართლოში 13:00 საათზე იყო დანიშნული პროცესი.

სასამართლომ განმარტა, რომ პროცესში მონაწილე ადვოკატის მიერ „პირველი შესაძლებლობის" პირობებში პოზიციის არაერთგზისი ცვლილება, სასამართლოს მიმართ მის არასათანადო დამოკიდებულებაზე მიუთითებს. სასამართლომ გაითვალისწინა ასევე ის გარემოებაც, რომ ადვოკატის უფლებამოსილების მქონე პირი, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ვალდებულია, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში მაღალი პასუხისმგებლობა, გულმოდგინება და სათანადო ქცევით ჯეროვანი დამოკიდებულება გამოავლინოს. მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ ეძლევა მოსამართლეს (სასამართლოს) შესაძლებლობა ადვოკატის გამოუცხადებლობა მიიჩნიოს საპატიოდ. თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის ვერ იქნება დამარწმუნებელი ადვოკატის განაცხადი, რომ ამავე სასამართლოში პროცესი წინა დღით დაინიშნა, რადგან არსებული პრაქტიკის თანახმად, რამდენიმე დღით ადრე მსჯავრდებულს მაინც უნდა სცოდნოდა პროცესის თარიღი. ამასთან, ადვოკატი საჩივარში აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულმა სატელეფონო საუბრისას სთხოვა, რომ კვლავ მას მიეღო პროცესში მონაწილეობა. მაღალი ალბათობით, ბუნებრივია, ამგვარ სატელეფონო საუბარს 2017 წლის 17 ოქტომბრამდე უნდა ჰქონოდა ადგილი (ადვოკატს აღნიშნული მოსაზრების საპირისპირო მტკიცებულება არ წარმოუდგენია). შესაბამისად, ადვოკატს ან/და

მსჯავრდებულს შეეძლო თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის შეეთავაზებინა გონივრული ვადით პროცესის გადადება (მათ შორის, განსაკუთრებული აუცილებლობის პირობებში იმავე დღისათვის სხდომის დაწყების დროის შეცვლა), რომლის სამართლიან საფუძველსაც ქმნიდა ის გარემოება, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში პროცესის დანიშვნის თაობაზე დაცვის მხარისათვის ცნობილი იყო უფრო ადრე – 2017 წლის 20 სექტემბრიდან.[10]

გამოუცხადებლობის გამო პროცესის მონაწილის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად:

1. იმავე სხდომაზე პროცესის მონაწილის დაჯარიმება – ადგილი აქვს როდესაც აშკარაა გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი ან/და გამოუცხადებელმა პირმა სხდომის დაწყებამდე არ აცნობა სასამართლოს რომ ვერ შეძლებდა გამოცხადებას სხდომაზე, მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება და შესაბამისად, მიზეზი უცნობია; [11]

2. მომდევნო სხდომაზე – როდესაც სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად მხარე წინასწარ ან სხდომის დაწყებისთანავე აცნობებს სასამართლოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს (მაგ. ბრალდებული მიუთითებს რომ ადვოკატი ვერ გამოცხადდა სხდომაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, თუნდაც თავად ადვოკატს წინასწარ არ ეცნობებინა სასამართლოსთვის გამოუცხადებლობის ობიექტური გარემოების შესახებ[12]) რის გამოც სხდომის თავმჯდომარე გადადებს სხდომას და განუსაზღვრავს გამოუცხადებელ მხარეს დროს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენისთვის. თუ მხარე დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ მტკიცებულებას, სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აკისრებს მას ჯარიმას სსსკ 91-ე ან 240-ე მუხლის საფუძველზე (შესაბამისად).

სააპელაციო/ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე აპელანტის/კასატორის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი[13] უფრო მკაცრ სანქციას ითვალისწინებს და ადგენს, რომ ჯარიმის (და შესაბამისად

სხდომის გადადების) ნაცვლად სასამართლო განუხილველად ტოვებს სააპელაციო/საკასაციო საჩივარს (ამასთან, განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ხოლო სააპელაციო/საკასაციო საჩივრის თავიდან შეტანა შეუძლებელია გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემთხვევაში. შესაბამისად, აპელანტის/ კასატორის არასაპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აპელანტი/კასატორი კარგავს სსსკ მისთვის მინიჭებული გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობას).

სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოიყენება სსსკ 240-ე მუხლით გათვალისწინებული წესი.[14]

ამდენად, თუ პროცესის მონაწილემ სხდომის დაწყებამდე არ აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ გამოუცხადებლობა მიიჩნევა არასაპატიოდ და იწვევს საპროცესო პასუხისმგებლობას. გამოუცხადებლობა არასაპატიოდ იქნება მიჩნეული იმ შემთხვევაშიც, თუ სუბიექტმა რომელმაც აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ ვერ წარადგინა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.[15]

2. კვალიფიკაციის საკითხები

2.1. სსსკ მუხლი 240 vs. მუხლი 91

სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის საპროცესო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სსსკ 91-ე და 240-ე მუხლები. ორივე ნორმა ეხება პროცესის მონაწილის სასამართლოში არასაპატო მიზეზით გამოუცხადებლობას და ერთნაირი სახის და ზომის სანქციას ითვალისწინებს. კერძოდ,სსსკ 91-ე მუხლი მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლო პროცესის მონაწილის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე მას განკარგულებით

აკისრებას ჯარიმას 100-დან 500 ლარამდე ოდენობით. ანალოგიურ დანაწესს ითვალისწინებს სსსკ 240-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომლის თანახმად, პროცესის რომელიმე მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეს განკარგულებით აკისრებს ჯარიმას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით. ორივე ნორმა ცალსახად მიუთითებს რომ დაჯარიმება პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისგან. თუმცა სსსკ 240-ე მუხლის პირველი ნაწილი 91-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული რეგულირებისგან განსხვავებით დამატებით განსაზღვრავს მხარის უფლებას, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა გამოძახებული პირის იძულებით მიყვანის თაობაზე.[16] თავის მხრივ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი სსსკ 240-ე მუხლის პირველი ნაწილისგან განსხვავებით ადგენს ჯარიმის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებს. კერძოდ, მიუთითებს რომ „ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს შემაკავებელი ხასიათის, მიყენებული ზიანის პროპორციული და უნდა შეესაბამებოდეს პირის ფინანსურ მდგომარეობას."

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი და 240-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ერთიდაიგივე ქმედებისთვის – არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის ერთიდაიგივე სუბიექტის – პროცესის მონაწილის მიმართ, იდენტური სანქციის გამოყენებას, სსსკ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილს და 240-ე მუხლის პირველ ნაწილს განსხვავებული რეგულირების სფერო გააჩნია. კერძოდ, 240-ე მუხლი სპეციალური ნორმაა და ეხება უშუალოდ საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას. ამიტომ არსებითი განხილვის სხდომაზე მხარის ან პროცესის ნებისმიერი მონაწილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსსკ 240-ე მუხლი, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში ნებისმიერ სხვა სასამართლო სხდომაზე (პირველი წარდგენის სხდომა, წინასასამართლო სხდომა, სასამართლო სხდომა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ა.შ.) შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით

მაგისტრატი მოსამართლის წინაშე გამოუცხადებლობის შემთხვევაში – სსსკ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული წესით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მიუთითებს რომ რიგ შემთხვევებში სასამართლო არსებით სხდომაზე გამოუცხადებელი პროცესის მონაწილისთვის საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრებისას მიუთითებს ერთდროულად როგორც სსსკ 240-ე მუხლის, ასევე 91-ე მუხლის მე-8 ნაწილზეც.[17] როგორც უკვე აღინიშნა არსებით სხდომაზე მონაწილის გამოუცხადებლობას არეგულირებს სპეციალური ნორმა – სსსკ 240-ე მუხლის პირველი ნაწილი. შესაბამისად, 91-ე მუხლის მე-8 ნაწილზე მითითება გამართლებულია ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმების მიზნებისთვის, როდესაც გამოყენებული ჯარიმის ოდენობა აღემატება შესაბამისი მუხლით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას. ამდენად, როდესაც ხდება მინიმალური ოდენობის ჯარიმის გამოყენება ერთდროულად სსსკ 240-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 91-ე მუხლის მე-8 ნაწილზე აპელირება არასწორია.

ამდენად, საპროცესო სამართალდარღვევისთვის სანქციების იდენტურობის მიუხედავად, სსსკ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილს და სსსკ 240-ე მუხლს განსხვავებული რეგულირების სფერო გააჩნია და მათი ურთიერთჩანაცვლება არასწორია.

2.2. სსსკ მუხლი 85 ვს. მუხლები 91 და 240

სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა (თუნდაც სასამართლოს წინასწარი ინფორმირების პირობებში) მართალია შეიძლება იმავდროულად სასამართლოსადმი უპატივცემულობასაც გამოხატავდეს (რადგან მოსამართლის მიერ განსაზღვრულ დროს სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა მხარისათვის)[18] და წარმოადგენს პროცესის მონაწილის მიერ საპროცესო მოვალეობის (სასამართლოში დროულად გამოცხადების) შეუსრულებლობას, თუმცა აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სსსკ სპეციალური ნორმები. კერძოდ, არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის საპროცესო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სსსკ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი და 240-ე მუხლის

მე-2 ნაწილი, რომლებიც ადგენენ ჯარიმის დაკისრების განსხვავებულ წესს და განსხვავებულ ოდენობას. კერძოდ, :

1. სსსკ 85-ე მუხლი პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირის მიერ სასამართლოში წესრიგის დარღვევისთვის სანქციის სახით ითვალისწინებს 50-დან 500 ლარამდე ოდენობის ჯარიმას, ხოლო 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი და 240-ე მუხლის პირველი ნაწილი პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის ადგენს 100-დან 500 ლარამდე ოდენობის ჯარიმას.

2. განსხვავებულია ჯარიმის დაკისრების საპროცესო წესიც. კერძოდ, სსსკ 85-ე მუხლი საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრებამდე სავალდებულო წესით ითვალისწინებს პირის გაფრთხილებას მოსამართლის მიერ, რაც გამოუცხადებლობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

სსსკ 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პოტენციური პასუხისმგებლობის დაკისრების დროს, სხდომის თავმჯდომარეს წარმოეშობა ვალდებულება განკარგულების გამოტანამდე ზეპირი შენიშვნა მისცეს მხარეს და მოუწოდოს შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. ამგვარი დათქმა იმპერატიული საკანონმდებლო დანაწესია, რაც ვერ განხორციელდება სხდომაზე პირის გამოუცხადებლობის დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, სასამართლო ვერ გამოიყენებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, ვინაიდან ამ მუხლში გათვალისწინებულ გარემოებათა (სხდომაზე წესრიგის დარღვევა, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა) ერთობლიობა, რომელიც შეფასებითი კატეგორიის მოცემულობაა, გამოიყენება მხარეთა მონაწილეობით უშუალოდ სხდომის წარმართვის დროს არსებულ დარღვევათა აღსაკვეთად.[19]

ამდენად, პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სსსკ 85-ე მუხლი არ უნდა იქნეს

გამოყენებული. არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობისთვის, პასუხისმგებლობა პირს უნდა დაეკისროს სსსკ 91-ე მუხლის ან 240-ე მუხლის საფუძველზე შესაბამისად (სსსკ 91-ე და 240-ე მუხლებს შორის განსხვავება მითითებული იყო წინა პარაგრაფში).

2. გაძევება

2. 1.გაძევების გამოყენების წესი

სხდომის დარბაზიდან პირის გაძევება პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას და სასამართლო პროცესის ჯეროვნად წარმართვას ემსახურება. „გაძევება პირველ რიგში პრევენციული ხასიათის მატარებელია, თუმცა სადამსჯელო ბუნებაც გააჩნია, ვინაიდან პირს ართმევს სასამართლო სხდომაზე ყოფნის შესაძლებლობას."[50]

სსსკ 85-ე მუხლის თანახმად, გაძევების გამოყენება სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში. გაძევება შეიძლება გამოყენებული იქნეს პროცესის ნებისმიერი მონაწილის – როგორც მხარის (პროკურორის, ადვოკატის[51] და ბრალდებულის), საქმის განხილვაში მოწმის სტატუსით მონაწილე პირების, ასევე დამსწრის მიმართ[52] თუ სხდომის თავმჯდომარის

---

[50] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-14

[51] იხ. მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განკარგულება საქმეზე 1/2354-17, 09/11/2017წ.; თბილისის სააპელაციო სასამართლოს განკარგულება საქმეზე № 1/719-17, 18/04/2017წ

[52] იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განკარგულება საქმეზე № 1/3964-16, 04/10/2017წ; თბილისის საქალაქო სასამართლოს განკარგულება 19/06/2017წ; განკარგულება საქმეზე № 1/4453-16, 23/06/2017წ; განკარგულება საქმეზე № 1-5590-16, 23/06/2017წ; თბილისის საქალაქო სასამართლოს 19/06/2017წლის განკარგულებები დამსწრეების ჩამან რუგაევას და ჩიჩაკ რუგაევას გაძევების შესახებ; ამავე სასამართლოს 09/06/2017წლის განკარგულება დამსწრის ნ. ცუცქირიძის გაძევების გაძევების შესახებ და 09/11/2017წლის განკარგულება დამსწრის ხ. ლეფსიწვერიძის გაძევების შესახებ; ასევე – 04/09/2017წლის განკარგულება დამსწრის მ. ლევაშვილის გაძევების შესახებ.

ზეპირი შენიშვნის მიუხედავად პირი ჯიუტად განაგრძობს არასათანადო ქცევას. მაგალითად, დამსწრე არ დაემორჩილა სხდომის თავმჯდომარის მითითებებს და განაგრძო წესრიგის დარღვევა (ტელეფონზე საუბარი), რისთვის გაძევებული იქნა სხდომის დაბაზიდან.[53] გაძევების შესახებ სასამართლოს განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს დამატებით გამოიყენოს ჯარიმაც.

სსსკ 85-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირი გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმის განხილვის დასრულებამდე. შესაბამისად ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომიდან გაძევებული პირი გაძევებულად ითვლება პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმის განხილვის დასრულებამდე (სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე, გამამართლებელი ან გამამტყუვნებელი განაჩენის გამოტანამდე).[54] გაძევებულ პირს უფლება არ აქვს დაესწროს იგივე ინსტანციის სასამართლოში ამ საქმის არც ერთ შემდგომ სასამართლო სხდომას. მათ შორის ვერ დაესწრება სასამართლო სხდომებს იმ შემთხვევებშიც კი, თუ საქმე განსჯადობის მიხედვით გადაეცა იგივე ინსტანციის სხვა სასამართლოს (მაგ., პირი გაძევებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულის სასამართლოსთვის პირველი წარდგენის სასამართლო სხდომიდან. მოგვიანებით საქმე განსჯადობით გადაეცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პირი ვერ დაესწრება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სასამართლოს სხდომებსაც). მაგრამ გაძევებულ პირს უფლება აქვს დაესწროს ან მონაწილეობა მიიღოს (მაგ., მოწმის, ადვოკატის, დაზარალებულის სახით) იმავე პირველი ინსტანციის სასამართლოში სხვა საქმის განხილვაში, ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში იგივე საქმის სასამართლო განხილვაში.

---

[53] საქალაქო სასამართლოს განკარგულება საქმეზე № 1/4453-16, 23/06/2017წ.

[54] ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი, გ. დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ,311

გაძევებული პირის სხდომის დარბაზში დაბრუნებას სსსკ ითვალისწინებს ორ შემთხვევაში: 1. საჩივრის განხილვის შედეგად სასამართლოს თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების და სხდომაზე პირის დაბრუნების შესახებ, 2. სხდომის თავმჯდომარემ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა გაძევებული პირის სხდომაზე დაბრუნების შესახებ.

გაძევების შემდეგ წესრიგის დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც სხდომის დარბაზში (მაგ., უარს აცხადებს სხდომის დარბაზის დატოვებაზე, გასვლისას შეურაცხყოფას აყენებს პროცესის მონაწილეებს, სასამართლოს ან არღვევს წესრიგს), ასევე სხდომის დარბაზს მიღმა – მაგალითად, ფოიეში. თუ სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას დარბაზში, მოსამართლის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს სასამართლოდან მის გაყვანას. ამასთან ამ პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა (ჯარიმის გამოყენება დაიშვება გაძევებულის მიერ სხდომის დარბაზის დატოვებამდე სხდომის დარბაზში განხორციელებული სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული ერთერთი ქმედებისთვის – მაგალითად, გაძევებული ხამამაღლა გამოთქვამს აღშფოთებას და უკმაყოფილებას, არ ტოვებს სხდომის დარბაზს. თუ გაძევებული არ ტოვებს სხდომის დარბაზს და გამოხატავს აშკარა და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს მიმართ, მაშინ გაძევებული პირის მიმართ დაიშვება პატიმრობის გამოყენება (სსსკ 85-ე მუხლით დადგენილი წესით).

თუ გაძევებული პირი სხდომის დარბაზს მიღმა აგრძელებს წესრიგს დარღვევას, გამოხატავს სასამართლოსადმი უპატივცემულობას ან ხელს უშლის სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას, სხდომის თავმჯდომარეს არ აქვს ამ პირის მიმართ სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების უფლება. ამ შემთხვევაში სსსკ 85-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას. „გაძევებულის მიერ სხდომის დარბაზს გარეთ წესრიგის დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში, მოსამართლის მითითებით (იგულისხმება სასამართლოს

თავმჯდომარე) სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს ამ პირის სასამართლოდან – შენობიდან ან/და ეზოდან გაყვანას."[55]

2. 2. ადვოკატის და ბრალდებულის გაძევება

გაძევება განსხვავებული სამართლებრივი შედეგების მატარებელია პროცესის მონაწილისათვის და დარბაზში მყოფი პირისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში გაძევებას სადამსჯელო ბუნება გააჩნია, დარბაზში მყოფი პირის მიმართ მისი გამოყენების შემთხვევაში, მას ართმევს მხოლოდ სასამართლო პროცესზე დასწრების შესაძლებლობას,[56] ხოლო პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებისას – საქმის განხილვაში მონაწილეობის. კერძოდ, გაძევების შემთხვევებში ბრალდებული მოკლებულია საკუთარი პოზიციის პირადად დაცვის, სასამართლოსთვის საკუთარი არგუმენტების წარდგენის და მტკიცებულების გამოკვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებულის ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი ადვოკატი, აღნიშნული არ ართმევს ბრალდებულს დაცვის განხორციელებაში (მტკიცებულებების გამოკვლევაში) აქტიური მონაწილეობის, ადვოკატის პარალელურად არსებით სხდომაზე გამოძახებული მოწმის დაკითხვაში მონაწილეობის, საბოლოო სიტყვის უფლებას. მით უფრო როდესაც თავად ბრალდებულიც იურიდიული განათლების მქონე პირია და მის მონაწილეობას შეუძლია ხელი შეუწყოს დაცვის უფლების განხორციელებას. დაცვის უფლების ჯეროვნად განხორციელება პირველ რიგში სწორედ ბრალდებულის ინტერესებშია. მაგრამ სხდომის დარბაზიდან გაძევების შემთხვევაში ბრალდებული მოკლებულია სხდომის მიმდინარეობის პირდაპირ რეჟიმში თვალის დევნების, ადვოკატთან უწყვეტ რეჟიმში პირდაპირი კომუნიკაციის და მისთვის მითითებების მიცემის

---

[55] ლ.ფაფიაშვილი, გ.თუმანიშვილი, დ.კვაჭანტირაძე, ლ.ლიპარტელიანი, გ.დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 311

[56] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-15

შესაძლებლობას. იმავდროულად, გაძევებული ბრალდებული მოკლებული იქნება მის დაუსწრებლად არსებით სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ყველა მტკიცებულების სააპელაციო სასამართლოში ხელახალი გამოკვლევის უფლებას.

სხდომის დარბაზიდან შეიძლება გაძევებული იქნეს როგორც ის ბრალდებული, რომლის მიმართაც ადგილი არ აქვს თავისუფლების შეზღუდვის გამოყენებას,[57] ასევე ბრალდებული, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, ან იმავდროულად არის მსჯავრდებული სხვა დანაშაულისთვის და სასჯელს იხდის პენიტენციურ დაწესებულებაში.[58]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარის ინტერესებს სასამართლო პროცესზე იცავს წარმომადგენელი/წარმომადგენლები, საკუთარი პოზიციის დაცვის უფლება, პირველ რიგში, მარწმუნებელს ეკუთვნის, რომელსაც შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მოახდინოს მისი წარმომადგენლების საქმიანობის კორექტირება ან/და მონიტორინგი. გაძევების შემთხვევაში პირი ამ შესაძლებლობას მოკლებულია, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საქმის განხილვისას მისი ინტერესების ჯეროვნად წარმოდგენაზე ან/და დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელებაზე.[59]

ადვოკატის გაძევების შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე სხდომის თავმჯდომარემ უნდა გაარკვიოს ბრალდებულის პოზიცია – ბრალდებული უარს ამბობს თუ არა ადვოკატის დახმარებაზე. ბრალდებულის პოზიციის გარკვევის საჭიროება არ არსებობს სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის ინტერესებს იცავდა მხოლოდ გაძევებული ადვოკატი. ამ შემთხვევაში ადვოკატის გაძევების შემდეგ, სხდომა უნდა გადაიდოს ახალი ადვო-

[57] იხ. მაგ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს განკარგულებები: საქმეზე № 1/1452-17, 25/04/2017წ., ასევე – საქმეზე № 1/917-17, 04/04/2017წ., ასევე – საქმეზე № 1/194-17, 20/04/2017წ, საქმეზე № 1/2798-16, 07/11/2016წ

[58] იხ. მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს განკარგულებები: საქმეზე № 1/3588-17, 24/08/2017წ; საქმეზე № 1/2500-17, 12/06/2017წ.

[59] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-15

კატის პროცესში ჩართვამდე.

ადვოკატის გაძევების შემთხვევაში სხდომა გაგრძელდება, თუ:

1. ბრალდებულის ინტერესებს რამოდენიმე ადვოკატი იცავს და ერთერთი ადვოკატი იქნა გაძევებული ;

2. ბრალდებულის ინტერესებს იცავდა მხოლოდ გაძევებული ადვოკატი და ბრალდებული იქვე უარს აცხადებს დამცველის მომსახურებაზე და ითხოვს, საქმის განხილვის გაგრძელებას და არ არსებობს სსსკ 45-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის საფუძველი.

მაგრამ თუ ბრალდებულის ინტერესებს იცავდა მხოლოდ გაძევებული ადვოკატი და ბრალდებული უარს არ ამბობს ადვოკატის დახმარებაზე, საქმის განხილვა უნდა გადაიდოს ახალი ადვოკატის პროცესში შემოსვლამდე. ანალოგიურად, თუ საქმე გვაქვს სავალდებულო დაცვის ან სახაზინო წესით დაცვის განხორციელებასთან სსსკ-ის 45 და 46-ე მუხლების საფუძველზე, მაშინ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ახალი ადვოკატის პროცესში მოწვევა და მისთვის საქმის მასალების გაცნობისთვის შესაბამისი დროის გამოყოფა.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია მხარის მოტივირებლი შუამდგომლობის საფუძველზე გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების უფლება (სსსკ 85-ე მუხლის მე-5 ნაწილი). შუამდგომლობაში მხარემ უნდა მიუთითოს: 1. გაძევებული პირის არასათანადო ქცევის მიზეზი, 2. ამ მონაწილის სხდომაზე დასწრების მნიშვნელობა სამართლიანი სასამართლო განხილვისთვის, 3. გარანტიები, რაც უზრუნველყოფს სხდომის დარბაზში დაბრუნების შემთხვევაში მის სათანადო ქცევას.

აღნიშნული არ არის საკმარისი ბრალდებულის დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელებისთვის, ვინაიდან გაძევებული ბრალდებულისთვის/ადვოკატისთვის სხდომაზე დაბრუნების უფლების მინიჭება მოსამართლის დისკრეციული უფლებაა. შესაბამისად, მხარის მიერ დასაბუთებული შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაშიც კი მოსამართლეს შეუძლია არ გაიზიაროს შუამდგომლობაში მითითებული არგუმენტები და გაძევებულ ბრალდებულს/ადვოკატს არ მისცეს სხდომაზე დაბრუნების უფლება.

სსსკ გაძევებული პირის სხდომის დარბაზში დაბრუნების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი სასამართლო/თავმჯდომარე დააკმაყოფილებს საჩივარს სხდომის დარბაზიდან გაძევების უკანონოდ ცნობის შესახებ (სსსკ მუხლი 85, ნაწ. 5).

ადვოკატის გაძევების საკითხი სენსიტიურია, როდესაც საქმე ეხება ბრალდებულის მიერ მოწვეული ადვოკატის გაძევებას და ბრალდებულის მოტივირებული შუამდგომლობის მიუხედავად სასამართლო უარს ამბობს გაძევებული ადვოკატის სხდომის დარბაზში დაბრუნებაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება საფრთხე შეექმნას დაცვის უფლებას. შესაბამისად, ადვოკატის სხდომის დარბაზში დაბრუნებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ერთი მხრივ ბრალდებულის უფლება საკუთარი უფლებების დაცვა მიანდოს იმ ადვოკატს, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობა და უზრუნველყოს ადვოკატის არჩევის თავისუფლება და მეორე მხრივ, სამართლიანი მართლმსაჯულების და სხდომის ისეთ პირობებში მიმდინარეობა როდესაც სასამართლოს და მხარეებისთვის უზრუნველყოფილი იქნება მტკიცებულებათა სრულყოფილად გამოკვლევის და საკუთარი საპროცესო უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში. მართალია ევროპული კონვენციის მიხედვით ბრალდებულს არ აქვს უფლების ბოროტად გამოყენების უფლება და დაცვის მხარეს ევალება კანონმდებლობის დაცვა, თუმცა ადვოკატის ქმედების მიჩნევა სასამართლოსადმი უპატივცემულობად რიგ შემთხვევებში სუბიექტურობის ელემენტებსაც შეიცავს.

შესაბამისად, ვფიქრობ რომ აღნიშნული ნორმის გამოყენების ადმინისტრაციული პრაქტიკა ბრალდებულთან მიმართებით (იმისდამიუხედავად თუ რამდენი ადვოკატი იცავს მის ინტერესებს), ისევე როგორც კანონმდებლობა და პრაქტიკა დასახვეწია. ბრალდებულის გაძევება გამოყენებული უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში, არაერთგზის გაფრთხილების და ჯარიმის გამოყენების შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ.[60] სსსკ უნდა ადგენდეს სასამართლოს

[60] იხ. მაგ., ბ. ნიპარიშვილი, ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, მართლმსაჯულება

მიერ გაძევების შესახებ განკარგულების ავტომატურად გადასინჯვის ვალდებულებას გარკვეული პერიოდულობით. მაგალითად, ერთიდაიგივი ინსტანციის სასამართლოში სხვადასხვა დანიშნულების სასამართლო განხილვისას სხდომის თავმჯდომარეს უნდა ევალებოდეს გაძევების საჭიროების გადასინჯვა.

ბრალმდებლის გაძევების შემთხვევაში სხდომა უნდა გადაიდოს, როდესაც საქმის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი ბრალმდებელი. ანალოგიურად, სხდომა უნდა გადაიდოს როდესაც სხდომის თავმჯდომარე აძევებს ბრალდებულს, რომელიც დამოუკიდებლად იცავს საკუთარ თავს მოწვეული/ დანიშნული ადვოკატის დახმარების გარეშე. ამ შემთხვევაში სხდომა გადაიდება ადვოკატის პროცესში ჩართვამდე (სხდომის თავმჯდომარემ უნდა დაუნიშნოს გაძევებული ბრალდებულს სახაზინო ადვოკატი).

სხდომის თავმჯდომარის განკარგულება გაძევების შესახებ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. განკარგულების აღსრულებას უზრუნველყოფს სხდომის დარბაზში მყოფი სასამართლოს მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი. განკარგულება პირს რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა გაძევება გადაეცემა განკარგულების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის და წესრიგის დარღვევის ინტენსივობიდან გამომდინარე სსსკ 85-ე მუხლი ავალდებულებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ბრალმდებლის ან ადვოკატის გაძევების შემთხვევაში გამოიტანოს კერძო განჩინება და გაუგზავნოს მთავარ პროკურატურას ან ადვოკატთა გაერთიანებას (შესაბამისად)[61]. ასეთი კერძო განჩინების გამოტანის ვალდებულებას და უფლებას სსსკ არ ითვალისწინებს ადვოკატის ან ბრალმდებლის მიმართ შენიშვნის ან ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში.

გაძევებულ ბრალდებულს უფლება აქვს დაესწროს სასამართ-

და კანონი, №1/2016წ, 20

[61] ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი, გ. დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 311; იხ. მაგ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს განკარგულება საქმეზე № 1/719-17, 18/04/2017წ.

ლოს შემაჯამებელი[62] გადაწყვეტილების გამოცხადებას. მაგრამ თუ ბრალდებული კვლავ აგრძელებს წესრიგის დარღვევას გადაწვეტილება ცხადდება ბრალდებულის გარეშე. ბრალდებულს გადაეცემა შემაჯამებელი გადაწყვეტილების ასლი. ასლის გადაცემა ბრალდებულმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით. თუ ბრალდებულმა უარი განაცხადა გადაწყვეტილების მიღებაზე ან/და ხელმოწერით დადასტურებაზე, გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება შესაბამისი დოკუმენტის არსებობისას (მაგ., ოქმი გადაწყვეტილების ჩაბარებაზე ან ხელმოწერაზე უარის შესახებ).[63]

3. პატიმრობა

თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართალწარმოებაში გამოიყენება უკიდურესი საშუალების სახით. ამიტომ სსსკ სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევისთვის პატიმრობის გამოყენებას ითვალისწინებს მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1. პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისკენ, 2. ქმედება გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ.[64] კანონი არ ითვალისწინებს პატიმრობის გამოყენებას წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოსადმი უპატივცემულობისთვის.

პროცესის ჩაშლისკენ მიმართული ქმედებაა მაგალითად, დამსწრის, სასამართლოს, პროცესის მონაწილის ფიზიკური შეურაცხყოფა ან/და მოწოდება სხდომის ჩაშლისკენ, რამაც შეიძლება უმართავი

---

[62] გადაწყვეტილება, რაც ამთავრებს სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიას, მაგ., სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის თაობაზე, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე

[63] ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი, გ. დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 311

[64] სსსკ მუხლი 85, ნაწ. 7

პროცესი გამოიწვიოს.[65]

სსსკ 85-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, პირისათვის პატიმრობის შეფარდება ხდება სასამართლოს (და არა მოსამართლის), მხარის ან პროცესის მონაწილის მიმართ გამოხატული აშკარა და უხეში უპატივცემულობისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ტერმინი "სასამართლო" გულისხმობს როგორც მოსამართლეს, მხარეებს და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს, ასევე დარბაზში დამსწრე პირებსაც.[66] შესაბამისად, დაპატიმრების საფუძველია პროცესის ნებისმიერი მონაწილის და დამსწრე პირის მიმართ გამოხატული აშკარა ან/და უხეში უპატივცემულობა.

აშკარა ან/და უხეში უპატივცემულობა შეიძლება გამოიხატოს მაგალითად უცენზურო, პირადი ღირსების შემლახავი გამონათქვამებით, საგნების სროლით, სკამებზე სირბილით (რაც შეიძლება იმავდროულად მიმართული იყოს პროცესის ჩაშლისკენ) და ა.შ. მაგალითად, სხდომის დარბაზიდან გაძევებული მოწმე დარბაზიდან გასვლის დროს „უკრავს ტაშს, იგინება და შემდეგ – ხელს არტყავს კარს";[67] სასამართლოს დერეფანში სასამართლოს სხდომის დარბაზთან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირი არ ემორჩილება სასამართლოს მანდატურების არაერთგზის მოთხოვნას შენობის დატოვების თაობაზე და უცენზურო სიტყვებით ხმამაღლა ლანძღავს მანდატურებს;[68] სხდომის დარბაზში პროცესის დასრულების შემდეგ, გამოცხადებული განაჩენით უკმაყოფილო დამსწრე უცენზურო სიტყვებით, გინებით სიტყვიერ შურაცხყოფას აყენებს საქმის განმხილველ მოსამართლეს;[69]

[65] ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი, გ. დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 312

[66] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/3/393,397, საქმეზე „ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2006 წლის 15 დეკემბერი

[67] თბილისის საქალაქო თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე № 03-17, 12/07/2017წ

[68] იხ. მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება №04-17, 14/07/2017წ

[69] თბილისის საქალაქო თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე № 01-17, 25/04/2017წ

ბრალდებულის შვილის მიერ სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული პოლიციის თანამშრომლისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სასამართლოს დერეფანში, სხდომათა დარბაზის წინ;[70] სხდომაზე გამოცხადებული შესვენების დროს ბრალდებულის მხრიდან სხდომის მდივნის და სასამართლოს მისამართით ხმამაღლა გამოთქმული უცენზური სიტყვები.[71]

სასამართლო სხდომის დარბაზში განხორციელებული ქმედება რომელიც გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ წარმოადგენს საპროცესო სამართლდარღვევას, რომელზეც ვრცელდება სსსკ 85-ე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილი რეგულირება. ანალოგიურად, სხდომის დარბაზში ან სხდომის დარბაზს მიღმა, სასამართლოს დერეფანში, სასამართლო სხდომის დარბაზის კარებთან ხმამაღალი შეურაცხმყოფელი შეძახილები ან მოწოდებები მხარეების, პროცესში მონაწილე პირების (მაგ. ექსპერტი, თვითმხილველი მოწმე) მისამართით შეიძლება გამოხატავდეს სასამართლოსადმი უპატივცემულობას, წესრიგის დარღვევას ან მიმართული იყოს სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის ან პროცესის ჩაშლისკენ, რაც წარმოადგენს საპროცესო სამართალდარღვევას. მაგალითად, ადვოკატი მოსამართლის მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად ხამამაღალი წამოძახილებით აწყვეტინებს მხარეს მოწმის დაკითხვას, ყვირის სხდომის დარბაზში, ხოლო 200 ლარის ოდენობით დაჯარიმების შემდეგ გამოხატავს მოსამართლის მიმართ უპატივცემულობას ყვირილით და უხეში მიმართვით, რის გამოც სასამართლო აძევებს მას სხდომის დარბაზიდან. დარბაზიდან მანდატურის მიერ გაყვანისას ადვოკატმა გაუწია წინააღმდეგობა, ხმამაღლა გაიძახდა უცენზურო სიტყვებს, სასამართლოს შენობის ფოიეში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოს მანდატურს, რის გამოც მას სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით შეეფარდა პატიმრობა 10 დღის ვადით.[72]

---

[70] თბილისის საქალაქო თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე № 06-17, 24/10/2017ნ

[71] http://www.newposts.ge/?l=G&id=27331-

[72] იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება ადვო-

სხდომის თავმჯდომარეს დაპატიმრების შესახებ მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სსსკ 85-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას ადგილი აქვს სხდომის დარბაზში. სხდომის დარბაზს მიღმა განხორციელებულ იგივე ქმედებაზე სხდომის თავმჯდომარის უფლება პატიმრობის გამოყენების მიმართვით მიმართოს სასამართლოს თავმჯდომარეს არ ვრცელდება.

სხდომის დარბაზს მიღმა წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს მანდატური არის ვალდებული აღკვეთოს წესრიგის დარღვევა, ხოლო საკითხს დამრღვევი პირის მიმართ გამოსაყენებელი სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი ზომის (და არა მხოლოდ პატიმრობის) შესახებ წყვეტს სასამართლოს თავმჯდომარე.

სხდომის დარბაზში პროცესის ჩაშლისკენ მიმართული ქმედების ან აშკარა/უხეში უპატივცემულობის გამო პატიმრობის გამოყენებას წინ უსწრებს პირის დაკავება. ამასთან სხდომის თავმჯდომარეს არ აქვს უფლება გამოიყენოს წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ პატიმრობა.[73] პატიმრობის გამოყენების უფლებას კანონმდებელი ანიჭებს ზემდგომ ნეიტრალურ მოსამართლეს. ამიტომ სხდომის თავმჯდომარის მითითებით მანდატური აკავებს პირს და ადგენს დაკავების ოქმს, ხოლო სხდომის თავმჯდომარე ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას და უგზავნის პატიმრობის გამოყენებაზე განკარგულების გამომტან, უფლებამოსილ სასამართლოს ან მოსამართლეს (პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც ორი ან მეტი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს).[74] პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ზეპირი მოსმენით, სადაც დამრღვევ პირს/ მის ადვოკატს საშუალება ეძლევა წარუდგინონ სასამართლოს განმარტებები, ასევე – საკუთარი მოსაზრებები დაკავების კანონიერების და პასუხისმგებლობის ზომის შესახებ.

კატ რ. პაპიძის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ, 2011წლის 28 ივლისი

[73] იხ. სსსკ 85-ე მუხლი ნაწ. 15

[74] ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი, გ. დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 311

პროცესის მონაწილის დაპატიმრების შემთხვევაში, სსსკ-ი ითვალისწინებს სხდომის გადადებას პროცესის მონაწილის (მოწმის, ექსპერტის, მხარის წარმომადგენლის) დაპატიმრების შემთხვევაში, პატიმრობის ვადით. ამ საკითხზე გადაწყვეტილება დამოკიდებულია სხდომის სტადიაზეც (მაგ., თუკი დაპატიმრებულია მოწმე, სხდომა შეიძლება გადაიდოს, თუ ყველა სხვა პირი საქმეზე დაიკითხა ან, პირიქით, – არ გადაიდოს, თუკი არაერთი სხვა პირია ჯერ კიდევ დასაკითხი). სხდომის გადადების საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ბრალდებულის პოზიციაც (თუკი ითხოვს დაპატიმრებული ადვოკატის მონაწილეობას). ნორმა ადგენს საკითხის განხილვის ფორმასა (ზეპირ განხილვას) და ვადას (პირის წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 24 საათისა). [75]

3. 1. დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირები

ვინაიდან პატიმრობა წარმოადგენს ultima racio-ს, სსსკ ითვალისწინებს პატიმრობის გამოყენების სპეციალურ პროცედურას. კერძოდ, გადაწყვეტილებას პატიმრობის გამოყენების საკითხზე იღებს ნეიტრალური მოსამართლე, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. საქმის განმხილველი მოსამართლე არ არის უფლებამოსილი მიიღოს დაპატიმრების გადაწყვეტილება.

მოსამართლის მიმართ გამოხატული აშკარა ან/და უხეში უპატივცემულობის შემთხვევაში მოსამართლე შეიძლება ერთდროულად გამოდიოდეს დაზარალებულის, ბრალმდებლის და მსაჯულის როლში.[76] ამიტომ სსსკ წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების საკითხის გადაწყვეტის უფლებას ანიჭებს არა სხდომის თავმჯდომარეს, არამედ სხვა ნეიტრალურ მოსამართლეს. სსსკ 85-ე მუხლი განსაზღვრავს განკარგულების გამოტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს და ადგენს, რომ:

- რაიონულ (საქალაქო სასამართლოში) სადაც ორი ან ორზე

[75] იქვე, 313

[76] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/3/393,397, საქმეზე „ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2006 წლის 15 დეკემბერი

მეტი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს უახლოესი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა მოხდა საქმის მაგისტრატი მოსამართლის მიერ განხილვისას, განკარგულება გამოაქვს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე.

- სააპელაციო სასამართლოში განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მოადგილეს ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს.

- საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გარდა დიდი პალატისა, საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს იმ მოსამართლეს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. დაკავებული პირი, თუ ეს აუცილებელია, შეიძლება გადაეცეს პოლიციას.

საქმის განმხილველი სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს მხოლოდ დააკავოს პირი, შეადგინოს მიმართვა რომელშიც აღწერს დარღვევას და გადაუგზავნოს განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ პირს. სხდომის თავმჯდომარე მიმართვის შედგენასთან ერთად, მითითებას აძლევს მანდატურს, რომ მან უზრუნველყოს დაკავება და დაკავების ოქმის შედგენა.

დაპატიმრების გადაწყვეტილების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი დამოუკიდებლად აფასებს ზეპირი განხილვის სხდომაზე პატიმრობის გამოყენების საჭიროებას. მას შეუძლია მაგრამ ვალდებული არ არის მიიღოს გადაწყვეტილება დაპატიმრების შესახებ.

3. 2. დაპატიმრების შესახებ განკარგულების გამოტანის წესი

დაკავებული პირი დაკავების მომენტიდან არა უგვიანეს 24 საათისა უნდა წარედგინოს პატიმრობის გამოყენებაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). თუ დაკავებული 24 საათში არ წარედგინა უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს), იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დაპატიმრების ბუნებიდან გამომდინარე ვინაიდან დაპატიმრება ითვალისწინებს უფრო მაღალი ინტენსივობით პირის უფლებებში ჩარევას მისი გამოყენება დაიშვება გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც დაპატიმრება წარმოადგენს ultima racio-ს და იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილი იქნება დაცვის უფლება და სამართლიანი სასამართლო განხილვა. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და ბრალდებულს უნდა ჰქონდეს სასამართლოსთვის საკუთარი მოსაზრებების და არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა, დაპატიმრების შესახებ განკარგულების დასაბუთების უფრო მაღალი ხარისხი (მიუხედავად იმისა რომ მტკიცების სტანდარტი ყველა განკარგულების მიმართ ერთნაირია). სწორედ ამიტომ სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა სანქციებისგან განსხვავებით, დაპატიმრების შესახებ მიმართვის განხილვა ხდება ზეპირი განხილვის გზით.

იმავდროულად, მხარის გამოუცხადებლობა არ იწვევს სხდომის გადადებას (როგორც წესი, მიმართვის შემდგენი მოსამართლე სხდომას არ ესწრება. განხილვის ფარგლებში იკითხება სასამართლოს მანდატური, რომელმაც შეადგინა დაკავების ოქმი).

სსსკ 85-ე მუხლის საფუძველზე პატიმრობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლო დაკავებულ პირს აცნობებს საქმის განხილვის დროსა და ადგილს. საქმის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც აცხადებს, ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული პატიმრობა, საქმის განხილვაში მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს,საჯაროდ კითხულობს წესრიგის დარღვევის თაობაზე შედგენილ მიმართვას და უსმენს საქმის განხილვაში მონაწილე პირებს.

ზეპირი მოსმენისას დამრღვევ პირს/მის ადვოკატს საშუალება

ეძლევა, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები და მისცეს განმარტებები დაკავების კანონიერებისა და პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე (მაგ., მოსაზრებები, რამდენად არსებობდა სსსკ დადგენილი საფუძველი დაკავებული პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებისთვის ან/და პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული მოსაზრებები). მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება დაპატიმრების შესახებ. კერძოდ, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია:

1. გაიზიაროს მიმართვაში მოყვანილი გარემოებები და დაკავებულ პირს შეუფარდოს პატიმრობა, ან

2. არ გაიზიაროს მიმართვაში მოყვანილი არგუმენტები და არ გამოიყენოს დაკავებულის მიმართ პატიმრობა.

განკარგულების გამომტანი სასამართლო ამ განკარგულების ასლს დაუყოვნებლივ გადასცემს დამრღვევ პირს, ასევე განკარგულების ასლს აღსასრულებლად უგზავნის სამართალდამცავ ორგანოებს.

განკარგულება გამოტანილი უნდა იქნეს დაკავებული პირის წარდგენისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა.

დაპატიმრების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში.

3. 3. პატიმრობის ვადა

სსსკ-ის 85-ე მუხლი არ განსაზღვრავს პატიმრობის მინიმალურ ვადას. ხოლო პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, დამრღვევი პირის მიმართ პატიმრობის გამოყენება ხდება პირველად, თუ განმეორებით. კერძოდ, წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ პირველ ჯერზე პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებდეს 30 დღე-ღამეს, ხოლო რეციდივის შემთხვევაში, როდესაც დგინდება, რომ ამ პირს სასამართლოში წესრიგის დარღვევის გამო ადრე უკვე ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა – 60 დღე-ღამეს.[77]

---

[77] იხ. ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი, გ. დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,

პატიმრობის ვადის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საქმის კონკრეტული გარემოებები, წესრიგის დამრღვევის პიროვნება, წესრიგის დარღვევს ხასიათი და ა.შ. შესაბამისად, გამოყენებული პატიმრობის ხანგრძლივობა შეიძლება შეადგენდეს 04 დღეს[78],01 დღეს,[79] 05 დღეს[80] და ა.შ. დაკავების ვადა ითვლება პატიმრობის საერთო ვადაში.

4. დაკავება

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 61-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას სასამართლოში, სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოებას, ავლენს და აღკვეთს სამართალდარღვევას სასამართლოში, საჭიროებისას აკავებს სამართალდამრღვევს პოლიციისთვის მისი გადაცემის მიზნით (თუ წესრიგის დარღვევა შეიცავს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს), ან სასამართლოს თავმჯდომარისთვის დამრღვევის წარსადგენად პირის მიმართ სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული ზემოქმედების გამოყენების მიზნით.

დაკავების გამოყენება უკავშირდება წესრიგის დარღვევას (ფართო გაგებით) სასამართლოში ან სასამართლო სხდომაზე. თუ წესრიგის დარღვევას ადგილი აქვს სასამართლო სხდომაზე, მაშინ გადაწყვეტილებას პირის დაკავების თაობაზე იღებს სხდომის თავმჯდომარე და თავადვე ადგენს მიმართვას რომელშიც აღწერს დარღვევას და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს/მოსამართლეს. თუ დაკავება უკავშირდება სასამართლოში წესრიგის დარღვევას, მაშინ გადაწყვეტილებას დამრღვევი

2015 წ.

[78] იხ. თბილისის საქალაქო თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე №04-17, 14/07/2017წ.

[79] თბილისის საქალაქო თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე №06-16, 24/10/2017წ

[80] თბილისის საქალაქო თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე №01-17, 25/04/2017წ; თბილისის საქალაქო თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე№03-17, 12/07/2017წ

პირის დაკავების თაობაზე იღებს მანდატური დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად , ადგენს დაკავების ოქმს და უგზავნის სასამართლოს თავმჯდომარეს (ხოლო უზენაეს სასამართლოში პირის დაკავების შემთხვევაში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს).

სსსკ 85-ე მუხლის მე-13 ნაწილი სასამართლოს მანდატურს პირის დაკავების უფლებას ანიჭებს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს პირის მხრიდან სასამართლოში (შენობაში, მაგრამ არა – სხდომის დარბაზში პროცესის მიმდინარეობისას): 1. წესრიგის დარღვევას, 2. სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას, 3. სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას. აღნიშნული გარემოებები ალტერნატიულია და ერთერთის არსებობა საკმარისია დაკავებისთვის. თუმცა, როგორც წესი, ეს წინაპირობები ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, დებოში სასამართლოს დერეფანში ხელს უშლის სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას; ხოლო სასამართლოს მიმართ უცენზურო ხმამაღალი გამონათქვამები იმ სხდომის დარბაზის წინ რომელშიც მიმდინარეობს საქმის განხილვა, შეიძლება ხელს უშლიდეს სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას და იმავდროულად გამოხატავდეს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობასაც.

სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში, რასაც ადგილი აქვს სხდომის დარბაზს მიღმა, მაგრამ სასამართლოში (სასამართლოს შენობაში ან ეზოში), მანდატური უფლებამოსილია დააკავოს პირი მაგრამ ამ პირის მიმართ გამოსაყენებელ პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს ნეიტრალური მოსამართლე – იმავე სასამართლოს თავმჯდომარე (საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე) და არა საქმის განმხილველი მოსამართლე. დაკავებული მანდატურმა სასამართლოს თავმჯდომარეს (თავმჯდომარის მოადგილეს – უზენაეს სასამართლოში) უნდა წარუდგინოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა.

სასამართლოს თავმჯდომარეს (მოადგილე – უზენაესი სასამართ-

ლოს შემთხვევაში) უფლება აქვს გადაწყვეტილება სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების შესახებ მიიღოს ზეპირი განხილვის გარეშე (დაპატიმრების გარდა). გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს დაკავებულის წარდგენისთანავე დაუყოვნებლივ, ან წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

„არასათანადო ქცევის" გამო დაკავების ორივე შემთხვევაში (როგორც სხდომის თავმჯდომარის მითითების საფუძველზე დაკავებისას, ასევე სხდომის დარბაზს მიღმა განხორციელებული „არასათანადო ქცევისთვის" დაკავებისას), დაკავების ოქმს ადგენს სასამართლოს მანდატური.

სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევისგან განსხვავებთ (როდესაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ჯარიმა ან გაძევება), სასამართლოში წესრიგის დარღვევისთვის სსსკ ითვალისწინებს დაკავების გამოყენებას (და არა ჯარიმის ან სასამართლოდან გაძევება). მართალია მოგვიანებით დაკავებული პირი შეიძლება გათავისუფლდეს ან დაკავება შეიცვალოს ჯარიმით და არ გადაიზარდოს დაპატიმრებაში, მაგრამ პირს მაინც ექნება გარკვეული ვადის განმავლობაში თავისუფლება შეზღუდული (დაკავებიდან 24 საათში უნდა წარედგინოს უფლებამოსილ მოსამართლეს რომელმაც 24 საათში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება). შესაბამისად, სასამართლოში წესრიგის დარღვევა ობიექტურად უფრო მკაცრ შედეგებს იწვევს დამრღვევი პირისთვის ვიდრე სხდომათა დარბაზში.

დაჯარიმების და გაძევებისგან განსხვავებით, სასამართლოში (და არა სასამართლოს სხდომის დარბაზში) სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული ქცევისთვის პირის დაკავებისთვის სსსკ არ ადგენს სავალდებულო წინაპირობად გაფრთხილებას ან შენიშვნას. თუმცა, ადმინისტრაციული პრაქტიკის შესწავლა მიუთითებს რომ როგორც წესი, დაკავების განხორციელებამდე სასამართლოს მანდატური აფრთხილებს დასაკავებელ პირს.

თავი IV. პროცედურული ასპექტები

1. სანქციის დაკისრების ვალდებულება

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია მხარეებს მისცეს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი და უზრუნველყოს წესრიგის დაცვა.[81] სწორედ ამიტომ სსსკ ითვალისწინებს საპროცესო პასუხისმგებლობას პროცესის მონაწილეების ან დამსწრე პირების მიერ საპროცესო კანონმდებლობის ან სასამართლოში წესრიგის დარღვევის, საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობისთვის.

წესრიგის დარღვევის შემთხვევაში – წესრიგის დაცვა სხდომის თავმჯდომარის ვალდებულებაა და ის თავად იღებს გადაწყვეტილებას პირის მიმართ გამოსაყენებელი ღონისძიებების შესახებ ადგილზე თათბირით, თუმცა არგუმენტი, რომ სხდომის თავმჯდომარეს მისმა კოლეგებმა არ მისცეს სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული რეაგირების ღონიძიების გატარების შესაძლებლობა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ არასწორად მიიჩნია.[82] სადისციპლინო კოლეგიამ ასევე არ გაიზიარა სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის განცხადება, რომ მან ვერ შესძლო სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის მიზნით ადვოკატების მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობლობით გათვალისწინებული რაიმე სახის ღონისძიების გამოყენება, ვინაიდან მას ამის საშუალება არ მისცეს კოლეგა მოსამართლეებმა. სადისციპლინო კოლეგიამ განმარტა, რომ „სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლე აღჭურვილია მთელი რიგი საკანონმდებლო ბერკეტებით. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XI თავი განსაზღვრავს საპროცესო პასუხისმგებლობას სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის. ამავე კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე, რო-

[81] სსსკ მუხლი 23

[82] იხ. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება 1/01-15

მელიც პროცესის მონაწილის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში უფლებამოსილია ზეპირი შენიშვნა მისცეს მას და მოუწოდოს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. ამასთანავე, აღნიშნული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა ან პატიმრობა."[83]

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ განმარტა, რომ თუ მოსამართლეს მიაჩნია, რომ პროცესის მონაწილე მხარეების მხრიდან ადგილი აქვს სასამართლოს უპატივცემულობას ან რაიმე სახის არაეთიკურ ქმედებას, მაშინ მოსამართლე *ვალდებულია*,[84] იმოქმედოს კანონის შესაბამისად და გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით განსაზღვრული რომელიმე ღონისძიება.[85] სსსკ 85-ე მუხლის ფორმულირება ცალსახად მიუთითებს სხდომის თავმჯდომარის მხრიდან კონკრეტული ზომის გატარების ვალდებულებაზე და არა უფლებაზე. კერძოდ, სსსკ 85-ე მუხლი მიუთითებს, რომ სხდომის თავმჯდომარის ზეპირი შენიშვნის და არასათანადო ქცევის შეწყვეტის შესახებ მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, თუ პირი განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. შესაბამისად, ამ ჩანაწერის მიხედვითაც რეაგირება სასამართლოს ვალდებულებაა. ადგილზე თათბირით მიიღება გადაწყვეტილება არა რეაგირების გამოყენება-არ გამოყენების, არამედ ჯარიმასა და გაძევებას შორის არჩევანის საკითხზე. ანალოგიურად, თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლე ვალდებულია და არა უფლებამოსილი მისცეს მანდატურს მითითება პირის სასამართლოდან გაყვანის შესახებ.

---

[83] საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება 1/01-15

[84] იხ. მაგალითად. რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, #1704/06 , 20/12/2011

[85] საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება 1/01-15

სასამართლოს სხდომის დარბაზში (სხდომის მიმდინარეობისას) წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. სწორედ სხდომის თავმჯდომარეა ვალდებული უზრუნველყოს მხარეებისთვის სამართლიანი სასამართლო განხილვით მინიჭებული კონკრეტული უფლებების დაუბრკოლებლად რეალიზაციის შესაძლებლობა და ამისათვის გამოიყენოს სსსკ 85-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება. მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში მოსამართლემ შეიძლება ვერ შენიშნოს დამსწრე პირის მხრიდან სასამართლოსადმი უპატივცემულობის ან წესრიგის დარღვევის ფაქტი. ასეთ დროს სასამართლოს მანდატურმა უნდა აცნობოს ამის თაობაზე სხდომის თავმჯდომარეს და იმოქმედოს თავმჯდომარის მითითების შესაბამისად (მაგ., სხდომის თავმჯდომარის მითითებით დააკავოს პირი და შეადგინოს დაკავების ოქმი. იხ. სსსკ 85-ე მუხლის ნაწ. 7).

გამონაკლისია ვითარება, როდესაც აუცილებელია მანდატურის მხრიდან მყისიერი რეაგირება საპროცესო დარღვევაზე. მაგალითად, როდესაც სხდომის დარბაზში მყოფი შეიარაღებული პირი საფრთხეს უქმნის სხვა პირთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ასეთ დროს მანდატურს შეუძლია სხდომის თავმჯდომარის ინფორმირების გარეშე დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები (მაგ., შეიარაღებული პირის განიარაღება).

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს რომ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით ე.წ. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე, მოსამართლეები თავს იკავებენ დაცვის მხარის და დამსწრე პირების მიმართ სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული ზომების გატარებისგან.[86]

დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობას და შესაბამისად დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც წესრიგის დარღვევას არ მოჰყვება სხდომის თავმჯდომარის მხრიდან რეაგირება, ან მის მიერ წესრიგის აღდგენის მცდელობას არ მოაქვს სასურველი შედეგი. მაგალითად, თუ სხდომის თავმჯდომარე თავს იკავებს გაატაროს სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები როდესაც ადვოკატი უყვირის პროკურორს და პირიქით, დაცვის მხარეს აძლევს მოწ-

[86] ეუთო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, 2014 წ, პარ. 58-62. https://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true, ნანახია: 24.04.2019

მეთა მუქარის, დამცირების ნებას, იშვიათად რეაგირებს დარბაზში ხმაურსა და სიცილზე, რაც ართულებს პროცესის ჩატარებას, არ ამყარებს წესრიგს როდესაც დარბაზში მხარეთა მხარდამჭერებს შორის აურზაური ტყდება, ბრალდებულის მხარდამჭერებს აძლევს პროკურორის გაქილიკების საშუალებას და არ რეაგირებს პროკურორის არაერთი პროტესტის მიუხედავად.[87] არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები მოსამართლის მიერ სასამართლოში წესრიგის დაცვისა და მონაწილეთა პატივისცემის შესახებ და ეს სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეს აკისრებს ვალდებულებას მიმართოს სასამართლოს შეურაცხყოფისთვის გათვალისწინებულ სანქციებს იმ პირების მიმართ, ვინც რეალურად შლის სასამართლო პროცესს.[88]

2. სანქციის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სანქციებს (დაჯარიმება, სხდომის დარბაზიდან გაძევება, დაკავება, დაპატიმრება) პირთა ფართო წრის მიმართ (მხარე, პროცესის მონაწილე, სხდომაზე დამსწრე პირი), რომელთაც განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობა და სამართლებრივი ინტერესი გააჩნიათ.[89] ამასთან, სსსკ-ით სანქციის სახით გათვალისწინებული ამ ზომების/ღონისძიებების გამოყენება სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. შესაბამისად, სსსკ არ ითხოვს წესრიგის დარღვევის უკლებლივ ყველა შემთხვევაში სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენებას. გადაწყვეტილება სანქციის გამოყენების საჭიროების შესახებ, ისევე როგორც სანქციის კონკრეტული სახის განსაზღვრა, როგორც წესი, სასამართლოს დისკრეციული უფლებაა. სანქციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას

---

[87] იქვე.

[88] იქვე.

[89] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი

სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლის და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის ვალდებულება. სხდომის დარბაზში „წესრიგის დარღვევაზე სასამართლოს მხრიდან უმოქმედობა რიგ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს მე-6 მუხლით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობას.

გამოსაყენებელი სანქციის კონკრეტული სახის განსაზღვრა ხდება ჩადენილი ქმედების ინტენსივობის და განხორციელების ადგილის მიხედვით.

მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის სანქციების გამოყენებას კანონმდებელი პირობითად ორ ნაწილად ჰყოფს :

1. შემთხვევები, როდესაც სანქციის გამოყენება სასამართლოს დისკრეციული უფლებაა (მაგ., სსსკ 85-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა), და

2. შემთხვევები, როდესაც სანქციის გამოყენება სასამართლოს ვალდებულებაა და არა უფლება (მაგ., სსსკ 85-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც მოსამართლეს ავალდებულებს გამოიტანოს კერძო განჩინება ბრალმდებლის ან ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ). თუმცა ეს ჯგუფიც პირობითად 2 ქვეჯგუფად იყოფა:

ა) შედარებით განსაზღვრული სანქციები – სასამართლოს გააჩნია სანქციის სახის ან ზომის/ოდენობის განსაზღვრის უფლება (მაგ. სსსკ 91-ე მუხლის ნაწ.8, რომლის თანახმად სასამართლოში პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე მას აკისრებს ჯარიმას 100-დან 500 ლარამდე ოდენობით);

ბ) აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები – კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს გამოსაყენებელ სანქციას (მაგ. სსსკ 85-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ გაძევებული ბრალდებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოცხადებისას განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მაშინ გადაწყვეტილება გამოცხადდება მის გარეშე.).

სსსკ 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ზეპირი შენიშვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს გამოქვს განკარგულება ამ პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუმცა სასამართლო პრაქტიკა უფრო ფართოდ განმარტავს აღნიშნულ ნორმას და პირდაპირი დანაწესის მიუხედავად მიუთითებს, რომ მოსამართლემ საქმის გარემოებებთან ერთობლიობაში უნდა შეაფასოს შენიშვნისადმი დაუმორჩილებლობის მიზეზები და შეუძლია საერთოდ არ გამოიყენოს არანაირი სანქცია, თუ საქმის გარემოებებით დგინდება, რომ აღნიშნული გამოწვეულია ჯანმრთელობის მდგომარეობით, ემოციური ფონით და ა.შ.

3. პროცედურული გარანტიები

სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს თანაზომიერი, დასაბუთებული და სასამართლოს მიერ სსსკ დადგენილი პროცედურის დაცვით შეფარდებული. „სასამართლოს ავტორიტეტის და ქმედითი მართლმსაჯულების დაცვა არ უნდა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვის ხარჯზე."[90]

პროცესის მონაწილე და სხდომაზე დამსწრე განსხვავებული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილ სუბიექტებს წარმოადგენენ. გაცილებით მაღალია პროცესის მონაწილეთა ინტერესი, დაცული იყვნენ უსაფუძვლო დაჯარიმების ან/და გაძევებისგან, ხოლო ასეთი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, გააჩნდეთ უფლების დაცვის საკმარისი პროცესუალური გარანტიები იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, წარმოადგინონ საკუთარი არგუმენტები და დაიცვან თავიანთი პოზიციები. სხდომაზე დამსწრე პირებს არ გააჩნიათ ამგვარი მომეტებული ინტერესი.[91] ამიტომ სანქციის გამოყენებისას სა-

[90] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე „ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2006წლის 15 დეკემბერი

[91] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წი-

სამართლომ უნდა გაითვალისწინოს წესრიგის დამრღვევი პირის საპროცესო მდგომარეობა, საპროცესო ინტერესი, კონკრეტული პირის ქცევის მიზეზი და მიზანი, სანქციის გამოყენების საჭიროება. შესაბამისად, გადაწყვეტილება სანქციის გამოყენების შესახებ, ისევე როგორც კონკრეტული სახის სანქციის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს საქმის გარემოებათა ერთობლიობის და წესრიგის დამრღვევი პირის მახასიათებლების (დაავადება, ემოციური ფონი, მოსამართლის შენიშვნისადმი დამორჩილება და ა.შ.) გათვალისწინებით.

ამდენად, სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილეების (მათ შორის დამსწრე პირების) მხრიდან წესრიგის დარღვევის ფაქტი უნდა დადგინდეს სხდომის მიმდინარეობის გარემოებების ერთობლიობაში შეფასებით და გათვალისწინებული უნდა იქნეს სხდომის დარბაზში არსებული ემოციური ფონი, რომელიც შეიძლება კონკრეტული პროცესის მიმდინარეობას ობიექტურად ახლდეს. ცალკეულ შემთხვევებში პროცესის მონაწილის/ დამსწრის მხრიდან გაკეთებული განცხადება შეიძლება განპირობებული იყოს განმცხადებლის ემოციური მდგომარეობით და მიზნად არ ისახავდეს პროცესის მსვლელობის ხელშეშლას, სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვას ანდა შეგნებულად სასამართლოს საქმიანობისათვის ხელის შეშლას.[92] ასეთ დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება, სხდომის მიმდინარეობის ვითარება, მასთან დაკავშირებული გარემოებები და არ გამოიყენოს სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ზემოქმედების ღონისძიებები. თუმცა ამ შემთხვევაში პირის ქმედებაში ხელშეშლის განზრახვის არ არსებობა უნდა დასტურდებოდეს საქმის გარემოებებით. მაგალითად, ასეთ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს ის, რომ თავდაპირველი შენიშვნის შემდეგ პირი დაემორჩილა მოსამართლის მითითებას და განსახილველი განცხადება წარმოადგენდა მხოლოდ ემოციურ განცხადებას, აშკარად არ გამოხატავს სასამართლოს ან პროცესის მონაწილის (მათ შორის დარბაზში მყოფი პირების მიმართ) ისეთ კონკრეტულ დამოკიდებულებას რამაც შეიძლება წესრიგის დარ-

ნააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-8

[92] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება № 1ბ/სპ-13-15, 2015 წლის 1 დეკემბერი

ღვევა გამოიწვიოს.[93]

მაგალითად, ცალკეულ შემთხვევებში დამსწრის გაძევება შეიძლება საჭირო გახდეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის მიზნებისთვის მაშინაც, როდესაც პირი მართალია არ ისახავს მიზნად სასამართლო განხილვის მსვლელობის ხელშეშლას, მაგრამ დაავადების სპეციფიკიდან გამომდინარე ცქმუტავს, წრიალებს, ადგილი აქვს უნებლიე წამოძახილებს მისი მხრიდან და ა.შ. რითაც ხელს უშლის მხარეებს (მაგალითად, დასკვნითი სიტყვების წარმოდგენაში) და სხდომის თავმჯდომარის შენიშვნის და მოწოდების მიუხედავად არ ტოვებს სხდომის დარბაზს. ამდენად, საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის ან სასამართლოში წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრების საჭიროების, მისი კონკრეტული სახის შერჩევის საკითხი და უზრუნველყოს საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურული გარანტიების განუხრელი დაცვა.

„არასათანადო ქცევის გამოვლენის შემთხვევაში სასამართლო ინდივიდუალურად წყვეტს კონკრეტული ღონისძიების გამოყენების საკითხს."[94] ამ დროს „საკმაოდ დიდია მოსამართლის მხრიდან ცალკეული გარემოებების ინტერპრეტაციის და შეფასების ზღვარი, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, არ გამორიცხავს ერთი და იმავე ფაქტის განსხვავებულად შეფასების შესაძლებლობას (სხვადასხვა მოსამართლეების მიერ)."[95] მაგალითად, სასამართლოს ნებართვის გარეშე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება (მათ შორის მოქმედებაც) მოსამართლის მიერ შეიძლება აღქმული იქნეს წესრიგის დარღვევად.[96] სწორედ ამიტომ, პირს უნდა ჰქონდეს საკუ-

[93] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება № 1ბ/სპ-13-15, 2015 წლის 1 დეკემბერი

[94] თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე № 3ბ/სპ-02-15, 14/07/2015წ.

[95] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-40

[96] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის განჩინება 31ბ/სპ-13-15

თარი მოსაზრებების წარდგენის და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობა.[97]

მოსამართლის მხრიდან თვითნებობისა და შეცდომის პრევენციისა თუ შემდგომი აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია პირს, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა მოვალეობის შეუსრულებლობის ან სასამართლოში წესრიგის დარღვევისთვის გააჩნდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული მინიმალური საპროცესო გარანტიები. სსსკ-ი ასეთი გარანტიების სახით ითვალისწინებს შემდეგს:

1. საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრებამდე პირის ინდივიდუალურად გაფრთხილების სავალდებულოობა;
2. განკარგულების დასაბუთებულობა;
3. გასაჩივრების უფლება;
4. პატიმრობის გამოყენება ზეპირი მოსმენის საფუძველზე.

3.1. გაფრთხილება

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომის დასაწყისში მხარეთა და მოწმეთა გამოცხადების საკითხის შემოწმების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს მითითებების სავალდებულოობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებათა გატარების თაობაზე (სსსკ მუხლი 228, ნაწ.4). წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება დაიშვება, როგორც წესი, დამრღვევი პირისთვის შენიშვნის მიცემის შემდეგ. აღნიშნული წესი თანაბრად ეხება როგორც მოსამართლის, ასევე სასამართლოს მანდატურის მიერ სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიებების გამოყენებას. თუმცა სსსკ 85-ე მუხლით

[97] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-40

გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება-არ დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას და პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომის შერჩევისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის ვალდებულებაც.

სსსკ 85-ე მუხლის მე-2 ნაწილით პირისთვის 'პოტენცური პასუხისმგებლობის დაკისრების დროს სხდომის თავმჯდომარეს წარმოეშობა ვალდებულება დაჯარიმების (ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების) შესახებ განკარგულების გამოტანამდე ზეპირი შენიშვნა მისცეს პირს და მოუწოდოს შეწყვიტოს არასათანადო ქცევა."[98] ამიტომ პირის მიმართ *ჯარიმის ან გაძევების გამოყენებას* სავალდებულო წესით უნდა უსწრებდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ ზეპირი შენიშვნის მიცემა და მოწოდება არასათანადო ქცევის შეწყვეტის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარის შენიშვნა და მოწოდება არასათანადო ქცევის შეწყვეტის შესახებ 228-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სავალდებულო შესრულებას ექვემდებარება.[99] სხდომის თავმჯდომარის მიერ წესრიგის დამრღვევი პირისთვის შენიშვნის მიცემა იმპერატიული საკანონმდებლო დანაწესია.[100] ამასთანავე, სხდომის თავმჯდომარე უნდა დარწმუნდეს რომ შენიშვნის ადრესატმა გაიგო შენიშვნა მაგრამ არ ითვალისწინებს მას და განაგრძობს მაგალითად, წესრიგის დარღვევას. მხოლოდ ამის შემდეგაა სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილი (კვლავ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში), ადგილზე თათბირით გამოიტანოს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.სასამართლოს მხრიდან შენიშვნის მიცემა საკმარისი გამაფრთხილებელი ეფექტის მატარებელია და პირს ანიჭებს თავისი ქმედების კორექტირების და საპროცესო ზემოქმედების ღონისძიების თავიდან

---

[98] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე 1ბ/სპ-19-14, 01/12/2014წ.

[99] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე №1ბ/სპ-13-15, 01/12/2015წ.

[100] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე 1ბ/სპ-19-14, 01/12/2014წ.

აცილების შესაძლებლობას.[101] მაგალითად, თუ ადვოკატი/ ბრალდებული სასამართლოს შენიშვნის მიუხედავად აგრძელებს არასათანადო ქცევას, სასამართლოს შეუძლია მიიღოს განკარგულება ადვოკატის/ბრალდებულის გაძევების შესახებ, ხოლო განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დამატებით გამოიყენოს ჯარიმაც.

განსხვავებული ვითარებაა სასამართლოს მანდატურის მიერ პირის დაკავების შემთხვევაში სსსკ 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე. კერძოდ, „სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში სასამართლოს მანდატური უფლებამოსილია დააკავოს დამრღვევი პირი, რის შესახებაც ადგენს დაკავების ოქმს." შესაბამისად, სასამართლოს სხდომის დარბაზს მილმა წესრიგის დარღვევისას (მე-13 ნაწილში მითითებული ფორმით) მანდატურს პირის დაკავების უფლება გააჩნია გაფრთხილების და შენიშვნის მიცემის გარეშე.[102]

პრაქტიკაში დაკავების გამოყენებას წინ უსწრებს სასამართლოს მანდატურის მხრიდან პირისთვის შენიშვნის მიცემა და წესრიგის დარღვევის შეწყვეტის მოწოდება.[103] თუმცა გამონაკლის შემთხვევაში განხორციელებული ქმედების ინტენსივობიდან გამომდინარე მანდატურმა შეიძლება განახორციელოს დაკავება გაფრთხილების გარეშეც. მაგალითად, სხდომის დარბაზიდან გამოსულმა ბრალდებულის შვილმა სასამართლოს დერეფანში სიტყვიერი და ფიზიკური შერაცხყოფის მიაყენა სხდომის დარბაზიდან გამოსულ მამხილებელი მოწმეს. ქმედების აღკვეთის მიზნით მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს დამრღვევი პირი.

---

[101] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-49

[102] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე №06-17, 24/10/2017წ

[103] იხ. მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება საქმეზე № 04-17, 14/07/2017წ.

3.2. ზეპირი ფორმა

გამოსაყენებელი სანქციის სახიდან გამომდინარე სანქციის გამოყენება ხდება ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე (ადგილზე თათბირით). კერძოდ, პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ განკარგულება გამოიტანება მხოლოდ ზეპირი განხილვის შედეგად, ხოლო დაჯარიმების ან/და გაძევების შესახებ გადაწყვეტილება – ზეპირი მოსმენის გარეშე. ანალოგიურად, ზეპირი განხილვის გარეშე მიიღება გადაწყვეტილება სასამართლოში გამოუცხადებელი პირის დაჯარიმების შესახებ და სააპელაციო/საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღება ნაკლებ დროს მოითხოვს და, შესაბამისად, უზრუნველყოფს სხდომაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სასამართლო პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილებას. ცხადია, პროცედურის სიმარტივე განაპირობებს მართლმსაჯულების სისწრაფესა და ეფექტურობას.[104] თუმცა მეორე მხრივ, ზეპირი მოსმენა უზრუნველყოფს პირის „შესაძლებლობას იყოს მოსმენილი სასამართლოს მიერ“, სასამართლოს გააცნოს საკუთარი პოზიცია და არგუმენტები, წარმოადგინოს მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის გასამყარებლად.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში როდესაც დარღვევა და შესაბამისად გამოსაყენებელი ზემოქმედების ღონისძიებაც უფლებებში ჩარევის ნაკლები ინტენსივობის მატარებელია (მაგ., გაძევება, ჯარიმა) სსსკ ითვალისწინებს ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო როდესაც საკითხი ეხება პირის თავისუფლების შეზღუდვას – სსსკ ადგენს ზეპირი განხილვის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების სავალდებულოობას. ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში – საჩივარს უფლებამოსილი სასამართლო ყველა შემთხვევაში იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.[105]

---

[104] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 27 თებერვალი, II-30

[105] იხ. სსსკ მუხლი 85, ნაწ. 16

3.3. დასაბუთებულობა

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროცესის მონაწილის მიმართ საპროცესო ზემოქმედების ღონისძიების / სანქციის გამოყენების შესახებ უნდა იყოს ***დასაბუთებული***. „საპროცესო აქტის დასაბუთების ვალდებულების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის გადაწყვეტილებაზეა საუბარი."[106]

სასამართლოს განკარგულებაში დეტალურად უნდა იქნეს მითითებული არა მხოლოდ ის თუ რაში გამოიხატა წესრიგის დარღვევა ან სასამართლოსადმი უპატივცემულობა, არამედ ასევე – სრულყოფილად იქნეს აღწერილი თუ რა კრიტერიუმების გათვალისწინებით იქნა აღქმული შესაბამისი ქმედება ასეთად[107] (მაგ., სასამართლოს უპატივცემულობად), გათვალისწინებული იქნეს განხორციელებული ქმედების ხასიათი და ინტენსივობა, პირის უფლებრივი მდგომარეობა და სამართლებრივი ინტერესი მიმდინარე სამართალწარმოებაში, დასაბუთებული იქნეს გამოყენებული ღონისძიების თანაზომიერება.

საპროცესო აქტის დასაბუთებულობა და მასში იმის მკაფიოდ მითითება თუ რას ეფუძნება მიღებული გადაწყვეტილება, საშუალებას აძლევს მხარეს ეფექტურად ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით.[108] ამიტომ, საპროცესო აქტში (განკარგულება, განჩინება) უნდა იქნეს:

1. დასაბუთებული, რომ წარმოდგენილი მასალებით დგინდება პროცესის მონაწილის მხრიდან შესაბამისი ქმედების განხორციელების ფაქტი;

2. მითითებული მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა საპროცესო „სანქციების" გამოყენებამდე. კერძოდ, შენიშვნის მიცემა;

3. განმარტებული რაში გამოიხატა წესრიგის დარღვევა – აღწერილი უნდა იქნეს როგორც ჩადენილი ქმედება, ასევე სრულყოფილად უნდა იქნეს აღწერილი თუ რა კრიტერიუმის საფუძველზე იქნა მიჩ-

---

[106] Ruiz Torija v Spain, ECtHR, par. 29, Hiro Balani v Spain, ECtHR, par. 28

[107] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №3ბ/სპ-02-15, 2015 წლის 14 ივლისი

[108] იხ. Hadjianastassiou v Greece, ECtHR, par. 33, Suominen v Finland, ECtHR, par. 37

ნეული კონკრეტული ქმედება სსსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებულ საპროცესო დარღვევად. მაგალითად, „რა კრიტერიუმთა გათვალისწინებით იქნა მიღებული პროცესის მონაწილის გამონათქვამი სასამართლოს უპატივცემულობად"[109];

4. მკაფიოდ, ნათლად და ამომწურავად უნდა იყოს ჩამოყალიბებული პირის მიმართ გაძევების ან/და დაჯარიმების გამოყენების მიზეზები;[110]

5. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები[111] – რის საფუძველზე და რა გარემოების გათვალისწინებით განსაზღვრა სასამართლომ ჯარიმის კონკრეტული ოდენობა. თუ მოხდა ჯარიმის ოდენობის გაზრდა, სსსკ 85-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ასევე მკაფიოდ მიეთითოს რაში გამოიხატა დაჯარიმების შემდეგ „წესრიგის დარღვევის" გაგრძელება და გაზრდილი ოდენობის პროპორციულობის დასაბუთება.

დარღვევაა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება (განკარგულებაც და განჩინებაც) ემყარება მხოლოდ მანდატურის მოხსენებით ბარათებს და მსგავს დოკუმენტებს, პრაქტიკულად უპირობოდ იმეორებს სასამართლოს მანდატურების მიერ გამოთქმულ ბრალდებებს, არ შეიცავს დეტალურ განმარტებას, არის საკმაოდ მოკლე, არსად სჩანს ინციდენტთა დაკავშირებულ გარემოებათა სამართლებრივი განხილვის შედეგები,[112] განკარგულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და სასამართლოს შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის ზოგად და აბსტრაქტულ ტერმინებზეა საუბარი, სასამართლო არ განმარტავს ინციდენტის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თუ როგორ შეეშალა

---

[109] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 3ბ/სპ-02-15, 14/07/2015წ

[110] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2014 წლის 27 თებერვალი, II-36

[111] იქვე.

[112] კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, no.1484/07, 02/10/2012, par.69, 77. იხ. ასევე Menesheva v Russia, ECtHR, no. 59261/00, par. 92, 99; Zillberg v Moldova, ECtHR, no.61821/100, 01/02/2005, par. 40-42; Hakobyan and Others v Armenia, ECtHR, no34320/04, 10/04/2012, par. 98 , 123

ხელი მართლწესრიგის უზრუნველყოფას და მომჩივნების მიერ წარმოთქმული რომელი კონკრეტული ფრაზები ჩაითვალა სასამართლოს შეურაცხყოფად.[113]აღნიშნული მიუთითებს სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი არაკეთლსინდისიერ დამოკიდებულებაზე.[114]

3.4. განკარგულების გასაჩივრება

„პირს, რომელსაც სახელმწიფო აკისრებს პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის, უნდა ჰქონდეს გასაჩივრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა[115]. ამიტომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 1 ოქტომბერს[116] არაკონსტიტუციურად სცნო სსსკ 91- ე მუხლის მე-8 ნაწილის 240-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ეს განკარგულება არ გასაჩივრდება." შესაბამისად, დღეს საჩივრდება როგორც სსსკ 85-ე, ასევე 91-ე და 240-ე მუხლების საფუძველზე გამოტანილი განკარგულებები. თუმცა სსსკ არ ადგენს 91-ე და 240-ე მუხლების საფუძველზე პროცესის მონაწილეების მიმართ მიღებული განკარგულებების გასაჩივრების სპეციალურ პროცედურას, ამიტომ სსსკ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილის და 240-ე მუხლის საფუძველზე გამოტანილი განკარგულებების გასაჩივრებისას სსსკ მე-2 მუხლზე დაყრდნობით ხდება სსსკ 85-ე მუხლით დადგენილი წესის ანალოგიით გამოყენება.[117]

მოსამართლის მიმართ „აშკარა და უხეში" უპატივცემულობის

---

[113] იხ. კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR,no. 1484/07, 02/10/2012, პარ. 90

[114] იხ. კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, no. 1484/07, 02/10/2012, პარ. 70

[115] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-57

[116] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/20/1219,1236 „საქართველოს მოქალაქეები – ემზარ პაქსაძე და თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2017 წლის 13 ოქტომბერი

[117] იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე № 1ბ/სპ-18-17, 20 დეკემბერი, 2017წ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის განჩინება საქმეზე № 1ბ/სპ-16-17, 2017წლის 1 ნოემბერი

გამოხატვა არ გულისხმობს რომ სსსკ 85-ე მუხლის საფუძველზე სანქციის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე აუცილებლად იქნება მიკერძოებული, რადგან ის ერთდროულად გამოდის დაზარალებულის, ბრალმდებლის და მსაჯულის როლში.[118] თუმცა „როცა სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვის გზა, უმეტესწილად, კონკრეტული მოსამართლეების მიმართ უპატივცემულობაზე გადის, ასეთ ვითარებაში ადვილი შესაძლებელია, რომ ნებით თუ უნებლიეთ, მოსამართლე გაემიჯნოს სასამართლოს, ამოვარდეს მისი სხეულიდან და ...განკარგულების გამოტანისას სამოსამართლეო ძალაუფლების ეპიცენტრში დააყენოს პირადი ღირსება (ინტერესი), როგორც ადამიანისა."[119]

სსსკ ითვალისწინებს წესრიგის დარღვევის, გამოუცხადებლობის ან საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობისთვის პროცესის მონაწილეზე ან დამსწრე პირზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ განკარგულების გასაჩივრების უფლებას.[120] გასაჩივრება შესაძლებლობას აძლევს პირს სადავო გახადოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. მაგალითად, სადავო გახადოს გამოუცხადებლობის არასაპატიოდ მიჩნევა და წარუდგინოს სასამართლოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება (მაგ., მხარემ ვერ შესძლო სხდომის დაწყებამდე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ სასამართლოს შეტყობინება ობიექტური გარემოებების გამო. მაგ., ბრალდებული რომელიც არ სარგებლობდა ადვოკატის დახმარებით, ვერ გამოცხადდა სასამართლოში, ვინაიდან მოჰყვა ავარიაში და იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში).

განკარგულება დაჯარიმების ან/და გაძევების შესახებ პირს უნდა გადაეცეს განკარგულების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. თუ პირი უარს აცხადებს გადაწვეტილების ჩაბარებაზე ან/და ხელმოწერით დადასტურებაზე, აღნიშნული აისახება შესაბამის

[118] იქვე, 2006 წლის 15 დეკემბერი

[119] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/3/393,397, საქმეზე „ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2006 წლის 15 დეკემბერი

[120] გამონაკლისია აპელანტის/კასატორის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს განჩინება, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დოკუმენტში.[121]

სსსკ-ის 85-ე მუხლი ითვალისწინებს საპროცესო სანქციის დაკისრების შესახებ სასამართლოს განკარგულების დადგენილი წესით ჩაბარებიდან 48 საათში, ერთჯერადად გასაჩივრებას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში რომელიც საჩივარს იხილავს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე. *განკარგულება ჯარიმის/გაძევების შესახებ* – შეიძლება გაასაჩივროს როგორც გაძევებულმა/დაჯარიმებულმა პირმა, ასევე მისმა ადვოკატმაც. დაჯარიმების შესახებ განკარგულების გასაჩივრება აჩერებს განკარგულების აღსრულებას (გაძევების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს გაძევებული პირის გაყვანას სხდომის დარბაზიდან). *დაპატიმრების შესახებ განკარგულების* გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელზედაც ვრცელდება განკარგულება (დამრღვევ პირს და არა – მის ადვოკატს)[122], დაპატიმრების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და გასაჩივრება არ აჩერებს განკარგულების აღსრულებას.

საჩივარი შეიტანება განკარგულების გამომტან სასამართლოში, რომელიც საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის საჩივარს შესაბამის სასამართლოს(მაგ., საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განკარგულების გასაჩივრება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან ხორციელდება საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მეშვეობით).[123] საჩივრის განმხილველ პირთა წრე განსხვავდება გამოყენებული ზემოქმედების ზომის მიხედვით. კერძოდ, გაძევების/ დაჯარიმების შესახებ განკარგულებაზე საჩივარს იხილავს იგივე სასამართლოს თავმჯდო-

[121] იხ. ლ.ფაფიაშვილი, გ.თუმანიშვილი, დ.კვაჭანტირაძე, ლ.ლიპარტელიანი, გ.დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზვრიშვილი, ლ. თოლორაია, გ. გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წ, 313

[122] იქვე

[123] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის განკარგულება საქმეზე№ 1/2354-17, 09/11/2017წ

მარე, ხოლო დაპატიმრების შესახებ განკარგულება საჩივრდება ზემდგომ ინსტანციაში. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ან პალატის, გარდა დიდი პალატისა, თავმჯდომარის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში წესრიგის დარღვევის შესახებ მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება იმ მოსამართლესთან, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში.

სსსკ 85-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, საჩივრის განმხილველი მოსამართლე განჩინებით იღებს ერთერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ; ან
- საჩივრის დაკმაყოფილების და პირის დაჯარიმების შესახებ განკარგულების გაუქმების ან/და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ.

ამდენად, სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე პირის დაჯარიმების შესახებ სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობის კანონიერების შემოწმება არ შედის სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაში. ამიტომ, *ჯარიმის ოდენობა არ ექვემდებარება გადასინჯვას* და „სააპელაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ჯარიმის ოდენობის ადეკვატურობის შესახებ".[124] ანალოგიურად – პირის დაპატიმრების შესახებ განკარგულების გასაჩივრების შემთხვევაშიც მოსამართლე ან უცვლელად ტოვებს განკარგულებას ან აუქმებს მას და პირს ათავისუფლებს პატიმრობიდან. შესაბამისად, გამოყენებული *პატიმრობის ვადის შემცირებაც არ შედის საჩივრის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილებაში.*

[124] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12/02/2014ნ გაჩინება საქმეზე №1ბ/სპ-02-14

4. საპროცესო ფორმა

საპროცესო სანქციის გამოყენება ხდება განკარგულების ან განჩინების ფორმით. კერძოდ, სსსკ 85-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოვალეობის დარღვევის ან წესრიგის დარღვევისთვის პროცესის მონაწილეს და დამსწრე პირს პასუხისმგებლობა ეკისრება სასამართლოს განკარგულებით. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს არც დარღვევის ინტენსივობას, არც გამოყენებული ზემოქმედების ზომას და არც გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს. კერძოდ, განკარგულების ფორმით აკისრებს პირს ჯარიმას ან გაძევებას სხდომის თავმჯდომარე და განკარგულებითვე უფარდებს სასამართლოს თავმჯდომარე დამრღვევს პატიმრობას. ანალოგიურად, სსსკ 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი და 240-ე მუხლის პირველი ნაწილიც განკარგულების ფორმით ითვალისწინებს სასამართლოში პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისთვის მის დაჯარიმებას.

მეორეს მხრივ, სსსკ 192-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვისას განაჩენის გარდა ყველა გადასაწყვეტ საკითხზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ამასთანავე, სსსკ არ განმარტავს განკარგულების ცნებას და მას, როგორც წესი, სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის საკითხების მოწესრიგებას უკავშირებს (განკარგულებას ითვალისწინებს ასევე სსსკ რიგი სხვა ნორმებიც, რომლებიც არ უკავშირდება სანქციების დაკისრებას. მაგ., სსსკ 112-ე, 1433, 228-ე, 280-ე მუხლები). განკარგულების მიზანს, როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელების არა შინაარსობრივი არამედ პროცესის მიმდინარეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სსსკ 85-ე მუხლი განჩინების გამოტანას ითვალისწინებს მხოლოდ საპროცესო მოვალეობის ან წესრიგის დარღვევის თაობაზე გამოტანილი განკარგულების გასაჩივრების შემთხვევაში. კერძოდ, მე-16 ნაწილის თანახმად, განკარგულების გასაჩივრების შემთხვევაში საჩივრის განმხილველი მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს განჩინების ფორმით.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილება პირის მიმართ სსსკ გათვალისწინებული სანქციის თავდაპირველი და-

კისრების შესახებ გამოიტანება განჩინების[125] და არა განკარგულების ფორმით. თუმცა საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის, წესრიგის დარღვევის ან სასამართლოში გამოუცხადებლობის მარეგულირებელი ნორმები არის ლეხ სპეციალის და შესაბამისად აღნიშნულ საკითხებზე სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილებაც მიღებული უნდა იქნეს განკარგულების და არა განჩინების სახით.

დასკვნა

სისხლის სამართალწარმოებისას არსებობს საფრთხე, რომ საპროცესო მოვალეობები არ იქნება განხორციელებული ან არაჯეროვნად იქნება განხორცილებული, რაც თავის მხრივ გამოიწვევს პროცესის სხვა მონაწილეთა შესაბამისი უფლებების დარღვევას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების უფლება „განუყოფელია სასამართლო ხელისუფლებისგან და გამომდინარეობს სასამართლოს უფლებამოსილებიდან, უზრუნველყოს სამართალწარმოების ჯეროვანი და მოწესრიგებული მსვლელობა, დაიცვას სასამართლო ავტორიტეტი და უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო განხილვა.[126] პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვისთვის აუცილებელია, რომ ერთი მხრივ საპროცესო კანონმდებლობა შეიცავდეს სანქციებს საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის და მეორე მხრივ, სანქციათა შეფარდება განხორციელდეს საპროცესო კანონმდებლობის განუხრელი დაცვით, უფლებათა შეზღუდვის თანაზომიერების და სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლების უზრუნველყოფით.

---

[125] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 1/2354-17, 09/11/2017ნ

[126] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 27 თებერვალი, II-11

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E _ mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22